საქართველოს ს.ს.რ. მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი


ილია ჭავჭავაძე

თხზულებათა სრული კრებული

ათ ტომად



პ. ინგოროყვას
რედაქტორობით



საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
1950 — თბილისი — 55

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ილია ჭავჭავაძე

ტომი
V

საქართველოს მატიანე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
1951 — თბილისი — 55

შესავალის მაგიერ

მეცხრამეტე საუკუნე



რა გითხრათ ?
რით გაგახაროთ ?

მეცხრამეტე საუკუნე

ესეც პირველი დღე მეოცე საუკუნისა. ამ ახალ საუკუნეს ჯერ არა ეთქმის რა, გარდა იმისა, რომ შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთიო. წარსულმა საუკუნემ, რომელმაც დღეს გზა და ტახტი თავისი დაუთმო ახალს საუკუნესა, ბევრი რამ შესძინა ქვეყნიერობას. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტს საუკუნეს ერთად არ უნახავს. რა თქმა უნდა, რომ წინა საუკუნეთაც არ ემოქმედნათ, არც ეს მეცხრამეტე საუკუნე იქნებოდა ასე ნაყოფიერი, რადგანაც, რაც გინდა სთქვან, წინა საუკუნენი სთესდნენ და სახელი და დიდება მეცხრამეტე საუკუნისა ის არის, რომ უხვი მოსავალი მოგვცა ნათესისა, იმოდენად უხვი, რომ მოულოდნელი იყო ჩვენთა წინაპართათვის.

ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღიდამ დღემდე განზე გადადგმულ იქმნას საზღვარი შეუძლებელისაო. ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა. რაც შეუძლებლად მიაჩნდათ ჩვენთა მამა-პაპათა, — დღეს შესაძლებელი გახდა მეცხრამეტე საუკუნის წყალობით. მანძილი, რომელიც დღეს-აქამომდე იყო სხვადასხვა ქვეყნებ-შორის, რკინისგზებმა, ტელეგრაფებმა და ტელეფონებმა თითქმის მოსპეს. დოსტაქრობამა და მკურნალობამ იქამდე მიაღწია, რომ ცოცხალ ადამიანის აგებულებაში თითქმის გამოუცნობი და დაუნახავი, გაუსწორებელი, შეუკეთებელი აღარა არის-რა. დღეს ცოცხალ ადამიანის შიგნეულობას ისე ჰხედავენ, ისე ითვალწინებენ, თითქო გარეთ გამოტანილი საგანიაო. ბევრს

ჭირს, რომელიც დღეს-აქამომდე მუსრს ავლებდა ქვეყნიერობას, წამალი უპოვეს, და ლამის ის სიცოცხლის ელექსირიც-კი იპოვონ, რომელსაც ასე გულმოდგინებით ეძიებდა და ეძიებს ყოვლად-მძლევი გონება ადამიანისა. მეცნიერება უკვე წააწყდა სახსარს მოხუცებულობისაგან განახლებისათვის და, ვინ იცის, იქნება მალეც მოვესწრათ, რომ ამ გზაზედაც მეცნიერებამ თავისი სასწაულთმოქმედება გამოიჩინოს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნეობით. სიმდიდრემ გონებითმა, ზნეობითმა და ქონებითმა იმ სიმაღლემდე მიაღწია, რომ სიზმრადაც არ ზმანებიათ წინანდელ საუკუნეებს. ერთობ კაცობრიობის სიკეთემ აიწია, წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, — პირში ლაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშითა. ეხლანდელმა ომმა ინგლისისამ და ტრანსვაალისამ, სხვას აღარ ვიტყვით, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა ჰთაკილობს ძლიერისაგან უძლურზე ზედმისევას, თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავისს სამართლიანს მსჯავრსა სდებს წყრომისას და რისხვისას.

ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთეს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი. მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია. ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის

ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად“. ამ გზაზე წინა საუკუნეებს ერთად იმოდენი არა უქმნიათ-რა, რაც ამ ერთმა მეცხრამეტე საუკუნემ ჰქმნა თვისდა პატივის მოსახსენებლად.

ერთის სიტყვით, რასაც კი თქვენდა გარეშემო თვალს და ყურს მოჰკრავთ, ყველგან წარმატება და წინსვლაა. მართალია, შექსპირისა არ იყოს, ქვეყნიერობაში კიდევ ბევრი რამ არის, რომელიც სიზმრადაც არ მოზმანებიათ ეხლანდელ მეცნიერთ, მაგრამ რაც დღემდე იქმნა, ისიც დიდი ძლევამოსილობაა ადამიანის მჭრელის გონებისა, და აქ ღვაწლდადებული იგი საუკუნეა, რომელმაც გუშინ გზა დაულოცა ახალს საუკუნეს, ეხლა შენ იცი და შენმა ძალღონემაო.

კიდევ ვიტყვით: წარსულმა საუკუნემ თავისის მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამოხმაურება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალს საუკუნეს. მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით.

[31 დეკემბერი, 1899 წ.]

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილასვე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!..“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თითონაც თითი გავძრათ, ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, — ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ დაიბღერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ

გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი ადნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ-კი ასეთნი?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხედია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჭლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდეგით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!.. დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს — სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოღომ საბუდარად გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას როგორც მძოვრი, როგორც ლეში! რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, — რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხეველნი მამულისათვის რამღა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით — იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გვქონდა ნაქსოვისა“ — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხანისა, ან მართულები მანქანისა.

ეხლა ვაქაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაქკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩაყვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა — პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა

და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, — იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღალადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით — რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან — და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ კვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან. გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. კდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც ღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთო?

1897 წ., 31 დეკემბერი



საქართველოს მატიანე



I

შინაური მიმოხილვა.

1879 წელი, იანვარი.

აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ. — ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა. — ჩვენი მსჯვერპლი და ძმათა შემოერთება. — ჩვენის განათლების საქმე. — ჩვენის ხალხის სწავლების საქმე. — რა არის შკოლა. — ქართული საზოგადოება სწავლის გავრცელებისათვის. — შარშანდელი მასწავლებელთა კრება — „Тифлисский Вестник"-ის და „დროების" ღვაწლი.

ბალკანის ნახევარკუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულობით წვერი შემოერღვა, როგორც პაჭიჭს, და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი. ეს პატარა ქვეყანა, რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ყოველისფრით ქართველობას უპყრია, დღეს იმ ქვეყნად შეიქმნა, რომელშიაც, ბერლინის ხელ- ̄ ̆ულების შემდეგ, გამოიკვანძა დიდი კვანძი აღმოსავლეთის საქმისა. ჩვენის ფიქრით, ეხლა აღმოსავლეთის საქმემ, აქამომდე სლავიანებზე გაჩერებულმა, აქეთ, აზიაში გადმოიწია და რუსეთი და ინგლისი — ეს ორი დაუძინებელი მეტოქე აზიაში მფლობელობისათვის — აქ, აზიაში, [illegible] ერთმანეთს და ბოლოს საქმე იქამდის მივა, [illegible] საქმის კვანძი აქ უნდა გაიხსნას. რით გაიხსნება [illegible] კვანძი, ხმლით გაჰკვეთენ თუ სცივილიზაციო ღონისძიებით, [illegible] დაწყვეტილად თქმა ძნელია წინათვე. ამაზე ვიტყვით, რომ

პირველი ნიშნები ინგლისის მხრით საცივილიზაციო ღონისძიების ხმარებას მოასწავებს. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ეგ ინგლისს მოსდიოდეს სხვისა თუ ჩვენის სიყვარულით და ტრფიალებითა, — აქ ინგლისი თავის საკუთარის სარგებლობისათვის იღვაწებს. და რადგანაც ერთის ჭეშმარიტი და უცოდველი სარგებლობა მარტო იმაზეა დამყარებული, რომ მეორეც კარგად იყოს, ამიტომაც ინგლისი, რომლის საქმენი ხალხის თვითმოქმედებით იმართებიან, ეცდება თავისი ჭეშმარიტი სარგებლობა ჭეშმარიტს საძირკველზედ ამოიყვანოს, ესე იგი, ეცდება ძალაუნებურად იმათ კარგა-მყოფობასაც, ვინც მას აზიაში ბინადრად დახვდება. ჩვენ აქ საპოლიტიკო სიგელს არ ვწერთ, და ამიტომაც ჩვენ ესე გაკვრით ვლაპარაკობთ ამ საგანზედა და ჩვენს მკითხველს ჩვენს ამონაფიქრებს ვაუწყებთ სმენისა და გაგონებისათვის. ჩვენ აქ გვინდოდა, როგორც ლიტონს მემატიანეს, შეგვენიშნა, რომ აზია საერთოდ და ჩვენ თითონ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისათვის მხოლოდ, არამედ სხვისათვისაც. თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერობაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს მიწის-ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის კარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვადასხვა ხალხის სისხლი დაღვრილა, მაინც ისევ კარად დარჩა და ხალხთა შორის შუღლისა და ცილების მიზეზად იქნება კიდეც.

ბერლინის ხელშეკრულობამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა და ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან — ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ. წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დანსთქა ქართველობისა, ბევრმა ვაჟკაცმა ჩვენმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი. ბევრმა ჩვენმა აფიც-

რობამ თავისი ყმაწვილკაცობის დღენი დალია ამ ომში, ბევრი წარვიდა-მეთქი ამ წუთისოფლიდამ თვისტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით, — და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა. (საწყალნო, ეგრე გულ-გმირად თავდადებულნო ყმაწვილ-კაცნო!) თქვენ, საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით ნებით თუ უნებლიეთ, და საცა ლხინი იყო — უკანასკნელნი!... სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის და რომელთაც გიცნობთ ჯარი და უბრალო ჯარისკაცნი და სხვა არავინ ზედაც არ გიყურებთ ჩვენში! თქვენც, თქვენთა თავდადებულთ ძმათაებრ, ჭირში პირველნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ... თქვენ თავებს იხოცდით, თოფს და ზარბაზანს გულდაგულ ედეგით და თქვენი სახელი და დიდება სხვამ გაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ-გული და ვაჟკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანეთს შეგვყარა. (რასაკვირველია, ამისთანა ბოლო იქნება გულშიაც არა ჰქონდათ მათ, ვინც თავი დასდო ამ ომში, მაგრამ ჩვენ, როგორც ლიტონმა მემატიანემ, უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა.) მიიღო კიდევ ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!.. ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს!..

ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველიფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, — როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, — ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გაიგევით, ქართველობავ! რა გაგვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა სთქვა და ჩვენც ვიტყვით, რომ

ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი წამწყმედელი ყოველის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოველის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება! სწავლა, ცოდნა, მეცნიერება — ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი ეხლა დაუძლურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს..... ..... *) ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თითონ სამოთხეც კი პირველ კაცთა, ადამმა და ევამ. ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდამაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: „მოდით, მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენებთ თქვენ“; ეგ ის ხეა, რომელ-ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოჭროს აკვანი ჩვენის ერთობისა. საქმე იმაშია ეხლა, რა გზით და როგორ?

ხალხის სწავლების და განათლების საქმე ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზედ იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო სასწავლებელთათვის ზრუნავდა მხოლოდ და მარტო მათს, ასე თუ ისე, გავრცელებას ცდილობდა. საშუალო სასწავლებელნი მარტო შემძლებელთათვის არის მისაღწევი, ესე იგი — თავად-აზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის. ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს-აქამომდე მარტო წოდებათა (сословный) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არასფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჭეშმარიტს ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო. მარტო ამ უკანასკნელ დროს — ყველამ,

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რედ.

თუ არა სცნა, ცნობილი მაინც აღიარა, რომ ესეთი განსაკუთრებული მზრუნველობა მარტო ერთის წოდებისათვის დიდი შეცდომაა წინაშე საერთოდ ხალხის განათლების მოთხოვნილებისა; რომ სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა. ამიტომაც, დიდი თუ პატარა, ყველა მოიმართა ამ ბოლოს დროს იმაზედ, რომ სახალხო შკოლები დაიმართოს. აქ, ჩვენდა სანუგეშოდ, იმას შევნიშნავთ, რომ სწავლის გავრცელების და სახსრების მოპოებისათვის თითონ ჩვენმა დაბალმა ხალხმა დიდი თვითმოქმედება გამოიჩინა და არც უმაღლესი საზოგადოება დარჩა უგულმოდგინოდ, როგორც ქვევით ვნახავთ. ამ სახით თაოსნობა სწავლის გავრცელებისათვის ხალხში თითონ ხალხმა იტვირთა. ამაში ჩვენ ვხედავთ მომავლისათვის ბევრს სანუგეშოს. დიდი საქმეა, როცა თითონ ხალხი ცდილობს თავისი-თავი გაიტანოს. დღე-და-დღე გვესმის, რომ ჩვენი ხალხი, ნამეტნავად ტფილისის გუბერნიაში, იღვწის შკოლების დამართვისათვის, ყოველ-დღე ისმის, რომ აქ და აქ გამართეს შკოლაო; დღე-და-დღე ეგ თვითმოქმედება მატულობს და იმატებს კიდეც, თუ ხელს არ შეუშლიან.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ახლად შემოერთებულს საქართველოზედ. იქ, არა მგონია, პირველ ხანებში, თითონ იქაურთა მცხოვრებთა შორის მაგ თვითმოქმედებამ გაიღვიძოს და ან ჩვენმა საკუთარმა გულმოდგინებამ ძალიან ფრთა გაშალოს. რადგანაც იქ სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, არ იქნება რომ ამ გარემოებამ ცოტად თუ ბევრად არ შეაფერხოს შკოლების გავრცელების საქმე. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ვითომ მაჰმადიანობა თითონ თავისით ეწინააღმდეგებოდეს განათლების მიღებას და გავრცელებას; ჩვენ იმისი თქმა გვინდა, რომ რადგანაც დღეს სწავლის ხელთმძღვანელი ჩვენშიაც და იქაც მარტო მთავრობაა, მერე რუსისა, ესე იგი იმ ხალხისა, რომელიც სარწმუნოებით და ენით მათ უნდა ეუცხოებოდეს უსათუოდ, ამის გამო რუსთაგან ყოველგვარს ცდას განათლებისათვის სხვა

თვალით დაუწყებენ ყურებას. შესაძლოა იფიქრონ (განა ცოტა უხეირო და უგვანი ტაშკენტელნი პედაგოგები გვყავს, რომ არ აფიქრებინონ), შესაძლოა-მეთქი აფიქრებინონ, რომ შკოლების მეოხებით ეცდებიანო ჩვენი ზნეობითი და გონებითი მხედველობა შესცვალონო ჩვენის რჯულის არსების შერყევისათვისო. ღმერთმა გვიხსნას ჩვენც და ისინიც იმისთანა შკოლებისაგან, რომელთაც განათლებისა და სწავლის მოფენის გარდა, სხვას რასმე დაუნიშნავენ მისაღწევად და ამ აკვახს ადამიანის გონების და ზნეობის აღზრდისას წაბილწვენ სხვადასხვა ბიწიერ მოსაზრებითა. შორს ჩვენგან ამისთანა შკოლები! შორს ჩვენგან იმისთანა ტაშკენტელნი, რომელნიც არცხვენენ თავის ხალხს სხვის თვალში, და საცა მოქმედობენ — მარტო მტერს უჩენენ თავის ქვეყანას და თავის ერსა.

ამ სახით, ეს ორი სხვადასხვა გარემოება ჩვენის ქართველობისა ორ-გვარს სახსარსაც ითხოვს საქმის წარმატებისათვის. ჩვენში, საცა თვითმოქმედება ხალხისა გაღვიძებულია განათლების გავრცელებისათვის, მთავრობამ, როგორც განათლების ხელთმძღვანელმა, ხელი უნდა შეუწყოს ამ თვითმოქმედებას, წაახალისოს თაოსნობა ხალხისა, ფულით თუ სხვა რაიმე საჭირო ღონისძიებით დაუღალავად და ხანდაუზმელად მიეშველოს, და ამასთან უფრო ფართო და ადვილი გზა მისცეს ხალხის ხალისს და თვითმოქმედებას შკოლების დაარსებისათვის, ესე იგი ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერით არ დააგვიანოს ხოლმე ნების-რთვა. სადაც ეგ თვითმოქმედება არ არის ჯერ გაღვიძებული, იქ კი ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს მთავრობამ თვითმოქმედების გაღვიძებისათვის. იქ თითონ მთავრობამ თავისის ხარჯით, თავისის თაოსნობით უნდა დამართოს შკოლები, და მერე იმისთანა სიფრთხილით, იმისთანა თვალ-გაფაციცებით, იმისთანა წინმხედველობით, რომ არა მიზეზი არ მისცეს კაცს აფიქრებინოს, რომ განათლების და სწავლის მეტი აქ შკოლას სხვა რამე წადილიცა აქვს. ამ მძიმე ტვირთსა შეუმსუბუქებს მთავრობას მარტოდ და მარტოდ ქართველი კაცი. ქართულის ენის მცოდ-

ნე. ამისათვის საჭიროა სახალხო შკოლების დირექტორებად მოწვეულ იყვნენ უსათუოდ ქართულის ენის მცოდნენი, საჭიროა საყოველთაოდ ჩვენთვის, და ახლად შემოერთებულ საქართველოსათვის ხომ აუცილებელია და აუცილებელი.

ამასთან, ეს არ უნდა დაივიწყონ, რომ პირველდაწყებითს სახალხო შკოლას მარტო ერთი წადილი უნდა ჰქონდეს, მარტო ერთი საგანი: მოზარდს თაობას მიანიჭოს ცოდნა იმ პატარა საწყაოთი, რომლის აუვსებლადაც შემდეგი განათლება და განვითარება შეუძლებელია. აი ამაშია სული და გული პირველდაწყებითის შკოლისა. „ამ გზაზედ მას შეუძლიანო, — ამბობს ერთი მწერალი, — ყოველმხრივი განვითარება მისცეს მოზარდსაო, შეუძლიან გაუმაგროს, გაუღონიეროს და გაუხსნას სულიერი და ხორციელი ძალნი მოზარდსაო. თუ ეს ჩემი ნათქვამი მეტად აზვიადებს პირველდაწყებითის შკოლის მნიშვნელობასაო და მეტის-მეტად ეჩვენება ვისმეო, მე იმათ აი რასა ვკითხავო: იცით თუ არაო, რა არის ყრმისათვის, რომ რამდენიმე წელიწადი ზნეობით და გონებით განვითარებულ კაცის ხელში იყოს? იცით რა არის, რომ რამდენიმე წელიწადს გაუწყვეტლად ყრმა ემორჩილებოდეს გონიერს დისციპლინას შკოლისას, საცა გონივრად დადგენილს წესსა და რიგსა წარბშეუხრელად და გულის-ტკივილითაც მუდამ უნდა ამოქმედებდეს შკოლის ოსტატიო? ცხადი არ არის აქედამაო, მით რომ ყრმა შკოლაშია, მით რომ მოზარდი ნერგი მუდამ თვალ-ქვეშა ჰყავს გულშემატკივარს, განვითარებულს, ზნეობიანს ოსტატს და მის წინ როგორც კოკორი იშლება, სულიერად და ხორციელად დღე-და-დღე იმართება, — ნუთუ ცხადი არ არისო, რომ ამით ყრმას ენერგება გულში პატივისცემა სხვისა და საკუთარის თავისა, პატივისცემა კანონიერობისა და სიმართლისა, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, მართებულობისა, რიგიანობისა, პატივისცემა სხვის საკუთრებისა, სიყვარული, ხალისი შრომისა, გაფრთხილებისა, ზოგვისა, სიყვარული ოჯახისა, თვისტომისა, ქვეყანისა“. — ამ-რიგად, პირველდაწყებითს შკოლაშიაც კი შესაძლოა იხეიროს ყოველ იმ მოზარდმა ნერგმა კაცის

ბუნებისამ, რომელიც ერთად გამოიტანს ხოლმე ნაყოფს კაი-კაცობისას, ადამიანობისას. ამ წრის გარეთ შკოლას საერთოდ და სახალხოს საკუთრივ საქმე არა აქვს, და თუ ვინმე ზახაროვისა და კუვშინსკისთანა შკოლას ზურგზედ სხვას რასმე აჰკიდებს, იმას არა სწამს შკოლის უწმინდაესი მადლი, ის უარ-ჰყოფს მის სანატრელს მნიშვნელობას, ის წმინდა საგანს — შკოლას — სახედარადა ხდის და ზედ ჰკიდებს თავის დახშულის გულის ღვარძლსა და ნაგავსა, ის უარ-ჰყოფს ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესს ნებას, გამოცხადებულს 1864 წ. რესკრიპტშია *.

მადლობა ღმერთს, ეს შკოლის მნიშვნელობის წაბილწების და წარყვნის შიში ჩვენში ეხლა არამც თუ შეფერხდა, არამედ სანუგეშო იმედად შეიცვალა. შარშანდელმა კრებამ სასოფლო შკოლების მასწავლებელთა ეს ცხადად დაგვიმტკიცა. ჩვენმა ქართულმა ენამ, აქამომდე შკოლებიდამ გამოდევნილმა **, ისევ ფეხი შესდგა ჩვენს შკოლებში. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ეხლანდელს რედაქციას „დროებისას“ და ნამეტნავად „Тифлисский Вестник“-ს. სიმართლე გვაიძულებს აღვიაროთ, რომ ეგ ღვაწლი მარტო მაგ რედაქციამ დასდო ჩვენის განათლების საქმეს და მასთან ერთად „Тифлисский Вестник“-მა, რომელმაც ამ საგანზედ თვალსაჩინო წერილები დაბეჭდა. ეგ პატარა გაზეთი „დროება“ ეხლანდელ ნაღმის მიმტანს პატარა გემს მაგონებს, რომელიც ეხლახან მოიგონეს და რომელმაც იმდენი ვაი-ვაგლახი და-

---

* მესამე მუხლი ამ რესკრიპტისა ამბობს: „Не позволяя ни себе, ни кому бы то ни было превращать рассадники наук — для достижения политических целей, учебные начальства должны иметь в виду одно лишь бескорыстное служение просвещению“.

** ჩვენ აქამდის არ გვესმის, როგორ და რის ძალით მოხდა ჩვენში ქართულის ენის გამოდევნა შკოლებიდამ. არ გვესმის იმიტომ, რომ ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტი, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, ამ საგანზედ აი რას ბრძანებს: „В школах общих, особенно низших, преподавание должно быть производимо на природном языке большинства населения“. გვეკვირს ჩვენ: ზოგიერთებმა როგორ შესძლეს უმაღლესის ნების შეცვლა ეგრე დაუსჯელად.

აყარა ზორბა ხომალდებს წასულს ომებში. ჩვენა გვგონია, რომ იმ პატარა გემების სამსახურსა ადვილად გაუწევს ჩვენს ქვეყანას ჩვენი პატარა „დროება“, თუ რომ იგი არ მიიკარებს იმ სენს, რომელსაც ჰქვიან სხარტე სახელი — გონების მრუშობა. ღმერთმა დაიხსნას ამ ჭირისაგან ის ტანად მომცრო მოძმე ჩვენი. ესეა თუ არა, „დროებამ“ და „Тифлисский Вестник“-მა კი ნაღმი მიიტანეს და ააფეთქეს ის უგვანი და ზორბა გემი, რომელსაც მმართველად უსხდნენ ტაშკენტელნი პედაგოგები..... *). შარშანდელმა სოფლის შკოლის მასწავლებელთა კრებამ უარ-ჰყო უწინდელი მიმართულება ჩვენის შკოლებისა და აღიარა, რომ ქართული ენა უნდა დაიდვას ქვაკუთხედად ჩვენის განათლებისა. იმ კრებამ კანონად დასდვა, რომ მთელის სწავლის მსვლელობა სასოფლო შკოლებში ქართულს ენაზედ უნდა იყვესო და დააწესა სრული კურსი პირველდაწყებითის სწავლისა. საღმრთო ისტორია, მოკლე კატეხიზმო, არითმეტიკა, გეოგრაფია — ყველა ეს საგნები პირველ წლიდამ დაწყებული ვიდრე მეოთხე წლის გასვლამდე, ესე იგი კურსის შესრულებამდე, უნდა ისწავლებოდეს ქართულს ენაზედ. რუსულს ენასაც კი უნდა ჰქონდესო ადგილი, მაგრამ როგორც ცალკე საგანსა და არა სახსარს, ანუ საშუალებას სწავლისასაო, და ამიტომაც დაადგინეს, რომ მისი სწავლება უნდა იწყებოდეს მხოლოდ მესამე წლიდამ. ესეთი გადაწყვეტილება არის ჭეშმარიტი პედაგოგიური, სრულიად ეთანხმება მცოდნე და გამოჩენილ პედაგოგების აზრსა და მხედველობას ამ საგანზედ და აღუთქვამს ჩვენს სახალხო შკოლას სანატრელს და სანუგეშო მომავალსა. ესეთი გადაწყვეტილება მტკიცე ნიადაგზედაც დგას, რადგანაც ერთის მხრით ცხოვრების მძლავრს ნიადაგზედ და მეცნიერებისაგან აღიარებულს ჭეშმარიტებაზედ არის დამყარებული, და მეორეს მხრით — აღიარებულია აქაურის უმაღლესის მთავრობის მხრითაც. თუმცა ამ გადაწყვეტილებას ზედ არ დაერთვა

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

გონიერი და განვითარებული პროგრამები, მაგრამ ეს იმისთანა ნაკლია, რომლის მოსპობაც ადვილად შეიძლება, ოღონდ ჭეშმარიტი სურვილი იყოს და ჭეშმარიტი გულმტკივნეულობა ხალხის განათლებისადმი მათ შორის, ვინც პირდაპირ უდგანან განათლების საქმეს. საზოგადოდ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამიერიდგან ხალხის განათლების საქმეს ექნება უფრო ნაყოფიერი მსვლელობა.

შინაური მიმოხილვა.

1879 წელი, თებერვალი.

აჭარა და ქობულეთი. — კინტრიშის მაზრა გაჭირვებულია. — შველა ჩვენი ზნეობითი მოვალეობაა.—აჭარელების გადასახლების ხმა.— რათ და რისთვის? — როგორ უნდა მოევლოთ და როგორ მოუარეს.— მთავრობას რით იცნობს ხალხი. — ადმინისტრაცია. — არსებითი ნაკლი ადმინისტრაციისა. — უენობა და სიყრუე. — არ იცნობს და არ იცნობენ. — ცხოვრება, კანონი და შუა ცარიელია. — კანონმდებლობა ოთხ კედელ შუა. — ვნება ამის გამო. — კიდევ ქართული და აჭაური ენები. — ქართული სცენა. — რა არის სცენა საზოგადოდ და რა უნდა იყოს ჩვენთვის საკუთრივ.

ყოველ მხრიდამ ისმის, რომ ჩვენი მოძმენი — აჭარელები და ქობულეთლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც ჯერ-აქამომდე არსაიდამ მოელიან. წარსულმა ომებმა თუმცა ყველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი ყველაზედ მომეტებულად დაისაჯა. ამას ეჭვი არ უნდა: აჭარა და ქობულეთი ომის მოედნად გახადა ბედმა. იქ იდგა ცალკე რუსის ჯარი და ცალკე ოსმალოსი. ჯარების დგომა, ნამეტნავად ერთი-ერთმანეთზედ სამტროდ გალაშქრებულისა, რასაკვირველია კეთილს არ დააყრიდა ხალხს საზოგადოდ და უფრო იმ ხალხს საკუთრივ, რომლის მამულშიაც ჯარები იდგა და რომლის ბედი წინათვე არვინ იცოდა, ვის ჩაუვარდებოდა ხელში. ამიტომაც აშკარაა, არც რუსი გაუფრთხილდებოდა ხალხის სიკეთესა და არც ოსმალო; არც რუსი მოიქცეოდა გულმტკივნეულად და არც

თათარი. „დროების“ № 32-ში კარგა ცხოვლად არის აწერილი გ. წერეთლისაგან ის საცოდაობა, რასაც წარმოადგენდა ქობულეთი ომის დროს და ომის მერმეთაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამც თუ გადამატებულია, რასაც გ. წერეთელი გვაუწყებს, არამედ იმის ნატამალიც არ უნდა იყოს, რაც საცოდაობა აჭარას და ქობულეთს მიადგა ომის გამო. აოხრება ტყეებისა და მინდვრებისა, წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოკება ხალხისა, გარდახვეწა ზარდაცემულთა მცხოვრებთა, აძის გამო წარამარად დაღუპვა ხალხის ქონებისა, რომლის წაღებაც თან არ შეიძლებოდა, უხვნელ-უთესავად დარჩომა, ბოლოს სიკვდილი და სისხლის ღვრა, — ესენი სულ იმისთანა თვისების უბედურობაა, რომელიც დიდხანს გასწევს და დიდხანს იქნება საგრძნობელი, თუ მთავრობა ეხლავე ხელს არ შეუწყობს ხალხსა. არ დააკვირდება მის აწინდელს მდგომარეობას, არ მიეშველება ფულით, თუ სხვა ღონისძიებითა, და თუ დროებით მაინც არ ამოუშვა იმ მოვალეობისაგან, რომელიც ხაზინის ინტერესს შეადგენს. ეს უკანასკნელი მაინც აუცილებელი საჭიროებაა ქობულეთის და აჭარისათვის, თუ მთავრობას ჰსურს დაანახვოს ხალხსა თვისი უკეთესი მხარე, რომლითაც იგი მართლა-და სანატრელია ყოველის კაცისათვის, სახელდობრ — ის მხარე, რომლითაც სახელმწიფო თავის უწმინდაეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შველას ყოველთვის და გაჭირვების დროს ხომ უფრო, მის კეთილდღეობისათვის წადილს, მზრუნველობას და მხურვალე გულდადებას, და ამ შემთხვევაში ზოგვა და ძუნწობა საბოლოოდ საქმის წახდენაა და ღალატი სახელმწიფო საქმისა. ეგ შველა და ხელუხვობა სახელმწიფოსი მით უფრო არის სასარგებლო, რომ თითონ სახელმწიფო არასფერს დაჰკარგავს: ხალხი, ფეხზედ წარმომდგარი, უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი და სულით და ხორცით გათახსირებული; მარტო გულმოგებული და ფეხგამაგრებული ხალხია უშრეტი წყარო სახელმწიფოს სიმდიდრისა და ძალისა. აქ ყოველივე შესაწირავი, ყოველივე სანთელსაკმელი გზას იპოვის,

გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს გარდამეტებით დაუბრუნდება. ჩვენდა სამწუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი მხარე მთავრობისა ფეხადგმული არ არის ჯერ აჭარასა და ქობულეთში, თუმცა მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულშემატკივარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავ. გრიგოლ გურიელი. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიყვანს...

ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურმე საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში. რომ მართლა იგი ყოფა და გაჭირვება საშინელია, მარტო ის ამტკიცებს, რომ თითონ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს იმისი გამოცხადება საქვეყნოდ. ვინ არ იცის, რომ ამისთანა ამბების გამოცხადება მთავრობას ყოველთვის ეძნელება და ემძიმება ხოლმე. სჩანს მართლა დიდი უბედურობა უნდა ტრიალებდეს კინტრიშის მაზრაში, რომ მთავრობა იძულებულ იქმნა ეგ უბედურობა ყველასათვის ეუწყებინა. მთავრობა მიშველებია კიდეც გაჭირვებულს ხალხს, მაგრამაო იგი შველა საკმარისი არ არისო. ჩვენ ეს არ გვესმის! რატომ იმდენად არ მიჰშველებიან, რამოდენადაც საკმარისია? რაო, სახელმწიფოს იმოდენა ღონე აღარა აქვს, თუ სხვა რამ მიზეზია? განა ამისთანა შემთხვევაში, უღონობის გარდა, სხვა რამ მიზეზიც შეიძლება რომ იყოს! უღონობა კიდევ ჰკუაში მოსასვლელი არ არის: სახელმწიფოსათვის ერთის მაზრის შენახვა, თუნდ მთელს წელიწადს, წვეთია ზღვისათვის. ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრნია, რით ავხსნათ ეგ ნამცეცების მიწვდა, როცა ხალხი ერთის მთელის მაზრისა შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი თვის გარეშემო ჯოჯოხეთსა ჰგრძნობს. ან სულ ჰო, ან სულ არა. აქ ორ წყალ-შუა დგომა უადგილოა და ამაზედ მეტიც, თუ სწორეს გვათქმევინებთ...

ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ რაკი მთავრობაა ამისთანაებში მოვალე და ყოვლად-შემძლებელი ღონე, ჩვენ გულ-ხელი დავიკრიფოთ და გულგრილად ვუყუროთ ჩვენის ძმების უბედურებას, გულგრილად და თუნდ ცარიელის გულის-ტკივილითაც შევყუროდეთ, როგორ თრთის და

იკრუნჩხება შიშველი ბავში სიცივისაგან, როგორ უკვდება იგი კალთაში შიმშილისაგან ძუძუგამშრალს დედას, როგორ ტყის ნადირსავით დაძრწის ღონემიხდილი დამშეული მამა, იმედ-დანთქმული, რომ რითიმე მიეშველოს შიმშილისაგან სულთმობრძავს ოჯახსა. გარბის ამ ოჯახიდამ შორს, რომ თავისის თვალით არ დაინახოს გულსაკლავი სურათი კარზედ მოდგომილის სულთამხუთავისა, არ დაინახოს თავისის ცოლის, თავისის შვილის, თავისის ძმის, დის, თვისისა და ტომის სასოწარკვეთილი ყოფა, არ გაიგონოს თავისის ყურით ამაო ძახილი ცოლისა: „კაცო, გვიშველე, ვიხოცებით“, საცოდავი კნავილი ბავშისა: „მამავ, პური, მამავ, პური“... გარბის თითონაც დამწვარი და დადაგული შიმშილისაგან, გარბის შორს, შორს... გარბის და ჰგრძნობს, რომ სამუდამოდ ეცლება ხელიდამ ყოველივე ის, რისთვისაც სცხოვრობდა, რისთვისაც სულდგმულობდა, რისთვისაც იღვწოდა, ყოველივე ის, რაც მისთვის ყველაზე უძვირფასესია... ჰგრძნობს და გულს უბზარავს მწვავი ტკივილი სასოწარკვეთილებისა, უიმედობისა და უღონობისა. ან არა და დგას ამ საშინელის სურათის წინ — უღონო, უილაჯო, თვალებ-ჩაცვივნული, ნაწლებ-ამომწვარი შიმშილისაგან, დგას და უყურებს, რომ თვალ-წინ უკვდება ცოლი, უკვდება შვილი, უყურებს და იწვის, იდაგვის, რომ არსაიდამ ხსნა არ არის, არსაიდამ შველა, და თუ რამ ნუგეში აქვს, ეგ ის ნუგეშია, რომ მეც შიმშილი დღესა თუ ხვალე ამომხდის დაუძლურებულს სულსო და ჩემს ცოლ-შვილს საიქიოს შევეყრებიო... იცით მერე ამისთანა ყოფა რა ტანჯვაა, ნამეტნავად მაშინ, როცა ხედავ, რომ გარშამო მთელი მაზრა, ათას-ათასი ღვთის-კერძო ადამიანი წივის, კივის: „გვიშველეთ, შიშვლები, მშივრები ვიხოცებითო!“ ეგ მთელი ჯოჯოხეთია, მთელი!...

აბა ახლა წარმოიდგინეთ ეს ჯოჯოხეთი რამოდენად გაძლიერებული უნდა იყოს იმ კაცის გულში, რომელიც მაგ ყოფაშია ჩავარდნილი და გვერდთ ხედავს თავის ძმას, რომელსაც შველა ცოტად თუ ბევრად შეუძლიან და არ შველის. ჭართველობავ, ნუ იქ მაგ სამარცხვინო საქმეს... ხელი გაუ-

წოდე შენს ძმებსა და დებსა, რომელნიც დღემდინ შენთვის დაკარგულნი იყვნენ და რომელნიც დღეს შენთანვე მოვიდნენ! შევეწივნეთ, რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმლით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასაგან საზოგადოდ კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე. შევეწიოთ და ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ კაცთმოყვარეობა ჩვენი თვისებაც არის, ვაჩვენოთ, რომ ძმათა სიყვარული ჩვენშიაც ისე ყოვლად-შემძლებელია, როგორც სხვაგან, ვაჩვენოთ, რომ ჭირში ჩვენც ვიცით დახმარება, ვაჩვენოთ, რომ ძმობა, ერთურთობა, ერთმანეთის შველა და გატანა უქმი სიტყვა არ არის ქართველობისათვის!.. აქ უკან დახევა სირცხვილია ყველასათვის და ჩვენთვის ხომ სირცხვილზედ მეტიც... ჩვენ გაჭირვებულების ძმები ვართ, ძმები!.. ეს არასდროს და არას შემთხვევაში არ უნდა დაივიწყოს ქართველობამ... ამ ძმობაში გამოიკვანძა ჩვენი ბედი, ამ ძმობამ ჩვენის ბედნიერების კვირტი უნდა გამოიტანოს. ქართველობავ, ჩვენი უწმინდაესი ვალია, უნდა მივეშველნეთ!.. ღარიბნი ვართო, ვიძახით, მაგრამ ქვეყანაზედ მარტო ღარიბმა იცის — რა არის შველა, რა არის ძმობა გაჭირვებაში.

ამიტომაც უფრო იმედი გვაქვს, რომ ყოველსფერში გულუხვი ქართველი, ქველის საქმეში უფრო გულუხვობას გასწევს და არ დაიზარებს გაჭირვებულ ძმათათვის შესაწირავს. რედაქციები „ივერიისა“ და „დროებისა“ ყოველ-დღე ჰზად არიან მაგ შესაწირავის მისაღებად. ჩვენ ვურჩევთ, რომ შემწირველთა უფრო „დროების“ რედაქციას მიჰმართონ, რადგანაც „დროება“ ყოველ-დღე გამოდის და ამის გამო მას შეეძლება ყოველ-დღე აუწყოს საზოგადოებას შეწირულის ფულის ანგარიში და ამასთანავე შემწირველთა სახელებიცა.

აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ახლად შემოერთებულს ძმებსა! ეხლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო!“ ეხლა გამოჩნდება, ეს ან-

დერძი შენთვის ცარიელი სიტყვაა, თუ სავსე საქმეა!.. ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისათვისაც სწუხ და ჰფიქრობ!..

ყოველივე ეს უბედურობა, რომელიც თავს დასცემია აჭარა-ქობულეთს და მისი უნუგეშოდ ყოფნა — დიდს განსაცდელში ჰყრის ახლად შემოერთებულ ქვეყნის მცხოვრებელთა. რუსულ გაზეთ „Голос"-ში ღაბეჭდილი იყო კორესპონდენცია და მერე სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდილი, რომ აჭარელები აყრას ჰფიქრობენ და ოსმალეთში გადასახლებასაო. ამის მიზეზი იცის, როგორც ეტყობა, კორესპონდენტმა, მაგრამ გამჭრავნება მისი „შემთხვევისა გამო სხვისა და ამისა" ვერ მოუხერხებია. რუსული გაზეთები კი ამბობენ, რომ ხალხის აყრა და ჩვენიდამ გადასახლება ოსმალეთში ასეთი მძიმე და ღირსშესანიშნავი ამბავია, რომ აქ დამალვა ნამდვილის მიზეზისა ცოდვა არისო და დიდი დანაშაულიო სახელმწიფოს წინაშეო. ჩვენც ამ აზრისა ვართ, მაგრამ რას იქ?

. . . . . *) თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, საკვირველი რამ იქნება, თუ შენც იტყვი, მკითხველო! ხალხი რათ უნდა მიიზიდებოდეს ოსმალეთში.....*) მერე როგორ? თავისს მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, — სულ ყველაფერზედ ხელს უნდა იღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, გაგონილა!.. საკვირველი ამბავია!.. ნუთუ, რაც უნდა იყოს, რუსეთის ხელში ყოფნა არ უნდა ერჩივნოს, ვიდრე ოსმალეთის ხელში? ნუთუ ხალხი სტოვებს ყველაფერს, რაც კი მისთვის ძვირფასია, სტოვებს — ვიმეორებთ — მამულს, დედულს, სახლ-კარს, ადგილს, საცა დაიბადა, საცა გაიზარდა, საცა უმარხია დედა, მამა, ძმა, — და მიდის სად? ოსმალეთში . . . . ? . . . *) რაო, რა ამბავია? მოჩვენებაა შეშინებულის გონებისა, თუ მართლა მართალი ამბავია! . . . . . .

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

. . . . . *) რათ მირბის ხალხი, მერე როგორ მირბის? ვიმეორებთ — სულ ყველაფერს სტოვებს, რისთვისაც კაცი თავს იკლავს ხოლმე მთელი თავის დღენი, რისთვისაც ზრუნავს დაბადების დღიდგანვე, რისთვისაც იღვწის და ამ წუთისოფლის ტანჯვას ითმენს, რაც უყვარს, რასაც შესტრფის, რასაც შეჰხარის, რასაც დღესასწაულობს, — დიაღ სტოვებს და ძიდის სად? . . . . . *) ოსმალეთში!..

ეს რა ამბავია, რა ამბავია!.. ადამიანი კიდევ ადამიანია ქვეყანაზედ, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდთ ადამიანს ველარ იყენებს, ველარ იშვნევს, ველარ ითვისებს! ხალხი თავის ათას-წლობით დამკვიდრებულ ბინიდამ იშლება და მიდისო... ეს დაუჯერებელი, ტვინის შემარყევი ამბავი მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ხალხს ეტყვიან, ან აქ სიკვდილი, ან იქ სიცოცხლეო. სხვა არა მიზეზს არ შეუძლიან ხალხს ასე თავი გამოამეტებინოს, ასე ხელი ააღებინოს თავის ბინაზედ, თავის მამულზედ, თავის დედულზედ და გარდახვეწოს ვინ იცის საით... რამ მიიყვანა საქმე აქამდის, ამ განწირულებამდე, ამ სასოწარკვეთილებამდე? რამ და იმანაო, ამბობენ ყველგან, რომ ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. რაოდენიმე კაცის გარდა, ასეთები არიან თურმე დანარჩენები, რომ როცა იმათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალხზედ დგება. ამათ შორის, საცა გამოგდებული სამსახურიდამ კაცი იყო თურმე, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს...

ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რედ.

ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეეძახვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის, მარტო სიყვარულით გაძლიერებულს ხალხით შეიძლება იმისთანა სასწაულები მოახდინოს სახელმწიფომ, რომლის მაგალითები ბევრია ისტორიაში და რომელიც დღესაც გვიკვირს და გვაოცებს. საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთიც ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია...

უმაღლესი სფერა მთავრობისა საზოგადოდ. . . . . *)

მეტად მიუწვდომელია ხალხის თვალისათვის. ისე შორსა სდგას იგი ხალხზედ, ისე იშვიათად დაენახვება ხოლმე ხალხის თვალს, რომ ძნელად თუ ხალხი მას პირისპირ გაიცნობს, და თუნდ ძალიან კარგიც იყოს, მისი სიკარგე, მინამ ხალხამდე ჩავა, მრავალ ხელში გაივლის ხოლმე და ამის გამო ვინ იცის რა სახით ეჩვენება. თითონ ხალხიც საზოგადოდ, და დაბალი საკუთრივ, ისე მომწყვდეულია თავის ვიწრო ავ-კარგიანობაში, მისი ყოველდღიური საჭიროება ზედ-გამობმულია ისეთს წვრილმანს საგანზედ, რომ ძნელად თუ მიეცემა მიზეზი პირისპირ შეხვდეს მთავრობას და მით იხელთოს შემთხვევა მისი ავ-კარგიანობა აწყოს. ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის სდგას ხოლმე მთელი რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხე-

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია აბზილი.

ლეებით იცნობს, რადგანაც იგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი, იგინი განაგებენ ყოველ-დღეს მის ავსა და კარგსა და ყოველ-დღე თვალ-წინ ტრიალებენ. უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა და იმდენად დაფრთხეს, რომ მამა-პაპეული ბინაც მოიშალოს და ცხრა მთას იქით გადავარდეს, ოღონდ თავი ცოცხალი დააღწიოს. ამიტომაც კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისევაა, თავზარია ხალხისათვის. ამის შემდეგ ნუღარ ჰკვირობთ, რომ დღეს, მეცხრამეტე საუკუნეში, რამოდენიმე მაგალითი ვნახეთ ხალხის მამა-პაპეულ ბინიდამ აყრისა და გარდახვეწისა... დეე, ამაზედ ჩვენს შემდეგი ისტორიკოსი განცვიფრდეს, ჩვენ კი ეს გულის-ტკივილით შევნიშნოთ და შევიტანოთ ჩვენს მატიანეში...

ზევითა ვსთქვით, რომ ხალხის მახლობელნი მოხელენი პირველსახენი არიან უმაღლესის მთავრობისა, იგინი არიან მაგ მთავრობის წადილისა და მიმართულების გამომთქმელნი. აქედამ ცხადია, რამოდენად გულით და ჭკუით განვითარებულნი უნდა იყვნენ ის მოხელენი, რომ მათაც,—როგორც ერთგვარ ძალთა სახელმწიფო წყობისათა, — გააგნებინონ ხალხს გზა საზოგადო ცხოვრებისა, თვალი აუხილონ იმ საგანზედ, რომელიც ყოველს წყობას ადამიანისას მისაღწევად დანიშნული უნდა ჰქონდეს საყოველთაო საკეთილოდ; მათ უნდა ამცნონ ის საყოველთაო საკეთილო საგანი, რომლისაკენაც უნდა მიიზიდებოდეს ყოვლის ძალითა და ღონით ყოველივე სახელმწიფო, თუ მართლა სახელმწიფოა საქმით და არა მარტო სახელითა. ამ მხრით, მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო დარაჯი კი არ არის, არამედ მწვრთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე. **უნდა იყოს-მეთქი**, და არის თუ არა, — ეგ ღმერთმა იცის. . . . . .

. . . . .
. . . . . .*)

ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანო ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უჭირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა, რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც. ხალხის სამართლის გამძღოლს, ხალხის სიმართლის აღმადგენელს და დამდგენელს რომ კაცმა ენა მოსჭრას და ყური დაუხშოს, — რაღას უნდა გამოელოდეთ მისგან კარგს და კეთილს, თუნდა სხვაში ყოველფერში ციდამ ჩამოსულიც იყოს. მოსამართლეს რომ თავის ყურით არ ესმოდეს მოჩივარის საჩივარი და გულის-ტკივილი, რა მოსამართლეა? მოსამართლემ რომ თავის ყურით არ მოისმინოს მოწმის ჩვენება, საცა ხშირად ერთი სიტყვა, ასე თუ ისე გამოთქმული, უფრო დიდის და ცხოველის ნათელით მოჰფენს ყოველს საქმის გარემოებას, ვიდრე მთელი ლაქლაქი უვიცისა და ბრიყვის მთარგმნელისა, — ის რა მოსამართლეა? მოხელე, რომელსაც მე ჩემსას ვერას გავაგებინებ და ის თავისას, — ის რა ჩემი მომვლელია? აქ მარტო სახეა და არა სული და ხორცი. ამ უენობას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად სრულიად უცხო კაცია მოსამართლედ თუ მოხელედ, სრულიად უცნობი ჩვენის ჩვეულებისა, ჩვენის მიდრეკილებისა, ზნეობისა, ჭირისა თუ ლხინისა, და მაშინ ცხადი იქნება, რათ მიაჩნია ხალხს ჭირად, როცა საქმე ან სამოხელოდ, ან სასამართლოდ გაუხდება

* აქ ცეხურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ხოლმე. მაშინ ცხადი იქნება, რათ იმდურება ხალხი და რათ არის კანონზედაც და მმართველობაზედაც გულდაწყვეტილი და გულაყრილი. შორს რათ მივალთ! აი, ცხენების ჩუქება ავიღოთ თუნდა მაგალითად. ჩუქება ხომ კეთილი საქმეა, მაგრამ აქაც კი ხალხი დაფრთხა, ნამეტნავად, საცა მაზრის უფროსად უენო კაცი იჯდა, დაფრთხა, არ მიეკარა ცხენებს, რადგანაც ეს მთავრობის წყალობა სულ სხვაფრად დაანახვეს ხალხსა, — კაცი არ იყო, კაცი, რომ ხალხისათვის წყალობა წყალობად გამოესახა და პირდაპირ აეხსნა მთავრობის განზრახვა. რამდენი ბოროტმოქმედება მოჰყვა ამ განზრახვით კეთილს საქმეს, მკითხველმა ზოგი იცის ჩვენებურ გაზეთებიდამ და ზოგი კი დავიწყებას მიეცა, როგორც სხვა რამ მრავალი.

როცა მოხელეები იმ ჯურიდამ ამორჩეულნი არიან, რომელიც სრულიად უცნობია ხალხისა, მისის ცხოვრებისა, სრულიად უცოდინარი ენისა, — ამას აუცილებლად ის მოსდევს, რომ მათ ხალხისა არა გაეგებათ რა და ხალხს კიდევ მათი. არიან ესე, ხშირად ერთი აღმა მიდის და მეორე წაღმა, უყურებენ ერთმანეთს და ჰკვირობენ, ან მე რად უნდივარ ამასაო, ან მე იგი რად მინდაო, ის ჩემთვის მუნჯი და ყრუიაო, მე — იმისათვისაო; და თუ მოხელე კაი კაცია, მარტო იმას ფიქრობს, რომ არა ვავნო რა ხალხსაო, და ხალხი კიდევ იმოდენად არის ხოლმე მადლობელი მოხელისა, რამოდენადაც იგი უფრო ნაკლებ მავნებელია. ამისთანა ყოფაში სხვა საწყაოთი მიდგომა შეუძლებელია: მმართველობას სიკეთის უპირატესი ღონე ჩამორთმეული აქვს, სახელდობრ ენა და ყური. ანდრეევსკის ქალის საქმემ აშკარად გამოჰფინა საქვეყნოდ ის სასაცილობა, რომელიც მოსდევს ხოლმე ენის არცოდნას.

ამას გარდა, ამ ყრუ-მუნჯობას ერთი დიდი ვნებაც სხვა დაჰყვება ხოლმე: ხალხის ცხოვრებას არც პატივი აქვს და არც ზედ-მოქმედება არასფერზედ. მრავალ-სახისა და მრავალ-გვარი საჭიროება ხალხისა, რაც მის ყოველდღიურ ცხოვრების დენაში აღმოჩნდება ხოლმე, და აქედამ წარმომდგარი ვითარება, რომელიც ზოგჯერ კანონმდებლობის ღვაწლსა

თხოულობს და რომელიც ყოველთვის საჭიროებს ყურადღებით გასინჯვას და გულმტკივნეულს შეწყნარებას, — რჩებიან არამც თუ უყურადღებოდ, არამედ იქავე სულსა ლევენ, საცა იბადებიან, რადგანაც მთავრობის აგენტი ყრუა და მუნჯი უენობის გამო. სულს ლევენ-მეთქი და ამით გულსა სწყვეტენ ხალხსაც, და თითონ მთავრობასაც ხელიდამ აცლიან იმ ძვირფასს მასალას, რომელზედაც დამყარებული უნდა იყოს ყოველივე მისი განკარგულება და კანონმდებლობა. ამიტომაც ჩვენში კანონი თუ იბადება, ოთხ კედელ შუა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის, ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის, ზემოდამ დაჰფარფარებს აჭრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ, ჩვენი მოხელეები. ხალხი მათ ერიდება და ხალხს ისინი ერიდებიან.

ამისი წამალი — თითონ ტკივილიდამა სჩანს. აშკარაა, რომ მოხელეთა ამორჩევაში, განათლებისა და ზნეობით აღმატებულობის გარდა, ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად; ეს არის უპირველესი ღონე მოხელისა, რომ მართალი და ჭეშმარიტი სამსახური გაუწიოს სახელმწიფოსაც და საზოგადოებასაც. ეს კარგად იციან ევროპიელებმა, რომელთაც კანონად მიღებული აქვთ, რომ თუ ენა არ იცის, კაცს ფეხსაც არ შეადგმევინებენ იმ ხალხში, საცა მოხელეობას ჰნდომობს. ასე მოქმედობს, მაგალითებრ, ინგლისი — შესახებ ინდოეთისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. აქ არამც თუ მოხელისაგან თხოულობენ, რომ აქაური ენები იცოდნენ, არამედ თითონ აქაურებისათვისაც კი ამოაკვეთინეს ფეხი აქაურს ენებს აქაურის სასწავლებლებიდამ. იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენის ხალხის მასწავლებელნი, მაგალითებრ — სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდამაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა. ქართ-

ველებსაც კი გზა არა გვაქვს ჩვენი ენა შევისწავლოთ, თორემ სხვას ვინა ჩივის. მთავრობა, რასაკვირველია, მიაქცევს ყურადღებას ამ დიდს ნაკლს და ეცდება იგი ნაკლი თავიდამ მოაშოროს აქაურს მმართველობას და ყოველს მოხელეს მოსთხოვს იმ ხალხის ენის ცოდნას, რომელთ შორის სამსახურს ჰნდომობს. ამისათვის საჭიროა ხელახლად შესაფერი ადგილი მიენიჭოს აქაურს სასწავლებლებში აქაურს ენებს. რასაკვირველია, ამ წამალს იმოდენა მნიშვნელობას არ ვაძლევთ, რომ ამითი ყველა ტკივილი მორჩეს, აქ ბევრი სხვა ტკივილიც არის, რომელიც სულ სხვა მიზეზით წარმოდგება და რომელსაც სხვა წამალი უნდა... ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს ეგეც დიდი ფეხის წინ წადგმა იქნება, თუ მთავრობას ჰსურს ხალხისა შეიტყოს რამე და ხალხს კიდევ თავისი აცოდინოს.

* *

ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთ-წოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდამ აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთ-წოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით. ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართულის სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის. გადაგვავიწყდა ყოველივე, რაც ენის შვენებას შეადგენს, რადგანაც ჩვენი აზრი ჩვენის ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება. ამისთანა სავალალო და სამარცხვინო მდგომარეობაში ქართული სამუდამო სცენა სწორედ ცის ნამია დამჭკნარის ყვავილისათვის. უფ. არწრუნმა ამ ბოლოს დროს თავის დიდს ქარვასლაში გამართა კერძო თეატრი. ამ შემთხვევამ ფრთა შეასხა იმ დიდის ხნის სურვილს, რომ სამუდამო სომხური და ქართული სცენა გაიმართოს. აქაური სომხები დიდის გულმოდგინებით მოეკიდნენ სომხურის სცენის საქმეს და ამბობენ,

პირველ გასაწყობად ათასი თუმანი ფული მოაგროვესო და კიდევაც აგროვებენო. არც ქართველობამ დაიკრიფა გულზედ ხელი. ქართველობის მოყვარენიც ამასავე ცდილობენ და არ ვიცით, რა მადლობა უნდა გადუხადოს ქართველობამ იმ კაცთ, რომელთ მეოხებითაც ამ ბოლოს დროს ჩვენში გაძლიერდა სამუდამო ქართულის სცენის დადგენის სურვილი და ფეხი აიდგა კიდეც, რომ სისრულეში მოვიდეს. ერთმა კიდევ ქართველმა იმოდენა გულის სიკეთე და ჩვენი სიყვარული გამოიჩინა, რომ სამასი თუმანი შესწირა მაგ საქმეს, „დროების“ სიტყვით. იმედია, რომ ამაზედ არ გაჩერდება ქართული გულუხვობა და სხვაც ბევრი შეძლებისამებრ გამოიმეტებს შესაწირავსა ამ მეტად სანატრელ და საკეთილო საქმისათვის. დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის, თუ იგი ეხლანდელ გულგარყვნილობის მოედნად არ გავხადეთ და რაღაც სალახანური „მშვენიერი ელენები“ არ ვავარჯიშეთ. დიდი რამ არის-მეთქი სცენა: ძლივს ერთი საჯარო ადგილი მაინც გვექნება, საცა ჩვენის ენით ვილხენთ, ჩვენის ენით ვინაღვლებთ, ჩვენის ენის მოწყალებით გავიტარებთ თვალ-წინ ჩვენს ცხოვრებასა მთელის მისის ჭკუისა და გულის მონაგარითა.

ამას გარდა, სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდელი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროსგასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს. ეს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენ, ქართველებმა,

რაკი ის კეთილი აზრი მოგვსვლია, რომ ჩვენი საკუთარი სცენა ვიქონიოთ. ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლსა ვსთხოვთ. პირველი — რომ მართლა განწმენდილი იყოს ჩვენის ცხოვრებისა, ჩვენის ჰკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა. დღეს ჩვენს მდგომარეობაში სცენის მეტი სხვა ისეთი· სახსარი არა აქვს რა ჩვენს ხალხს, რომ გონება, გული გაიხსნას და ენაც ავარჯიშოს საჯაროდ, საქვეყნოდ. ამიტომაც საჭიროა ჩვენში სცენას იმისთანა გონებაგახსნილი ზედამხედველობა ჰქონდეს ვისგანმე, რომ ამ ორს სანატრელს საქმეს სცენა არ გადუდგეს და არ გახდეს „მშკენიერის ელენების“ სამარცხვინო სასალახნო ასპარეზად. ამბობენ, ამ საქმეში მეთაურობას ჰკისრულობსო ჩვენი — ყოველ კეთილ საქმეში დაუღალავი მოღვაწე — დ. ი. ყიფიანი. ჩვენის ფიქრით, უკეთესს კაცს ვერ ჩააბარებდნენ ამ დიდს და მძიმე საქმეს, როგორც ქართული სცენაა. მან ძალიან კარგად იცის, რა ძვირფასი რამ არის ხალხისათვის სცენა, როცა იგი იმ ორს ზემოაღნიშნულს საგანს ემსახურება. თითონ იმ თხზულებათა აღმორჩევა რომელთაც დ. ი. ყიფიანი სთარგმნის ხოლმე, ცხადად გვიმტკიცებს, რომ მას სცენა მიაჩნია იმ დიდ შკოლად, საცა ოსტატად მოწვეულნი უნდა იყვნენ იმისთანა სახელოვანნი კაცნი, როგორც შექსპირი და მოლიერი და სხვა მრავალი მათი მომდევარი გამოჩენილი მწერალი. იმედია, რომ დ. ი. ყიფიანის ხელში სცენა თავის-დღეში ისე არ დამდაბლდება, რომ იგი შეიქმნეს გულისა და ენის გამრყვნელად. ღმერთმა ჰქმნას, რომ რამოდენადაც დ. ი. ყიფიანი გულმოდგინედ და გულმხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს, იმოდენად ჩვენც შემწეობა და გულის-ტკივილი ამოვუჩინოთ, და მაშინ ჩვენის სცენის საქმე მკვიდრს საფუძველზედ იქმნება დამყარებული, ჩვენდა სანუგეშოდ და სასიხარულოდ.

III

შინაური მიმოხილვა.

1879 წელი, აპრილი.

ნუთუ ახალმა ნიავმა დაჰბერა ჩვენს ცხოვრებას? — ახალი საზოგადოება წერა-კითხვის გავრცელებისათვის საქართველოში და მისი მომავალი ღვაწლი ჩვენის ცხოვრებისათვის. — რა ურთიერთობა სუფევს ამ საზოგადოებისა და შარშან დაარსებულის შორის („შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის")? — ორიოდე სიტყვა ბანკის თაობაზედ. — ქართული თეატრი. — თავად-აზნაურთა კრება.

ჩვენმა საზოგადოებამ, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი საბელი დაიმკვიდრა შესახებ თაოსნობისა, გამჭრიახობისა, თვითმოქმედობისა და სხვა. გრძნობით-კი კარგადა გრძნობდა თავის ვაი-ვაგლახს და ყოველის მხრით გაჭირვებულს ცხოვრებას, მაგრამ შვებით კი თითქმის თითსაც არ გაანძრევდა ხოლმე, რომ რაიმე ცოტად თუ ბევრად მტკიცე საშუალება გამოენახა თავის დასახსნელად. იყო ისე, ყურმოჭრილი მონა გარემოებისა, და თითქო ფიქრობდა: როგორც ეს გარემოება მომევლინა ფათერაკად, იქნება შვებაც ამგვარადვე მომევლინოსო. ამისდა გვარად, ჩვენი საზოგადოება, იქნება, არც კი იყოს გასამტყუნარი ამაში: თაოსნობა, გამჭრიახობა, თვითმოქმედობა, — ყველა ამგვარი თავის აღმოსაცენად და განსავითარებლად მოითხოვს ნიადაგს არა იმისთანას, სადაც ფართო გზა და მსვლელობა უპყრია ფათერაკობას... იქნება არ იყოს-მეთქი მტყუანი, და არც იმიტომ მოვყევით ამაზედ ლაპარაკს, რომ გამოვძებნოთ, ვინ არის მტყუანი და ვინ არის

მართალი. ეს კი უეჭველია: გადიოდა ხანი და თითქმის არავითარი შვება არსაიდან არ მოჩანდა. ამასობაში მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ რაც კი რამ ხალისი და თაოსნობა ჰქონდა შერჩენილი ჩვენს საზოგადოებას, ისიც უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ, ამ ბოლო დროს ჩვენმა საზოგადოებამ თითქო ფერი იცვალა და ჩვენს ცხოვრებას თითქო ახალმა ნიავმა დაჰკრა; საზოგადოება თითქო შეკრთა, თითქო დაიძახა — „როდემდე და სადამდეო“, ხელები გაანძრია, წელში გაიმართა და თითონვე განიზრახა თავის-თავისათვის შველა. ჯერ-ჯერობით მიჰყო ხელი სწავლა-განათლების საქმეს. ამისთვის დააარსა ჯერ ერთი საზოგადოება, რომელმაც გახსნა ესრეთ-წოდებული „მოსამზადებელი შკოლა“, მერე კიდევ სხვა საზოგადოება, რომელსაც საგნად აქვს წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელება საქართველოში. პირველ საზოგადოებაზედ საკმაოდ იყო ნათქვამი „ივერიაში“ და მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ არის. ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ახალს საზოგადოებაზედ, რომლის პროგრამა იმდენად ვრცელია და იმდენად შორსა სწვდება, რომ ფრიად დიდს ღვაწლს გვიქადის მომავალში და იმიტომაც ღირსია ყურადღებისა.

ეს საზოგადოება თავის დანიშნულობის აღსასრულებლად მოჰკიდებს ხელს არა მარტო სასოფლო შკოლების გამართვას, არამედ დააარსებს აგრეთვე სახალხო სამწიგნობროებს, მასწავლებლებს გამოზრდის ან თავისგანვე დაფუძნებულს სასწავლებლებში, ან სხვაგან თავისის ხარჯით; გამართავს ლექციებს ხალხისათვის სხვადასხვა ადგილას და სხვ.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს საქმე საუცხოო საქმეა და თუ ამ საზოგადოების წევრთ ქართველურად მალე გული არ აუცრუვდათ, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ.

არა ხალხში, რომელიც კი განათლებულებში ჩაითვლება, წერა-კითხვა ისე ნაკლებად არ არის გავრცელებული, როგორც ჩვენსაში. უწინდელს დროს, როდესაც მამაკაცები სულ ომში ტრიალებდნენ და წიგნის კითხვისათვის არა სცალოდათ, დედაკაცები მაინც არ ანებებდნენ ამ საქმეს თავსა, მიიბარებ-

დნენ შეგირდებს და ამ-რიგად ქართულს მწიგნობრობას ძირიანად ამოვარდნას უშლიდნენ.

ეხლანდელს დროში დედაკაცები ისე-რიგად აღარ ეწყობიან წიგნის კითხვას და მამაკაცებს კი ჯერ გულდადებით არ მოუკიდნიათ ამ საქმისათვის ხელი. მართალია, ჩვენს სოფლებში ათასში ერთგან ამ უკანასკნელს ხანს შკოლები გაიხსნა, მაგრამ ისე კანტი-კუნტად, რომ ერთს შკოლიანს სოფელზედ ათი მეტი უშკოლო მოდის.

ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას დიდი შეძლება არა აქვს რა: საზოგადოების შემდგენელთ წევრთ, რიცხვით ჯერ ას-ოც და-ექვსია, შეაქვთ ყოველ წელიწადს არა ნაკლებ ოცის მანეთისა; ამას გარდა საზოგადოება მოელის სხვადასხვა შემოწირულს ფულს პატივსაცემთ წევრთაგან და აგრეთვე ნამდვილთ წევრთაგან, რომელთაც ყოველწლივ უნდა შემოიტანონ არა ნაკლებ ექვსის მანეთისა.

ყველა ეს შემოსავალი დიდს ფულს არ შეადგენს, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ეს საქმე ჯერ ახლად ფეხადგმულს ბავშსა ჰგავს და ახლად ფეხადგმულს ვინ მოსთხოვს ვაჟკაცისავით სწორე სიარულს!

წრეულობით ამ საზოგადოებამ ხუთი შკოლაც რომ გახსნას, ისიც დიდი საქმე იქნება. რასაკვირველია, ეს დიდ საქმედ კი არა, მცირე საქმედაც არ ეჩვენებათ იმ პირთ, რომელნიც ყოველს საზოგადო საქმეს თვალებ-ახვეულსავით უცქერიან და იძახიან, რომ წერა-კითხვის გავრცელება ხალხს სარგებლობას არას მოუტანსო, ხალხს ჯერ კუჭი უნდა გავუძღოთ და მერე წიგნი ვასწავლოთო, ჩვენ გვინახავს სოფლებში ბევრი წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც უცოდინარებზედ უფრო უსინდისო და გაფლიდებულნი არიანო. ამ ვაჟბატონებს სალაპარაკოდ ენა კი ექავებათ და რას ამბობენ და რას არა, იმისი კი არა გაეგებათ რა. იმათ ეს არ ესმით, რომ ერთი და ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცი რომ გამოერევა სოფელში, იმას თავისი თავი ცხვრებში გარეული მგელი ეგონება და უსინდისოდ გამოიყენებს თავის სწავლას; მაგრამ ერთისა და ორის მაგივრად მთელს სოფელს რომ ეცოდინება წერა-კითხვა, მაშინ იმათ

ისე არავინ აპაშპაშებს. გარდა ამისა, ხალხის სიღარიბიდამ გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ რა. ვინც კი იძახის, ხალხს ჯერ კუჭი გავუძღოთ და მერე ვისწავლოთო, იმაზედ არ ჩაფიქრებულა, რომ გლეხკაცმა რაც უნდა სიმდიდრე შეიმატოს, თუ პატარა უკეთესს ცხოვრებას არ შეეჩვია და ქვეყნიერობისა არა გაიგო-რა, ისევ-ისე ბინძურად და უხეიროდ იცხოვრებს, როგორც სიღარიბეში უცხოვრია. ჩვენ გვინახავს ბევრი გლეხკაცი, რომელსაც ათას თუმნამდინ შეძლება აქვს, მაგრამ ისეთს მიწურს სახლშივე დგას, ისევ-ისე გვერდით უბია თავის საქონელი და იმისგან გამოსუნთქულს ჰაერსა სუნთქავს, როგორც ყოვლად უქონელი ღატაკი გლეხი. ერთის სიტყვით, თუ ჩვენის ხალხის ბედნიერება გვინდა, უნდა ვეცადოთ, რომ იმისი მდგომარეობა გავაუმჯობესოთ: სწავლაც შევძინოთ და უკეთესის ცხოვრების ღონეც მივსცეთ. ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ვინც ამას უარყოფს, ან სრულებით ბნელში უნდა დადიოდეს, ან სინათლეს თვალებახვეული უცქეროდეს.

ვიმეორებთ: ჩვენ სწავლა გვჭირვება, და რადგან სახალხო შკოლები სწავლის პირველს საფეხურს შეადგენენ, მხიარულებით უნდა მივეგებოთ ყოველს საზოგადოებას, რომელსაც კი სახალხო შკოლების გამრავლება განუზრახავს.

წინდაწინვე ვთქვით, რომ ამ უკანასკნელს ხანს შკოლები ჩვენს სოფელში კანტი-კუნტად იხსნებიანო. ეს უფრო იძისთანა სოფლებში ხდება, რომლებშიაც სამას-ოთხას მცხოვრებზედ მეტია. ამოდენა სოფლებში გლეხკაცებს არ უჭირდებათ წელიწადში სამი-ოთხი მანეთის გამოღება მასწავლებლისა და შკოლის შესანახავად. მაგრამ საქართველოს ზოგიერთ ნაწილებში დიდი სოფლები ძალიან ძვირად შეხვდება კაცსა. ზოგან ხალხი ხეობებში სცხოვრობს და სამი-ოთხი სოფლის მცხოვრებნი ერთად სულ ასს კომლს ვერ შეადგენენ. ცხადია, რომ თუ ამ სოფლებში მცხოვრებნი ძალიან შეძლებულნი არ არიან, სამმა-ოთხმა სოფელმაც რომ ერთად მოიყაროს თავი — მაინც შკოლის გაკეთება და მასწავლებლის შენახვა გაუძნელდებათ.

აი ამ-გვარს ხეობებში და სხვა პატარ-პატარა სოფლებში შკოლების გამართვას უნდა მიაქციოს ხსენებულმა საზოგადოებამ ყურადღება.

არის კიდევ ერთი საზრუნავი საქმე, რომელსაც, თუ ამ საზოგადოებამ ყური ათხოვა, საუკუნოდ მადლობას მიიღებს როგორც მთელის საქართველოსაგან, ისე ახლად საქართველოსთან შემოერთებულ ქვეყნებისაგან. აჭარა და ქობულეთი თუმცა თითქმის ერთი წელიწადია შემოგვიერთდნენ, მაგრამ იმათ ნამდვილს შემოერთებაზედ კი ჯერ ჩვენ არა გვიზრუნია რა. აქამდისინ ჩვენ უფრო იმათს ჩვენგან განშორებაზედ ვზრუნავდით. . . . . *) რაღაც საცოდავი ორასი თუმანი თუ შევკრიბეთ და დამშეულს ქობულეთლებს დავურიგეთ, თორემ სხვაფრივ ჯერ ზრუნვა არა გამოგვიჩენია რა. აი ეხლა დაგვეტყობა, მართლა ვიცით საქმითაც შეწევნა, თუ მხოლოდ მოძმეს ხსენება გვესიამოვნება და ღვინით შეხურებულის ენით ლამაზ-ლამაზი სიტყვების წარმოთქმა. ეხლა დავამტკიცებთ, მართლა გვინდა თუ არა ქობულეთლები ნამდვილად ჩვენი მოძმენი გახდნენ და როგორც ლაპარაკით, ისე წერა-კითხვით სრულიად შემოგვიერთდნენ.

თუ ჩვენი სიხარული ქობულეთის შემოერთებაზედ პირმოთნეობა არ იყო, თუ ჩვენგან წარმოთქმულს მხურვალე სიტყვებს მკვიდრი საფუძველი ჰქონდათ, ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ აჭარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა.

როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განზრახვა და მოქმედობა შორსა სწვდება-მეთქი. თუ მართლა საზოგადოებამ და მისმა გამბედაობამ

---

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

მთლად აღასრულეს ყოველიფერი, რაც კი წესდებულებაში არის მოხსენებული, იმედია, რომ ჩვენი ხალხის წარმატება და განვითარება ბევრად წინ წაიდგამს ფეხს; გავრცელდება სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ და მით მიეცემა ჩვენს ქვეყანას ის ყოვლად უსაჭიროესი ნიადაგი, ურომლოდ საგვარტომო და თვითმომქმედი ცხოვრება და წარმატება შეუძლებელია. გავა რამდენიმე ხანი და მაცხოვარი სხივი განათლებისა მოჰფენს ნათელს ყოველს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რომელიც კი აქამომდე თვალგაუწვდენელ სიბნელეში იმყოფებოდა. მართალია, მარტო პირველდაწყებითი სწავლა საკმარისი არ არის, მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ როგორც მოგეხსენებათ, სახლი უსაძირკვლოდ ვერ დაიდგმის; გარდა ამისა, არსებობს ჩვენში შკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეივსოს საქმე, რომლისათვის ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი, — ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი, — შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ ჩვენს საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმ-გვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა. ამ ქართულ საშუალო სასწავლებელზედ შემდეგ გვექნება დაწვრილებით ლაპარაკი. ვიტყვით აგრეთვე შემდეგ მაზედაც, თუ რა მნიშვნელობა ექნება ამ სასწავლებელს ჩვენის ლიტერატურისათვის. ეხლა კი ღვიარებთ, რომ ორივე საზოგადოებანი დასდგომიან ერთსა და იმავე საგანს, მაგრამ ორის მხრიდამ, ორნივე ერთი-ერთმანეთს ეხმარებიან, ავსებენ ერთი-ერთმანეთის ნაკლს. ახლა საქმე ჩვენზედ, ე. ი. ქართველ საზოგადოებაზედ, არის დამოკიდებული; უნდა აღმოვუჩინოთ რაც შეიძლება მეტი სახსარი და საშუალება, ფულით თუ სხვა რითიმე. ნურას დავზოგავთ ამ საქმისათვის! ვინ იცის, ჩვენი ბედი რა-რიგად დატრიალდება, თუ ეს საქმე სხვანაირად წავიყვანეთ!.. საქმე დამოკიდებულია აგრეთვე ჩვენ ცოტად თუ ბევრად ნასწავლ ყმაწვილ-კაცებ-

ზედ. ზემოხსენებულ საზოგადოებათ წინ უდევს დიდძალი, აუარებელი შრომა: ჩვენ ხომ ჯერ სულ ხელცარიელნი ვართ, — არც სახელმძღვანელო გვაქვს, არც საკითხავი წიგნები, არც არა სხვა სახსარი სწავლისა, — აი ამას უნდა შეუდგნენ ეხლავე ჩვენი განათლებულნი, რათა სიტყვა მაინც არ მოგვიბრუნონ: „მაშ რაღასა თხოულობთ, თუკი გამოყენებაც არ იცით და არ შეგიძლიანთო?“

უმთავრესი შემწე ყველა ამ-გვარ საქმეთა არის, ჯერ-ჯერობით, საადგილ-მამულო ბანკი, ქუთაისისა თუ ჩვენი. ქუთაისის ბანკმა შემოსწირა კიდეც ათას ასი თუმანი ამ საზოგადოებას.

იმერთ-ამერთა, ესე იგი, მთელმა საქართველომ ამ სამოცდა-თვრამეტს . . . . . *)გავლილს წელიწადში მარტო ერთი საქმე დააწყო საკუთარის თაოსნობით, საკუთარის შეწირულობით და თავის საკუთარის ღონით, მხნეობით და ზედამხედველობით წარმართა კიდეც. ეგ საქმეა ჩვენის ბანკების დადგინება და მართვა. ამ სამოც-და-თვრამეტ წელიწადში ქართველი კაცი როგორღაც, ნებით თუ უნებურად, კუთხეში მიეგდო, მიწვა და მიიძინა, თითქოს ყველაფერზედ გული აიყარაო, ყველაფერზედ იმედი გადიწყვიტაო, ყველაფერზედ ხელი აიღოო, ერთის სიტყვით ზნეობითად მოკვდაო. ამ ყოფამ ყოველ-მხრივ დაგვაუძლურა ჩვენ, გონებით, ზნეობით, თვალად, ტანად დავპატარავდით და მივილივენით; არამც თუ ხელის გაძვრის ილაჯი აღარა გვქონდა, არამედ თითონ მოძრაობის სურვილიც შიგ გულში ჩაგვიკვდა, ჩაგვიქრა. რას უნდა გამოეხსნა ჩვენი თავი ამ საცოდავობიდამ? მარტო თვითმოქმედებას და სხვას არაფერს. რაზედ უნდა მიგვემართა ის ყოვლად მხსნელი თვითმოქმედება? მეტყვით, მაგას ბევრი გზა აქვსო. ჩვენც ვიტყვით, მაგრამ იმ „ბევრამდინ“... ღმერთო, ხომ შენ იცი, რა ტყრუშული ღობეებია, თვალთუწვდენი, შეუვალი. საიდამ რა მოევლოდა? ერთი პატარა ბილიკიღა იყო

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

თავისუფალი სავლელად და ერთი პატარა მოედანი სავარჯიშოდ, ისიც ვაილაჩრობით, წეწვითა და გლეჯითა. მოედნად დაგვრჩა ჩვენი ქონების წრე და ბილიკად — გზა ქონების შეძენისა, ანუ გაფლანგვისა. აქ შეგვეძლო გვევარჯიშნა რამოდენიც ჩვენს სულსა და გულს ესურვებოდა, არავინ და არაფერი არ გვაბრკოლებდა. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო, ნათქვამია. სხვა ღონე რომ არ იყო შველისა, ერთმა ჩვენმა კეთილის-მყოფელმა კაცმა ამ ბილიკს და მოედანს დააკვირვა თვალი და სთქვა: ცოტა რამ არის, მაგრამ ამისი გამოყენებაც შეიძლებაო, რომ ჩვენმა თვითმოქმედებამ ცოტათი მაინც ფრთები შეისხასო. სთქვა და თავის სასახელოდ აასრულა კიდეც. ამაზედ აშენდა ბანკების საქმე.

ამ საქმეს ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევდით და ვაძლევთ კიდეც. თუნდ თავი დავანებოთ იმას, რომ ბანკები ღონისძიებას გვაძლევენ ფულის სესხად შოვნისას, ნურც იმას გავიხსენებთ, რომ ამ ორს ჩვენს ბანკს შეუძლიანთ, ცოტა რომ ვსთქვათ, წელიწადში ორი ათასის თუმნის შეძენა საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ამას ყველაფერს თავი დავანებოთ, გავსინჯოთ ბანკი იმ მხრით, რა მხრითაც იგი უფრო სანატრელი უნდა იყვეს მათთვის, ვისაც სწამს ძალა თვითმოქმედებისა ქვეყნის სადღეგრძელოდ და საბედნიეროდ. ჩვენ, თევზისა არ იყოს, პირი სავსე გვაქვს წყლითა და ვრცლად მითითებით ვერას ვიტყვით, მაგრამ ვინც ამ მხრით ღრმად დააკვირდება ჩვენის ბანკების არსებობას და საფუძვლიანად თავიდამ ბოლომდე გაავლებს გონების თვალსა, ის, რასაკვირველია, დაგვეთანხმება, რომ აქაც ბანკის საქმეში, როგორც ყოველფერ სხვაში, ჩვენის ყელის საბელის ჩვენს ხელშივე ჩაგდება ჩვენთვის სანატრელიც უნდა იყოს და სასიხარულოც. ეგ საქმე ამ მხრით ჩვენთვის დიდი რამ არის, დღეს „შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა“ ჩვენთვის მარტო ბანკია მხოლოობითი მოედანი, რომელზედაც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობითმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არა შურს, ის დიდის სიფრთხი-

ლით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერსად ვერა ვხედავთ, ვერც სხვა საზოგადო საქმეში საერთოდ და ვერც ბანკისაში საკუთრივ. ვერაფერი სანუგეშო ამბავია, როცა კაცი საზოგადო საქმის მოედანზედ გამოდის მარტო იმისათვის, რომ სიტყვა და აზრი წინ გავიგდო და ვათამაშოო. ყოველი თამაშა შექცევაა და საზოგადო საქმეს უპატიურად ხდის. საზოგადო საქმეს მარტო შრომა უნდა, ჯაფა უნდა, ბეჯითი და გულდადებითი ჯაფაცა. უამისოდ საზოგადო საქმე, რაც უნდა კარგი იყოს თვალად, შიგნით ფუღუროა, დღემოკლეა, სუსტია. წარამარად ბარბაცი საზოგადო საქმეში იქნება უსაქმო კაცისთვის სასაცილოც იყოს, მაგრამ საქმიანისათვის საწყენია. ამაზედ უფრო სავაგლახოა, როცა საზოგადო საქმეში „მე ესე მიჯობს“ აღვირაშვებული დაიარება და ის კი, „რაც საქმეს უჯობს“, თავჩაღუნული დადის, თითქო დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ობოლიაო, ჩაგრული და ხმაამოუღებელიო. ბოლოს ცხვირში ამოგვკრავს, რომ ესე წინდაუხედავად შევსვამთ ხოლმე საზოგადო მძიმე საქმეს ერთმანეთის მტრობისა და შურის საქანელაზედ და ისე უკადრისად წინდაუკან ვაქანებთ. ბოლოს ცხვირში ამოვიკრავთ-მეთქი, მაგრამ ვაი თუ გვიანღა იყოს...

აი, თუნდ ავიღოთ მაგალითად ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის საქმე. თავდაპირველადვე იმ ბანკს ერთი შფოთი და არეულობა შეუდგა. დაეწყო დასები. ერთი იკითხეთ, ან ერთმა დასმა რა წამოაყენა წინ ისეთი, რომ მეორემ უარჰყო? რისთვის იბრძვიან? რათ აქვთ ატეხილი ტყუილ-უბრალო აყალ-მაყალი? რაზედ დაობენ, რაზედ ცილობენ? სწერენ კიდეც მრავალს, ჰქადაგობენ კიდეც, და აბა თუ კაცები ხართ, გარკვევით მეტყვით — რა არის ცილების საგანი? ყველაფერია, ყველაფერი, გარდა იმისა, რაც საზოგადო საქმისათვის საჭიროა. ეს არის ჩვენი ოსტატობა? ნუთუ ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს ბზარვასა და ლალვას ისეც უბედურთ ქართველთა შორის. ღმერთო, გვიხსენ ამ ჭირისაგან და გვამყოფინე, რაც დღე-

ვანდლამდე მაგ ჭირისაგან გადაგვხედია. გვეყო, ბატონებო, გვეყო! იქ „მე“ უღონოა, საცა „ჩვენ“ გაცუდებულია, უარყოფილია, გალახულია. ამას ყველა ვგრძნობთ და ვვალალებთ კიდეც.

* *

ამ ბოლოს დროს დაეწყო ქართულის თეატრის საქმეცა. აი კიდევ ერთი საზოგადო საქმე, რომელსაც დიდის სიფრთხილით მოქცევა უნდა. ღმერთმა ეს ახლად შობილი საქმე მაინც ააშოროს იმ მტრობასა და შურს, რომელიც ბანკების საქმეს შეუდგა ჩვენში. ჩვენ წინათაც გვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ თეატრს დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ყოველმა ქართველმა შეძლებისამებრ ხელი უნდა მოუმართოს. სახელი და დიდება ტფილისის ბანკის კრებას, რომ ქართული თეატრი საზოგადო საჭირო საქმედ იცნო და სამასი თუმანი ფული შესწირა. ფულის შეწირვის გარდა ამ ახლად შობილს საქმეს სხვაგვარი შემწეობაც უნდა. საჭიროა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, კვალში ჩაუდგეს, და რამოდენადაც გონება და ცოდნა გაუჭრის, იმოდენად, — როგორც მოყვარემ — პირში უძრახოს, კარგი და ავი პირში უთხრას, არც გაანებიეროს ტყუილის ბარაქალითა და არც გული აჰყაროს ტყუილის დაწუნებითა. ამისათვის ჩვენ ვეცდებით ამ მხრით სამსახური გავუწიოთ ჩვენს თეატრსა იმდენად, რამდენადაც ჩვენგან შესაძლო იქნება. ჯერ-ხანად მოკლედ განვიხილავთ, რაც აქამომდე იყო.

ამ ცოტას ხანში რამდენიმე ქართული წარმოდგენა იყო. პირველად წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია: „გევო, მინას და კამპანია“, ფრანციულიდამ გადმოკეთებული, და მასთანავე ერთი ვოდევილიც „სხვა-გვარი სიყვარული“. თითონ კომედიაზე ბევრს ვერას ვიტყვით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ თხზულებას სამი ნაკლულევანება აქვს, თორემ სხვაფრივ კი არა უჭირს რა. ერთი ისა, რომ დამწერმა რათ დასწერა?

მეორე ისა, რომ თუ დამწერმა დასწერა, გადამკეთებელმა რათ გადააკეთა? და მესამე ისა, რომ თუ ორნივ შესცდენ, თეატრში მაინც რათ წარმოადგინეს?

აქტიორებმა როლები არ იცოდნენ რიგიანად. რა დაგვემართა, რით ვერ მოვიშალეთ ეს უხამსი ჩვეულება. ურიგო არ იქნება, რომ ამ საგანს სასტიკი ყურადღება მიაქციოს რეჟისორმა, თორემ ეგ წყეული ჩვეულება პიესის მწერალსაც დააფრთხობს და მაყურებელსაცა. იმედია, რომ ბეჯითი რეჟისორი მოსპობს ამას.

ვოდევილმა კარგად ჩაიარა, ხალხმაც ბევრი იცინა და ზოგი იქნება იმასაც მიხვდა, რომ პირად მხურვალე სიყვარულს ხშირად სხვა სარჩული უდევს ხოლმე ქვეშ. ეს დიდის ზნეობის მასწავლებელი ჰეშმარიტება არ არის, მაგრამ ერთი პაწია ვოდევილისაგან ესეც კარგია. არა-მწევარმა რომ კურდღელი დაიბრუნოსო, დაჭერად ჩაეთვლებაო, ნათქვამია.

მერმე წარმოადგინეს მოლიერის კომედია „ეჭვით ავადმყოფი“, თარგმნილი ივ. მაჩაბელისაგან. თარგმანი არ არის ურიგო, მაგრამ მთარგმნელს შიგ ჩაურთავს ერთი იმისთანა სიტყვა, ხშირად ხმარებული პიესაში, რომელიც ზრდილობის მოყვარე ქართველისათვის მეტად სათაკილოა. ამისთანა სიტყვებს უნდა ერიდონ სცენაზედ. თუმცა ჩვენ, ქართველებმა, ერთობ უწმაწური ლაპარაკი ვიცით ხოლმე, როცა სალაზღანდარაოდ შევიყრებით, მაგრამ საჯაროდ კი გვეთაკილება ხოლმე უმართებულო სიტყვის ხმარება. ეს პატივსადები ჩვეულებაა და არ შეიძლება ამას ყური არ ვათხოვოთ.

ბოლოს დროს წარმოადგინეს ილ. ჭავჭავაძის „ყმების განთავისუფლების პირველ დროების სცენები“, „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა“ და ვოდევილი (მეორედ) „ბნელს ოთახში“. „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა“ მოგვეწონა, კარგის ენით არის შედგენილი და სასაცილოც არის; ჩვენდა სამწუხაროდ ამასავე ვერ ვიტყვით ვოდევილზედ, თუმცა ზოგიერთგან აქაც ენა რიგიანად არის ხმარებული.

აქტიორების ღირსებაზედ ჯერ-ხანად არა ითქმის რა, ჯერ უჩვევნი არიან ბევრი მათგანი და, იმედია, რომ გაიწრთვნებიან.

ხოლო წარმომადგენელთა შორის ერთია, რომლისათვისაც ღმერთს მიუმადლებია დიდი ნიჭი. მაგ ნიჭის პატრონი საფაროვის ქალია. ეგ ისეთი აქტრისაა, რომელიც ჩვენის სცენის თვალი იქნება, თვალი! ამ აზრისანი არიან ყველანი, ვისაც კი საფაროვის ქალი სცენაზედ უნახავს. ყოველს სიკეთესთან ერთი ის სიკეთეც სჭირს, რომ მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს და ეს სიკეთე ეხლანდელს დროში, როცა ქართული ალარავის ახსოვს, მეტად ძვირფასი რამ არის.

ძალიან კარგი იყო უფ. ცაგარელი ილ. ჭავჭავაძის სცენაში. ჩვენა გვგონია, მაგ-გვარს როლებში უფ. ცაგარელი შეუდარებელი იქნება. გვიკვირს, რატომ გლახა ჭრიაშვილის როლი მაგისათვის არ მიუციათ?

* *

ორიოდე სიტყვა უნდა მოგახსენოთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ყრილობის თაობაზედ, რომელიც ამჟამად შემდგარია გუბერნიისა და უეზდების მარშლების ამორჩევისათვის. მართალია, აწინდელ დროში, როდესაც ბატონ-ყმობა გადავარდნილია და სხვადასხვა წოდებათა შორის არავითარი შესანიშნავი განრჩევა არ არის კანონისა და სახელმწიფოს წინაშე, თავად-აზნაურობას, როგორც ერთ-გვარ წოდებას, დაეკარგა უწინდელი მნიშვნელობა . . . . . .

. . . . . .

. . . . . *)თუ ამ-ჟამად თავად-აზნაურთა კრება იპყრობს რაიმე ყურადღებას — იპყრობს მხოლოდ ამ მხრით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი . . . . *) სარგებლობს თვისის უფლებით. თავად-აზნაურობას აქვს უფლება იზრუნოს თვის საჭიროებაზედ, განუცხადოს მთავრობას თვისი სურვილი ამის შესახებ, წარუდგინოს მას სხვადასხვა ზომიერებანი, რომელთაც დაინახავს სასარგებლოდ. აი, სასურველია, რომ ეს ზომიერებანი შეეხებოდნენ იმისთანა

*) აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რედ.

საგანს, რომელიც სარგებლობის მომტანია მთელის ქვეყნისათვის. ამ მხრით წლევანდელი ყრილობა თავად-აზნაურებისა ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რადგანაც წამოყენებულ იქმნა ერთი საგანი ფრიად ღირსშესანიშნავი და ფრიად სასარგებლო საქართველოსთვის. ჩვენ ვამბობთ იმ წინადადებაზედ, რომელიც შეიტანა კრებაში ღენერალმა კონსტანტინე მამაცაშვილმა და რომელიც არსებობს შემდეგში: ყოველმა თავადმა თუ აზნაურმა უნდა იკისროს წლითი-წლობით ხარჯი, რომ მის შემოსავალით დაარსებულ იქმნეს საკუთარი გიმნაზია. ჩვენდა სამწუხაროდ, გუბერნიის კრებაში ამ საგანმა ვერ მოიპოვა ჯეროვანი უმეტესობა ხმისა, მაგრამ დადგენილ იქმნა კი, რომ ეს საქმე თვითოეულ უეზდის მარშალს და თავად-აზნაურთ უნდა მიენდოთო. მაშასადამე, საქმის კარგად წაყვანა დამოკიდებულია უეზდის მარშლის გამჭრიახობაზედ და უეზდის თავად-აზნაურთა კეთილ მიდრეკილებაზედ. იმედია, რომ არა აზნაურს არ დაშურდება და არც გაუჭირდება წელიწადში შეძლებისამებრ ცოტა რისამე მიცემა ქვეყნის სარგებლობისა და წარმატებისათვის. ამით ჩვენი საზოგადოება დაიმკვიდრებს უკვდავ სახელს და დიდებას წინაშე მთელის ქვეყნის და მეტადრე შთამომავლობისა.

IV

შინაური მიმოხილვა.

1879 წელი, ივლისი-აგვისტო.

ძნელი მოვალეობა შინაურის მიმომხილველისა ჩვენში. — გინდა თუ არა შენის ჭკუით. — ჭაპან-წყვეტა. — დაირა და ჟღარუნები ზოგიერთისა. — ჩვენი ცხოვრება. — მეორე დაბრკოლება. — სუ! ანუ პირში ბურთი. — ნამცეცების კრეფა. — სწავლის მწყურვალნი. — სამხედრო გიმნაზია. — შენ მაცხონე, კამისიავ. — მუქარა წლევანდელის წლისა. — ამისი წამალი „Общество бережливость"-ის აზრით. — მოსკოვის ხაბაზები. — ცივილიზაციის ახალი პიონერები: შარშან ცხენები და ეხლა მოსკოვის ხაბაზები. — ღმერთსა ვსთხოვოთ.

შინაურის მხილველობისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ პირდაპირ და მოჭრით; რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ, თქვენის საკუთარის ჭკუის შუქით გაანათოთ. ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, უნდა ჩვენ თითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში ჩვენის ხელით გამოვაცხოთ. ამიტომაც ჩვენებური მწერალი დიდს ჭაპან-წყვეტაშია ხოლმე, როცა მწერლობის საღერღელი აეშლება და ბედი ფათერაკად ზედ მიაყენებს შინაურს საქმეს და სულთამხუთავსავით თავს დაადგება, გინდა თუ არა შენის საკუთარის ტვინის ძაფები დასძარიო და ამის პასუხი მომე-

ციო. ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ ჩვენი შინაური საქმეები ისეთის განსაკუთრებულის თვისებისა იყოს, რომ სხვათა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი არას-გზით არ მიუდგებოდეს, სხვის აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ, მინამ ჩვენს საკუთარს ჭირს სხვისაგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ის ჭირი თავიდამ ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყოს, თორემ ქარისაგან შეშინებულსავით დოს დავუწყებთ ბერვასა. მე რომ გულის ფრიალი მჭონდეს და შენ კი მეუბნებოდე: მწყურვალის წამალი წყალიაო, რასაკვირველია, მართალი იქნები, მაგრამ სულელობაში კი ჩამოგართმევ, თუ უკაცრავად არ ვიქნები. ასე მოსდით ბევრს ჩვენგანს, როცა ძალაუნებურად მოახედებ ხოლმე მათს მაღალ მსვლელობას შინაურს საქმეებზედ. თუ მზამზარეულად გამომცხვარი აზრი ვერ იპოვეს სხვა ლიტერატურაში — უფრო, რასაკვირველია, რუსულში — იმ საგანზედ, რომელსაც ხანდისხან და ძალიან იშვიათად ჩვენი დავარდნილი ცხოვრება წინ დაგვიყენებს ხოლმე, მაშინ ნახეთ იმ ზოგიერთის მწერლის ოფლის წურვა და ჭაპან-წყვეტა. რაზედ იჭირებენო საქმეს, მეტყვით თქვენ. თუ არ შეუძლიან, ხელს რათ ჰკიდებენო. თქვენ არ იცით, ბატონებო, რა დაუმონავი რამ არის მწერლობის საღერღელი! ყველა სხვა საღერღელზედ უარესია, იმიტომ რომ ყველა საღერღელს დაიმორჩილებთ და ამას კი ვერა. მეც თითონ ერთი ალალ-ბედა ჭკუის-გლახა მწერალი ვარ, და ვიცი ეგ საღერღელი როცა კაცს აეშლება, რა-რიგად ლომებრ გულს უხოკს ადამიანსა. და თუ ამასთან ენის ქავილიც აუტყდა მწერალს, მაშინ ხომ ხსნა არ არის. ვაი მაშინ მწერალსა და უფრო დიდი

ვაი მკითხველსა! თქვენი მტერი, მაგათ დღე დაადგებათ. აქაო და.მე ენის ქავილი მაქვსო, მწერალი არახუნებს მოშლილ წისქვილსავით და საწყალმა მკითხველმა უხდა ამით ყური გამოიჭედოს. მეც კი, სწორედ გითხრათ, ამ-ჟამად ესე მომდის: რაზედ დავიწყე ლაპარაკი და სად გადავედი.

იმას მოგახსენებდით, რომ ავი დღე დაადგება ხოლმე ჩვენებურს მწერალს, როცა შინაურს საქმეში მოამწყვდევს სადმე ბედი და პასუხს ეკითხება. მაშინ ხან აქეთ ახლის თავს, ხან იქით, ხან ერთს წაღმა-უკუღმა გაზეპირებულს წიგნს მივარდება, ხან მეორეს, და ეძებს, — ამ წყეულს საგანზედ ხომ არავის უთქვამს რამეო, რომ სხვისი აზრი ვითხოვო, საკუთარ კაბასავით ზედ გადვიცოო და ქვეყანაში გამოვიდეო. რა თქმა უნდა, რომ თუ ამ შემთხვევაში საკუთარი ტვინი არ უჭრის და სხვა ლიტერატურის მოშველებაა საჭირო, შველას მარტო ზოგადად გამოთქმულ აზრებისაგან უნდა მოელოდეს, იმიტომ რომ ყოველივე, რასაც ჩვენი ცხოვრება თვის დენაში აღმოგვიჩენს ხოლმე, კერძოდ მოვლინებული საგანია და მის თაობაზედ ზედმიწევნით და მოჭრით კერძოდვე გამოთქმული აზრი არსად არ იქნება. არც იმოდენა განსჯა აქვთ, რომ კერძოდ, განმარტოებით მოვლინებული საგანი ზოგად აზრს ქვეშ დაუყენონ და შესაფერი სხივი მოჰფინონ. მაშინ, მეტი რა გზაა, ამისთანა მწერალი გულდაწყვეტილი უნდა მიადგეს მთხოვარასავით საკუთარის ტვინის სადგურს, — რომელსაც ზოგი უსამართლოდ თავს ეძახის და ზოგი სამართლიანად გოგრას, — და ურაკუნებს დაბადებითვე დახშულს კარს, იქნება აქედამ მაინც მეშველოს რამეო და საგანს პასუხი აქ ვუპოვოო. „არარაისგან არ იქნების არარაიცა“, — დიდი ხანია უთქვამს შექსპირსა. ტვინი თუ ნაჩვევი არ არის თვითმსჯელობასა, თუ თავით თვისით ნავარჯიშები არ არის, თუ მის პატრონს დაბადებითვე ნათხოვრებით გამოუზრდია, „ვერ მოგართვის“ მეტს ვერას ეტყვის გაფითრებულს პატრონსა. ეგრე უნუგეშოდ გამოსტუმრებული ტვინის პატრონი თუმცა სასოწარკვეთილებას მიეცემა ხოლმე, მაგრამ დიდის ხნობით კი არა. ტვინის სადგურში ერთი მივარდნილი კუნჭულია, საცა

ერთი ბრმა-ნიჭი ადამიანისა ბინადრობს. ის ნიჭი ტვირთთა-მზიდველ სახედარსავით ყოველთვის მორჩილია, ქვევრის თვისება აქვს: რაც ერთხელ ჩაგიძახნია, იმას ყოველთვის ამოიძახებს და სახელად ჰქვიან მეხსიერება. აი ეს ბატონი მეხსიერება მიეშველება ხოლმე ტვინისაგან განუკითხველს მწერალსა და გზას უჩვენებს, ვაი-ვაგლახიდამ დასახსნელს. მაშინ დაიძვრის ხოლმე მეხსიერების სიღრმიდამ ყოველივე ნაგავი, რაც გაზეპირების ქარს და წალმა-უკუღმად წიგნის კითხვისას ოდესმე მოუბუქავს, ენაზედ მოაყენებს ყოველს — გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს და მწერალიც მოაყოლებს რახუნსა. დაირად ხმარობს საკუთარს გოგრას. ჟღარუნებად კიდევ ამისთანა სიტყვებს: „ეკონომიური თანასწოროზაო, კულტი, მისტიკა“ და სხვას ამის მსგავს შიგნითტიკურს ფრაზებსა, მითამ-და მეც ნახირნახირო. არახუნებს და იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინ-დანთხეულსავით იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო. ბატონო, ეგ ხომ ვიცით, გულის ფრიალის წამალი გვინდა, გულის ფრიალის! შენც არ მამიკვდე, იმან თავისი არ დაიშალოს. ან რა ქნას, რომ მეხსიერება ყურში მარტო ამ დიაკვნურად გაზეპირებულს სიტყვებს ჩასძახის. საკვირველი ეს კი არ არის, ისაა საკვირველი, რომ ეს უჯათი და დანიჟებული ექიმბაში თავის ჰკუის ხალხსაც პოულობს დედამიწის ზურგზედ და გულის ფრიალის მოსარჩენად წყალით იჟენთებიან. ექიმს, — მწერალიც ამ შემთხვევაში იგივე ექიმია, — ამაზედ მეტი არა უნდა რა: ქება და დიდება მოპოებულია, სახელი გათქმულია. სხვა რა უნდა მწერალს?

სხვა ბევრი რამ უნდა, მაგრამ გამკითხველი ვინ არის? თუნდ ის ბევრი რამაც ჰქონდეს მწერალს, სად და რაში გამოიყენოს, სად და რაში მოიხმაროს? ამ მხრით ჩვენებური მწერალი გასამტყუნარი არ არის. თითონ ცხოვრება სად არის ჩვენში, რომ ცხოვრებამ გკითხოს და შენ პასუხი აძლიო? ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარსავით გდია უძრავად სადღაც კუთხეში და სიცოცხლეს მარტო იმით იჩენს, რომ იცოხნება, როგორც პირუტყვი. თუ

დროთა ბრუნვა წიხლს დააზელს ხოლმე, მაშინ მოძრაობასაც იჩენს, მაგრამ მხოლოდ მით, რომ ერთი ყრუდ დაიბღავლებს, ერთის გვერდიდამ მეორეზედ ფხანვით გადაბრუნდება და ისევ უწინდებულად თვლემით და არხეინად ცოხნას მოჰყვება, მითამ-და არაფერი არც ეტკინაო, არც ეზიანაო. დასაწყისში რომ ვახსენე ჩვენი შინაური საქმეები, იმ სახით ვახსენე, რომ კაცს ეგონება, ჩვენი ცხოვრება დუღს და გადმოდუღსო, მაგრამ იქ ჩვენ ვიგულისხმეთ ის დიდად იშვიათი შემთხვევა, ის ათასში ერთი მაგალითი, როცა ჩვენი ცხოვრება რაიმე ღირსშესანიშნავს საგანს მოიგდებს ხოლმე თვის ზედაპირზედ. უამისოდაც არ იქნება, ზოგჯერ სასწაულიც მოხდება ხოლმე. ამისთანა ქვეყანაში, საცა ცხოვრება ხავს-მოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს, იქ მწერალმა რა უნდა ქმნას? ჭია-ჭუებს რომ ყურში ხელი წაავლოს და აწივლოს, — ეგ ერთხელ, ორჯერ კიდევ შესაწყნარებელია, მაგრამ მუდამ კი ღმერთმა შეინახოს, მოსაბეზრებელია, მოსაწყენია, — კაცს ყოველს სურვილს კითხვისას მოუკლავს. ამ სახით, გარდა ამისა, რომ ჩვენებურს მწერალს თვითმსჯელობა არ განუვითარებია, მეორე დაბრკოლება აი რაშია: საგანი არ არის გარშემო, რომ მწერალმა მასზედ შეაჩეროს თვისი გონების თვალი და მკითხველის ყურადღება. თუნდ რომ ათასში ერთი მოიპოებოდეს კიდეც, თქმაც ძნელია, იმიტომ რომ წყლით გივსებენ პირს, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს. ამის გამო ბევრად შესაწყნარებელია და შესანდობარი სიღარიბე ჩვენებურის მწერლობისა და ნამეტნავად ჩვენებურის პუბლიცისტიკისა. რა ვქნათ, საფანელი არ არის ჩვენს ცხოვრებაში და ამის გამო არც აზრის შედედებაა და თუნდა იყოს კიდეც... ამით შეგვიბრალეთ და განგვიკითხეთ, როცა ჩვენს შინაურს საქმეებზედ სჯას კითხულობთ ხოლმე ჩვენებურს ჟურნალ-გაზეთობაში. თუნდ რომ ღონე იყოს, დიდს ჩვენ არ გვაღირსებენ და მეტი რა ჩარაა, რომ ნამცეცების კრეფას არ შევუდგეთ, ისიც დიდის სიფრთ-

ხილით და ენის კვნეტით, რომ მეტი არა წაგვცდეს რა. მაშ მოვყვეთ ისევ ნამცეცების კრეფას.

* *

მარიამობისთვის უკანასკნელს რიცხვებში განკითხვის დღე დაუდგათ ჩვენებურს მოზარდ ყმაწვილებსა. ამბობენ, ათას-ხუთასი მეტი ყმაწვილი იყოო აქაურს სასწავლებლების კარზედ მიყენებულიო და მარტო ორასიოდეს გაეღო კარიო, სხვანი კი, რიცხვით ათას-სამასი, გულხელ-დაკრეფილმა მშობლებმა წყევა-კრულვით წაიყვანეს შინო, ვაკანსიების უქონლობის გამოო. თუ ეს მართალია, ეს ამბავი ჭირადაც სამყოფია და ლხინადაც. ნუთუ ყოველ-წლივ ამოდენა უშველებელი რიცხვი მოზარდის ყმაწვილებისა ეგრე უნუგეშოდ უნდა იყოს დარჩენილი! რასაკვირველია, უნდა დარჩეს, რადგანაც აქაურს სასწავლებლებში ტევა აღარ არის. ჩვენ არ ვიცით, მთავრობა ამ საგანზედ რასა ფიქრობს, მაგრამ დიდად საფრთხილო და საფიქრებელი კია. ხუმრობა არის, ამოდენა ხალხს განათლების კარი დახშული ჰქონდეს! უფრო მომეტებული რიცხვი თურმე სამხედრო გიმნაზიას მიაწყდა..ამბობენ, წლევანდელმა ეგზამენიებმა აღმოაჩინაო, რომ წელს ყმაწვილების მომზადება უფრო მაღალის ხარისხისა იყოო საზოგადოდ, ვიდრე წინა-წლებშიო, მაგრამ ძალიან ბევრი კი ისევ შინ დაბრუნებულა ხელცარიელი იმავ მიზეზით, რომ ვაკანსია არ იყო. კავკასიის მხედრობისა მიმართ განცხადებაში № 48 მოხსენებულია, რომ სახელმწიფო ხარჯით წელს უნდა მიღებულიყვნენ ოცნი, დედ-მამის ხარჯით ხუთნი, და ისე შინიდამ მოსიარულედ ცხრა, — სულ ოც-და-თოთხმეტი ყმაწვილი. იმ მიღების სიაში, რომელიც თითონ გიმნაზიაში გამოკიდებული იყო, ეწერა, რომ სახელმწიფო ხარჯზედ მიღებულია წელს ერთი მეექვსე კლასში და თექვსმეტი პირველს კლასში. ამათ რიცხვში აქაურები თორმეტნი არიან და რუსები ხუთნი. თორმეტიდამ მარტო ოთხნი არიან ქართველნი. დედ-მამის ხარჯზედ მარტო ორნი არიან მიღებულნი, ერთი რუსი და ერთი სომეხი. შინიდამ მოსიარულედ ცხრა ყმაწვილია — სულ რუ-

სები. ამ სახით გამოდის, რომ სამხედრო გიმნაზიის პანსიონში ექვსი ვაკანსიაა დარჩომილი, სამი სახელმწიფო ხარჯზედ და სამი დედ-მამის ხარჯზედ, და დანარჩენ 28 ვაკანსიიდამ ცამეტი ჩვენებურებს დაუჭერიათ და ხუთმეტი რუსებს. რასაკვირველია, ეგ ექვსი ვაკანსია წვეთია ამოდენა მწყურვალთათვის, მაგრამ მაინც სანატრელია კაცმა იცოდეს, ვისთვის არის შენახული ის ექვსი პანსიონის ვაკანსია, მაშინ როდესაც მრავალმა ყმაწვილმა შესაფერად დაიჭირა ეგზამენია და ამათი დედ-მამა მონატრული იყვნენ, რომ სახელმწიფოდ, თუ საკუთარს ხარჯზედ, შვილები მიეღებინებინათ. არ ვიცით, მართალია თუ არა, და ყველანი კი ერთხმად უჩივიან სამხედრო გიმნაზიის გამგეობას, რომ უსამართლოდ და თნებით იქცევიანო. საკვირველი საქმეა ამ გიმნაზიის ამბავი. როგორც ვიცით, ეგ სამხედრო გიმნაზია ჩვენის თავად-აზნაურობის თხოვნის გამოა დაარსებული. ხელმწიფე იმპერატორმა, როცა უკანასკნელად ჩვენში ბრძანდებოდა, თავად-აზნაურობის თხოვნისა გამო ინება, რომ ტფილისში ეგ გიმნაზია იყოს. დააარსეს გიმნაზია და თავად-აზნაურთაგანი მარტო ოთხი ყმაწვილია წელს მიღებული. რასაკვირველია, ეს მაგალითი არაფერი მოსატანი იქნებოდა, რომ ჩვენი ყმაწვილები საკმაოდ მომზადებულნი არა ყოფილიყვნენ... საქმე ის არის, რომ ეგზამენიაში იმოდენა ცოდნა აღმოუჩენიათ, რამოდენასაც კანონი თურმე თხოულობს, და რა მიზეზია, რომ ვისთვისაც თითქმის დააარსეს გიმნაზია, ისინი ცარიელზედ რჩებიან. აქ შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ აქაო და ტფილისში თქვენი სამხედრო გიმნაზია გაქვთო, რუსეთის გიმნაზიებში თურმე ჩვენებს აღარ იღებენ. ჩვენ თითონ მაგოდენადაც არ მიგვიწევს გული ერთობ სამხედრო გიმნაზიებზედ, და თუ ამ-ჟამად სამდურავსავით რასმე ვამბობთ, მარტო იმისთვის, რომ განიშნოთ, ადამიანის ბედს ხანდისხან რა ხიფათი სდევს ხოლმე. ბევრის მდომელსა ცოტაც დაეკარგებაო, სწორედ ამისთანა ამბავზეა ნათქვამი.

ხომ ხედავ, ჩვენო ქართველობავ, რომ სხვა გზა არ არის შვილი გაზარდო, თუ არ ისევ შენის ღვაწლით და შენის ხარ-

ჯით. თვითოეულისათვის ცალკე ეგ ღვაწლი და ხარჯი სამძიმოა. რაც თვითოეულისათვის სამძიმოა, ის ერთობას არ გაუჭირდება. შეიყარენით ერთად და ამ სატკივარს ერთი წამალი დასდეთ. უებარი წამალი კიდევ, უწინაც გვითქვამს, საკუთარი ქაროული გიმნაზიაა. თუ თქვენის შვილებისათვის მართლა სიკეთე გინდათ, თუ გინდათ — რომ თქვენმა ქვეყანამ თქვენი სახელი ლოცვით და კურთხევით მოიხსენიოს, ამ აზრის აღსასრულებლად ნურას დაზოგავთ, ნურას დაიშურებთ. ნუ შეუშინდებით იმ ფიქრს, რომ გიმნაზიას დიდი გაძღოლა უნდა, ესე იგი დიდი ფული და ხარჯი. თვითოეულმა რომ ცოტ-ცოტა გამოვიღოთ, ყველასაგან ერთად საკმარისი ფული შედგება: ნათქვამია, ზღვაც წვეთით არის შემდგარიო.

ყმაწვილების აღზრდისა და პატრონობის თაობაზედ ამას წინათ დააპირეს საზოგადოების შედგენა. დამაპირებელთა მოიწვიეს მრავალნი პირნი სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, წარმოსთქვეს წინათვე გაზეპირებული სიტყვები, ორიოდე ორატორმა გამოიჩინა თავი, და საქმე იმით გათავდა, რითაც — შჩედრინისა არ იყოს — ყოველივე საქმე თავდება ხოლმე რუსეთში, ესე იგი ამოირჩიეს კამისია და მიანდეს, არამც თუ მარტო წესდების შედგენა, არამედ ჩვენის სურვილის საგანიც განსაზღვრეთო. ჩვეულებისამებრ — ჩვეულება ხომ რჯულთ უმტკიცესია, როგორც მოგეხსენებათ, — კამისიის კალთაში ჩაიძინებს ეს საქმე „ღრმა ძილითა“, ასე რომ ზარბაზნითაც რომ მიადგეო, ბოლოს იქნება ვერც კი გამოაღვიძოთ. თქვენმა მზემ, ეგ ეგრეთ-წოდებული „კამისიები“ სწორედ ხსნა არის ყოველგვარის მცონარობისა. ვისაც ეგენი მოუგონია, დიდი შორსმხედველობა ჰქონია და კაცის ბუნების თვისება ზედმიწევნით სცოდნია. ბატონო, მეტი რა გინდათ? ვსთქვათ, მოგვიდათ ჟინი, რომ ერთი კარგი საქმე რამ დაიწყოთ. ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავ, არ მოგასვენებს. ვსთქვათ, მოგვიდათ ჟინიმეთქი. ყველაზედ უწინარეს ერთი კარგი, ნათხოვარის ცეცხლით გახურებული სიტყვა უნდა გაიზეპიროთ, მერე მოიწვიოთ ერთს ადგილს მო-

ცლილი ხალხი — ღმერთმანი, ცოტანი არიან — იმ გახურებულის სიტყვით ყური გამოუჭედოთ და როცა სიტყვა საქმეზედ მივა, — ხომ ოდესმე უნდა მივიდეს — მაშინ... ოხ, მაშინ, თუმცა მელიასავით ხაფანგში მომწყვდეულად ნახავთ საკუთარს თავსა, რადგანაც თქვენ მარტო გახურებულის სიტყვის თქმა გინდოდათ და აქ კი საქმის გაკეთებაც სდომებია, მაგრამ მაინც არა შიშობთ. ხაფანგი — ხაფანგია, მაგრამ ოსტატობასაც ბევრი რამ შეუძლიან. ამ შემთხვევაში-კი არც მეტად დიდი ოსტატობაა საჭირო: ღმერთმა აცხონოს კამისიების მომგონი. ერთი კამისია კი ახსენეთ და თქვენის გახურებულის სიტყვით მობეზრებული და გულ-ასუყებული კრება სიხარულით დაიხვევს ენაზე მაგ კამისიას და აღტაცებით წამოიძახებს, ოღონდ ეხლა შინ დაგვითხოვეთო, სიტყვა ეგ იყოს და საქმე კი კამისიას მივანდოთო. ყველას გაუხარდება, რასაკვირველია, ეს ამისთანა უმანკოებით სავსე დასკვნა, ტაშს დაუკრავენ ორატორებსა, მერე ისეთის სისწრაფით გამოცვივიან გარეთ, თითქო სახლს ცეცხლი წაეკიდაო, და მადლობას სწირავენ ღმერთს, რომ ამით გადავრჩითო. ჰოი, ყოვლად მხსნელო კამისიავ, რა კარგი რამა ხარ! რამდენს მოუყუდებია შენზედ თავისი ჯოხი, რომ სხვა ღონე არ ჰქონია. რამდენს „გაუპრადალავებია“ — გლეხისა არ იყოს — შენის უწყინარი სახელით კეთილი საქმე! ზემოხსენებულს კრებასაც სწორედ ამისთანა ბოლო ჰქონდა, და სიტყვა საქმედ როდის გარდიქცევა — ეგ ღმერთმა იცის და კამისიამ, რომელიც ძალიან იშვიათად მოახდენს ხოლმე ამისთანა სასწაულსა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეს, როგორც უპატრონო ყმაწვილების აღზრდა და მოვლაა, ამისთანა დასაწყისი ჰქონდა. ამ საქმისათვის რომ მართლა გულით ეზრუნვათ და ბეჯითად ჩაეკიდნათ ხელი, ყოველივე — რაც საქმის ფეხზედ დაყენებისათვის საჭირო იყო, წინათვე უნდა მოემზადებინათ. მაგალითებრ, საგანი ყოველმხრივ უნდა განესაზღვრათ, მისი გულ-ღვიძლი, მისი თირკმლები — უკაცრავად ამ სიტყვებისათვის — უნდა გაესინჯათ ყოვლის მეცადინეობით და გულმოდგინებით, შეედგინათ წესდება, დაერიგები-

ნათ, რომ ვისაც გული შესტკივა ამ საგანზედ, წინათვე გაგებული და მოსაზრებული ჰქონოდა ყოველივე ის, რაც ამ საქმეს შეეხება, და მაშინ მიეწვიათ ხალხი საჯაროდ ბაასისათვის. მაშინ ყველა, და ყველა თუ არა, ბევრი მაინც, წინათვე აღნიშნავდა თავის როლს კრების წინაშე ამ მართლა-და კეთილის საქმის თაობაზედ. თორემ ისე თამაშად მიწვევა ხალხისა, როგორც ამ შემთხვევაში იყო, ვერაფრად მიმზიდველია მათთვის, ვინც მოცლილი არ არი. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი, რის გამოც აქაური ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი არ დაესწრნენ იმ კრებას. მიზეზი, სწორედ მოგახსენოთ, საბუთიანია და ეს მიზეზი გამოეპარა ჩვენს პატარა გაზეთს „დროებას“. რომ არ გამოჰპარვოდა, აღარც დაიმდურებოდა და უკიჟინებდა აქაურ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ, რატომ არ დაესწარითო. საცა თამაშაა ხოლმე — და სად არ არის ეხლა? — რომ კაცი ყველგან დაესწროს, სად წავა? და ან რა საჭიროა?

* *

აი, რა-რიგად ჭკვიანურად და საქმიანად მოიქცა ერთი ჩვენებური საზოგადოება, რომელიც კარგა ხანია ჩვენში მოქმედობს. ვინ არ იცის, რომ წლევანდელი წელიწადი დიდს მუქარას გვითვლის და ამ მუქარამ ლამის დღესაც ურიცხვი ხალხი სასოწარკვეთილებას მისცეს. წლევანდელი წელიწადისთანა უმოსავლო წელიწადი ხშირი არ არის ხოლმე ჩვენში. რაც მუდმივმა მიზეზებმა დააკლეს წლევანდელ წელიწადსა, ის შეამთავრა შარშანდელმა საქონლის ჭირმა, რომლისა გამო უხნავ-უთესად დარჩა მრავალი ხალხი, წლევანდელმა კალიამ, თაგვმა და ნაცარმა. თითქმის მთელს ჩვენს გუბერნიაში, და გუბერნია რა სათქმელია, თითქმის მთელს ამიერ-კავკასიაში ამ მუდმივმა და ფათერაკად მოსულმა მიზეზებმა სულ ძირს დასცეს წლევანდელი ჭირნახული მიწისა თუ ვენახისა. ბალახიც კი აღარ არის, რომ საქონელი გამოიკვებოს. ჯერ რა დროა გასული და მაინც კოდმა პურმა ხუთ

მანეთამდე აიწია, ფუთმა თივამ ტფილისში ათ შაურამდე და სამ აბაზამდე, ბზეც კი ადგილობრივ ურემი ერთს თუმანზედ და თორმეტ მანეთზედ სოფლადაც ძლივს იშოვება, — წინა წლებში ორი-სამი მანეთი რომ ყოფილიყო, ეგეც დიდი საქმე იყო. ერთის სიტყვით, ამისთანა მუქარით ბევრი წელიწადი არ დასდგომია ჩვენს უიმისოდაც უბედურს ქვეყანასა. ეს დასაწყისია და ახლა ნახეთ, შუა და ბოლო რა იქნება, ნამეტნავად საწყალ ხალხისათვის. ეს უბედურება საწყალის ხალხისა წინათ-უგრძვნია ერთს გულშემატკივარს აქაურს რუსულ საზოგადოებას, რომელსაც ჰქვიან: Общество бережливости. და კაცმა მართალი უნდა სთქვას, კარგად და ოსტატურად ჩაუკიდნია ხელი, რომ სატკივარს რაიმე წამალი დასდოს. ერთს იმათგანს პროექტიც ხელ-და-ხელ გამოუცხვია და სადაც ჯერ არს წარუდგენია. რასაკვირველია, ეს ბატონი პროჟექტორი ჯერ უქებს ამ საზოგადოებას პატიოსანს მოღვაწეობას, ვაჭრობაში გამოცდილებას და გვარწმუნებს, რომ ამ საზოგადოებამ დიდი სარგებლობა მოიტანაო თავისის მოქმედებითაო ამ ცხრა წელიწადშიო. მოდი და ნუ დაიჯერებთ. მაგრამ ისევ-ისე იმათი თავისიანი ვალაპარაკოთ ამ სასაცილო პროექტზედ, თორემ ჩვენ მუხანათობას შეგვწამებენ და ეხლანდელ დროში ეგ დიდად საფრთხილოა. აი, რას ამბობს ამ პროექტზედ ჩვენი ყოველთვის წარბშეკრული რუსული გაზეთი „კავკაზი“. თუ ამ პროექტს ამისთანა გაზეთისათვისაც დაცინების საღერღელი აუშლია, წარმოიდგინეთ, რა წითელი კოჭი უნდა იყოს. „პროექტიო, — ამბობს გაზეთი, — ბევრს არას გამოსდგომიაო. იგი თხოულობს მთავრობისაგან, მაგალითად, მარტო ათიათას თუმანს სესხად ერთის წლის ვადით უსარგებლოდ. წევრნი საზოგადოებისანი ამ ფულით საკუთარს, განგებ ამისათვის, ფურნეს დასდგმენ, დაიწყებენ პურის ცხობას და გამომცხვარს პურს მიჰყიდიან იმ ფასად, რაც თითონ დაუჯდებათ, არამც თუ მარტო საზოგადოების წევრთა, არამედ სხვასაც, ვინც კი მოინდომებს, რომ მათგან პური იყიდოს. პური რომ უფრო გემრიელი იყოს, დაიბარებენ

მოსკოვიდან ფილიპოვისაგან* ერთს ანუ ორს კარგად გამოცდილს ხაბაზსა. რადგანაც ეს პროექტი საჯარო განხილვისათვის გამოცხადებულია, ჩვენც ვბედავთ აქამდე სიტყვა მოვახსენოთ ამ საზოგადოებას მის პროექტის თაობაზედ. ყველამ კარგად იცის, რომ Общество Бережливости — ეგ პატიოსანი და გამოცდილი საზოგადოება. რომელსაც ამ ცხრა წლის განმავლობაში ასეთი დიდი სარგებლობა მოჰქონდა (ნეტავ ვისთვის?), — თავის საქონელსა ჰყიდდა ყოველთვის იმ ფასად, როგორც სხვა ტფილისის დუქნებში იყიდებოდა და ხახდისხან უფრო მეტადაც. თუ ეს საზოგადოება თავის გამოცდილ პატიოსნების გზას დაადგება, რასაკვირველია, სახელმწიფო ფულით ნასყიდ პურის გასყიდვაშიაც იმ ფასს დასდებს, რა ფასიც სხვა დუქნებში იქნება და იტყვის. ეს დაძიჯდაო. ამით მოთამ რა უნდა ეშველოს ღარიბ ხალხსა? მოდით და უთხარით ამ-გვარად მოარულს პატიოსნებასა. რომ მაგ ფასად არ დაგჯდომია-თქო. ან ვინ უნდა მოსთხოვოს ანგარიში გამოცდილ ვაჭრობის საქმეში მოჭირნახულეებს? ისე გარეშე მუშტარს ხომ არ მიუშვებენ, და მთავრობის მხრით ამისათვის კამისიის დაწესებას ხარჯი უნდა და ეს ხარჯი გასასყიდს პურს უნდა დააწვეს და ამით უფრო ფასი მოემატოს. მერმე, ღარიბს ხალხს განა ოდესმე სურვილი გამოუცხადებიათ, რომ არა, გინდათ თუ არა, უსათუოდ ფილიპოვის, ანუ მისის ვექილის გამომცხვარი პური უნდა მაჭამოთო. ამას გარდა ვინ არ იცის, რომ ტფილისში პურის მცხობი ბევრია. სხვა რამა სთქვით, თორემ პურის-მცხობლების ნაკლებობაზედ ტფილისი ვერ იჩივლებს. მაშასადამე, ხარჯი ფილიპოვის პურის-მცხობლების მოწვევისათვის სრულებით უსაბუთო და მეტი იქნება". — კიდევ სხვას რასმე უწუნებს გაზეთი იმ პროექტს, მაგრამ ჩვენთვის ეგეც სამყოფია.

ვაი ჩვენი ბრალი! პურის ცხობის უცოდინარობაც კი შეგვწამეს და ხაბაზიც ამას იქით მოსკოვიდან უნდა დავიბაროთ

* გამოჩენილი პურის-მცხობელია მოსკოვში.

ხოლმე. ქვეყნის გაბიაბრუება და დაბრიყვება იქნება და ასეთი!.. მოდი და ამისთანა ხალხს დაუჯერე, რომ ვაჭრობაში ან სხვა რამეში გამოცდილნი არიან. ცხრა წელიწადი საზოგადოება მოქმედობდეს ტფილისში და არ იცოდეს, რომ აქ პურის-მცხობლები არიან, და ხშირად ძალიან კარგნიცა, ამაზედ სასაცილო ამბავი სხვა რამ გინდათ კიდევ. მოდი და ამისთანა ქვეყნის ზედმიწევნით მცოდნეთაგან — თუ არ დაგიშლიათ — სიკეთე და სარგებლობა მოითხოვეთ. მოდი და ამათ ეშხზედ ელაპარაკეთ! მოსკოვიდან ხაბაზები დავიბაროთო? ჰკუას როცა ურიგებდნენ, ნეტა ამათ სად მოგვიანებიათ, რომ ვერ მოუსწრიათ. თუ მკითხავთ, ჰკვაზედაც თხლად არა ბრძანებულან. ათი-ათასი თუმანი — კაი ლუკმაა. პირში გემო კი ჰქონიათ, თუ თქვენც იტყვით, მკითხველო! ის ხაბაზის დაბარება იქნება ამ ათი-ათასის თუმნის ეშხით წასცდათ როგორმე. ან იქნება წამომცდარი სიტყვაც არ იყოს. იქნება ცივილიზაციის გასავრცელებლად ამ მხეცს ქვეყანაში მოსკოვის ხაბაზებიც საჭირო იყოს. ახლა იქნება ისა სთქვათ, რომ მოსკოვშიც დიდი წყურვილია ცივილიზაციისა და, თუ ხაბაზები ამაში გამოსადეგნი არიანო, იქაც მოუნდებათო. თქვენგან არ მიკვირს, მაგას როგორ ბრძანებთ. აბა რომელი წინასწარმეტყველი გამომდგარა თავის ქვეყანაში. რო გეთქვათ, ხაბაზები ცივილიზაციისათვის რა პიონერები არიანო, კიდევ ჰო. მაგრამ აქაც დიდი საბუთი არ მიგიძღვით წინ.

ხომ გახსოვთ, რომ შარშან ჩვენს ხალხს ცხენები დაურიგეს საჩუქრად. ჩუქება, რაც უნდა იყოს, ყოველთვის კარგი რამ არის ხოლმე, ნამეტნავად დაჩუქრებულისათვის. ჩვენ ამ მხრით იმ ცხენების ჩუქების თაობაზედ არა გვეთქმის რა, თუმცა აშკარაა, რომ ის ცხენები ფულად ექციათ და გუბერნიისათვის ერთი საერთო კასსა გაეჩინათ გაჭირვებულთათვის ხელის გასამართავად, ან სხვა რაიმე საერთო საქმისათვის მოეხმარათ, მაგალითებრ — სოფლის ბანკებისათვის. სოფლის შკოლებისათვის. თუნდ გზების და ხიდების გასაკეთებლად. ერთი ათასად უკეთესი იქნებოდა. როგორც გვახსოვს. თითო ცხენი რომ სამ-სამ თუმნად მაინც ჩაგეგდოთ. კარგა დიდი

ფული შედგებოდა. მაგრამ ცხენების ფულად ქცევა უარჰყვეს და ისევ ცხენების ცხენებად დარიგება ირჩიეს. იცით — რა საბუთიანი მიზეზი ჰქონდათ, რომ ასე ჰქნეს, და იქიდამ, საიდამაც კაი ზომიერი სარგებლობა შესაძლო იყო, არა გამოვიდა რა? მიზეზი ის იყო, რომ მაგ ცხენებს ერთი მძიმე ტვირთი ზურგთ აჰკიდეს: ცხენებით უნდა ჩვენში ცივილიზაცია ფეხზედ წარმომდგარიყო; ყველას იმედი ჰქონდა, რომ თუ გლეხკაცობა იმ ცხენების მიზეზით ეკიპაჟებს არ გაიმართავდა, ფურგონებს, პოვოზკებს და სხვა ამისთანა ცივილიზაციისაგან მოგონილს სატარაბელთ წინ რაღა დაუდგებაო. დიახ, დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ცხენების მეოხებით ის ტლანქი, ბრიყვული, ჩვენებური ჭრიჭინა ურემი უკან დადგება და გზას დაუთმობს ფურგონს და პოვოზკასა. თქმა არ უნდა, რომ ბევრგან იმ ცხენებმა — კარგია, პირუტყვები არიან, თორემ შენი მტერი — გლეხამდი არ მიაღწიეს და არც ფურგონები და პოვოზკები დაიმართა. ამ-გვარად, ამ ოთხ-ფეხმა ცივილიზაციის მოწინავე ჯარმა ჩვენში ვერ გასჭრა და ცხენმაც, ადამიანზედ უფრო მხნემ, უფრო ღონიერმა ცხენმაც კი ვერა გააწყო რა ჩვენში. თუნდ ეგეც არ იყოს, თუ ოთხი ორზედ უმჯობესია — რასაკვირველია როზგისა და სხვა ამ-გვარის გარდა — მაშ ცხენები ადამიანზედ ამით მაინც წინ არიან. ერთის სიტყვით, ამისთანა ძლიერმა ცხოველმაც, როგორც ცხენია, ცივილიზაციას ჩვენში ფეხი ვერ აადგმევინა. ეს, რასაკვირველია, ჩვენის ხალხის მეტად ტანში გამჯდარს სიბრიყვეს უნდა მიაწეროს კაცმა და სხვა არაფერს და, მგონი, ცხენების დამრიგებლებმა სწორედ ამ უჯათს სიბრიყვეს დააბრალეს ყოველიფერი და არა იმას, რომ ცხენები ვერაფერი პიონერები არიან ცივილიზაციისა.

თუ ცხენს ამისთანა იმედს ჰკიდებენ ჩვენში ზურგზედ, მაშ რაღად უნდა გვიკვირდეს, მაშ რაღად უნდა გვეოცოს, რომ ვიღაც ბატონმა ლებედიევმა — ზემოხსენებულ პროექტის შემადგენელმა — ხაბაზების დაბარება მოსკოვიდამ დააპირა. ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია. ჯერ ხომ ცხენები სინჯეს, და ნახეს, — რომ ჩვენი სიბრიყვე ვერ მოტეხეს.

ეხლა კიდევ მოსკოვის ხაბაზებს გამოსცდიან, იქნება ამით მაინც ეშველოს ჩვენში ცივილიზაციის გავრცელებას. უსათუოდ ბატონს ლებედიევს ეს აზრი ჰქონია, რომ დაუპირებია მოსკოვის ხაბაზებით დაამშვენოს ჩვენი ქვეყანა, თორემ როგორ გაუბედავდა სთხოვოს მთავრობას ათი-ათასი თუმანი. ხუმრობა ფულია! ხუმრობა ფული არ არის, მაგრამ განა ცივილიზაცია კი ხუმრობა რამ არის! ბატონმა ლებედიევმა უსათუოდ ზედმიწევნით იცის, რომ ცივილიზაციის დასამყარებლად არა ხარჯი მეტი არ არის, რაც უნდა ფული დაიხარჯოს — ბევრი არ იქნება. თუ არ დაგიშლიათ, ღმერთსა ვსთხოვოთ, რომ მთავრობამ ის ათი-ათასი თუმანი მისცეს Общество бережливость-ს და Общество бережливость-მა კიდევ ბატონ ლებედიევის თაოსნობით ხაბაზები მოსკოვიდამ დაიბაროს და მოჰფინოს ჩვენს ქვეყანასა. დღე ნათელი მაშინ მაინც დაუდგება ამ ჩვენს უბედურს ქვეყანასა. ცუდი არ იქნება, რომ ჩვენმა ბანკებმაც ფული მიაშველონ ბატონს ლებედიევს, რომ კალიასავით მოუსიოს ჩვენს ქვეყანას მოსკოვის ხაბაზები. რაკი ცივილიზაციის საქმე ცხენებზედ და ხაბაზებზედ მივარდნილა, ეხლა ფიქრი ნურავისა გვაქვს. ბედი ჩვენი ცხადია, როგორც ხელის-გული. მაგრამ ვაი თუ ხაბაზები მოსკოვისა გაგვინაზდნენ და არ წამოვიდნენ! ნუ გეშინიანთ, პირში გემო ხომ არ დაჰკარგვიათ, რომ ეგა ჰქმნან. ვაი ჩვენი ბრალი! დაბრიყვება ქვეყნისა იქნება და ასეთი!..

V

ვისს ნათესსა ვმკით?

(მიმოხილვა 1879 წლისა)

აი მოსწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუყლაპავს და მოუნელებია. წავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხველო: ძველის წასვლა, თუ ახალის მოსვლა? ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდლისა და დედაა ხვალისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით. მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია.

სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი აი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დავგოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვქონია ან წარსულს ნაღვლით გამოვსალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივგებებოდეთ. ამოდენა წელიწადებს გაუვლია-მეთქი და მათგანი ერთი იმისთანა არ შეგვხვედრია, რომ ნუგეშით გაგვეჩერებიოს მასზედ თვალი და მადლიერის გულით გვეთქვას: „იყავ და განგრძელდიო“. ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯელ მივგებები-

ვართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა. წასულა ახალი და ფუჭად ჩაუტარებია „იგი ნატვრა, იგი იმედი“.

ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარეობა ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასათვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიაო, არც წინ მიდის, არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნაღველი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავალის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენა ტყუილმა ლოდინმა დაგვლია და აი, ამ-ჟამად, როცა დროთა ბრუნვამ ძველსა და ახალის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდაძაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, — ჩვენ გული არ გვიცემს არც მისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ, და არც მისთვის, რომ მომავალს შევხაროდეთ.

თუმცა ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა, ბევრმა უნაყოფოდ ჩავლილმა და მოვლენილმა წელიწადმა, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხიხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატივოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა. აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაც სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა. იგრძნო რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავ-მოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც. რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე — ქონებითი თუ გონებითი — ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის. ჩვენ ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა,

არამედ ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რამ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა.

შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული შკოლა, სადაც სწავლა დედა-ენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-და-თორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს ბინაცა აქვთ აჩენილი. შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს შკოლებში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარმოოს. თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო აქ „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოეჩინა. ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. დიდს მანძილს ზომიერი და მტკიცე ნაბიჯი უნდა. ამით ჩვენ იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის საკურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი მოჰკიდოს იმ დედააზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს. — ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა — ჯერ-ხანად მაინც — მეტის-მეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.

ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისათვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეგ სამი მაგალითიც საკმაოა მისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და

ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგვითვლით ამ უკანასკნელს ოთხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდთ დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია. ეს წელი შესანიშნავია, როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველი ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.

რამ გამოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? ამის აღსახსნელად პატარა შორიდამ დავიწყებთ ლაპარაკსა, უფრო იმისათვისა, რომ თუ თვალით არა, სუნით მაინც ავიღოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.

ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე. იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგაწირვა,—ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ველარ აქნევინეს. ეგ შე-

ერთების ყოვლად-მხსნელი სურვილი თუმცა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანიღა შეგვრჩნენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჰერ-ქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისის ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემჩნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ, რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად-მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გაეოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მომდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტად-ღა ბჟუტავდა ზოგიერთა გაცალკევებულს გულში, როცა მოედანზედ გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ დაფუყებულს გულში და აჰა ლამის ნაყოფიც გამოიღოს. ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილ-კაცობასა, რომელმაც. რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამხობლად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილ-კაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენის ქვეყნის წიხაშე ვერაკინ ვერ ჩამოართმევს. ყმაწვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შესწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც.

ერთსაც და მეორესაც. რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისაკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილკაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, ააყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილკაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

გვეტყვით, სამკალი ჯერ მაგოდენა არა არის რაო, რომ ეგრე თავმოწონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდომოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგ-გვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა. მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც ჩ ვ ე ნ ი ს ს ა კ უ თ ა რ ი ს თ ა ო ს ნ ო ბ ი თ და ღ ვ ა წ ლ ი თ ა რ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი და ე რ თ მ ა ნ ე თ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ე რ თ ო გ უ ლ ი ს-ტ კ ი ვ ი ლ ი თ შ ე მ ზ ა დ ე ბ უ ლ ი.

ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულის-ტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, — ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავალის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად.

[1879 წ. 31 დეკემბერი]

შინაური მიმოხილვის მაგიერი.

1881 წელი, იანვარი.

ეს — შარშან ახალი, და წელს ძველი წელიწადიც — ჩაჰბარდა პატრონს. რა იმედებით ვიყავით აღვსილნი, როცა ამ ძველმა წელიწადმა შემოგვაჭყიტა თვალები თავის აკვნიდამა! მაშინ განათლების მოთავედ ახლად დანიშნული იყო ბ-ნი იანოვსკი და სამღვდელოების წინამძღვრად ყოვლადუსამღვდელოესი იოანნიკე. რა სიხარულით, რა იმედებით მივეგებენით ამ დანიშვნასა ჩვენ „ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი“. მადლობა ღმერთსაო, ვიძახოდით გულში.

გვეგონა, რომ ბ-ნის ნეველოვის და ნეტარხსენებულ ექსარხოსის ევსევის სისტემები დაწუნებულ იქმნენ უმაღლეს მთავრობისაგანაო და ახალის სისტემისათვის ახალნი კაცნი მოიწვიესო. გვეგონა და გვიხაროდა, გვიხაროდა და გვეგონა! პირველ ხანებში ჩვენს ადრეულ სიხარულს თითქო საბუთებიც მოეცა. ბოლოს კი, — ვაი შენს მტერს! — ისევ შეჩვეული ჭირი გვანატვრინეს. გამოვიდა, რომ სისტემა იგივეა და მარტო ხერხია სხვა...

დიახ, ბატონებო! იმ ტკბილმა იმედებმა ჩაილულის წყალი დალიეს. ღმერთო გვიხსენ!..

რისაგან გიხსნასო, მკითხავთ თქვენ. იმისაგან რომ... ერიჰა, კინაღამ ღმერთი არ გამიწყრა და არ წამოვიყრანტალე პასუხი! სულ გადამავიწყდა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სთქვას:

„მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“, და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა“.

ამ საგანზედ ლექსის ათასნაირად გამშვენიერების ნება აქვს თურმე ყოველს ქვეშევრდომს, ყოველს კეთილად განწყობილს ქვეყანაში და არავის არ ძალუძს აუკრძალოს. მაგალითებრ, შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: „მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხიამეთქი“ და პატარას ნება აქვს მიუგოს: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დღეს ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა“; და ამბობენ,— რომ ამის თქმას არავინ დაუშლისო.

ღმერთი-რჯული, ტყუილად ვემდურებით ცენზურასა... აი, ბატონებო, ყირიმში რაღაც ფილოქსერა გაჩენილა, ერთი თვალად უჩინარი პაწაწა მწერი. გარწმუნებთ, რომ ცენზურა ყოველთვის ნებას მოგცემთ იმათზედ თამამადა სწეროთ. იმათში თურმე არც ჩინებია, არც მუნდირები, მაშასადამე, იმათში უფლება არავის არ ექნება იწყინოს რამე. აზრი თურმე იმათ არა აქვთ და ფიქრი, მაშასადამე, არც მიზეზი გექნებათ ჩაებათ რაღაც იდეების უქმსა და მოუსვენარს ტრიალში.

ან რა საკადრისია დარბაისელ კაცისათვის იდეების ბარდებში გაბმა და ტრიალი! სხვა რომ არა იყოს-რა, იდეა ფრიად მაწყინარია კაცის აგებულებისათვის. ბატონო, რაკი კაცს მიესევიან ის რაღაც იდეებია, ზაფხულის ბუზსავით ჩამოეკიდებიან და მოსვენებას არ აძლევენ. ამას კიდევ ზედ მოსდევს კუჭის მოშლა, სტომაქი საჭმელს ვეღარ ინელებს და გულის ფრიალიც იცის. საღი კაცი ტყუილ-უბრალოდ სნეულდება. კეთილად განწყობილ ქვეყანაში განა ყველანი არ უნდა ცდილობდნენ, რომ სნეულების მიზეზნი წინასწარვე მოსპობილ იქმნას? მაშ ის ერთი მეცნიერება, რომელსაც ჰიგიენას ეძახიან, უქმი სიტყვაა? წყლის ნაყვაა? მაშ ტყუილ-უბრალოდ დაშვრა იმოდენა ჭკუიანი ხალხი მაგ მეცნიერების აგებისათვის?..

თუნდ ეგეც იქით იყოს, ახლა ერთი ეს ვიკითხოთ: იდეები რომ არ იყოს, განა ქვეყანაზე ცხოვრება არ შეიძლება? მაშ

ამოდენა პირუტყვი როგორა სცხოვრებს? უფრო ჩვენზედ საღნი არიან, ჩვენზედ ჯანმრთელნი, ჩვენზედ ღონიერნი და დღეგრძელნი. აბა, კალია რა არის? ერთი უბრალო მწერი, ერთი რომ შევუბეროთ — ცხრა მთას იქით გადავარდება, მაგრამ შარშან მთელი ქვეყანა ფეხზედ დადგა, შეეჭიდა და ძლივსა სძლია. ერთის მხრით იდეების მექონი ადამიანები ვიყავით და მეორეს მხრით უიდეო პაწაწა კალია და კინაღამ გვაჯობა. ეს ცხადი მაგალითი არ არის განა, რომ საცა ეგ მოუსვენარი იდეა არ არის, იქ ღონეა და ძლიერება. მაშ რათ ვუძლურებთ თავს იდეების ტარებითა? ეგ იციან ქვეყნის მკურნალთა და ამიტომაც თვალ-გაფაციცებით აქეთ-იქით იყურებიან, არსაიდამ შემოგვეპაროსო და ღონიერი უღონოდ არ გახადოსო.

თქვენ რაც გინდათ ბრძანეთ და ჩვენ კი ამ აზრისანი ვართ, — ქვეყნის ჯანმრთელობისათვის, გაძლიერებისათვის, ქვეყანაში მოარული იდეები სულ ღვდა-ბუდიანად უნდა ამოჰხოცოს კაცმა და წყალს მისცეს. ეს წვრილფეხობაა რაღაცა, დაუჟინია და ჰყვირის: იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფიო. სტყუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და იმის ჯანი!... ამისი მაგალითი თითონ ეს წერილი გახლავთ.

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, მარტი.

რუსეთი და მისი საპოლიტიკო საგანი. — სახელმწიფო და ეროვნობა. — მოხელეთა ერთგულება. — სახელმწიფო ერთობას არ უშლის არც რჯულის და არც ერის სხვადასხვაობა. — ეროვნობის საქმე რუსეთის ლიტერატურაში. — Вестник Европы და მისი წერილი Восточная политика и обрусение. — ახალი ძოძრაობა აზრისა ეროვნობის შესახებ. — იქ უფრო ბნელა, საცა ნათელი გვეგულება. — სამოსწავლო გეგმა ბ-ნ იანოვსკისა. — ახირებული დასკვნა. — ერთის თქმა და მეორის ქმნა.

რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზედ შეჯგუფებულნი არიან და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერთს უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მის გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებულ შეიქმნებოდა დაენიშნა სამხღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნო-

ბისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ მარტო ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ მარტო შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჰირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი.

მოხელეობა, რომელიც ხშირად მოკლებულია არამც თუ საზოგადო დედააზრებს, არამედ უმეცარია იმისიც, რაც ხშირად ფიქრად, თუ საგნად აქვს უმაღლესს მთავრობასა, — ამ უდიდესს საგანს ისე ექცეოდა, როგორც მისი ქეიფი იყო. ეგონა, რომ ეროვნობის დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მომჭმედის კაცისა, საჭიროა სახელმწიფოს წარმატებისათვის და თითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია. ამ მხრით არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათვის, როგორც თავის ქეიფზედ მოარულთ მოხელეებსა: ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათის მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება.

რადგანაც არსებითი ნიშანი ეროვნობისა, მისი გული და სული — ენაა, ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეობისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა. თუ რომელსამე მოხელის ხელს ამ შემთხვევაში აზრი რამ ამოქმედებდა, ეგ ის

აზრი იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, საცა ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზედ არ ლაპარაკობენო. უგუნურება ამ აზრისა ცხადია. იყო დრო, როცა რჯულის, სარწმუნოების სხვადასხვაობასაც ამასავე სწამობდნენ. იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ იქ, საცა ერთისა და იმავე სახელმწიფოს ერნი სხვადასხვა წესით ადიდებენ ღმერთსა, ერთობა სახელმწიფოსი ვერ იხეირებსო და დაირღვევაო. რეფორმაციამ დაამტკიცა, რომ ეგ აზრი მარტო უმეცრების ნაყოფია; დაამტკიცა, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ძალიან კარგად მოთავსდება სხვადასხვაობა სარწმუნოებისა და ერთობის კავშირს საძირკველიდამ ერთს ქვასაც ვერ გამოაცლის. მოვა დრო, და გვგონია — დიდის ხნის ლოდინიც არ მოგვინდეს, რომ ენის შესახებაც იმას იტყვიან, რასაც ეხლა რჯულის შესახებ ბრძანიცა და თვალხილულნიც ამბობენ ერთხმად. მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალადმაცხონე მოხელეებიც კი დაინახვენ, რომ ჩეხს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედა-ენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს.

რომ ეს აზრი თანდათან ფეხს იდგამს და ფრთასა ჰშლის თითონ რუსეთშიაც, ამას გვიმტკიცებს თითონ რუსეთის ლიტერატურაცა. პირველი მეხვეური ამ საქმეში იყო და არის რუსული, ყველაზედ უფრო ჭკუადამჯდარი ჟურნალი „Вестник Европы“, რომელმაც ეროვნობის დევნის წინააღმდეგ საფუძვლიანად ხმა ამოიღო. სხვათა წერილთა შორის დავასახელებთ ერთს საბუთიანს წერილს, რომელსაც სათაურად ჰქონდა: „Восточная политика и обрусение“. თუმცა ამ წერილში არ არის განსაზღვრული ეროვნობის და სახელმწიფოს სამოქმედო მოედანი, თუმცა არ არის ნაჩვენები — სად უნდა დაიდვას ამ ორთა შუა მიჯნა, მაგრამ აღიარებულია, რომ ეროვნობის უფლებას სახელმწიფოში თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, თავისი ცალკე მოედანი უნდა ეჭიროს. მას შემდეგ რუსულს ლიტერატურაში კანტი-კუნტადღა ისმოდა ხმა იმავე საგანზედ, მაგრამ ერთხელ ასე თუ ისე გაღვი-

ძებული მართალი აზრი უნაყოფოდ არ ჩაუვლის ხოლმე ადამიანს. ამ აზრმა იარა, იარა და ამ-ჟამად იმოდენად მომწიფდა, რომ თითქმის ყველა დაწინაურებულმა ჟურნალ-გაზეთობამ რუსეთისამ ამ აზრს მიაქცია თავისი განათლებული ყურადღება. „Молва“, „Порядок“, „Голос“, „Вестник Европы“, „Слово“ და თითონ ყველაფერში უკან-ჩამორჩომილი „Петербургские Ведомости“-ც კი ამ საგანზედ ბჭობენ და ლაპარაკობენ, და მათ შორის ერთიც არ არის, რომ არ ჰქადაგობდეს ეროვნობის უფლების აღდგენასა სახელმწიფოში, როგორც ენის შესახებ, ისეც შესახებ შინაურის საქმეების გამგეობისა. არამც თუ მარტო ლიტერატურაში, არამედ ლიტერატურის გარეთაც, საზოგადოებაში ისმის ეგევე ხმა და ვრცელდება ეგევე აზრი რუსეთის უკეთესთა წარმომადგენელთა მეოხებით.

ბ-ნ სპასოვიჩის სიტყვას, თქმულს ამ საგანზედ იურიდიულ საზოგადოებაში 2-ს თებერვალს, ასეთი ზედმოქმედება მოუხდენია მსმენელებზედ, რომ ტაშის-კვრას ბოლო არა ჰქონია. ცხადი ნიშანია, რომ თითონ რუსეთის საზოგადოებასაც შეუთვისებია ეს მოხელეებისაგან დევნული აზრი. სპასოვიჩს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნობა, როგორც თვით სარწმუნოებაცა პირადი გრძნობაა. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედა-ენა და უცხო ენა ისწავლოსო. „თქვენი ხელმწიფება, — უთქვამს სპასოვიჩს, — დაამკვიდრეთ თქვენის კულტურითა და კეთილის გამგეობითა, და მაშინ ხელმწიფებას თქვენის ენისას წინ არა დაუდგება რაო. რომაელთა სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა ისე დაიპყრა ერნი, რომ მათთვის პირიდამ ენა არ ამოუგლეჯნიაო“. რუსეთის ლიტერატურის და საზოგადოების უკეთესნი წევრნი აღტაცებით და დიდის ქებით მიეგებნენ ამ სიტყვას, რომელიც ჩვენ ესე მოკლედ მოვიყვანეთ.

ამ სახით, ეროვნობის საქმე რუსეთში ეხლა იმ მორიგ საგნად გახდა, რომელსაც რუსეთის დაწინაურებული საზოგადოება, თავისის მწერლების და მოღვაწეების შემწეობით, წინ უყენებს მთავრობასა განაჩენის დასადგენად ეროვნობის სასარგებლოდ. თუმცა ჯერ მარტო ენის თაობაზედ არის ლაპარაკი და სხვა მხარეს ეროვნობის საქმისას ბეჯითად არ წასჭიდებიან, მაგრამ ენის შესახებაც ვხედავთ, რომ რუსეთის აზრმა ეროვნობის საქმეში ერთის ბიჯით კიდევ წინ წადგა ფეხი. წინათ ენის უფლების აღდგენას მარტო სკოლის საქმეში თხოულობდნენ, და ეხლა ეგ აზრი იმოდენად განვითარდა და გაივსო, რომ ერის შინაურ საქმეთა წარმოებასა და გამგეობაშიაც ითხოვენ.

აქ საკვირველი ის კი არ არის, რომ ეროვნობის საქმემ ეგრე სამართლიანად ფეხი მოიკიდა და მომხრეობა მისი გავრცელდა რუსეთის დაწინაურებულ საზოგადოებაში. ეს დღესა თუ ხვალ განათლებას უსათუოდ უნდა მოეხდინა. ამისათვის მარტო ხანი და დრო იყო საჭირო, რომ ჭკუა-გონება გაზრდილიყო, ასაკში შესულიყო. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ იგი წრე რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც სწავლა-განათლების მიმდინარეობაში განათლების ლამპარი და წინამძღვარობა ხელთ უპყრია, სწორედ ის წრე ყველაზედ მეტად და ხანგრძლივ ეურჩებოდა და დღესაც ეურჩება მას, რაც განათლებას ეგრე აუცილებლად დღესა თუ ხვალ უნდა ჩედ მოჰყოლოდა. ეს ისე ცხადად და თვალსაჩინოდ არსად არ აღმოჩენილა, როგორც რუსეთის იმპერიის განაპირებულ ადგილებში, საცა ენის თაობაზედ სკოლის საქმეში წაჯექ-უკუჯექის თამაშობა გამართეს სწავლა-განათლების მოხელეებმა. დიდხანს ითამაშებენ კიდევ ამისთანა სასაცილოს თამაშს თუ არა, ეგ ჯერ ღმერთმა იცის.

აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენის ნებითვე სიტყვა, თორემ სხვანი შეგვაწყვეტინებენ. ახლა იქნება მკითხველმა მკითხოს: ან ეგ რაცა სთქვი, რათა სთქვიო. რათა ვსთქვი!.. პირველი, იმიტომ — რომ ენა ცოტად მექავებოდა; მეორე იმიტომ — რომ... მეორეს-კი, უკაცრავად, ვერ მოგახსენებთ, და

იცით რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ ჩვენც თითონ არ ვიცით, ვისთვის და რისთვის ვლაპარაკობთ, როდესაც ყველაფერი ოთხ კედელ შუა თავდება ჩვენში. ამას კი ვიტყვით, — ამ წერილს თირკმელები განგებ ამოვაცალეთ და შუა წელი გამოვსჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა. საკვირველი დროა ეს ჩვენი დრო. იტყვი რასმე, მაშინვე პირში მოგვარდებიან, — რათ ამბობო, და არ იტყვი კიდევ, გიკიჟინებენ — რატომ არას ამბობო. აი ამაზედ არის ნათქვამი: გავიქცევი — ქარიანი მქვიან და დავდგები — ლაჯიანიო. მოდი და ენდე ამ წუთისოფელსა.

ნუთუ იმაზედაც ბოდიშის მოხდას მომთხოვთ, რომ „შინაურ მიმოხილვას“ დაგპირდით და ლაპარაკი კი გარეულზედ გაგიბით. მაგრამ, თუ ის საგანი, რაზედაც ჩვენ დავიწყეთ ლაპარაკი, შინაურ საქმედ არ მიაჩნია მკითხველს, მაშინ, მგონია, ბოდიში თითონ მკითხველმა უნდა მოიხადოს ჩვენის ქვეყნის წინაშე და წინათვე გულდადებით დაჯერებული იყოს, რომ თავს ვერას-გზით ვერ იპატიებს. შინაური საქმეა, ბატონებო, მერე ასეთი, რომ მაგ საქმეზედ არის დამოკიდებული იმისი პასუხი, რასაც ჰამლეტი თავისთავსა ჰკითხავდა: ყოფნა, თუ არ-ყოფნაო...

თუმცა შორი-შორს სიტყვა კია, მაგრამ ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ. ბატონმა იანოვსკიმ, რომელიც სწავლა-განათლების წინამძღვარია ჩვენს ქვეყანაში, ხომ მოგეხსენებათ, თავისი დედააზრი გამოაცხადა საერო სკოლების შესახებ და აღძრა სწავლების ენის თაობაზედ ბაასი, თუმცა კი აქ საბაასო არა იყო-რა. მეცნიერებას ეგ საქმე დიდი ხანია გაურჩევია და თავისი უტყუარი განაჩენი დაუდგენია. ეხლა ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი პატარა დაბეჭდილი წერილი *. ღირს-საცნობი წერილია, ჯერ იმითი, რომ დამტკიცებულია, და მეორე იმი-

* Об учебном плане начальной школы в среде туземного населения и о постановке в ней русского языка. Протокол заседания попечительского совета Кавказского учебного округа, 12 декабря 1880 г.

თი, რომ დღეის ამას იქით საერო სკოლის საქმემ იმ გზაზედ უნდა იაროს, რაც იმ წერილშია ნაჩვენები და აღნიშნული. ბატონი იანოვსკი ამ წერილში ბრძანებს, რომ გამოცდილებამ დაგვანახვაო, რომ ბავშები სამსა და ოთხს წელიწადში ძლივს სწავლობენ კითხვას, წერას, ოთხს პირველს მოქმედებას არითმეტიკისას, მოკლე კატეხიზმოს და საღვთო წერილსა *, ამიტომაც... ამიტომაც ჩვენში რუსულის ენის სწავლებას სადღა მოასწრებენო, იტყვით თქვენ. რა ვუყოთ, რომ იტყვით? თქმა ყველაფრისა შეიძლება, მაგრამ საქმე იმაშია თქმულში ლოღიკაც იყოს, და ამაზედ ვინა ბრძანდება უკაცრავად, თქვენა, თუ ჩვენა, არ ვიცით. ეს კი ვიცით, ჩვენს საეროს სკოლას, გარდა იმისა — რაც მისი პირდაპირი საქმეა, ერთი ტვირთი კიდევ მოუმატეს. განა არ იცით, რომ ვინც ერთს ფუთს ძლივსა ჰზიდავს, იმას მეორე ფუთიც რომ ზედ დაადოთ, უფრო სუბუქად ივლის.

ზემოთქმულს წერილში ერთი ყურადღების ღირსი აზრიც არის გაყვანილი ბ-ნ იანოვსკის სახელითა, სახელდობრ ისა, რომ საეროს სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უ ფ რ ო უ მ ე ტ ე ს ად რ უ ს უ ლ ს ე ნ ა ზ ე დ უნდა მიდიოდესო. ეს უბრძანებია ბ-ნს იანოვსკის 12 დეკემბერს; „попечительский совет“-ს, რასაკვირველია, მიუღია და 22-ს დეკემბერს თითონ ბ-ნს იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა. იგივე ბ-ნი იანოვსკი 28 დეკემბერს გაზეთს „Кавказ“-ში, №348, ამბობს: „ყოველს კეთილად განწყობილს პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს უ ფ რ ო უ მ ე ტ ე ს ად დ ე დ ა-ე ნ ა ზ ე დ ა ო“. ამას ამბობს საზოგადოდ და მესამე განყოფილების შესახებ

* რადგანაც, ამათ გარდა, საერო სკოლის განსაკუთრებული საქმე — ჰოკლე ისტორიის, გეოგრაფიის და სამშობლოს შესწავლაც არის, მაშასადამე, საერო სკოლას სამსა და ოთხს წელიწადში, ბ-ნ იანოვსკისავე სიტყვით. თავის ნახევარი საქმეც ძლივს შესძლებია. დიამც იყოს ის, რაც „დროება“-მ თავის პასუხში მოახსენა ბ-ნ იანოვსკის. ამ საბუთით ამბობდა „დროება“, რომ აქაურ საერო სკოლებისათვის — სამის წლის კურსით, რუსულის ენის დამატება მეტი საპალნეაო.

არა სცვლის ამ თქმულსა, მხოლოდ უმატებს, რომ რუსულად წაკითხული სტატიები დედა-ენაზედაც უნდა ითარგმნებოდეს ამ განყოფილებაშიო, და საგნები და სტატიები — შესწავლული დედა-ენაზედო — რუსულადაც უნდა ითქვასო. აქედამ ის გამოდის, რომ 12 და 22-ს დეკემბერს უპირატესობა საერო სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაინც, რუსულ ენას დარჩენია და 28-ს დეკემბერს კი — დედა-ენასა. რომელი ერთი ვიწამოთ? რასაკვირველია, 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიც არის და უკვე ქმნულიცა; და 28-ს დეკემბრისა კი — მარტო თქმულია და „Кавказ“-ის №348-ში დარჩება სახსოვრად იმისა, რომ ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე.

რომ არევ-დარევა აზრებისა არავინ დაგვწამოს, ამ ორსავე საქმეს ბ-ნ იანოვსკისას, ქმნულსა და თქმულსა, რუსულადვე ამოვსწერთ ერთმანეთის პირდაპირ.

ქმნული 12 და 22 დეკემბერს:

«И наконец в III отделении преподавание должно вестись преимущественно на русском языке, с переводом всего изучаемого на этом языке на **родной**».

თქმული 28-ს დეკემბერს:

«На основании этих положений, в каждой благоустроенной начальной школе преподавание должно быть ведено преимущественно на родном языке.

მას შემდეგ:

«В третьем отделении учебные занятия продолжаются при таком же распределении числа уроков на родной язык и русский, с тем, чтобы статьи, читаемые на русском языке, были излагаемы и на родном языке и чтобы предметы и статьи, изучаемые на родном языке излагались, по возможности, и на русском.

ასე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო.

VIII

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, მაისი.

დასაწყისი უარმყოფელის მიმართულებისა რუსეთში. — მომხრეობა ძველისა და ახალისა. — ორი დიდი ბანაკი. — „მამები და შვილები“.— ევროპის კონსერვატორობა და ლიბერალობა. — ორკეცი სინჯვა საქმისა. — რუსეთში კონსერვატორობა რეტროგრადობად გადიქცა და ლიბერალობა მარტო უარყოფად. — პისარევი და მისი ზედმოქმედება. — რამ წაიტყუა ყმაწვილ-კაცობა. — რით იკვებებიან დღესაც ჩვენებური შინგამომცხვარი ლიბერალები. — Современник-ი და ბაზაროვი, ბაზაროვი და პისარევი. — რათ მოხდა? — ჩვენებურ ლიბერალების უკან ჩამორჩომა. — არ იციან. — ჩვენშიაც ორი ბანაკია. — ახალი გუნდი ჩვენებურებისა. — მათი მიმართულება. — სლავიანების მაგალითი.—რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა?—ჩვენი პროგრამა. — ჩვენი საწყაო რა უნდა იყოს. — თვით-ამორჩეულ დეპუტატები და ვენზელები. — ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის კრება.

ნეტარხსენებული იმპერატორი ალექსანდრე მეორე ავიდა ტახტზედ თუ არა, სულ სხვა, ახალმა სიომ დაუბერა რუსეთს. იმ დრომდე თვალდახუჭვილმა და ენადაბმულმა რუსეთმა თვალი აახილა, ენა ამოიდგა. რასაკვირველია, ეს უცებ არ მოხდა და არც ერთის კაცის ნებითა: ეგ მოიტანა ცხოვრებამ, რომელიც თავის-დღეში უქმად არ შეჩერდება ხოლმე, ეგ მოიტანა ცხოვრების ნამუშევარმა. ახალმა დრომ თუ თავი რითმე იჩინა, ეგ იმით, რომ თავისი-თავი ცოტად თუ ბევრად იცნო და თავის მოთხოვნილებას აჰყვა.

ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის-თავზედ დაიხედა, გაიჩხრიკა თავისის ყოფაცხოვრების თირკმელები, შიგნეულობა. ნახა რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია და შეჰგუბებია. შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისის სნეულების სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდამ, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვირტებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტობაში, — სულ ამ დიდის საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად. მათის მართლა-და დაუვიწყარის ღვაწლით მაგ თამამმა უარმყოფელმა მიმართულებამ ფეხი კარგად განზედ გაიდგა რუსეთში და ცხოვრების მოედანზედ დაიჭირა ადგილი. ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი Современник-ი.

აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერში ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად. ეჭაც ასე მოხდა. ცხადიც არის, რატომ. არსებული, ძველი, ისე არ გაცუდდება, რომ ვისიმე გამოსაყენი არ იყოს. ეს ერთი. მეორე ისა, რომ ბევრი იმისთანა მოდუნებული და შელახული კაცია ქვეყანაზედ, რომელიც ისე შეეჩვევა ხოლმე ჭირსა, რომ შეჩვეული ჭირი შეუჩვეველს ლხინს ურჩევნია. მესამე და ყველაზედ უფრო ფესვ-მაგარი კიდევ ის არის, რომ ყოველს არსებულს, ყოველს ძველს თავისი ადგილი უკვე დაუპყრია ადამიანის ცხოვრებაში, უმრავლესობისაგან აღიარებულია,

ნებით თუ უნებლიეთ გულ-შეჯერებულია და ჟამთა ხნიერობით ბეჭედდაკრული და დამტკიცებული. ამ სამთა მიზეზთა გამო ძველს, არსებულს, მომხრე არ დაელევა. თითონ ახალიც, რომელიც ძველის ადგილას უნდა ჩამოსდგეს, დაბადებისავე უმალ ისე არ მომწიფდება, რომ პირში ჩადების და დაღეჭის მეტი სხვა აღარა უნდოდეს-რა. როგორც ძველის ობი, ისე ახალის კვირტი — ძნელი დასანახავია. ამისათვის მეტად საღი, გაბჭრე თვალი უნდა გონებისა.

ამ მიზეზით, თითქმის მთელი რუსეთი გაიყო ორ დიდ ბანაკად: ერთში მოექცნენ ძველის, არსებულის მომხრენი, მეორეში ძველის უარმყოფელნი და ახალის მესვეურნი. პირველს ბანაკს დაერქვა „მამების ბანაკი“, მეორეს — „შვილებისა“. ეს სწორედ რუსეთში მოგონილი სახელებია და სრულებით არ უხდება იმ საგანს, რომელიც ევროპაში მოქმედებს კონსერვატორების და ლიბერალების გასარჩევად. „მამობა და შვილობა“ თვალად გასარჩევი საქმეა. ამისთანა გარეგანად სანიშნავმა სახელწოდებამ ბევრს წყალ-წყალა ჭკუას გზა და კვალი დაუბნია რუსეთში და რუსეთის ბაძით ჩვენშიაც. ერთის სიბერე და მეორის სიყმაწვილე სამყოფი იყო ზოგიერთა ცრუპენტელა კაცისათვის, რომ ერთი ერთს ბანაკში მოექცია და მეორე — მეორეში, იმისდა მიუხედავად, თუ რა აზრების მაღიარებელნი არიან ან ერთნი და ან მეორენი.

პირველს შეხედვაში კაცს ეგონება — რუსეთის „მამების“ ბანაკი ერთის მხრით და „შვილებისა“ მეორის მხრით, ევროპის კონსერვატორობას და ლიბერალობას მოასწავებსო. ჩვენის ფიქრით, ეგ შეცდომა იქნება. თუ რუსეთის ლიბერალობა, ამ ბოლონდელ ხანებისა მაინც, ჩამოჰგავს ევროპის ლიბერალობას, რუსეთის კონსერვატორობაზედ მაგას ვერ ვიტყვით. რუსეთში ჭეშმარიტი კონსერვატორობა არ არის დღესაქამომდე.

ყოველგან, საცა კი ისტორიის ღირსი ერი თავისითა სცხოვრებს, ორნაირი წყობაა აზრისა და ეგ ორნაირი წყობა აზრისა შეადგენს ცხოვრების მდინარეობასა. ერთი ის წყობაა, რომელიც ცხოვრებას უკვე აღმოუჩენია, დაუდგენია და დღეს მო-

ქმედებს, მეორე ის — რასაც დღევანდელი დღე თხოულობს და საჭიროებს. ამ ორთა წყობათა მოქმედება დაუძინარია და მუდამი. როცა ის, რასაც დღევანდელი დღე თხოულობს, ყველას თუ არა — ბევრს მაინც ძვალსა და რბილში დაუვლის, შესმენილი და გაგებული ექნება, — მაშინ ეგ მეორე წყობა იმარჯვებს და ყოველ საქმეთა სათავეში მოექცევა ხოლმე. ეხლა ეგ წყობა დაიჭერს პირველს ადგილს ცხოვრებაში. რასაკვირველია, მინამ ეს ასე მოხდება, ცხოვრება მაინც მოქმედებს და ახალს საჭიროებას აჩენს. ამიტომაც ახლად გამარჯვებულს წყობასაც სხვა, ახალი წყობა გამოუჩნდება ხოლმე მოპირდაპირედ. ესე მიდის კაცობრიობის ცხოვრება და ამნაირ სვლას დასასრული არ აქვს. თითონ კაცობრიობის ისტორიაც სხვა არ არის-რა, გარდა ამნაირად ფეხის გადანაცვლებისა.

პირველის წყობის მომხრეებს ევროპაში კონსერვატორებს ეძახიან, მეორისას — ლიბერალებს. პირველები არიან უკვე დადგენილის მცველნი, მეორენი — ახლის მესვეურნი და მდომელნი. თუმცა ერთნი ძველის მცველები არიან და მეორენი ახლის მდომელნი, მაგრამ პირველებს ყველაფერი ძველი არ მოსწონთ და მეორეებს ყველა ახალი არ ენატრებათ. ბევრი იმისთანა ახალია, რომლის მოსაპოებლად ჭეშმარიტი კონსერვატორი სიცოცხლესაც არ დაზოგავს, და ბევრი იმისთანა ძველია, რომლის დღეგრძელობისათვის ჭეშმარიტი ლიბერალი თავის საკუთარს დღეს შეიმოკლებს. ირლანდიისათვის ინგლისის ხელიდამ განთავისუფლება ახალი საქმე იქნება, მაგრამ ჭეშმარიტი კონსერვატორი ირლანდიისა თავს დასდებს, ოღონდ ეგ მოიპოვოს. ინგლისის ეგრეთ-წოდებული „დიდი ხარტია“ ძველი რამ არის, მაგრამ ინგლისის ლიბერალი უსიკვდილოდ არ დასთმობს არც ერთს ასოს იმ ხარტიისას.

ჭეშმარიტი კონსერვატორობა ესარჩლება და იცავს მარტო იმისთანა ძველს, რომელიც მისის გულწრფელის აზრით, ჯერ კიდევ გამოსადეგია და საჭირო ცხოვრებისათვის, და თუ ხანდისხან სცოდავს რაშიმე ქვეყანას, მარტო იმაში, რომ ზოგჯერ

იმისთანა ძველსაც გადეფარება, რომელიც თუმცა გამოსადეგი აღარ არის, მაგრამ უვნებელია, და ძველის ადგილს არ უთმობს ახალსა — მინამ კარგად გულს არ დააჯერებს, რომ ახალი კეთილს მოიტანს. ჭეშმარიტი ლიბერალობაც უარჰყოფს მარტო იმისთანა ძველს, რომელსაც თავისი დრო და ჟამი მოუჭამია, რომელიც დღეს ხარიხად გასდებია ცხოვრებას და წინსვლას უშლის. იგი ნდომობს იმ ძველის მაგიერ იმისთანა ახალს, რომელიც ძველზედ უკეთ ხელს მოუმართავს ცხოვრების განკარგებასა და წარმატებას. საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს. მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს-აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოებლად.

ჩვენ ესა ვსთქვით იმიტომ, რომ ვაჩვენოთ, სადამდის შეუძლიან, ჩვენის ფიქრით, გაიწვდინოს ხელი ან ძველის მცველმა და ახლის უარმყოფელმა, ან ძველის უარმყოფელმა და ახლის მდომელმა, რომ ჭეშმარიტს კონსერვატორობას ან ლიბერალობას არ გადასცდეს.

კონსერვატორების უკან და ლიბერალების წინ, მარცხნივ და მარჯვნივ, ბევრნაირი სხვადასხვა აზრის ნაკადულებია კიდევ, და თუ ჩვენ მარტო ორი წყობა აზრისა მოვიხსენიეთ, ეგ იმიტომ — რომ ცხოვრების მდინარეობის შუა წელი მაგ ორ მხარ-და-მხარ მოარულს წყობას აზრისას უჭირავს.

რუსეთში სულ სხვასა ვხედავთ. აქ „მამებმა“ ისე გაიწიეს, რომ ყველაფერს ძველს გამოესარჩლენ ავისა და კარგის გაურჩევლად და ყველაფერს ახალს დაუწყეს ძაგება და დევნა; გაჭირი ჰქმნეს ამაზედ და წინ ფეხი ვეღარ გადმოაბიჯეს. ამისი მაგალითი „Русский Вестник“-ია და „Московские Ведомости“, ეგ ორი უპირველესი ფალავანი „მამებისა“. ჯერ გუშინ ღაღადებდა „Московские Ведомости“, დამნაშავეებს რაღა გასამართლება უნდაო, აიღეთ და ჩამოარჩვეთო, და სასაცილოდ იგდებდა ეხლანდელ განსამართლების წესს, რომლის შემოღებისათვის განსვენებული იმპერატორი მადლობით მოიხსენიება ისტორიაში. არც ერთი კონსერვატორი ევროპისა

არ იკადრებდა მაგას და ეგრე უსირცხვილოდ არ შეეხებოდა მაგ დიდს და ახალს დაწყობილებას, რომელსაც ახალს განსამართლების წესს ეძახიან. თუ გუშინ ამას კადრულობდნენ რუსეთის „მამები“, რაღა უნდა ვსთქვათ მასზედ, რაც ამ ოცის წლის წინათ იქნებოდა მათის წყალობით.

ეგრეთმა წყალ-გაღმა გაბიჯებამ „მამებისა“-მ, ანუ უკეთ ვსთქვათ, გაქირმა, — გააგულისა „შვილები“. ამან გააფიცხა, გაამწვავა და გააკაპასა „მამებისა და შვილებს“ შორის ბრძოლა და „შვილების“ ბანაკი იქამდინ მიიყვანა, რომ უარაყოფინა არამც თუ მარტო ის, რაც ღირსი იყო უარყოფისა, არამედ ზოგიერთი იმისთანაც, რომლის უარყოფისათვის წამოწითლდება სირცხვილ-მორეული ეხლანდელი ჭეშმარიტი ლიბერალი რუსეთისა. შედგა „შვილების“ ბანაკიც მარტო უარყოფაზედ და მესვეურობა ახლისა უკან კუთხეში მიაგდო. უკანასკნელი ფალავანი ამ თითქმის ყოვლად უარმყოფელის მიმართულებისა იყო მეტად სხარტე და ნიჭიერი მწერალი პისარევი. მისის მეთაურობით, ამ გადაჭარბებულმა უარყოფამა იქამდე მიუშვა სადავე, რომ უარჰყო თვით პუშკინის მოღვაწეობაცა და მთელს შექსპირს ერთი კაი სიგარა ამჯობინა. ამ მიმზიდველმა, ლამაზად მოუბარმა, მაგრამ ხელსუბუქმა ახალგაზრდა მწერალმა ბევრი მოზარდი ყმაწვილი ჩაითრია და ბრმად აიყოლია. პისარევის მიმზიდველს ძალას ვერც ჩვენებურები გადურჩნენ.

ეს ჩათრევა, რასაკვირველია, მარტო პისარევის მიმზიდველობით არ აიხსნება. აქ ყმაწვილის გონების გასატაცებლად უარმყოფელის მიმართულების სითამამე და გაბედულობაც იყო. ყმაწვილის გონებას ისე არა მიიზიდავს-რა, როგორც სითამამე, გაბედულობა. სითამამეს, გაბედულობას, ბევრი ბრწყინვალე მხარე აქვს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ყმაწვილმა მას მიატანოს, რაც ბრწყინავს. პატარა ბავში მაშინვე ხელს გაუწვდის ხოლმე სანთლის ალსა. ჩვენ ამას ვამბობთ მარტო იმ ყმაწვილ-კაცობაზედ, რომელთაც ჯერ გონების თვალი არ უჭრიდათ, რომ მაგ მიმართულების არსებითი ძარღვი ეპოვნათ. არც იმის თქმა გვინდა, რომ უარმყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია-რა. ბულბულივით უაზრო

გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მადა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცუღლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა, ყმა ადამიანად აღიარა და განათავისუფლა.

ჩვენ იმას ვამბობთ, რომ ბოლოს-და-ბოლოს, უფრო პისარევის წყალობით, ბევრი რამ მაგ მიმართულებაში ისეთი იყო, რომ ჩალასავით ტკაცა-ტკუცით აპილპილდა და გონებაგაუხსნელი ყმაწვილ-კაცობა წაიტყუა, როგორც ფარვანა ცეცხლმა. მეორე ნაწილმა ყმაწვილ-კაცობისამ კი, უფრო გონებაგახსნილმა, სრულად შეითვისა ყოველივე კეთილი მაგ მიმართულებისა და ზურგი შეუქცია ტყუილუბრალო ფრაზების ტკაცა-ტკუცსა.

ასე თუ ისე, პისარევის უარყოფა დიდ მოდად შემოვიდა ბრმათათვის. ვისაც ადვილად და მოუმზადებლად კუსავით ფეხის გამოყოფა უნდოდა ქვეყანაზედ, ეგ მოდა უნდა მიეღო. ამისათვის ორიოდე ფრაზა იყო საჭირო. ერთი ის, რომ პოეზია, და ერთობ ხელოვნება, რა ჭკვიანი კაცის საქმეა, ერთი წყვილი წაღა შექსპირს მირჩევნიაო; მეორე — ავტორიტეტები არა მწამსო; მესამე — ისტორია ზღაპარიაო; და მეოთხე — ქვეყანაზედ მარტო გლეხკაცია ადამიანი და თავადი და აზნაური კი არაო. ეს ფრაზები რომ დაგესწავლათ, ლიბერალი იყავით და ლიბერალი. აი სწორედ ამ-გვარ ლიბერალობაში ჩაცვივდნენ ჩვენებურის ყმაწვილ-კაცობის ბევრი წილი. დღესაც, აბა დააკვირდით ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს, თუ ძარტო ამ უთავბოლო ფრაზებით არ იკვებებოდნენ და ქვეყნის სასაცილოდ თავიანთ თავს ლიბერალებად და რადიკალებად არა ხადოდენ. აბა დააკვირდით, თუ ყველგან, საცა გინდა და არ გინდა, სულ ეგ ფრაზები არ წამოსჩხირონ, ფერად-ფერადს ძონძებში გახვეულები.

მინამ სახელოვანი Современник-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების“ ბანაკად გადაიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენიევმა რომ ყოვლის უარმყოფელი ბაზაროვი გამოხატა, Современник-მა თავის მოძ-

მედ არ მიიღო და ითაკილა, თუმც-კი ჭეშმარიტი ლიბერალური მოძრაობა რუსეთში და თვით უარყოფა Современник-ის საქმე იყო და დროშა ლიბერალებისა მას ეჭირა. პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ესე? იმიტომ — რომ Современник-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა ამას გარდაცილებული და ბაზაროვსავით ავისა და კარგის გაურჩეველი. ამ საბით, პისარევმა ჭეშმარიტს ლიბერალობას წინ კი არ გაასწრო, არამედ გვერდზედ გაუხტა, მის მოძღვრებას ნახტომი შეეშალა, ფეხი მოუსხლტა და დაეცა. დაძველდა ის ახალიცა და ჩვენს ლიბერალებს ეგ ჯერ არ შეუტყვიათ.

დღეს რუსეთმა ბევრით წინ წამოიწია. თუმცა რუსეთის კონსერვატორობა ევროპის კონსერვატორობამდე ვერ შემთავრდა და გადიქცა რეტროგრადობად, მაგრამ ლიბერალობამ კი თავი გაიტანა, თავის გზაზედ დადგა და ბევრი რამ შეიძინა. შეიცვალა საუკეთესოდ რუსეთის ლიბერალების აზრი ხელოვნებაზედაც, პოეზიაზედაც, ავტორიტეტებზედაც, გლეხსა და თავადზედაც; ყოველს ამაზედ აზრი უფრო ფართოდ გაიშალა და გაიხსნა მეცნიერების ნათელ-ქვეშ. ცხოვრების შიგნით და ცხოვრების გარეთ ბევრი საგანი ფეხზედ წამოაყენა, ბევრი ძველი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ, ბევრი ახალი აჰნუსხა დასადგენად და ბევრი განსადევნად. მაგრამ რადგანაც ყოველი ესე ჯერ „ჩოტკში“ ჩაგდებული არ არის, ყოველს ამას ჯერ ჯამი არა აქვს გამოყვანილი, რომ მზა-მზარეულად ხელზედ დახვევის მეტი არა უნდოდეს რა, და რადგანაც ჩვენებურს შინ-გამომცხვარს ლიბერალებს ღმერთმა იმოდენა ჭკუა არ მისცათ, თითონ აჰნუსხონ ის, რაც დღეს რუსეთის ლიბერალების მოძღვრებას შეადგენს, ამიტომაც ჩვენი ტყუილი-ლიბერალები დღესაც იმ აზრებში ტრიალებენ, რომელთაც კარგა ხანია თავისი დრო და ჟამი მოიჭამეს, თავისი ჰქმნეს და ჩაილულის წყალი დალიეს. ამ საბით, ჩვენ ბრმა და ცრუპენტელა ლიბერალებს ჭეშმარიტი ლიბერალობა ცხვირ-წინ გაეპარათ, და თუ გაოცების ნიშნად ჯერ პირი არ დაუღიათ,

ვაი ეს რა საქმე მოგვსვლიაო, ეგ იმიტომ, რომ ჯერ არ შეუტყვიათ, რა დღეში არიან ჩაცვივნულები.

თუმცა „მამების და შვილების“ ბრძოლამ რუსეთში ბრმად აიყოლია ჩვენებური ყმაწვილ-კაცობა და იმ ბრმად აყოლილებმა ეგ ბრძოლა ჩვენშიაც გადმოიტანეს, მაგრამ ჩვენის ყმაწვილ-კაცობის სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ მათგანმა თითო-ოროლამ გამოინაპირა და თავისი შეცდომა მალე იცნო, გამოვიდა და ცალკე გუნდად დადგა ცხოვრების მოედანზედ. მას აქეთ ჩვენშიაც ყმაწვილ-კაცობა ორ ბანაკად გაიყო: ერთში მოექცნენ ისინი, ვისაც რუსეთის უარმყოფელის მიმართულებიდამ ოთხ ზემოხსენებულ ფრაზებს გარდა არა გამოეტანათ რა, მეორეში — ახალის გუნდის მომხრენი. პირველებმა დაიხვიეს ხელზედ რუსეთის „მამა-შვილობა“, ენაზედ დაიკერეს ზემოთ მოყვანილი ოთხი ფრაზა და დღეს-აქამომდე აწიოწყოს იძახიან და იოლად მიდიან. მეორეები კი დააკვირდნენ ჩვენის ქვეყნის ვითარებასა და ნახეს, რომ ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს. სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰღაღადებს და, მაშასადამე, ჩვენებური ლიბერალობა სულ სხვა რასმეზედ უნდა მიიქცეს მთელის თავისის ძალღონითა. და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო და „მამებსა და შვილებს“ შუა მიჯნად დადებულიყო. ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენის დაცემულის ვ ი ნ ა ო ბ ი ს აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან. რომ ეგ ფათერაკი მოსალოდნელი იყო და დღესაც თავიდამ არ აგვცდენია, — ყველასათვის ცხადზედ ცხადია.

იმ ახალმა გუნდმა მთელი თავისი ღონე მაგ საგანს მიჰმართა. მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრა მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარასა სცემდენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენის პოეზიისა, სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგა-

ლობდნენ დღეს-აქამომდე. მართალია, ჩვენის „ვინაობის“ აღსადგენად მაგ ახალს გუნდს ბევრი არა უქმნია რა, რადგანაც იმისათვის საჭირო მეცნიერებაში და ცოდნაში კარგა ქვეითობდნენ. მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ მაგ მიმართულებას მიაგნეს და ჩვენს ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფეხი მოაკიდებინეს. ისიც დიდი ამბავი იქნება, თუ ამ გუნდმა ამ საგანზედ მოახედა ჩვენი ალმაცერად მაყურებელი თვალი და რაც ძალ-ღონეა, სულ მაგ საქმეს ზედ მოახვია და შესჭიდა. რაც ვერ ჰქმნეს ამათ, იქმონენ სხვანი, ოღონდ ამ მიმართულებამ თავი დაიჭიროს ჩვენს ცხოვრებაში, ღრმად გაიკეთოს ძირი და იმოქმედოს, ვიდრე საჭიროება მოითხოვს.

ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი, ჩვენი კაცი, დღესაც მარტო მაგ მიმართულების მიმდევარი უნდა იყოს ჩვენში. ნურავის ნუ ჰგონია, რომ ეგ მიმართულება, რადგანაც დიდი ხნისაა, იმიტომ ძველია, და რადგანაც ძველია, იმიტომ უკადრისია და სათაკილო ლიბერალებისათვის. დეე ოთხფრაზიანმა ლიბერალებმა ეგრე იფიქრონ, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ. სკოლაა, ბანკია, თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი. ვაყენებთ სადმე კაცს მარშლად, თუ ბანკის გამგებელად, თუ მასწავლებლად, თუ რადმე სხვად, — მაგ მიმართულების სასწორზედ უნდა ავწონოთ. აი ჭეშმარიტის ლიბერალის საქმე რა არის ჩვენში. ჩვენებური რეტროგრადის უნდა იყოს, ვინც ამ ჩვენის დღევანდლის დღის მღაღადებელს ხმას არ გაუგონებს, ყურს მოუყრუებს და არ აჰყვება.

გინდათ „მამა“ დაარქვით ამისთანა კაცს, გინდათ „შვილი“, აქ სახელწოდება არაფერს შუაშია, ოღონდ ეს კი ვიცოდეთ, რომ მაგისთანა კაცი ჩვენი კაცი არ არის.

სლავიანებმა, რომელთ ვინაობასაც სხვადასხვა მტერი მიუჩინა ისტორიამ, სულ ამ საქმეს მოახმარეს თავისი დრო და მეცადინეობა. ამისათვის თავგაწირულ კაცებს დღესაც წმინდანებსავით ლოცულობენ და თაყვანსა-სცემენ. მათი უკეთესი წარმომადგენელნი იმით ქადულობენ, იმით ლიბერალობენ, რომ მაგ საქმეს მისდგომიან და მარტო მაგით სულდგმულობენ. დღესაც მაგ საქმეს ზედ აკვდებიან და, რასაკვირველია, არც მოეშვებიან, ვიდრე თავისას არ გაიტანენ. თავის ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახავად — თავისი წარსული ხელახლად ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით ასწონეს, გოჯით გაზომეს ყოველისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩულად ედვა. გაუცოცხლეს თავიანთ ერს პოეზიის შემწეობით დიდებულნი სახენი ძველის გმირებისა, ქვეყნისათვის თავდადებულებისა, ძველის ქველობისა, ძველის კაცურ-კაცობისა. მოაგონეს, ისტორიის შემწეობით, დავიწყებული სახელოვანნი დღენი წარსულისა, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედა-ენა, ჟამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ერი. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, ჩეხელები არიან.

აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჯურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს. ამისთვის სამყოფი არ არის კაცმა დაისწავლოს პარიზის ყავახანაში მოარული ფრაზები და იმითი თავი მოიტანოს. ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა,

რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს. უამისოდ, იმ მოედანზედ, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, ჯაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წასდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დააჩნევს. ჩვენის მხრით, ამაზედ უკეთესს საგანს, ამაზედ უკეთესს გზას, უკვე სხვაგან გამოცდილს და გამოყენებულს, სხვას ვერას ვუჩვენებთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესეთნი დრონი მეფობენ. „ჯერ მაცოცხლეო, მერე მაფიქრებინე, როგორ გავმდიდრდეო“, — ამბობს ერთი სლავიანი პატრიოტი. ნამდვილად გულშემატკივარმა საქართველოს შვილმა ეს სიტყვები უნდა დაიწეროს გულის-ფიცარზედ და სხვაზედ არაფერზედ არ წაიტყუოს ჰკუა და ხელი.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი.

* *

ამ ერთის თვის განმავლობაში ჩვენში თითქმის სხვაზედ არაფერზედ ლაპარაკობდნენ, გარდა ჩვენის ესრეთ-წოდებულ „დეპუტატებისაგან“ კონვოელებისათვის ვენზელების თხოვნისა. ქუჩაში შეხვედრის დროს ნაცნობები ერთმანეთს მწარეს ღიმილით, ან გაჯავრებულნი ჰკითხავდნენ: „გაიგე, როგორ შევურცხვენივართ ჩვენს დეპუტატებსაო. პოლშელებს უთხოვნიათ, ჩვენს ენას სხვადასხვა უფლება მიანიჭეთ, ჩვენს ქვეყანაშიაც ის ცვლილებანი შემოიღეთ, რომელიც რუსეთს ეღირსა განსვენებულ იმპერატორის ალექსანდრე

ძეორის მეფობის დროს, და ჩვენებს კი ვენზელების მეტი არა უთხოვნიათ რაო".

პირველად დოლი ილია ბახტაძემ დაჰკრა, მას მიჰყვა „დედაკაცების" და „მამაკაცების" ხმაც და მთელმა საზოგადოებამ შეჰქმნა ყაყანი. ყველა სწუხდა, ყველა ცხარობდა.

მაგრამ აქ არც სამწუხარო და არც გასაცხარებელი არა იყო რა. სამწუხარო და გასაცხარებელი უფრო ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ან არა სცოდნია — რა არის „დეპუტატი". ან არა სცოდნია — როგორ „ვირჩევთ" ჩვენ დეპუტატებს.

დეპუტატი არის საზოგადოებისაგან ამორჩეული პირი, რომელმაც საზოგადო საქმეებში თავის ამომრჩეველთ მაგიერ უნდა მონაწილეობა მიიღოს, და თუ რომელსამე მაღალ პირთან გაგზავნიან, საზოგადოების სურვილი და მოთხოვნილება გაჰმაცხადოს.

ახლა ეს გვიბრძანეთ: ვინ ამოირჩია ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

— არავინ.

— ვინ ამოირჩია ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატები?

— არავინ.

ოთხიოდე თუ ხუთიოდ პირნი ერთად შეიკრიბნენ, თავი თვისი თვითვე ამოირჩიეს და გაემგზავრენ პეტერბურგისკენ. იქ ერთს მათგანს, როგორც ნაცნობს, დაჩაგრულმა კონვოელებმა სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ, რომ მიცვალებულ ხელმწიფის სახსოვრად ვენზელები ჩვენც დაგვირიგონო; იმანაც იშუამდგომლა და კონვოელებს ვენზელები უწყალობეს.

ეს ან რა ცოდვაა, ან გული რათ უნდა მოგვდიოდეს! თუკი ევროპაში თვითმფლობელობა, თვითმართველობა და სხვა-დასხვა თვით-უფლებები შემოიღეს, ჩვენ რალა ეგრე უკან ჩამოვრჩით, რომ ერთის სიტყვის და ერთის დაწესებულების შემოღება ვერ შევიძლოთ. შემოვიღეთ თვით-ამორჩევა, და ჩვენმა თვით-ამორჩეულმა დეპუტატებმა თუმცა ბევრი საყვედური მიიღეს, მაგრამ სრულიად უმიზეზოდ.

ხან იმაზედა ვჯავრობთ, ვენზელები რათ ითხოვესო, ხან იმაზედ, რატომ იგივე არ ითხოვეს, .რაც პოლშელმა დეპუტატებმაო. ერთიც და მეორეც უსაფუძვლო ჯავრობაა.

ჩვენი დეპუტატები თვით-ამორჩეულნი იყვნენ, პოლშელები — ამორჩეულნი საზოგადოებისაგან. ჩვენებს უნდა თავის-თავზედ და თავიანთ მეგობრებზედ ეზრუნათ, პოლშელებს — საზოგადოებაზედ; ჩვენებმა თავიანთ ნათესავ, ან მეგობრებ კონვოელებს ვენზელები უთხოვეს, პოლშელებმა ითხოვეს თავიანთი ენის თავისუფლება და თავის ქვეყნისთვის სხვადასხვა უფლება. პოლშელ დეპუტატებმა, გაზეთების სიტყვით, თურმე ერთბაშადა სთქვეს, რუსული არ გვესმისო, რადგან იცოდნენ, რომ მათ ზურგს უკან რამდენიმე მილიონი ხალხი ამოჰფარებოდა, და ეჭირვებოდა — რომ სასამართლოებში და სასწავლებლებში მათი დედა-ენა შემოეღოთ; ამ აზრით იმათ იკისრეს რუსული ენის უცოდინარობა, თუმცა, დარწმუნებული ვართ, ეს ენა იმათ ზოგიერთ ჩვენს „დეპუტატებზედ“ უკეთ ეცოდინებოდათ.

ჩვენი „დეპუტატები“ ასე როგორ შეირცხვენდნენ თავსა; დარწმუნებული ვართ, რო ეკითხათ, ყველა მათგანი იტყოდა, ჩვენ რუსული უფრო კარგად გვესმის, ვიდრე ქართულიო, — ოღონდ, ოღონდ...

ერთის სიტყვით, პოლშელს დეპუტატებს უნდა საზოგადოებაზედ ეზრუნათ და იზრუნეს კიდეც. ჩვენებს უნდა ეზრუნათ ან თავიანთ თავზედ, ან თავიანთ მეგობარ-ნათესავებზედ.

კვლავ თუ გვინდა, რომ ჩვენებმაც ჩვენთვის იზრუნონ, თვით-ამორჩევას თავი დავანებოთ და საზოგადოებრივ ამოვირჩიოთ, ჩვენი სურვილი გამოვუცხადოთ და ისე გავგზავნოთ, სადაც გასაგზავნია; თორემ არ ვიცით, ვინ წავიდა, სად წავიდა, რისთვის წავიდა, და ვიძახით კი — რატომ ესა და ეს არ ითხოვესო, ერთმანეთს ვეღრიჭებით, ვიცინით, — დახე, დახე ჩვენმა დეპუტატებმა რა სახელი გაითქვეს, როგორ მალე უშოვნეს კონვოელებს ვენზელებიო.

ახი არ იქნება, რომ „რევიზორის“ გოროდნიჩი გაგვიჩნდეს საიდანმე და გვითხრას, — რო იცინით, რას იცინით? თქვენს თავს დასცინითო!

* *

ამისთანა სამწუხარო მოვლენასთან, როგორიც არის თვით-ამორჩეულ დეპუტატების წასვლა პეტერბურგში და მათგან ვენზელების თხოვნა, ჩვენს ცხოვრებაში ხანდისხან მოხდება იმისთანა მოვლენა, რომელიც მანუგეშებელ სხივსავით მოგვეფინება ხოლმე.

აპრილის დასასრულს და მაისის დამდეგს ჩვენს საზოგადოებას ცოტაოდენი სიცოცხლე დაეტყობა ხოლმე. ამ დროს მოდის საზოგადო კრება ტფილისის, ქუთაისის ბანკებისა და სხვადასხვა ქველმომქმედ საზოგადოებისა. ჯერ არ ვიცით, როგორ გაივლის წრეულს ეს კრებები ტფილისში, ან ქუთაისში, რა სასიკეთო ნიშნებს შევამჩნევთ ჩვენს ცხოვრებას, ან რა განვითარებას დავატყობთ ამ კრებების შემწეობით.

შემდეგს ნომერში იმედი გვაქვს ვრცელს კორესპონდენციას დავბეჭდავთ ქუთაისის ბანკის კრების თაობაზედ ჩვენს ჟურნალში და სხვა საზოგადო კრებებზედაც მოვილაპარაკებთ, დღეს კი ორიოდ სიტყვა გვინდა ვსთქვათ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის კრებაზედ, რადგან ზოგიერთი მართლადა სასიამოვნო რამ შევნიშნეთ.

ამ კრებამ დაამტკიცა, რომ ჩვენის საზოგადოების წევრნი თვალხუჭანას აღარ თამაშობენ, და რასაც რომელიმე გამგეობა ან დაწესებულება წარუდგენს, გაურჩევლად აღარ ამტკიცებენ. ვინც „თეთრში“ ან „შავში“ აგდებს თავის კენჭს, იცის რისთვისაც აგდებს და რაცა სწადიან.

ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკს წრეულს ცხრაასი თუმანი ჰქონდა დარჩენილი საზოგადო საჭიროებისათვის. დიდი ლაპარაკი ასტყდა ამის თაობაზედ, რაზედ მოიხმარონ ეს ფული და ხანგრძლივის ბაასის შემდეგ ასე დაარიგეს:

ასი თუმანი შესწირეს ბავშებისათვის სადგურის გასამართავად, მიცვალებულ ხელმწიფის სახელზედ.

ასი თუმანი შესწირეს ქართულ თეატრს, ასი — თელავის ქალების სასწავლებელს, და ექვსასი თუმანი — ტფილისის თავად-აზნაურთა სკოლას.

ზოგიერთნი წევრნი ბანკისა მეტად ეწინააღმდეგებოდნენ თეატრისათვის შეწირვას, თუმცა ბევრნი უმტკიცებდნენ, რომ თუ ეს მცირე ფული არ გადასდეთ თეატრისათვის, შეიძლება ქართული თეატრი დაიშალოს და მოგვესპოს ის ერთად-ერთი დაწესებულება, სადაც ჩვენს ენაზედ ვსიამოვნობთ და ზოგჯერ ჭკუასაც ვსწავლობთო. ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი, აქ ამის გარჩევას არ შევუდგებით; შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ საგანს ორჯერ უყარეს კენჭი და ორჯერვე თითქმის ერთი და იგივე რიცხვი მოვიდა შავსა და თეთრს ყუთში. მხოლოდ მეორედ ერთის კენჭითა სძლიეს თეატრის მომხრეთ. ეს ცხადად ამტკიცებს ჩვენს აზრს, რომ ეხლა ყოველი წევრი მნიშვნელობას აძლევს თავის კენჭს და კოჭაობას აღარა თამაშობს. მეორე შესანიშნავი კიდევ ეს იყო, რომ როდესაც საზოგადო კრებამ გადასწყვიტა შესწიროს თელავის სასწავლებელს ასი თუმანი, თან სურვილი გამოაცხადა, რომ ეს ფული ქართულ ენის სწავლების გასაუმჯობესებლად მოხმარებულ იქმნასო.

ეს გარდაწყვეტილება ღირსშესანიშნავია, როგორც ხმა მთელის საზოგადო კრებისა, და — ჩვენის აზრით — საყურადღებოა თვით სწავლა-განათლების გამგეთათვისაც.

ბოლოს შევნიშნავთ კიდევ, რომ ძვირად გვინახავს ჩვენში ესეთი მიუდგომლობა, მიუფერებლობა და პირში თქმა, როგორც ამ კრებაში შეიამჩნიეთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ქუთაისის კრებასაც ღირსეულად შეესრულებინოს თავისი საქმე. და ის ენერგია, სიცხოველე და გაძჭრიახობა, რომელსაც იმერლები ხშირად პირად ინტერესებს ახმარებენ, კეთილისა და საზოგადო საქმესთვის მოეხმარებინოთ.

27 აპრილს

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, ივლისი.

სახელმწიფო მამულების გაცემის თაობაზედ. — საჭიროა ამის წესების შეცვლა. — სახელმწიფო ქონებათა მინისტრის პროექტი. — სწავლა-განათლების მინისტრის ცირკულიარი. — ჩვენი მწვავი ტკივილი. — მიზეზნი ჩვენის სწავლა-განათლების უხეიროდ მსვლელობისა. — ქართველები ცოტანი რათ არიან სასწავლებლებში. — ჩვენი სამღვდელოება არა შველის სწავლა-განათლების საქმეს. — ზოგიერთი რამ ჩვენს სამღვდელოებაზედ. — დეპუტატთა კრება. — სასაცილო ამბავი ამ კრებისა.

„ივერიაში“ ამ ორის-სამის წლის წინათ ნათქვამი იყო, რომ ის წესები, რომელსაც ჩვენებური სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ხმარობს სახელმწიფო მამულების იჯარით გასაცემად, — ისე დახლართულია და დახვლანჭილი, ისე გაბნეული და გამობნეული და ისე შეუფერებელი, რომ კარს უშლის ცხვირ-წინვე იმ ნაწილს ერისას, რომელიც პირდაპირ მწარმოებელია და მიწის-მომქმედი; ეგ წესები თითქო იმისათვის არიან დადგენილნი, რომ ამ ნაწილმა ერისამ თავ-ბედისა ვერა გაიგოს-რა და მითი ისარგებლონ მარტო იმათ, ვინც თითონ არ აჰქმედებს მიწას, და თუ იჯარით იღებს სახელმწიფო მამულებს — მარტო იმისათვის, რომ მიწის პირდაპირ მომქმედს მოგებით და გადამეტებულ ფასად გადასცეს. ჩვენებური გლეხკაცობა, რომელიც სუნით ეძებს მამულებს და რომელსაც სახელმწიფო მამულების იჯარით აღება ცხონებასავით ენატრება, ვერას-გზით ვერ აისრულებს მაგ ნატვრას, ვიდრე მაგისთანა

წესები დარჩება და საწყალი მიწის-მომქმედი ხარბის მოიჯარადრის ხელში იქნება. მაგ წესების უმთავრესი ნაკლულევანება ის არის, რომ როცა იჯარით გაცემის ვაჭრობაა ხოლმე დანიშნული, გლეხკაცობა ვერ იტყობს. თუმცა რუსულ გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე, მაგრამ სად გლეხკაცი და სად გაზეთი, მერე ჩვენებური გლეხკაცი და რუსული გაზეთი. ამის გამო, მაგ ვაჭრობაზედ ქალაქელების მეტი არავინ ესწრობა. ამითი ორნაირი ვნება გამოდის. ერთი ის, რომ მამულები ჩალის ფასად რჩებათ ქალაქელებს, რადგანაც გლეხკაცობა, ესე იგი ისინი, ვინც მამულის ფასი კარგად იცის, ვინც პირდაპირი მომქმედია და ვინც ამის გამო მძლავრ მოცილედ წინ დაუდგება ქალაქელებს, ვაჭრობაში არ შემოდის და ქალაქელებს მამულები უცილებლად რჩებათ. ამით შემოსავალი აკლდება სახელმწიფოს. მეორე ისა, რომ გლეხკაცი ტყუილ-უბრალოდ შუაში იჭყლიტება, რადგანაც ქალაქელი იღებს მამულს იჯარით მარტო იმის იმედით, რომ გლეხკაცსავე გადასცეს და ერთი-ორად, ერთი-სამად და ზოგჯერ ერთი-ათადაც მეტი გამოჰგლიჯოს. ერთის მხრით სახელმწიფო ჰკარგავს, მეორეს მხრით გლეხი, და ამის დაკარგვა ისევ სახელმწიფოს დაკარგვაა, რადგანაც სახელმწიფოს, ჯერ-ხანობით მაინც, გლეხი აცხოვრებს. გარდა ამისა, თვით ვაჭრობის წესები მეტად რთულია, გადაბმულ-გადმობმული. მათს შესრულებას ბევრი დრო, მოცალეობა და ხარჯი უნდა, ასე რომ გლეხკაცი თავ-ბედს იწყევლის, ვიდრე საქმეს საქმეზედ მოიყვანს. ამ მხრითაც მაგ წესებს შეცვლა უნდა და განმარტივება, რომ გლეხკაცს სახელმწიფო ქონებათა გამგეობასთან ადვილად საქმის დაჭერა მოუხერხდეს.

რასაკვირველია, თუ სახელმწიფო ქონებათა გამგეობა საქმეს საქმის თვალით უყურებს, სანატრელი უნდა იყოს, რომ იჯარით გაცემა მამულებისა ადვილად შესასრულებელ წესებით მოეწყოს, და მერე — რომ უფრო ბევრი მოვაჭრე დაესწროს ვაჭრობაზედ და მერე იმისთანა მოვაჭრე, რომელიც პირდაპირი მუშაა მიწისა. მაშინ მამულის იჯარის ფასიც აიწევს

და გლეხკაცს კი მაინც უფრო იაფად დაუჯდება, ვიდრე მაშინ, როცა ხარბის მოიჯარადრისაგან აიღებს მამულს.

ამ ბოლოს ხანებში რუსეთში სცნეს მაგ წესების უხეირობა და უვარგისობა. ეხლა-ხანს სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრთა კომიტეტში იმის შესახებ, რომ გლეხკაცობას როგორმე გაუადვილოს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება. ეხლანდელს პროექტს მინისტრისას უმთავრეს აზრად ისა აქვს, რომ გლეხკაცობას მიეცეს ღონისძიება და გზა იჯარით იღოს სახელმწიფო მამული პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან და მათ შუა არ ჩაეჩხიროს სხვა კაცი გლეხკაცის საწეწად. ჩვენ ჯერ დარწმუნებით არ ვიცით, რა ღონისძიებაა და გზა ნაჩვენები, რომ ეს ფრიად საკეთილო აზრი განხორციელდეს საქმით. ჩვენ თუ ამ საგანზედ მოვიტანეთ სიტყვა, იმიტომ მოვიტანეთ, რომ აქაურმა მთავრობამაც მიაქციოს ამ საგანს თავისი ყურადღება და აქაურობის საჭიროების მიხედვით შესცვალოს უხეირო და დახლართული წესები სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემისა. დედააზრად ის უნდა წაიმძღვაროს, რომ გლეხკაცობას საკუთრივ და მიწათ-მომქმედს საერთოდ გზა და ღონისძიება მისცეს სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისა პირდაპირ სახელმწიფო ქონების გამგეობისაგან.

* *

ახალმა მინისტრმა განათლებისამ ბარონმა ნიკოლაიმ გამოაცხადა ცირკულიარი სამოსწავლო მაზრების მზრუნველთა მიმართ. ეს ცირკულიარი თუმცა დაწვრილებით არას ამბობს საერო განათლების შესახებ, მაგრამ შიგ ზოგიერთი ზოგადი აზრია ისეთი, რომ მეტი არ იქნება საზოგადოების ყურადღება ძივაქციოთ და გულში კარგად ჩავინარჩუნოთ, — იქნება როდისმე ჩვენც გამოგვადგეს. ბ-ნი მინისტრი აუწყებს მზრუნველებს, რომ გარდა იმისა, რომ თქვენ უპირატესნი წარმომადგენელნი ხართ თავ-თავის ადგილას მთავრობის მზრუნველობისა

საერო განათლების საქმეშიო, თქვენ სხვა მოვალეობაც კისრად გდევთო. ადგილობრივ მოხელეობასთან და საზოგადოებასთან გაუწყვეტელი კავშირი უნდა იქონიოთ და ადგილობრივის საჭიროებისა და უმაღლესის მთავრობის შორის შუამავალნი თქვენ უნდა იყოთო. თუ ეს აზრი ჩვენშიაც გადმოვიდა, მაშინ აქაური მოხელენი განათლებისა ისე ალმაცერად აღარ დაუწყებენ ყურებას აქაურის საზოგადოების მოთხოვნილებას და საჭიროებას და ერთსაც და მეორესაც ძალაუნებურად ფასს რასმე დასდებენ, მაინც-და-მაინც ყურსაც არის ათხოვებენ და დაცინებით გვერდთ აღარ ჩაუვლიან, როგორც აქამომდე შვრებოდნენ.

სკოლამ არ უნდა დააშოროს მოწაფე შინაურობას, ოჯახობასაო, ამბობს მეორე ადგილას ბ-ნი მინისტრი. ძალიან არა სრულდება ეს ყოვლად საქები და გონიერი სურვილი მინისტრისა ჩვენებურ პედაგოგების ხელში, რომელნიც დღეს-აქამომდე ესე წინ-დაუხედავად ეურჩებიან ყოველს იმას, რაც კი სკოლისა და ოჯახის კავშირის დამკვიდრებას შველის! ძალიან არ დამკვიდრდება ეს კავშირი, როცა ჩვენებური ბავში შინაურს გარეთ ფეხს გამოადგამს თუ არა და სკოლის დირეს გადააბიჯებს, თავისას აღარაფერს არც ნახავს, არც გაიგონებს...

დირექტორები და ინსპექტორები საერო სკოლებისა, როგორც პირდაპირნი მოხელენი საერო განათლების სამინისტროსი, უნდა იყვნენ მოხელეებად მთავრობის მზრუნველობისა და არა საზოგადოების თვითმოქმედების შემავიწროებელადაო, ამბობს აგრეთვე ბ-ნი მინისტრი. თვითმოქმედება საზოგადოებისა მათგან პატივცემულ და წახალისებულ უნდა იყოსო. სასურველია გულში ჩანერგული ჰქონდეთო, რომ ისინი საზოგადო საქმის მსახურნი არიან და არა მბრძანებლებიო. — ძალიან დიდი პატივისცემა და წახალისება არ არის საზოგადოების თვითმოქმედებისა, რომ წელიწად-ნახევარია რამდენიმე სოფლის საზოგადოების განჩინება სკოლის გამართვის შესახებ ჰყრია დღეს-აქამომდე გუბერნიის სამართველოში დასამტკიცებლად და არ იქნა, ეგ დამტკიცება არ ეღირსა. ღმერ-

ამანი, ან ერთმა დირექტორმა და ინსპექტორმა ამისათვის თითი დასძრა და! შენც არ მომიკვდე!.. საწყალი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რაც შეუძლიან, თავისის მხრით ცდილობს, და არამც თუ დაამტკიცებინა, ადგილიდამაც ვერ დააძვრევინა ვერც ერთი განჩინება.

თუ ღმერთმა ჰქნა და ბ-ნ მინისტრის ცირკულიარმა კავკასიის მთებს გადმოაბიჯა, გარდა ამისა თვალყური ადევნა ვინმემ, რომ თქმული ქმნულად იქცეს, მაშინ იქნება ჩვენებურ პედაგოგების ხელით ამოქოლვილი კარი განათლებისა ჩვენს ერსაც გაელოს. იქნება მაშინ ჩვენც გვეშველოს რამე, იმ დრომდე კი დეე ინავარდონ, ვინც აქამდის ნავარდობდა ჩვენის ერის განათლების მოედანზედ.

ჩვენი ჯერ-ხანად უკურნებელი ტკივილი და ძალიან მწვავი ტკივილიც ის არის, რომ ჩვენის ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე მეტად ცუდად არის მოწყობილი და პატრონი არ არის, რომ ყურადღება მიაქციონ და რაც შეიძლება შესცვალონ და გაასწორონ. ნაკლულევანება ამ მოწყობილობისა ხშირად და ვრცლად ყოფილა ნაჩვენები აქაურ მწერლობაში. მაგრამ მითამ კედელზედ ცერცვი შეგიყრია, არავის ყურიც არ გაუბერტყნია. ან რად უნდოდათ, რომ ყური გაებერტყნათ? სწავლა-განათლების საქმე ვანა იმისთანა დიდი რამ არის, რომ ამისათვის თავი გაიცხელონ. ვისიც ჯერ არს. იქნებიან ერთი ათიოთხუთმეტი წელიწადი, მერე იტყვიან: „უკაცრავად, თქვენთან დანაშაული მაქვსო“, დაჰკრეხენ ფეხსა და წავლენ. ვინ არის პატრონი? ვინ არის გამჩხრეკი? ერთი შიგ ჩახედონ აქაურს პედაგოგებს გულში გამჭრიახის თვალით და ნახონ, რა ღვარძლი აქვთ იმისთანა, რომ ესე ხანგრძლივ და შეუბრალებლად გესლავენ ჩვენს სწავლა-განათლების საქმეს. ერთი იკითხონ, სწავლა-განათლების მეტს სხვას რას ეძებენ და რათ ეძებენ ჩვენებური პედაგოგები? რას იზამ? გამკითხველი ვინ არის? არიან და ფარფაშობენ.

აქაურის სწავლა-განათლების მზრუნველის 1880 წლის ანგარიში რომ გადაათვალიეროთ, ნახავთ, რომ სწავლა-განათლება ჩვენში ტაატით მიდის და გულ-აცრუებით საზოგადოდ და

ქართველობისათვის საკუთრივ; ნახავთ, რომ აქ, ჩვენში, სწავლა-განათლებას ყველანი ძალიან ნაკლებად ეწაფებიან და ქართველები ხომ ნაკლებ და ნაკლებ. კურსშესრულებულები გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში სულ 52 კაცია. ამათში რუსი 24, სომეხი 15, ქართველი 4, თათარი 1, მთის მცხოვრები 1, ევროპიელნი 7. მცხოვრებთა კვალობაზედ ერთი გიმნაზიელი რუსებს მოსდით 833 კაცზედ, სომხებს 1,111 კაცზედ, ქართველებს 1,666-ზედ, მთის ხალხს 10,000-ზედ და თათრებს 12,500-ზედ. გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში ჩვიდმეტზედ მეტი მოსწავლე არ მოდის ქართველი, მაშინ როდესაც რუსი ორმოცდა-ცხრაზედ მეტია და სომეხი ოც-და-ერთზედ მეტი. თითონ ტფილისის გიმნაზიაში ასში 41 რუსია, 31 სომეხი, ქარველი კი მარტო 16. საზოგადოდ ასს შეგირდში რუსია 35, თათარი 18, სომეხი 18, ლეკები და სხვა მთის ხალხი 11 და ქართველნი კი 10.

რას უნდა მივაწეროთ ესრეთი მცირედობა მოსწავლეთა რიცხვისა საზოგადოდ და ქართველებისა საკუთრივ? აქ მიზეზი ორ-გვარია: ერთი საზოგადოა, მეორე საკუთრივ ქართველობას შეეხება. საზოგადო მიზეზს შეადგენს სასწავლებლის პროგრამების უთავ-ბოლობა და უმსგავსობა, იმიტომ რომ ის პროგრამები არ ეშესაბამება არც პედაგოგიურს მოთხოვნილებას, არც აქაურს ვითარებას და არც ბავშის ძალ-ღონეზედ არის დაფუძნებული. თითონ სასწავლებელნი ცოტანი არიან, და რაც არიან — ისიც ერთს ალაგას, ქალაქებში ჯგუფად თავმოყრილნი და არა გაფანტულნი და მორიგებულნი საჭიროებისამებრ სხვადასხვა ადგილას, ასე რომ მწყურვალნი ვერ მისწვდომიან. გარდა მაგისა, სწავლა-განათლების საქმისათვის მეტად ცოტა ფულია ერთობ დანიშნული, — სულ მთელს კავკასიაზედ 822,246 მანეთია. თითო სულზედ $15^1/_3$ კაპეიკი მოდის. ეს, ჩვენის ფიქრით, საზოგადო მიზეზია. საკუთრივ ქართველების საქმეს კი სხვა მიზეზიც აბრკოლებს.

პირველი მიზეზი ის არის, რომ ქართველები უფრო სოფლად მცხოვრებნი არიან, სასწავლებლები კი ქალაქებშია, მაშასადამე სასწავლებელზედ ქართველები შორს არიან და მოკლებულნიც ღონისძიებას შვილების განათლებისას. რუსები — რო-

გორც მოხელეობის მქონენი და სომხები — როგორც ვაჭრები, სულ სხვა ყოფაში არიან ამ მხრით. ესენი სულ თითქმის ქალაქებში სცხოვრებენ, ესე იგი სასწავლებელზედ ახლო, ამიტომაც ეადვილებათ შვილების აღზრდა და შენახვა. მეორე მიზეზი, რომ სომხების და სხვა რჯულის ხალხნი ქართველებზედ მეტნი სწავლობენ, ის არის, რომ სწავლა-განათლების საქმეს დიდს ხელს უწყობენ სომხისა თუ სხვა რჯულის ხალხის სამღვდელოება. ძნელად იპოვით სომხის მღვდელს და ან მაჰმადიანების მოლას, რომ თავის სამწყსოში სკოლა არა ჰქონდეს. კარგნი არიან ეს სასწავლებლები, თუ ცუდნი, იმით მაინც შველიან სწავლა-განათლების საქმეს, რომ პირველ ხანებში ბავშს დედა-ენის შემწეობით ცდილობენ გაუხსნან გონება, დედა-ენას ასწავლიან და წერა-კითხვას ავრცელებენ. ამ მიზეზით, რასაკვირველია, რიცხვი მოსწავლეთა — სომხისა, თუ სხვა რჯულის ხალხისა, მეტი იქნება ქართველებზედ. ქართველები ამ შემწეობას მოკლებულნი არიან იმიტომ, რომ ჩვენი სამღვდელოება ამ-გვარ საქმისათვის უღონოა და ამ უღონობით ძალაუნებურად გულ-ხელდაკრეფილია. ეგრეც იქნება დიდხანს, იმიტომ რომ ჩვენი სამღვდელოება თითონ იწვრთნება იმისთანა სემინარიაში, საცა დედა-ენას იმ ერისას, რომელ შორისაც ჩვენმა სემინარიელმა უნდა იმოძღვროს, სემინარიაში ისე ასწავლიან, რომ არ-სწავლება სჯობიან. ამისათვის ჩვენი უენო სამღვდელოება ძალაუნებურად უქმია იქ, საცა დიდი შემწეობა ეგრე ადვილი და შესაძლებელია. უქმია არამც თუ ერის სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ერის მოძღვრების საქმეშიაც. დამუნჯდა ამის გამო ჩვენის ეკლესიების კათედრა, გაუქმდა ყოვლად ძლიერი ქადაგება, წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამკითხველი არავინ არის. თუ სემინარიის მმართველებმა ამ საგანს ასე ყური მოუყრუეს და სემინარიის პროგრამას არა უხერხეს-რა დედა-ენის სწავლების შესახებ, არამც თუ ჩვენს საქმეს სწავლაგანათლებისას გზა წარემართება, არამედ თითონ მოძღვრობის საქმეც იქამდის მივა, რომ ჩვენი ერი იძულებული შეიქმნება „პერევოჩიკის“ შემწეობით გაენდოს ხოლმე თავის მოძღვარსა. თუ ეს მოსალოდნელი არ

არის, აი თვალწინ აფხაზების მაგალითი გვიდგა. იქ იმისთანა მღვდლები თურმე დაუნიშნავთ, რომელთაც პურის დასახელებაც არ იციან თურმე აფხაზურად. აბა, აფხაზები ამათ როგორ უნდა გაენდვნენ, თუ არ „პერევოჩიკის“ შემწეობითა? თუ თითონ ერი არ გებრალებათ, ხაზინას მაინც გაუფრთხილდით, თორემ „პერევოჩიკების“ დაჭერა მოგინდებათ და, მაშასადამე, ჯამაგირების ძლევაცა.

ეხლა-ხან აქაურ საეპარქიო სამღვდელოების დეპუტატები მოწვეულ იყვნენ ქალაქში. იმათ წარმოსთქვეს, რომ საჭიროა სასულიერო სასწავლებელში ქართული ენა რიგიანად ისწავლებოდეს, რადგანაც უენო მოძღვარი მოძღვრობას ვერ იზამსო. პასუხად უთხრეს, აბა ჯიბეს ხელი გაიკარითო, ქისებს პირი მოხსენითო და მერე ვიფიქრებთო. პასუხი თუ გინდათ ეს არის. ამისთანა პასუხი ასე მძიმე საგანზედ მარტო იმის პირისაგან თუ ამოვა, რომელსაც საქმისათვის გული არ უცემს. განა, თუ მღვდლებმა ამისათვის ფული არ გამოიღეს, მთავრობამ ამ საგნისათვის ხელი არ უნდა გასძრას?! ნუთუ მთავრობის უუწმინდესს მოვალეობას არ შეადგენს მზრუნველობა, რომ ერს იმისთანა მოძღვრები მოუმზადოს, რომელთაც ღონისძიება ჰქონდეთ სამწყსოს გააგებინონ რამე და თითონაც სამწყსოსი გაიგონ. მოძღვარის ფარ-ხმალი ენაა. თუ ენა არ ეცოდინება, უქმია იმისი თანამდებობა. ენა ერისა იმოდენად საჭიროა ერის მოძღვრისათვის, რომ სამღვდელოებამ თითონაც არ ინდომოს, მთავრობამ ძალად უნდა მოანდომებინოს, და თუ მაგისათვის საჭიროა ხარჯი, თითონ მთავრობამ უნდა იკისროს. ნუთუ აქაური მმართველობა სამღვდელოებისა ჰფიქრობს, რომ თუ თითონ მღვდლებმა ამისათვის ფული არ გამოიღეს, საქმე ამით უნდა გათავდეს! ნუთუ ამ მიზეზით უნდა ამოიკვეთოს ქართულის ენის სახსენებელი საქართველოს სასულიერო სასწავლებელთა შორის! ნუთუ ჰგონიათ, რომ სარწმუნოების საქმეს ამით არა დაუშავდება-რა ჩვენში! ნეტარ არიან უმეცარნი და ყრუნი...

სასაცილო იყო ამ დეპუტატების მოწვევა. ყველგან და ყო-

კელთვის, საცა-კი კრებაა ხოლმე დანიშნული, აუცილებელ წესად მიღებულია, რომ კრებისაგან გასარჩევი საგნები წინათ დანიშნული და გამოცხადებული უნდა იყოს, ნამეტნავად მაშინ, როცა კრება ამორჩეულ პირთაგან უნდა შესდგეს. ეგ წესი იმიტომ არის, რომ ამომრჩევლებმა საქმის სიდიდეს და სიმძიმეს შეურჩიონ შესაფერი კაცები და თითონ წევრთაც დრო და ღონისძიება ჰქონდეთ ყოველ-მხრივ მოიფიქრონ და მოისაზრონ კრებისათვის დანიშნული საგნები. ჩვენმა დეპუტატებმა-კი არამც თუ არ იცოდნენ, რისთვის იყვნენ მოწვეულნი, ისიც არ იცოდნენ, ამოდენა ქალაქში სად უნდა ჰპოვაოთ თავი. საწყლები ჩაიკიდნენ, ხან სად მიაწყდნენ, ხან სად, და ბოლოს ძლივს იშოვეს ერთი ოთახი და როგორც იყო კრება გამართეს. ყველაფერი გაგვიგონია ჩვენს ბედნიერს ქვეყანაში და ამისთანა სასაცილო ამბავი-კი პირველია. ეჰ, კურთხეულო რუსთაველო! შენ რამდენი ხანია გითქვამს:

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?“.

X

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, სექტემბერი.

ლოდინი. — არქეოლოგიური კრება. — თ. ლევან მელიქიშვილის სიტყვა. — ბ-ნი ილოვაისკის სიტყვა. — მისი თხოვნა. — ტფილისის მუზეუმი. — ბ-ნი ვირხოვი. — გორის საქალებო სკოლა. — ახალი გაზეთი „შრომა“.

ბევრს წყალს ჩაუვლია ქვეყანაზედ, მაგრამ, გვგონია, ადამიანს ბევრჯელ არ ენახოს ამისთანა გამოურკვეველი ყოფა, რა ყოფაშიაც . . . . . *) ერთობ გულდაწყვეტილია ყველა, ძალღონე-მიხდილია, მოდუნებული. ჰაერი გარშემო დახშულია, ადამიანს სული უგუბდება, სული გვამში ვეღარ მოუტრიალებია, სულით და გულით დახუთულია, გონებით დალაბრებული, გრძნობით მიცვეთილი. თითქო მთელს აგებულებაში ტყვია ჩაუსხამთო, ისე დამძიმებული, გულდაწყვეტილია დღეს ადამიანი. ადამიანს რაღაცა ჰწყურიან, რაღაცა ჰშიან, რაღაცას ეტანება მთელის თავის არსებითა, მაგრამ... მისაწვდომს ვერ მისწვდომია. გვიჭყეტია თვალები და თავ-გაბრუებულები შევყურებთ ხვალინდელს დღესა. რა იმედით? რა ნუგეშით? არვინ იცის. ეს კი ვიცით ყველამ, რომ გუშინდელი ყველას მოსწყინდა, დღევანდელი ყველას შესძაგდა, და თუ დაგვრჩა რამე ნიშნად სიცოცხლისა, სულდგმულობისა,—

---

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

ეგ ხვალინდელის ლოდინია. გული ნდომით დამძიმებულია და სული მაგ ლოდინითა. სულ ველით, რაღაცას ველით გამსუნაგებით, მაგრამ ლოდინი ლოდინად გვრჩება. ეგ ლოდინია საყოველთაო სატკივარი დღევანდელის დღისა, ეგ ლოდინია ის ახალი სენი, რომელიც დიდსა თუ პატარას დღეს აგებულებაში ჩასდგომია და რომელიც ყოველს საქმეში, ყოველ შემთხვევაში გვათქმევინებს ხოლმე: ვინ იცის, ხვალ რა იქნებაო.

ეგ ლოდინი ისე არავის სულს არ უხუთავს, როგორც იმას, ვისაც გული სხვისთვისაც ისე უცემს, როგორც თავისთვის, ვისაც სხვისი ბედი თავის ბედთან შეუერთებია, ვისაც „მე და ჩვენ“ განუყოფელად მიაჩნია, ერთ-არსებად ურწმენია, ერთის სიტყვით — ვინც მამულის-შვილობის სახელის ღირსი შექმნილა . . . . . *) სული დრტვინავს, გული ჰკვნესის ამაო ლოდინის გამო. შესვა, შეჰლია მაგ ლოდინმა მთელი ჩვენი მხნეობა, ქანცი გაგვიწყდა, და — აჰა! — თუ ამ დაუსრულებელს სიბნელეში ერთი მცირედი რამ შუქი აღმოჩნდეს ადამიანის ნუგეშად!... საშინელი ყოფაა ეს ყოფა ადამიანისათვის. ეგ საშინელება თითქო დაუსრულებელიაო. . . . *)

ამისთანა მდგომარეობაში ყოველივე არა-ჩვეულებრივი ამბავი კაცს ცოტაოდნად მაინც გამოაცოცხლებს ხოლმე და ლოდინით გაბრუებულს გონებას გამოუფხიზლებს. ამისთანა ამბავი ჩვენ ქართველებისათვის ის არის, რომ დღეს ჩვენს დედა-ქალაქში არქეოლოგიური კრებაა გამართული. რვას ამ თვეს პირველი სხდომა იყო. ეს პირველი მაგალითია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი ღირსი გახდა მეცნიერთა კრებისა. განსაკუთრებით შესანიშნავი ეს არის, რომ არც ერთს სხვა ქალაქში რუსეთში, საცა კი ამ-გვარი კრება ყოფილა, ამოდენა ხალხი არ შეყრილა კრებაზედ, როგორც აქ, ტფილისში, შეიყარა. შვიდასი კაცი მეტი დაესწრო, მაშინ როდესაც ამისთანა კრებაზედვე ყაზანში და კიევ-

* აქ ცენზურის მიერ ამოღებულია ადგილი.

რედ.

ში ორასზედ მეტი არ დასწრებულა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ყაზანსა და კიევში უნივერსიტეტებია და, მაშასადამე, უფრო დიდძალი ხალხი უნდა დასწრებოდა.

პირველს საათზედ მობრძანდა თ. ლევან მელიქიშვილი თავისის ამალითა და წარმოსთქვა ეს მოკლე სიტყვა: „დიდმა მთავარმა ნამესტნიკმა, როცა აქედამ წაბრძანდა, მე მიბრძანა, რომ მეხუთე არქეოლოგიური კრება გავხსნაო. დიდ პატივად მიმაჩნია, რომ მე მომეცა შემთხვევა ამის აღსრულებისაო. სიხარულით მომირთმევია ჩემი სალამიო უცხო ქვეყნელთ და ჩვენებურ მეცნიერთათვისაო, რომელნიც დღეს ჩვენ გვეწვივნენო“. ამის შემდეგ გრაფმა უვაროვმა წარმოსთქვა მოკლე ისტორია არქეოლოგიურ კრების დადგინებისა რუსეთში საერთოდ და ჩვენში საკუთრივ. მერე ღენერალმა კამაროვმა კრებას წარუდგინა ანგარიში ფულისა, რომელიც მთავრობისაგან გადადებული იყო ამ მეხუთე კრების სახარჯოდ. ბოლოს ავიდა კათედრაზედ მოსკოვის მეცნიერი ისტორიკოსი ილოვაისკი და წარმოსთქვა გრძელი და ფრიად უგემური სიტყვა. საგანი მისის სიტყვისა უფრო ის იყო, თუ როგორი დაახლოება ჰქონია უწინდელს დროში რუსეთთან კავკასიას საერთოდ და საქართველოს საკუთრივ. ამის შესახებ ახალი არა უთქვამს-რა და რაცა სთქვა, ისიც ასეთი რამ იყო, რომ ყველა ანბანში ადვილად საპოვნელია. ერთმა ადგილმა ბ-ნ ილოვაისკის სიტყვაში მიიქცია ჩვენი ყურადღება, მერე ისე, რომ კინაღამ სიცილი არ წაგვცდა. ბ-ნმა ილოვაისკიმ უადგილო ადგილას წარმოსთქვა სხვათა შორის: „გთხოვთ, მშვენიერო კავკასიო, გადაგვიხსნა შენი გული და გვაჩვენო აუარებელი სიმდიდრე, რომელიც შიგა და გარეთ ეგრე უხვად მოფენილი გაქვსო“. ბატონო და თუ ცალიერი თხოვნა მაგის შემძლებელი ყოფილიყო, ქართველებს თხოვნის მიცემას, თუნდ ღერბიან ქაღალდზედ, ვინ დაასწრობდა? მითამ ქართველებს სიმდიდრე არ გვეჭირვება თუ? აი, ნეტავი, თხოვნის მეტი არა უნდოდეს-რა, რომ ჩვენმა ქვეყანამ თავისი საუნჯე და სიმდიდრე თავის გულიდამ ამოიღოს და ჩვენ მოგვცეს და, მგონია, თხოვნას ჩვენ ვერავინ დაგვასწრობდა. აქ, ბატო-

ნო, თხოვნის და ვედრების საქმე კი არ არის, მეცნიერებით აღჭურვილის მეცადინეობის საქმეა. თუ გინდათ, რომ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრე ადამიანს ჩაუვარდეს ხელში, ხვეწნას და ღრეჭას თავი დაანებეთ და მეცნიერების ფარ-ხმალით შემოსეთ აქაურობა, თორემ მოსულხართ და დედამიწას დასძახით: გთხოვთო. გთხოვთ, რა პასუხია! ბ-ნ ილოვაისკის სიტყვაში, რასაკვირველია, ხშირად იყო ხმარებული დიდებული რუსეთი და მართლმადიდებელი რუსეთი. საცა კი რუსეთი ახსენა, ან ერთი ზედშესრული მიაკერა, ან მეორე. ყველაზედ მომეტებული ტაში ბ-ნს ილოვაისკის ერგო იმ დღეს და, სწორედ მოგახსენოთ, ღირსიც იყო, თუ არ გამიწყრებით.

სხდომა იმ დღეს თითქმის ამით გათავდა. აქედამ ხალხი გაიწვიეს სხვა ოთახებში, საცა ძველი ნივთები და ხელნაწერი წიგნები იყო გამოფენილი. აქ ბევრი არა იყო-რა. ყველაზედ მეტი ყურადღება ყუბანიდამ მოტანილ ნივთებმა მიიზიდეს. ერთი მცოდნე პირი ამბობდა ყუბანიდამ მოტანილ ნივთებზედ, რომ ეგ ნივთები არქეოლოგიისათვის ფას-დაუდებელიაო. იქნება ეგრეც იყოს.

შემდეგ ხალხი წავიდა მუზეუმის სანახავად. მუზეუმის აღწერა შორს წავა. ამას კი ვიტყვით, რომ ჩვენი ტფილისის მუზეუმი დიდის გემოვნებით და მეცადინეობით არის მოწყობილი. სახელი და დიდება ბ-ნს რადეს, მუზეუმის გამგებელს. მართლა რომ მოსაწონი რამ არის, ლამაზად მოწყობილი და კოპწიად მორთული. ჩვენ ყველას ვურჩევთ თავისის თვალითა ნახოს და დარწმუნებული ვართ, მადლობელნი დაგვირჩებიან.

ყველაზედ შესანიშნავი ამ კრებაზედ ბ-ნი ვირხოვია, გამოჩენილი მეცნიერი და მთელს ქვეყნიერობაზედ სახელგანთქმული. კაცი არ იყო კრებაზედ, რომ არ ეკითხნა: აბა ერთი ვირხოვი რომელია, გვაჩვენეთო. თითონ ვირხოვი ტანად დაბალი კაცია, ჭაღარა-მორეული, სამოცის წლისა იქნება, მაგრამ ისეთი ცქვიტი და ცოცხალია, ისეთი მკვირცხლი თვალები აქვს, რომ გეგონებათ — ოც-და-ათის წლის კაციაო. ეს იმისთანა კაცია, რომ მნახველს საკვეხურად უნდა ექმნას მისი

ნახვა. გარდა ამისა, რომ იგი მეცნიერობით განთქმულია, ბერლინის პარლამენტში ერთი ძლიერი მოპირდაპირეა ყოვლად-შემძლე ბისმარკისა და ამასთანავე პროგრესისტების წინამძღომელი არის.

* *

ამ შესანიშნავ ამბავთან ორი შესანიშნავი ამბავიც კიდევ სხვა მოხდა ჩვენს უფერულს ცხოვრებაში: გაიმართა გორში ქალების სასწავლებელი და დაიბადა ქუთაისში ახალი გაზეთი „შრომა“.

ვინ არ იცის, რომ თავი და ბოლო ჩვენის უღონობისა, უკან ჩამორჩომისა, ჩვენის უბედურებისა, — უმეცრება და უსწავლელობაა. ესეც ყველამ იცის, რომ უმეცრების და უსწავლელობის წამალი სხვათა შორის სკოლაა. სხვათა შორის-მეთქი, სხვათა შორის კი არა, ერთი უპირველესი და უმთავრესი ღონისძიება სასწავლებელია. მაგრამ სასწავლებელიც არის და სასწავლებელიც. სკოლა, სასწავლებელი, ორ-პირი ხმალია. ვნების მოტანაც შეუძლიან და დიდის სიკეთისაც. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ არის მოწყობილი და აგებული პროგრამა სწავლებისა. ჩვენ არ ვიცით, საქალებო სასწავლებელი გორისა რაზედ არის დაფუძნებული. თუ ნეტარხსენებულ თეორიაზეა დამყარებული, რომელიც ეგეთის გაბედვით ბ-ნმა ზახაროვმა ავარჯიშა ჩვენში ერთს დროს, ესე იგი — მასზედ, რომ ქართველს ქართული არ უნდაო და ყოველიფერი ამ უმსგავსო აზრს შეუფერა, მაშინ გორის საქალებო სასწავლებელი, როგორც სხვა მის მსგავსი სასწავლებელიც, სულ რომ არ ყოფილიყო, ის გვერჩივნა.

ნურავინ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში საქალებო სკოლამ ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი ქალი, ქართველს უნდა გაუზარდოს ქართველი დედა, ქართველი დაი, ქართველი დედაკაცი. თუ სკოლა ამას არ იქმს, ის სკოლა წყალსაც წაუღია, ჩვენ ბევრს არას ვინაღვლით. თუ

ღვთის მადლით გორის საქალებო სკოლას ეს საგანი დაუდვია თავისის პროგრამის სარჩულად, მაშინ სიხარული გვმართებს, რომ გორში საქალებო სკოლა გაიმართა, და თუ არა — ღმერთმა შეინახოს. ჩვენ იმისთანა სკოლისა არც მოტანილი გვინდა, არც გატანილი. გვეყო, რაც ჩვენმა საქალებო სკოლებმა ვნება მოგვიტანეს. ის საქმე დაგვმართეს, რომ ჩვენი ოჯახის-შვილი სკოლის დასრულების შემდეგ ჩვენს ოჯახში ისე შემოდის, როგორც უცხო თესლის ადამიანი. ცოლად შემოდის, დად, თუ რძლად, იმას ჩვენი აღარა გაეგება-რა და ჩვენ იმისი. ამის გამო დაირღვა ჩვენი ოჯახობა, გაწყდა ურთიერთობის კავშირი, ოჯახი თავზედ ჩამოგვექცა და ჩვენც გავწყალდით და მიწასთან გავსწორდით. გვეყო და გვამყოფინეთ, ღვთის გულისათვის!.. მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულისა და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გაურევთ სკოლის უწმინდესს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეეფერება! ნუ გადუდგებით მტკიცედ დადგენილს კანონებს პედაგოგიისას! მოგვეცით სასწავლებელი ქართველის ქალისა, ქართველის დედისა, ქართველის ოჯახის დედაკაცისა! ყოველივე ამას აცილებული არც თქვენი გამოსაყენია, გვერწმუნეთ, არც ჩვენი. ვისაც გული აცრუებული აქვს თავის ვინაობაზედ, თავისიანობაზედ, ვისაც თავისი უარ-უყვია, გულიდამ ამოუღია, დავიწყებას მიუცია, ის სხვისას ვერ შეითვისებს, ის სხვისას ვერ უერთგულებს. ტყუილი შრომაა, ტყუილი ცდაა. ეგ კიდევ არაფერი, რომ შრომა და ცდა ტყუილია, საქმე იმაშია, რომ მაგ შრომით და ძაგ ცდით ერთს აკლებთ და მეორეს არას ჰმატებთ. ტყუილუბრალოდ იღუპება მთელი მოზარდი თაობა, იღუპება ქვეყანა, რომლის იმედიც და ნუგეშიც მოზარდი თაობა უნდა იყოს.

მეორე სახსარი სწავლა-ცოდნის მოფენისა, რასაკვირველია, ჟურნალ-გაზეთობაა. ამ მხრითაც ჩვენს ქვეყანას ერთი ჯარისკაცი მოემატა.

როცა ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში ახალი ჟურნალი ან გაზეთი დაიბადება, ყველაზედ უწინარეს ენაზედ ეს კითხვა

მოგვადგება ხოლმე: ცალკე რად და რატომ ერთად არა? თუ რამ შეუძლიანთ ამ ერთ მუჭა მწერლებს, ერთად მოიყარონ თავი, ერთად მოაგროვონ შეძლება და ღონე და ერთად გაისარჯნენ, უფრო კარგი არ იქნება? საცა ესეთი სიღარიბეა მწერლობისა, საცა მწერლები ესე ცოტანი არიან, იქ ცალკედ გასვლას მიზეზი რამ უნდა ჰქონდეს და დიდი საფუძვლიანი მიზეზიცა. ამ შემთხვევაში საფუძვლიანი მიზეზი ერთია და უკანასკნელიცა. მე სხვა გზას უნდა დავადგე, სხვა მიმართულება უნდა დავამყარო, სხვა საფუძველი უნდა დავუდვა ჩვენს ცხოვრებასა და სხვა აზრი უნდა ვიქადაგო. განცალკევებას ამ შემთხვევაში სხვა მიზეზი არ უნდა ჰქონდეს, ნამეტნავად ჩვენში, საცა ჟურნალი და გაზეთი, ხარჯისა და გარჯის მეტს, არაფერს გამორჩომას არა უქადის მწერალსა.

პირველი ნომერი რომ მივიღეთ „შრომისა“, მაშინვე სათაურს წერილს მივმართეთ, რადგანაც რედაქცია, თუ საჭიროდ დაინახავს, პირველს სათაურს წერილში აცნობებს ხოლმე მკითხველს თავის ვინაობას, არჩეულს გზასა და მიმართულებას. დიდის ყურადღებით გადავიკითხეთ ეგ წერილი და მარტო ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ რედაქცია ცდილა თავისის მიზნის გამოთქმასა, მაგრამ არა გამოუთქვამს-რა. როცა ამ საგანს ეხება რედაქცია, აი რას ამბობს:

„ბევრმა არ იცის, რომ შეიძლება ოდესმე მივაღწიოთ იმ ბედნიერებამდის, როცა მოძალეთა არ გვეშინოდეს, ცხოვრება მუდამ-დღე არ გვაგონებდეს პიროვნობის და თავისუფლების დამცირებას და, უკანასკნელ, არ ვიყოთ მუდამ ლტოლვაში დღიურს საზრდოზედ და ლუკმა-პურზედ, რომ კაცი იყოს უზენაესი წარმომადგენელი ბუნების ქმნილებისა და უზენაესი ქმნილება სხვა ქმნილებათა შორის დედამიწის ზურგზედ“.

რის თქმა უნდა ამით რედაქციას? იმისი თუ, რომ ბევრმა არ იცისო და მე ვაცოდინებო. კარგი და პატიოსანი. მაგისთანა მოძღვრებისათვის რომელი გაზეთი, ან ჟურნალი დაგიკეტავდათ კარს, თუ წერილი სხვაფრივადაც ღირსი იქნებოდა დაბეჭდვისა? რა ახალი მიზანია ეგა? აქ განსხვავება რაშია?

განა კატკოვი კი არ იტყვის, რომ შეიძლება იმ ბედნიერებამდის მივაღწიოთო? განა რომელიმე რადიკალური გაზეთი მაგას უარ-ჰყოფს? არა. ეგ ხომ ზოგადი ფრაზაა, რომელიც განცალკევების მიზეზად არ შეიძლება იქმნას. მაშ რა საბუთი აქვს „შრომის“ მოვლენას ქვეყანაზედ?

„ჩვენდა საუბედუროდო, — ამბობს შემდეგ იგივე წერილი: — ჯერ კიდევ ცოტანი არიან, რომელნიც ფიქრობენ, რომ ტყვია-წამლის სიუხვე კაცობრიობის ბედნიერებას არ შეიცავს, რომ ხალხთა ცხოვრება მაშინ არის სრულად შემკული (მართლა, სრულად?), როცა მათში სუფევს ერთობა, ერთმანეთთან ძმური დამოკიდებულება და როცა პირადი თავისუფლება მონებაში არ არის“.

კიდევ ვიკითხოთ: რის თქმა უნდა ამით რედაქციას? უსათუოდ იმისი, რომ ცოტანი არიან და მე ვეცდები გავამრავლოო. ესეც, სწორედ მოგახსენოთ, ზოგადი ფრაზაა, წყობილსიტყვაობაა და არ მიზნის აღნიშნვა. აქ მაინც-და-მაინც მიზანი არა სჩანს.

„უეჭველია, „შრომის“ რედაქცია ეცდება, — ამბობს იგივე წერილი, — რაც ღონე აქვს იშრომოს იმა მიზნისათვის“. რომელი იმა მიზნისათვის? წინა სტრიქონებში გარკვევით და გადაწყვეტით არავითარი მიზანი არ არის აღნიშნული, გარდა იმისა, რომ — „ვისაც ცოტა რამე ესმის და სიმართლის სიყვარული გულში ჩავარდნია, მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, რომ ორის დღის სიცოცხლე მისი ამ წუთის-სოფელში უნაყოფოდ არ გაატაროს და შეძლებისა-და-გვარად თვისი შრომა და ღვაწლი იმ წმინდა მიზანს მოახმაროს, რომლის მისაღწევნელად ბევრმა სიცოცხლე შესწირა“.

ამისთანა ორჯერ ორი ოთხი, როგორც ზემოთ მოყვანილებია, ანუ ამისთანა ფრაზები: „ყოველივე დამოკიდებულია პატიოსანს შრომაზედ, თავის მიზანს ყველაზედ უფრო ადრე ის მიუახლოვდება, ვინც მეტსა შრომობს ცხოვრების ასპარეზზედ“, ანუ: „ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს შეძლებისადა-გვარად“, — ეს ამისთანა ფრაზები იმათ არა ღირან, რომ მაგათ გულისათვის „შრო-

მამ“ ცალკე ეწიოს მძიმე ტვირთი მწერლობისა და „დროებამ“ ცალკე.

მაინც-და-მაინც გზას ვულოცავთ ჩვენს ახალს მოძმეს, ღმერთმა მშვიდობით მგზავრობა მისცეს ამ უკუღმართს წუთის-სოფელში და მტკიცედ შეასრულებინოს მართლა-და პატიოსანის გაზეთის მოთხოვნილება, რომ ზოგადს ინტერესებს ემსახუროს და თავიდამ აიცილოს ლიტერატურის უკადრისი — პიროვნობის და კერძო ცხოვრების გაუპატიურება.

XI

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, ნოემბერი.

ქვეყანა ვისია. — ოქრო და ხმალი. — ხმალი და გუთანი. — სახელოსნო-სამეურნეო სკოლა. — სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს პროექტი. — ჩვენის თეატრის გამო.

ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო. ყოველივე ჩემიაო, — იძახის ხმალი. ყოველსფერს ვიყიდიო, — მოჰკვეხს ოქრო. ყოველსფერს ხელში ვიგდებო, — იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავმოწონებულს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს, ამ ორს პატიოსანს მეტოქეს, დაჰვიწყებიათ, რომ ქვეყანაზედ მაგათ გარდა არის ერთი კიდევ რაღაცა, რომელსაც, თუ არ პირველი, უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია, ის ერთი რაღაცა ქედმოხრილია, ჩუმი, წყნარი, უწყინარი, ტანად მრუდე, მაგრამ გულით მართალი და პირად ბრწყინვალეა. იგი ხმაამოუღებლივ, ხმაგაკმენდილი, ფეხმძიმედ დაიარება ქვეყანაზედ: არცა ჰკვეხს, არც ბაქიაობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროსღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. იმას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და

არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი-ის ერთი რაღაცა — გუთანია.

აი ამ ტეტია გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: „შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი: ექნება რამე, — მიიღებ, არა და პირში ჩალა გამოივლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სახედარი და სხვა არაფერი. თუ მე აგკიდე რამე, ხომ რა კარგი, თუ არა და ზედაც რომ არავინ შემოგხედოს, ბევრს არას დაჰკარგავს. ხმალო, შენ-კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიალვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილეწ-მოლეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიმხრობ — მაშინ კი ქვეყანა ჩვენია“. დიახ, ბატონებო, ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია. ამისი მაგალითი, სხვათა შორის, მონგოლები არიან. ამათ მარტო ხმალს დაუჯერეს, ისინი მარტო ხმალს მიენდვნენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნები, დასწვეს, შეჰმუსრეს, მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს ხომ თითონაც მტვრად აღგვილ იქმნენ. წარჩინებულნი ერნი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერნი არიან. მაგრამ საცა-კი მივიდნენ, ყველგან გუთანი მიიმხრეს, და აჰა, დღესა ვხედავთ, რომ ყოვლად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილიდამ დაძვრა ვეღარაფერმა ვერ შესძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე. შორს წასვლა საჭირო არ არის. მაგალითი თვალ-წინ გვიდგას. მაგალითები ჩვენ თითონ ქართველები ვართ. ეს ერთი მუჭა ხალხი რამ შეგვინახა? ხმალმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გა-

ვუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, — ეგ იმიტომ — რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშიაც, თუ ეგ ორი უძლეველი ძალღონე ერის სიმკვიდრისა ხელთ გვექნება.

რასაკვირველია, ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძღომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს, ხმალმა ორ-გვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს. გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისა, ვინც მიწაზედ ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ. თითონ დიდი რომი, თითქმის მთელის ქვეყნის მპყრობელი, დაეცა, იმიტომ — რომ მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი არა.

ყოველივე ეს იმიტომ კი არა ვსთქვი, რომ აქაო და გუთანი გვიჭირავს ხელში, გულს ხელები დავიკრიფოთ და ამით მოვიწონოთ თავი. არა, ბატონებო, გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა — სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწის-მოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, — სამეურნეო სკოლაა. ამ-გვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა, და მით უფრო ადვილი, რომ ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ რუსეთში საკმაოდ ფართო გზა მისცა საზოგადოებას მაგ სკოლების დაარსებისათვის. ფრიად საყურადღებო აზრებია გამოთქმული სამინის-

ტროს პროექტში ამ საგანზედ, და თუ ის პროექტი დამტკიცდა და როგორმე ჩვენამდინაც მოაღწია, დიდი საქმე იქნება. აი ამ საგანზედ რას იწერება ერთი რუსული გაზეთი: „ახალი პროექტი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი სრულ ნებას და უფლებას აძლევს თითონ ერობას, მეურნეობის საზოგადოებას და კერძო პირთაც, გამართონ სახელოსნო-სამეურნეო სკოლები. გამმართველთა ნებაზედ არის მიგდებული, დააარსონ ეგ სკოლები კერძო პირთა მამულებში, თუ სხვაგან სადმე. მთავრობა თუმცა ჰკისრულობს ნაწილს სკოლის ხარჯისას, მაგრამ სკოლის გამმართველთ სრულს ნებას აძლევს თითონ ამოირჩიონ სკოლის გამგებელიც, ოსტატებიც და მზრუნველებიც და ყოველივე გამგეობა სკოლისა თითონ იქონიონ. მხოლოდ უმაღლესი ზედამხედველობა და ხელთმძღვანელობა რჩება მთავრობასა. სახელოსნო-სამეურნეო სკოლაში მოსამსახურეების გასამსჯელო და აგრეთვე სამსახურის უფლებანი უფრო უკეთესნი არიან, ვიდრე საოსტატო სემინარიის მოსამსახურეებისა“.

გარდა ამისა, რადგანაც ამისთანა სკოლაში უფრო მოზრდილი ყმაწვილები უნდა შევიდნენ და მოზრდილი ყმაწვილი გლეხკაცისათვის რადმე ღირს შინაობაში და იმისი მოშორება მისთვის დასაკლისია, დადებულია — რომ ყოველი შეგირდი, რომელიც სკოლაში შევა, მოჯამაგირესავით იყოს: ეძლიოს საჭმელი, სასმელი, საცმელი და ჯამაგირიცა.

თუ ღმერთმა იპრიანა, ეს პროექტი დამტკიცდა და ჩვენც გვეღირსა, იქნება ჩვენც გვეშველოს რამე. სხვა რომ არა იყოს რა, აქამდის ეგრეთ გაძნელებული საქმე სკოლის გამართვისა, ნებადართვის აღებისა, გაადვილებული მაინც იქნება. აქაური სამეურნეო საზოგადოება, მას აქეთ, რაც ლოჭინის სკოლა გაუქმდა, ბევრსა სცდილობს მაგ-გვარი სკოლის გამართვისათვის, მაგრამ დღეს აქამომდე ვერაფერს გამხდარა. ამას წინათაც, ესე იგი უკანასკნელს კრებაზედ, კიდევ ჩამოაგდეს ამ საგანზედ ლაპარაკი და არ ვიცით ბოლო როდის მოეღება სიტყვას და სიტყვა საქმედ როდი გადიქცევა. ჩვენ ვურჩევთ აქაურს სამეურნეო საზოგადოებას, თვალ-ყური ადევნოს ზემოხსენე-

ბულს პროექტს და, როცა დამტკიცდება, იშუამდგომლოს, — რომ ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას, თორემ, როგორც ვიცით ზოგიერთების თოხარიკი, აქაც „ადგილობრივ გარემოებას“ წამოსჩხირავენ და მის მოწყალებით პირში ჩალას გამოგვისმენ.

* *

ამ ბოლოს დროს ხშირი ლაპარაკი გაიმართა ჩვენის ქართულის თეატრის თაობაზედ. უჩივიან, ცოტა ხალხი დადისო, და მართალიც არის. მართალია, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ ამის მიზეზს მოძებნა უნდა და, თუ შესაძლებელია, მოსპობაცა. მიზეზების მაძიებელთ დაუჭინიათ, ყველაფერში კომიტეტია დამნაშავეო. ამ ბოლოს დროს ძალიან გაუადვილდათ ამ-გვარის მიზეზების პოვნა. თუ რაიმე საქმეს თვალსაჩინო კაცი, ანუ საზოგადოება ჰყავს, მაშინვე გახარებულნი მისცვივიან და ყვირიან: მიზეზი აი ეს კაცი, ანუ ეს საზოგადოებაო და კმაყოფილნი ფარფარობენ — თითქო ან კაცი, ან საზოგადოება ყოვლად შემძლებელი იყოს. სვანეთში სკოლა არ არის. რატომ არ არის? ღმერთმანი, დიდხანს დაუფიქრდებიან და სიგრძე-სიგანეს გაუზომვენ ამ კითხვას? თავი რაზედ აიტკინონ. ხომ არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაჰკა, მაგისი ბრალიაო. თეატრში ხალხი არ დაიარება. რატომ? ხომ არის რაღაც უბედური კომიტეტი, დაჰკა, მაგისი ბრალიაო. „ვეფხის-ტყაოსნის“ რედაქცია ერთს საღამოს არ შეუშვიათ ბანკის სადგურში მოსამსახურეებს. რატომ? იმიტომ — რომ ბანკს გამგებელნი ჰყვანან, დაჰკა, იმათი ბრალიაო. იმას კი აღარ კითხულობენ, აქვს იმდენი ღონისძიება წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ ამოდენა საჭიროებას გასწვდეს და სვანეთამდინაც ხელი მიაწვდინოს, თუ არა? არა კითხულობენ, აქვს რამე ღონისძიება თეატრის კომიტეტსა, რომ ხალხი ბლომად მირეკოს თეატრში? არა კითხულობენ იმას, რომ საღამოობით — ბანკში, თუ წინ-და-წინვე არ აცოდინებ, არავინ არ უნდა შეუშვან, თორემ ჯიბგირები სხვის სახელობით ძალიან

ადვილად გაიღებდენ ბანკის კარებს. ნუთუ ყოველს ამას დიდი ჭკუა და გამოძიება უნდა? არ უნდა, მაგრამ რასა იქ?

ჩვენ ჩვენს საგანს დავშორდით. ჩვენის თეატრის საქმე ჯუჭამშია იმიტომ კი არა, რომ კომიტეტია რაღაც, არამედ იმიტომ, რომ თეატრმა ხანგრძლივის მოქმედებით უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნეს ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი — კერძო პირთა მასხარად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომაყენებელი. ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი. რიგიანს რეპერტუარს ბრძანებით ვერავინ ვერ შეჰქმნის. ეგ დროისა და გონების გახსნის საქმეა. აქაც ჯერ მოცდა გვმართებს, ჩვენდა სამწუხაროდ. თუნდ რომ ეგეც არ იყოს, ჩვენის ქალაქის საზოგადოება თეატრის საზოგადოება არ არის. თეატრს არსად არც დაბალი ხალხი ინახავს, არც მაღალის წრისა. პირველს ამისათვის მოცლა არა აქვს და მეორეს უამისოდაც ბევრი გასართობელი აქვს. თეატრს ყველგან ინახავს კუჭ-მაძღარი მოქალაქობა, რომელიც ჩვენში არამც თუ კუჭ-მაძღარია, არამედ ფეხაუდგმელიცა. სამწუხაროა ეს, თუ სასიხარულო, არ ვიცით. ჩვენ მხოლოდ ეს გარემოება აგვინუსხავს და მიზეზად დაგვიშნავს. სხვა თუ რამ წვრილმანი ნაკლულოვანება აქვს ჩვენს თეატრს, ეგ ყოველივე წარმავალია. ჩვენი დღევანდელი დასი თეატრისა ბევრად უკეთესად ეკიდება ეხლა თავის საქმეს, ვიდრე ოდესმე. წარმოდგენების მსვლელობას მიზეზი არა აქვს დავემდუროთ. ამ მხრით საქმე საკმაოდ კარგად მიჰყავთ. მაგრამ ერთი რჩევა კი უნდა მივცეთ და, თუ ყურადღება არ მიაქციეს, იმ ერთ მუჭა ხალხსაც შემოიფრთხობენ, რომელნიც ეხლა დაიარებიან, და თეატრის საქმეს ძირს მოუთხრიან: ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი ცოდვა.

მაშ რა ვქნათო, იტყვიან, თუ არც რეპერტუარი გვაქვსო და არც მაყურებელნი გვეყოლებიანო ჯერ-ხანად? როგორც

იყოს, უნდა თეატრი მაინც-და-მაინც შევირჩინოთ, მაინც-და-მაინც ვამოქმედოთ. რითა და როგორ? შეწირულობითა. ვისაც რამდენი შეგვიძლიან — უნდა შევწიროთ და გარდა ამისა ვეცადნეთ — რომ სხვამაც შესწიროს. ამით იქნება იმოდენა მაინც მოგროვდეს, რომ თეატრმა თავი ირჩინოს. არ იქნება ცუდი, რომ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ეს შუამდგომლობა საზოგადოების წინაშე იკისროს. წელიწადში სამასი თუმანი სულ ფეხზე დააყენებს ჩვენს თეატრს იმ მხრით მაინც, რომ დასი ეყოლება. ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნობის საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულ-აცრუებული და გულ-აყრილი არ არის.

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, დეკემბერი.

კიდევ ლოდინი. — ჩვენ რაღას ველოდით? — ლოდინით მომართული ადამიანი რასა ჰგავს? — რის წამალია ლოდინი. — თვისებანი ლოდინისა. — ლოდინი და ერთი ლექსი რუსთაველისა. — „ლოდინი“ და „სულელი“. — სასყიდელი ჩვენის საკუთარის ლოდინისა. — თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნა მთავარმმართებლად. — მიზეზი საერთო სიხარულისა. — ლექსი შექსპირისა. — იციან თუ არა? — ძველი და ახალი ლოდინი. — რა თვალით და რა გულით. — უამისოდ სულ ფუჭ. — ერთი რუსული გაზეთი და ცვლილება. — ნაფიცთა მსაჯულება და ერობა. — განათლების საქმე. — სასულიერო საქმე. — სახელმწიფო ტყის ხმარების საქმე. — სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემა. — არაყის ბაჟი. — საეკონომიო გზები.

მთელმა წლევანდელმა წელიწადმა მარტო ლოდინით დაალევინა ადამიანს მისი უსიხარულო დღენი. „სძგერდა გლახგული, სცემდა სურვილის წამთა ხშირად, მლოდენი მოსწყლა თმენამ“, — მაგრამ მაინც ლოდინი და კვალად ლოდინი დარჩა ქვეყანას ნუგეშადა. მაგ ამაო ლოდინმა სული და გული დაუმშია ადამიანს, ხელფეხი გაუბაწრა, გაუცვითა ნიჭი ნატვრისა, გაუქსუა სურვილი, მოშალა ტანში და ერთობ მოუდუნა მთელი აგებულება, უამისოდაც მოდუნებული. მაგ ლოდინმა იქამდინ ჩაითრია ყოველისფერით დაქვეითებული ადამიანი, იქამდინ დაიბრიყვა მისი გუნება და ხალისი, რომ სხვაზედ აღარაფერზედ არ მიახედა არც ჭკუა და არც გრძნობა. დიდმა თუ პატარამ სული შეიგუბა, განაბულმა ყოველივე გრძნობა

სმენადღა გადაიქცია, — აცა, ხმა რამ გაიხმაურებსო და ჩვენს ყურს არ გამოეპაროსო. მაგრამ ამ სულგაკმენდილს დუმილში ბუზის ბზუილიც არსით იყო: თითქო ქვეყანას ენა მუცელში ჩაუვარდაო, თითქო ადამიანი თავის სიტყვიერების ნიჭს გამოეთხოვაო და როგორც მეტი და გამოუსადეგი ბარგი აიხსნა და თავიდამ მოიშორაო.

ჩვენ მაინც რას ველოდით? — რას ველოდით? კითხვა ადვილია, პასუხი კი ძნელი. ქვეყნის ჭირი ჩვენი ჭირიც არის. ჩვენც ქვეყანაში ვურევივართ და ქვეყანასთან ერთად ბევრი რამ საზიარო გვაქვს. პასუხად ესეც საკმარისია.

ლოდინით მომართული ადამიანი ბაკში დამწყვდეულ პირუტყვსავით ნებიერადა წევს და იცოხნება ნელ-ნელად, ტკბილად. ამ-გვარის ყოფისათვის მარტო კბილია საჭირო და მაგარი კუჭი. ღვთის მადლით, არც ერთი დაუზოგავს ბუნებას ადამიანისათვის და არც მეორე: კბილიც უჭრის საცოხნელად და კუჭიც მოსანელებლად. ოღონდ-კი საცოხნელი ჰქონდეს და სხვა არა უშავს-რა. საცოხნელი კიდევ თითონ ლოდინია. ვერც კბილს გასცვეთს და ვერც კუჭს მოშლის, და მშიერს, როგორც იქნება, გამოჰკვებავს.

ადამიანის გაბრუებისათვის და თითონ ტკივილების დაყუჩებისათვისაც მეცხრამეტე საუკუნის დასასრულმა ერთი უებარი წამალი იპოვნა. ეგ წამალი ლოდინია. ლოდინი ბუნებითად დინჯი რამ არის, მშვიდობიანი, წყნარი და მთხოვარასავით მუდამ ხელგაწვდილი: მიაწვდი, რასმე — მადლობელია და არ მიაწვდი — მაინც მადლობელია. ხელგაწვდით და ღრეჭით თუმცა ჰგავს მთხოვარასა, მაგრამ უმადურობით კი არა. მთხოვარას რომ არა მიაწოდო-რა, გულში მაინც წყევლა-კრულვას შემოგითვლის, ლოდინი კი თავის-დღეში მაგას არ იკადრებს, ყოველთვის მადლიერია და კმაყოფილი. არც ერთ შემთხვევაში არც ფერს იცვლის, არც ზნესა. გარდა მაგისა, ლოდინი იმისთანა სახედარია, რომ არც სადავე უნდა, არც ჯილავის დაჭერა. ოღონდ კი თითით, ან თვალით ანიშნეთ, და საითაც გნებავთ — თავს იქით იქს შესაფერის ღიმითა და მთქნარებითა. ამიტომაც უაღვიროდ სიარულის ნება მარტო

ლოდინსა აქვს ამ შემობაწრულ სარბიელზედ, რომელსაც ადამიანის ცხოვრებას ეძახიან. თავის-დღეში თავს არ მოგტაცებთ, კარგად დაგეშილ ცხენსავითა, და თუ მოგტაცებთ, ისე შემოგარბენინებთ მთელ ქვეყნიერობასა, რომ არას გაწყენთ. ჟითონაც ისიამოვნებს და თქვენც გასიამოვნებთ. ოღონდ კი ფეხი აადგმევინეთ ლოდინსა და ადამიანის გულში ბინა გაუკეთეთ და ფიქრი და შიში ნუღარაფრისა გაქვთ.

ლოდინში ერთი კიდევ კარგი ის არის, რომ მუქთია. რამდენიც გნებავთ ხარჯეთ, გროში არ გაგივათ. მეორე კიდევ ის არის, რომ თუ მოინდომეთ, დაუსრულებელი იქნება, ბოლო აღარ მოეღება. ამ მხრით ლოდინი მეტად კარგი ხერხია და ოსტატის კაცისათვის დიდად გამოსაყენი. შეიძლება ერთს რისამე ლოდინს რომ ბოლო მოეღოს, მაშინვე მეორე საგანი აუჩინო და ამას მიუსიო ადამიანის მუდამ დამშეული გული. ამ გზით შეგიძლიანთ ადამიანის გულს არ მოაშოროთ ლოდინი არას-დროს. ლოდინი თოკია. თუ ოსტატმა კარგად და ხერხიანად გამოიყენა, მაშინ ხსნილიც დაებმის და დაბმული ხომ დაბმულია და დაბმული.

„ლოდინი ხსნილსაც დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“,— ესე რომ ეთქვა როსტევანს თავის ქალისათვის, როცა მეფედა სვამდა, არ შესცდებოდა. ნუთუ მართლა — რაც მღვრიე წყალისათვის შაბია, ის მღვრიე გულისათვის ლოდინია?..

ეს გრძელი ლაპარაკი ლოდინზედ იმიტომ მოვრთეთ, რომ ერთი ქართული სიტყვა აგვეხსნა და მისი ძირეული ძირი გვეპოვნა. სხვა ჩვენ ფიქრად არა გვჭონია-რა და ნურც თქვენ იფიქრებთ. იცით „სულელი“ საიდამ გამოდის? ლოდინიდამ. იცით „სულელის“ ძირი რა არის? ლოდინი. აბა „ლოდინი“ და „სულელი“ — საიდამ სადაო, იკითხავთ. არც ისე შორს არიან ერთმანეთზედ ეს სიტყვები, როგორც თქვენა გგონიათ. იმ კაცს რას ეტყვით, რომელიც „სულ ელის და სულ ელის?“ „სულ ელიო“. მორჩა და გათავდა. გამოცანა ჩვენ გვერგება.

სხვისა არა ვიცით-რა და საკუთრად ჩვენთვის ფრთაგაშლილმა ლოდინმა თავისი სასყიდელი და გასამსჯელო მიიღო. ამ უკანასკნელს დროს გადაწყვეტილად ლაპარაკობენ თ. დონ-

დუკოვ-კორსაკოვის მთავარმმართებლად დანიშვნაზედ ჩვენში. ეს კი არ არის გასაკვირველი, საკვირველი ის არის, რომ დიდსა და პატარას უხარიან იმისი ჩვენში მოსვლა. ზოგი ამბობს, — ვარანცოვის კაციაო და თუ ვარანცოვი კარგი იყო ჩვენთვის, ეგეც კარგი იქნებაო. ზოგი კიდევ იძახის, უნივერსიტეტში გამოვლილიაო, მმართველობაში კარგად გამოცდილი, და თუ მმართველს ეს ორი ღირსება აქვს, დიდის სიკეთის იმედი უნდა გვქონდესო. ბევრნაირს მიზეზს ამბობენ ამ საერთო სიხარულისას, მაგრამ ჩვენ კი სხვა გვგონია. ამისთანა ერთიან სიხარულს ერთიანი მიზეზი უნდა ჰქონდეს, და ეს ერთიანი მიზეზი ის არის, რომ ცვლილება მოხდა. არც მეტი და არც ნაკლები.

ჩვენ რომ ჩვენს თავს ბედნიერად ვგრძნობდეთ, ცვლილება შეგვაწუხებდა, დაგვაღონებდა, ვაი თუ რაცა გვაქვს, ისიც დავკარგოთო, ვიტყოდით, მაგრამ... ოჰ, რა კარგი რამ არის შექსპირი. გულთამხილავს რომ იტყვიან, სწორედ ის არის. იმისი ერთი ლექსი მომაგონდა და, თუმცა ამ საგანს, რაზედაც ვლაპარაკობთ, არ უხდება, მაგრამ თითონ ლექსი ისეთი კარგია, რომ ვერ მომითმენია, რომ აქ არ ამოვწერო:

„ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის,
ბედკრულნი კი მას სიხარულით მიეგებიან.
მაშ შენ, ჰე სვეო ცვალებადო, აწ სალამს გეტყვი!...
შენ მე შთამაგდე, უბედური, ვაების ზღვაში
და რაც მიყავი, ამაზედ მეტს ვეღარას მიზამ“.

ამბობენ, თ. დონდუკოვის დანიშვნის ამბავს ეჭვი აღარაფრისა აქვსო და მალეც აღსრულებაში მოვაო. ასე მალე თურმე, რომ იანვრის ბოლოს მოელიან ახალ მთავარმმართებლის მობრძანებას. ამასაც ამბობენ, ვითომც ერთი აქაური ხარისხოვანი მოხელე დაუბარებიათ კიდეც პეტერბურგში, რომ ახალ მთავარმმართებელს აუწყოს აქაურის საქმეების კითარება და ერთობ ყოვლის მხრით აცოდინოს ჩვენი ქვეყანა. არ ვიცით, რამოდენად ზედმიწევნით და საკმაოდ შეუსრულდება ახალს მთავარმმართებელს ეს დიაღ მოსაწონი სურვილი. იქნება ვსცდებოდეთ, მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ აქაურ მოხელეებში ერთიც არ გვეგულება იმისთანა, რომელ-

საც არამც თუ შეესწავლოს ჩვენი ქვეყანა, არამედ ამისი სურვილი ჰქონდეს და ამისი საჭიროება ეგრძნოს. ჩვენს ქვეყანას დიამბეგების მიწერ-მოწერით იცნობენ და დღეს-აქამომდე ყველანი ერთად და თვითოეული ცალკე ამ ცნობებით იკვებებიან. რა ხეირი დაგვაყარა ამ მხრით შესწავლამ ჩვენის ქვეყნისამ, ეგ აშკარად ზედ ატყვია ყოველს რეფორმას, რომელიც შემოტანილ იქმნა ჩვენში ამ ოც წელიწადში. არ-ცოდნა ქვეყნისა განა მარტო იმ საგნებს დაეტყო, რასაც რეფორმა შეეხო; ათასი სხვა ტკივილია ჩვენში, რომლისათვისაც ჯერ ყურიც არ უთხოვებიათ, რომელიც ჯერ სმენითაც არ გაუგონიათ. ქვეყნის მცოდნეს კი ეგ ტკივილები არ გამოეპარებოდა და, თუ წამალს ვერას დასდებდა, დავთარში მაინც მოაქცევდა საღაღადებლად.

აქამომდე ჩვენის ლოდინის საგანი ახალ მთავარმმართებლის დანიშვნა იყო ხომ. თ. დონდუკოვის დანიშვნით ამას ბოლო მოეღო. ნუთუ ულოდინოდ დავრჩით და დავიღუპენით? არა, ბატონებო, ტყუილი შიშია. რუსეთის გაზეთებმა სხვა საგანი ლოდინისა აგვიჩინეს და გვიხარებია. ლოდინი ჩვენს გულს არ მოჰშორდება. რუსეთის გაზეთები, რაც ძალი და ღონეა, ნაღარასა სცემენ, რომ აქაურს წესებს ცვლილება მოელისო. აი კიდევ ლოდინი — წესების ცვლილებისა! დიდხანს გვეყოფა საცოხნელად, მერე უბარჯოა და მუქთი, როგორც უკვე მოგვიხსენებია.

ვიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზედ უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ. უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ, — თუ ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერალის ნათქვამს ამ საგანზედ: „ჩვენ, რუსებმაო, — ამბობს იგი *, — არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია, რომ

* Русская Речь. ნოემბერი, გვ. 225.

ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ, უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით მოპოვებულს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამოდენადაც ყოველსფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში — რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეორე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთნაირად ბუნებრივია და ერთნაირად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება".

ცვლილების სურვილს რომ ეს კაცობრივი აზრი ააყოლონ, მაშინ ცვლილება სულ სხვა ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ქვეყანა წელში გაიმართება, ფეხს გაიმაგრებს და ფეხ-გამაგრებული თავისთვისაც გამოსადეგი იქნება და სხვისთვისაცა. სხვა გზა და სხვა აზრი ტყუილია, და ყოველივე ცვლილება, რომელსაც სარჩულად ეს აზრი არ დაედება, წყალის ნაყვა იქნება, როგორც აქამდის იყო.

გარდა მაგისა, ესეც წინათვე ცნობილი უნდა იქმნას, — თუ ვის ეჭირვება ცვლილება, რა მიზეზი აიძულებს ცვლილების მოხდენას. ამაების მიხედვით უნდა დაინიშნოს, — ცვლილებას წინ რა საგანი დაედვას მისაღწევად. ერთი რუსული გაზეთი ამ საგანს ცალკერძ შეეხო და ამბობს: „ეს უნდა კარგად გაკვეთილი გვქონდესო, რომ არა კავკასია მოხელეთათვის, არამედ მოხელენი არიან კავკასიისათვისო". საკვირველია, რომ ამ ბოლო დროს ამისთანა გულმტკივნეული სიტყვები გვესმის. საკვირველია მით, რომ არა ვართ ჩვეულნი. მაგრამ რა? სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმისა და ქმნის შუა დიდი მზღვარია. ამას თითონვე იგივე გაზეთი ამტკიცებს. მოჰყოლია, ბატონო, და იძახის, ეს მხარე უნდა მოვაცალოთ სამთავარ-

მმართებლოს და ამას შევუერთოთო; ეს მაზრა და ის მაზრა ერთ მაზრად ვაქციოთო; ესა და ეს გუბერნია გავაუქმოთო და ამა და ამ გუბერნიას მივაკეროთო; მთავარსამმართველო უნდა გაუქმდეს და მთავარმმართებელის კანცელარიად გადაკეთდესო და სხვანი ამ-გვარნი. ეს ყველა კარგი და ჩვენ რა? ვსთქვათ, კავკასიის სამმართველოს ორიოდე გუბერნატორი მოაკლდა, ორიოდე მაზრის უფროსი და ათიოდე მოხელე, მაგითი მითამ ქვეყანა კუჭს გაიძღობს? ეს და ამგვარი ცვლილება სწორედ იმას ეგვანება, რასაც ოხუნჯი რუსის მწერალი შჩედრინი ამბობს: „ერთი გენერალი უფროსად მოვიდა ჩვენში თუ არა, მაშინვე გუბერნატორის კაბინეთში იატაკის აშლას შეუდგა. მაგრამ რა? აშლით — აშალა, ახალის დაგება კი ვეღარ მოასწრო, გამოსცვალეს. როცა მიდიოდა და გვეთხოვებოდა, გვითხრა: „ბევრი რამ კეთილი მინდოდა მექნაო, მაგრამ ღმერთმა, ჩემო მეგობრებო, არ დამაცალაო“. მოვიდა ახლა სხვა ახალი გენერალი და მაშინვე მოისაზრა და თქვა: ეს რა მიუქარავთო! იატაკი კაბინეთში კი არ უნდა აეშალათ, არამედ სასტუმრო ოთახშიო, და ამისდა-გვარად შესაფერი განკარგულება მოახდინა. მაშასადამე, თუ ეს გენერალიც მალე გადააყენეს და სხვა ახალი გენერალი მოვიდა, — ვინ იცის, იქნება იმანაც ახლა სასადილო ოთახში მოინდომოს იატაკის აშლა და ამ სახით მთელი სახლი გუბერნატორისა თან-დათან წაიბილწება, ჯეროვანის განკარგულების ნიჭს კი მაინც-და-მაინც ვერ გამოიჩენენ“.

კაცმა მართალი უნდა თქვას, იგივე გაზეთი ამასაც კი ამბობს, რომ საჭიროაო ნაფიცთა მსაჯულება (суд присяжных) და ერობა (земство) შემოვიღოთ, თუ ყველგან კავკასიაში არა, საქართველოში მაინცაო. კარგი და პატიოსანი. ძალიან და ძალიან საჭიროა. ეს ორივე ცვლილება მეტად სანატრელია და მარგებელი ქვეყნისათვის. ამას სიტყვა წინ არ უდგა. მაგრამ როგორ? ამ ორივე საგანს მრავალკეცი შედეგი და საჭიროება მოსდევს. თუ ერთი რამ გამოაკლდა, ისეც დატვირთულს ერს ტვირთი მოემატება და ერთი ბეწო სიკეთე არ მიენიჭება. აბა ერთი მიბრძანეთ, მოსამართლენი აქაურის ენის

ძცოდნენი რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა და ბრალმდებელმა მჭევრმეტყველობის ყაბახი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსაჯულმა მარტო ბუზები მოიგეროს, თუ რა ქნას. და თუ ნაფიც მსაჯულებს კანონად დაუდებთ რუსულის ენის ცოდნას, და თუ სახეში მივიღებთ — რომ მარტო მოხელეობამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკის სამართალი იქნება და არა ერისა. ნაფიცთა მსაჯულება მარტო იმითია სანატრელი, მარტო იმითია კარგი, რომ სჯის და მსაჯულობს სინიდისი ერისა და არა ჩინოვნიკისა. თუ ამ მხრით არას შეაკვეცენ და ისე შემოიღებენ ჩვენში ნაფიცთა მსაჯულებას, ჩვენ მაგ სანატრელს ცვლილებას დიდის სიხარულით მივეგებებით, თუ არა და მარტო სახელი იქნება და სახრავი კი არა.

ერობაც მეტად დიდი რამ არის. იგია უტყუარი ორღანო ქვეყნის საჭიროების გამოთქმისათვის, ერის არჩევანით, იგია ერის წარმომადგენელი კრება. ყოველივე, ვინც-კი უკეთესი მოჭირნახულეა ერისა, იქა მოქმედობს და იღვწის. ერობას ფეხი თვით ერის დირეზედ უდგას, ერის ცხოვრებაში ტრიალებს და ერის ცხოვრებით სულდგმულობს. ამიტომაც იგი ზედმიწევნით მცოდნეა, რა სტკივა ერსა და რა წამალი დაედება. თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესის ნატვრა, ჯერ ამ ხანად მაინც, მეტის-მეტის წადილი იქნება. რა თქმა უნდა, კანონზედ ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდ თითონ არჩევანის საქმე ავიღოთ. ვსთქვათ, კანონად დაიდოს, რომ თუ არ ჩინოვანი, ამორჩეულ არ უნდა იქმნას, ანუ თუ არ ჩინოვანს, ანუ მდიდარს, არჩევანის ხმა არ უნდა ჰქონდესო, — მაშინ ერობა ცალიერი, ფუყი და ფუჭი სახელი იქნება. ჩინოვანი და მდიდარი — ერი არ არის. ერი წრის გარეთ დარჩება. თუ, მაგალითებრ, კანონად დაიდვა, რაც მიამება — მარტო ისა სთქვიო, და რა წამალიც ძე ვინდომო — ის წამალი იხმარეო, მაშინ ერობა ტვირთია და არა შვება და შეღავათი. მაშინ ერობა ერს კისერზედ დააწვება მთელის თავისის სიმძიმითა, ხარჯებითა, გადასახადებითა და მუხუდოს ოდენა სიკეთესაც კი არ მოუტანს. ერობა ორ-

კეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება, ერთით — ტვირთია, რადგანაც ხარჯი, გადასახადი მოსდევს, მეორით — ღონეა სიკეთისა, რადგანაც ერი ოითონ ჰპატრონობს თავის-თავს და ხარჯსაც და გადასახადსაც თავის-თავს ახმარებს საჭიროებისამებრ. რაღა თქმა უნდა, რომ ერობაში სანუკვარი უფრო მეორეა, ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თავის-თავისვე საკეთილოდ. მაშასადამე, აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა მოედანი ექნება შემოხაზული ერობას, რა ფართო გზა მოქმედებისა დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულეთა არჩევანი დაბრკოლდება რითმე თუ არა. ერობა იმისთანა რამ არის, ან სულ მთლად უნდა იყოს, ან სულ არა.

ეს ორი ცვლილება — ნაფიცთა მსაჯულება და ერობა, რა საკვირველია, ასე თუ ისე პირდაპირ ერსა და იმის საჭიროებას შეეხება. მაგრამ გარდა ამისა სხვა მრავალი საჭიროება ღაღადებს ჩვენში და იმათაც არა ნაკლებ ყური უნდა ათხოვონ, თუ მართლა-და სიკეთე უნდათ ქვეყნისა. ჩვენ იქნება თავის დროზედ ვრცლად ავხსნათ ეს საჭიროებანი, მაგრამ ამჟამად კი მოკლედ ავნუსხავთ.

საერო განათლების საქმე უნდა გადაისინჯოს და ძირიანად გადაკეთდეს, რომ განათლებამ მართლა ფეხი გაიდგას და მოიკიდოს ჩვენში. ეყო აქაურობას ამოდენა ჭმუჭვნა, აქეთ-იქით ქანება, წაჯექ-უკუჯექობა. დროა განათლების საქმეს მთელის ქვეყნიერობისაგან აღიარებული საფუძველი დაედოს, ერთხელ და ერთხელ თავის საკუთარს გზაზედ დაყენებულ იქმნას, განათლების საქმეში განათლების მეტი არავინ რა შეურიოს და წმინდა რამ არ აამღვრიოს.

დიდის ყურადღების მიქცევა უნდა ჩვენს სასულიერო საქმესაცა. ჩვენს ერს მღვდელი არა ჰყავს. ის მღვდლები, რომელნიც არიან, იმისთანა ყოფაში არიან, რომ მარტო ლუკმა პურის ძებნაში აღამებენ თავიანთ დღესა და ერის სასულიერო საქმისათვის ვეღარ იცლიან. ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელი. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს

დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს თავის სამწყსოსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს.

ეხლანდელი წესი სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობისა სრულებით უნდა გაუქმდეს და სხვა ახალი წესი დაედგინოს, ჩვენის გლეხკაცობის ცხოვრების შესაფერი. აქამომდე რუსეთის საზოგადო კანონები მოქმედებენ ჩვენშიაც და იფიქრეთ, საიდამ სადაო. სხვას ნურას იტყვით, ჯერ მარტო ერთი ეს იქონიეთ სახეში, რომ ჩვენი გლეხკაცი კერასა ხმარობს და რუსისა-კი „ფეჩსა“, რომ რუსი ოთახს ათბობს და ისე თბება, ჩვენი კაცი-კი ცეცხლა-პირას. ჩვენებურ გლეხს ვენახი აქვს და სარი თუ ჭიგვა უნდა, და რუსისას არა. ეს თვალად ესეთი მცირე გარემოება, არსებითად იმოდენად პატივსადები და მიუცილებელი მიზეზია, რომ არ შეიძლება კაცმა ყურადღება არ მიაქციოს და მის მიხედვით ტყის ხმარების საქმე სულ სხვა საფუძველზედ არ ააგოს. უტყეობა მეტად მძიმე ტკივილია ჩვენის ერისათვის და თუ უნდათ, რომ ერმა მართლა სიკეთე რამ იგრძნოს ცვლილებისა, ამაში გულმტკივნეული და უხვად შველა უნდა. ადვილი საშველიც არის, თუ სურვილი იქნება. ჩვენა გვგონია, რომ მთავრობა არამც თუ დაჰკარგავს რასმე, რომ ტყეების საქმე რიგიანად მომართოს, არამედ მოიგებს კიდეც, იმიტომ — რომ შესაძლოა ტყის პატრონობის ხარჯი ძალიან შეიმოკლოს და შემოსავალს კი თითქმის არა მოაკლდეს-რა. ერს ხომ შეღავათი მიეცემა და მიეცემა.

სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმეც სულ სხვაფრივ უნდა მოიწყოს. ამ ცვლილების საგნად ის უნდა იყოს, რომ გლეხკაცობას გაუადვილდეს სახელმწიფო მამულების იჯარით აღება და არა ფრთხოდეს სახელმწიფოსთან საქმის დაჭერისაგან ისე, როგორც დღეს-აქამომდე ფრთხის და ერიდება. ამისათვის საჭიროა, რომ ამ საქმეს ჩამოაცალონ ათასნაირი სამწერლოები, მოხელეები, ტყუილ-უბრალო მიწერ-მოწერა და ბღაჯნა ქაღალდისა მოიშალოს, და იჯარის გამცემი კაცი, თუ სამმართველო, გლეხკაცზედ ახლო იყოს.

თითონ მთავრობაც ირგებს, იმიტომ რომ გლეხკაცი, ვითარცა პირდაპირი მომქმედი მიწისა, უფრო მეტ ფასს მისცემს — ვიდრე მონარდე, რომელიც იმ იმედით იღებს მამულს, რომ სხვაზედ გასცეს მოგებითა, — და გლეხსაც მაინც-და-მაინც ნაკლებ დაუჯდება, ვიდრე მონარდესაგან აღებული.

ფრიად საჭიროა ეხლანდელი ბაჟი არაყის ხდისა შეიცვალოს ისე მაინც, როგორც უწინ იყო, თუ უკეთესად არა. ეხლანდელი ბაჟი ისეთია, რომ თუ მოკლე ხანში კაცმა ბევრი არ გამოხადა, არაყის ხდა საზარალოა. არც ერთს ქვაბს, რომელსაც აქამომდე გლეხკაცი ხმარობდა, მაგ სასწაულის ქმნა არ შეუძლიან. ამიტომაც გლეხკაცი ამ მხრით დღეს ხელცარიელი ზის. ჩვენ გაბედვით ვიტყვით, თუ არ მესამედი, მეოთხედი მაინც მთელის შემოსავლისა, გლეხკაცს ჯიბიდამ ამოაცალეს. საცა ვენახები ხშირია (და სად არ არის ჩვენში?), იქ გლეხკაცობა მარტო არაყის შემოსავლით ისტუმრებდა თითქმის მთელს სახელმწიფო და სასოფლო ხარჯსა. დღეს კი ამას მოკლებულია ეხლანდელის ბაჟის წყალობითა. ეხლა არაყის ხდა მარტო მდიდარისათვისღაა შესაძლებელი, ესე იგი იმისათვის, ვინც ორასს, სამასს თუმანს გამოიმეტებს და იმისთანა ქარხანას გამართავს, რომ ცოტა ხანში ბევრი გამოხადოს. ამ სახით, ისეც უღონო გლეხკაცი მტლად დაუდეს მდიდარსა და ფულიანსა. დიდი შეღავათი კი იყო გლეხისათვის, როცა მისთვისაც შესაძლებელი იყო თავისის უბრალო ქვაბით არაყის ხდა. ზამთრის თვეებში, როცა გარეთ მუშაობა არ შეიძლებოდა, თავის-თავს მაინც-და-მაინც გამორჩებოდა რასძე და უქმად დღეს არ დააღამებდა. მიუჯდებოდა ქვაბს და ხდიდა არაყს. ეხლა ეს დრო უსასყიდლოდ და ურგებად ეკარგება. იმას კი ნუღარ ვიტყვით, რომ თითონ ჭაჭასა და თხლეს ფასი დააკლდა და ზოგან გადასაყრელად-ღა გახდა. მაგალითებრ, მთელი დუშეთის მაზრა, წინა-მხარი კახეთისა და, მგონია, ქართლიც, ჭაჭასა და თხლეს სხვა რაშიმე თუ იყენებენ, თორემ არაყს კი არა ხდის. რაც ეს ბაჟი შემოვიდა, გაქრა ამ ადგილებში ჭაჭისა და თხლის ვაჭარი.

დიდი საქმეა გზების კეთებაცა. დღეს-აქამომდე, საცა კი გზის გამართვაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, მთავრობას სახეში ჰქონდა მარტო მხედრობისათვის საჭირო გზები. ეხლა ჩვენს ქვეყანაში, ღვთის მადლით, სამხედრო არა არის-რა. ქვეყანა დამშვიდებულია. ეხლა ჩვენი ქვეყანა სხვა-გვარ გზებსა საჭიროებს, იმისთანა გზებსა, რომელიც გამსყიდავს და მსყიდავს მალე, უწყინარად და იაფად შეახვედრებს. ამისთანა გზებს საეკონომიო გზებს ეძახიან. ამათი დანიშნულება ის არის, რომ მწარმოებელს ბაზარი დაუახლოვოს, ბაზარში მისვლა-მოსვლა არ გაუჭიროს და საზიდავმა გადაზიდვაში მეტი ხარჯი არ გადაიყოლოს. გზამ რომ ეს დანიშნულება შეასრულოს, „ჩინოვნიკმა“ კი არ უნდა გააბას ლარი გზისა, როგორც აქამომდე იყო, არამედ ადგილის კაცებს უნდა ეკითხოს, სად რა გზა უნდა. მაშინ გზა იქით არ მიიბრუნებს თავს, საცა მსხვილი კაცია, არამედ იქით, საცა მსხვილი საქმე და მსხვილი საჭიროებაა. გზები ისე საჭირონი არიან, რომ პირველ დღიდანვე ამას მიჰყონ ხელი, — მეტი არ იქნება. ოღონდ ერთი რამ კი არ უნდა დავივიწყოთ. გაწყალდა ერი გზის ბეგარის უწესოებითა. გზის კეთება მეტად მძიმე ბეგარაა თავისთავადაც და ეს უწესობა ხომ ერთი-ორად ამძიმებს. ჩვენ იმას კი არ ვამბობთ, რომ წესია და არ ასრულებენ. არა, თითონ წესი არ არის დადგენილი არავითარი. ვისაც ქეიფად რა მოუვა, იმ წესებზედ დაიარება. ამ მხრით მთელი ჩვენი გლეხკაცობა „ჩინოვნიკების“ ნებაზედ არის მიგდებული. ვინ იტყვის, რომ „ჩინოვნიკი“ უსამართლობას რასმე ჩაიდენს, მაგრამ მაინც ის რომ პატარა შორს იყოს, ისა სჯობია. ამდენი ვაი-ვაგლახი, ცემა-ტყეპა, ხარჯი, დანაკლისი, რაც გზის ბეგარას მოსდევს გლეხკაცისათვის, იმიტომ არის, რომ არავინ იცის, — ვის რა მოვალეობა აქვს და ვის რა უფლება. ერთის სიტყვით, წესი და კანონი არ არის ამ საგანზედ დადგენილი და უსათუოდ კი უნდა იყოს, თორემ უწესობამ ლამის ერი მოიდნოს. რა-გვარი წესია საჭირო და რა და რა საგანისათვის, ამაზედაც იქნება მეორეც შეგვხვდეს საუბარი და ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. ეხლა მხოლოდ გვინდოდა ეს მხარეც ჩვენის კეთილდღეობისა ნიშ-

ნად დაგვესვა ცვლილებისათვის. ბევრიც კიდევ სხვა რამ არის სათქმელი, მაგრამ...

„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.

ზოგიც მერე იყოს.

XIII

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, მარტი.

რა უნდა ჰქონდეს საგნად წესთა ცვლილებასა ჩვენში. — სამმართველო წესთა ცვლილების კომისია რით არის ჩვენთვის საყურადღებო. — ჩვენი შუამდგომელობა. — ვინ ითავებს. — ჩვენი დიდკაცობა.— კანონიერი სახსარი.

შარშან „ივერიის“ მესამე წიგნის „შინაურ მიმოხილვაში“ ეს აზრი იყო გამოთქმული: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე — რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწებზედ არიან შეჯგუფებულნი და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც, ერთს უდიდესს საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითოოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან. დიდი ხანია მოსალოდნელი იყო ყველა თვალახილულ კაცისათვის, რომ დღესა თუ ხვალე ეს ფრიად რთული და მძიმე საგანი მთელის თავისის სიგრძით და სიგანით წინ აეყუდებოდა რუსეთს და მისდა გადაუწყვეტლად მისი წინსვლა შეფერხდებოდა. ყველას უნდა წინასწარ სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალე ეს საგანი თავისას მოითხოვდა; რომ დღესა თუ ხვალე რუსეთი იძულებული შეიქმნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფო მოქმედებისა საზოგადოდ და ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალ-ცალკე შემოეფარგლა. ამას მოითხოვდა არამც თუ ისტორიული მდინარეობა სამართლიანის აზრისა, არამც თუ შორმხედველობა დამჯდარის ჭკუისა, არამედ თითონ სახელმწიფოს პირდაპირი ინტე-

რესიცა. თუ რამ სამდურავი, გულის-ტკენის ხმა, ჩივილი ისმოდა აწმყო მდგომარეობის შესახებ ამ ვრცელის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, ამისი მიზეზი მარტო ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოების ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს ეჭირა, და ეროვნობა, რომელსაც თავის განსაკუთრებულს ცხოვრებაში თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი, გულ-ხელ-დაკრეფილი იყო და ხმა-ამოუღებლივ სხვის მაყურებელი. რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნობისა და სად იწყება სახელმწიფოსი“.

ეს სიტყვები მოგვაგონა იმ გარემოებამ, რომ თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მობრძანებისვე უმალ ხმა დავარდა, კავკასიას საერთოდ სამმართველო ცვლილება მოელისო. ეხლა თვით მთავრობისაგან გამოცხადებულია, რომ ამ ცვლილებისათვის საკუთარი კამისიაც არის დანიშნული. ჩვენ არ ვიცით, ამ კამისიას ვალად დაუდეს თუ არა იმ დედააზრის აღმოჩენა და დადგენა, რომლის ძალითაც ეროვნობის და სახელმწიფოს არსებითნი მოთხოვნილებანი უნდა ერთმანეთს შეეფარდოს და თვითოეულს მათგანს მისი საკუთარი სარბიელი შემოეხაზოს. ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ თუ კამისიას ეს საგანი ვალად არ დასდვეს, მაშინ კამისიას, ჩვენს თვალში, თვისი უაღრესი მნიშვნელობა ჩამოერთმევა და მისი მოქმედება ისე საინტერესო და საყურადღებო არ იქნება, როგორც პირველ შემთხვევაში იქნებოდა. თუ ცვლილების სურვილი აღძრულია იმ მიზეზით, რომ ძველნი წესნი დაწუნებულნი არიან, მაშასადამე, ისიც ცნობილი უნდა იყოს, რომ წუნი ძველის წესებისა რაში უფრო მდგომარეობდა. ჩვენის ფიქრით, ერთი არსებითი და უდიდესი ნაკლულევანება ძველის წესებისა ის იყო, რომ ეროვნობის საჭიროებანი და სახელმწიფოსი ერთმანეთში გარჩეული არ იყო. ყოველისფერი სახელმწიფოს ანაცვალეს და ეროვნობას გზა შეუკრეს, თუმცა სახელმწიფოს ჭეშმარიტი ვითარება, კარგად გასინჯული გზა და საჭიროება, ამისთანა მსხვერპლს თავის-დღეში არ ითხოვს, რადგანაც ეროვნობა და

სახელმწიფო ადვილად მოსათავსებელნი არიან ერთმანეთში და საცილობელი, ერთმანეთის დამაბრკოლებელი არა აქვთ-რა. ამას მარტო ღრმად დაკვირვება უნდა, ხალასი გული და მიუდგომელი ჭკუა.

ამიტომაც, თუ ქვეყნის სიკეთეს და ბედნიერებას ნიშნად წინ დაუსმენ კამისიას და განზრახულს ცვლილებას ამაზედ მიმართავენ, მაშინ სწორედ ეგ საგანი — ეროვნობის და სახელმწიფოს ერთმანეთში მოთავსებისა — უნდა განსაკუთრებით გამოაკვლევინონ, ნამეტნავად ჩვენში, და ცვლილების დედაბოძად დაადებინონ. ჩვენ ამას წინათაცა ვსთქვით *, და ეხლაც სიტყვა-სიტყვით ვიმეორებთ, რომ — „ვიდრე წესების ცვლილებას შეუდგებიან ჩვენში, ჯერ ყველაზე უწინარეს გამოცნობილ და აღიარებულ უნდა იქმნას ის, თუ რა თვალით და რა გულით უნდა გვიყურონ ჩვენ; უნდა გამოცნობილ იქმნას, კარგად განსაზღვრულ და ბეჯითად განმარტებულ ოუ, — ვინა ვართ ჩვენ და რანი ვართ. რომ არავინ დაგვწამოს მიდგომით ლაპარაკი, ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთის რუსის მწერლის ნათქვამს ამ საგანზედ: „ჩვენ, რუსებმაო, — ამბობს იგი, — არ უნდა დავივიწყოთ თავის-დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიჭერია; რომ ჩვენ თანასწორნი ძმები ვართ და არა მძლავრი ბატონები. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველადვე დარჩნენ და უცხო ჯიშმა, უცხო სარწმუნოებამ და უცხო ჩვეულებამ არ შთანთქას. ამიტომაც ყოველს ქართულს, ყოველსავე ქართველთაგან ისტორიით შეძენილს, ქართველთაგან პატივცემულს და წმინდანად აღიარებულს, ყოველსავე გასაკუთრებულს თვისებას ქართველისას — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყოთ, რამდენადაც ყოველსფერს ჩვენს საკუთარს რუსულს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი-მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი-მეორეს შეემსჭვალოს, და არა იმაში — რომ ერთის ადამიანობა მეორეს მტლად დაედოს, ერთმა მეო-

* „ივერია“ 1881. № 12: „შინაური მიმოხილვა“ (იხ. ზევით, გვ. 132).

რე ჩაჰყლაპოს. ყოველივე სახე ერისა, ყოველივე ეროვნება ერთგვარად ბუნებრივია და ერთგვარად კანონიერი, აგრეთვე ყოველივე ჩვეულება და თვისება".

თუ ამ გრძნობით და ამ სამართლიანის აზრით არ შეუდგებიან ჩვენში ცვლილების საქმეს, ყოველივე ცვლილება სახელდახელო საქმე იქნება, უსულო, უგულო, უსიცოცხლო და გამოუსადეგი ქვეყნისათვის ცალკე და სახელმწიფოსთვის საზოგადოდ. მაშინ ცვლილება ჩინოვნიკის ერთის სკამიდამ მეორეზედ გადახტუნება იქნება, კანცელარიების სახელების შეცვლა, და ბევრ-ბევრი — ორიოდ გროშის გამოზოგვა და სხვა არაფერი.

არ ვიცით, ჩვენი შუამდგომელობა რამოდენად გასჭრის, მაგრამ მაინც ეგ შუამდგომელობა ჩვენ უნდა ვიკისროთ და ქვეყანას გავუწიოთ ამ მხრით სამსახური. ჩვენი წმინდა მოვალეობა დღეს ის არის, რომ მთავრობამ ჩვენგანა სცნოს ჩვენი გულის-ტკივილი და ჩვენის ნატვრის საგანი. ახალის მთავარმმართებლის გულმტკივნეული სიტყვები ჩვენის ქვეყნის შესახებ, მისი მტკიცედ გამოთქმული აღთქმა, რომ რაც შესაძლოა, არავითარს ღონისძიებას არ დაიშურებს ჩვენის ქვეყნის აღმატებისათვის, მისი მტკიცედვე გამოთქმული სურვილი, რომ თითონ საზოგადოებაც მოეშველოს ქვეყნის განწყობის საქმეში, იმედს გვაძლევს, რომ აქაური უმაღლესი მთავრობა სიამოვნებით მიიღებს ყოველსავე რიგიანად გამოკვლეულს, დამჯდარის ჭკუით შემუშავებულს აზრს მასზედ, თუ რა გზით და რა განზრახვით უფრო შესაფერია, გამოსადეგი და ნაყოფიერი, ცვლილების მოხდენა. ეს დიდი და წმინდა მოვალეობა, რომელიც დროთა ვითარებამ ჩვენ ზურგზედ წამოგვკიდა, მძიმე ტვირთია და დიდის ყურადღების ღირსი. როცა ჩვენი შვილები — ჩვენ, მამებს, განგვიკითხვენ, პირველად ამას გვეტყვიან: ეს ამისთანა შემთხვევა გქონდათ და რა ჰქენით ქვეყნისათვისა და თქვენის შვილებისათვისაო. რომ პირნათლად დავხვდეთ ამ განკითხვის დღეს, რომ სირცხვილით პირზედ ხელი არ ავიფაროთ ჩვენთა მომდევართა წინაშე, რომ ჩვენი ხსენება საწყევარად არ გავიხადოთ, მაგ მძიმე ტვირთს

უნდა ყოველის ჩვენის სულიერის და ხორციელის ძალით ცნობიერად და წინდახედვით გავუძღვეთ.

ვინ არის ჩვენში ამისთანა სასახელო საქმის ღირსეული მეთაური? ვინ გამოიდებს თავს? აი კითხვანი, რომელთაც, ჩვენდა სამწუხაროდ, პასუხი ეგრე ადვილად ვერ მოეპოვება.

ჩვენი დიდკაცობა, რომელიც წარჩინებულობით, ხარისხით, ყოფა-ცხოვრებით და შეძლებით ყველაზედ მახლობლად არის უმაღლეს მთავრობასთან და, მაშასადამე, უმაღლეს მთავრობამდე ხმის მიწვდენის ღონე ხელთა აქვს, ამ საქმისათვის მოუმზადებელია. თუნდაც ჭკუით და გონებით მომზადებული იყოს, გულიც იმოდენად გაღვიძებული უნდა ჰქონდეს, რომ საქვეყნო საქმისთვისაც უცემდეს და მოსვენებას არ აძლევდეს, იმოდენად აღმატებული უნდა იყოს ზნეობით, რომ თავის პატივმოყვარეობას, სახელსა, დიდებას — მარტო ქვეყნისათვის დადებულ ღვაწლში ხედავდეს და მარტო მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავდეს კაცის ადამიანურს ღირსებასა საზოგადოდ და თავის დიდკაცობისას ცალკედ. კმაყოფილება ჭეშმარიტის პატივმოყვარეობისა მარტო ამისთანა ღვაწლში მოიპოვება და სხვა არაფერში. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი დიდკაცობა შორს მანძილზედ არის დარჩომილი ამ მხრით და ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მხოლოობით საწყაოდ მიაჩნია, არამც თუ ჭეშმარიტის პატივმოყვარეობის საგნად უღიარებია, არამედ მის ცხოვრების დავთარში სახსენებელადაც მოხსენებული არ არის. არ არის ქვეყანაზედ არც ერთი ერი, რომლის შემძლებელი ნაწილიც ასე გულაცრუებული, ასე გულგრილი იყოს საზოგადო საქმეების შესახებ, როგორც ჩვენები არიან. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმე, რომ მასში ჩვენის დიდკაცობის წარმომადგენელი მოქმედებდეს და იღვწოდეს. თეატრია, გაზეთია, თუ ჟურნალი — უიმათოდ იღვწიან; ღარიბს, ღატაკს თავისი გროშები მოაქვს, რომ როგორმე თეატრი, გაზეთი, ჟურნალი შეინახოს და ერთობ საზოგადო საქმეს ხელი როგორმე შეუწყოს და ერთი დიდკაცთაგანი კი ყურსაც არ იბღერტავს, თითქო ყოველივე ეს მისთვის სათაკილო საქმე იყოს. ან იქნება უმეცრებისა გამო

ჰგონიათ, რომ ქართული თეატრი, ქართული ჟურნალი, თუ გაზეთი, და სხვა ამ-გვარი საქმე არაფერს არ მოასწავებენ და წვრილფეხობის ცუღლუტობადა სთვლიან. ერთიც, მეორეც, მესამეც, რაც უნდა უძლურნი იყვნენ დღეს, ჩვენის ვინაობის დამცველნი და შემნახველნი არიან. ვინც ამათ ზურგს შეაქცევს, თავის საკუთარს ვინაობას უარჰყოფს, თავის ადამიანურს სახეს შეურაცხყოფს და არარადა ჰხდის. თუ ადამიანს თავისი ვინაობა არარად მიაჩნია, მაშინ იმ ადამიანში ადამიანური რაღაა? დრო გამოიცვლება, დრო მოვა, როცა თავისის ვინაობიდგან გადამდგარი კაცი ყველასაგან შერისხული იქნება, როგორც უღირსი, თითონ იმათგანაც კი, ვინც ეხლა სიხარულით ამისთანა კაცს შეიკედლებს ხოლმე და ულოლოებს. დრო მოვა, როცა ყველასათვის ცხადი იქნება, როგორც ორჯერ-ორი, რომ თუ კაცი თავისას გადუდგა, სხვისას ვერ უერთგულებს. ეს ჭეშმარიტება დღეს ცოტამ იცის და ხვალე ბევრს ეცოდინება, და მაშინ ვაი თავის ვინაობაზედ გულაცრუებულს, გულგრილს და ხელაღებულს!..

მაშ საიდამ რას უნდა გავხდეთო? იკითხავს მკითხველი. ჩვენის ფიქრით, ერთი კანონიერი სახსარი გვაქვს და ამ სახსარს თუ ჯეროვანის ცოდნით, სიფრთხილით და გონიერებით ჩავკიდეთ ხელი, ჩვენ ჩვენს მოვალეობას მთავრობისა და ქვეყნის წინაშე პირნათლად გადავიხდით. თუ მაინც-და-მაინც არა გვეშველება-რა, იმის საბუთად მაინც დაგვრჩება, რომ ხმის ამოღების დროს ხმაგაკმენდილნი არა ვყოფილვართ. ამას მაინც იტყვიან, იმათაც უფიქრნიათ, უზრუნვიათ ქვეყნისათვისაო. მართალია, ეს დიდი ნუგეში არ არის ქვეყნისათვის, მაგრამ სულ არარაობას მაინც ეგა სჯობია.

ეგ სახსარი — ჩვენის გუბერნიების თავად-აზნაურთა კრებაა, ტფილისისა და ქუთაისისა. ეს კრება წელს უნდა მოხდეს თავ-თავის ადგილას. ჩვენდა სანუგეშოდ ამასაც ვიტყვით, რომ დღეს ყოველი კაცი, დიდი თუ პატარა, ჰგრძნობს, რომ ეგ მაგისთანა კრება კენჭის სათამაშო ყრილობა არ არის, როგორც აქამომდე იყო. დღეს ყველას, ვისაც კი გული გაჰღვიძებია ქვეყნისათვის, საზოგადოებისა და ერისათვის, მაგ სახსარს

შეჰყურებს ხარბის და იმედიანის თვალით. დღეს ყველა ფიქრობს, რომ ეგ კრება როგორმე გამოიყენოს საზოგადო საქმისათვისა. ყველანი ამას ამბობენ, რომ ჩვენი ხმა აქედამ უნდა მივაწვდინოთო. ამის ნებას კანონიც გვაძლევს და ქვეყნის უკიდურესი საჭიროებაცაო. მართალია, თავად-აზნაურთა კრებას ზოგიერთნი, შინაურნი თუ გარეულნი, პატარა ფარგლით უზომვენ ხოლმე მოქმედების მოედანს, ამით ყოველს აზრს და წინადადებას, რომელთაც კი საქვეყნო, საყოველთაო ფერი ადევს, ფარგალ-გარეთ აგდებენ, როგორც არა-კუთვნილს საგანს კრებისას, მაგრამ სცდებიან. სცდებიან ისინიც, ვინც ამ შემთხვევაში გულწრფელად იქცევიან, ხოლო ბევრნიც იმისთანანი ამოგვიჩნდებიან თითონ კრებაში, რომელნიც ამისთანა ფარ-ხმალს იხმარებენ რაიმე ამაო რიდითა და ანგარიშითა. მაშინ ეგ შეცდომა დანაშაულობად უნდა ჩაეთვალოს მომქმედსა.

დიაღ, ბატონებო, ჩვენს ვინაობას ჩვენს ცხოვრებაში უსათუოდ გზა უნდა მიეცეს და ამაზედ თავად-აზნაურთა კრებამ თავისი ხმა უნდა ამოიღოს, ხმა კანონიერი, დინჯი, დარბაისლური და მშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა შეღობილია. ესეთი ყოფა წარმატების გზისა ერთნაირად საგრძნობელია ყველასათვის. ამ ერთს ტაფაში თავადიც იწვის, აზნაურიც, ძღვდელიც და ერიც. თუ განზრახულმა ცვლილებამ ჩვენს ვინაობას არ მოხედა, თუ გვერდზედ აუარა, ამისი ბრალი ჩვენ დაგვედება, და მაშინ ნურც მთავრობას დავემდურებით და ნურც ბედსა.

XIV

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, აპრილი — მაისი.

გაზაფხული ჩვენში განკითხვის დღეა. — ამით არის ჩვენში შესანიშნავი გაზაფხული. — ჩვენი უტყუველობა. — ენის ადგმა. — ახალი მაგალითი. — საზოგადო მნიშვნელობის ძარღვი. — მეტყველობის ფერი და ღირსება. — სიტყვა საქმეა. — შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა. — უიმისოდ და მისით.—ისტორია და ისტორიის ღირსი ერი.—უწინ, როცა... — რა მოასწავებს შემოქმედობითს ძალსა. — წლევანდელი საზოგადო კრება ტფილისის ბანკისა. — ორი დიდი საგანი. — საყოველთაო საჭიროება სწავლა და განათლებაა. — ხმაგაკმენდილი „მე“ და მღაღადებელი „ჩვენ“. — ჩვენდა სამწუხაროდ. — წარამარა ლაპარაკი. — „შრომის“ ლიბერალობა. — უსაფუძვლო სამდურავი ჩვენს ბანკებზედ. — რის იმედი უნდა გვქონოდა. — აღსრულდა თუ არა იმედი. — გურიისა და გორის თავად-აზნაურობის წინადადებანი. — მათი მნიშვნელობა. — ეროვნული ღირსება და მისი შედეგი. — კაცების შერჩევა. — საბუთიანის აზრის თვისება.

გაზაფხული ორნაირად შესანიშნავია ჩვენში: ჯერ ერთი, რომ მთელი უტყვი ბუნება მთელის მშვენიერებით და სიცოცხლით ფეთქას დაიწყებს ხოლმე ადამიანის თვალისა და გულის სალხენად. ეს მხარე გაზაფხულისა პოეტებს ლამაზადა აქვსთ ათასნაირად აწერილი და გამოხატული. ჩვენ ამის შესახებ სიტყვას მოკლედ მოვსჭრით და პოეტებს ცილობას არ გავუმართავთ. ჩვენ მეორე მხარეს გაზაფხულისას კვალში ჩავუდგებით და იმაზედ მივაქცევთ ყურადღებას. მეორე მხარე გაზაფხულისა მარტო ჩვენშია გამოჩენილი და იმაში მდგომარეობს, რომ თითონ მეტყველი ბუნებაც, ესე იგი ადამიანი,

ჩვენში მოძრაობაში მოდის. სხვაგან გაზაფხული ქეიფისა და ლხინის დროა. გაზაფხულს ეს სიკეთე არც ჩვენში აკლია, მაგრამ ამასთანავე ჩვენში გაზაფხული განკითხვის დროც არის. ყოველი მომქმედი პირი საზოგადო სარბიელზედ, თუ საზოგადო დაწესებულება ჩვენში, — გაზაფხულზედ განიკითხება ხოლმე საქვეყნოდ. ეს ჩვენებურს, ქართულს გაზაფხულს როგორღაც დაეკვება. არ არის ჩვენში არც ერთი საზოგადო საქმისათვის შემდგარი წესდება, რომ ვალად არა სდებდეს მომქმედ პირთა, წარდგნენ მთელის თავისი ცოდვითა და მადლითა გამკითხველთა კრების წინაშე სწორედ იმ დროს, როცა ან გაზაფხული იწყება, ან თავდება.

ტფილისის და ქუთაისის ბანკები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწე ტფილისის თავად-აზნაურთა საზოგადოება, ქართული დრამატიული საზოგადოება და სხვა ამისთანანი ყოველს წელიწადს გაზაფხულზედ მოვალენი არიან თავიანთი ავ-კარგიანობა საქვეყნოდ გამოჰფინონ და ყოველს კაცს სიგრძე და სიგანე თავიანთის მოქმედებისა გაასინჯონ და გააზომინონ. გარდა ამისა, ისევ გაზაფხულზევე, სამს წელიწადში ერთხელ, ესევე ამბავი უნდა დაემართოს ხოლმე საზოგადო კრებას გუბერნიის თავად-აზნაურობისას. ამ მხრით ყოველი გაზაფხული ჩვენთვის მეტად შესანიშნავია. უტყვს ბუნებასთან ერთად ჩვენც ვიღვიძებთ ხოლმე და თვალს ვახელთ. გარდა ამისა, მთელის წლის განმავლობაში გაუქმებული ნიჭი მეტყველებისა, დაბმული ენა, ამ დროს ფეხს აიდგამს ხოლმე და ვარჯიშობას მოჰყვება. ჩვენნი მოძმენი ქართველნი, მთელს წელიწადს ხმაგაკმენდილნი, ამ დროს კბილსა და ენას ილესვენ და რაც მთელს წელიწადს დაჰკლებიათ, ცდილობენ გაზაფხულის მოკლე ხანში ლაპარაკით და ბაასით შეისრულონ. თუმცა ამ ბოლოს ხანებამდე ლაპარაკი და ბაასი ისე ტყუილ-უბრალო მასლაათი იყო, ცარიელი ვარჯიშობა ენისა, მაგრამ დიდხნობამდე არც ეს იყო. ჩვენს უტყველობას არც გაზაფხული შველოდა და არც სხვა დრო. ყოველს წამს და ყოველს ჟამს უტყვნი ვიყავით და ენას არავითარი შემთხვევა არ ამოგვადგმევინებდა ხოლმე.

ამ უკანასკნელმა წელიწადმა კი სულ სხვა მაგალითი გვაჩვენა. გამოჩნდა, რომ აზრიანი ლაპარაკი ჩვენც შეგვძლებია, გამოჩნდა რომ ლაპარაკის საგანიცა გვჭონია, გამოჩნდა რომ ტკივილები ჩვენთვისაც საგრძნობელი ყოფილა და ნიჭსა ტკივილების გრძნობისას ჩვენშიაც გამოუღვიძნია. ეს კიდევ დიდი არაფერი იქნებოდა, რომ ყოველს ამას ერთი რამ მეტად სანუგეშო ზედ არ მოჰყოლოდა. ის ერთი რამ — ის საზოგადო მნიშვნელობის ძარღვია, რომელმაც ამ ბოლოს ხანებში მეტად ძლიერად ცემა დაიწყო ჩვენში. ჩვენდა სანუგეშოდ, დღეს აშკარადა სჩანს, რომ ბევრს ჩვენგანს გული გახსნია საქვეყნოდ, ბევრს ჩვენგანს უგრძვნია და უცვნია ის ტკივილები ქვეყნის ტკივილებად, და თუ იღვწის ეხლა მათ გამო, პირადი ანგარიში და გამორჩომა უკან დაუყენებია და მარტო საზოგადოს, საქვეყნოს სიკეთეს ეტანება მთელის თავისის შეძლებითა და ღონითა.

ამიტომაც ჩვენს მეტყველებას ამ ბოლოს დროს, და ნამეტნავად წელს, სწორედ ადამიანური ფერი და ღირსება დაედვა. ამიტომაც ჩვენს სიტყვას ღონე და ძლიერება მიეცა და ფარხმალად შეექმნა ყოველს საქვეყნოდ მიმართულს მოქმედებას. რაკი საქვეყნო სიკეთისათვის აზრი დაიძრა ჩვენში, რაკი საქვეყნოდ მომართული აზრი გულში გამოგვეკვანძა, რაკი თვითოეულში ყველასა ვხედავთ და ყველაში თვითოეულს, რაკი გულქვა „მე“ უკან დადგა და გულმტკივნეული და რიხიანი „ჩვენ“ თავმოღერებით წინ წამოდგა, მაშინ სიტყვა უბრალო ლაქლაქი არ არის, მაშინ სიტყვა საქმეა. მაშინ სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედობს. მაშინ სიტყვა ძალაა და ძლიერება.

როცა საზოგადო მნიშვნელობის აზრი ამოქმედებს სიტყვას, მაშინ თითონ თქმა ქმნად გადიქცევა ხოლმე. ამ გზით სულჩადგმული ცხოვრება მოედანზედ გამოდის და შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა აღარ უქმობს, არამედ იღვიძებს და ფრთას ისხამს. ეს შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა სათავეა ყოველის წარმატებისა და მაგ ძალის ძლიერებაზედ დამოკიდებულია ყოველი იმედი ცხოვრების წინ-წადგომისა და

განკარგებისა. საცა ეგ ძალი აღძრული არ არის, იქ ცხოვრება დგას ვითარცა გუბე და გუბესავით შხამავს და სწამლავს გარეშემო ჰაერსა. ადამიანიც, იმ ჰაერში სულის მბრუნავი, ცოცხალ-მკვდარსავით ზლაზვნით და ხანხალით დატანტალებს უგულოდ და უსულოდ ცხოვრების მოედანზედ, როგორც სასაფლაოზედ, თითქო მარტო იმისათვისაო, რომ ერთი პატარა ადგილი იშოვოს, საფლავი გაითხაროს და შიგ ჩაწვეს. საკვირველიც არ არის, იქ მაცხოვარი სიო განახლებისა არ დაჰბერს ცხოვრებასა და ამის გამო დღევანდელი დღე მკვდარია ხვალისათვის, როგორც გუშინდელი დღევანდელისათვის იყო. ამიტომაც ადამიანს აღარც გუშინდელი ახსოვს, აღარც დღევანდელი სწამს და აღარც ხვალინდელს ეტანება. ყოველსფერზედ გულაყრილია და ცხოვრობს მარტო იმისათვის, რომ მოკვდეს, როგორც მეტხორცი რამ. როგორც შემთხვევით მოსული და შემთხვევითვე წასასვლელი. ერთის სიტყვით, ადამიანი გაჰოფუყებულია, გამოცარიელებული, და ამიტომაც თითონ მისი ცხოვრებაც სიკვდილია და არა სიცოცხლე.

გარნა იქ კი, საცა ეგ მადლიანი ძალა შემოქმედობისა აღძრულია, ადამიანი გრძნობს, რომ იგი შვილია გუშინდელისა, მოჭირნახულეა დღევანდელისა და დამბადებელია ხვალისა. წარსული, აწმყო და მომავალი — ერთ რთულ, დაურღვეველ ჯაჭვად მიაჩნია და იმ ჯაჭვში თავისი-თავი რგოლად, წინასა და უკანაზედ მტკიცედ გადაბმულად. მაშინ ადამიანი თავისთავს მართლა-და ადამიანადა სცნობს, ეგ ცნობა საკუთარის თავისა ღირსებას უღვიძებს, საკუთარის თავის ღირსება ჩაგრულ ყოფას ვერ ათმენინებს და დამკლავებული გამოჰყავს ცხოვრების მოედანზედ საომრად და საბრძოლველად. გმირებს, სახელოვანს კაცებს, დიდებულ მოღვაწეებს ქვეყნისას — ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ჰბადავს.

რაკი ადამიანის ცხოვრებაში ერთხელ დაიძრა შემოქმედობითი ძალი, ერთს ნამოქმედს სხვა სამოქმედო საგანი ზედ მოჰყვება, ერთი მეორეს ჰშობს, მეორე მესამეს და ეგრე გაებმის ხოლმე ის ფერადი გრეხილი ცხოვრების მოძრაობისა, რომელსაც ისტორიას ეძახიან. ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრები-

სა შექმნის ისტორიას; უმაგისოდ ნურა ერი ნუ დაიქადებს, ისტორიის ღირსი ერი ვარო. უწინ, როცა ჩვენში ეგ შემოქმედობითი ძალი ცხოვრებისა ფეხადგმული იყო, აკი ისტორიაცა გვქონდა, აკი გმირებიცა გვყვანდა, აკი დიდი მწერლებიც და პოეტებიც აღმოგვიჩნდნენ, აკი იმ აღმატებულ ყოფა-ცხოვრებამდინაც მივაღწიეთ, რომლის დიდებულებამაც თამარ მეფე საუკუნოდ სახსოვარი გახადა ჩვენთვის...

ამ ბოლოს ხანებმა და ნამეტნავად წლევანდელმა წელმა სულ სხვა სანუგეშო ნიშნები წამოგვიყენა თვალ-წინ. აშკარად დაგვანახვა, რომ სულგანაბულს და ხმაგაკმენდილს ჩვენს ცხოვრებას უჩუმარად როგორღაც უმოქმედნია და ის მიმკვდარი, დიდი ხნის დავიწყებული ძალი შემოქმედობისა, თუ სრულიად ფეხზედ არ წამოუყენებია, ადგილიდამ დაუძრავს მაინცა. აშკარად დაგვანახვა, რომ ქართველობას თავის ყოფა-ცხოვრებაზედ თვალი აუხილებია და იქ თვითოეული ჩვენგანი ცალკე კი არ დაუნახავს, არამედ ყველანი ერთად, საზოგადოდ. ჩვენ ამას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ, იმიტომ — რომ მარტო საერთოდ, საზოგადოდ დანახული ჭირი თუ ლხინი მოასწავებს შემოქმედობითის ძალის დაბადებას და მოვლინებას. მაგის გარეთ მაგ ძალს არც მიზეზი აქვს თავის გამოჩენისა და არც საზრდო რჩენისათვის.

წლევანდელი საზოგადო კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა რომ გენახათ, სწორედ გულმხიარული წახვიდოდით შინ და იტყოდით: მადლობა ღმერთსა, ამასაც შევეს წარითო, რომ ჩვენს ქართველთა კრებაში აზრი აზრს შეეკამათა, აზრი აზრს წინ დაუდგა და არა პირადობა პირადობასაო. ჯერ ერთი ეს იყო ამ კრებაში სასიამოვნო, რომ რიცხვით ეს კრება აღემატებოდა თითქმის ყოველს კრებებს, ამ ექვს წელიწადში მომხდარს. მეორე ესა, რომ არ იყო არც ერთი წინადადება, არც ერთი საგანი, რომ უმრავლესობისაგან გასინჯული, განხილული არ ყოფილიყო საზოგადო საქვეყნო მოთხოვნილების მიხედვითა. თითქმის ყოველს მოლაპარაკეს წინ ის საზოგადო სიკეთის სურვილი მიუძღოდა, რომელიც ეგრე ამშვენიერებს სიტყვას და ყოველს კაცს ხალისს უღვიძებს საზოგადო საქ-

მის მიმართ და ამხნევებს შემდეგის მოქმედებისათვის. ამ საზოგადო სიკეთის სურვილით მორთულმა სიტყვამ გააცოცხლა კრება და გულმოდგინება საზოგადო საქმისადმი გამოიწვია დამსწრეთა შორის. ერთის სიტყვით, ეს კრება გულდადინჯებულ, ჰკუადამჯდარ ადამიანთა კრებასა ჰგვანდა, იმ კრებას, რომელიც იმოდენად ძლიერადა ჰგრძნობს თავის მოვალეობას ქვეყნის წინაშე, რამოდენადაც კრების საგანი, თუ საქმე, ქვეყანას შეეხება.

ამ წლევანდელს კრებას სხვათა შორის ორი დიდი საგანი ჰქონდა განსახილველად. ერთი წინადადება ფინანსთა მინისტრისა მასზედ, თუ რა შემწეობა შეუძლიან აღმოუჩინოს ტფილისის საადგილ-მამულო ბანკმა გლეხთა — მამულების შესყიდვაში და ეგ შემწეობა რა ახალს წესსა და რიგს მოითხოვს. ამ საგანზედ წარდგენილი იყო ბანკის მმართველობისაგან ვრცლად დაწერილი წინადადება, რომელშიაც ნაჩვენები იყო ის ნაკლი, რაც საადგილ-მამულო კრედიტს სჭირს საზოგადოდ რუსეთში და რაც აბრკოლებს საქართველოში ცალკედ. სხვათა შორის გამოთქმული იყო, რომ ამ-გვარის კრედიტის სიძვირეს ვერ აიტანს გლეხის მეურნეობა და თუ ღონისძიება არ მოინახა გაიეფებისა, გლეხის შემწეობა უქმი სურვილი იქნება. გაიეფებისათვის ბანკის მმართველობამ იმისთანა ღონისძიებანი აჩვენა, რომელნიც შესაძლებელნი არიან, მაგრამ ძნელად კი მისაღებნი მთავრობისაგან. საზოგადო კრება გულმხურვალედ მოეკიდა ამ საქმეს, თავისდა სასახელოდ, ქვეყნის საჭიროების მიხედვით დააკვირვა თვალი და არა მიწათმფლობელების ინტერესის მიხედვითა, მოიწონა წინადადება და გადასწყვიტა წარედგინოს ფინანსთა მინისტრსა.

მეორე საგანი იყო წესდების ზოგიერთის მუხლის შეცვლის თაობაზედ. მაგის შესახები წინადადება, ჯერ ცალკე პირისაგან შეტანილი ზედამხედველს კომიტეტში, უარყოფილ იქმნა მარტო იმ მიზეზით, რომ ნაჩვენების მუხლების შეცვლაზე სჯა და ლაპარაკი ჯერ ადრეაო, თუმცა კი თითონ დედააზრი მოწონებულ იქმნა. შემდეგ იგივე წინადადება სამოცზე მეტს წევრისაგან ხელმოწერილი მოერთო ზედამხედველს კო-

მიტეტსვე და მაშინ კი, წესდების ძალით, ზედამხედველი კომიტეტი მოვალე შეიქმნა ის წინადადება წარედგინა საზოგადოებისათვის. აქაც, თუმცა მმართველობა ბანკისა და ზედამხედველი კომიტეტი ამტკიცებდა, რომ სრულებით თანამგრძნობია წინადადების დედააზრისა, მაგრამ უდროოდ მიაჩნია მაგაზედ ლაპარაკის ატეხა და მაგ წინადადების წარდგენა სამინისტროში დასამტკიცებლად, — კრებამ ეს რჩევა არ მიიღო და შეუდგა მაგ წინადადების გასინჯვასა. ასტყდა გაცხარებული ბაასი და მოლაპარაკეთა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთს ამ საგანზედ იმისთანა სიტყვა არ წასცდენია, რომელშიაც ცხადად გამოხატული არ ყოფილიყო თითონ საქმის სიყვარული, საზოგადო სიკეთის სურვილი და თითონ ბანკის კეთილდღეობა.

წინადადების შემომტანთა აზრი ეს იყო, რომ რაკი საურთიერთო თავდებობა დაედვა საფუძვლად ჩვენს ბანკსა და ურთიერთის თავდებობას კიდევ უსათუოდ მოსდევს ბანკში წევრად გახდომის უფლება, ამის გამო შესაძლოა, ხომ სხვა ელემენტიც შემოგვერიოსო, მაგალითებრ, მოქალაქობა და სხვანი ამ-გვარნი. ჩვენს ბანკს ერთი წმინდა და სასიქადულო საგანი უდევს წინაო, თავისის მოგებიდამ შემწეობა აღმოუჩინოსო ტფილისის გუბერნიის მიწათმფლობელს და მიწათ-მომქმედს მცხოვრებლებსაო; ვაი თუ უცხო ელემენტებმა, რომელიც საურთიერთო თავდებობის ძალით ჩვენ შემოგვერევაო, ცალკე გაიწიოს, ამ საგანს ააცილოს ჩვენი ბანკი და ეს ერთადერთი ძვირფასი საგანი ჩვენს ბანკს ხელიდამ გამოაცალოსო. ამისათვის წინადადების შემომტანთა დაედგინათ: იმ მუხლი, რომელიც ბანკის მოგების განაწილებას შეეხება, შეიცვალოს იმ-რიგად, რომ ის ნაწილი მოგებისა, რომელიც ტფილისის გუბერნიის მიწათ-მფლობელს და მიწათ-მომქმედს საჭიროებას უნდა მოხმარდეს, მარტო ბანკის დამფუძნებელთა საზოგადო კრებას ექვემდებარებოდესო და არა ყველა წევრთა კრებასაო. რადგანაც საზოგადო, ესე იგი ყველა წევრთა კრებას ნება აქვს წესდება შესცვალოს, ამიტომაც სამერმისოდ შესაძლოა ამისთანა კრებამ თითონ ამ მუხლის შეცვლა მოინდომოს

და საზოგადო სარგებლობის მაგიერ პირადს სარგებლობაზედ მიჰმართოს ბანკის მოგება. რომ ეს ასე არ მოხდეს, წინადადების შემომტანთა დაადგინეს, რომ შეცვლაც წესდებისა მარტო დამფუძნებელთა ნებაზედ იყოს დამოკიდებულიო. კრებამ ამ საგანზედ შემოტანილი აზრი უარ-ჰყო და მიიღო მმართველობის აზრი, რომლის ძალითაც შეცვლა ზემოხსენებულის მუხლისა იმისთანა კრებას უნდა ექვემდებარებოდეს, საცა დამფუძნებელნი რიცხვით მთელის კრების ნახევარს შეადგენენ. ორმა მესამედმა კრებისამ უნდა დაადგინოს შეცვლის თაობაზედ გარდაწყვეტილება და მერე ეს გარდაწყვეტილება მეორეს, ამნაირადვე შემდგარს მორიგს კრებას წარედგინოს, და თუ ეს მეორე კრებაც ორის მესამედის ხმით იმ გადაწყვეტილებას მიიღებს, მხოლოდ მაშინ უნდა წარსდგეს მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად.

სხვათა შორის, კრების საგნად ისიც იყო, რომ უნდა დაენიშნა, რა საჭიროება უფრო საყოველთაოა და უფრო უაღრესი, რომელსაც უნდა მოხმარდეს ნაწილი წლევანდელის მოგებისა. კრებამ დიდის ერთსულობით აღიარა, რომ მაგისთანა საჭიროება განათლება და სწავლაო, და ამიტომაც ორი ათასი თუმანი ერთხმად შესწირა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას, თელავისა და გორის ქალების სასწავლებელთ ას-ასი თუმანი თითოს, და ცეცხლით დაზიანებულთ სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ გლეხ-კაცობას ოც-და-ათი თუმანი.

ყოველს საგანს, რომელიც წლევანდელმა კრებამ ეგეთის საქებურის გულმოდგინებით გასინჯა და ეგეთის გულმტკივნეულობით თავისი გარდაწყვეტილობა დასდვა, კრებამ წინ წაუმძღვარა საქვეყნოდ საკეთილო აზრი. მარტო ამ თვალით განიხილა ეგ საგნები და ამიტომაც მოლაპარაკეთა სიტყვას თავისი ღირსება, სიცხოველე და გამჭრიახობა მიეცა. ამ საქვეყნოდ მიდრეკილმა გრძნობამ აღაფრთოვანა სიტყვა და სრულიად ჩააჩუმა უგემური „მე“, და ცხოველმყოფელი „ჩვენ“ მთელის თავის მიმზიდველის სიკეთით მოედანზედ გამოიყვანა. ტფილისის საადგილ-მამულო კრებაში „მე“ ხმაგაკმენდილი იყო და „ჩვენ“ მღაღადებელი ყოველს შემთხვევაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, ამავე სიკეთეს ვერ მივაწერთ ყოველს შემთხვევაში ქუთაისის ბანკის კრებასა. წელს იქაც, მართალია, საყოველთაო საჭიროებაზედ და სიკეთეზედ იყო მიქცეული კრების ყურადღება, იქაც საზოგადო საჭიროების თვალით იყო გასინჯული წარდგენილი საგნები, იქაც ქვეყნის მოთხოვნილება და თითონ საქმის სიყვარული წინ უძღოდა კრებასა, მაგრამ ესეც კი შესანიშნავია საზოგადოდ ქუთაისის ბანკის შესახებ, რომ როცა არსებითად საჭირო საგანი ირჩევა, როცა თითონ ბანკის შესახები საქმე წარმდგარია, მაშინ კრება წევრთა რიცხვით მცირეა ხოლმე. როცა კი რომელიმე ბანკის მოხელის არჩევანზედ მიდგება საქმე, მაშინ კრება გაცილებით მატულობს. ეს ასეთი ამბავი აფოლებს და სცრის იმ საზოგადო მნიშვნელობის აზრსა, რომელსაც ასეთის სასოებით ჩვენ შევხარით. ამ ამბის მნახველს, თუ მსმენელს, ისე ჰგონია, რომ თითონ საქმე, თითონ საზოგადო მნიშვნელობის აზრი კი არ მოუყრის ხოლმე თავსა ქუთაისის ბანკის წევრთა, არამედ საქმის გარეშე რამ მიზეზი. გარდა ამისა, ესეც შესანიშნავია, რომ იქ ძნელად შეიძლება საქმე ისე წარიმართოს, რომ პირადობამ არ ამოჰყოს თავი და თავისი ბასრი კლანჭი არ გამოჰკრას საზოგადო საქმეს. აბა რა სათქმელია საზოგადო კრებაში, — ბანკის დირექტორები არაფერს აკეთებენო. მაშ ვინ აწარმოებს საქმეებს? ნუთუ ჰგონიათ, რომ ბანკი თავისით დადის და თავისით მოქმედობს? ნუთუ ამის მთქმელებმა ჯერ იციან, რომ ამისთანა წარამარად თქმული სიტყვა საზოგადო საქმეს, როგორიც ბანკია, ხელს უცრის და ტყუილ-უბრალოდ სახელს უტეხავს. ბანკის სახელზეა დამყარებული ის ნდობა, რომლითაც ყოველი ბანკი სულდგმულობს და რომლის მეტნაკლებობაზედ დამოკიდებულია ყოველივე სიკეთე ბანკისა და ნამეტნავად თითონ კრედიტის სიძვირე და სიიაფე.

თქვენის გირავნობის ფურცლების მსყიდველს რაღას ეუბნებით, როცა საქვეყნოდა ჰყვირით, რომ ჩვენის ბანკის მწარმოებელნი არას აკეთებენო. თუ არას აკეთებენ, თითონ ბანკიც, მაშასადამე, უქმია და უქმის კაცის თამასუქს ვინ რას ანდობს. ბანკის თამასუქი გირავნობის ფურცელია. აღარ გინდათ, რომ

მაგას ფასი ჰქონდეს? ნუთუ არ იცით, რომ რამოდენადაც მაგ ფურცელს ფასი აკლდება, იმოდენად ძვირად უჯდება კრედიტი ქვეყანას საზოგადოდ და მსესხებელს ცალკედ.

არ-გაკეთება საქმისა მაშინ არის, როცა საქმე უქმობისა გამო ბრკოლდება და ჩერდება. დირექტორების მაყვედრებელთ რატომ ერთი მაგალითი არ უჩვენეს კრებას ამისთანა დაბრკოლებისა. თუ ეგ დაბრკოლება იყო, მაშინ, რასაკვირველია, საჭიროა გამხილება და საქვეყნოდ გაკიცხვა. თუ არ ყოფილა, რა საკადრისია მაგისთანა უთავბოლო ლაპარაკი და წარამარა ყვედრება, მერე იმისთანა საფრთხილო საზოგადო საქმეში, როგორიც ბანკია. ამ-გვარი უსაბუთოდ გამოლაშქრება საზოგადო კრებისაგან ამორჩეულ და საზოგადო საქმეზედ მიჩენილ კაცებზედ რაღ მოასწავებს, თუ არ პირადობას და პირადობის ჟინსა. ჩვენის ფიქრით, ამ-გვარად წარამარად მოტიტინე უპატიურად ექცევა თავის-თავსაც და თითონ კრებასაც, რომლის ყურადღებაც თავის-დღეში არ უნდა მიიქცეს იმისთანა უღირსს საგანზედ, რომელსაც ეგრე ხარბად ხელზე დაიხვევს ხოლმე ჭორი და ცილისწამება. საზოგადო საქმე მეტად ძვირად უღირს ქვეყანას და მასში თუ არ საბუთს, სხვას არასფერს ხელი არ უნდა ჰქონდეს. რომელსაც ეს აზრი რჯულად არა აქვს მიღებული, ისა სჯობია შინ იჯდეს და საზოგადო საქმეს დაეთხოვოს.

ამ პირადობის ჟინსვე ვაბრალებთ ქუთათურის გაზეთის „შრომის“ აღმა ხვნას და დაღმა ფარცხვას ყოველს საქმეში, საცა კი ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკი ურევია. ერთს რომელღაც ნომერში გაზეთი „შრომა“ გულმტკივნეულობით იმდურებოდა, რომ ქუთაისის ბანკის კრებამ შარშან რაღაც უწესურობა ჩაიდინაო, ამაზედ საჩივარი შეიტანეს სამინისტროშიო, მაგრამ რა გამოვიდა, კაცი არ არის ყურადღება მიაქციოსო. ბატონო „შრომავ“! ტყუილად სტირით ამაზედ. მაგ ტირილით ჰღალატობთ იმ დედაზრს, რომლისათვისაც ყველგან ეგრეთის თავგამოდებით იღვწის ეგრეთ-წოდებული ლიბერალობა და რომელსაც თქვენ ეგრეთის თავმოწონებით ჩემულობთ. აქ სამინისტრომ იცით რა გითხრათ მით, რომ ყურად-

ლება არ მიაქცია მაგ-გვარ საჩივარს? ბანკი თქვენია, ფული თქვენია, ინტერესი თქვენია, ერთობ თქვენი საქმეა და თქვენს საქმეს თქვენვე მოუარეთ და უპატრონეთო. როცა სჩივით, მით იცით რას ეუბნებით? ბანკი, მართალია, ჩვენია, ფული ჩვენია, ინტერესი ჩვენია, ერთობ ჩვენი საკუთარი საქმეა, მაგრამ ყოველს ამაში ლალად და პატრონად შენ რომ გამიხდე, ძალიან კარგი იქნებაო. გესმით, სადა სცემთ, „შრომის“ მშრომელნო! ნუთუ ვერა ჰგრძნობთ, რომ საზოგადოებრივს, ესე იგი საკუთარს უფლებაზედ, ხელს იღებთ და კანცელარიას უქვემდებარებთ საზოგადოების, ესე იგი თქვენს საკუთარს საქმესა. მაგისთანა რა დაგიშავეს ქუთაისის ბანკის წევრთა, რომ ეგრე უსასაკოდ იცანით და მისის უაპეკოდ ყოფნისა გამო ჰგლოვობთ და ტირით? ნუთუ თითონ ბანკის კრების გამჭრიახობას იმოდენა არ შეუძლიან, რომ თავისი უწესობა თითონვე დაინახოს, თითონვე თავიდამ მოიშოროს და წესი და რიგი ჩამოაგდოს? ეგ იმედი ბანკის კრების გამჭრიახობაზედ სამინისტროს არ დაჰკარგვია და თქვენ რაზედ და რის გამო დაგიკარგავთ? განა არ იქნება, შენიშნული უწესურება, შეცდომა, თუ სხვა რამ ამისთანა, — თითონ კრებას აუწყოთ, აუხსნათ, გააგებინოთ და თითონვე კრებას გაასწორებინოთ. გვერწმუნეთ, ყოველს კრებაში იპოვება კეთილგონიერი ნაწილი კრებისა, რომელიც დამჯდარს აზრს, დამჯდარს სიტყვას, კეთილად განზრახულს წინადადებას სიხარულით მიეგებება და ძლევით შემოსავს. რად გინდათ, რომ ეს თავისუფლება ჩამოგვერთვას და რაღაც კანცელარიას გადაელოცოს? თქვენგანვე ნაღადებ თვითმმართველობის დედააზრს რა პირითღა დაუწყებთ ამის შემდეგ ყურებასა?

დიდი ხანია მას აქეთ, რაც რუსის მთავრობამ ბანკის და კრედიტის საქმე საზოგადოების საქმედ იცნო და ზოგიერთი თვისი უფლება ამ საქმის შესახებ თითონ საზოგადოებას მიანიჭა და დაუთმო. ფინანსთა სამინისტროს სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ დიდის სიფრთხილით ექცევა ამ საზოგადოებრივ უფლებასა და რამოდენადაც დროს ვითარება ნებას ძლევს, ცდილობს საზოგადოება სახელმწიფო აპეკას მოაშო-

როს და მის საკუთარს ფეხსა და გზაზედ დააყენოს. ამის გამო, ყოველს საჩივარს, რომელიც ბანკის შინაურ განწყობილებას შეეხება, ბანკის შინაურ მართვას და წესიერებას, — უყურადღებოდ სტოვებს და ამბობს: ეგ თქვენი საქმეა, თქვენი შეცდომა თქვენვე თქვენის ღონით, თქვენის ზედამხედველობით, თქვენის გამჭრიახობით გაასწორეთო. თქვენ კი ამაზედ ამბობთ, ვაი, ეს რა მოგვივიდა? ჩვენი ჩვეული ლალა ჩვენზედ ხელს იღებს და ჭოჭინით აღარ გვატარებსო? ჩვენ რა ვიცით ჩვენის თავისაო, თუ ჩვენი სიკეთე გინდა, კიდევ შენ იყავი ჩვენი პატრონი და მომვლელიო. ნუთუ სატირალია, რომ ამისთანა ბღავილს მთავრობა ყურადღებას არ აქცევს?

ძლივს ერთად-ერთ საზოგადოებრივს სფერაში ჩვენმა საზოგადოებამ თვისი უფლება ცოტად თუ ბევრად ხელთ ჩაიგდო და აქაც კი ბეჭდვის წარმომადგენელნი, ესე იგი ჭკუისა, გონებისა და განათლების მარაქაში გარეულნი, ლიბერალობის მოქადულნი მწერალნი, — ჰგლოვობენ და ტირიან, რომ მთავრობა ამ უფლებაზედ ხელს არ გვაღებინებს. ბატონებო, თუ ლიბერალობთ, ჭეშმარიტი ლიბერალობა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივს უფლებას თავისი კუთვნილი, — ნამეტნავად მაშინ, როცა თითონ მთავრობა საზღვარს უნიშნავს, — მოედანი ჰქონდეს ადამიანის ცხოვრებაში. მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ ყოველი ჭეშმარიტი ლიბერალი ამისათვის იღვწის და იბრძვის. როცა საკუთარ ცხვირ-წინ ლიბერალობის ჭეშმარიტ საგანს კაცი ვერა სცნობს, როგორც ამ შემთხვევაში „შრომა“, და მაინც ლიბერალობაში თავსა სდებს, მაშინ იმას ამოქმედებს რწმენა კი არა, რომელიც დამჯდარის გონებით აღიარებული რჯულია, არამედ მეტიჩაროზა. მაშინ ის თუთიყუშია ლიბერალობისა და არა ცნობიერი წარმომადგენელი. აი, ალმა ხვნა და დაღმა ფარცხვა ამასა ჰქვიან.

ქუთაისის ბანკსაც ის სასიქადულო საგანი უდევს მისაღწევად, რაც ტფილისის ბანკსა. იქაც, როგორც აქ, უდიდესი ნაწილი მოგებისა საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს. იქაც, როგორც აქ, ყოველივე პირადი სარგებლობა უარყოფილია და საყოველთაოა საფუძვლად დადებული. ჯერ ამაში გა-

მოიჩინა თვისი მამა-პაპით შეთვისებული გულუხვობა და ქველმოქმედება ჩვენმა თავად-აზნაურობამა. საყოველთაო სიკეთის მისაღწევად მარტო ამ ნაწილმა ჩვენის ქვეყნის მცხოვრებლებისამ იკისრა ქვეყნისათვის ფულის შეწირვა და დააარსა ორივე ბანაკი.

მართალია, ბევრი ემდურება ამ ბანკებს, დიდი იმედი გვჭონდაო და არაფერი გამოდისო, მაგრამ მარტო უმეცრება იტყვის ამასა და არა დამჯდარი ჭკუა. სულ შვიდი თუ რვა წელიწადი არ არის, რაც ჩვენში ბანკები მოქმედობენ და ნუთუ შვიდი წელიწადი სამყოფია, რომ ქვეყანამ ფერი იცვალოს ბანკებისა, თუ სხვა რამის შემწეობით. ამ საქმეში გუშინდელს და დღევანდელს კი არ უნდა მივაჩერდეთ, იმიტომ — რომ ეგ გუშინი და დღევანდელი მეტად მოკლე ხანია ქვეყნის წარმატებისათვის და საყოველთაოდ კვალის დაჩნევისათვის. ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყანა ისტორიის სარბიელზეა გამოსული, დღევანდელი ჩვენი ყოფა ორი ათასის წლის ცხოვრების შედეგია და ნუთუ გგონიათ, რომ ამ შედეგს შვიდს წელიწადზედ ან ბანკი, ან სხვა რამ ფერს აცვლევინებს! თუნდ ეგ არ იყოს, სხვა რა იმედი უნდა მოეცა ბანკს, თუ არ ის, რომ საადგილ-მამულო კრედიტი, რამოდენადაც შეიძლება იეფი, აწარმოვოს ჩვენს ქვეყანაში და მოგებულის ფულით საზოგადო გაჭირვებაში რაიმე შეღავათი მოგვცეს. როდის უმტყუვნა ან ერთს იმედს, ან მეორეს ჩვენმა ბანკებმა? მართალია, საადგილ-მამულო კრედიტს ჩვენში და საზოგადოდ რუსეთში ბევრი რამ აკლია, მართალია — ჩვენი ბანკები ჯერ იმოდენა მოგებას არ იძლევიან, რომ ყოველს გაჭირვებას მივეშველოთ. ერთისათვის საჭიროა საყოველთაოდ კრედიტის სისტემის შეცვლა, რომელიც ბანკების ხელთ არ არის, და მეორისათვის — ხანგრძლივი მოქმედება, რომელსაც მოთმინება უნდა.

ყოველივე საზოგადო საქმე იმოდენად თანა-საგრძნობია და საქებური, რამოდენადაც თითონ მის საკუთარს ბუნებას მინიჭებული აქვს ღონე თავით თვისით განვითარებისა, გაძლიერებისა, როცა სხვა არა უშლის-რა. ბანკი, თუ რამ სხვა საზოგადო დაწყობილობა, სწორედ ამ მხრით უნდა გაისინ-

ჯოს და ამ სასწორზედ აიწონოს. აბა ჩვენი ბანკები ამ თვალით გასინჯეთ და ნახავთ, რომ იგინი წარმოადგენენ ერთს საუკეთესოს და საიმედოს მხარეს ჩვენის ცხოვრებისას. ამიტომაც ყოველი ერთგული ჩვენის ქვეყნისა სიხარულით კი არ უნდა მიეცეს ხოლმე ყოველს შეცდომას, წინდაუხედავობას, თუ სხვა რამ ნაკლებულობას ბანკისას, რომელნიც ყოველს ახალს საქმეში აუცილებელნი არიან, არამედ გულმტკივნეულობით უნდა შეჰნიშნოს ყოველივე ეგ და გულმტკივნეულობითვე ეცადოს ნაკლი მოსპოს, შეცდომა გაასწოროს. ამ შემთხვევაში ბანკის საერთო გამგეობის თვითმოქმედება უნდა აღძრულ იქმნას და მისის გამჭრიახობითვე ყოველივე გასწორებული და არა მოშვეულ იყოს თვალი რაღაც კანცელარიებისა და ხელ-ჯოხიანებისა.

აი, სწორედ ამ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტრომ უფრო მეტი ლიბერალობა გამოიჩინა, ვიდრე ჩვენმა ლიტერატორებმა. ეს მით უფრო სასაცილოა, რომ ლიტერატორები საზოგადოდ უნდა ჰპატრონობდენ იმ უფლებას, რომელსაც საზოგადოებრივი უფლება ჰქვიან. ეს არის ერთი უმთავრესი მოვალეობა მწერლობისა და მწერლებისა, ნამეტნავად იქ, საცა საზოგადოებრივი უფლება ვრცლად არ არის აღიარებული და მიჩნეული და საცა ყოველივე ბიჯი ამ უფლებისა დაუყოვნებელის და დაუძინარის მხნეობით ჯერ კიდევ მოსაპოვებელია.

ჩვენ ესე ვრცლად ლაპარაკს არ გავაბამდით და პატივცემულს „შრომასაც“ არც ესე ძალიან ვუსაყვედურებდით, რომ ამ შემთხვევაში მისი შეცდომა დიდს შეცდომად არ მიგვაჩნდეს. ამ საგანზედ ხმის ამოუღებლობა ჩვენის მხრით დანაშაულობა გვეგონა, თორემ „შრომასთან“ სამდურავის ჩამოგდებას ჩვენ მოვერიდებოდით, მით უფრო, რომ ტყუილუბრალოზედ ბაასის ატეხა ჩვენს ჟურნალს ჩვეულებად არა აქვს.

ცოდვა არ არის, იმ საზოგადო კრებას არ მიენდოს კაცი, რომელმაც ასეთის დაჭეშმარიტებით და ერთსულობით იცნო ჩვენდა საყოველთაო ჭირად ჩვენი გაუნათლებლობა, უსწავ-

ლელობა და ასეთის გულუხვობით შესწირა წლევანდელის წოგებიდამ 37,950 მანეთი განათლების საქმეს? სახელი და დიდება ქუთაისის ბანკის საზოგადო კრებას!.. ამისთანა კრება არამც თუ იმის ღირსია, რომ იქონიოს ის მცირედი უფლება, რომელიც მთავრობამ საზოგადოებას დაუთმო კრედიტის საქმეში, არამედ სხვა ბევრისაც. აქ იმას კი არ უნდა ვსცდილობდეთ, რომ მაგ, ისეც მცირეოდენს, უფლებას ფრთები შევაკვეცოთ, არამედ უფრო ვრცლად გავაშლევინოთ, უფრო დიდი სარბიელი შემოვუხაზოთ...

ამ მხრით ქართლისა და გურიის თავად-აზნაურობამ წელს დიდი სახელი დაიგდო ჩვენს ისტორიაში. მათგან დადგენილნი წინადადებანი, საგუბერნიო კრებაში შესატანად, დიდი სამსახურია ჩვენის ქვეყნის წინაშე. ჩვენ ყოველს ამ წინადადებას თვითოეულად არ ჩამოვთვლით, რადგანაც უკვე გამოცხადებული იყო ჩვენს გაზეთებში და, მაშასადამე, ყველამ უნდა იცოდეს, ვინც კი საზოგადო საქმეებს თვალს ადევნებს. ჩვენ აქ ვეცდებით მათი მნიშვნელობა განვსაზღვროთ და ავხსნათ, რამოდენადაც „ზოგიერთი, ჩვენს გარეთ მყოფი, შემთხვევა“ ნებას მოგვცემს.

მათი დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ღირსება ფეხზედ წამოდგა და დიდის ხნით თავმინებებული თვისი კუთვნილება ხმა-მაღლა მოითხოვა. ერთობ ეს სახე და ეს ფერი ადევს ყოველს წინადადებას, რომელიც კი გურიისა და ქართლის მაზრების კრებამ თავის სასახელოდ და სხვათა სამაგალითოდ დაადგინა და საგუბერნიო კრებაში შეიტანა. ეროვნულ ღირსების გაღვიძებამ მოახდინა ის მართლა-და თითით საჩვენებელი სასახელო ამბავი, რომ თავად-აზნაურობამ ტფილისის გუბერნიისამ ერთხმად იკისრა გაიწეროს შვილების გასაზრდელად ხარჯი. ამ ღირსების გაღვიძებამ იმოქმედა, რომ იმავე თავად-აზნაურობამ თითქმის ერთხმად მოითხოვა ქართულს ენას თავისი კუთვნილი ფართო გზა და ადგილი მიეცეს სკოლაშიო. ამ ეროვნულ ღირსების გაღვიძებამ ჰქმნა ის, რომ იმავე თავად-აზნაურობამ მოიწადინა გუბერნიის მკვიდრთა მცხოვრებთა მონაწილეობა მიანიჭოს გუბერნიის და

მაზრების საქმეთა გამგეობაში, და იმოდენის პატივისცემით მოეპყრო ამ დიდებულს წადილს — რომ თვით ვერ შეჰბედა ეგრე სახელდახელოდ ამ დიდს საქმეს და მიანდო ცალკე კამისიას — ყოველის მხრით გამოიძიოს, შესაბამი საბუთი შეჰკრიბოს, იმ წადილის განხორციელებისათვის პროექტი შეადგინოს ჩვენის ქვეყნის შესაფერი, და ეგრეთ შეძუშავებული წარმოუდგინოს საგუბერნიო კრებას განსახილველად — რაც შეიძლება ხან-დაუყოვნებლივ.

მას აქეთ, რაც ჩვენს თავად-აზნაურობას ამისთანა ყრილობის უფლება მიენიჭა, არც ერთი კრება არა ყოფილა ასეთი აზრიანი, ასეთი სახელოვანი და ასეთი მნიშვნელობიანი. ამ კრების საგანთა სიდიადემ და უაღრესობამ თავად-აზნაურობას თვალი აახილებინა სხვათა შორის იმაზედაც, რომ თითონ მარშლების არჩევანსაც ახალი საბუთი, ახალი მოთხოვნილება უნდა წარუძღვეს წინა. ცხადად იგრძნო, თუ ყველამ არა, ერთმა ნაწილმა მაინც, რომ ამ დიდს საქმეებს შესაფერი კაცებიც უნდა შეერჩიოს. ეს ცხადად აღიარა ქუთაისის ბანკის კრებამ, რომ განათლებულის კაცის მარშლად მოწვევისათვის ჯამაგირად 3,000 მანეთი დანიშნა. ეს ცხადად გამოსთქვა ერთმა ნაწილმა ტფილისის თავად-აზნაურობისამ, რომელიც დღესაჭამომდე ძველის გუბერნიის მარშლის ხელახლად არჩევანს ეწინააღმდეგება მარტო იმის გამო, რომ ეხლანდელის დროების შესაფერი არ არისო. არ ვიცით, რამოდენად მოუხერხდება ქუთაისის თავად-აზნაურობას განათლებულის კაცის ამორჩევა გუბერნიის მარშლად, არ ვიცით — რამოდენად გასჭრის აჭაურების უარყოფა წინანდელის მარშლისა, მაგრამ ამას კი ვიტყვით, რომ ერთსაც და მეორე მაგალითშიაც აშკარადა სჩანს მოქმედება გაღვიძებულის აზრისა. თავად-აზნაურობას, თუ მთლად არა, ნაწილს მაინც უგრძვნია, რომ დროთა-ვითარებას, ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა კაცი შეუფეროს და ისე ამოირჩიოს. თუ ჯერ ეს აზრი ყველას ვერ შეუთვისებია სხვადასხვა მიზეზისა გამო, და თუ დღეს ეგ აზრი, ასე თუ ისე, ძლევით არ შეიმოსება, მაინც იმედი დაკარგული არ უნდა იყოს, რაკი მაგ აზრმა ჩვენში გაიღვიძა, დღე-ყოველ მომხრე-

ები მოემატება, რაზმი გაუმრავლდება, იმიტომ რომ თითონ აზრი საბუთიანია. ხანგრძლივობა და გამარჯვება, თუ დღეს არა, ხვალე მაინც საბუთიანს აზრს დარჩება, ესეა ქვეყნის წარმატების კანონი. ეს იმედი ამხნევებს ყოველს მას, ვისაც კი სწამს პროგრესი ადამიანისა.

XV

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, ივნისი.

ადამიანი ცალკედ. — ადამიანი, საზოგადოება და სახელმწიფო. — თვითოეულის უფლება. — უდიდესი საგანი. — ადამიანის პიროვნების უფლება. — ჩვენი ლიტერატურა ამ საგანზედ. — ცუდი ჩვეულება. — რა უნდა გავუჩხრიკოთ. — ზნეობითი კუთვნილება ადამიანისა. — ამ საგანზედ რა სწერია ლიბერალთა დროშაზედ. — უწვრთნელნი. — ბალღების ბარაქალა. — ბ-ნი გეგიძე და ნ. ღოღობერიძე წინაშე პიროვნების უფლებისა. — ნ. ღოღობერიძის საქციელი. — ვერაფერი თავის გამართლება.

ყოველივე წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს ჭეშმარიტი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამოდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს. ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერას-გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებულ იქმნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან — სახელმწიფო. დროთა მიმავლობაში ზოგან საქმე ისე წარემართა, რომ სახელმწიფომ იმძლავრა და სრულად დაიმორჩილა საზოგადოება საერთოდ და ადამიანი ცალკედ, ყველაფერი თითონ მოითალა და საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა. ზოგან საზოგადოებამ თავისი კუთვნილი უფლება შეირჩინა და არ დაუთმო სახელმწიფოს, და ადამიანი კი ცალკედ თვის

ყურმოჭრილ ყმად გაიხადა. ზოგან კიდევ, როგორც სახელმწიფოში საზოგადოებას, ისეც საზოგადოებაში ცალკე ადამიანს, ანუ უკეთ ვსთქვათ — ადამიანის პიროვნებას, თავისი საკუთარი უფლება შერჩა. უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თვითოეულს ამაგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითოეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თავის სრული უფლება მიწყული აქვს. ერთი უწმინდესი და უდიდესი მოკალეობა და საგანი ყოველ საზოგადოდ მომქმედ ძალისა საერთოდ და ლიტერატურისა ცალკედ — ის არის, რომ ამ ყოფამდე მიაღწევინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს, და ერთმანეთში თვითოეული მათგანი სრულის კუთვნილის უფლებით და მოვალეობით მოათავსოს. აძისათვის იღვწის და იბრძვის ყოველგან უკეთესი წარმომადგენელი ადამიანისა. იქ, ამისთანა სახელმწიფოში, გარდა სახელმწიფოსი — თითონ საზოგადოებაც თვის მფარველობის ქვეშ აყენებს ადამიანის პიროვნების უფლებასა და ყოველს შემთხვევაში ესარჩლება და ეჭომაგება, თუ იგი ვისგანმე უსაბუთოდ გაუპატიურებულია და ხელშეხებული.

ჩვენ ამ შემთხვევაში არ გამოვუდგებით პირველს ორს საგანს. ჩვენ მარტო იმაზედ გვინდა ჩამოვაგდოთ სიტყვა, რასაც ადამიანის პიროვნების უღლებას ეძახიან და ამასაც იმ მხარეს გავუსინჯავთ, რომელსაც ზნეობითი კუთვნილება ადამიანისა შეადგენს.

ჩვენდა სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ საგანზედ ჩვენში დალაგებულად ცნობილი არა არის-რა და ჩვენს ლიტერატურასაც ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ამ მხრით ვერაფერი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანასა. რასაც კი წასწვდა ჩვენი ლიტერატურა, ყოველსფერს საზოგადოების უფლების მიხედვით მიაყენა შუქი და ადამიანის პიროვნების უფლებას სარჩლად არამც თუ ხელი გასძრა, არამედ მის შესახებ ერთი უმსგავსო და მეტად ცუდი ჩვეულება დაიჩემა.

დღეს-აქამომდე ადამიანი, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინიდისი და ერთობ ყოველივე — რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობითს კუთვნილებას ადამია-

ნისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია და ისე ვექცევით, როგორც ფეხის მტვერსა. აბა აიღეთ რომელიმე ნაწერი რომელსამე კაცზედ ჩვენში, თუ იმ ნაწერში ყოველივე ეს შეგინებული არ იყოს დაუსჯელად, ყოველივე ღირსება ადამიანისა უარყოფილი არ იყოს. ამ საზიზღარმა ჩვეულებამ ამ უკანასკნელ ათის-თხუთმეტის წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი ჩვენში და დღეს-აქამომდე განუკითხველად მოქმედობს. მით უფრო სავალალოა ეს, რომ მისნი ამყოლნი დღეს-აქამომდე ქადულობენ, რომ ახალ-თაობის კაცნი ვართო და წმინდას სახელს ახალ-თაობისას და ლიბერალობისას ზედ აფარებენ ამ უკადრისს საქციელსა.

როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი მოგვინდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინიდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ჰქონდეს, როგორიც ჩვენში აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საქციელის მომქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და აქაო და კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილ წისქვილივით.

უსაბუთოდ გამოლაშქრება კაცზედ, მისი გაუპატიურება, მისის ღირსების აქეთ-იქით თრევა, მისის პატიოსნების წაბილწება და თელვა, მისის განზრახვის, სინიდისის და გულისნადების თავისებურად ჩხრეკა და აქოთება — ისე გვეადვილება არამც თუ შინაურს ლაპარაკში, არამედ საჯაროდ ჟურნალ-გაზეთობაში, რომ თითქო ბაკლა და ისპანახი იყოს. ყოველს ჩვენგანს სხვისი გული, სხვისი სინიდისი დაუწერილ ქაღალდად მიაჩნია და რაც ქეიფში მოუვა, ზედ იმასა სწერს.

ადამიანის ღირსება, პატიოსნება, სინიდისი, მისი ზნეობითი და ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელმწიფოსაგან, საზოგადოებისაგან და თვითოეულ ადამიანისაგან პატივცემულ უნდა იყოს, სრულიად ხელშეუხებელი, ვიდრე

ცხადი, უცილო, უტყუარი საბუთი არ გვექნება ხელში, რომ იგი მაგ კუთვნილებას სხვის სავნებელად ხმარობს. ჭეშმარიტს ლიბერალობას ეს ძვირფასი კუთვნილება ადამიანის პიროვნებისა დიდის ასოებითა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ. მაშასადამე, ჩვენმა ახალმა თაობამ, თუ თვისდა სასახელოდ ჭეშმარიტის ლიბერალობის მიმდევარია, ეგევე უნდა დაიწეროს თავის დროშაზედ და ყოველივე ამის წინააღმდეგ მომქცევი უნდა ზიზღით სდევნოს. გვერწმუნეთ, ამით თითონ ლიტერატურას თავის სიმაღლეზედ დავაყენებთ და ჩვენს მოქმედებას უფრო ადვილად ძლევით შევმოსავთ.

ბევრია ჩვენში ამისთანა უწვრთნელი, რომელსაც ადამიანის წარამარად ხსენება, გაუპატიურება, ადამიანის პიროვნების შეგინება, არამც თუ სამარცხვინოდ მიაჩნია, არამედ სასახელოდაც, რაღაც ვაჟკაცობად და გულადობად ჰგონიათ, რომ მე ესა და ეს კაცი გაზეთში გამოვლანძღეო. ამასთანაც ქადულობენ კიდეც, ჩვენ ახალ-თაობის კაცები ვართო. ბევრი ბალღია ჩვენში, ამ ქადილითა სტყუვდება და ბარაქალას უთვლის ადამიანის ღირსების ფეხქვეშ მთელელსა. ბალღი იმიტომ არის ბალღი, რომ მალე სტყუვდება, და ის ახალ-თაობა კი, რომელზედაც მიქცეულია მთელი ჩვენი სასოება და რომელსაც ეკუთვნის ჩვენი მერმისი, ესე იგი ჩვენი მომავალი, არასოდეს ამით არ უნდა მოტყუვდეს. მან უნდა ზურგი შეუქციოს ურცხვს მოქადულეს და მისი ქადილი ზიზღით უარჰყოს. თუ უნდა ახალ-თაობას თვისი ღირსება დაიცვას, ესე უნდა მოიქცეს.

ამის შესახებ ბ-ნი გეგიძე მშვენივრადა სწერს „შრომის“ № 25-ში. პირველი ნაწილი მისის პასუხისა, რომელიც ამ საგანს შეეხება, დიდად მოსაწონია და საყურადღებო, — მით უფრო, რომ ამ საგანზედ ამისთანა დამჯდარი აზრი პირველია ჩვენს ლიტერატურაში, თუ არა ვცდებით და ხსოვნა არ გვღალატობს. მხოლოდ სამწუხარო ეს არის, რომ ბ-ნი გეგიძე თვისგანვე გამოთქმულს მშვენიერს და სამართლიანს დედააზრს ადამიანის პიროვნების შესახებ ზოგიერთგან გადასდგო-

ჭია. ბაგალითებრ, სხვათა შორის ბ-ნი გეგიძე უწერს თვის მოპირდაპირეს: „იმ-გვარ კაცებს, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ჰე ყოველთვის ვუყურებ კრიტიკულად და არასოდეს არ ვენდობი მათ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ნდობას და დაჰკიდებულობას მათთან შეუძლია კაცი გააჩირქიანოს“.

თუ უკაცრავად არ ვიქნებით, ესეთი სიტყვა უმართებულოა ადამიანის პიროვნებისათვის და დედააზრი ადამიანის პიროვნების უფლებისა აქ უარყოფილია თავიდამ ბოლომდე.

ამასთანავე სამდურავი ეთქმის ბ-ნს ნ. ღოღობერიძეს. მისი პასუხი ბ-ნ გეგიძის მიმართ გვაძლევს ამის მიზეზს. ის საბუთები, რაც ბ-ნ ღოღობერიძეს წამოუყენებია ბ-ნ გეგიძის წინააღმდეგ, საბუთი არ არის. მაგ-გვარის საბუთების ძალით კაცის პატიოსნებას, მის სინიდისს, მის პიროვნებას არ უნდა შეჰხედოს კაცმა, თუ უარმყოფელი არ არის ადამიანის პიროვნების უფლებისა. ან რა საკადრისია კაცმა კაცს ის უკიჟინოს, რომ შენ იმიტომ მეწინააღმდეგებიო, რომ ესა და ეს საქმე არ გაგირიგეო, და საწინააღმდეგოდ წამოყენებულს საბუთებს კი კვალში არ ჩაუდგეს და თვითოეულად არ განიხილოს. მტრობით მოსდის კაცს კაცის წინააღმდეგობა, უკმაყოფილობით, თუ სიმართლის სიყვარულით, ეგ მისის სინიდისის საქმეა და, მაშასადამე, იმისთანა საგანია, რომელსაც ვერც კაცის თვალი მისწვდება, რომ დაინახოს, ვერც ხელი — რომ შეეხოს. ამ შემთხვევაში, თუ რამ ითქმის, მარტო ვარაუდობით ითქმის. ყველა გონიერი და პატიოსანი კაცი დამეთანხმება, რომ ვარაუდობით განკითხვა ადამიანის სინიდისისა და ჩირქის მოცხობა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვით, ადამიანის პიროვნების უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატიოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება.

რაც შეეხება თითონ ნ. ღოღობერიძის საქციელს, — რომლის თაობაზედაც ასეთი აყალ-მაყალი შეუდგათ ქუთათელებს და ამოდენა მიწერ-მოწერა გაიმართა, ჩვენ ჯერ ჩვენი აზრი ვერ შეგვიდგენია გულდაჯერებით! აქამდის არ ვიცით, რას აბრალებენ ბ-ნს ღოღობერიძეს: ღალატს, თუ მარტო იმას, რომ თ. ნ. წერეთლის წინააღმდეგებს მხარი არ მისცა. ჩვენის

ფიქრით, ორივე დანაშაულობაა, მაგრამ პირველი უფრო მძიმეა. რადგანაც არც ერთისა და არც მეორის ცხადი საბუთი არ გვიჭირავს ხელში, ამიტომაც ჩვენს ყურადღებას მივაქცევთ მას, რასაც უცილო საბუთი ამ შემთხვევაში გვეუბნება.

უცილო საბუთად მიგვაჩნია ის, რომ ბ-ნი ნ. ღოღობერიძე თითონვე ამბობს: „გუბერნიის მარშლის თანამდებობას მე სრულიად არ ვაძლევ იმ მნიშვნელობას, რომელსაც ისინი მიაწერენო“, და შემდეგ: „როგორც თავმჯდომარე სააზნაურო ბანკის გამგეობისა, მე არ შემიძლია გაცხარებული მონაწილეობა მივიღო თავად-აზნაურობის არჩევანში და ამ-გვარ მოქმედებით ვაწყენინო დიდს ნაწილს საზოგადოებისასო“.

ვერაფერი თავის გამართლებაა, ჩვენის ფიქრით. რასაკვირველია, მარშლის თანამდებობის მნიშვნელობაზედ შეიძლება კაცმა სხვადასხვა აზრი იქონიოს და ეს ამბავი ცოდვად არავის არ ჩაეთვლება. მაგრამ საქმე იმაშია, ვისი აზრია მართალი და ვისი მტყუანი. ჩვენის ფიქრით ნ. ღოღობერიძე სცდება, რომ მარშლის თანამდებობას მნიშვნელობას არ აძლევს. ამას იქნება სხვაგან უფრო ბევრი საბუთი ჰქონდეს, ვიდრე ჩვენში. ჩვენში და ნამეტნავად ჩვენში აქვს მაგ თანამდებობას დიდი მნიშვნელობა. იქ, სადაც საზოგადოებას არავითარი კანონიერი ორღანო არა აქვს თავის საჭიროების გამოსათქმელად, არავითარი კანონიერი ღონე თავის-თავის გამოსარჩლებისა, იქ მაგისთანა დაწესებულება, როგორიც მარშლობაა, დიდი საქმეა. მართალია, იგი წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის გუბერნიის მცხოვრებლებისა, მაგრამ ურარაობას ცალ-უღელი ხარი სჯობიაო, ნათქვამია. კარგის მარშლის შუამდგომლობით და შემწეობით თავად-აზნაურობას ნება აქვს თვით ხელმწიფემდის მიაწვდინოს თავისი ხმა და თავისი თხოვნა. ნუთუ ამ ურარაობაში ეს უფლება, ეს ნება არაფერში გამოსაყენია? ნუთუ ცოტა რამ არის, რომ ჩვენის კაცის პირით შეგვიძლიან წარმოვსთქვათ თვით უუმაღლეს მთავრობის წინაშე ჩვენი მწუხარება და გულის-ტკივილი? ცოტა ტკივილებია ჩვენში, რომ აქამომდე ხმა ვერ ამოგვიღია მარტო იმიტომ, რომ მარშლები არ ვარგებულან? რომ ვარ-

გებულიყვნენ, ხომ ასე დაბალღობედ მაინც არ გავიხდიდით თავსა, რომ დიდი და პატარა ზედ გვახტებიან. თუ ვერას გავხდებოდით, ხმაამოუღებლივ მაინც არ ჩავკიდებდით თავს და დიდსა და პატარას არ გავექელვინებოდით. ჯერ მარტო ის იგულისხმეთ, რომ მარშალი, კანონის აზრითვე, შუამდგომელია მთავრობისა და საზოგადოების შორის. მთავრობამ მაგის შემწეობით უნდა სცნას საზოგადოების საჭიროება და გულის-ტკივილი და საზოგადოებამ კიდევ — მთავრობის განზრახვა და განკარგულება. ამისთანა საქმისათვის ნუთუ კარგი მარშალი სანატრელი არ არის? მერე სად? ჩვენში, საცა თუ არ მარშლის პირით, სხვა კანონიერი ღონე არა გვაქვს ხმის ამოღებისა.

ჩვენ იმას აღარ ვამბობთ, რომ დღესა თუ ხვალე კარზედ მოგვადგება ათასნაირი ახალი წესი და დაწყობილობა, რომელსაც გაძღოლა უნდა და წინამძღვრობა და რომელსაც უხეირო მარშალი ქვეშ მოჰყვება და არა თავზედ მოექცევა. თუნდ ეგეც არ იყოს, რამდენი რამ დაადგინა ეხლანდელმა კრებამ ტფილისისამ, თუ ქუთაისისამ, ვინ უნდა წაუძღვეს წინ ამ დადგინებას. ვინ უნდა იტვირთოს მისი კეთილად შესრულება? ამაებს რომ კაცი დააკვირდეს, რაღა საბუთი აქვს სთქვას, რომ მარშლების თანამდებობას მნიშვნელობას არ ვაძლევო. ამ მიზეზით თავის მორიდება, არჩევანში არ გარევა, უკეთესის კაცის მარშლად ამორჩევაში ცხარე მონაწილეობის არ მიღება, ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია.

როგორ თუ არ მინდოდაო დიდ ნაწილ საზოგადოებისათვის მეწყენინებინაო. მითომ რატომაო? საზოგადო საქმეში მაგ ანგარიშს არავითარი ზედმოქმედება არ უნდა ჰქონდეს კაცზედ. რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თავისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულის-შვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ,

ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინიდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა.

რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ სიმონ წერეთლის ამორჩევა უნდა ყველას მიეჩნია უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, ამას ლაპარაკი არ უნდა. ორთა წამოყენებულ კანდიდატთა შორის ბევრი აწონ-დაწონვა არ მოუნდებოდა კაცს, ისე ცხადი იყო ღირსება ერთისაც და მეორისაც თვალახილულ კაცისათვის. ვინც ორთა შორის უკეთესს არ მისცა ამ შემთხვევაში მხარი, იმან თუ არ დაუგვიანა მოსალოდნელი და შესაძლო სიკეთე ჩვენს ქვეყანასა, სამის წლით მაინც შეაფერხა ის გაღვიძებული აზრი, რომელიც გამოითქვა ჩვენის ქვეყნის შესახებ გურიისა და გორის წლევანდელ კრებათაგან მიღებულ წინადადებაში, და ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, მცირე შეცოდებად არ ჩაითვლება. ეს შეცოდება მით უფრო მატულობს, რომ ამ სამს წელიწადში ბევრი რაღაც ცვლილება მოელის ჩვენს ქვეყანასა და გონიერის, განათლებულის მარშლის ხმა ამ შემთხვევაში მეტად საჭირო იყო ჩვენის ქვეყნისათვის და ქვეყნის სახელისათვის.

XVI

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, ივლისი — აგვისტო.

რა ჭნას ხანდისხან შინაურმა მიმომხილველმა. — კიდევ მიწა და გუთანი. — მიწისა და გუთნის ძალი. — ერის ერობა მარტო მიწასა და გუთანზეა დამოკიდებული. — კაცობრიობის წარმატების მესვეურნი. — შედეგი უმიწოდ ყოფნისა და უგუთნოდ. — ვაჭრობა. — მისი მნიშვნელობა. — მისი ცუდი და კარგი. — ვაჭარი უცხო თესლისა. — რის მოვალეა. — საფრთხილო და საშიში. — ტყუილ-უბრალო გულის ფხანა და ენის ქავილი. — მიწათ-მოქმედების წარმატება. — სამ-გვარი გზა — ხვნა, მკა და ლეწვა. — ნახული მაგალითები.

ვერაფერი ხელობაა ჩვენში ხელობა შინაურის მიმომხილველისა. თვალები ცქერით უნდა გაიწყალოს კაცმა, რომ ყოველ თვე-და-თვე საგანი რამ იპოვოს საზოგადო მნიშვნელობისა და, მაშასადამე, ლიტერატურის ღირსიცა. ცხოვრება ჩვენი მეტად შინ-შეკეტილია, მეტად მიმალულია თკალთაგან, საერთოდ უჩუმარად მოძრავია, მეტად მდოვრად მიდის, დღე დღესა ჰგავს ჩვენში, თვე თვესა და წელიწადი წელიწადსა. ერთ-სახობა, ერთ-ნაირობა ადამიანის თვალს ხალისს უფუჭებს ცქერისას, დაკვირვებისას და ზედამხედველობისას. რა ჭნას ამ ყოფაში და ამისთანა ქვეყანაში მოარულმა შინაურმა მიმომხილველმა? ამ არარაობის ხუნდი კისრად იღოს და დადუმდეს, თუ მაინც-და-მაინც იმისთანა საქმეზედ მიაქციოს მკითხველის თვალი, რომელიც, თუ ბევრით არა, ცოტათი მაინც ღირსია ყურადღებისა? ჩვენ ამ-ჟამად უკანასკნელი ვირჩიეთ და თუ ჩვენი არჩეული არავის მოეწონოს, ნუ გვიკიჟინებს.

კიდევ ვიტყვით, რომ ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების

და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა — იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ — თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, — მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა. დიდს ისრაილს, დიდს საბერძნეთს, დიდს რომს ამითი მოეღო ბოლო.

ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად, რამოდენადაც იგი ეზიდება საქონელს იქიდამ, საცა მეტია, იქ — საცა უჭირთ და ამ გზით შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც გაწყობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა, და ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომაც ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. ამისთანანი არიან ებრაელნი და სხვანი, მარტო ვაჭრობაზედ დანდობილნი და მიჩემებულნი. ამისთანა ერს აუცილებელ ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღონე-მოკლებულია, ერად ყოფნობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროთ ჰქონდეს გატენილი. ამისთანა ერის ეკონომიური ყოფა-

ცხოვრებაც იმ ერზედ არის დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მიწა და გუთანი, იგიტომ — რომ ვაჭრობა არა ჰქმნის სიმდიდრესა; ძას მარტო ერთის ადგილიდამ მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია, და აძ გადატან-გადმოტანაში თავის გასამსჯელოდ დოიაქს იღებს იქიდამაც — საიდამაც გადააქვს და იქიდამაც — საცა მიაქვს. ამ სახით, ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე, ძაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო, ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი, და ნამდვილ განათლებულ ვაჭარს ყოველთვის წინ გამოსახული ისა აქვს, რომ მისი კეთილდღეობა იმ ერის ბედთან არის შეხორცებული, რომელსაც შეჰხიზნებია. ამიტომაც იგი არ ერიდება და თავისად მიაჩნია იმ ერის ჭირიცა და ლხინიცა. საცა ამ დონეზედ ვაჭარი არ დამდგარა, საცა გულში ჩაუდვია მარტო თავისი გამდიდრება იმ გზით, რომ ერი გააღარიბოს, იქ ვაჭარი თვალში ეკლად უჩანთ. უცხო თესლის ვაჭარი სტუმარია მკვიდრის ერისა. სტუმარმა მასპინძელს არასოდეს არ უნდა გაუბედოს, აქაურობის პატრონობა მე მინდაო. შეიძლება სტუმარი ძმად მიითვისოს კაცმა, მაგრამ მის ბატონად გახდომას-კი მოკვდება და არ იკადრებს.

ადამიანსა ცალკედ და ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწეული იყოს, ვიდრე პირში სული უდგას, ჯიგართან იმისთანა ძაფები აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად საფრთხილოა და საშიშარი. შინაურია, თუ გარეული, უნდა ერიდოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას. ამისთანა რჩევას ამაო დიდგულობა კი არ იძლევა, არამედ ძმური გრძნობა და სიყვარული. ყველამ იქაური ქუდი უნდა დაიხუროს, საცა შეეხიზნება, იქაური ჭირი და ლხინი გაიზიაროს, იქაურებთან ერთად ჩაებას ცხოვრების მძიმე უღელში და საერთო კეთილისათვის იღვაწოს. სხვა გზა, სხვა ფარ-ხმალი ტყუილ-უბრალო გულის ფხანაა და მცონარე ენის ქავილია. სხვა რაღაცაების მოიმედე — ტყუილად ატყუებს თავის-თავსაც და სხვასაცა. მის იმედებს დიდი მანძილი არა აქვს და არც თავის-დღეში ექნება.

ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უკლია. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნობისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მხნეობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რადგანაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს, ამიტომაც ყოველი წარმატება, ყოველი წინ წადგმული ბიჯი ამ ორ საგნის მიმართ, ჩვენთვის დიდის ყურადღების ღირსი უნდა იყოს.

მიწისა და გუთნის შესახები წარმატება სამის სხვადასხვა გზით შესაძლებელია. ერთი იმ გზით, როცა მეცადინეობა მიქცეულია მასზედ, რომ მიწა იმოდენად შეკეთდეს, რომ რაც შეიძლება დიდი გამოსავალი მისცეს მშრომელსა. მეორე იმ გზით, რომ თუმცა მიწის გამოსავალი იმავე ზომით იყოს, მხოლოდ მისის შემუშავების ხარჯი — რაც შეიძლება — შემოკლდეს. მესამე იმ გზით, რომ ეს ორივე ღონე ერთად მიქცეული იყოს მიწის სამოქმედოდ. ყველაზედ სრული მიწათ-მოქმედება ამ უკანასკნელ გზაზედ დგას. ამისი მაგალითი ბელგიაა, ინგლისი და ამერიკის ჩრდილოეთის შტატები. ჩვენში პირველის გზით ჯერ არავინ დაიარება, მხოლოდ მეორე გზაზედ კი ზოგიერთი მემამულე ამ მოკლე ხანში დადგა, და მესამე გზისა-კი ჯერ სრულებით ვიწრო ბილიკიც არ არის გატარებული.

ჩვენ დღეს გვინდა ამ მეორე გზაზედ დამდგარს მიწათ-მომქმედებს თვალი ავადევნოთ და ამისათვის სახეში გვაქვს იმისთანა მაგალითები, რომელნიც ჩვენის საკუთარის თვალით ნახულია ერთს მამულში ქალაქის ახლო. დიდი ხარჯი საკუთრივ მიწათ-მოქმედებისა სამ-გვარია: ერთი ხვნისა, მეორე მკისა და მესამე ლეწვისა. ჯერ ვიანგარიშოთ, ყოველივე ეს რა უჯდება მიწის-მომქმედს. თუ მამა-პაპურ წესზედ წავიდა საქმე, იმ მამულში, საცა ჩვენ ამ საგნისათვის თვალი გვიდევნებია, ერთს დღიურს მიწის მოხვნას, ესე იგი 1200 ოთხ-კუთხე საჟენს, უნდება არა ნაკლებ რვა უღელი ხარ-კამბეჩი. ესეც მაშინ, როცა ხარ-კამბეჩი კარგს ჯანზეა, თუ არა და ათი უღელი უნდა. ამას

სჭირდება. ერთი გუთნის-დედა და ოთხიდამ ხუთ კაცამდე მეხრე.

ახლა იფიქრეთ, რამოდენა ხარჯის შემოკლება იქნება, რომ ერთი დღიური მიწა მოიხნას ორისა და სამის უღლით, რომელსაც ბევრი-ბევრი ერთი გუთნის-დედა მოუნდეს და ერთი თუ ორი მეხრე. ერთი ხუთად ხარჯი შემოკლებული იქნება საქონელზედ და ერთი სამად მაინც კაცზედ. რომ ეს ასე მოხდეს, რასაკვირველია, სხვა-გვარი გუთანი უნდა შემოღებულ იქმნას, იმისთანა გუთანი, რომელმაც ჩვენის მიწის შესაფერი სამსახური გაგვიწიოს, არც ძალიან ძვირი იყოს და არც ისეთი რთული, რომ გატეხის და მოშლის შემდეგ ძნელად გაკეთდეს და გაიმართოს. ამისთანა გუთანი ანგლო-ბოლგარული გუთანია, გოვარდისა, № 2, ღირს ქალაქში 52 მანეთად და იყიდება არწრუნის ქარვასლაში. ეს გუთანი ვნახეთ ზემოხსენებულ მამულში მუშაობის დროს. გუთნის-დედა ქართველი უბრალო გლეხიკაცი იყო. ამან, რა წამსაც დახედა გუთანს, მაშინვე მიხვდა რა ნაჭერი გუთნისა რას მოასწავებდა. აი ეს, ბატონო, დასავლებელი უნდა იყოსო, აი ეს უსათუოდ ღრმად დასაშვები იქნებაო, აი ეს ბელტის კარგად გადაბრუნებისათვისო და სხვა ამგვარი. სწორედ ისეც გამოდგა. შეაბეს ჯერ ორი უღელი კამბეჩი და მოუკიდეს გუთანი ძალიან დაგოლვილს მიწას, ქვითკირსავით მაგარს, მაგრამ არა ქვიანს და უძეძვჯაგოს. ორმა უღელმა ადვილად დასძრა მოკიდებული გუთანი. მაგრამ თითონ გუთანი როგორღაც აქეთ-იქით აწყდებოდა და ღრმად არ მოეკიდა. გუთნის-დედამ იმედი არ დაჰკარგა და სთქვა: ამასაც წამალი ექნებაო. შეაყენა გუთანი, ბარი ძირს დაუშვა, საკვეთი შესაფერად მოუწყო და თავში ერთის მხრიდამ სოლი მისცა საკვეთს. გუთანი ღრმად მოეკიდა, სწორედ დადგა, აღარ მიაწყდა აქეთ-იქით, მაგრამ ორს უღელს კამბეჩს დაუმძიმდა გუთნის ტარება. ერთი უღელი ხარი კიდევ ჩაუბეს, გუთანი დიდის შეღავათით წავიდა, საქონელი სულ მსუბუქად ეწეოდა. მაგრამ გუთნის-დედამ შენიშნა, რომ ვიწრო ბელტსა სჭრის და კარგად ვერ აბრუნებს. პირველისათვის წინადამ დაუველა და მეორისათვის უკან, საცა ხელის მოსაჭიდი სახელურები აქვს,

იქ გაყრილ რკინას მოუშვა, სახელურები ერთმანეთზედ განზედ დადგნენ, ფრთა უფრო ხერხიანად გაიმართა და გუთანმა ისე მშვენივრად ხვნა დაიწყო, რომ უკეთესი ძნელად თუ იქნება. ერთის სიტყვით, გუთანი გამოდგა. მემამულემ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ რვა და ათ უღლიანს გუთანს გადურჩა. ორიოდე უცხო გლეხიც იყო გასასინჯავად და იმათაც ძალიან მოიწონეს გუთანი. მხოლოდ სთქვეს, ჩვენებურად ღრმად ვერა ხნავსო. ჩვენის ფიქრით, ეგ გუთანი ჩვენში ყველგან გამოდგება; არ ვიცით, ქვიანში რასა იქს, თორემ წმინდა მიწაში კი ძალიან კარგი ყოფილა, რაც უნდა ყამირი მიწა იყოს. სიღრმით ჩვენებურ გუთანზედ იქნება ცოტა ნაკლებ ხნავდეს. გამარჯვებით გახარებულმა მებატონემ განიზრახა ორის კიდევ ამისთანა გუთნის ყიდვა.

ამავე მემამულეს ძოეტანინებია სამკალი მაშინა ოც-და-ხუთმეტ თუმნად. მაშინა ბუკეის სისტემისაა. წელს იმითი დამკო თავისი ყანები და სხვასაც უმკო. ჯერ გლეხებმა შორს დაიჭირეს მაშინით მკა, ეგ ყანას როგორ მომკისო. მერე, როცა მემამულემ თავის ყანებს მკა დაუწყო, მთელი სოფელი, კაცი თუ ქალი, ზედ დაედო საყურებლად. ჩვენის თვალით ვნახეთ ეს სამკალი მაშინა მუშაობაში. მკის მშვენივრად, დაბლა თუ მაღლა ოთხ ვერშოკამდე, როგორც გნებავთ; ერთს თავთავს არ გაუშვებს მოუმკალს, ისე ჰპარსავს, როგორც სამართებელი. მაშინას ატარებს ორი უღელი ხარი და ორი უღელიც მარჭაფადა ჰყვანდა მემამულეს საცვლელად. ცხენებით სცადა ჯერ, მაგრამ ცხენები ვერ მოიხმარეს მოჯამაგირეებმა, მით უფრო, რომ ცხენები ფრთხებოდნენ მაშინის ხმაზედ და ფოცხების ტრიალის გამო. მემამულეს იმედი აქვს, რომ სამერმისოდ ცხენებს მოამზადებს. მაშინამ, როგორც მოგახსენეთ, მშვენივრად მომკო კაი მოზრდილი ხოდაბუნი ოც-და-ერთის დღისა და ნახევრისა ორ-დღე-ნახევარში. მკის გარდა, ხელეურებს, თუ მთელს ძნას, როგორც გნებავთ, მაშინა ისე ფრთხილად და კარგად აწყობს, რომ კაცი ხელით ვერ დააწყობს. ერთის სიტყვით, სამკალად უკეთესი არა უნდა-რა, რაც ის მაშინა არის. იმისი წუნი ის არის, რომ პირველი — მძიმეა, მეორე — გამოვლაში

ხელეურებს, თუ აკრეფილი არ არის, მაშინის თვალი და საქონლის ფეხი ხვდება. ეს ასე არ იქნებოდა, თუ რომ ხარის მაგიერად ცხენები ბმულიყო. იმიტომ რომ ცხენი ვიწროდ იბმის, ჯიდრე ხარი და, მაშასადამე, ფეხს ვერ მოახვედრებს მომკილს ხელეურსა. გარდა ამისა, ცხენი ხარზედ უფრო ადვილი მოსახმარებელია და ამის გამო სამკალს მთელს სვეს გაატანინებს კაცი და მაშინ მაშინისათვის იმოდენა გზა დარჩებოდა, რომ მაშინის თვალი არ მიეკარებოდა ხელეურს. ათი-თორმეტი ძალიან მარჯვე ბიჭი უნდა, რომ ამ მაშინას ძნა შეუკრას, ისიც თუ ულო წინათვე მომზადებული აქვს. ხარით დღეში მკის შვიდ დღიურიდამ რვა დღიურამდე. ცხენით, რასაკვირველია, მეტს მომკის.

რაკი გლეხებმა ნახეს მაშინა, მოაწყდნენ მემამულეს ხვეწნით, არა მე მომიმკე, არა მეო. დღიურზედ მუშები ხუთს და ათს შაურიდამ ექვს მანეთამდე იღებდნენ მომკაში იმ არემარეში. მემამულემ სამსა და ათს შაურზედ დაუწყო მაშინით მკა და გლეხებს ძალიან გაუხარდათ. პირველი — რომ ორ მანეთად ნაკლებ უმკიდა, მეორე — რომ მუშის ჭამა-სმა თითქმის ერთისამად ნაკლებ უჯდებოდათ, იმიტომ რომ თერთმეტის, თუ თორმეტის კაცით ერთს დღეს უმკიდა შვიდს დღიურს, მაშინ როდესაც მაგოდენა ყანას ოც-და-რვა კაციდამ ოც-და-ხუთმეტ კაცამდე ხელით მომკალი მოუნდებოდა. თუ გლეხები იმდურებოდნენ რასმე, მარტო იმაზედ, რომ მეძნეურები კარგად ვერა ჰკვრენ ძნასაო, ცუდ-უბრალოდ ჰფანტვენო. სამერმისოდ მემამულის რჩევით, პირობა დასდეს, რომ ოღონდ მაშინით გვიმკეთო და ძნის შესაკვრელად ნაცვალ-გარდობას გავაჩენთ ერთმანეთშიაო. მემამულის ანგარიშით, მაშინ დღიური შეიძლება მანეთ-ნახევრად, ანუ სულ ბევრი-ბევრი ორ მანეთად მოიმკოსო, ყანის პატრონს კი დღიურზედ ერთი კაცი და ერთის კაცის ხარჯი შეხვდება ნაცვალ-გარდობაშიო. მაშინ რაც თითონ მომკო იმ არემარეში და ახლო-მახლო სოფლებში, ხომ მომკო, და რაც არა, — კრო მუშას, იმ სოფლებში მოდებულს და მამა-სისხლად სამკალად ყანების ამღებს, ისე გაუხადა საქმე, რომ ხუთ და ექვს მანეთამდე ასული დღიურის მომკა

სამს მანეთად ჩამოახტუნა. ბევრი წყევლა და ქოლვა შემოუთვალეს იმ წურბელა კროებმა მაშინის მომგონსა.

რასაკვირველია, სამკალი მაშინა სწორე მიწის ყანას კარგად მკის, მაგრამ არც გვერდაზედ მკის ნაკლებ, ოღონდ მსხვილი ლოდი ქვა არ იყოს და ჯაგი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სამკალი მაშინა უქმია. არა გვგონია, რომ წაქცეული ყანაც მოკოს. მაინც-და-მაინც ღირს, რომ კაცმა ეს მაშინა იქონიოს. უსათუოდ ერთი-სამად იაფად დაისვამს მკასა, გარდა ამისა ჩქარა მოკავს კაცი და მუშის უშოვარობაზე აღარ დაღონდება და შეწუხდება. ამბობენ: ვთქვათ, ვიქონიოთ მაგისთანა მაშინაო, რომ გატყდეს და მოიშალოს, რა ვუყოთო. მოშლით არა უშავს-რა, იმიტომ რომ მაშინას პატარა გულის-ყური რომ აადევნოს კაცმა, მალე მიხვდება, სად რის ხელის შეწყობა უნდა და მალე გამართავს. საქმე გატეხაა. ამ ბუკეის სისტემის მაშინაზედ უნდა ვსთქვათ, რომ მეტად მკვიდრია, ნამეტნავად ის ნაჭრები მაშინისა, რომელნიც ძვირია და ძნელად საკეთები. თუ უფუჭდება რამე მაშინას, წვრილმანი რამ უფუჭდება, და ეგ წვრილმანი რომ კაცმა წინდაწინვე ოდესიდამ დაიბაროს და მზადა ჰქონდეს გატეხილის და წამხდარის გამოსაცვლელად, ადვილი საქმეც არის და არც ბევრი რამ დაჯდება. ყოველს ნაჭერს თავისი ნომერი აქვს. ვისგანაც მაშინას იყიდით, იმას რომ მისწეროთ ამა და ამ ნომრის ნაჭრები გამომიგზავნეო, შვიდ-რვა დღეზედ მოგივათ. რასაკვირველია, ეს თადარიგი წინათვე უნდა დაიჭიროს მემამულემ, მინამ მკა და მუშაობა დაიწყება, თორემ მერე გვიანღა იქნება. გარდა ამისა, ეხლა ქალაქში ყველაფერს აკეთებენ, თუმცა კი ასე ძვირად, რომ ისევ ადგილიდამ დაბარება სჯობია. ყველგან, ვისაც მაგ-გვარი მაშინა აქვს, ისე იქცევიან, რომ დადგება იანვარი თუ არა, გასინჯვენ მაშინასა და, რაც აკლია, ნომრებით აღნუსხავენ და იბარებენ — ერთისას ორ-ორ და სამ-სამ ნიმუშს ყოველ შემთხვევისათვის.

ერთის სიტყვით, სამკალი მაშინაც გამოდგა. თუმცა ზემოხსენებულ მემამულეს გამოუცდელობით საქმე ისე ვერ მოეწყო, როგორც რიგია, და თუმცა მაშინას მაშინისტიც ააყოლა,—

მემამულე ეხლა გულდაჯერებულია, რომ სამერმისოდ გამოუცდელობას ადგილი აღარ ექნება და სამკალი მაშინა თავის დანიშნულებას უნაკლულოდ აასრულებს. ეს იმედი ამ მაშინის წყალობით ისე ძლიერად ჩაესახა გულში, რომ საკულავოდ აპირობს ორისა თუ სამის მაშინის დაბარებას სხვადასხვა სისტემისას. მეც ჩემს ხარჯს გამოვალო, ამბობს, და ხალხსაც, რამოდენადაც შესაძლო იქნება, გავუიაფებო მკასა, ამ ცხარე და გასაჭირს მუშაობას, რომელსაც მიწათ-მომქმედის ჯიბიდამ კაი მოზრდილი და საგრძნობელი ლუკმა მიაქვსო და რომელსაც ზოგჯერ მუშასაც ვერ უშოვის ხოლმე თავის დროზედ.

ერთი უდიდესი ხარჯი, ძლიერი ჯაფა საქონლისა და კაცისათვის ჩვენში, ლეწვაა. ზემოხსენებულმა მებატონემ გვითხრა, ყველაფერი ვიანგარიშეო დაწვრილებით ევროპიულადაო და გამოდისო, რომ მებატონეს თითო კოდის გალეწვა უჯდება ერთი მანეთი და ოცდა-რვა კაპეიკი; გლეხსა — ოთხ აბაზუზალთუნი და რვა კაპეიკიო; დროს დაკარგვას, საქონლისა და კაცის დაუძლურებას კი აღარ ვანგარიშობო. გლეხს იმიტომ უჯდება მებატონეზედ იეფადაო, რომ თავის საქმეს თითონ დასტრიალებს ფეხმოუცვლელადაო და მებატონე კი მოჯამაგირის ანაბარად არისო უფრო ხშირად. ეხლა იმ ზემოხსენებულს მემამულეს დაუბარებია სალეწი მაშინა, ას-ორმოცდა-ათ თუმნამდე უჯდება. ამასთანავე, ადგილიდამვე მემაშინეც მოუწვევია და დღე-დღეზედ მოელის ერთსაც და მეორესაც. მაშინა ლეწს თურმე ათის საათის განმავლობაში 450 ათეულს, ანიავებს პურს, აცხავებს, არკვევს, ტომრებში აწყობს და ტომრები კიდევ თითონვე გადააქვს ახლო მიტანილს ურემზედ. უნდება თურმე რვა ცხენი და თექვსმეტი მარჯვე მუშა. მაშინა ისეა თურმე მოწყობილი, რომ საცა გნებავთ იქ წაიღებთ ხარებით თუ ცხენებით და ალეწვინებთ. ერთი დიდი წუნი მაშინისა ის არის, რომ ბზეს არ აკეთებს. მემაშინე, რომელიც ეხლა მემამულესა ჰყავს, იმედოვნებს, რომ ბზის საკეთებელიც გაუკეთდებაო, მხოლოდ იმის შიში აქვს, რომ ვაი თუ რვა ცხენმა ვეღარ ამუშავოსო და მეტი მოუნდესო. გლეხები იძახიან, კარგი იქნებოდა, რომ ბზეც ეკეთებინაო, მაგრამ უმა-

გისობასაც შევიფერებთო, ოღონდ ისე მალე ლეწოს, როგორც ამბობენო, პური განიავებული და გარკვეული გამოიყვანოს და ნამჯას არ გადააყოლოსო. ნამჯას საბზევედ ჩვენ თითონ გავლეწავთო. ამ შემთხვევაში, რაკი კალოზედ შეგვა, განიავება, გაცხავება საჭირო აღარ იქნებაო, და მარტო საბზევედ გალეწვაზედ მიდგება საქმე, ადვილად გავუძღვებითო. გლეხებმა სთქვეს, რომ ათის-თავს სიხარულით მივცემთო, თუ მართლა მაშინა ეგეთი გამოდგებაო. ამ სახით, იმ მებატონის ანგარიშით, კოდი პურის გალეწვა სამ შაურად დაუჯდება გლეხსაო. თუ ყოველივე ეს გამართლდა, დიდი შეღავათია; სად თითქმის მანეთი და სად სამი შაური? მთელს იმ არემარეს, საცა ის მემამულეა, ოთხ-ხუთ თვეზედ გაულეწს მოსავალსა, იმიტომ — რომ მაშინა ზამთარ-ზაფხულს თურმე დაუყოვნებლივ მუშაობს. სოფლები გარშემო ახლო აქვს, მაშინის გადატან-გადმოტანაში ბევრი დრო არ მოუნდება. წელს კი რაღა იქნებაო, ამბობს მემამულე, და სამერმისოდ მაშინას ერთს შუაგულს ადგილას დავდგამო, რომ ვისაც უნდა, როგორც წისქვილში საფქვავი, ისე ძნა მოიტანოსო, იქავ გავულეწ და ჩავაბარებო. თუ მართლა ათის საათის განმავლობაში ოთხას-ორმოც-და-ათს ათეულს ლეწავსო, ამბობს მემამულე, მაშინ იმედი მაქვს, უფრო იეფად დავუწყო ლეწვაო.

ღმერთმა ქნას, ეს გზა მიწათ-მოქმედობის წარმატებისა კარგად გაიჭრას და კარგად გაიკვალოს. გლეხები ამბობენ. რომ მკა და ლეწვა რომ ეგრე გაადვილდეს, დიდძალი ხალხი ხელს მოჰკიდებს ხვნასაო, და ვინც აქამომდე ერთს დღიურს ხნავდაო, ის ერთი-ორად, ერთი-სამად მოხნავსო, რადგანაც ამ წყეულ კალოს და მკასა იმოდენა ხარჯსა და დროს აღარ მოანდომებსო. მართალია, მიწები დაძვირდებაო, მაგრამ ეგეთი გაადვილებული მკა და ლეწვა მიწის სიძვირეს ადვილად აგვატანინებსო. ერთი-ორად რომ მეტი მიწა შემუშავდეს მაინც ჩვენს ქვეყანაში პურისა და სხვა ამ-გვარის მოსაყვანად, მაშინ ჩვენი ქვეყანა არამც თუ პურს და ქერს სხვიდამ მოიტანს, არამედ თითონ უწილადებს სხვასაცა.

XVII

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, სექტემბერი.

ნიშანი ერის ჰასაკში მოსვლისა. — როდის უფრო უტყუარია ეგ ნიშანი. — ევროპა წინაშე მისთა მოღვაწე კაცთა. — რუსეთის მაგალითი. — იგივე მაგალითი ჩვენში. — აკაკი წერეთელი გორსა და თელავში. — მისი სიტყვა. — ანდერძი ჩვენის მამა-პაპისა. — გაუმარჯოს!

როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარეშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს, — ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად,— მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის. ეს ნიშანი მაშინ უფრო ნამეტანად უტყუარია, როცა ესეთი ყურადღება ერისა მიიქცევა ხოლმე იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივისცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია.

განათლებულმა ევროპამ დიდი ხანია ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ. ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, მინამ ცოცხალი იყო; ვის არ ახსოვს საქვეყნო გლოვა იტალიისა, როცა იგი დიდებული გმირი იტალიისა მიიცვალა? ვის არ ახსოვს ვოლტერის სახსოვრად გამართული დღესასწაულობა საფრანგეთში, ვიქ-

ტორ ჰიუგოს ოთხმოც-წლოვანობის იუბილე და სხვა ამგვარნი? ვის არ ახსოვს რა დიდებით, თავმოწონებით, საქვეყნოდ აღიარა საფრანგეთმა თავისი გულითადი პატივისცემა, რა მხურვალე გრძნობით გამოაცხადა თავისი გულწრფელი მადლობა ამა თვისთა მოღვაწე კაცთადმი — მადლიერებით სავსე გულმა მთელის საფრანგეთისამ? ვის არ ახსოვს შილლერის დღეობა გერმანიაში? სწორედ დღეობა იყო მთელი გერმანიისა და ამ დღეობით მთელმა გერმანიამ დიდებული პატივისცა თავის დიდებულ პოეტის გვამსა და მტვერსა. ინგლისში ცალკე სასაფლაოა, საცა ვერც სიმდიდრე, ვერც გვარიშვილობა, ვერც დიდკაცობა ადგილს ვერ შოვობს, და საცა მარტო სახელოვანთა ინგლისელთა, გამოჩენილთა — ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ერის სამსახურში, — უკანასკნელი სადგური ეძლევათ ხოლმე მადლობელის ერისაგან, საცა დასაფლავება ყოველს ინგლისელს სანატრელად და სასახელოდ მიაჩნია და საცა ყოველი ინგლისელი თაყვანებით თავს იხრის ხოლმე და მუხლს იდრეკს თავისის ერის დიდებულთა წარმომადგენელთა მტვერის წინაშე.

იქ, ევროპაში, ერისათვის მოღვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითოეულის თანამემამულისაცა ცალკედ. იქ თვითოეული მამულის-შვილი ისე უფრთხილდება ერისათვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებას, როგორც საკუთარის თავისას. იქ იქნება საკუთარის თავისათვის ისე არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის, ვისაც ერისათვის შრომა გაუწევია, ვინც ქვეყნისათვის, მამულისათვის, შეძლებისამებრ გარჯილა. რომელსამე საქვეყნო სარბიელზედ ფეხი მოუკიდებია და თავისის ნიჭით, ღონით, მეცადინეობით უმსახურნია და რაიმე კვალი დაუმჩნევია. იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითოეული მისი თანამემამულე თავს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი სახელი იყოს; თავის-თავის გაუპატიურებას ირჩევს, დასთმობს, და თავისის ქვეყნის გამოჩენილის კაცისას კი არა, თავს შეაკლავს იმას, ვინც კი გაბედავს და უპატიურად ახსენებს მისის ქვეყნის სახელოვანს კაცს.

შორს რათ მივდივართ? აი თითონ რუსეთი ავიღოთ მაგალითად. ჯერ, ჩვენ ხსოვნაშივე, თავის გამოჩენილთა კაცთა არავითარს ყურადღებას არ აქცევდა რუსეთი და თუ რამ პატივისცემა ჰქონდათ, ისიც ორიოდე კაცისაგან, რომელთაც ესმოდათ ფასი საქვეყნოდ მოღვაწის კაცისა, და ამისთანა კაცების ჩამოსათვლელად ადამიანისათვის ათი თითი იყო სამყოფი იმ ოთხმოც მილიონს ხალხში. ეხლა-კი თითონ რუსეთმაც თვალი აახილა, იგრძნო თავისი უმადურება თვისთა მოღვაწე კაცთადმი და ჩვეულებად მიიღო ყოველს შემთხვევაში მათდამი პატივისცემის გამოცხადება საქვეყნოდ. ნეკრასოვის, დოსტოევსკის დასაფლავებაზედ მოსკოვმა და პეტერბურგმა დიდი გულის-ტკივილი და მადლობა გამოაცხადეს მათდა ღვაწლისათვის. ეხლაც ცოცხალის ტურგენიევის იუბილე საქვეყნოდ იდღესასწაულეს, მისი ღვაწლი ლიტერატურაში თავმოწონებით გასთქვეს და ადიდეს. ყოველმა კერძომ რუსეთისამ ამ საერთო მადლობის ხმას ბანი მოსცა. პუშკინის სახსოვრად მადლობელმა რუსეთმა ძეგლი ამართა მოსკოვში და ამ ძეგლის ამართვის დღე დიდის ყოფით და დიდის ამბით გადაიხადა. უკეთესნი კაცნი რუსეთისანი ამ დღესასწაულზედ დაესწრნენ და ვისაც როგორ შეეძლო ისეთი პატივი, ქება და დიდება შეასხეს ამ პოეტს, რომელმაც პირველად დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლიჩსისა და სიტყვიერობისა. რუსეთის ლიტერატურამ თავმოწონებით შეიტანა თავის მატიანეში ეს ამბები, სასიქადულოდ მიიღო ამისთანა ყოფა და თითქმის ერთხმად წარმოსთქვა, რომ ჩვენ ამ ამბავში ვხედავთო ნიშანს ჩვენის განვითარებისას, ჩვენის ზნეობის და გონების ამაღლებისას, ჩვენის ცხოვრების აღმატებისაო.

ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი — ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამისი მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლოს ჟამს კახეთში; ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვე-

დრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გამოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოც-და-ხუთს წელიწადში ატკბობდა ქართვლის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართვლის გულს ქართვლისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალით ინახულა. ვამბობთ, ინახულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართვლის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართვლისა, წინ დახვდა გულწრფელის პატივისცემითა და მადლიერობით აღსავსე გულითა. აგრეთ თითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა.

ჩვენ ესეთი მიღება ბ-ნ აკაკი წერეთლისა ავნიშნეთ, როგორც სანუგეშო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა, თქმული თელავში კახელების წინაშე. ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და

გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია.

„ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდესო“, — უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, — უპასუხნია აკაკის: — რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო“. დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით, რომ ხვალე უკეთესი უნდა იქმნას, გულს იმხნევებს ამ დღევანდელის დღის ვაი-ვაგლახით და ნაცარ-ტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია. რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა — ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ, აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის! ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მომქმედნი. „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“ — დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის. ასეც უანდერძნიათ ჩვენ მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ჭონდრის-კაცებად თუ ჩავითვლებით!..

ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელს საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის.

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, ნოემბერი.

ბ-ნ მეისნერის პროექტი შესახებ ღვინის აღებ-მიცემობის, ღვინის ქეთებისა და არაყის ხდისა ამიერ-კავკასიაში. — განკარგულება ამის თაობაზედ მთავარმმართებლისა. — სამეურნეო საზოგადოება და მისი მოქმედება ამ პროექტის შესახებ. — ცალკე კამისია.—აზრი, წარმოთქმული კამისიაში. — ცალკე აზრი თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილისა. — დასკვნა კამისიისა. — დასკვნა სამეურნეო საზოგადოების საერთო კრებისა. — ცალკე აზრი თ. ი. შალიკაშვილისა, ბ-ნთ იოსელიანისა და ელიოზოვისა. — განხილვა ამ ცალკე აზრებისა და ბაასი მათ გამო სამეურნეო საზოგადოების კრებაში.

ჩვენი საზოგადოება ამ ბოლოს დროს მეტად შეაფუცხუნა ერთმა ამბავმა, რომელიც დღეს ყველას სიტყვის მასალად გაუხდია და საცა კი მიხვალთ, ყველგან მაგ ამბავზედ არის ერთი გაცხარებული ლაპარაკი და ბაასი; ზოგი ჰოს იძახის, ზოგი არას, ერთნაირის სიცხარითა და რიხითა. ესეთი გაცხარება, ესეთი აპილპილება ცხადი ნიშანია, რომ თითონ ეს ამბავი მეტად გულს მოხვედრია ჩვენს საზოგადოებას და მისი საგანი მეტად ძლიერ შეჰხებია ჩვენს არსებითს ყოფა-ცხოვრებასა. ამიტომაც ჩვენ, როგორც მემატიანე და თვალმადევნებელი ჩვენის შინაურის ცხოვრებისა, მოვალენი ვართ ეს ამბავი ვაცნობოთ თავიდამ ბოლომდე ჩვენს მკითხველებს.

ეს ამბავი გახლავთ ბ-ნ მეისნერის ორი პროექტი, რომელიც წარუდგენია მთავარმმართებელთან და მთავარმმართებელს კიდევ გარდაუცია აქაურ სამეურნეო საზოგადოებისა-

თვის გასაშინჯავად იმ მხრით თუ, — სასარგებლოა ამიერ-კავკასიისათვის წინადადება ბ-ნ მეისნერისა, თუ არა. ბ-ნს მეისნერს მოუწადინებია დააარსოს ჩვენში ორი საზოგადოება: ერთი ამიერ-კავკასიის ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არაყის ხდისა, და მეორე — ბაღეულობისა და ბოსტნეულობის კეთებისა. ორივე საზოგადოების საფუძვლად დაუდვია აქციონერობა. ბ-ნს მეისნერს შეუდგენია ამ საფუძველზედ ორი წესდება და თანაც დაურთავს წერილები, რომლითაც იგი ცდილობს ერთის მხრით დააჯეროს აქციონერები, რომ დიდი მოგება გექნებათო, და მეორეს მხრით — ვენახებისა და ბაღების თუ ბოსტნების პატრონები, რომ თქვენს საქონელს დიდი ფასი, ფართო ბაზარი გაეხსნებაო და კაი ვაჭარი ეყოლებაო.

ეს ორივ პროექტი, თავისის წერილებით, გადაეცა აქაურს სამეურნეო საზოგადოებას იმ აზრით, რომ ამ საზოგადოებამ, როგორც ამ საქმეების მეცნიერმა თვალყურის მადევნებელმა ამიერ-კავკასიაში, სთქვას: მოუხდება ამიერ-კავკასიას ეს პროექტები, თუ არა. დიდი მნიშვნელობა ამ საქმისა ჩვენთვის, — ვალად გვდებს წარმოვუდგინოთ ჩვენს მკითხველებს ამ საქმის ვითარება იმ სიერცით და დაწვრილებით, რომ მკითხველს ცხადად გამოხატული ჰქონდეს არსება და ღირსება იმ აზრებისა, რომლებიც წინ წაიმძღვარა აქაურმა სამეურნეო საზოგადოებამ თავისის აზრის დასასკვნელად. საზოგადოებამ საჭიროდ დაინახა ამოირჩიოს ცალკე კამისია და იმას მიანდოს ვრცლად გასინჯვა ამ ორის პროექტისა *, რადგანაც ერთიცა და მეორეც ქვეყნისათვის მეტად მძიმე საგანს შეეხებაო. კამისიაში ამორჩეულ იქმნენ, როგორც კარგად მცნობნი ამ საგნისა: თ. რ. დ. ერისთავი, თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილი, თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილი, პ. ს. გამბაროვი, ს. ი. მონასტირცევი და ი. ს. ხატისოვი.

კამისია ამბობს სხვათა შორის: „შევუდექით რა ღვინის კეთების, არაყის ხდის და ღვინის ვაჭრობის ამხანაგობის წესდე-

* Отчет Кавк. Общ. Сельск. Хозяйства за 1882 г., № 8, 9, 10. стр. 15.

ბის გასინჯვასაო, გადავწყვიტეთო, რომ იგი წესდება უნდა გაისინჯოსო იმის მიხედვით, თუ რამოდენად სასარგებლოა თუ საზიანო ამიერ-კავკასიისათვის ამ წესდებაში გამოცხადებული წინადადება ბ-ნ მეისნერისა, ხოლო რამოდენად კარგია თუ ცუდი ეგ წესდება თითონ აქციონერებისათვის — ეგ ჩვენი საქმე არ არისო, ამიტომაც ამ უკანასკნელის მხრით წესდების გარჩევას დაწვრილებით არ შევუდგებითო *".

ამიტომაც კამისიას დაუდგენია: ავი და კარგი პროექტში მოხსენებულ აქციონერების საზოგადოებისა, რომელსაც ორმილიონ-ნახევარი თავნი ექნება, — განსაზღვროს ეხლანდელის ღვინის კეთებისა და ღვინის ვაჭრობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

ბ-ნ ალ. ზ. ჩოლოყაშვილს ამ საგანზედ უთქვამს, რომ თუმცა აქაური მრავალ-გვარი ყურძენი ძლიერ კარგი არის, მაგრამ ღვინის კეთება და ნამეტნავად შენახვა, უცოდინარობით და უფულობით, არ ვიცითო; ამ მიზეზით ჩვენი ღვინოები დიდხანს ვერ ინახებაო და ეს გვაიძულებსო ჩვენცა — ვინც ღვინოს ვაყენებთ, და ღვინის ვაჭარსაც ღვინის მალე გასაღებასაო. ვლეხკაცობაო, თავიდამ-ფეხამდე გაბლანდული ვალებში, ყურს არ უგდებს ღვინის სიკეთესაო, ცდილობსო ბევრი მოიყვანოსო, ვაჭარი კი მარტო იმას ყიდულობსო, რაც კარგია და დიდხანს შეინახებაო. ამ ყოფაში ორ-მილიონ-ნახევარი ფული რომ მოაშველონო ჩვენს ქვეყანას, მერე იეფი ფულიო, და ამასთანაც ღვინის კეთების მცოდნენიცაო, ძალიან მოუხდება ღვინის მომყვანსა და თითონ ღვინის სიკეთეც ისე აიწევსო, რომ დიდის ჭალაჭების ბაზარში გასავალი ექნებაო.

თ. რ. დ. ერისთავს უპასუხნია, რომ მე ამ საქმეში მარტო ერთი შიში მაწუხებსო, ვაი თუ ამ აქციონერების საზოგადოებამ ეს წვრილი ვაჭრები ღვინისა შემოგვიფრთხოსო და მარტომ დაინარჩუნოს ბურთი და მოედანიო. მაშინ ჩვენ, ღვინის პატრონები, ხომ იმ საზოგადოების ნებაზედ დავრჩებით, რასაც

---

*) Отчет Кавк. Общ. Сельск. Хозяйства за 1882 г., № 8, 9, 10. стр. 16.

შემოგვაძლევს ღვინოში — იმას უნდა დავჯერდეთო. ეს შიში რომ არ იყოს, მაგ საზოგადოების დაარსებაზედ ჩვენში არა გვეთქმის რაო. თუ ეს შიში არ გაგვიმართლდება და ჩვენში სხვა მაგისთანა საზოგადოებანიც დაარსდებიან, უეჭველია საბარგებლო იქნებაო ჯერ იმით, რომ ფული შემოვაო, მერე იმითი, რომ ცოდნა მოგვემატება და ამით ვენახებიც გამრავლდება და ვენახისა და ღვინის კეთებაც გაძლიერდებაო.

თ. ზ. ალ. ჯორჯაძეს უთქვამს, რომ რომელიმე წარმოების აღყვავებისათვის საჭიროა, რომ ნაწარმოებს ბაზარი ჰქონდეს, მუშტარი ჰყვანდეს, ესე იგი საჭიროა ნაწარმოების ვაჭრობა იყოს გამართულიო. ღვინის წარმოებასაც ღვინის ვაჭრობა უნდაო. სიმდიდრე ქვეყნისა — ის ნაწილი წარმოებისა კი აბა არის, რასაც თითონ სჭამსო, არამედ ის ნამეტურია წარმოებისა, რომელიც გააქვს გასასყიდადაო. ამიტომაც ჩვენი ღვინის მომყვანნი გაღატაკებულნი არიან, თუმცა თვალად კი მდიდარის წარმოების პატრონები არიანო. რომელიმე საქონლის აღებ-მიცემობისათვის ყველაზედ უწინარეს ის არის საჭირო, რომ ერთ და იმავე ფასად ერთისავე და იმავე ღირსების საქონელი ვიყიდოო. როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც, საცა კი ვენახებია, სხვადასხვა-გვარი ღვინო დგებაო. თუმცა ეგ ღვინოები ბაზარში გადის აქაურ ვაჭრების შემწეობითა, მაგრამ იმ სახით და ღირსებით გადის, როგორათაც თითონ იმ ადგილას იყო, საიდამაც წამოღებულიაო. ამის გამო ღვინის მსმელი იძულებულია დღეს ერთის ადგილის ანუ სოფლის ღვინო იყიდოსო, ხვალ მეორისაო, და ამ სახით ყოველ-დღე სხვადასხვა ღვინო სვასო ერთ და იმავე ფასადაო. ეს გარემოება არღვევს ერთს უმთავრესს საფუძველს ვაჭრობისასა, სახელდობრ, ერთგვაროვნებას საქონლისას ხელს უცრისო. მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში ღვინის აღებ-მიცემობა არ არსებობსო, ამიტომაც ამ წარმოების აღყვავებაზედაც ლაპარაკი ტყუილი ნატვრა იქნებაო. თუ რაც ღვინო მოდის ჩვენში, სულ ჩვენშივე ისმისო, ეგ იმიტომ კი არა, რომ ღვინის აღებ-მიცემობა გაძლიერებულია, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში აღებ-მიცემობა არ არის და ამ მიზეზით იმოდენა ღვინო მოგვყავს,

რამოდენიც მარტო ჩვენთვის არის საკმარისი და იმ ხელმოკლე ბაზრისათვის, როგორიც ჩვენი ტფილისიაო. ყველასათვის ცხადია, რომ ღვინის აღებ-მიცემობის შექმნისათვის საჭიროა სხვადასხვა-გვარის ღვინის მოგროვება ერთს ადგილს, რომ ერთი-ერთმანეთში გადარევით თითო-გვარი ღვინო გაკეთდეს და ამ სახით ბაზარში მუდამ ერთ-გვარი საქონელი გამოდიოდეს. ცხადია, რომ ღვინის მომყვანისათვის ეს საქმე შეუძლებელია, — ეს ღვინის ვაჭრის საქმეა. უფრო ცხადი ის არის, რომ ამ საქმეს მეტად დიდი თანხა უნდა. მართლადაც, საფრანგეთმა, რომელიც ამ მხრით ისე მდიდარია, რომ თავისის ღვინის ვაჭრობით მთელის ქვეყნიერობის ბაზარი ხელთ იგდო, ღვინის კეთება და აღებ-მიცემობა შეაჯგუფა იმისთანა ადგილებში, როგორც სეტტი, ბორდო, მარსელი და სხვანი, საცა ორ-მილიონ-ნახევრისა კი არა, ათისა და ასის მილიონების ღვინო უწყვიათ სარდაფებში და ჭურჭელში, რომელნიც თავისდა-რიგად მილიონებად ღირან. ეხლა ვკითხავ მათ, ვინც ამბობს, რომ დიდის თანხის შემოტანა მონოპოლიას შეჰქმნისო ჩვენში და წვრილს წარმოებას გააუქმებსო: რას ჰკარგვენ მწარმოებელნი საფრანგეთისანი იმ მიზეზით, რომ ღვინის აღებ-მიცემობა შეჯგუფდა მარტო მარსელსა, ბორდოში და ზოგ სხვა ადგილებში? განა საფრანგეთი ეგრე გააძლიერებდა ღვინის წარმოებას, რომ ეგ ადგილები არ ყოფილიყო და იმოდენა თავნი (კაპიტალი) არა ჰქონოდა? განა შეიძლება ოდესმე გაძლიერდეს ჩვენში ეგ წარმოება და ჩვენი ქვეყანა გამდიდრდეს, თუ თავნი (კაპიტალი) არ ექნება?

დიდის ფულის დატრიალება ჩვენში, უთქვამს შემდეგ ბ-ნ ზ. ჯორჯაძეს, იმითაც იქნება სასარგებლო, რომ დიდი ფული ვერასა იქს, თუ ღვინის კეთების საქმე რიგიანს გზაზედ არ დააყენაო. რაკი ღვინის კეთების საქმე რიგიანს გზაზედ დადგება, ამისი შედეგი ის იქნებაო, რომ აღმოიფხვრება ცრურწმენა ჩვენშიო, ვითომც ჩვენი ღვინოები დიდხანს ვერა სძლებენო. ბოლოს ბ-ნს ჯორჯაძეს დაუსკვნია: განკარგება ღვინის კეთების საქმისა და გავრცელება ჩვენის ღვინის აღებ-მიცემობისა შეუძლიან მარტო ცოდნას და თავნსაო (კაპიტალი) და

ამიტომაც დაფუძნება ჩვენში აქციონერების საზოგადოებისა, რომელსაც დიდი ფული ექნება, მეტად სასარგებლოდ უნდა იყოს აღიარებული ჩვენის ქვეყნისათვისაო.

ბ-ნ გამბაროვის აზრით, ჩვენს აღებ-მიცემობას ღვინისას ამ ბოლოს ხანებში ფეხი წინ წაუდგამს. რამდენიმე ფირმა დაარსდა, რომელსაც ღვინის აღებ-მიცემობა წესიერს საფუძველზედ დაუყენებიაო. მართალიაო, მაგ ფირმებს, შეუძლებლობის გამო, ჯერ დიდი აღებ-მიცემობა ვერ მოუხერხებიათო, მაგრამ უცბად მოვლენილი ზორბა ფირმა აქციონერების საზოგადოებისა ორ-მილიონ-ნახევრით ეხლანდელ ფირმებს ჩაშლისო, რადგანაც კონკურენციას, ესე იგი, ცილებას, ადგილი აღარ ექნებაო. ამ სახით, ეგ ზორბა ფირმა აქციონერების საზოგადოებისა გზას გადუღობავს ჩვენს ახლად ფეხ-ადგმულს ღვინის აღებ-მიცემობასაო და მის ბუნებრივს და თანდათანად ზრდას შეაყენებსო. ამ მხრით, აქციონერების საზოგადოება იმ-სიდიდე ფულით რაოდენსამე ვნებას მოგვიტანსო. რომ ეს ასე არ მოხდესო, მე მგონია, კარგი იქნება, მაგ საზოგადოებამ თავისი საქმე დაიწყოს ნაკლებ ფულითაო.

ბ-ნს მონასტირცევს უთქვამს, რომ დაარსება მაგისთანა აქციონერების საზოგადოებისა სრულებითაც საშიში არ არის ღვინის წარმოებისათვის ამიერ-კავკასიაში, პირიქით, ძალიან სასარგებლოა ჯერ იმითი, რომ ორ-მილიონ-ნახევარ ფულს მოგვიტანს და ფული ძალიან გვიჭირს, მერმე იმით, რომ იმისთანა რთულ და აზიზს საქმეში, როგორიც ღვინის კეთების საქმეა, გაავრცელებს ცოდნასა და სწავლასაო. აქაურს ვაჭრებს ღვინისას ფიქრი ნურასი აქვსო, აქციონერების საზოგადოება იმოდენა ბაზარს შეჰქმნისო, რომ საქმე ყველასათვის საკმაო იქნებაო.

ბ-ნ ხატისოვს უთქვამს, რომ თ. რ. ერისთავის შიში, ვითომც მარტო ერთი ეგ საზოგადოება ხელთ იგდებს მთელს ჩვენს აღებ-მიცემობას ღვინისას და ამ-რიგად ავნებს აქაურს ვაჭრობას და თითონ ღვინის პატრონებსაცა, უსაფუძვლოაო. ამ ათის წლის წინათ ამიერ-კავკასიის ღვინოები მარტო აქვე საღდებოდაო, იყიდებოდა უფრო იეფად, ვიდრე ეხლაო, და

მთელი აღებ-მიცემობა წვრილმან სირაჯების ხელში იყოო. ქალაქში მარტო კახური ღვინო ისმოდა, სხვა მხრის ღვინო თავის ადგილასვე იხარჯებოდაო. ეხლა ყოველივე ეს შეიცვალა. არამც თუ მარტო ჩვენს ქალაქში, სხვა დიდ ქალაქებშიაც რუსეთის იმპერიისაში იყიდება ყოველი გვარი ჩვენის ღვინისაო. იეფის ფასის ღვინოსთან, ძვირფასი ღვინოებიც გამოჩნდა, ბოთლი მანეთიანი, მანეთ-ნახევრიანი და ორ-მანეთიანიცაო, მაშინ როდესაც უწინ ორი აბაზი და ათი შაური ბოთლზედ დიდ ფასად ითვლებოდაო. გამოჩნდენ სხვილ-სხვილი ვაჭრებიცა, რომელნიც ადგილზედვე ჰყიდულობენ ღვინოებსაო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ამით წვრილი ვაჭრები, სირაჯები, არ შემცირებულან, პირიქით, გამრავლდნენ კიდეცა, როგორც თითონ თ. რ. ერისთავის სიტყვიდამ სჩანსო, და თითონ ღვინის პატრონებიც ადგილობრივვე ჰყიდიან თავიანთ ღვინოებსა ეხლა უფრო ძვირად, ვიდრე უწინაო. ამიტომაც, არავითარი საბუთი არა გვაქვსო, საშიში რამ ვიგულისხმოთ ან სირაჯების, ან თითონ ღვინის პატრონების შესახებო სამერმისოდ. ეჭვი არ არის, ამ უკანასკნელ ათს წელიწადში გაძლიერდა ღვინის მუშტარი, რადგანაც სხვა ახალი ბაზრები გაიხსნა, და ამ გაძლიერებამ ვენახები გაამრავლა ჩვენშიო, თუ კახეთში არა, სხვა მხარეებში მაინც ამიერ-კავკასიაშიო. სხვილის ვაჭრების გამოჩენამ ჩვენში მარტო ისა ჰქმნა, რომ სირაჯებმა, თავის ჯიბის მიხედვით, დაუწყეს ყიდვა იეფ-ფასიან ღვინოებსა, რომელიც უწინ თავის ადგილიდამ არ გამოდიოდაო. თუ აქციონერების საზოგადოება შესძლებს იმოდენად განაკარგოს ჩვენი ღვინოები, რომ რუსის საზოგადოებას ხელი ააღებინოს ევროპის ღვინოებზედ და ჩვენსას შეაჩვიოს, თქმა არ უნდა, ჩვენს ღვინოებს დიდი მუშტარი გაუჩნდება. ეს ამბავი პირველ ხანებში ღვინის ფასს ასწევს, მაგრამ იმასაც კი იქმსო, რომ ვენახებს გაამრავლებსო. მინამ ეს ასე მოხდება, უეჭველია აქ ჩვენში ღვინის სმა შემცირდება, ნამეტნავად მუშა ხალხშიო, და ამ შემცირებისაგან დიდი ზიანი მცხოვრებლებს, რასაკვირველია, არ მიეცემათო.

თუმცა ყოველივე ეს ითქვა, მაგრამ მთელი კამისია ერთხმად იმ აზრზედ დამდგარა, რომ უცბად მოვლენა ამოდენა ფუ-

ლიან საზოგადოებისა, როგორც აქციონერების საზოგადოებაა, არამც თუ ხელს შეუშლის ვაჭრობის მიმოსვლას ეხლანდელის ფირმებისას, არამედ სამერმისოდაც გზას გადუჭრის ახალის ფირმების დაარსებასაო.

ამიტომაც კამისიას დაუდგენია: ამიერ-კავკასიის ღვინის კეთებისა და აღებ-მიცემობისათვის დაარსება აქციონერების საზოგადოებისა ცნობილ იქმნას სასარგებლოდ, — იმ პირობით კი, რომ მაგ საზოგადოებამ დაიწყოს თავისი საქმე უფრო ნაკლების თავნითა და მერე თანდათან უმატოს.

ამ გადაწყვეტილობაზედ ყველანი ერთხმად თანახმანი გამხდარან კამისიაში.

ჩვენ ესე ვრცლად და დაწვრილებით მოვიხსენიეთ ბ-ნ მეისნერის პროექტის ვითარება ღვინის შესახებ, და სრულიად უყურადღებოდ ვტოვებთ მის მეორე პროექტს — შესახებ ბაღეულობის და ბოსტნეულობისა, ჯერ იმიტომ — რომ საზოგადოების ყურადღება მიზიდულია პირველს პროექტზედ და თუ ეხლა ჩვენში დიდი და გაცხარებული კამათობაა — მარტო ამ პირველის პროექტის გამოა, და მერმე იმიტომ — რომ მართლა ამ პროექტსა აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენთვის, რადგანაც იმისთანა წარმოებას ეხება და იმისთანა წყაროს ჩვენის სიმდიდრისას, რომელიც დღეს ჩვენ ხელთ გვიპყრია და რომელსაც დღემდე მოცილე არ გამოსჩენია.

თ. გ. ზ. ანდრონიკაშვილს წარუდგენია კამისიაში ცალკე აზრი წერილითა. ამ წერილში თ. ანდრონიკაშვილი ამბობს, მეც დიდი მსურველი ვარო, რომ ამიერ-კავკასიაში კარგად გაეწყოს საქმე ღვინის კეთებისა და აღებ-მიცემობისა. ამასაც ვიტყვიო, რომ ჯერ კიდევ 1862 წ. მე თითონ ვცდილობდი მაგ საქმისათვის და მთავრობასაც წარვუდგინე ჩემი წინადადება მაგ საგანზედაო. საქმე იმაშია, როგორ და რა გზით შესაძლოა განკარგება ღვინის კეთებისა ჩვენში *? ამ მხრით რომ შევუდგეთ განხილვას ბ-ნ მეისნერის პროექტისას, ვნახავთ, რომ

* ჩვენ ვტოვებთ ყოველს იმ აზრს, რაც შეეხება ბაღეულობის და ბოსტნეულობის საქმესა, წინათ-თქმულ მიზეზებისა გამო.

თუმცა პროექტს ძალიან ვრცლად მოუხაზავს მოედანი მოქმედებისა, ასე რომ სახეში აქვს ღვინის კეთებაც, ღვინის აღებ-მიცემობაც და არაყის ხდაცა, მაგრამ განსაკუთრებითი სურვილი კი მარტო ღვინის აღებ-მიცემობაა. ეს იმით მტკიცდება, რომ პროექტთან ერთად წარმოდგენილი ნუსხა სულ იმაზეა მიმართული, რომ მთელმა თავნმა საზოგადოებისამ აღებ-მიცემობაში იტრიალოს ყოველ-წლივ. მაშასადამე, ღვინის განკარგებაზე ტყუილი დაპირებაა. რასაკვირველია, მარტო ერთი გაფართოება ღვინის აღებ-მიცემობის მოედნისა მემამულეთათვის სანატრელია და სასარგებლოც, რადგანაც, შუათანა მოსავალშიაც რომ ავიღოთ, ჩვენი ღვინოები ვერა საღდება და უქმად იხარჯება, მაგრამ აქაც მემამულეთა დიდი სიფრთხილე ჰმართებთ; ამ მხრით საფრთხილო აი რა არის ბ-ნ მეისნერის პროექტში. აქციონერებს რომ დიდი მოგება დაანახვოს, ბ-ნ მეისნერს შემოსავალში მოჰყავს უჯერო ციფრები. მაგალითებრ: 626,000 ვედროს ყიდულობს ყოველ-წლივ, და ჰყიდის, არ ვიცი კი რა სასწაულით, 646,000 ვედროს. მეორეს მხრით, რომ მთავრობას მონოპოლიის შიში მოუკლას, ბ-ნის მეისნერის პროექტი გვპირდება, ეგ ორ-მილიონ-ნახევარი მთელს ამიერ-კავკასიაში განაწილდებაო ასე, რომ თვითოეულს ადგილს იმოდენა ფული შეხვდებაო, რომ სხვა ვაჭარსაც გზა ჰქონდესო. არა მგონია აქციონერების საზოგადოება აგრე მოიქცეს, ამბობს თ. გ. ანდრონიკაშვილი: იმიტომ რომ ეგრეთი განაწილება ფულისა და მოქმედებისა ძალიან ძვირად დაუჯდებათო. უფრო დასაჯერია, რომ საზოგადოება ეცდება ეგ მეტი ხარჯი აიცდინოსო და თავისი აღებ-მიცემობა ერთს რომელსამე ადგილს მიჰმართოს განსაკუთრებითაო. მაშინ კამპანია ორ-მილიონ-ნახევრიანი ხელთ იგდებს მთელს იქაურს ვაჭრობას ღვინისასა და შეჰქმნის მონოპოლიას, მავნებელს როგორც ღვინის ვაჭართათვის, ისეც სოფლის მეურნეთათვის, რომელნიც მაგ კამპანიის სრულს ნებაზედ უნდა დარჩნენო. ნუსხაში მოხსენებულია, ვედროს (სამს თუნგს, ანუ უკეთ ვსთქვათ, თექვსმეტს ბოთლს) ხუთ მანეთად გავყიდითო. რომ მაგ ფასად ღვინო ჰყიდოს კამპანიამ, იმ უზარმაზარ ხარჯთან, რომელიც ნუსხაშია

ნაჩვენები, — აშკარაა, ღვინო ძალიან იაფად უნდა იყიდოს და იქამდის დააფოლოს, რომ ღვინის პატრონს არავითარი მოგება აღარა ჰქონდეს. რაკი კამპანია ხელთ იგდებს მთელს აღებ-მიცემობას ღვინისას, მეტი რა გზა ექნება ღვინის პატრონს, თუ იმ კამპანიას არ მიჰყიდაო. ამ მიზეზებით, უნდა უარ იქმნას ბ-ნ მეისნერის პროექტიო, დაუსკვნია ბოლოს თ. გ. ანდრონიკაშვილს, — და თუ გვინდა ღვინის წარმოების საქმე ამიერ-კავკასიაში ფეხზედ დავაყენოთ, ვიშუამდგომლოთ, რომ თითონ ღვინის მწარმოებელთაგან შესდგეს საზოგადოებაო.

სამეურნეო საზოგადოებამ კავკასიისამ საზოგადო კრებაში განიხილა ყოველი ეს და გადასწყვიტა: აქციონერების საზოგადოება ღვინის კეთებისა, ღვინის ვაჭრობისა და არაყის ხდისა ამიერ-კავკასიაში, ცნობილ იქმნას სასარგებლოდ ამიერ-კავკასიისა და ნებაც მიეცეს დაიწყოს საქმე მთელის ორ-მილიონ-ნახევრითაო.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ სამმა პირმა, — თ. იოს. ივ. შალიკოვმა, ბ-ნთა იოსელიანმა და ელიოზოვმა ცალკე აზრი შეიტანეს საზოგადოებაში წერილითა. კრებამ საზოგადოებისამ საჭიროდ დაინახა ახალი კრება შეიყაროს ამ ცალკე აზრების განსახილველად და იგი კრება შეიყარა წარსულს სამშაბათს, 30 ნოემბერსა.

ამ სამთაგან, ორნი სრულებით უარჰყოფენ და ქვეყნის საზიანოდ ხედვენ ბ-ნ მეისნერისაგან განზრახულს კამპანიას, და ერთი კი, სახელდობრ ბ-ნი შალიკაშვილი, მარტო იმასა ცდილობს, რომ პროექტი ბ-ნ მეისნერისა ხელ-ახლად განხილულ იქნას ან ახალ კამისიისაგან, ან თითონ საზოგადო კრებისაგან, და თითქო თანახმაცა ხდება ბ-ნ მეისნერისა, თუ ზოგიერთი მუხლი წესდებისა შეიცვლება მემამულეთა სარგებლობის მიხედვით. რადგანაც ბ-ნ მეისნერის პროექტი წარმოდგენილია არა შესასწორებლად, არამედ იმისთვის, რომ მის ავ-კარგიანობაზედ გადაჭრილად ან ჰო ითქვას, ან არა, და რადგანაც თ. შალიკაშვილის წერილში არც ერთისა და არც მეორისათვის არაა რაიმე საბუთი წარმოდგენილი, ამიტომაც მაგ წერილს თავს ვანებებთ და გადავდივართ ბ-ნთ იოსელიანის

და ელიოზოვის წერილებზედ. ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ თ. შალიკაშვილი სწუნობს კამისიის მოქმედებას ამ საქმის შესახებ და აყვედრის, კამისიამ ალალ-ბედად წარმოსთქვა თავისი აზრიო, არ განიხილა არც ბ-ნ მეისნერის წესდების პროექტიო, არც მასზედ დართული ნუსხაო. რომ გაეხილნა, სულ სხვა აზრზედ დადგებოდაო, მაგრამ კამისიას ეგ განხილვა არ უნებებია, — ჩვენი საქმე არ არისო.

აზრი ბ-ნის იოსელიანისა ხუთის უმთავრესის საბუთით წარმომდგარია ბ-ნ მეისნერის პროექტის წინააღმდეგ: 1) ბლომა ფულის დატრიალება ღვინის კეთებისათვის ჩვენში იმ სიკეთეს ვერ მოიტანს, რასაც კამისია ფიქრობს. დიდი ყმაწვილობა იქნება ჩვენგან ვიფიქროთ, რომ ფული თავის-თავს სადმე დაივიწყებს და მოგებას არ აჰყვება. ფულის ნატვრა გამორჩომა და მოგებაა, უამისოდ ფული ადგილიდამაც არ დაიძვრის. რაკი ფული ფეხს აიდგამს რომელიმე ნაწარმოების განკარგებისათვის, არ უნდა დაივიწყოს კაცმა, რომ ფული აქედამ გამორჩომას მოელოდინება. სხვა ვაჭრები დააფრთხოს, ახალი მუშტარი და ბაზარი მოიპოვოს, დიდი მოგება დაინარჩუნოს, — აი რაშია მუდამი წყურვილი და სურვილი ფულის პატრონისა და მისის წარმოებისა. რომ ეს ასე მოახდინოს ფულმა, ყველაზედ უწინარეს ის არის საჭირო, რომ მოცლილი ხელი მოიპოვოს სამუშაოდ, ესე იგი იმისთანა მუშა-ხალხი, რომელსაც თავისი არა აქვს-რა და ცხოვრობს მარტო თავის ცარიელის მარჯვენითა და რომელიც ამის გამო იძულებულია თავისი შრომა ჰყიდოს ხოლმე. თუ ამისთანა ხალხს არ იშოვის ფული და ყურმოჭრილ ყმად არ გაიხდის, არც ერთი ეგრეთ-წოდებული წარმოება კაპიტალისა თავს ვერ დაიჭირს. ამიერ-კავკასიაში ჯერ არ არის ამისთანა უბინაო მუშა-ხალხი, მაშასადამე, წარმოებამ კაპიტალისამ თითონ უნდა შეჰქმნას მაგისთანანი. ნუთუ სასარგებლო იქნება ეს ქვეყნისათვის? 2) რომ ღვინო რიგიანად კეთდებოდეს, ანუ ღვინის აღებ-მიცემობა რიგიანს გზაზიდ დადგეს თავნის მეოხებითა, ამისათვის მარტო ფული კი არა, ბოგანო, უბინაო კაციც არის საჭირო და ვენახების ქონვაცა. უამისოდ შეუძლებელია კონკურენცია. გარდა ამისა, საჭირონი არიან

ღვინის საქმის ზედმიწევნით მცოდნენიცა. ამ სახით, მაგ კამპანიას უნდა დაეთმოს ვენახები, მუშა ხალხი და ღვინის მცოდნენიცა, რომ საიმედო კონკურენცია გაუმართოს უცხო ქვეყნების ღვინოებსა. კარგი იქნება ეს მკვიდრთა მცხოვრებთათვის თუ არა, აი საგანი, რომელსაც ღირს კაცი ღრმად დაუკვირდეს. ყოველის განვითარების საფუძვლად, სათავედ ყოველის რიგიანის წარმატებისა, — უნდა აღიარებულ იქმნას წვრილ მემამულეების გათახსირება კი არა, ბოგანო მუშის გამრავლება კი არა, არამედ ისა, რომ სოფლის მცხოვრებთა მიწა და მიწათ-მოქმედება მტკიცედ ხელთ ეპყრას. 3) სხვათა საბუთთა შორის, სასარგებლოდ ბ-ნ მეისნერის პროექტისა ისიც იყო, რომ აუცილებელი შედეგი იმ კამპანიისა — ღვინის წარმოების გაძლიერება იქნებაო. ეს ტყუილი იმედია, მაგას კამპანია ვერ იზამს. ამას კი იზამს, რომ ღვინოებს იყიდის რუსეთში გასატანად და პირველ-ხანებშივე კაი ღვინოს მოაკლებს აქაურს ბაზარსა და მეორეს მხრით ისე გააძვირებს, რომ ღარიბი ხალხი, რომელიც ღვინის სმას აქ ჩვეულია, ხელს ვერ მიაწვდენს და უღვინოდ დარჩება. 4) აქციონერების კამპანია, რომელსაც უმთავრეს საგნად დიდი გამორჩომა აქვს სახეში, რათ მოინდომებს გაავრცელოს აქაურებში ღვინის კეთების ცოდნა და ხერხი. ჯერ ესა, რომ ყველამ ვიცით, რა თხლად არიან ცოდნაზედ ხოლმე ფულიანი აქციონერები, და თუ ჰკიდებენ რასმე ხელს, ღვთის ანაბარაზედ ჰკიდებენ. ამის გამო, ხშირად, ერთი მოხერხებული კაცი ჩაიგდებს ხოლმე საქმეს ხელში და, საითაც უნდა, თავს იქით უზამს თითონ აქციონერებს. თუნდ ეგეც არ იყოს, კამპანია რათ მოინდომებს მაგ ცოდნისა და ხერხის გავრცელებას ხალხში. თავის-თავს თითონვე ხომ არ გაუთხრის ორმოსა, თავის-თავს თითონვე მოპირდაპირეს ხომ არ გაუჩენს!.. 5) ტყუილად აუცილებიათ შიში, ვითომ ეგ კამპანია მონოპოლიას არ შეჰქმნისო, ბურთსა და მოედანს ღვინის აღებ-მიცემობისას თითონ არ გაისაკუთრებსო. ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენებურ აღებ-მიცემობისათვის, ის დღესაც ხედავს, რომ მაგ მავნებელს მოვლენას ჩვენში ფეხი აუდგამს კიდეც. კონკურენცია აღებ-მიცემობაში მართლა-

და საკეთილოა წარმოებისათვის, მაგრამ მაგას საზღვარი აქვს. საზღვარი კიდევ ის არის, რომ ერთის მხრით სიკეთე ნაწარმოებისა სისრულემდე უნდა იყოს მიყვანილი და ფასი კიდევ რაც შეიძლება დაბლა დაწეულ იქმნას. რაკი კონკურენცია მანდამდე მივა, მაშინ ამის წინააღმდეგ მოქმედობს ხოლმე. დაუბოლოვებელი განკარგება წარმოებისა და დაუბოლოვებელივე ფასების ძირ-დაწევა ყოვლად შეუძლებელია და კონკურენცია კი ცდილობს ეგ არ საქმნელი ჰქმნას. ამიტომაც მოტყუება, ყალბობა, შერევ-არევა ნაწარმოებში მოსდევს ხოლმე კონკურენციას. ხშირად გვსმენია საჩივარი კეთილსინდისიან ვაჭართაგან, რომ კონკურენციის გამო იძულებული ვართ იმისთანა ღონე ვიხმაროთ, რომელიც ძალიან საფრთხილოაო. დიდის შეძლების სოვდაგარნი ხშირად იძულებულნი არიან დროებით ფასები იმოდენად დასწიონ, რომ უფრო უღონო სოვდაგრებმა ველარ შესძლონ ვაჭრობა. კანონი დიდის თავნისა ის არის, რომ პატარა თავნი აღარ გააწაწანოს, შეჰმუსროს ისე, რომ ბაზარში ცილობა, კონკურენცია უარაქობით ველარ გაუწიოს.

აზრი ბ-ნის ელიოზოვისა იმავე შიშით არის მორთული, რომ მაგისთანა ზორბა კამპანია გააღატაკებს მამულების და ვენახების პატრონებსა. სიმდიდრე სახელმწიფოსი შესდგება ვაჭრების სიმდიდრისაგან კი არა, არამედ მომქმედთა და ნამოქმედარის მხმარებელთა სიმდიდრისაგან. ინგლისი იმითი კი არ არის მდიდარი, რომ მდიდარი სოვდაგრები ჰყავს, არამედ იმითი, რომ მდიდარი წარმოება აქვს და კარგად გაწყობილი სოფლის-მეურნეობა. ამიტომაც ბ-ნ მეისნერის პროექტი უნდა გაისინჯოს იმ მხრით, რა მხრითაც იგი სასარგებლო იქნება მამულების მკეთებელთათვის და ნაამაგარის მხმარებელთათვის. სხვებს თუნდა ნამცეცებიც შეხვდეს, ბევრს არას დავკარგავთ. პირველის შეხედვით, გაიკვირვებენ და იტყვიან: რაო? ჩვენს ქვეყანას ფული უჭირს, კაცს ფული შემოაქვს და ჩვენ კი უმადურად ვეკიდებით და ვიძახით, არ გვინდაო. რა ვქნათ, რომ ამის თქმას ჩვენი აწინდელი მდგომარეობა გვაიძულებს. სნეული, როცა მორჩენაზედ მიდგება, პირს მოარიდებს ხოლმე მაძღარს სადილს და მსუქან ფლავსა და ყოველს ამაზედ უფრო

მეტის სიამოვნებით რჩეობს ორიოდე კოვზს კარგს შორვასა. სხვა გარემოებაში, სხვაგვარ ეკონომიურ ყოფა-ცხოვრებაში, ზნეობითს აღმატებულობაში, — ჩვენ პირველნი გავუწვდენდით ხელს ჩვენს კეთილ-მყოფელთა და სიხარულით მივეგებებოდით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყმების განთავისუფლებას თავისი კუთვნილი დასასრული ჩვენში ჯერ არ მიუღია, მიწათ-მფლობელობის საქმე არეულ-დარეულია, მომეტებულმა ნაწილმა — მებატონეა, თუ გლეხი — არ იცის, რის პატრონია; სოფელი გაღარიბდა, მემამულეებს 27 წლით აღებული ვალის გადახდაც გაუჭირდათ, გლეხობას თავი ვერ დაუხსნია წურბელა მედუქნეების ვალისა და ვაჭრისაგან. ამ ყოფაში დიდი თავნი აქციონერების კამპანიის ხელში სიკეთეს არ მოასწავებს. ჯერ ეხლაც ფული აქაურ ვაჭრების ხელში გვმუსრავს და გვჩაგრავს, ჯერ ეხლაცა სჩანს შემმუსვრელი ძლიერება ფულისა ჩვენზედ. ჯერ ეხლაც ერი იმ ყოფაშია, რომ ვერცა ჰბედავს, ვერც მოუხერხებია და ვერც ღონე რამ მოუგონია წინააღუდგეს თავის მწოვნელს მედუქნესა. ჯერ ეხლაცა ვხედავთ, რომ მეტი ნაწილი სოფლის მამულებისა მედუქნეების ხელში გადადის, ან როგორც ნასყიდობა, ან როგორც გირავნობა სარგებელში. მამულებს თითონ მედუქნეები არ ამოქმედებენ, არ აკეთებენ, რადგანაც ამისათვის მოცლა არა აქვთ. იმ მამულებში მუშად ან უწინდელი პატრონივე ჰყავთ, ან ამავე გზით მისი გაღატაკებული, გაძარცული მეზობელი. ეხლა რომ ესეა, რა იქნება მაშინ, როცა ასი და ათასი თუმანი კი არა, მილიონები ფრთას გაშლიან? იგივე, რაც ეხლაა. ხოლო განსხვავება იმაში იქნება, რომ ბრიყვ და გაუთლელ მედუქნის მაგიერ, ჩვენ მოგვესევიან განათლებულნი, ესე იგი, აღჭურვილნი ცოდნითა და ხერხითა, და თავის დახელოვნებულ მოქმედებით აჩქარებულის ნაბიჯით მიგვიყვანენ იქამდის, სადამდინაც ეხლა ტაატით მივყევართ. განსხვავება ის იქნება, რომ ბოლო უფრო ჩქარა მოგვეღება და უფრო მარჯვე მეტოქენი გვეყოლება. შესაძლოა, ჩვენ წინანდლული ღვინო დაგვალევინონ á la Raphail, ანუ á la რომელიმე ბორდოს château, შესაძლოა — ჩვენი საკუთარი შამპანსკი გვასვან, საკუთარი კონიაკი

ჩაიში გვახმარონ, მაგრამ მთელი დასი მწარმოებელთა კი გაღატაკებული იქნება. მაშინ ვეღარც მთავრობა გვიშველის... და თითონ საზოგადოებაც უღონო იქნება გაემკლავოს ერთხელ მკვიდრად ფეხმოკიდებულს წესსა. ტყუილი იმედია, ფულის მოწყალებას და გულკეთილობას მოელოდეს კაცი. ფული, თავნი, მამულს ხელში დაიჭერს, მამულის პატრონს ცარიელზედ დასვამს, და რომ მშიერი არ მოკვდეს — ისევ ფულთან უნდა მივიდეს დღიურ მუშად. თუ ესე ყოველივე მართალია, აქციონერების კამპანიას ბევრი სხვა სიკეთეც რო სჭირდეს, ამ უბედურობასთან ის სიკეთე არარა იქნება. ამბობენ, რომ ამ კამპანიის გამო სახელმწიფო ფინანსები მოიგებენო. ტყუილია. ჯერ სახელმწიფოს დააკლდება ის მილიონები, რომელსაც ეხლა ბაჟის მსგავსად ახდევინებს უცხო ქვეყნებიდამ ღვინის შემომტანსა, მერმე იმით იქნება სახელმწიფო ზარალში, რომ მწარმოებელ მიწათ-მომქმედთა მაგიერ, რომელნიც ბევრად თუ ცოტად უფრო რიგიანად იხდიან სახელმწიფო ხარჯს, წარმოსდგებიან ღატაკნი, აქეთ-იქით წანწალს დაიწყებენ და ძლივ-ძლივ იშოვიან ლუკმა-პურს თვისის უბინაო თავის სარჩენადა. მეორე — ამას ამბობენ, რომ ვენახიანობა განვითარდებაო, ღვინის კეთება უკეთესი იქნებაო და აღებ-მიცემობა გაძლიერდებაო. მითამ? არა გვგონია. ნუ დაივიწყებთ, — ეგ კამპანია აქ შემოდის და მოაქვს ფული, რომ რაც შეიძლება ბევრჯელ გადაატრიალოს თავნი და მით ბევრი მოიგოს. განა მოიცლის-ღა იმისთანა საქმისათვის, რომელიც ღვინის კეთებაა და რომელიც ითხოვს ხანგრძლივად ფულის დაბანდვასა და დებასა უძრავად? მე-4 მუხლი წესდებისა ანიშნებს, რასაც უნდა მოჰკიდონ ხელი: „ღვინისა და არაყის სახელმწიფო ფოდრიადები აიღონ“.

რა მხრითაც უნდა გაისინჯოს პროექტი ბ-ნის მეისნერის, არავითარის მხრით მის სასარგებლოდ არც ერთს საბუთს ვერა ვხედავთო, — ამბობს ბოლოს ბ-ნი ელიოზოვი.

30-ს ნოემბერს ამ წერილების თაობაზედ დიდი ბაასი იყო საშეურნეო საზოგადოების საზოგადო კრებაში. ახალი არაფერი იყო თქმული. ყოველი მოლაპარაკე მარტო იმასა ცდილობ-

და, თავისი წინათ-გამოთქმული აზრი უფრო ვრცლად აეხსნა მსმენელთათვის. ახლად მოლაპარაკე მარტო ბ-ნი ხუდადოვი აღმოჩნდა.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით ამ წერილების ავტორებთან, აგრეთვე მათთან, ვისიც სიტყვები აქ ხსენებულია, რომ მათ წერილებიდამ და ნათქვამებიდამ მარტო ის ადგილები მოვიყვანეთ, რაც დედააზრს ბ-ნ მეისნერის პროექტისას ასე თუ ისე შეეხებოდა და სხვა კი გამოვტოვეთ. ჩვენთვის საჭიროა მარტო ჰო და არა ამ დედააზრის შესახებ თქმული, იმიტომ — რომ თუ ჩვენგან მოწონებული, ან დაწუნებული იქმნა თითონ დედააზრი მეისნერის პროექტისა, პირველ შემთხვევაში წვრილმანი ნაკლულოვანება ადვილად გასწორდება და მეორეს შემთხვევაში — სრულებით საჭირო აღარ იქნება მაგ წვრილმანებზედ ლაპარაკი.

ამ-ჟამად მეტად გაგრძელდა ჩვენი „შინაური მიმოხილვა“. ამიტომაც აქ მოყვანილ აზრების კრიტიკას შემდეგის ნომრისათვის გადავდებთ.

XIX

შინაური მიმოხილვა.

1882 წელი, დეკემბერი.

ბ-ნ მეისნერის პროექტი.

ბევრი სთქვეს და ბევრი სწერეს ჰო და არაც ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზედ და ყოველივე ეს თქმული და დაწერილი რომ საქაჯავში გავატაროთ, დარჩება შემდეგი დასკვნანი, ერთის მხრით — მექომაგეთა და მეორის მხრით — მეწინააღმდეგეთა.

პირველთა ნაბოლოვარნი დასკვნანი იმაში მდგომარეობენ, რომ: 1) ჩვენი ქვეყანა ფულით ღარიბია და $2^1/_2$ მილიონი რომ შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში — სასარგებლოა; 2) ღვინო ხშირად გაუსყიდავი გვრჩება, რადგანაც მუშტარი არ არის; ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ორ-მილიონ-ნახევრით მოდის ჩვენის ღვინის სასყიდლად, მაშასადამე, სასარგებლო იქნებაო; 3) ჩვენს ღვინოს ეხლა მარტო ერთი ბაზარი აქვს — ქალაქი ტფილისი, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა მთელს რუსეთსა ხდის ჩვენის ღვინის ბაზრად და რადგანაც ბაზრის გადიდებას, მუშტრის გამრავლებას, ფასების აწევა მოსდევსო, ჩვენის ღვინის ფასი აიწევსო და ჩვენი ქვეყანა ღვინის წარმოებიდამ უფრო დიდ გამორჩომას ნახავს, ვიდრე ეხლაო; 4) დიდ მუშტარს დიდი გაძღოლა უნდა, დიდძალი ღვინოო; დიდძალ ღვინოს დიდი ვენახები უნდა; მაშასადამე, უფრო მეტს ვენახებს გავაშენებთ დიდის ბაზარის და დიდის გამორჩომის იმედითაო; ქვეყანა ამ მხრითაც გამდიდრდებაო; 5) ეხლანდელი ჩვენი ღვინო მოკლებუ-

ლია სავაჭრო ღირსებასა, რადგანაც კარგად ნაკეთები, კარგად დაყენებული არ არისო; ამის გამო ვერც ერთნაირის გემოს ღვინოს ვასმევთ მუშტარსა მუდმივ და ვერც დიდხანს შესანახი და არც მუშტარის მიმზიდველიაო. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვპირდება, რომ თქვენის ღვინოების კეთებას მე შევუდგებიო, და რაც ღვინისათვის ღირსებაა საჭირო, რომ სავაჭრო საქონლად გახდეს, ყოველ იმ ღირსებას მივანიჭებო. ამისათვის იმოდენა ფულის გადადება შეეძლება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას, რაც საჭიროა და რასაც ცალკე მემამულე, ნამეტნავად ჩვენისთანა ღარიბი, ვერ შესძლებსო. გარდა ამისა ღვინის კეთების მცოდნე კაცებსაც მოიწვევს, მათისა და ფულის შემწეობით ჩვენს ღვინოებს გააკეთებს უფრო უკეთესად და იმათგან ჩვენც ვისწავლით ღვინის კეთებას და ამ მხრითაც ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ჩვენთვის სასარგებლო იქნებაო.

მეწინააღმდეგეთა აზრი ამ მექომაგეთაგან დახატულ ბედნიერებაზედ ძლიერ შორს არის. ესენი ამტკიცებენ, რომ: 1) მაგოდენა ფულის შემოსევა ჩვენში, მერე ერთისა და იმავე ინტერესით გაწყობილ საზოგადოების ხელში, იმასა იქმსო, რომ წვრილ ვაჭარს აღარ გააჭაჭანებს ღვინის ვაჭრობის მოედანზედაო და, როგორც ქორი წიწილებს, ისე შემოიფრთხობსო. რაკი მოცილენი აღარ ეყოლებიან და ღვინის მსყიდველად მარტო თითონ დარჩება ბაზრის მოედანზედ, მაშინ ღვინოში იმ ფასს შემოგვაძლევენ, რაც გუნებაში მოუვათ. რადგანაც ფული მარტო მოგებას ხარბობს და რადგანაც მოგება ვაჭრობისა იმოდენად დიდია, რამოდენადაც სხვათა შორის საგანი ვაჭრობისა იეფად ნასყიდია, ამიტომაც ღვინის ფასს იმოდენად დასწევენ, რამოდენადაც ხარბობა ფულისა გულს მოისუყებს; ყველამ ვიცით, რომ ხარბობას ფულისას სამზღვარი არა აქვსო. 2) ახალის ბაზარის აჩენა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჩვენის ღვინის გატანა და გასაღება რუსეთში ამ ყოფაში, რა ყოფაშიაც დღეს ჩვენა ვართ, კი არ გაგვამდიდრებს, გაგვაღარიბებს იმოდენად, რამოდენადაც ღვინო შინაურ სახმარებლად ჩვენ დაგვაკლდებაო. იმიტომ — რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სმას ჩვეულია, ეგ ჩვეულება ისე აქვს გამჯდარი სულსა და ხორცში, რომ თითქ-

მის პირველ საჭიროებად ჩაითვლება. ღვინო რომ რუსეთში გავიდეს ჩვენიდამ, ჩვენს ქვეყანას ღვინო მოაკლდება და იმოდენად დაძვირდება, რომ ღვინის ჩვეულმა ხელი უნდა აიღოს ღვინოზედ. რომ ამისთანა საჭიროებაზედ, როგორც ჩვენში ღვინოა, ჩვენმა ქვეყანამ ხელი აიღოს, — ეგ გამდიდრება კი არ არის, დაკლებაა და დაკლება კიდევ გაღარიბებაა. 3) ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის გამო ვენახები კი არ მოემატება ჩვენს ქვეყანას, არამედ ისიც ხელიდამ გამოეცლებათ, რაც დღევანდელ მემამულეებს ხელში უჭირავთ. ღვინის ფასების ძლიერ დაწევა მაგ ამხანაგობის ხელში იქნება უცილოდ, თუ, როგორც ვთქვით, ბურთი და მოედანი ღვინის ვაჭრობისა გაისაკუთრა, და შესაძლოა მაგ დაწევამ ღვინის ფასისამ იქამდის მიაღწიოს, რომ ვენახების გაშენება, მოვლა და შემუშავება საზარალოდ გაუხდეს დღევანდელს პატრონს. მაშინ ან უნდა გადახნას, ან ჩალის ფასად დაუთმოს ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას. 4) ორ-მილიონ-ნახევარი ფული თუ ღვინის გადაკეთებას შეუდგება ჩვენში, ამისათვის მუშა-ხელია საჭირო, სახელდობრ იმისთანა ხელი, რომელსაც სახსარი ცხოვრებისა არა აქვს-რა, გარდა თავის მარჯვენისა. მაგისთანა ბოგანა კაცი ჩვენში არ არის; მაგ ფულმა უნდა შეჰქმნას მაგისთანანი, თუ უნდა, რომ უქმად და უსარგებლოდ არ დარჩეს. თუ ეს ასე მოხდა, უბედურობა იქნება ქვეყნისათვის.

აი, როგორც ხედავს მკითხველი, ბ-ნ მეისნერის პროექტის გამო ჩვენმა საზოგადოებამ საერთოდ და მეურნეობისამ კალკედ რა ნარდის ფიცარზედ გადიტანა კამათლები. ეს ფიცარი საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაა. ჩვენ დავპირდით მკითხველებს, რომ ამ აზრების კრიტიკას შევუდგებით-მეთქი. მაგრამ, ცოტა არ არის, წინ უზარმაზარი კედელი დაგვხვდა. იმიტომ კი არა, რომ იმ ნარდის ფიცარზედ, რომელზედაც გადატანილია ეხლა კამათლები, ჩვენ კამათლის აყრას ვერ მოვახერხებთ. არა, ამას როგორც იქნება კიდევ გავუძღვებოდით. გაჭირვება აი რაშია: აქ ისეთი მხარეებია მეცნიერებისა ხელშეხებული, რომ მთელი ტრაქტატი საპოლიტიკო ეკონომიისა მოუნდება კაცს, რომ არ დაიბნას და თავის საკუთარის მსჯელო-

ბისათვის გზა გაიკვლიოს; სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ პირველი, ღონე არა გვაქვს ამ ტრაქტატის დასაწერად და მერმე, თუნდაც შეგვეძლოს, სად დავტიოთ მაგოდენა ტრაქტატი, და მესამე, — თუნდაც დატევაც შეიძლებოდეს, რა სიტყვიერებით გამოვსთქვათ. ჩვენდა სამწუხაროდ, — მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თითონ ეგრეთწოდებული ფრაზეოლოგია. ამიტომაც, ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ „შინაურის მიმოხილვისას“, ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვიერებისა შეადგენს.

მაშასადამე, დღეს ჩვენის „მიმოხილვის“ უმთავრეს გაჭირვებას შეადგენს ორი საგანი: ერთი — ისა, რომ როგორ ავცდეთ და არ გავებათ საპოლიტიკო ეკონომიის რთულს კანონების გამოკვლევაში, როცა იგი კანონები საჭირონი იქნებიან, და მეორე — როგორი სიტყვიერება ვიხმაროთ, რომ ჩვენი წერილი ადვილად გასაგებიც იყოს და თვით საგანიც უნაკლოდ აგვიხსნას. თქმა აღარ უნდა, ამ ორსავე შემთხვევაში ბევრი ნაკლი შამოგვერევა და წინათვე ბოდიშს ვიხდით.

ღრმად რომ ჩავაკვირდეთ ყოველს თქმულს და დაწერილს ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზედ, დავინახავთ, რომ ორისავე მხრის მსჯელობა — მექომაგეთა თუ მეწინააღმდეგეთა — უმთავრესად ერთს საგანს დასტრიალებს, სახელდობრ იმას თუ, — კარგი იქნება თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის მოვლენა ორ-მილიონ-ნახევარ ფულისა იმ დანიშნულებით, რომელიც უკისრებია მაგ ფულისათვის ბ-ნ მეისნერის პროექტს.

მაშასადამე, რომ გულდაჯერებით და გულმართლად მიუდგეს კაცი ან ერთს აზრს, ან მეორეს, ყველაზედ უწინარეს საჭიროა ვიცოდეთ, რა საქმე შეიძლება ვაკისროთ ფულს საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომიის მიხედვით და რა საქმე უკისრებია კერძოდ ბ-ნ მეისნერს იმ ორ-მილიონ-ნახევრისათვის, რომელიც, როგორც უჩვეულებს, ისე ზორბად მიგვაჩნია, რომ ზოგს სიხარულით ფეხზედ არ აყენებს, აბა ეხლა გავმდიდრდებითო, და ზოგს შიშით აკანკალებს, აბა ეხლა დავიღუპებითო.

ამისათვის ჩვენ წინ წავიმძღვარებთ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ყოველივე ის ღირსება აქვს, რაც აქსიომას. ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გავშინჯოთ, ამღებია და გამცემი საქონლისა. მეცნიერება საქონლის (товар) სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც პირდაპირ სახმარად პატრონისათვის საჭიროა. მაგალითებრ, თუ ჩემს პირდაპირ სახმარად თორმეტი კოდი პურია საჭირო და თუ მე ხუთმეტი მაქვს, მარტო სამს ნამეტურს კოდს საქონელი ჰქვიან. ამისდა მიხედვით რომ გადმოვთარგმნოთ ზემოთ-მოყვანილი წინადადება, გამოვა, რომ ურთიერთობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორს წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმანეთს შეხვდებიან, ყოველი მათგანი ერთი-მეორის წინაშე ამღებიც არის და გამცემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც ერთი იღებს მას — რასაც მეორე გასცემს, და გასცემს მას — რასაც მეორე იღებს. მაგალითებრ, მე ღვინო მაქვს მეტი და მაკლია პური, თქვენ პური გაქვთ მეტი და გაკლიათ ღვინო. შევხვდით ერთმანეთს საღებ-მიცემოდ, რა ვარ მე თქვენს წინაშე და რა ხართ თქვენ ჩემს წინაშე? მე ვარ თქვენს წინაშე გამცემი ღვინისა და იმავე დროს ამღები პურისა, თქვენ ხართ ჩემს წინაშე გამცემი პურისა და იმავე დროს ამღები ღვინისა, ესე, რომ ერთმანეთის წინაშე ორნივ ერთ და იმავე დროს ამღებნიცა ვართ და გამცემნიცა. ამ სახით, ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით, ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ. ეს არის ერთად-ერთი მხოლოობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის.

ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც შეახვედრებს ხოლმე ერთმანეთს საქონლის პატრონებს, — მარტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმედებას ჩვენს ენაზედ, ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჭრილი სახელი

ჰქვიან: აღებ-მიცემობა (обмен). აქ პირდაპირ საქონელი საქონელზედ იცვლება, პირდაპირ, ურარაოდ ხელიდამ ხელში გადადის.

ხოლო ეს მარტივი სახე აღებ-მიცემობისა ყოველთვის არ არის სახერხო ადამიანისათვის, ზოგჯერ დიდს ხანს და დიდს ჯაფას თხოულობს, რომ მოხერხდეს, ნამეტნავად მაშინ, როცა ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო რთულად მოეწყობა ხოლმე პროგრესის ზედმოქმედების გამო. აქ საჭიროა ორი პირობა: ერთი — რომ ჩემი საქონელი სხვას უჭირდეს და მეორე — რომ სწორედ იმ სხვის საქონელი მე მიჭირდეს. აღება (спрос) და მიცემა (предложение) ერთს დასახელებულ საქონელზეა მიქცეული, რომელიც თავისის თვისებით და სახით წინათვე განსაზღვრულია. როცა მე პური მიჭირს და ღვინო მეტი მაქვს, აქ მარტო პური გაიცვლება ღვინოზედ და ღვინო პურზედ და სხვა არარაზედ. აქ სააღებ-მისაცემო საქონელი წინათვე დასახელებულია და უსათუოდ ერთისა და მეორის მხრისათვისაც იმ სახელის, თვისების და სახის საქონელი უნდა იყოს და არა სხვა, თორემ აღებ-მიცემობა არ მოხდება.

ეს მიზეზი, რომელიც, მაგალითებრ. ღვინის გამცემს და პურის ამღებს აიძულებს უსათუოდ ისეთი კაცი იპოვოს, რომელიც პურის გამცემია და ღვინის ამღები, ძალიან აძნელებს საქმეს, აგვიანებს და აფერხებს საქონლის ხალხში მორიგებას, მიმოსვლას, ხელიდამ ხელში გადასვლას.

ესეთი აღებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცვლა ერთის საქონლისა მეორეზედ, ეს უხერხო, დამაგვიანებელი მოქმედება თავისის საქონლის გაცემისა და სხვის აღებისა, იმ დრომდე სუფევდა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე კაცობრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებითი საშუალება. ეს საშუალება იმისთანა რამ არის, რომ ოღონდ ჩემის საქონლის ამღები კი ვიპოვო და იმას აღარ ვზრუნავ, ექნება თუ არა ის საქონელი, რომელიც სახელდობრ მე მიჭირს პირდაპირ მოსახმარად. რაკი ამისთანა საშუალება იპოვეს, მას შემდეგ აღებ-მიცემობის მოსახდენად საჭიროა მხოლოდ ორში ერთი იმ პირობათაგანი, რომელნიც მარტივს აღებ-მიცემობაში ორნი ერთად და ერთ დროს საჭირონი

იყვნენ *, იმიტომ რომ ამ საშუალების შემწეობით აღება ჩემთვის საჭირო საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა ჩემის საქონლის გაცემა სხვისთვის ერთსა და იმავე დროს და პირდაპირ საჭირო არ არის. აგრეთვე გაცემაც ჩემის საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა აღება სხვის საქონლისა არ არის ჩემთვის საჭირო იმავე დროს და პირდაპირვე. მაგალითებრ, რაკი ის საშუალება ხელთ არის, მაშინ, როცა აღება მინდა, ვსთქვათ, პურისა ჩემდა სახმარად, მარტო იმას ვეძებ, ვინც პურის გამცემია, და როცა, ვსთქვათ, ღვინის გაცემა მინდა, მაშინ იმას ვეძებ, ვინც ღვინის ამღებია მხოლოდ; მარტივ აღებ-მიცემობაში-კი პურის გამცემს უსათუოდ ჩემის ღვინის საჭიროებაც უნდა ჰქონდეს და მე, ღვინის გამცემს, პურისაც ერთსა და იმავე დროს.

აშკარაა, ამისთანა საშუალების შემწეობით აღებ-მიცემობა გაადვილებული იქნება, საქონელი უფრო სწრაფად გადავ-გადმოვა, საქონლის მიმოსვლა ფეხს აიჩქარებს.

იმ საშუალებას, რომელიც ამისთანა აღებ-მიცემობას შესაძლოდა ხდის, უსათუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი, — საქონლის ღირებულების (ценность) ცხადი გამომხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან; იმიტომ რომ აღებ-მიცემობაში უსათუოდ სხვადასხვა სახის, თვითების და თვისების საქონელი იგულისხმება, და რადგანაც აღებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორედ აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვადასხვა-გვარ საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულების რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე, შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა აღებ-მიცემობისათვის. მეორე, — ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის აღებისა კი არა, არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი

* ნუ დავივიწყებთ, რომ რა სახითაც უნდა იწარმოვოს აღებ-მიცემობამ, მარტივისა თუ რთულის სახით, მაინც-და-მაინც ბოლო ისა აქვს, რომ საქონელი იმას უნდა მიუტანოს, ვისთვისაც იგი პირდაპირ სახმარად საჭიროა.

ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან საყოველთაო ძალს სყიდვისას (всеобщая покупательная сила).

მაგისთანა საშუალება — ფულია.

აი, ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა. ამას გარეითად არც მოედანი აქვს მოქმედებისა და არც ფასი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც იცმევა, თავისთავად არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული — საყოველთაო ეკონომიაში ყოვლად უვარგისი საგანია ყოველისფერში, გარდა იმისა, რომ საშუალებაა აღებ-მიცემობისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდება აღებ-მიცემობის საქმეს.

ჩვენ ვიცით ეხლა, რომ აღებ-მიცემობის სახე ორგვარია. ერთი მარტივი, როცა ერთ სახის საქონელი სხვა სახის საქონელზედ იცვლება პირდაპირ და უშუამავლოდ და მეორე რთული, როცა სააღებ-მისაცემო საქონელთ შორის სხვა საგანი, ესე იგი, ფული მოქმედობს. პირველის სახე ასეა: საქონელი = საქონელი; და მეორისა: საქონელი = ფული = საქონელი. მაგალითებრ, ვსთქვათ, რომ ორი თუნგი ღვინო ერთ კოდს პურზედ იცვლება მარტივ აღებ-მიცემობაში. ეს ამ სახით გამოითქმის:

ორი თუნგი ღვინო = ერთი კოდი პური.

ვსთქვათ, ორი თუნგი ღვინო ორი მანეთია. რაკი ორი თუნგი ღვინო ორი მანეთია, მაშასადამე, ერთი კოდი პური, რომელიც ორ თუნგ ღვინოზედ იცვლება, ორი მანეთი უნდა იყოს. ეს იმბავი რთულს აღებ-მიცემობაში ამ სახით გამოითქმის:

ორი თუნგი ღვინო = 2 მანეთი ფული = ერთი კოდი პური.

პირველში ღვინოს გავცემ, რომ პირდაპირ პური ავიღო, მეორეში კი ღვინოს გავცემ, რომ ფული ავიღო და ფულს ისევ გავცემ, რომ პური ავიღო. ეს უკანასკნელი მოქმედება გასაყიდვაა სყიდვისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ ერთისა და მეორის ბოლოც ერთი და იგივეა, ღვინისა პურზედ და პურისა ღვინოზედ, ესე იგი, საქონლისა საქონელზედ ცვლა და სხვა არა-რა.

როცა აღებ-მიცემობა ერთისა თუ მეორის სახით უტყუარად მოქმედობს, ამღებიც და გამცემიც ერთნაირად მოგებაში არიან.

აღებ-მიცემობაში ამღებიც და გამცემიც გასცემენ ხოლმე მარტო იმას, რაც თვითოეულისათვის ნამეტურია, მაშასადამე, უსარგებლოა და უსაჭირო; მის სამაგიეროდ იღებენ მას, რაც თვითოეულის მათგანისათვის საჭიროა და, მაშასადამე, სასარგებლო. ცხადია, რომ ადამიანისათვის უსარგებლოს გაცემა და მის სამაგიეროდ სასარგებლოს შეძენა, — სასარგებლო, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოგება უნდა იყოს.

ამ საზით, ფული ეკონომიებრივ იმისთანა საგანია, რომლის საშუალებითაც უფრო ადვილად და ხერხიანად საქონელი საქონელზედ იცვლება, რომლის შემწეობითაც საქონლის პატრონები ერთმანეთში საღებ-მისაცემოდ მოქმედობენ, ესე იგი, ეკონომიებრივად ერთმანეთში მიიქცევ-მოიქცევიან. საცა მაგგვარი მიქცევ-მოქცევაა საქონლის პატრონთა შორის, იმ ადგილს ბაზარი (рынок) ჰქვიან და მთელი ჯამი აღებ-მიცემობისა, მთელი რიცხვი მაგ-გვარის მიქცევ-მოქცევისა საქონლის პატრონთა ერთმანეთში — შეადგენს მას, რასაც მეცნიერება უწოდებს ქცევას საქონლისას (обращение товаров).

ეს გრძელი სიტყვა ფულის საზოგადო მნიშვნელობაზედ იმიტომ გავაბით, რომ ჩვენის მსჯელობისათვის ფეხმოკიდებული საგანი აგვეჩინა. ეს ერთი. მეორე იმისათვის, რომ რაკი ეგ მნიშვნელობა გვეცოდინება, უფრო ადვილად მივხვდებით შემდეგს კანონებს საპოლიტიკო ეკონომიისას, რომელთ გამოკვლევასაც ჩვენ ვერ შევუდგებით და რომელთ მოწვევა აუცილებლად საჭირო იქნება ჩვენის მსჯელობისათვის.

ეხლა მივხედოთ ბ-ნ მეისნერის პროექტსა და ვიკითხოთ: ის ორ-მილიონ-ნახევარი ფული რომ მოაქვს, რასა გვპირდება? რა გზას და მოედანს უნიშნავს მაგ ფულს?

ამის პასუხად გვეუბნება ბ-ნი მეისნერი, — ვიყიდი ღვინოს, რომ ისევ გავყიდოო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო; მეორე, — თქვენს ღვინოს სხვას ახალს ბაზარს გავუჩენო, ესე იგი, თქვენს ღვინოს თქვენის ქვეყნიდამ სხვაგან გავიტანო; და მესამე, — ღვინის კეთების საქმეს შევუდგებიო, გავსინჯოთ ეს თვითოეული დაპირება ცალკე.

ღვინოს იყიდის, რომ ისევ გაჰყიდოს. რას ნიშნავს ეს? აქ ფული რა მოქმედებაშია? აი რა მოქმედებაშია: აქ ფული თითონ ხდება აღებ-მიცემობის საგნად და ღვინოს ამის საშუალებადა ხდის, აქ ფული გადის ფულისვე შემოსატანად ღვინის შემწეობით, ესე იგი, ფული ფულზედ იცვლება. აქ აღებ-მიცემობა არ არის, იმიტომ — რომ აღებ-მიცემობაში გასაცვლელად იგულისხმება ერთ-გვარი და ერთ-სახე საგანი კი არა, როგორც აქ ფული ფულზედ, არამედ სხვადასხვა-გვარი, სხვადასხვა-სახე საგანი, მარტო ღირებულების რაოდენობით შეტოლებული, მაგალითებრ, ორი ჩაფი ღვინო და ერთი კოდი ჰური. მაშ რა არის, თუ არ აღებ-მიცემობა? ვაჭრობაა, რომელიც ბუნებითად ერთ-გვარი სახეა ფულის გასესხებისა, იმიტომ რომ ფულით ფულის შოვნა სესხებაა. ამ შემთხვევაში, როგორც სესხებაში, ფული ისე არ გაიცემა, რომ სარგებლით უკუვ არ მოიქცეს, მაშასადამე, აქ ფული გადის, რომ მეტი ფული შემოვიდეს. ბ-ნ მეისნერის პროექტი გვპირდება, რომ ყოველი მანეთი ღვინის სყიდვით — მანეოსა ექვს შაურს და ოთხ კაპეიკს შემოუტანს აქციონერებსაო. აი, მაშასადამე, როგორი სახე ექნება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის მოქმედებასა: ფული=ღვინო=ფული+34%. აქ ფული ეძლევა ღვინის მკეთებელს იმისათვის, რომ ღვინის მსმელის კისრიდამ ამოიღოს იგივე ფული+34%. ამ სახით აქ ღვინო თითქო ვექსილია ღვინის მსმელისაგან ჩამორთმეული სასარგებლოდ ფულის პატრონისა. აქ ფული საშუალება აღარ არის აღებ-მიცემობისა, თავის ეკონომიურს მნიშვნელობას ჰკარგავს, აქ თითონ ფული აღებ-მიცემობის საგნადა ხდება.

თუ ბ-ნის მეისნერის ამხანაგობა ამ-გვარს ღვინის ვაჭრობას ჩვენს ქვეყანაშივე მოახდენს, მაშინ ის იქნება, რომ ჩვენი ქვეყანა სესხულობს ფულს ბ-ნ მეისნერისაგან მანეთს ექვს შაურად და ოთხ კაპეიკად. ამ-სიდიდე სარგებელი იმოდენა ფულზედ, როგორც ორ-მილიონ-ნახევარია, ფულს კი არ მოზიდავს ჩვენს ქვეყანაში, — გაზიდავს, იმიტომ რომ ყოველი შემოსული მანეთი გაიტანს მანეთსა ექვს შაურს და ოთხს კაპეიკსა. გვეტყვიან, რომ მაგას მარტო ღვინის მსმელი გადიხ-

დის, ღვინის მკეთებელი ხომ თავისას მიიღებსო. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყანა თუმცა ღვინის მკეთებელი ქვეყანაა, მაგრამ მასთანავე ღვინის მსმელიც არის. თუ როგორც ღვინის მკეთებელს ფული შემოუვა, როგორც ღვინის მსმელს ის ფული ხელიდამვე გამოეცლება ზედ-დამატებით 34%, მაშასადამე, ერთს ნაწილს ჩვენის ქვეყნისას ფული ეძლევა და მეორე ნაწილს ერთმევა ზედდამატებით 34%.

თუ ბაზარი ამ-გვარის ფულის გაღებისა და მიცემისა ჩვენშივეა, მაშინ იმოდენა ვნება არ არის, იმიტომ რომ ფული აქვე დატრიალდება, და თუმცა ერთის ხელიდამ მეორეში გადავა მოგებით, მაინც აქაური ბაზარი აღებ-მიცემობისა ფულის დაკლებას არ იგრძნობს. სულ სხვაა, როცა ჯიბე, ფულის მომტანი და გამტანი, ჩვენის ქვეყნის გარეთ არის. მაშინ ფული, ჩვენისავე ღვინის წყალობით, უსათუოდ გაიზიდება, ჩვენს ბაზარს დააკლდება, ჩვენში ფული დაცოტავდება. საზოგადო კანონია, რომ რამოდენადაც საგანი რამე ბევრია, იმოდენად მისი ფასი ძირს დადის, და რამოდენადაც ცოტაა — მისი ფასი მატულობს, თუ სხვა გარემოებანი ერთობ ერთსა და იმავე წერტილზედ არიან. ფულიც ამ ყოფაშია და ამ კანონს ექვემდებარება, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ფულის ფასის აწევ-დაწევა საკუთრივ საქონლის ფასის აწევ-დაწევაა. მაშასადამე, როცა ჩვენში ზემონაჩვენებ გზით ფული დაცოტავდება, ესე იგი გაძვირდება, საქონლის ფასი დაეცემა საერთოდ და ღვინისაც ცალკე. ეს კიდევ არაფერია, როგორც ბოლოს ვნახავთ. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ თუ ბ-ნ მეისნერის მექმაგეთ ჩვენში ფულის გამრავლების იმედი აქვთ, ტყუილი იმედია, და თუ ფულის მეტ-ნაკლებობას დიდს მნიშვნელობას აძლევენ საერთო ეკონომიაში, ვუმტკიცებთ. რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ფულს კი არ გაგვიმრავლებს, არამედ, რაცა გვაქვს, იმასაც გაზიდავს.

აი ამ მხრით ჩვენ საბუთი გვაქვს სრულებით გავამართლოთ ბ-ნ მეისნერის მეწინააღმდეგენი, რომელნიც ამბობდნენ, რომ ისევ აქაური ვაჭრები გვირჩევნიან ბ-ნ მეისნერის ამხანაგობასაო.

მაგრამ გვეტყვიან, ბ-ნი მეისნერი თავის ფულის სარგებელს ჩვენს ქვეყანას არ გადაახდევინებსო, რადგანაც ღვინოს აქ იყიდის და რუსეთში გაჰყიდისო, ესე იგი ფულს შემოიტანს და არ გაიტანს კიო. ჯერ ეგ არვინ იცის. თუ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა თავის ფულს აქავ გამოაჩეკინებს 34% სარგებელს, არა გვგონია ახლოზე შორი მანძილი ირჩიოს. მაგრამ, ვსთქვათ, ეგრეც მოხდეს. ახლა ვნახოთ, ამით რა გამოვა ჩვენის ქვეყნისათვის. ის გამოვა, რომ ორ-მილიონ-ნახევარი ფული შემოვა და აქ დარჩება, სხვა ხომ არაფერი, გარდა იმისა, რომ მის სამაგიეროდ ჩვენის ქვეყნიდამ ღვინო გავა. ეხლა ვიკითხოთ, რას მოახდენს ეს სასწაული? აქ დარჩენილი ფული რას მოგვიმატებს იმ დაკლების სამაგიეროდ, რომ ღვინოს გაიტანს?

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ერთად-ერთი საგანი, თავი და ბოლო ეკონომიურ მიქცევ-მოქცევისა კაცთა შორის ის არის, რომ მოჭარბებული ნაყოფი ჩემის ნაწარმოებისა გავცე და იმითი შევიძინო ის ნაწარმოები სხვისა, რაც მე პირდაპირ სახმარად მაკლია. ყოველი საქონელი, რავდენს ხელშიაც გადავვადმოვიდეს, მაინც ბოლოს იქ მივა, ვისაც პირდაპირ სახმარად ეჭირვება. დანიშნულება საქონლისა და საქონლის ქცევისა მარტო ეს არის და სხვა არარა, მაშასადამე, საქონელთა შუა ფული იტრიალებს, თუ არ იტრიალებს, მაინც ერთის ნამეტური მეორეს ხელში გადავა და თვითოეული მათგანი ამით შეივსებს მას, რაც აკლია პირდაპირ სახმარად. ვსთქვათ, მე ღვინო მეტი მაქვს და პური არა და გავდივარ ბაზარში, რომ ღვინო გავცე და პური ვიშოვნო. ვსთქვათ, რომ ორი თუნგი ღვინო უდრის ღირებულებით ერთს კოდს პურს *, და მაშინ თუ ეს ღირებუ-

---

* ღირებულება (ценность) და ფასი (цена) ერთი და იგივე არ არის. ღირებულება არის ის რაოდენობა სხვადასხვა-გვარ საქონელთა ერთმანეთის წინაშე, რომელიც შესაძლოდა ხდის საქონლების ერთმანეთზედ ცვლასა. მაგალითებრ, ვსთქვათ, ორი თუნგი ღვინო ერთს კოდს პურზედ იცვლება, ეს რაოდენობა (ღვინისა ორი თუნგი და პურისა ერთი კოდი), რომელიც შესაძლოდა ხდის ღვინის გაცვლას პურზედ და პურისას ღვინოზედ, მათი ღირებულებაა ერთმანეთის წინაშე. ფასი კი იგივ ღირებულებაა საქონლისა, მხოლოდ ფულის რაოდენობით გამოთქმული.

ლება არ შეიშლება, ორის თუნგის ღვინის ფასი ერთი აბაზი იქნება, თუ ათასი თუმანი, ხომ ერთის კოდის პურის ფასიც იგივე ერთი აბაზი თუ ათასი თუმანი უნდა იყოს. მაშასადამე, როცა საქონელთა შორის ღირებულება იგივეა, მაშინ ფული მათ შუა ბევრი იშუამავლებს, თუ ცოტა, სულ ერთია.

აქედამ გამოდის ის კანონი მეცნიერებისა, რომ როცა ღირებულების რაოდენობა საქონელთა შორის უცვლელია და ფასის რაოდენობა კი ხან მატულობს, ხან კლებულობს, — ამით არც არავინ აგებს, არც არავინ იგებს. ამას ცხადად დავინახავთ შემდეგს სასწორზედ: ორი თუნგი ღვინო = X ფული = ერთი კოდი პური. აქ მაგ X-ის მაგიერ გინდა ასი დასვით, გინდა ათასი, ღვინოსა და პურის შუა სასწორი არ მოიშლება.

სულ სხვა იქნება, რასაკვირველია, თუ რომ ფულის მოვლენამ შეშალა ღირებულება საქონელთა შორის, მაგალითებრ, ვსთქვათ, მარტო ღვინის ფასი ასწია და პურისა კი ისევ ის დაარჩუნა. ჩვენ ვამბობთ, რომ ფულს, როგორც საშუალებას აღებ-მიცემობისას, ამის მოხდენა არ შეუძლიან. შორს რომ არ გავაბათ ლაპარაკი, საკმაოა ვსთქვათ, რომ თუ რომელსამე ქვეყანაში სიმრავლე და საჭიროება ღვინისა და პურისა ერთსა და იმავე დონეზედ დგას, ესე იგი უცვლელია, და თუ ამასთან ორის თუნგის ღვინის მოსავალი ერთს შუათანა მუშის ღონესა და დროს ინდომებს და ამოდენსავე ღონესა და დროს ერთის კოდის პურის მოყვანა, მაშინ მათის ღირებულების შეშლა არაფერს არ ძალუძს: ასწევთ, თუ დასწევთ ერთს, აიწევა და დაიწევა მეორეც, ერთისა და იმავე ზომით.

ამიტომაც, მეცნიერებაში დადგენილია კანონი, რომ თუ საქონლის რიცხვი იგივეა, მაშინ რაც ქვეყანაში ფული ტრიალებს — ერთი-ორად რომ იქცეს, საქონლის ფასებიც ერთი-ორად აიწევს მხოლოდ, და რასაც მწარმოებელნი ამით მოიგებენ გასასყიდში, იმოდენსავე წააგებენ სასყიდში. ეგევე მოხდება, რომ ფულმა ამ შემთხვევაში ერთი-ორად იკლოს. მაშინ ფასები ერთი-ორად დაეცემა და მწარმოებელნი რამოდენასაც წააგებენ გასასყიდში, იმოდენას მოიგებენ სასყიდში. არც

ერთს შემთხვევაში სასწორი გაცემისა და აღებისა არ შეიშლება.

მაშასადამე, თუ ორ-მილიონ-ნახევარი ბ-ნ მეისნერის ამხანაგობისა მარტო იმისთვის ეხარბებათ მის მეჭომაგეთა, რომ ჩვენში ფული გამრავლდებაო, ცხადია, ამით ჩვენ არა მოგვემატება-რა, თუ საქონელთა რიცხვი ჩვენში იგივე იქნება, რაც არის. დაკლებით კი დაგვაკლდება, რადგანაც ღვინოს გაიტანს, რომელიც ჩვენთვის თითქმის პურისაებრ დიდ საჭიროებას შეადგენს. ღვინის გატანით ეგ ჩვეული საჭიროება ისეთის სავსებით აღარ დაკმაყოფილდება, როგორც დღეს. კმაყოფილების დაკლება ცხადი გაღარიბებაა.

რომ მარტო ფულის გამრავლება არაფერია, როცა საქონელი არა მრავლდება, ამისი ცხადი მაგალითი ის ოთხი მილიონი ფულია, რომელიც ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიამ მიიღო ყმების განთავისუფლების გამო, მერე ისე მიიღო, რომ ჭის სამაგიეროდ ჩვენის ქვეყნიდამ არა გასულა-რა. რა დააჩნივა ჩვენს ქვეყანას ამოდენმა ფულმა? მაგოდენად ფული გამრავლებამ, განა გაგვამდიდრა? თუ მაგ მუქთა ფულმა არა ჰქმნა-რა, მაშ რაღას უნდა მოველოდეთ იმ ფულისაგან, რომელიც მუქთად კი არ გვეძლევა, არამედ იმისთვის მოდის, რომ თითონ აქ დარჩეს და ჩვენი სიმდიდრე — ღვინო გაიტანოს?

ამ საზით, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა იმ 34%-ს ჩვენის ქვეყნის კისრიდამ ამოიღებს, თუ რუსეთისიდამ, ორ გზითვე ჩვენ დავრჩებით პირში ჩალა გამოვლებული. პირველ შემთხვევაში ჩვენიდამ ფულს გაზიდავს და მეორე შემთხვევაში ღვინოს. პირველ შემთხვევაში ფულით გავღარიბდებით, მეორეში ღვინით. რაკი ფულის მეტ-ნაკლებობაზედ ამყარებენ ქვეყნის კეთილდღეობას ბ-ნ მეისნერის მეჭომაგენი, მაშინ ცხადია, რომ ორგანვე დანაკლისი ჩვენი იქნება და გამორჩომა სხვისი.

გვეტყვიან: ტყუილი შიშია, ვითომც ღვინით ამ შემთხვევაში გავღარიბდებითო. ამის საბუთად ბ-ნ მეისნერის ჭომაგთა ის მოჰყავთ, რომ რაკი ჩვენი ღვინო ბ-ნ მეისნერის წყალობით ბევრი გასაღდებაო ფულზედ, მაშინ თითონ ღვინოსაც ბევრს მო-

ვიყვანთო. თუ ეხლა ჩვენს ქვეყანას 30 მილიონი თუნგი მოსდის, მაშინ იმოდენად მეტს მოვიყვანთო, რამოდენადაც გასაღების იმედი გვექნებაო. ნუ დავივიწყებთ, რომ ბ-ნ მეისნერის განზრახულს ვაჭრობაში საქონელი საქონელზედ კი არ იცვლება ფულის შემწეობით, არამედ საქონელი ფულზედ. აი ამ საგანზედ რას ამბობს ერთი დიდად გამოჩენილი მეცნიერი: „რომელიმე ქვეყნის მთელი გამრჯელობა, მთელი მეცადინეობა, მთელი ქონება მიიქცევა ხოლმე რომელიმე წარმოების გასაძლიერებლად იმ იმედის გამო კი არა, რომ ბევრს ფარატინა ქაღალდს მივიღებო, არამედ იმ იმედისა გამო, რომ თავის ნაწარმოების საშუალებით მიიღებს ბევრს სხვადასხვა სარჩო საქონელს საზოგადოდ. სიმრავლე ფარატინა ქაღალდისა თუ ვისმე სიმდიდრე ჰგონია, რატომ იმას კი არა ხედვენ, რომ მთელის იმ სიმრავლით ვერა საგანს ვერ ყიდულობენ იმაზედ მეტს, რამოდენასაც წინად ყიდულობდნენ“.

მაშასადამე, ტყუილი იმედია, რომ სიხარბე ბევრის ფარატინის ქონვისა, რომელსაც ბ-ნ მეისნერის მექომაგენი ქვეყნის ბედნიერებად სახვენ, შეიქმნას მიზეზად ღვინის წარმოების გაძლიერებისა ჩვენში.

ვსთქვათ, გავბრიყვდით კიდეც და ფარატინა ქაღალდის შეძენისათვის გავაძლიერეთ ღვინის წარმოება. როგორ უნდა მოხდეს ეს გაძლიერება? ისეო, ამბობენ ბ-ნ მეისნერის ჭომაგნი, — რომ ჩვენი ქვეყანა სივრცეს ვენახებისას გაუმატებსო. მაშასადამე, ღვინის წარმოებას შრომა უნდა დაემატოს და შრომასთან მიწაც. საიდამ? ერთისა და იმავე ჯამიდამ, — საიდამაც ეგ შრომა და ეგ მიწა დღეს განწილულია და მორიგებული სხვადასხვა-გვარ წარმოების შორის, რომელთ საერთო მოქმედებით ჩვენს ქვეყანას თავისი სარჩო მოჰყავს. მაშასადამე, შრომა და მიწა სხვა წარმოებას უნდა დააკლდეს, რომ ღვინის წარმოებას დაემატოს. აქ სხვა წარმოება უნდა შემცირდეს, რომ ღვინისა გადიდდეს.

მაგალითებრ, ვსთქვათ, ჩვენი ქვეყანა მხოლო ორ-გვარის წარმოებით თავის სარჩოსა შოობს და იმით სცხოვრობს. ვსთქვათ, ეგ ორი გვარი წარმოება — ერთი ღვინისაა და მეო-

რე პურისა. ვსთქვათ, ამისათვის ათის დღის მიწაა და ოცი მწარმოებელი კაცი. ვსთქვათ, ნახევარი რიცხვი მწარმოებელთა და ნახევარი რიცხვი მიწისა ღვინოს უნდება და დანარჩენი ნახევარი პურსა. ვსთქვათ, რომ თითო მწარმოებელს შინ სახმარისად წელიწადში ოცი თუნგი ღვინო უნდება და ათი კოდი პური და სხვა არავითარი საჭიროება არა აქვს: მაშასადამე, ჩვენმა ქვეყანამ რომ უღვინობა და უპურობა არ იგრძნოს, ღვინის მწარმოებელთა ოთხასი თუნგი ღვინო უნდა მოიყვანონ და პურისამ ორასი კოდი. მაშინ ჩვენი ქონება ამ სახეს მიიღებს:

ქონება = 400 თუნგი ღვინო + 200 კოდი პური.

ამ სახით, ათს ღვინის მწარმოებელს 200 თუნგი ღვინო მეტი ექნება ასის კოდის პურის საშოვრად და პურისას — ასი კოდი პური 200 თუნგის ღვინის საშოვრადა. რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ ყოველი საგანი წარმოებისა სარჩოა, და მოჭარბებული სარჩო საქონელია, ამიტომაც ჩვენის ქვეყნის საქონლის სახე ასე გამოიხატება:

საქონელი== 200 თუნგი ღვინო + 100 კოდი პური.

აი ეს 200 თუნგი ღვინო ამ შემთხვევაში სულ მთლად გაიცემა, რომ 100 კოდი პური აიღოს, და 100 კოდი პური სულ მთლად გაიცემა, რომ 200 თუნგი ღვინო აიღოს. ეს აღებ-მიცემობა — რაც მეტი პურია ბაზარში სულ მთლად ღვინის პატრონს მოუტანს, იმიტომ რომ სულ მთლად იმას უჭირს, და რაც მეტი ღვინოა — სულ პურის პატრონს, იმავ მიზეზით.

აშკარაა, თუ ვითარება ეკონომიური ასე დარჩება, არავითარი მიზეზი არ იქნება, რომ ღვინის მწარმოებელთა 400 თუნგზედ მეტი ღვინო მოიყვანონ, ან პურისამ — 200 კოდზედ მეტი.

ისიც აშკარაა, რომ თუ მაგალითად აღებულნი გარემოებანი შეუცვლელად დარჩებიან, მაინც მარტო ორასი თუნგი ღვინო გაიცემა ასს კოდს პურზედ და ასი კოდი პური 200 თუნგს

ღვინოზედ, და აქ თუ აღებ-მიცემობის შუამავლად ფული საჭიროა, იმოდენად საჭიროა, რამოდენადაც აღებ-მიცემობა პურისა ღვინოზედ და ღვინისა პურზედ დაიტევს. ამიტომაც ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ „ფასი იმ საქონელთა, რასაც რომელსამე ქვეყანაში ყოველ-წლივ ჰყიდიან და ყიდულობენ, ის ჯამია ფულისა, რაც საჭიროა საქონლის ქცევისა და მორიგებისათვის პირდაპირ მხმარებელთა შორის, და მაგაზედ მეტს ფულსა ის ქვეყანა საქმეს ვეღარ აუჩენსო და ვეღარაში გამოიყენებსო“.

მაშასადამე, თუ ჩვენის ქვეყნის ეკონომიური გარემოებანი ისევ ასე დარჩებიან, როგორც დღეს არიან, ორ-მილიონ-ნახევრის ფულის გარევა, ისიც ქაღალდის ფულისა, არაფერში გამოსაყენი არ იქნება, და რაც არაფერში გამოსაყენია — ეს არ აიძულებს არავის საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანას საკუთრივ მეტი ღვინო მოიყვანოს.

მაგრამ ვსთქვათ, ბ-ნ მეისნერის მექომაგეთაებრ, რომ ფარატინა ქაღალდმა წაგვიტყუა, და აქაო-და ბევრი ფარატინა ქაღალდი დატრიალდება ხელშიო, ავიღეთ და ღვინის გამრავლებას შევუდეგით მაშინ, როდესაც ყოველივე სხვა გარემოება წინანდელის მაგალითისა დარჩა უცვლელად. ცხადია, რომ ღვინო გავამრავლოთ, პურს უნდა მოვაკლოთ მწარმოებელნი და მიწა. ვსთქვათ, ოთხასის თუნგის მაგიერ ექვსასი თუნგი ღვინო მოვიწადინეთ; თუ ხუთს დღიურს და ათს მწარმოებელს ოთხასი მოყვანდა, ესე იგი ხუთს მწარმოებელს და ორ-დღიურ-ნახევარს მიწას ორასი, მაშასადამე, პურს უნდა მოვაკლოთ ხუთი მწარმოებელი და ორ-დღიურ-ნახევარი მიწა და ღვინის წარმოებას დავუმატოთ *. მართალია, ამით ექვსასი თუნგი ღვინო გვექნება, მაგრამ ამ-რიგად განახევრებული წარმოება პურისა ორას კოდიდამ ასს კოდზედ ჩამოხტება. აქედამ 50 კოდი

* ეს მაგალითი თავის ძალას არ დაჰკარგავს, თუნდ ვიგულისხმოთ, რომ იმის გარდა, რაც ღვინისა და პურის წარმოებას მიწა უჭირავს, კიდევ არის სხვა მიწები, რომელნიც უქმად არიან, — თუკი მწარმოებელთ ქონება და კაცი რიცხვით იგივე იქნება.

თითონ პურის მწარმოებელთ მოუნდებათ სარჩოდ და 50 კოდი პურიღა იქნება ღვინოზედ გასაცვლელად, მაშინ როდესაც ამას გარდა კიდევ ასი კოდია საჭირო ყველასათვის სარჩოდ და 200 თუნგი ღვინო კი მეტია. ვსთქვათ, მარტო ეს 200 თუნგი ღვინო, რომელიც ჩვენთვის მეტია, გაიტანა ბ-ნმა მეისნერმა და მის სამაგიეროდ ფარატინა ქაღალდი მოგვცა. ნუთუ ეს ფარატინა ქაღალდი პურის დანაკლისს არ გვაგრძნობინებს? ნუთუ პურის მაგივრობას გვიზამს? ნუთუ ამით ჩვენში პური არ დაძვირდება? პური თუკი ერთი-ორად ნაკლები იქნება და საჭიროება იგივე, მისი ფასი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ერთი-ორად მაინც აიწევს, და თუ მისი ფასი ფარატინა ქაღალდია, ერთი-ორად ამ ფარატინას მოითხოვს; რაკი პური ასე დაძვირდება, ამ წარმოებისაგან წასული მწარმოებელი და მიწა ისევ პურს უკანვე დაუბრუნდა იმავე ფარატინების გამორჩომის იმედითა, რამაც წინა მაგალითში ღვინის თაობაზედ წაიტყუა ერთიცა და მეორეც. თუ ფარატინა ქაღალდმა ერთს შემთხვევაში წაგვიტყუა და ღვინის წარმოება გაგვაძლიერებინა პურის დაკლებით, რატომ იგივე ფარატინა არ წაგვიტყუებს მეორე შემთხვევაში და პურის წარმოებას არ გაგვაძლიერებინებს ღვინის წარმოების დაკლებითა? მიზეზი ერთია, შედეგიც ერთი უნდა იყოს. ეს ერთხელ აღძრული ტოკვა სასწორის უღლისა ღვინისა და პურის წარმოების შუა იქამდინ იქნება, ვიდრე ღვინო თავის დონემდე არ დავა და პური თავის დონემდე არ ავა და ამ-რიგად უღელი სასწორისა წინანდელ ლარზედ არ დადგება.

მაგრამ გვეტყვიან, რომ ეს ასე არ მოხდებაო, რადგანაც პურის წარმოებაზედ შეგვიძლიან სრულებითაც ხელი ავიღოთო და პური რუსეთიდამ ვზიდოთ იმ ფულის შემწეობით, რასაც ჩვენგან გატანილს ღვინოში ბ-ნი მეისნერი მოგვცემსო. შესაძლოა, მაგრამ ის შემოსული ბ-ნ მეისნერისაგან ფული ამ გზით ხომ ჩვენის ქვეყნიდამ ისევ მთლად გაიზიდება, და იქნება მოჭარბებითაც, რადგანაც პური უფრო აუცილებელი და დიდი საჭიროებაა ჩვენთვის, ვიდრე ღვინო რუსეთისათვის. მაშინ ბ-ნ მეისნერის მექმაგეთ ხომ ამითაც გამოეცლებათ ხელიდამ საბუთი, რომ იმედოვნებენ, მისგან შემოტანილი ფული ჩვენ-

შივე დარჩებაო, მაშასადამე, ფული გაგვიმრავლდება და გავბედნიერდებითო. ეს კიდევ არაფერია. საქმე იმაშია, ჩვენ ამით რა მოგვემატება? არაფერი. ჩვენიდამ ღვინო იმდენი გავა, რაც მეტია და სწორედ იმოდენადაც მეტი იქნება, რაც დანაკლისის პურის მოსაპოვებლად საჭიროა. სასწორი ჩვენის სარჩო-ქონებისა და საქონლისა არ შეიცვლება და ისევ ამ სახისა იქნება: ქონება=400 თუნგი ღვინო+200 კოდი პური, საქონელი=200 თუნგი ღვინო+100 კოდი პური, — რაც უნდა ბევრმა ფულმა იტრიალოს ამათ სააღებ-მიცემოდ.

ზარალი კი ის იქნება, რომ პური უწინ ახლო საშოვარი იყო და ეხლა შორს საძებნელი გახდება, და როცა ის შორი ბაზარი რომელისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება, მშივრები ამოვწყდებით. ეხლა ერთი ვიკითხოთ: თუ არა მოგვემატება რა, უტკივარი თავი რათ ავიტკივოთ.

მაშასადამე, ბ-ნ მეისნერის დაპირება, რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი, რომ ისევ გავყიდოო, ესე იგი — ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართაო, — არას-გზით და არას-მხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი. საზოგადოდ, ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდ.

„ვაჭრობის სარგებლობა, — ამბობს ზემოთვე ხსენებული მეცნიერი, — იმაში კი არა მდგომარეობს, რომ გაჰყიდოს საქონელი, როგორც აქამომდე ეგონათ *, არამედ იმაში, რომ გასასყიდი საქონელი საშუალებად ხდება სასყიდის საქონლის შესაძენადაო“.

მეორე პირობა ბ-ნ მეისნერისა, რომელიც დიდ ბედნიერებად მიაჩნიათ მის მექომაგეთ, ის არის, რომ თქვენს ღვინოს სხვა ახალს ბაზარს გავუჩენო. აბა ეს არის ის კაი ფონი, რომელიც ერთს ადგილას აღრჩობს.

---

* მოძღვრება, რომელიც მერკანტილ-სისტემად ცნობილია მეცნიერებაში, ამას ჰქადაგობდა, და ეხლა ეგ მოძღვრება უარყოფილია.

სხვა ახალის ბაზრის აჩენა მაშინ არის კარგი, როცა უკვე აჩენილი, ესე იგი დღევანდელი ბაზარი, არ იტევს საქონელსა. მაშინ ქვეყანა ან ახალს ბაზარს ეძებს საქონლისათვის, ან, თუ ვერ იშოვა, თითონ წარმოებას შეაცოტავებს, თუ სხვა გარემოებანი უცვლელნი არიან.

ეხლა ერთი ვიკითხოთ: ნუთუ მართლა იმოდენა ღვინო მოდის ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენში ვეღარა საღდება. ამაზედ ჰოს ვერავინ გვეტყვის, თუ ალალ-ბედად თქმა არ იკადრა, და თუ იკადრა, ამასაც იტყვის, რომ ათში ერთი ჩაფი იყიდება ჩვენშიო და დანარჩენი ცხრა ჩაფი გაუსყიდავი რჩებაო.

მართალია, ჩვენში ხშირად ისმის ჩივილი, ღვინო არ გვეყიდებაო, მაგრამ მაგასვე პურის პატრონიც იძახის პურის შესახებ, მატყლისა მატყლის შესახებ, შეშისა შეშის შესახებ და სხვა ამ-გვარი. ნუთუ აქედამ ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ ყოველივე ამ ნაწარმოებით ჩვენი ბაზარი იმოდენად სავსეა, რომ ყოველს ამას აღარ იტევს, ყოველივე ეს ვერა საღდება უმუშტრობის გამო. თუ ეს საჩივარი გამსყიდველთა მართალია, აბა ეხლა ყური დაუგდეთ, რა საჩივარი ისმის იმავე დროს და იმავე ბაზარში მყიდველთაგან: ღვინო ძვირია, პური ძვირია, საკლავი ძვირია, ლამის გავტყავდეთო. ეს ჩივილი რომ ვთარგმნოთ, იმასა ნიშნავს, რომ ჩვენი ბაზარი ყოველ ამით არამც თუ სავსეა, ნაკლულადაც არის, თუ ნაკლულად არ იყოს, იეფობა იქნებოდა. ეს ორი საჩივარი რომ ერთმანეთს პირში წავუყენოთ, გამოვა, რომ ერთსა და იმავე ბაზარში ერთობ საქონელი ბევრიც არის და ცოტაც ერთსა და იმავე დროს.

მაშასადამე, მართალი ორში რომელი ერთია? ცხადია, არც ერთი. მართალი სწორედ ამათ შუაა და ვერც ერთს კი ხელი ვერ ჩაუვლია. საქმე იმაშია, — ვერც საქონლის გამსყიდავი, როგორც კერძო პირი, ვერც მსყიდავი, ვერა სცნობს ეკონომიურს ვითარებას რომელიმე დროისას და ამიტომ ჰგონია ერთსაც და მეორესაც, რომ სასწორს საქონლის ღირებულებისას თავიანთ სურვილისამებრ თუნდა ასწევენ, თუნდა დასწევენ მარტო თავის სასარგებლოდ. როცა ღვინის პატრონი ჩივის, ღვინო არ მეყიდებაო, ეგ ჩივილი ასე უნდა ითარგმნოს, რომ

იმ ფასად არ ეყიდება, რამოდენიც გულში ჩაუდვია, და როცა იმავე დროს ღვინის მსმელი, ესე იგი მუშტარი, ჩივის, ღვინო ძვირიაო, ეს იმასა ნიშნავს, რომ იმ ფასად ვერ უყიდნია, რაც ემეტება. ეს ჩვეულებრივი მითქმა-მოთქმაა აღებ-მიცემობისა.

ბაზარი კი, როგორც საერთო, საყოველთაო სასწორი საქონლის ღირებულებისა, თვითოეულის სურვილს კი არ ემორჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე, ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სივრცეზედ. ტყუილია, თუ ეკონომიური ვითარება საზოგადოდ ისეთია, რომ ორ თუნგ ღვინოზედ მარტო ერთი კოდი პური იშოვება, რაც უნდა მაღლა ასწიოთ თქვენის ღვინის ფასი, მაინც იმოდენას მოგცემენ, რამოდენადაც ერთი კოდი პური იყიდება იმავე დროს და იმავე ბაზარში. თუ არა და ღვინოა, თუ პური, შინ დაგრჩებათ თქვენისავე ახირებით და არა იმიტომ, რომ მსყიდველი არ არის. აბა ღვინის გამსყიდველმა პატრონმა ამ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას შეუტოლოს ღირებულება თავის საქონლისა, თუ ჩვენმა ბაზარმა ყოველივე ეს არ მოიზიდოს და არ დაიტოვოს. ეგევე ითქმის საზოგადოდ სხვა საქონელზედაც, როდესაც იმავე დროს და იმავე ბაზარში საქონლის პირდაპირი მხმარებელი ჩივის, საქონელი გაძვირდაო.

შორს რათ მივდივართ: რომ ჩვენი, თუნდაც კამისიისაგან ეგრე დაწუნებული ტფილისის ბაზარი იტევს მთელს ჩვენს ნაწარმოებს ღვინოს და თითქმის არცა ჰყოფნის, ამის დასამტკიცებლად საკმაოა ვსთქვათ, — რომ დღეს ტფილისში არამც თუ მარტო ქართლ-კახეთის ღვინო საღდება, როგორც უწინ, არამედ იმერეთიდამაც დიდძალი ღვინო შემოდის. დრო იყო, რომ საფრანგეთიდამაც შემოიტანეს და მუშტარს შოულობდნენ *.

მაშ რა საბუთი გვაქვს, რომ ვამბობთ, ჩვენი ღვინო ჭარბია ჩვენის ბაზრისათვისაო? მაშ რას გვიხარიან ახალის ბაზრის აჩე-

* ბ-ნი რიშარი, მინამ ბაჟი ტამოჟნისა ქაღალდის ფულით იყო, საფრანგეთის ღვინოსა ჰყიდდა ქალაქში მთელი ორი წელიწადი, ბოთლს ორ აბაზადა, და მუშტარსაც შოვობდა.

ნა? ღვინო დიდ ფასად გავაო, ამბობენ ბ-ნ მეისნერის მექო-მაგენი, ესე იგი, აქაც კიდევ ბევრის ფულის ჩვენში შემოსვლას ხარბობენ. ჩვენც ავყვეთ, არა უშავს-რა, თუმცა უკვე ვიცით, რომ ფულის სიმრავლე, უკეთუ რიცხვი ერთობ საქონლისა ჩვენს ქვეყანაში იგივეა, არაფერს შეგვმატებს.

ჩვენ ამაზედ ვუპასუხებთ, რომ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა დიდ ფასად ვერ იყიდის ჩვენს ღვინოებს. ჩაიხედეთ ბ-ნ მეისნერის ნუსხაში, რომელიც მის პროექტზედ დართულია და ნახავთ, რომ იმ ახალის აზრის იმედით, იგი თავს კახურს ღვინოში თექვსმეტს ბოთლში (ერთს ვედროში) სამს მანეთს გვპირდება, ესე იგი, ბოთლში $18^3/_4$ კაპ. და დაბალ ღვინოში $7^1/_2$ კაპ., თუნგში $37^1/_2$ კაპ. (ვედროში — ექვს აბაზს). აბა, თავ ღვინოში, ისიც კახურში, და თუნდ დაბალ ღვინოებში — რომ ეგ ფასები დაიდვას, დიდი ფასია? თუ იმაზედაც ნაკლები, რაც დღეს ჩვენშია, მაშინ როდესაც, ზოგიერთის სიტყვით, ვითომ ჩვენში ღვინო $^9/_{10}$ გადასაღვრელიაო! აბა თუ კაცია ვინმე და თავი ღვინო კახეთში მაგ ფასად იყიდოს დღეს. ეგევე ითქმის დაბალ ღვინოების შესახებაც. ჯერ ჰყაპურტა ღვინოები ქალაქის ახლო სოფლებისა თუნგი იყიდება დღეს 50, 60, 70, 85 და 90 კაპ. და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა კი $37^1/_2$ კაპ. გვპირდება თუნგში. ჯერ აქედამა სჩანს, რა განზრახვა და რა სურვილი მიუძღვება წინ ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას.

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეგ ამხანაგობა ბოლოს მაგასაც არ შემოგვაძლევს, უფრო ძირს დასცემს ჩვენის ღვინოების ფასსა.

ფული რაკი თავის პირდაპირ დანიშულებას გადასცდება ხოლმე, რაკი გასყიდვას სყიდვისათვის არ მოახდენს, არამედ სყიდვას გასყიდვისათვის, როგორც ბ-ნმა იოსელიანმა სამართლიანადა სთქვა, მაშინ ფული საქონლის სააღებ-მისაცემო საშუალებად კი არ ხდება, არამედ სააღებ-მისაცემო საგნად საქონლის საშუალებითა. ამ ყოფაში ფულს ქვეყნის გამდიდრება კი არ მოსდევს, არამედ იმისი, ვის ჯიბიდამაც ამოდის, რახა იმის ჯიბეშივე უკანვე ჩავიდეს. უბარტყებლად ჯიბიდამ ფულის ამოსვლა და ჩასვლა ტყუილი ნაცარქექიობა იქნებოდა. ამიტომაც, ფული ამ შემთხვევაში მარტო იმის სიხარბეშია,

რომ რაც შეიძლება დიდის მოგებით დაუბრუნდეს იმავ ჯიბეს, საიდამაც ამოვიდა. მაგ სიხარბეს საზღვარი არა აქვს, მაგ გზაზედ დამდგარი ფული ისეთი კრუხია, რომ რავდენი კვერცხიც გინდათ შეუწყოთ, იმდენს ბარტყს ეცდება გამოუჩიკოს თავის პატრონს.

ბ-ნის მეისნერის ამხანაგობას რომ ნუსხა გავუსინჯოთ, ვნახავთ, რომ განზრახვადა აქვს გაიტანოს ჩვენიდამ 6120 ურემი ღვინო: აქედამ 4320 ურემი ღვინო ბოთლი $31^1/_4$ კაპეიკად უნდა გაჰყიდოს და 1800 ურემი თავი ღვინო ბოთლი 70 კაპეიკად. მოსაგებად დანიშნული აქვს მანეთზე 34 კაპეიკი. ახლა იფიქრეთ, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ რომ ამოდენა ღვინო გაზიდოს ჩვენის ქვეყნიდამ, მაგრე იაფად ჰყიდოს რუსეთში და მაინც მაგდენი წმინდა მოგება დარჩეს, რა უნდა იქონიოს გულში? ის უნდა ედვას გულში, რომ რაც შეიძლება ჩვენში ღვინოები იაფად იყიდოს, რაც შეიძლება ფასი ღვინისა ძირს დასწიოს, თორემ შეუძლებელია მაგ ფასად ჩვენი ღვინო რუსეთში ჰყიდოს და ამით არამც თუ მოიგოს რამე, არამედ დიდი ზარალი არა ნახოს. სამ აბაზ უზალთუნად თავს ღვინოს დღეს ჩვენშიაც ვერ იყიდით, $31^1/_4$ კაპეიკად იმის მომდევარს ვაილაჩრობით ძლივს იშოვით ჩვენში დღესაც, და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობამ ან ერთისა და ან მეორის ჯურის ღვინო როგორ უნდა ჰყიდოს რუსეთში მაგ ფასად? აშკარაა, ან იქ უნდა მოუმატოს ფასი, ან აქავ ჩალის ფასად ჩაიგდოს ხელში. ამ ორში იმ გზას უფრო დაადგება, რომელიც უფრო ადვილია, უფრო ჭკუაზედ ახლოა და ჭკუაში დასაჯდომია.

რუსეთში რომ ჩვენი ღვინოები დანიშნულ ფასებზედ უფრო ძვირად გაჰყიდოს, ხელს არ მისცემს ამხანაგობას. იმიტომ — რომ ერთობ ძვირის საქონლის მუშტარი მარტო მდიდარი კაცია და მდიდარი ცოტაა ყველგან, და რაც არის, ისიც ჭირვეულია, ქეიფის კაცია, თავის ნებისა არის. გარდა ამისა, მდიდარი კაცი რუსეთისა შეჩვეულია სხვა ღვინოებს ევროპისას და ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა, რაც უნდა ეცადოს, ამ მუშტარს ვერ ჩამოაცლის საფრანგეთის ღვინოებს და ჩვენს

ღვინოებისაკენ ვერ გადმოიბირებს, ამისათვის, რომ მდიდარის კაცისათვის ღვინო არამც თუ მარტო საჭირო და სასიამოვნო სასმელია, არამედ თავმოსაწონებელი, და სახელგანთქმულიც უნდა იყოს. აკი ვამბობთ, რაც უნდა ეცადოს ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა, საფრანგეთის ღვინოებს ვერ გაუტეხს სახელს და ჩვენსას ვერ მოანიჭებს რუსეთის მდიდარის კაცის თვალში. მაშასადამე, ერთი ღონე-ღა დარჩება ამხანაგობას, რუსეთის შუათანა წრის ხალხი აიჩინოს მუშტრად. ამისათვის ჩვენი ღვინო, რაც შეიძლება, იქ იეფად უნდა ჰყიდოს, რომ იეფობით ღვინის უჩვევი ხალხი შეაჩვიოს ღვინოსა. უამისოდ იმ 6120 ურმის გასაღება რუსეთში სანატრელი სიზმარი იქნება.

რაკი ძვირად გასყიდვა ჩვენის ღვინისა რუსეთში მუშტარს ვერ იშოვის, ამიტომაც ბ-ნი მეისნერის ამხანაგობა იმის მეცადინეობაში იქნება, რომ აქ ჩვენშივე სყიდვის დროს ღვინო იეფად ჩაიგდოს. ამას ძალიან ადვილად მოახერხებს. რაკი ამხანაგობა, ვითარცა ერთი კაცი, იმოქმედებს იმ დიდძალ ფულითა, რომელიც მას ხელთ ექნება, პირველ წელიწადსვე შეუძლიან სულ შემოიფრთხოს ყველა ღვინის ვაჭარი, რაც კი ეხლა ჩვენში არის. ვინც საქმით იცის ჩვენის ღვინის საქმე და არა გაგონითა, ის დაგვერწმუნება, რომ ორი ათასი თუმანია საჭირო, რომ რაც უკეთესი მარნებია კახეთში, სულ ხელში დაიჭიროს. ამას გარდა, შესაძლოა ოცი, ორმოცი ურემი ღვინო თუნდ ას-ას თუმნად დავიკვეთო კახეთში, ამით ფასები დროებით ავწიო, წვრილი ვაჭრები შემოვიფრთხო, და რაკი ბურთი და მოედანი მე დამრჩება და სხვა მოცილე არ მეყოლება, დანარჩენი ორასი და სამასი ურემი წყლის ფასად ჩავიგდო და რასაც ოცს ურემში წავაგებ ფასების აწევითა, ის ერთი-ორად დავიბრუნო ორასისა და სამასის ურმის ფასების დაწევაში. ვინ იტყვის, რომ ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს მანეთზედ 34 კაპეიკის მოგება, ამას არ იქმს? აი ამიტომ შორმხედველნი მეწინააღმდეგენი ბ-ნ მეისნერის პროექტისა ამბობდნენ, რომ მონოპოლიობა ჩამოვარდებაო.

თუნდ ეგეც არ იყოს და დავუჯეროთ ბ-ნ მეისნერის მე-

ქომაგეთა, რომ ღვინოების ფასი აიწევა, რაკი რუსეთი ჩვენის ღვინის ბაზრად შეიქმნებაო; თუ მართლა ეგრე იქნება, დიდძალი ღვინო ჩვენის ქვეყნისა სულ რუსეთისაკენ გაეზიდება, დიდძალი ღვინო გავა, მაშასადამე, ღვინო ჩვენში დაძვირდება ასე, რომ ამოდენა ხალხი, ღვინის სმას ჩვეული, ღვინოს თვალით ვეღარა ნახავს, ჯერ იმის გამო — რომ ცოტა იქნება, მეორე იმის გამო — რომ შეძლება არ ექნება დიდ ფასს შესწვდეს. მაშასადამე, ეს შინაური ჩვენი ბაზარი ალაგდება, მერე მკვიდრი ბაზარი, რადგანაც დღეს-აქამომდე ისეთი მუშტარი ჰყავს, რომელიც ღვინოში ჩვეულს და მეტად საჭირო სასმელს ხედავს, და მის სამაგიეროდ გაიხსნება ისეთი ბაზარი, საცა მაგ ჩვეულებამ და საჭიროებამ უნდა ახლად ფეხი მოიკიდოს. ცხვირ-წინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი ავიჩინოთ. ჩვენდა სამწუხაროდ რომ ეს მოხდეს, აქ ცხვირწინ ბაზარი დავკეტოთ და რუსეთში ავიჩინოთ, მერე ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ ამხანაგობა არ გვეტყვის, გინდათ ამ ფასად მამყიდეთ თქვენი ღვინო, თუ არა თქვენ თითონ წაიღეთ რუსეთშიო: რუსეთში ჩვენ ჩვენს ღვინოს ვერ წავიღებთ. შინ გასავალი იმოდენა აღარ იქნება და ჩვენ ან უნდა ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას დავემორჩილოთ, ან ვენახები გადავკაფოთ.

ყოველს ამას თავი დავანებოთ და მარტო ის წარმოვიდგინოთ, რა ქმნა იმ გარემოებამ, რომ თევზმა და ხიზილალამ სალიანისამ ახალი ბაზარი აიჩინა რუსეთში და ამ საქონლის ვაჭრობამ იქით გაიწია? ისა ქმნა, რომ ეგ საყოველდღეო საჭმელი ჩვენის ხალხისა საერთოდ, დღეს მარტო მდიდრის სანუკვარიღა შეიქმნა, თევზსა და ხიზილალას ეხლა მარტო მდიდარი თუ ხმარობს საჭმელად, თორემ სხვას სიზმრადაც აღარ ეზმანება. ვინ გაკეთდა ამით? სალიანის მოიჯარადრენი, და ხალხი კი, ჩვენი ქვეყანა, გაღარიბდა იმოდენად, რამოდენადაც თევზი და ხიზილალა დააკლდა. იმოდენად გავღარიბდებით ჩვენც, რამოდენადაც ჩვენ ჩვენი ჩვეული სასმელი მოგვაკლდება. ეს უეჭველია. ესევე აზრი წარმოსთქვა სამეურნეო საზოგადოების კრებაში ბარონ ნიკოლაიმ და იმავე აზრს ბევრი სხვანიც მიემხრენ.

რასაკვირველია, ბ-ნ მონასტირცევს და სხვას მაგ-გვარებს ადვილად შეუძლიან სთქვან: ოჰ, დიდი რამ იქნება, თუ ქართველებმა ღვინო არა სვესო. თათრები რომ ღვინოს არა სმენ, კაცები არ არიანო. რომ გავბრიყვდეთ და ეგრე წავიდეთ, როკორც ბ-ნი მონასტირცევი, განა ჩვენ კი ვერ ვეტყვით: ჰო, დიდი რამ იქნება, თუ ბ-ნ მონასტირცევმა წაღები არ ატარა. განა ცოტანი არიან, რომ ფეხშიშველა დაიარებიან. მაშ ისინი კი კაცები არ არიან!

ამისთანა სასაცილო აზრს ისევ ბ-ნ მონასტირცევს დავუთმობთ, დეე მაგან მაგ აზრით განაგოს ქვეყანა და ჩვენ ღმერთს მადლობა შევწიროთ, რომ ბ-ნი მონასტირცევი ჩვენის ბედის გამგებლად თავის-დღეში არ იქნება.

დაგვრჩა ახლა მესამე დაპირება ბ-ნ მეისნერის პროვჭტისა, სახელდობრ ისა, რომ ღვინოს მე გავაკეთებ, თქვენ ოღონდ ვენახები აკეთეთ და ბევრი ყურძენი მოიყვანეთო. ეს რომ მდაბიურად ვთარგმნოთ, ეს არის: „დღეს თქვენ ვენახების მკეთებელიცა ხართო და ღვინისაცაო. რაკი ორივე წარმოება ხელთ გიჭირავთ, სჩანს ერთიდამაც რასმე ხეირს ხედავთ და მეორიდამაცაო. მოდით, ერთი წარმოება მაგ ორისაგან მე დამითმეთო, ისეთი, რომელიც უფრო ფაქიზია და სამუშაოდ უფრო ადვილი, ესე იგი, ღვინის კეთებაო“. მერე ჩვენ რას ვეძლევით მის სამაგიეროს, სახელდობრ — იმის სანაცვალოდ, რაც ღვინის კეთება ვენახის კეთებასთან ერთად ჩვენ ხეირს გვაძლევდა, ვკითხავთ ჩვენ? არაფერსაო. თქვენი ხეირი ეს იქნებაო, რომ უფრო უკეთესი ღვინო იქნება თქვენი ღვინოო, იმასაც თქვენ კი არ დაგალევინებთ, რუსეთში გავიტანო და ამ გზით სახელი თქვენი იქნებაო და სახრავი კი ჩემიო. თქვენ მარტო ვენახების კეთებაც გიყოფათო.

აი ყოველთვის ამისთანა შედეგი აქვს, როცა ეგრეთ-წოდებული კაპიტალობრივი წარმოება თავს ამოჰყოფს ხოლმე ქვეყანაში და ფეხს მოიკიდებს. აი სწორედ ამის გამო ამბობს ერთი გამოჩენილი მეცნიერი, რომ „კაპიტალობრივი წარმოება იმისთანა მოქმედებაა, რომელიც მწარმოებელს ხელში არ შეარჩენს წარმოების საშუალებასაო და ცდილობსო მარტო მი-

სის მარჯვენის ანაბარას დააგდოს და სხვა ყოველისფერი ჩამოართვასო“.

ჩვენ ძალიან გრძლად მოგვივიდა ეს ლაპარაკი და ამიტომაც ამ საგანზედ, რომელიც ადვილად მისახვედრია თავისთავადაც, დიდხანს ვერ შევდგებით. მხოლოდ ვიტყვით, რომ ბ-ნ ელიოზოვისა და იოსელიანის შიშს, რომ ამხანაგობა მიწასაც ხელიდამ გამოგვაცლისო, საყურადღებო და ძნელად დასარღვევი საბუთი აქვს. აი ამ საგანზედ რა სთქვა 1845 წ. პარლამენტში ეხლანდელმა პირველმა მინისტრმა ინგლისისამ გლადსტონმა, რომელსაც, როგორც ფინანსისტს, თითქმის ცალი არა ჰყავს მთელს ქვეყნიერებაზედ: „ერთი ყველაზედ სამწუხარო ამბავი ჩვენის ქვეყნის (ესე იგი ინგლისის) ყოფაცხოვრებისა იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენადაც ძლიერ ბევრდება უმაღლეს წოდებათა ხელში სიმდიდრე და იზრდება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალი, იმოდენად ცხოვრების სახსარი აკლდება ხალხს, იმოდენად ნაკლებულობა და სიღატაკე მატულობს მუშა-ხალხს შორისო“.

იმოდენა ფულით სიმდიდრე არსად არ არის, როგორც ინგლისში და მის მხარ-და-მხარ ისეთი სიღატაკეა უმრავლესობისა, რომ ამბადაც ძნელი დასაჯერია. პრუსიამ ხუთი ათასი მილიონი ბაჯაღლო ოქრო წაართვა საფრანგეთს და ამ უზარმაზარმა ფულმა კი არ გაამდიდრა პრუსია, არამედ ისე გაუხადა საქმე იქაურთა მკვიდრთა, რომ მაგ ფულის შემოსვლისვე უმალ ხალხის გახიზნვამ პრუსიიდამ იმატა, რადგანაც არაქათი ცხოვრებისა აღარ იყო.

ამ სახით, რა მხრითაც უნდა შევუდგეთ ბ-ნ მეისნერის პროექტს, რომელი აღთქმა და დაპირება არ გავსინჯოთ, ვნახავთ, რომ მასში ჩვენი სახეირო არა არის-რა და საეჭველი კია. ასეც იცნო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ ბოლოს და უარჰყო იგი პროექტი.

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, იანვარი.

ქუთაისის ბანკი. — «შრომის» წინასიტყვაობა. — ტყუილი ჯვარცმა «შრომის» მშრომელისა. — საწყალნი მსმენელნი. — ბანკების აპეკა.— რა შუაშია. — ბავშები თუ გაბრიყვებულნი? — რა არის კრედიტი საერთოდ და საადგილ-მამულო ცალკე. — მიწა და მიწათ-მოქმედება. — რა მოეთხოვება კრედიტს საადგილ-მამულოს. — რის გარეთ არ არის კრედიტი. — მუხას ვაშლი რათ არ ასხიაო. — ბანკია მიზეზი თუ სხვა რამ. — მაგალითი. — «შრომის» ჯვარცმულს მშრომელს.

ფინანსთა მინისტრის განკარგულებით ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა დროებით უნდა დააყენოს სესხის გაცემა. ტყუილ-უბრალოდ მყვირალნი საერთოდ საადგილ-მამულო ბანკების წინააღმდეგ, ვგონებ, სიხარულით ხელებს იფშვნეტენ, მაგრამ კი ჩვენ უფალსა ვსთხოვთ, მიუტეოს მათ, რამეთუ არ იციან რას იქმან. ჩვენ ეს განკარგულება დიდ უბედურებად მიგვაჩნია და ამიტომაც განსაკუთრებით ჩვენს ყურადღებას დღეს ამ საგანს მივაქცევთ და არც წერილის სიდიდეს მოვერიდებით, არც გრძლად ლაპარაკსა, ოღონდ ჩვენს საზოგადოებაში მოვფინოთ ის ჭეშმარიტებანი, რომლის ძალითაც ბანკების თაობაზედ საზოგადოდ და საადგილ-მამულო ბანკებისაზედ ცალკედ, კაცმა თავისი პირუთვნელი, პირმიუხედავი აზრი უნდა წარმოსთქვას.

რომ ამ საგანზედ სრული უმეცრება ტრიალებს არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, არამედ იმათ შორისაც, ვისაც თითონ

საზოგადოების ხელმძღვანელობა უკისრნია, ამის მაგალითად მოვიყვანთ „შრომის“ № 3-ს.

ამ № 3-ში დაბეჭდილია წერილი ბანკების შესახებ და ამ წერილის თავში მოქცეულია წინასიტყვაობა „შრომის“ რედაქციისა, რომელიც გვაოცებს ხოლმე თავისის უსუსურობით ყოველთვის, როცა კი საადგილ-მამულო ბანკებს შეეხება.

„ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების დაფუძნებიდგანვე,— ამბობს რედაქცია თავმოწონებით, — თითქმის იქიდგან, როცა ჯერ ამ ბანკების წესდებაზედ იყო ლაპარაკი, ჩვენ ყოველთვის გამოგვითქვამს, როგორც საზოგადოების კრებაზედ, ისე ლიტერატურაშიაც ის აზრი, რომ ამ-გვარი ბანკები მხოლოდ მაშინ იქნებოდა სასარგებლო, როცა იქიდგან გამოტანილს ფულს მამულის შესამუშავებლად მოიხმარებდნენ და როცა ვალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს არ ჩაუვარდებოდა ხელში. ამ აზრისათვის ჩვენ და ჩვენი თანამოაზრენი თითქმის ჯვარცმულსავით ვიდევნებოდით“.

გაგონილა, რომ დამჯდარმა კაცმა ეს ამისთანა აზრი საქვეყნოდ წარმოსთქვას. „ჯვარცმულსავით ვიდევნებოდითო“ — მაშ რა მოგივიდოდათ, თუ მართლა, როცა ბანკების წესდებაზედ იყო ლაპარაკი, თქვენ იმაზედ გააბით გაუთავებელი ლაპარაკი, რომ ვალის ამღებმა ფული როგორ უნდა მოიხმაროს და ვალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს რა გზით არ ჩაუვარდეს ხელშიო, და თუ ამაზედ გალაპარაკეს, სახელი და დიდება მსმენელთა მოთმინებასა. ისინი ცმულან ჯვარს, რომ მაგდენი გილაპარაკნიათ იმაზე, თუ მუხას ვაშლი რატომ არ ასხიაო. საწყალი მსმენელები!..

ერთი იმას ვკითხავთ ამ წინასიტყვაობის დამწერს, — სად ბანკების წესდება და სად ეგ ამბები? რომელ ბანკის წესდებას შეუძლიან კაცს ხელ-ფეხი ისე შეუკრას, რომ აღებული ვალი ცუდ-უბრალოზედ არ გააფუჭოს და მხოლოდ მამულის განკარგებას მოახმაროს? რომელს ბანკის წესდებას შეუძლიან ვალის გადაუხდელობისათვის გასასყიდი მამული გარეშე კაცს არ ჩაუგდოს ხელში? აქ ბანკის წესდება რა შუაშია, რომ აგიღიათ თავი და სულ სხვა საგნებზედ დაგიწყიათ ლაპარაკი.

ბატონებო, დონკიხოტსავით ქარის წისქვილებს მისდგომიხართ და ჩივით, რატომ არ აგვყევითო. ისინი თურმე იმ მთაზედ ლაპარაკობენ, თქვენ კი მისდგომიხართ და ამ მთის ამბით სული ამოგირთმევიათ. ჯვარს უნდა ცმულ იყავით, მაშ რა მოგივიდოდათ, წყალის ნაყვა რაკი ეგრე გულით მოგიწადინებიათ.

ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა ის კი არ არის, რომ ვისაც ფულს ასესხებს, უკანვე გაედევნოს, აპეკუნად გაუხდეს და ტყუილ-უბრალოზედ ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა — ბანკმა არა დააკლოს რა. ბანკს ამისთანა საქმეს ან ბავშები მოსთხოვენ, ან იმისთანანი, რომელნიც საზოგადოების გაბრიყვებას კადრულობენ, როგორც გონება-გაუხსნელის ბავშისას.

რაკი ამისთანა სამდურავი ბანკის თაობაზედ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენის ლიტერატორებისაგან გვესმის, სჩანს, ჩვენში ძალიან ცოტას სცოდნია: რა არის კრედიტი საზოგადოდ და საადგილ-მამულო ცალკედ. ამის გამოკვლევას შევუდგებით ჩვენ ჩვენის შეძლებისამებრ და იქნება იმოდენა შევძლოთ, რომ ეს ავასრულოთ.

რომ შევუდგეთ რომელიმე საზოგადოების, თუ ერის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებას და დავაკვირდეთ იმის ვითარებას, შევნიშნავთ აი რას: ერთს ადგილას თქვენ დაინახავთ, მაგალითებრ, მჭედელსა, რომელსაც თავის საკუთარს სამჭედლოში უწყვია მზად გაკეთებული ბარი, თოხი, ნაჯახი, ცული, სახნის-საკვეთი და ელის მსყიდველსა, რომელიც არსაითა სჩანს. იქავ გვერდით უდგას მიწის-მომქმედი, რომელსაც უჭირს ყოველივე ეგ სამამულო იარაღი, მაგრამ ღონისძიება არა აქვს შეიძინოს უფულობით, თუმცა ბეღელი სავსე აქვს ყოველგვარის მიწის ნაწარმოებითა, რომელიც ბევრს სხვას ეჭირვება. მესამე ადგილას ხედავთ აგურის მკეთებელსა, რომელსაც უჭირს მიწის-მომქმედის ნაწარმოები და არა აქვს ღონისძიება შეიძინოს, თუმცა მრავალი აგური უწყვია ქარხანაში და მუშტარს ელოდება. მეოთხე ადგილას ხედავთ ღვინის მომყვანსა, რომელსაც უნდა ერთი კაი მარანი დადგას და აგური არა

აქვს, თუმცა ღვინით სავსე ქვევრები უდგას და სხვანი და სხვანი.

ამ სახით ვხედავთ, რომ ერთის მხრით საჭიროებაა, მეორეს მხრით საჭიროების დასაკმაყოფილებლად საგნებია, მაგრამ ცალ-ცალკედ კი.

ამ განცალკევებისა და იმ მიზეზის გამო, რომ ხელად იმისთანა სასყიდელი ღონე არ არის, რომელსაც შეუძლიან საკმაყოფილო საგნები საჭიროებას მიუზიდოს, მჭედელი, მიწისმომქმედი, ღვინის მომყვანი და მეაგურე იძულებულ არიან უქმად იყვნენ, იმიტომ რომ თვითოეულს მათგანს რაც თანხა ჰქონია, თავის ნაწარმოებში გაუბამს და სხვა აღარა აქვს განაგრძოს თავისი წარმოება.

ამ სახით, ვიმეორებთ, თქვენ ხედავთ, რომ შრომა თვითოეულის მათგანისა შეყენებულია და თანხაც, რომელსაც ეხლა წარმოადგენს მათი ნაწარმოები, უქმად დარჩომილია, იმიტომ რომ ნაწარმოები, ვსთქვათ, მჭედლისა, მისის ხელობისათვის გამოუსადეგია და ის წარმოება-კი, რომლისათვისაც მისგან მომზადებული იარაღი გამოსადეგია, იმისი საქმე არ არის. ამ ადვილად შესაძლებელ ყოფაში წარმოებას ხელ-ფეხი შეკრული აქვს, საზოგადოება ეკონომიურის მხრით ძლივ-ძლივ სულს იბრუნებს, თუნდაც ელემენტები წარმოებისა და კეთილდღეობისა უხვად იყოს.

როგორ უნდა ეშველოს? იტყვიან, იმ დალოცვილებმა აიღონ თავიანთი ნაწარმოები და ერთმანეთს გაუცვალონო. მაგრამ აგეთი პირდაპირ გაცვლა-გამოცვლა შეუძლებელია იმიტომ, რომ რაც მე მიჭირს, ის იმისთანა კაცსა აქვს, რომელსაც ჩემი ნაწარმოები არ უჭირს. ამის გამო, რომ ეგ გაცვლა-გამოცვლა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ეგ აღებ-მიცემობა მოხდეს, ყოველმა მწარმოებელმა თავისი ნაწარმოები იმისთანა საფასურად უნდა აქციოს, რომელსაც საყოველთაო და უცილობელი ძალი აქვს აღებ-მიცემობის მოსახდენად. ესე იგი, უნდა აქციოს ფულად. კარგი, მაგრამ რომ ფულიც არ იყოს?

ფულის გარდა არის სხვა ღონისძიება, რომელსაც ძალუძს ერთის კაპიტალი შეახვედროს მეორის შრომას და ამით ბო-

ლო მოუღოს მიზეზს წარმოების უქმად ყოფნისას, ხელ-ახლად სული ჩაუდგას მოქმედებას მჭედლისას, მიწათ-მომქმედისას და სხვათა. ეგ ღონისძიება ერთგვარი მორიგებაა, რომლის ძალითაც მჭედელი ენდობა-რა მიწათ-მომქმედს, მიწის-მომქმედი მეაგურეს, მეაგურე ღვინის მომყვანს, ერთმანეთს ხელს უმართავენ თავიანთის ნაწარმოებითა, ანუ უკეთ ვსთქვათ, კაპიტალებითა,— იმ პირობით, რომ დაუბრუნოს ეს კაპიტალი ვადაზედ თავის სარგებლით დაცალებისათვის.

ხოლო მჭედელმა, თუ სხვამ, თუმცა გაასაღა ამ სახით თავისი საქონელი და ხელი გაუმართა მიწათ-მომქმედსა, მაგრამ მაინც ხომ უკაპიტალოდ რჩება ვადამდე და, მაშასადამე, მისი წარმოება ვადის მოსვლამდე ისევ-ისე უქმად უნდა იყოს. რომ ეს ასე არ მოუხდეს, მჭედელმა საბუთი რამ უნდა იქონიოს, ანუ თამასუქი, როგორც ჩვენ ვიტყვით ხოლმე, უნდა ჩამოართოს მიწათ-მომქმედსა, მერე ასეთი, რომელსაც იმისთანავე ძალა ჰქონდეს სყიდვისა, როგორც ფულის ნიშანსა აქვს. რომ თამასუქს ესეთი ძალა მიენიჭოს, თამასუქთან ერთად უცილო რწმუნებაც უნდა იყოს მასზედ, რომ თამასუქი გავა, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც, საცა მოქმედობენ და საქმობენ ეგრე მორიგებულნი პირნი. რაღა თქმა უნდა, რომ იმ თამასუქს ეგ სარწმუნო ღირსება არ ექნება.

აი სწორედ ამ გაჭირვების დროს მოდის ბანკი, და ეუბნება: „შენ, მჭედელო, მიეცი შენი ნაწარმოები მიწის-მომქმედსა, შენ, მიწის-მომქმედო,—მეაგურეს და შენ, მეაგურევ — ღვინის მომყვანსა, და მიცემის ნიშნად ჩამოართვით თამასუქები, თუ ერთმანეთს ენდობით და ერთმანეთის რწმუნება გაქვთ. ყველა მაგ თამასუქებს მე ჩემს თავზედ მივიღებ ვადამდე და თქვენ მის სამაგიეროდ ან ნაღდს ფულს გიშოვით, ან მოგცემთ ჩემს ბილეთებს, ჩემგან ხელმოწერილებს, რომელთაც, თუ ყველგან არა, იმ აღებ-მიცემობის მოედანზედ მაინც მიიღებენ, საცა თითონ მე ვმოქმედობ და ვსაქმობ. ეგ იმედი ბანკის ბილეთების მიღებისა უცილოა, იმიტომ რომ ნდობა ბანკისადმი ბანკის ცარიელ სიტყვაზედ კი არ არის დამყარებული, არამედ იმისთანა საფუძველზედ, რომელიც სა-

თავეა და ძირი საყოველთაო ნდობისა და საყოველთაო რწმუნებისათვის, ყველასაგან ერთნაირად ცნობილია და ერთნაირად მიღებული. ბანკს რომ ერთი რამ ამ საფუძველთაგანი დააკლოთ, ამ საქმეს ვეღარ გაუძღვება.

ამ-გვარის ხელის გამართვით ბანკისაგან, ნაწარმოები ხელიდამ ხელში გადავა, გაძლიერდება საქონლის მიქცევ-მოქცევა მწარმოებელთა შორის. არც ნივთი რამ, არც იარაღი, არც ერთი ნაამაგევი კაცისა აღარ დარჩება უქმად და მოუხმარებლად.

რაში იყო ბუნება მორიგებისა, რომელიც ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, სახელდობრ — რაში გამოიჩინა თავი? იმაში, რომ გადიტანა კაპიტალი ერთიდამ მეორესთან და ფულის მაგიერობა გასწია. ეს კარგად დავიხსომოთ.

მაგრამ ხსენებულს მორიგებაში უსათუოდ ნდობა უნდა იყოს მორიგებულთა შორის. აი სწორედ ეგ ნდობა, რომლის ძალითაც კაპიტალი გადადის ერთის ხელიდამ მეორეში, რომელიც განხორციელდება ხოლმე ხსენებულ მორიგებაში და რომელიც ფულის მაგიერობას გაგვიწევს ხოლმე, არის ის, რასაც კრედიტს ეძახიან.

კრედიტი ორ-პირი მახვილია. ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, კრედიტს ვინ როგორ იმსახურებს, ვინ როგორ გამოიყენებს. თუ კაცი კრედიტს წარმოების გასაძლიერებლად არ მოიხმარებს, იგი კაცის დამღუპველია. ის კრედიტი კი, რომელიც იხმარება წარმოების გასაძლიერებლად, ერთი იმისთანა ეკონომიურ ძალთაგანია, ერთი იმისთანა წყაროა საზოგადო სიმდიდრისა, ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება, იმიტომ რომ კრედიტს, გადააქვს რა კაპიტალი ფულად თუ წარმოების მასალად, იარაღად თუ სხვაგვარ სახმარ ნივთად, გადააქვს იქიდამ, საცა ყოველივე ეგ უქმად აწყვია, იქ — საცა საჭიროა წარმოების გასაძლიერებლად, და ამ სახით მოარიგებს ხოლმე კაპიტალს ყოველგან და ყოველგანვე იმ სარგებლობას მოატანინებს, რისთვისაც კაპიტალი დანიშნულია.

ამასადამე, კრედიტი, ეკონომიურის თვალით გასინჯული,

ერთი იმისთანა გამოსადეგი ღონეთაგანია, რომლის შემწეობითაც გროვდება გაფანტული და უქმი კაპიტალი საზოგადოებისა და ერთის ხელიდამ მეორეში გადადის წარმოების გასაძლიერებლად. ეგ გაძლიერება წარმოებისა ერთად-ერთი, მხოლოობითი საგანია და მიზანი კრედიტისა. ამიტომაც იგივე გაძლიერება წარმოებისა მხოლოობითი ღონისძიება-ღა არის კრედიტის პასუხის გასაცემად.

რადგანაც წარმოება და მასთან შეერთებული ქონება სხვადასხვა-გვარია, თითონ კრედიტიც სხვადასხვა-გვარია იმისდა მიხედვით, თუ რა წარმოებაზედ და რა ქონებაზედ არის მიქცეული. მაშასადამე, რომ თვალი ავიხილოთ მასზედ, თუ რაგვარი კრედიტი უჭირდა ჩვენს ქვეყანასა და რა-გვარი კრედიტი გახდა საფუძვლად ჩვენის ბანკების წესდებისა, საჭიროა შევიტყოთ, რა-გვარი წარმოება თხოულობდა ჩვენში კრედიტის შემწეობას და რა-გვარი ქონებაა იმ წარმოებასთან შეერთებული.

ამას ეჭვი არ უნდა, რომ ჩვენი ქვეყანა მიწათ-მოქმედი ქვეყანაა და ერთად-ერთი წარმოება, რომელსაც იგი ამოქმედებს, სასოფლო მეურნეობაა, ესე იგი — იმისთანა წარმოება, რომელსაც პირდაპირ მიწასთან აქვს საქმე და მიწის-მოქმედებასთანა. ეს არის ერთად-ერთი წარმოება, რომლის გაძლიერებისათვის გვინდა შემწეობა კრედიტისა და რომელიც თითქმის ერთად-ერთი წყაროა ჩვენის სიმდიდრისა.

კრედიტი, რომელიც ამ წარმოებას ეხმარება, არის ეგრეთწოდებული სასოფლო მეურნეობის კრედიტი, ანუ საადგილმამულო. მაშასადამე, საადგილ-მამულო კრედიტს, როგორც კრედიტს, საგნად მარტო ის უნდა ჰქონდეს, რომ გააძლიეროს სოფლის მეურნეობის წარმოება. და რადგან ეს წარმოება განუყოფელად შეერთებულია მიწასთან და მიწათ-მოქმედებასთან, ამიტომაც საადგილ-მამულო კრედიტი ირჩევა ყოველ სხვა-გვარ კრედიტთაგან იმ განსაკუთრებულ თვისებებით, რომელნიც წარმოსდგებიან თითონ მიწათ-მოქმედების და მიწის ეკონომიურ ბუნებისაგან.

გავსინჯოთ ეკონომიური ბუნება ერთისაც და მეორისაც.

მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული, კრედიტის შემწეობით, კაპიტალი ორ-გვარად შეიძლება მოიხმაროს კაცმა: ერთი იმისათვის — რომ დროებითი და შემთხვევითი გამორჩომა ნახოს, მეორე იმისათვის — რომ სამუდამოდ მკვიდრად განაკარგოს მეურნეობა. ცხადია, რომ პირველ შემთხვევაში მიწათ-მოქმედება ვერ მისცემს მტკიცეს და კეთილსაიმედო ღონეს კრედიტის პასუხის გასაცემად და ამით კრედიტის განვითარებისათვის ხელმოკლეა, იმიტომ რომ ამ შემთხვევაში ყველაფერი დროებითია და შემთხვევაზეა დამოკიდებული. მეორე შემთხვევაში-კი, ესე იგი მაშინ, როცა კაპიტალი მიქცეულია მიწათ-მოქმედებაზედ მარტო იმ განზრახვით, რომ მკვიდრად და სამუდამოდ გააძლიეროს წარმოება მიწათ-მოქმედებისა, მიწათ-მოქმედების შემოსავალი თანდათან მატულობს, ძლიერდება, და ეგ მატება და გაძლიერება უფრო მტკიცე, უფრო მუდმივი ღონისძიებაა კრედიტის პასუხის-საგებლად.

ხოლო მიწათ-მოქმედება იმ-გვარი წარმოებაა, რომლის სამუდამოდ და მკვიდრად განკარგებისათვის საჭიროა დიდი ხანი. ამ წარმოების აჩქარება ვერა მანქანებას კაცისას არ შეუძლიან, იმიტომ რომ აქ ყველაფერი დამოკიდებულია თითონ იმ ნივთთა ბუნებაზედ, რომელნიც მაგ წარმოებას ემსახურებიან და რომელთ ბუნების შეცვლაც კაცთა ხელთ არ არის. მაგალითებრ, ვაზს, რომელსაც დღესა ვრგავთ, ვერ ვეტყვით, ექვს თვეზედ ყურძენი გამოისხიო. ამასთანაც, მიწათ-მოქმედებაზედ მიქცეული კაპიტალი შეეხორცება ხოლმე მიწასა, ისე რომ ერთბამად უკანვე ამოღება ყოვლად შეუძლებელია. შეიძლება ამოღება მხოლოდ თანდათან ნამეტანისაგან შემოსავლისა, ისიც იმ დროთა განმავლობაში, რომელიც უსათუოდ შეზომილი უნდა იყოს თითონ წარმოების ქცევის დროსთან. მიწათ-მოქმედების წარმოებაში ეგ ქცევა მეტად ხანგრძლივ დროს ითხოვს, 30-ს, 40-ს, 50-ს წელს, და ამაზედ მეტსაც.

აი ამ სახით, მიწათ-მოქმედება იმისთანა წარმოებაა, განსხვავებული ყოველ სხვა-გვარ წარმოებისაგან, რომელიც შეესაძლოა მტკიცედ და მკვიდრად განკარგებულ და გაძლიერებულ იქმნას მხოლოდ ხანგრძლივ დროთა განმავლობაში და

რომელიც ერთხანად და ერთბამად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა, არამედ თანდათან და ფეხმძიმედ ზრდის შემოსავალს და იქიდამ იშორებს იმავე თანდათანობით, იმავე ფეხმძიმობით. აი, ორი განსაკუთრებული თვისება მიწათ-მოქმედებისა. აი, სახელდობრ, ამ ორის მიწათ-მოქმედების განსაკუთრებულის თვისებისაგან წარმოსდგება ორი არსებითი და აუცილებელი თვისება საადგილ-მამულო კრედიტისაცა: ერთი თვისება ის არის, რომ კრედიტი ხანგრძლივი იყოს, და მეორე ისა, რომ კრედიტს პასუხი გაეცეს ერთხანად და ერთბამად კი არა, არამედ თანდათანობით, ყოველ-წლიურის შემოსატანით ნამეტანისაგან შემოსავლისა.

აშკარაა, რაკი საადგილ-მამულო კრედიტი უსათუოდ ხანგრძლივი უნდა იყოს, მისდა საიმედოდ იმისთანა ქონება უნდა იქმნას, რომელიც ხანგრძლივობას აიტანს, რომელიც დროთა განმავლობაში არა ფუჭდება, ფასს არ იკლებს. ამისთანა ქონება მარტო მიწაა და ეგ მიწაა ერთად-ერთი ქონება მიწათ-მოქმედებისა, რომლითაც იგი მოიპოვებს ხოლმე კრედიტსა, ნდობას, იმიტომ რომ თითონ მომქმედს, როგორც სიკვდილის შვილს, პირადად ხანგრძლივ 40 და 50 წელიწადს ვერვინ ენდობა, არც მის წარმოებას, რომელიც ერთბამად არ უბრუნებს დახარჯულს კაპიტალსა. ეხლა ვნახოთ, ეკონომიური ბუნება მიწისა რამოდენად ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობასა.

მიწა ჩვენშიაც, როგორც ყოველგან სხვაგან, უფრო მკვიდრი და მტკიცე თამასუქია, ვიდრე სხვა-გვარი ქონება, იმიტომ რომ საზოგადო წარმოების გამო მრავლდება ერი; ერის გამრავლებით მიწას მუშტარი ემატება, მაშინ როდესაც თითონ მიწა კი არც მატულობს, არც იზრდება, რაც ბუნებას გაუჩენია — მასზედ მეტი ვერ გახდება. მუშტარის მომატებას ამ შემთხვევაში მიწის ფასის აწევა მოსდევს და ამ სახით მიწა, დღეს გირაოდ მიღებული, შესაძლოა ათს და ოცს წელიწადს ერთი-ორად მეტის ფასისა გახდეს. ამაზედ თითონ ჩვენშიაც დარწმუნდებიან, ვისაც ახსოვს, რა ღირდა უწინ მიწა ჩვენში და რა ღირს დღეს. გარდა ამისა, არ არის ქვეყნიერობაზედ

სხვა-ჯკარი ქონება, რომ ორმოც და ორმოც-და-ათს წელიწადს გასძლოს მთლად, უვნებლად, დაუკლებლად, როგორც მიწა სძლებს. ამიტომაც მარტო ეგ-გვარი ქონება ხდის შესაძლოდ საადგილ-მამულო კრედიტის ხანგრძლივობას.

ამ სახით, საადგილ-მამულო კრედიტი არის იმისთანა კრედიტი, რომელიც 1) ხანგრძლივია, 2) ერთბამად არა თხოულობს კაპიტალის დაბრუნებას, არამედ აცლის, რომ კაცმა იმ წარმოების მიხედვით, რაზედაც მიჭცეულია კრედიტი, თანდათან და ნელ-ნელად გადიხადოს ყოველწლივ სამსახური კრედიტისა გაძლიერებულის შემოსავლისაგან და 3) რომელიც, თუ არ მიწის იმედით, სხვა არაფრით არ მოიპოვება და არაფერს ვერ მიენდობა.

ამ სამს პირობას გარეთ არ არის და ვერც იქნება საადგილ-მამულო კრედიტი, ამის მოცემის მეტი არა შეუძლიან რა. ამაზედ მეტს ვინცა სთხოვს საადგილ-მამულო კრედიტს, იმას კრედიტის სუნიც არ მისდენია, და თუ მაინც თავისი დაუჟინია, თავის-თავსვე დააბრალოს, რომ ჯვართუცვია თავი ტყუილად და უბრალოდ.

თუ ეს არსებითნი პირობანი საადგილ-მამულო კრედიტისა არ არის შეტანილი ჩვენის ბანკების წესდებაში, მაშინ რომ იმისათვის ჯვარცმულ ყოფილიყო ვინმე, მშვენიერს გვირგვინს წამებისას ჩვენც ქებითა და დიდებით დავადგამდით, თუ არა და მუხას მისდგომიან, ვაშლი რატომ არ გასხიაო. იმიტომ, ბატონებო, რომ ყველას თავისი ბუნება აქვს და თავის ბუნების მიხედვით მოქმედობს.

დაუჟინიათ, ბანკებია მიზეზი, რომ ჩვენი მამულები ისყიდებაო და ერთი ყოფა და ამბავი გააქვთ, — გამოცანა ჩვენ გვერგებაო. ერთი გკითხავთ: სად იყო ბანკები, რომ მთელი ტფილისი ამ საუკუნის დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოც-და-ათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა! იცით ვისი იყო სეიდაბათიდამ დაწყებული ვერამდის მთელი ქალაქი 1805 წ-დე? სუმბათაანთი, მელიქიანთი, მუხრანიანთი, ციციაანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი; და იცით ვისი შეიქმნა 1840-მდე, სულ 35 წელი-

წადში? სად იყო მაშინ ბანკები! მაგაების მყვირალთ ის საქმე დაემართათ, რაც განსამართლების წესდების ძოწინააღმდეგებს მოუვიდათ რუსეთში. ახალის წესდების შემოღებისვე უმალ დაიყვირეს: აკი ვამბობდითო, ავკაცობა გამრავლდაო ახალის წესდებისაგან! გამრავლდა კი არა, რაც ავკაცობა იყო უწინ, კანცელარიებში იმალებოდა და ეხლა კი საქვეყნოდა ცხადდება. იმიტომ ცოტაც ბევრი ეჩვენებოდათ, რადგან დღე-ყოველ გაზეთებში კითხულობდნენ. სწორედ ესე მოსდით ბანკების თაობაზედ მყვირალთაც. მინამ ბანკები არ იყვნენ, ვინ იცოდა სად რა მამულებსა ჰყიდდენ, ეხლა კი, რადგანაც ეგ კანტიკუნტად გაყიდვა საქვეყნოდა ხდება, სათვალავში უფრო კარგად მოდის და ვისაც ხალისი აქვს ყვირილისა, ყვირის, ეს ასეაო.

ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და უმორჩილესად ვთხოვთ „შრომის“ ჯვარცმულს მშრომლებსა, ერთი გვითხრან და გვასწავლონ: რა წესი უნდა შევიტანოთ წესდებაში, რომ ყველა მსესხებელმა ფული მამულს მოახმაროს და რა კანონი დავდვათ, რომ საადგილ-მამულო კრედიტიც გვქონდეს და მამულებიც არავის გაეყიდოს, ან თუ გაეყიდოს, გარეშე კაცთა ხელში არ გადავიდეს. თუ ვინმე ამისთანა სასწაულს მოგვიხდენს, ჩვენ დიდის სიამოვნებით თავს მძიმედ დავუკრავთ.

პირველი — კრედიტს იმოდენად მოეთხოვება, რამოდენადაც, როგორც ზემოთა ვსთქვით, მუხას ვაშლი, და მეორე-კი — თითონ კრედიტს ძირს მოუოხრის და იმ ექიმს ეგვანება, რომელმაც ცოცხალს კაცს თავი მოსჭრა, თავი აღარ ეტკინებაო.

XXI

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, თებერვალი.

შორიდამ თითქო ვართ რანიმე. — მცირე ნუგეში. — ორი ნაკლი.— ჩვენი გულგრილობა. — საიდამ დაგვჩემდა. — უწინდელი ძალ-ღონე.— ახალი სენია. — ადვილი მისახვდომია. — ორ-პირი მაგალითი. — ჩვენი უღონობა. — რათ ვიქელებით. — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. — მისი ყოფა. — გარეული და შინაური.

შორიდამ რომ შემოგვხედოს უცხო კაცმა და შენიშნოს, რომ ჩვენ თავად-აზნაურთა საზოგადოებაცა გვყავს ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაც, ქართული დრამატიული საზოგადოებაც, საკუთარი საადგილ-მამულო ბანკებიც, გაზეთებიც და ჟურნალებიც, მწერალნიცა და მკითხველებიცა, — ყოველივე ეს რომ შენიშნოს, იფიქრებს, ამ საქართველოს ერს არა უჭირსაო, ცნობიერს ცხოვრებაში წილი ჩაუდვია, სიკეთის და განვითარების გზაზედ ფეხი მკვიდრად მოუკიდებიაო. რასაკვირველია, ცოდვა იქნება ვსთქვათ, რომ ყოველივე ესე მცირეოდენად მაინც სანუგეშოდ არ მიაჩნდეს იმას, ვისაც ჩვენის ერისა და ქვეყნისათვის გული შესტკივა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ყოველს ამას საძირკველი და ნიადაგი რომ შინაურულად გავუსინჯოთ, დავრწმუნდებით, რომ რაღაც აკლიათ, არიან და აღარც არიან. ერთი უდიდესი ნაკლი იმისთანა თვისებისაა, რომ სხვაზედ არის დამოკიდებული და არა ჩვენზედ. ბევრიც რომ თავი კედელს ვახალოთ, ამას ჩვენგან საშველი არა აქვს რა, თუ საერთოდ ყველას არ ეშველება. მეორე უდიდესი ნაკლი კი ჩვენ ხელთ არის, ჩვენის მიზეზით

არის, თუმცა იდუმალი კავშირი კი აქვს პირველ დიდ ნაკლთან. ეგ მეორე ნაკლი ჩვენი გულგრილობაა ყოველს მასზედ, რაც პირდაპირ ჩვენ არ შეგვეხება, რასაც კი საერთო, საყოველთაო ფერი ადევს.

საიდამ დაგვჩემდა ეს საუბედურო თვისება? რამ გადაარჩვია ჩვენი ჭკუა, გონება, გული, საყოველთაო საქმეს? რამ დაგვიბა თვალი და ყური მარტო მასზედ, რასაც „ჩემობის“ ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“? ჩვენს ისტორიას რომ შევხედოთ, მაგის მიზეზს ვერ ვიპოვით. ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ. ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ეროვნული სიმტკიცე და დაურღვევლობა მარტო იმაში იყო, რომ ყოველს ჩვენგანს ჯერ „ჩვენ“ ჰქონდა სახეში და მერე „მე“. უამისოდ, აკი ვამბობთ, ჩვენი ცხოვრება ერთს წუთსავე მოისპობოდა. ეს კარგად იცოდნენ ჩვენთა წინაპართა და ამიტომაც საცა და როცა მძლავრი „ჩვენ“ წამოდგებოდა ხოლმე, მაშინ ყოველი კაცი თავის საკუთარს „მეს“ უკან დააყენებდა.

ამით უფროა საკვირველი, საიდამ შემოგვეპარა, საიდამ შემოგვეჭვია და როგორ დაიჭირა დღეს უგემურმა „მე“-მ იმის ადგილი, საცა ამოდენა ხანს მბრძანებლობდა მარტო „ჩვენ“ ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ? რამ წაგვახდინა ესე? ეგ სენი ახალი სენია და საიდამ არის მოსული, ვისგან დანერგილია — ეგ ადვილი მისახვდომია: იმისგან, ვისაც უძლური „მე“ უფრო უხდება, ვიდრე ძლიერი და ძალ-გულოვანი „ჩვენ“.

ასეა თუ არა, ჩვენ კი, როგორც მემატიანე ჩვენის შინაურის ცხოვრებისა, შევნიშნავთ, რომ დღეს ყოველს ჩვენს საზოგადო საქმეს ხელს უცრის, სწყლავს, ათახსირებს, გზაკვალს ურევს და სულს ართმევს ჩვენი გულგრილობა, ჩვენი მომაკვდინებელი მოძღვრება თვითოეულისა ცალკედ: თუ მე არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო.

თუ ზემოხსენებულნი საზოგადოებანი იმით სანუგეშონ

არიან, რომ მაგალითს წარმოგვიდგენენ, რომელშიაც ცხოვლად ჩანს ჩვენის ერის სურვილი ხელახლად „ჩვენობას“ ფეხი აადგმევინოს და კუთვნილი ადგილი მოუპოვოს ჩვენს ცხოვრებაში, იმის მინუშიც არიან, თუ რამოდენად ძლიერია დღეს ჩვენში თვითეულობა, განცალკევება, განზედ დგომა და საკუთარი „მე“.

თვითოეული ის საზოგადოება, თუ გაზეთი, თუ ჟურნალი, ორიოდე კაცის მხნეობით, ხარჯით, ოფლით და ღვაწლით თუ სულდგმულობენ, თორემ სხვა შემწე და მშველელი არსაიდამ ჰყავთ. ყველა სხვა გულაყრილია, თითქო ამ ერისა, ამ ქვეყნისა არ იყოს. ეს ამბავი იმოდენად უღონოდა ხდის ყოველს ჩვენს საზოგადო დაწყობილებას, რომ დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავს დაუსჯელად, და იმიტომა ჰქელავს, — რომ ქომაგად და მოსარჩლედ მარტო ორიოდე კაცია და არა მთელი ერი, მთელი საზოგადოება ერთად. ხმის აძომღები არავინ არის.

აი, თუნდა ავიღოთ მაგალითად „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. დამტკიცებული წესდება აქვს, მთავრობისაგან მინიჭებული აქვს ზოგიერთი უფლება, მაგალითებრ — იქონიოს თავისი სკოლები, იმ სკოლებში მთელი სწავლება მოაწყოს დედა-ენის შემწეობით, მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს თავის განკარგულების ქვეშ სოფლის სკოლები, რომელსაც თითონ სოფლის საზოგადოება თავისის ყრილობის განაჩენით მას მიანდობს. ყოველივე ეს უფლება მინიჭებული აქვს უმაღლესის მთავრობისაგან და, წარმოიდგინეთ, ერთი სკოლა კანონის ნებადართვით დღეისამდე არსად არ გაუმართავს, ბათომის გარდა. ეს სამწუხარო ამბავი განა იმ მიზეზით არის, რომ თითონ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ზარმაცობდეს, არამედ იმ მიზეზით, რომ მთელის ორის და სამის წლობით დადის სკოლის გახსნის თაობაზედ წარდგენილი ქაღალდი ერთის სამწერლოდამ მეორეში და ამ სიარულს ბოლო არა აქვს.

ჯერ აქამომდე ბ-ნი გუბერნატორი საზოგადოებისაგან წარდგენილს სოფლის განაჩენს სკოლის გამართვის თაობაზედ

ამტკიცებდა. ორი ამისთანა განაჩენი უკვე დამტკიცდა. მაგრამ რა? ახლა სხვა მხრივ გამოუჩნდა საზოგადოებას დაბრკოლება და არც ერთი სკოლა, იმ განაჩენებში მოხსენებული, დღესაც კანონიერად ნებადართული არ არის, თუმცა ერთი მათგანი კი არსებობს. ამაზედ გამართულს მიწერ-მოწერას ბოლო არ მოეღო და მოეღება შემდეგშიაც თუ არა, ეგეც არ ვიცით. ამ დაგვიანებას კიდევ, როგორც იქნება, გავუძლებდით, იმიტომ, პირველი, რომ ჩვეულნი ვართ და მეორე იმიტომ — რომ ვიცით, ჯერ სამწერლოებში რკინის გზები არ არის დამართული ფეხაჩქარებით სიარულისათვის. ჭირი ეს არის, რომ ბ-ნი გუბერნატორი უწინდელებ აღარ ამტკიცებს სოფლის ყრილობის განაჩენებს, ვიდრე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სხვა გზით ნებართვას არ აიღებსო სკოლის გამართვის თაობაზედაო. მაგრამ ამ გზის გავლა საზოგადოებას გაუძნელდა და დღეს ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე ამ სანატრელს და ბედნიერს ყოფაშია სკოლების გამართვის შესახებ. ვინ არის პატრონი? ვინ არის ხმის ამომღები?

ამბობენ, თ. დონდუკოვს ელიანო, რომ ეს ამბავი დაწვრილებით აცნობონო, და იმედს ნუ დავკარგავთ, რომ მაშინ მაინც იქნება ეშველოს ჩვენის საზოგადოების საქმეს.

ყოველი ეს დიაღ საგულისხმოა და თუმცა სატკენია, მაგრამ საწყენი კი არ არის. რა ვუყოთ? ჩვენმა ბედმა ეგრე გასჯრა. ამ შემთხვევაში ერთი ზღაპარი მოგვაგონდა დედინაცვალჯედ. მაგრამ მეტად გრძელია და იმის ამბავი შორს წავა.

XXII

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, აპრილი.

წლევანდელი საზოგადო კრება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა. — კამათობის საგანი. — ანგარიში ბანკისა 1882 წლისა. — შენიშვნა კრების წევრისა. — რევიზია. — კამისია კამიტეტისა თუ ცალკე. — განაჩენი. — კანდიდატურა ერთისა. — ჰორის შედეგი. — უცოდინარობა. — მნიშვნელობა კრებისა. — ცოდნა უნდა. — ორში ერთი. — ჩვენი რწმენა და იარაღი. — ამაოდ ხსენება ახალ-თაობის სახელისა. — ახალი განკარგულება მიწათ-მფლობელთა კრედიტის შესახებ. — ძველის რედაქტორის გამოთხოვების გამო.

წლევანდელი კრება ბანკისა მეტად ღირს-საცნობი კრება იყო. აქამომდე ჩვენი კრება ბანკისა თუ აშფოთდებოდა და აიმღვრევოდა რაზედმე, მიზეზი მარტო არჩევანი იყო ხოლმე. სხვაზედ კი, მაგალითებრ — თითონ ბანკის საქმეთა მიმდინარეობის ავ-კარგიანობაზედ, თითქმის ხმასაც არ იღებდნენ. ამ მხრით, ბანკის კრება უჩუმრად და მშვიდობიანად ჩაივლიდა ხოლმე. წელს კი კრებამ თითონ ბანკის საქმეებს მიაქცია ყურადღება, სალაპარაკო საგნად იგი საქმეები გახადა და, კარგად თუ ავად, გულმოდგინედ მოეჭიდა თითონ საქმის ვითარებასა.

კამათობის საგნად შეიქმნა შარშანდელის წლის ანგარიში. თუმცა ამ საგანზედ ბევრი რამ ითქვა ბევრთაგან, მაგრამ ყოველის თქმულის მოხსენება აქ მეტია, იმიტომ რომ ის თქმული თითონ კრებისათვისაც მეტი იყო და რო არ თქმულიყო, უფრო სამჯობინარი იქნებოდა. ჩვენ ვეცდებით, რამოდენადაც

შევიძლებთ, აქ მოვიხსენიოთ მარტო უმთავრესი მდინარეობა აზრისა და საუბარისა იმისთანა საგანზედ, რომელნიც ყურადღების ღირსნი არიან. სხვას კი, ესე იგი წარამარა ლაპარაკს, თავს დავანებებთ, რადგანაც ძნელია ამ-გვარ ლაპარაკიდამ კაცმა საყურადღებო რამ გამოსწუროს.

კრებას მოხსენდა ანგარიში 1882 წლისა. ამასთანავე მოხსენდა ზედამხედველის კამიტეტის განაჩენი, რომელშიაც ეწერა, რომ კამიტეტმა ეს ანგარიში განიხილა, ყოველიფერი შეამოწმა, ყოველი ქონება ბანკისა ნახა მთლად და ჯეროვანად შენახული და ამიტომაც წესდების 86 მუხლის ძალით დაამტკიცა და საცნობელად წარუდგინა კრებასა. კრებამ, კარგა ხნის ბაასის შემდეგ მასზედ — თუ ვის ეკუთვნის ანგარიშის დამტკიცება, კამიტეტს თუ კრებას, — გადასწყვიტა: მიიღოს საცნობელად 1882 წლის ბანკის ანგარიში, შემოწმებული და დამტკიცებული ზედამხედველის კამიტეტისაგან. ამ განაჩენამდე და მას შემდეგაც ერთი დიდი კამათობა ასტყდა. რაკი მოხსენდა კრებას ანგარიში 1882 წლისა, ერთმა წევრმა კრებისამ შეჰნიშნა ბანკის მოქმედებას სამი ნაკლულევანება. პირველი ნაკლულევანება, ორატორის სიტყვით, ის იყო, რომ ბანკს დარჩენია ოთხი ქალაქის მამული, რადგანაც ძვირად მიუღია გირაოდ და იმ ფასად ვეღარ გაუყიდნია. ამ სახლების გამო ბანკი ზარალს მოელოდებაო 17.000 მანეთს და ზარალის დასაფარავად ეგ ფული 1882 წლის მოგებიდამ გადუდვიაო. მეორე ნაკლულევანება ის იყო, ორატორის სიტყვით, რომ ბანკის მმართველობას სოფლის მამულები ჭეტად იეფად უფასებიაო. რათ უფოლებიათ ჩვენი მამულებიო? ფასი კი სწორედ გამოიყვანონო ღირებულებისამებრ და თუ უნდათ სესხი ნაკლები მისცენო. მესამე ნაკლულევანება ის იყო, ორატორის სიტყვით, რომ ჩვენის გირავნობის ფურცლების ფასმა ძალიან დაიწიაო და ამისი მიზეზი იქნება თითონ ბანკის მოქმედება იყოსო. ესე ყოველი იმისთანა მძიმე საგნებიაო, რომ რევიზია დაენიშნოთ გამოსაძიებლად ყოველ ამისა, ძალიან კარგი იქნებაო და თითონ რევიზია მივანდოთ კამისიასაო. მმართველობა და ზედამხედველი კამიტეტი თანახმა იყო რევიზიისა. შედგა განაჩენი

მასზედ — თუ რა და რა საგანი მიენდოს კამისიას გამოსაძიებლად. ხოლო როცა საქმე მივარდა მასზედ, თუ რა გვარს კამისიას მიენდოს ეს გამოსაძიებელი საქმე, მაშინ ასტყდა გაცხარებული ბაასი. კრების წევრი იძახდა, ცალკე კამისია უნდა ავირჩიოთო, მმართველობა ბანკისა და ზედამხედველი კამიტეტი ამბობდენ, რომ ცალკე კამისია არ ეშესაბამება არც საქმის ვითარებასა, არც წესდებასა. თითონ ზედამხედველს კამიტეტს აქვს მინიჭებული კანონით რევიზიის მოხდენის უფლება და არა ერთხელაც მოუხდენიათ რევიზია. თუ ეხლა კიდევ საჭიროდ ხედავთ რევიზიას, ცალკე კამისიის არჩევა რად გინდათო, ორში ერთი, ან კამიტეტს ენდობით, ან არ ენდობითო. თუ ენდობით, თითონ კამიტეტს მიანდეთ გამოიძიოსო ყოველივე ის, რის სურვილიცა გაქვთ, და თუ არ ენდობით, ეგ სხვა არისო, კამიტეტი სამსახურიდამ უნდა გადადგესო. მოპირდაპირეთ ბევრი სთქვეს, — თქვენზედ ეჭვი არავის გულშიაც არ გაუტარებიაო, და თუ ვითხოვთ ცალკე კამისიას, იმიტომაო, რომ ეგრე მკაცრად კრებისაგან ბანკის საქმეების გაჩხრეკა ჩვენის ბანკის სახელს და კრედიტს გააძლიერებსო. ამის წინააღმდეგ უთხრეს, რომ საზოგადო კრება უმთავრესი ორღანოა ბანკის მმართველობისაო, იგია უმთავრესი მცველი იმ წესისა და კანონისაო, რომელზედაც დამყარებულია კრედიტიო. ცალკე კამისიის არჩევა, მაშინ როდესაც კანონით დაწესებული კამისია, ზედამხედველის კამიტეტის სახელით, უკვე არსებობს, კანონის დარღვევა იქნება და მაგას ეგ უმთავრესი ორღანო ბანკის მმართველობისა ნუ ინდომებსო, თორემა ამით არამც თუ ჩვენის ბანკის საქმე გაკეთდება, არამედ წახდებაო. ვიდრე ზედამხედველი კამიტეტი არსებობს და გადაყენებული არ არის, რევიზიის უფლება მას ეკუთვნის და ყოველი ცალკე კამისია მის უფლების დარღვევად ჩაითვლებაო. მოითხოვეს კენჭი. ცალკე კამისიის მომხრეთ სთქვეს, რომ კენჭი რა საჭიროა, საქმე უკვე გადაწყვეტილიაო და ხელმეორედ გადასაწყვეტად რათ გვიხდითო. ატყდა ეხლა ამაზედ ბაასი, გადაწყვეტილია თუ არაო. ზოგნი იძახდ-

ნენ, გადაწყვეტილია, ზოგნი ამბობდნენ, არაო. მოიტანეს კენჭის ყუთი. ერთ მხარეს დააწერეს ზედამხედველი კამიტეტი. მეორეს მხარეს ცალკე კამისია. აშკარაა, თუ კრებას ეს საქმე გადაწყვეტილად მიღებული ჰქონდა, კენჭის-ყრაში გამოცხადებოდა. 80 კენჭი ზედამხედველს კამიტეტს გამოუვიდა და 26 ცალკე კამისიას.

დიდი არეულობა მოახდინა ერთის კანდიდატურამ მმართველობის წევრობაზედ. აღმოჩნდა, რომ შარშანდელს კრებას იგი ამოერჩია შეცდომით წევრად ზედამხედველის კამიტეტისა; შეცდომით, ვამბობთ, იმიტომ რომ იგი ბანკის წევრად არ არის დღეს-აქამომდე შერიცხული და კანონით, თუ არ ბანკის წევრს, სხვას არ შეუძლიან ბანკში რაიმე თანამდებობაზედ ამორჩეულ იქმნას. ერთმა წევრმა მმართველობისამ სთქვა, რომ თუმცა, მართალია, იგი წევრი არ არის და კანონით მარტო ბანკის წევრს შეუძლიან კენჭი იყაროს, მაგრამ არის წინანდელთა კრებათაგან დადგენილი წესი, რომლის ძალითაც ყოველს თავადს თუ აზნაურს ტფილისის გუბერნიისას, რომელსაც კი სოფლის მამული აქვს, ნება აქვს **ყოველს ჟამს** გახდეს ბანკის წევრად. ამისათვის მარტო თხოვნა უნდა შეიტანოს ზედამხედველ კამიტეტში და წარადგინოს ფული, რამოდენსაც კამიტეტი შეაწერს მისგან განთავისუფლებულთა გლეხთა რიცხვთა მიხედვით, და თუ ყმები არა ჰყოლია, ქონებისა და შეძლებისამებრ. ამ წესით სწორედ წინადღეს მიღებულ იქმნა წევრად თ. ლევან ჩერქეზიშვილი. არ ვიცით, ზოგს რათ ეგონათ უკანონობად, რომ იგიც ამ წესით მიღებულ ყოფილიყო.

სხვა შესანიშნავი არა ყოფილა-რა წლევანდელ კრებაში. ჩვენც მარტო ამ ორ საგანს მივაქციეთ ყურადღება, იმიტომ რომ მარტო ამ ორმა საგანმა ააყაყანა ჩვენი საზოგადოება, როგორც კრების დროს, ისე კრების შემდეგაც. რასაკვირველია, როგორც რევიზიისა, ისეც შეცდომით კამიტეტში ამორჩეულ წევრის თაობაზედ, ბევრი სხვადასხვა ეპიზოდები მოხდა, ბევრი სხვადასხვა მართებული და უმართებულო სიტყვა ითქვა, მაგრამ ჩვენ ამაებს ყველას თავი დავანებეთ, რადგანაც

ყოველივე იგი არც თქმადა ღირს და არც სასმენლად. სხვამ რაც უნდა თქვას, ჩვენ კი ამას ვიტყვით, რომ კრების გონიერმა გადაწყვეტილებამ რევიზიის და ანგარიშის თაობაზედ ჩვენი ბანკი დიდ განსაცდელისაგან დაიხსნა. რომ ეს სიტყვა უსაბუთო არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ შემდეგს ამბავსა. 4-ს მაისს ბანკის მმართველობას მოუვიდა პეტერბურგიდამ შემდეგი ტელეგრამა: „დღეს იბეჭდება ცნობა, რომ თქვენმა კრებამ წლის ანგარიში უარჰყო და ცალკე სარევიზიო კამისია დანიშნა. მალე პასუხი. გირავნობის ფურცლების ფასმა დაიწია“.

ვიდრე ზედამხედველი კამიტეტი ამის პასუხს შეამზადებდა, მოვიდა მეორე ტელეგრამა: „პასუხის დაგვიანება გვაკვირვებს. ჩქარა პასუხი“. აბა, იფიქრეთ, რა საქმე დაემართებოდა ჩვენს ბანკს, რომ ეგ ჭორი გამართლებულიყო, ესე იგი ის, რომ მითამ კრებამ უარჰყო ბანკის ანგარიში და ცალკე სარევიზიო კამისია დანიშნა. ნუთუ რომელთაც ეს შეცდომა არ აქმნევინეს კრებას, გასაკიცხნი არიან? ნუთუ მართლა გრძნობა სიმართლისა, კეთილსინიდისიანობა, კეთილგონიერება იქამდის თვალაბმულია ჩვენში, რომ ჩვენი ავი და კარგი აღარ გაგვეგება? ნუთუ ეხლა ისევ ის რევიზია არ შეიძლება მოხდეს, რომელსაც თხოულობდნენ ზოგიერთნი? ხომ ნება აქვთ მიცემული კრებისაგან, მოიწვიონ რევიზიისათვის ვინც უნდათ. ვინ უშლით მოიწვიონ თითონ ისინი, ვისზედაც გული მიენდობათ ცალკე რევიზიის მომხრეთა, განსხვავება მარტო იმაშია, რომ ეხლა ყოველივე ეს კანონიერი და წესიერი იქნება და ცალკე კამისია კი უკანონო იქნებოდა. უკანონოდ ქცევას ამისთანა საქმეში, როგორც ბანკია, ის შედეგი მოსდევს, რაც ტელეგრამამ პეტერბურგიდამ გვაცნობა და ამაზედ უარესიცა. ბანკის სულთამდგმელი ბირჟაა. ბირჟა კიდევ მეტად ყურმახვილია და მგრძნობიერი, ამიტომაც უსაბუთოდ აპილპილება ბანკის მოქმედების თაობაზედ, უსაბუთოდ გაკენწლვა, წინდაუხედავად ლაპარაკი, თუ არ გვავნებს, არას გვარგებს, და იქნება ყოველ ამან, თუ არ დავიშალეთ, ეს ერთად-ერთი საქ-

მე, საცა ჩვენვე ვართ ჩვენივე პატრონები, ხელიდამ გამოგვაცალოს.

ჩვენდა საუბედუროდ, ამ კრებაში ერთმა დიდად დასაღონებელმა თვისებამ უადგილო თავმოწონებისამ, მეტიჩარობისამ და თავმოყვარეობისამ გამოიჩინა თავი. ყოველი, ვისაც კი ენის ძვრა შეუძლიან, ვალად ჰხადოდა თავის-თავს ეთქვა რამე ბანკის თაობაზედ. ის კი არ იცოდნენ, რომ ვისაც ბანკის საქმე არ ესმის, ის თუ არ წაახდენს საქმეს, სხვას არას გააკეთებს. აკი ვამბობთ, ერთი ალალ-ბედად წამოსროლილი სიტყვა უმეცრებისა, თუნდაც კარგის განზრახვითაც წარმომდინარი, ასეთს ხიფათს მოახვევს თავზედ ბანკსა, რომ მერე ძნელადღა ეშველოს. ბანკი, ნამეტნავად იმ საფუძველზედ ამოყვანილი, როგორც ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებია, მარტო ჩვენზედ კი არ არის დამოკიდებული. ათასი სხვადასხვა დამოკიდებულება აქვს იმისთანა გარემოებასთან და ხალხთან, რომელნიც არც ჩვენ ხელთ არიან, არც ჩვენ გვექვემდებარებიან. ის გარემოებანი და ის ხალხნი, მაგალითებრ — მსყიდველნი ჩვენის გირავნობის ფურცლებისა, მეტად მალე დაიტყობენ ხოლმე ყოველგვარს წინდაუხედავს სიტყვას და მოქმედებას ბანკის შესახებ. თუ ბანკი ამათს პატივს და ნდობას დაჰკარგავს, ფეხსაც ვეღარ გასძრავს, — ისე შეიკვრის და შედგება. ეს პატივი და ნდობა, სხვათა შორის, მთელს გამგეობაზედ არის დამყარებული. თუ უმთავრესმა ორღანომ ამ გამგეობისამ, როგორც, მაგალითებრ—საზოგადო კრებაა ბანკისა, ქვეყანას თავი უცოდინარად აჩვენა, თუ წარამარა ლაპარაკით სახელი გაითქვა, თუ შენიშვნა რომელსამე თავის ქვემდებარე ორღანოს ბანკის გამგეობისას საფუძვლიანი და საბუთიანი არ მისცა, თუ საგანს საბაასოს და საბჭოს ცნობიერად არ მოეკიდა, მაშინ ქვეყანამ, რომელზედაც დამოკიდებულია ბედი და უბედობა ბანკისა, რა უნდა თქვას? მარტო იმას იტყვის, რომ „მე ამისთანა წარამარად ჩხავანა საზოგადოებას ფულს ვერ ვანდობ“. გირავნობის ფურცელი რა არის? სხვა არაფერი, გარდა იმისა, რომ თამასუქია ბანკისა, ქვეყანაში გასული, ნაღდის ფულის საშოვრად. **ამა** ჩვენ თითონ ვიფიქროთ: რა ფასი უნდა ჰქონდეს

თამასუქს იმისთანა კაცისას, თუ საზოგადოებისას, რომელსაც თავ-ბედისა არა გაეგება-რა.

ეს კარგად უნდა ახსოვდეთ მათ, ვისაც ენა წინ უსწრობს ცოდნასა. ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ბანკის საქმე ისეთი დიდი და მძიმე რამ იყოს, რომ მარტო „რჩეულთა ამა ქვეყნისათა“ შეეძლოთ მისი შესწავლა და სხვას არავის. მაგ საქმეს ყველა ადვილად შეისწავლის, თუ მოინდომებს. ჩვენ მარტო ამის თქმა გვინდა, რომ ვისაც საქმეზედ ლაპარაკი სწყურს, ჯერ თითონ საქმე უნდა შეისწავლოს. აქ ცარიელი მჭევრმეტყველობა, თუნდა საქმის სიყვარულითაც ფრთაასხმული, არაფერში გამოსადეგია. მაგისთანა მჭევრმეტყველობა მარტო ყეფა იქნება და არა საბუთიანი სიტყვა, საქმის წამმართებელი და გამასწორებელი. ყეფა — როგორც მოგეხსენებათ — ვერაფერი მომწვევია და მომზიდველი კრედიტისა. ეგ კრედიტს ისე გააფრთხობს, როგორც მართალი ყეფა ფრთხილს და ყურაცქვეტილს ნადირსა.

ორში ერთი: ან ჩვენი ბანკები მავნებელნი არიან ჩვენთვის, ან მარგებელნი. თუ პირველია — უნდა გავაუქმოთ, და თუ მეორე — ყოველივე ჩვენი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ მის წარსამატებლად და წარსამართებლად. ჩვენის ფიქრით, ჩვენი ბანკები, რა მხრითაც უნდა გასინჯოთ, გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამაზედ ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკნია და აქ ამის განმეორება მეტი იქნება. თუ კოჭლობენ რაშიმე, ეგ თითონ ბანკების ბრალი არ არის ისე, როგორც წინდაუხედაობას და განუსჯელობას ჰგონია. უმთავრესი და არსებითი ნაკლულოვანება ბანკისა საზოგადოდ იმ საზოგადო სისტემის ბრალია, რომელიც აღიარებულია და რომელს გარეითაც არსებობა ბანკისა აკრძალულია. ამ საგანზედ სიტყვის გაბმა შეუძლებელია. ვტოვებთ ამას და კიდევ იმას მივუბრუნდებით, რომ ჩვენი გულითადი რწმენა ის არის, რომ ჩვენი ბანკები დიდად გამოსადეგნი არიან ჩვენის ქვეყნისათვის. ამისათვის არა ღონეს არ დავზოგავთ, რომ მათი კეთილდღეობა დავიცვათ და ყოველსავე იერიშს წინდაუხედაობისას, განუსჯელობისას წინ ფარ-ხმლით დავხვდეთ. რასაკვირველია, ჭორი

და ცილი — ეგ უკადრისი იარაღი სუსტისა და უკადრისის კაცის — ჩვენი იარაღი არ იქნება საომარს სარბიელზედ და არც უმართებულოდ ხსენება ჩვენის მოპირდაპირისა. ჩვენს თავს არ ვაკადრებთ, ადამიანის სინიდისი — ეგ უძვირფასესი ზნეობითი განძი ადამიანისა — საქანელად გავიხადოთ. ადამიანის განზრახვის შესაბღალვად იმისთანა საბუთს არ ვიხმარებთ, რომელშიაც იგულისხმება კარგიც და ავიც ადამიანის სურვილისა, და რომლის მარტო ავ მხარეს ჰკიდებს ხოლმე ხელს უძლურება და სიბრიყვე ადამიანის შესამწიკვლელად, მაშინ როდესაც საბუთში მეორე მხარეც არის, მაშინ როდესაც საბუთიდამ მეორე დასკვნის გამოყვანაც შეიძლება სასარგებლოდ ადამიანის განზრახვისა. ეს პირველი ანბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია ჩვენში, და ჩვენდა სამწუხაროდ — შერყეულია ახალ-თაობის სახელითა, ესე იგი იმ თაობის სახელითა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენის ზნეობის ამაღლების იმედი, ჩვენის განკარგების სასოება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ დანაშაულობაში ნამდვილი და ჭეშმარიტი ახალი თაობა არაფერს შუაშია, და მით უფრო ვწუხვართ, რომ მის წმინდა სახელს ასე ამაოდ და მოურიდებლად ამ უკადრის ქცევაში იხსენიებენ. შორს, შორს ახალ-თაობისაგან ის, ვინც ადამიანის პიროვნებას, ადამიანის სინიდისს ფეხ-ქვეშ სათელავ მჩვრადა ხდის. რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არ ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინიდისი, ყოფა-ცხოვრება, — უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებულ არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ და შევიწროებულ. რაც გინდა სთქვით, როგორც გინდა მოიქეცით, ოღონდ ახალ-თაობის წმინდა სახელს ნუ მოჰფენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს **სიტყვახა**, ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იმედია. ყველა ჩხავანა ახალ-თაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა. ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა ცოდნაა, მეცნიერებაა, ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაირბენს მარტო იმითი, რომ ბალღები ატყუოს, — ახალი თაობის კაცი

ვარო. ვინც ეგრე გულმოდგინედ ყვირის, ახალი კაცი ვარო, რატომ არა ვკითხულობთ, რით არის ახალი? ნუთუ მარტო იმითი, რომ სხვაზედ გვიან მოვიდა? რატომ არა ვკითხულობთ, რა მოიტანა ახალი? აბა კვალში ჩაუდექით ყოველ მყვირალს, ახალ-თაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვასა და მოქმედებაში ახალი რა არის, და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალის თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი. თითონაც რომ ჰკითხოთ, აბა, ახალო კაცო, ახალი რა მოიტანეო, დამიჯერეთ, ოფლში გასწურავთ მაგ კითხვით და ძნელ საქმეს დააყენებთ. ახალი კაცი ძლიერია თავისის აზრით, მსჯელობით, ცოდნით. იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა-და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით და ფიცით, ღმერთმანი, ახალი კაცი ვარო.

ვისაც დაუკარგავს თავისის თავის პატივი და, მაშასადამე, სხვისაც, — უკადრისობა იმისათვის უცილო იარაღად დაგვითმია. დეე იმან ამ გზაზედ და ამ იარაღით იჩრძოლოს. დრო, კეთილ-გონიერება და თითონ ახალი თაობა თავის უტყუარს განაჩენს თავის დროზედ იტყვის.

სიტყვამ მოიტანა და ჩვენის შინაურის მიმოხილვის საგანს გადავცდით. ჩვენ, სხვათა შორის, დღეს ერთი ფრიად შესანიშნავი და საყურადღებო ამბავი გვსურდა გვეცნობებინა ჩვენის მკითხველისათვის. ამ ბოლოს დროს რუსეთის გაზეთებმა მოიტანეს ამბავი, რომ სახელმწიფო ბანკმა დააწესა ახალი წესიო, რომლის ძალითაც მიწათ-მფლობელთ უთავდებო ვექსილით კრედიტი უნდა გაეხსნასო სახელმწიფო ბანკსა და მის განყოფილებაში. აი ის წესები: 1) სახელმწიფო ბანკსა, მის კანტორებს და განყოფილებათ ეძლევათ ნება ფული ასესხონ ზომიერის სარგებლით მიწათ-მფლობელებს ეგრეთ-წოდებულ სოლო-ვექსილის ჩამორთმევით, ესე იგი იმისთანა ვექსილით, რომელზედაც მარტო მსესხებელსა აქვს ხელი მოწერილი. ვადა სესხისა 9 თვეა დადებული. სესხის დაბრუნების საიმედოდ მსესხებლის მამულს დაედება ყადაღა * იმ ზომისა, რა ზომი-

* Запрещение.

საც დანიშნული იქნება კრედიტი. 2) რომ ხელი მოუმართონ სახელმწიფო ბანკს, მის კანტორებს და განყოფილებათ მასში — თუ ვის რამოდენა კრედიტი დაენიშნოს, მოწვეულ იქნებიან ოთხი კაცი მამულის პატრონთაგანი, რომელნიც ყველასაგან სანდონი არიან და რომელთაც კარგად იციან გუბერნიის სამეურნეო მდგომარეობა. ეს ოთხი კაცი მოწვეულ იქნებიან მარშლების და „ზემსკის უპრავის“ თავმჯდომარის თანხმობითა და ფინანსთა მინისტრის დამტკიცების შემდეგ. 3) თუ ვადაზედ ვალს არ გადიხდის მსესხებელი მემამულე, სახელმწიფო ბანკი და მის ქვემდებარე განწესებულებანი გადახდევინებისათვის მიჰმართვენ საზოგადო კანონებს, და ამასთან ყადაღას ქვეშ მოქცეულ მამულიდამ, როცა გასასყიდად ჩავარდება, ყველაზედ უწინარეს სახელმწიფო ბანკმა უნდა მიიღოს თავისი ფული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სხვის ყადაღაა უწინ დადებული და აგრეთვე თუ სახელმწიფო გადასახადია რამე მემამულეზედ. 4) ფინანსთა მინისტრის ნებაზედ არის მიგდებული, რომელს კანტორას და განყოფილებას სახელმწიფო ბანკისას მიანიჭოს ეგ უფლება, აგრეთვე დანიშნოს რაოდენობა სარგებლისა და ყოველ ამის თაობაზედ ცალკე ინსტრუქცია (სარისტა) მისცეს.

ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ამისთანა განკარგულება მთავრობისა დიდს შეღავათს და შემწეობას მისცემს მიწათმფლობელთა. პირველი — სახელმწიფო ბანკისაგან გახსნილი კრედიტი ძალიან იეფი იქნება; მეორე — რომ ის მძიმე და რთული ფორმალობა, რომელიც კანონმა მოახვია თავს საადგილ-მამულო ბანკსა და რომელიც ამოდენა ხარჯს, ტანტალს და წვალებას თხოულობს, როგორც ჩანს ზემო-მოყვანილიდამ, სახელმწიფო ბანკისათვის საჭირო არ იქნება; მესამე — თუმცა ცხრა თვე სესხის ვადისა მეურნეობის განკარგებისათვის მოკლე ხანია, მაგრამ რადგანაც მეურნეობას საზოგადოდ სახანგრძლიოდ განკარგების გარდა ყოველდღიურის მუშაობისათვისაც უჭირს ხოლმე ფული და საშოვარი არსად არის, — ეს ცხრა თვითაც ფულის შოვნა იეფის სარგებლით დიდი ხელის გამართვაა. ეს წესები რომ ეგრე გამართლებულიყო, რო-

გორც ზემო აღვწერეთ, მართლა-და დიდად სასარგებლო იქნებოდა ყველა სოფლის მამულის პატრონისათვის. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლოს დროს გაზეთებმა მოიტანეს ამბავი, რომ ამ შემთხვევაშიაც „ზალოგოვის“ მოწმობის წარდგენა საჭიროდ დაუნახავთ. სჩანს ამ საკეთილო საქმესაც ზედ დაჰრთვია ისევ ის მძიმე და რთული ფორმალობა, რომელიც ასე აბრკოლებს საადგილ-მამულო ბანკებიდამ ადვილად ფულის გამოტანას.

ესეა თუ ისე, მაინც-და-მაინც ფრიად საყურადღებო საგანია ეს ახალი ამბავი. რომ შინაგანი ვითარება შევუტყოთ ამ ახალს განკარგულებას, ჩვენ მცირეოდნად შევეხებით აქამდის ყოფილს საფინანსო პოლიტიკას. თითქმის დღეს-აქამომდე საფინანსო პოლიტიკა რუსეთისა იმაზედ იყო განსაკუთრებით მიქცეული, რომ ვაჭრობას ყოველგვარი ღონისძიება მიეცეს ფეხზედ მკვიდრად დადგომისა და განვითარებისა. მიწათ-მფლობელობა, მიწათ-მოქმედება, ამ მხრით სრულიად უნუგეშოდ დარჩენილი იყო. შორს რომ არ წავიდეთ, მაგალითისათვის საკმაოა მარტო ის მოვიხსენიოთ, რომ სახელმწიფო ბანკს ნება არა ჰქონდა კრედიტი გაეხსნა ვისთვისმე. თუ არ ვაჭარ-კაცისათვის. სხვა ყოველი არა-ვაჭარი მოკლებული იყო სახელმწიფო ბანკის შემწეობას. ეს შეცდომა, რომელმაც ამ ბოლოს დროს ისე თავი იჩინა რუსეთში მით, რომ სოფლის მეურნეობა დაუძლურდა, ეხლა იგრძნეს და ამიტომაც სახელმწიფო ბანკის შემწეობა გაავრცელეს მიწათ-მფლობელებზედაც, რომელთ შორისაც იგულისხმებიან მარტო სოფელში მწარმოებელნი და სოფლის მემამულენი.

ვშიშობთ, ვაი თუ ეს ფრიად სახეირო განკარგულება მთავრობისა ჩვენთვის, ამიერ-კავკასიელებისათვის, უქმად არ დარჩეს. იქნება ფინანსთა მინისტრს არც კი მოაგონდეს აქაურობა და აქაურს განყოფილებას სახელმწიფო ბანკისას არ მიანიჭოს ზემოხსენებული უფლება. ჩვენმა გუბერნიის მარშალმა რომ ამისათვის საგანგებო კრება მოახდინოს თავად-აზნაურობისა და ამ კრების გადაწყვეტილობის ძალით სთხოვოს მთავარმმართებელს, გვიშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრთან, რათა

აქაურს სახელმწიფო ბანკსაც მიენიჭოს ეგ უფლება, არამც თუ ძალიან კარგი იქნება, არამედ ძალიან საჭიროცა. იმედი გვაქვს, თითონ თავად-აზნაურობა თავისის უეზდის მარშლების თაოსნობით მოითხოვს გუბერნიის მარშლისაგან, რომ ამ საქმის შესახებ საგანგებო კრება მოახდინოს.

* *

8 მაისს ჩვენმა საზოგადოებამ ერთს თავმოსაწონებელს საქმეში კვლავ იჩინა თავი. ძველმა რედაქტორმა „დროებისამ“ თავი დაანება, ავადმყოფობის გამო, რედაქციას. საზოგადოებამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, იმ ნაწილმა საზოგადოებისამ, რომელსაც განუწყვეტლად გული შესტკივოდა და შესტკივა ჩვენის ლიტერატურისათვის, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა რა წვალება გამოიარა ბ-ნმა მესხმა ამ თოთხმეტს წელიწადში, პატივი სცა ბ-ნს მესხსა და სადილი გაუმართა ნიშნად მადლობისა და პატივისცემისა. ჩვენ ამისთანა ამბავი, ამისთანა პატივისცემა საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეთა მიმართ ყოველთვის დიდ ნუგეშად და დიდ ამბად მიგვაჩნია. ამისთანა ამბავი, ესეთი გულწრფელი მადლიერობა კაცისა, რომელმაც თავისი ძალ-ღონე და სიმრთელე შეალია, შეაკლა საზოგადო საქმეს, ცხადად გვიმტკიცებს, რომ უმადურობა ჩვენი თვისება არ არის, რომ ჩვენც ვიცით პირუთვნელად მადლობის გადახდა საზოგადო ასპარეზზედ მუშაკობისათვის. ზოგიერთთა სიტყვაში წარმოთქმულ იყო სადილზედ, რომ ბ-ნს მესხს თუმცა თვალსაჩინო არა დაუწერია-რაო, მაგრამ... და სხვანი. ჩვენის ფიქრით აქ ეგ „თუმცა“ უადგილო იყო. საკმაოა კაცმა იცოდეს, რომ მთელი თოთხმეტი წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობით და ათასნაირ დამაბრკოლებელ გარემოებით თითქმის ერთმა კაცმა ატარა თავის მხრებზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა. საკმაოა კაცმა იცოდეს ეს და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბ-ნი მესხი ღირსად იცნონ იმ პატივისცემისა, რაც საზოგადოებამ აკუთვნა. ნუთუ თოთხმეტის წლის რედაქტორობა ყოველ-გვარის „შავბედითის“ გარემოებით გარს მოხვეული,

თვალსაჩინო საქმე არ არის ყველგან და ნამეტნავად ჩვენში? ბ-ნმა მესხმა გაუძლო ყოველ ამას და რომ ჯანის სიმრთელეს არ ემტყუნა, კიდევაც არ ჩამოეცლებოდა ამ მძიმესა და უმადლო საქმესა, როგორიც რედაქტორობაა ჩვენში. არ ჩამოეცლებოდა იმიტომ, რომ გამოცემა გაზეთისა ჩვენში თუმცა წვალებაა და ტანჯვა, მაგრამ აუცილებელი საჭიროებაც ჰრის ქვეყნისათვის.

ჩვენ მარტო ამასა ვწუხვართ, რომ ბ-ნი მესხი ისე არ მოექცა წინანდელ მომქმედთა გაზეთის საქმეში და შემწეობა, როგორც მოექცა მას საზოგადოება. ბ-ნ მესხის გამოთხოვების წერილში არ იყვნენ სხვათა შორის მოხსენებულნი, ვითარცა გაზეთის პირვანდელნი მოღვაწენი, ბ-ნი ნიკოლაძე, ბ-ნი გ. წერეთელი, დ. მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ გაზეთის საქმეში. არა მცირედ ვწუხვართ იმაზედაც, რომ ბ-ნ მესხის წერილში არ იყო სრულიად მოხსენებული ბ-ნ მელიქოვის სტამბა, რომელიც ამ თოთხმეტ წლიწადს სრულიად უსასყიდლოდ ჰბეჭდდა „დროებასა". ნუთუ ღვაწლი ზემოხსენებულთ პირთა ღირსი არ იყო ხსენებისა, როცა შემთხვევამ მოიტანა? ნუთუ შემწეობა ბ-ნ მელიქოვის მიერ მცირეოდენი სამსახურია საზოგადოების წინაშე, რომ ეგრე უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა?

XXIII

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, მაისი.

უცნაური დრო. — თუ ჰგონიათ. — ლიბერალობის ნიშნად. — გადასაღები ჰირი თუა. — მძიმე ზარბაზანი და უშველებელი ყუმბარა. — ჩუქურთმა «უფროა». — რა საბუთი. — სასწაულთ უარყოფა. — ერთგვარი ლოღიკა შორს მანძილზედ. — კაი პასუხი. — ვერაფერი ჰაშნიკი.—რომ ესიწვა. — როდისღა ბატონო. — ახირებულად ნააქბობი. — „მიაქუხას და მიაგვქას“ ამბავი. — ხან ასე და ხან ისეო. — მიზეზ-მიზეზ. — ხან ტყუილია, ხან მართალი. — ორში ერთი. — მოდით და აქ გაიგეთ რაჭე. — თხოვნა. — ათვალწუნებული ბანკები. — მინისტრთა კაპრიტეტის განაწენი.— სასტიკი კანონი, ქუთაისის ბანკზედ მიმართული. — ჰორა. — ბევრი და ცოტა რა შუაშია. — ქუთაისი და ოსტროგოქი. — ბანკისა რა ბრალია. — მეტის-მეტი ფასებიო. — პოლისი. — უმიზეზნო მიზეზნი. — იყავნ ნება ჩემიო.

ყველაფერი საოცარია ამ უცნაურს დროში, თითქო ყოველისფერი აირივ-დაირიაო და ლოღიკა სამარცხვინო დანაშაულობად გადაიქცაო. აქეთ მიიხედავ თუ იქით, შეჰნიშნავთ, რომ ზოგი კაცი კაცსა ჰაცხავს, ზოგი საზოგადო საქმეს საბელს უტეხავს, სძრახავს. და ყოველივე ეს მარტო ლიტონის სიტყვით, იმისთანა ფრაზებით, რომელთაც განსაკუთრებული, განსაზღვრული აზრი არა აქვს რა. არ ვიცით, ღმერთმან იცის, რას მივაწეროთ ამისთანა სამწუხარო და სავალალო ამბავი? ეს სენი ჰაერში ტრიალებს, თუ ქვეყანამ უკუღმა დაიწყო ტრიალი და ყველაფერი შესცვალა. თუ ჰგონიათ, რომ იგი, რაც არსებობს, უსათუოდ საკიცხავიაო. სად წავა? თუ ჰგონიათ კიდევ, რომ იგი, რაც არსებობს, თუ არ გავკიცხეო, ლიბერალად აღარავინ ჩამაგდებსო, სასაცილოა. არც ერთი და არც

მეორე იმისთანა სანუკბარნი არ არიან, რომ წაიცდინონ ადამიანის კეთილგონიერება და დამჯდარი ჰკუა. მაშ რათა სჭირს ეს ჭირი დიდსა და პატარას ეხლანდელ დროში? მაშ დიდსა თუ პატარას რათ დაუხვევია ხელზედ ლიტონი სიტყვა და მარჯვნივ და მარცხნივ თავისუფლად და რაღაც თავმოწონებით ისვრის. ჰკითხავ კაცს: კაცო, ეს რომ არ მოგწონს, ახლა შენი მოწონებული სთქვიო! ის პასუხის მაგიერ ან გეტყვის: მიყურე და მიცანიო, ან არა და ვილაც სვიმონაზედ ზღაპარს მოგიყვება. წადი და გამოიცან...

ეს ამისთანა ქცევა მიეტევება გამოუცდელს კაცს, მაგრამ კაცს ცხოვრებით და საქმით გამოცდილს-კი, რა მოგახსენოთ.

ჩვენში ლიბერალობის ნიშნად აღიარებულია ჩვენის საადგილ-მამულო ბანკების ყბად აღება. ლიბერალთა-ლიბერალმა თ. დავით ერისთავმა თავის სიცოცხლეში ამის მეტი კი არა აკეთა რა, და ბოლოს თავი შეაფარა „ოფიციალურ რედაქტორობას“ და აინუნშიაც არ მოსდის, რომ ესეთი საფარველი და ლიბერალობა შორი-შორს არის. ან რათ იტკენს უტკივარს თავსა? რაკი ბანკზედ გამოილაშქრებს ხოლმე თავისის მახვილის კალმით, ულიბერალობას ვინ შესწამებს, თუ არ უბირი და ცრუ-სამსონი. მას აქეთ, რაც მისმა ბანკის თავმჯდომარედ ყოფნის სურვილმა ფალია აიღო და ჩაილულის წყალი დალია, ეს სატკივარი დასჩემდა და ყოველს შემთხვევაში, როცა ბანკს ახსენებენ, ხელმეორედ შეაქცევს ხოლმე, თუნდ ცოტას ხნობით მორჩომილიც იყოს. ეგ სატკივარი გადასადები ჭირი ხომ არ არის, ნეტა ვიცოდეთ.

ამ ბოლო დროს ბ-ნმა დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანმაც გამოაჭანა თავისი მძიმე ზარბაზანი და ერთი მძიმე უშველებელი ყუმბარა უთავაზა ჩვენს ბანკსა. „მე არა თანავუგრძნობ ტფილისის თავად-აზნაურთა ბანკის ეხლანდელს მიმართულებასაო“. თ. დავით ერისთავიც მაგას ბრძანებს ხოლმე. „რატომ, ბატონო?“ ამიტომ — რომაო „მე მინდოდა ბანკის დაარსება მიწის-მფლობელთა და მიწის-მომქმედთათვის, და ეხლანდელი ბანკი კი ხელს უწყობს უფრო ქალაქის სახლების პატრონებსო“. ეს ხომ ლიტონი სიტყვაა. არ შეიძლება ბ-ნმა ყიფიანმა

გვიბრძანოს, რით უწყობს ხელსა ჩვენი ბანკი უფრო ქალაქის მამულების პატრონებსა? რომ ერთს უფრო ხელს უწყობდეს ბანკი და მეორეს არა, უსათუოდ ბანკის წესები პირველს უფრო უპირატესობას უნდა აძლევდეს და მეორეს არა. აბა ერთი გვიჩვენოს პატივცემულმა დიმიტრი ივანეს-ძემ, ქალაქის მამულების პატრონებს რა უპირატესობა მიუძღვით სოფლის მემამულეთა წინაშე? პირიქით, ბანკის წესები უპირატესობას სოფლის მამულებს აძლევს ბევრს შემთხვევაში. მაგალითებრ: დაფასებაში სოფლის მამული იხდის $^3/_4$ პროცენტს, ქალაქისა 1 პროცენტს; სოფლის მამულის ფასი უნდა შესდგეს წლიურის შემოსავლის ჯამისაგან, რომელიც თექვსმეტჯერ უნდა გამრავლდეს, ქალაქისა კი ათჯერ; თუმცა სოფლის მამულზედ დაფასებისა-გვარად ნახევარი ეძლევა და ქალაქისაზედ სამი მეხუთედი, მაგრამ სოფლის მამულს მაინც მეტი მოსდის. აი თუნდა მაგალითად ვსთქვათ, რომ სოფლის მამულს ათი თუმანი აქვს წლიური შემოსავალი და ქალაქისასაც. ქალაქის მამულს მიეცემა სესხი სამოცი თუმანი და სოფლისას კი ოთხმოცი; სოფლის მამულს $43^1/_2$ წლის ვადით ეძლევა სესხი და ქალაქისას კი მარტო $27^1/_2$ წლის ვადით და ამის გამო სოფლის მამული იხდის 8% ბანკის გადასახადს წელიწადში და ქალაქისა კი 9%. ამაზედ მეტი უპირატესობა არ შეიძლება მიეცეს სოფლის მამულს, ვიდრე საზოგადო სისტემა და ვითარება კრედიტისა არ შეიცვლება. ეგ ჩვენ ხელთ არ არის, და თუ ბატონი ყიფიანის ხელთ არის, უმორჩილესად ვთხოვთ, მოახდინოს, ჩვენ დიდის მადლობით მივიღებთ და დავემორჩილებით. თუ რამ უპირატესობა შესაძლოა, ყოველივე სოფლის მამულსა აქვს მინიჭებული, თუ ყოველივე მაინც არა, ზოგიერთი ხომ მაინც, და ქალაქისას კი არავითარი; მაშ რა საბუთი ჰქონდა ბ-ნს ყიფიანს, რომ ესეთი მიზეზი მოუპოვა თავის თანაუგრძნობლობას ბანკის მიმართ?

„მის (მითამ ბანკის) დამფუძნებელთ, ესე იგი თავად-აზნაურობას, კრედიტი გაძნელებული აქვს და მიწის მომქმედთათვის სრულიად დაკეტილია ბანკის კარებიო“, ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი. იქნება გაძნელებული იყოს, მაგრამ განა ეგ მარტო

თავად-აზნაურობისათვის არის და არა საყოველთაოდ, განურჩევლად? მაშ მარტო თავად-აზნაურობა აქ რა შუაშია და რა სიტყვის მასალაა? თუ ბანკის კრედიტი გაძნელებულია, ყველასათვის ერთნაირად არის და შემდეგშიაც იქნება, ვიდრე ჰიპოთეკას არ შემოიღებს კანონი და ვიდრე ეხლანდელი ფორმალური წესი საკუთრების უფლების დამტკიცებისათვის არ შეიცვლება და გაადვილდება. თუ ეს გარემოება, რომელიც აძნელებს კრედიტს, ყველასათვის განურჩევლად ერთნაირია, მაშ მარტო თავად-აზნაურობაზედ რათ გვითითებს ბ-ნი ყიფიანი? ეგ მითითება ყოვლად უსაბუთოა, თუ არა და ვეხოვთ წარმოადგინოს საბუთი, რომ ეგ სიძნელე მარტო თავად-აზნაურობისათვის არსებობს. თუ ამას ბრძანებს, რომ გაძნელებულია თავად-აზნაურობისათვის, იმიტომ რომ უფრო ბევრს შემთხვევაში თავად-აზნაურთ საკუთრების უფლება გარკვეული და დამტკიცებული არა აქვთ და ქალაქის მემამულეთ კი აქვთო, აქ ბანკი რა შუაშია? საქმე იმაშია, რომ განუსაზღვრელ და დაუმტკიცებელ უფლების ძალით არც მოქალაქეს ეძლევა კრედიტი და არც თავად-აზნაურსა. მაგრამ იქნება ბ-ნს ყიფიანს ეგონოს, რომ განუსაზღვრელს და დაუმტკიცებელს მამულზედ შეიძლება დამყარდეს საადგილ-მამულო კრედიტი, როგორც ერთს დროს ეგონა, რომ მაგისთანა კრედიტი შეიძლება აშენდეს მამულების გაუსყიდაობაზედ, — ეგ არ ვიცით. მაგისთანა სასწაულები ამ წყეულს მეცხრამეტე საუკუნეს არა სწამს.

„მიწის-მომქმედთათვის სრულიად დაკეტილია ბანკის კარებიო“, რომ ბრძანებს, სრულიად ამაოდ ბრძანებს. თუ ჩვენ არ გვიჯერებს, მიბრძანდეს, განიხილოს ბანკის საქმეები და იქ თვალ-და-თვალ გულს დააჯერებს, რომ არამც თუ დაკეტილია, ყოველთვის ღიაა; თავის თვალით დარწმუნდება, რომ რამდენიმე გლეხთა საზოგადოებამ ბანკის შემწეობით შეისყიდა მამულები, რამდენიმე გლეხი დღესაც ბანკის მოვალეა და სხვანი. იქნება ბრძანოს, ეგ ძალიან ცოტააო. ბანკისა რა ბრალია? საქმე ის არის, რომ აქ ხსენებული ფაქტი ამტკიცებს, რომ მიწათ-მომქმედთათვის კარი არამც თუ დაკეტილია,

ია არის. მაშ რა საბუთით ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი ეგრე გადაჭრით, რომ სრულიად დაკეტილიაო.

„რევიზიაში არაფერს მონაწილეობას არ მივიღებო, იმიტომ რომ ამ სამთა პირთა კამისიას ისე ვუყურებ, როგორც ფრაქციას (ნაწილს) იმავე ზედამხედველის კამიტეტისასაო". ჰერე ბა, რომ ასე უყურებთ? ეგ რა მიზეზია უარყოფისა? ამის პასუხი ბ-ნ ყიფიანს უბრძანებია „დროების" № 124-ში თავისის შინა-ყმის სიმონას პირით: „ეგ იმასა ნიშნავსო, რომ მეც მოვითხოვ ჩემგან ანგარიშსაო". სულაც არა. ზედამხედველი კამიტეტი ისეთი ორღანოა ბანკისა, რომელსაც არავითარი ძონაწილეობა არა აქვს არც ბანკის საქმეთა წარმოებაში, არც ბანკის ოპერაციაში. ერთშიაც და მეორეშიაც მარტო ბანკის გამგეობაა პასუხისმგებელი და სხვა არავინ. ზედამხედველს კამიტეტს მიანდეს, გამგეობის საქმეებს მოუხდინე რევიზიაო და არა შენს საკუთარს საქმეებსაო. აქ თავის-თავისაგან ანგარიშის მოთხოვნას რა ადგილი აქვს? ბ-ნ ყიფიანს თავისი მახვილი სიმონა რომ დაევალებინა, წადი, ხაბაზს ანგარიში მოსთხოვეო, ნუთუ ესეც თავის-თავისაგან ანგარიშის მოთხოვნას ეგვანებოდა, რადგანაც სიმონა მოურავი ყოფილა ბ-ნის ყიფიანისა.

ესეთი ლოღიკა რომ შორს მანძილზედ გავიყოლიოთ, იქამდინ მივალთ, რომ თითონ საზოგადო კრებისაგან დადგენილს კამისიასაც არ თანავუგრძნობდით, რადგანაც საზოგადო კრება და ზედამხედველი კამიტეტი ამ შემთხვევაში ერთსა და იმავე ლარზედ და ხაზზედ დგანან ბანკის გამგეობის წინაშე, და რაც ამ შემთხვევაში ზედამხედველს კამიტეტზედ ითქმის — ისევე საზოგადო კრებაზედ.

„მე ჩემს ღელში არ მჭონია ნიჭი ვისურვო წარმატება იმ პირთა და იმ დაწესებულებათათვის, რომელთაც არ თანავუგრძნობო", ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი. გვიკვირს ეს სიტყვა, იმიტომ კი არა, რომ ამაში დასაძრახისი რამ იყოს, არამედ იმიტომ, რომ მაგასა ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი. თითონ ხომ გვარწმუნებს, რომ ჩვენის ბანკის მიმართულებას არა თანავუგრძნობო და მიზეზიც მოჰყავს. — მაშ, რომ არა თანაუგრძნობს,

ეგ უცილობელ ფაქტად ავნუსხოთ. ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ: შარშან ჩვენს ბანკში და რამდენიმე წლის წინათ ქუთაისის ბანკში რათ ინება თავმჯდომარედ ყოფნა, თუ ჩვეულებად აქვს, წარმატება არ ისურვოს მისი, რასაცა არა თანაუგრძნობს. აქ როგორღაც საქმე ზევით-ქვევით მოდის. აქ სარევიზიო კამისიაში ყოფნა არ ნებავს, რადგანაც არა თანაუგრძნობს, და იქ კი თავს არა ზოგავდა — ემსახურნა მისთვის, რასაც არა თანაუგრძნობდა. რით აიხსნება ესეთი ამბავი? ამის პასუხად „დროების“ № 124-ში ბ-ნი ყიფიანი ბრძანებს: თავმჯდომ რეობაზედ რომ თანახმა ვიყავიო, იმიტომ რომ „იქნება მაშინ მოვახერხო ისეთი წესის ჩამოგდება, რომ საქმე პატრონს ვერ იცნობს, არ ითქმოდესო“.

კარგი და პატიოსანი. თუ მაგისი წამალი რამ იცოდა ბ-ნმა ყიფიანმა, რათ დაიშურა საქვეყნო საქმისათვის, რომლისათვის, როგორც თითონ ბრძანებს, გული ეწვის? რათ გვიმალავს მაგ წამალსა და ჯარაც ეუბნება. „თქვენი გაზეთი რომ მიმაჩნდეს ამ (ესე იგი თავად-აზნაურობის) საზოგადოების წარმომადგენელად, თქვენ მოგახსენებდითო“, ეუბნება ბ-ნი ყიფიანი „დროების“ რედაქტორსა. კაი პასუხია, თქვენმა მზემ. თუ „დროებას“ არ ანდობდა მაგ საიდუმლო თილისმასა, გაზეთი „კავკაზი“ ხომ აქ იყო. ღმერთმანი, ხელაპყრობით არ მიეგებებოდა მისი ეხლანდელი რედაქტორი! მაგრამ ბ-ნს ყიფიანს სხვა აზრი აქვს, როგორც თითონ ბრძანებს. იგი აპირობს თავის თილისმის გახსნას იმ საზოგადოების წინაშე, რომლის „ჩვენებური სახელი არის თავად-აზნაურობა“. მაგასაც ვნახავთ და შევიტყობთ, თუ ქადებულისვე ბ-ნ ყიფიანის მოურავისა — სეიმონასი არ გვეწია, ჩვენდა საუბედუროდ. ამას კი ვიტყვით, რომ ასე გზა-კვალის არევა, აგრე სიტყვის ბანზედ აგდება საზოგადო საქმეში, ეგრეთი პასუხი გადაჭრით დაყენებულს კითხვაზედ — ვერაფერი ჰაშნიკია. ამისთანა საქმეში ზღაპრები ვერაფერი საბუთია და ვერაფერი მაგალითი გულის-წვისა და სხვა ამისთანა გულკეთილობისა.

ბ-ნს ყიფიანს რომ მარტო გამგეობის თავმჯდომარეობით არ მოჰსურვებიყო ბანკის საქმეების გაცნობა, და რაკი ეგ არ

მოხდა — ეგ სურვილი აესრულებინა ვითარცა საქვეყნო საქმისათვის გულდამწვარსა, ჰნახავდა, რომ თვით ეხლანდელი გამგეობა ბევრს რასმე წუნსა სდებს იმ სისტემას კრედიტისას, რომელიც უმაღლესის მთავრობისაგან დადგენილია. სამინისტროში წარდგენილია გამგეობისაგან ყოველივე ეს წუნი, და წამალიც, შეძლებისამებრ, ნაჩვენებია. ამ საგანზედ წარდგენილს წერილში მოხსენებულია ის საზოგადო მიზეზნიც, რომელნიც აბრკოლებენ საადგილ-მამულო კრედიტს მთელს რუსეთში საზოგადოდ და ჩვენს ქვეყანაში საკუთრივ. ნაჩვენებია, ვიდრე ჰიპოთეკა შემოვა, რა გზით და რიგად შეესაძლოა გაუადვილდეს მსურველს ნატარიუსისაგან გირავნობის მოწმობის მიღება, რადგანაც ეხლა ეგ საქმე მეტად გაძნელებული და გაჭიანურებულია; რა გზით და რიგად შესაძლოა გაიეფდეს ეს ახირებულად ძვირი საადგილ-მამულო კრედიტი და განმარტივდეს ფორმალური წესნი და სხვანი ამ-გვარნი, მაგრამ რას იზამთ? ვერა გაეწყო-რა, რადგანაც ყოველივე ეს საზოგადო ვითარებას ექვემდებარება და მაგაების ხელის ხლება ჯერ-ჯერობით ემძიმებათ. განა მარტო აქაურის ბანკების ხმა დარჩა ხმად მღაღადებელად უდაბნოში? საადგილ-მამულო კრედიტის წარმომადგენელთ რუსეთში, უმაღლესის ნებადართვით, ოთხი კრება მოახდინეს, და მეხუთესაც ეხლა აპირობენ, რომ საადგილ-მამულო კრედიტი იმ საპატიო სიმაღლეზედ დააყენონ, რომელიც მას ბუნებითად შეეფერება, მაგრამ არც ერთს მ.თს შუამდგომელობას არსებითთა ცვლილებათათვის დღეს-აქამომდე კმაყოფილება არ მიუღიათ.

არ ვიცი, იქნება სხვა ვინმემ ამისი სხვა წამალი იცოდეს და სხვა გზა, — რატომ არ გვეუბნება და არ გვასწავლის. ვინც ეს წამალი მართლა იცის და მართლადაც გული შესტკივა საქვეყნო საქმისათვის, ის ისე ადვილად თავიდამ არ აიცდენს ამ წამლის ჩვენებას და არ იტყვის, — შენ არ გეტყვი და ვისაც ჯერ არს, იმას კი მოვახსენებო. როდისღა ბატონო! ჩვენ კი დამაღი ჩამოგვივიდა-და!

ამ შემთხვევაში ამ თავად-აზნაურობის ამაოდ ხსენება და იმისი თქმა, რომ „რომელმაც დააარსა, რომელსაც ეკუთვნის

და რომელიც, თუ სამართალია სადმე, უნდა განაგებდესცა“ — წამლად ვერაფრად გამოსადეგია და იქნება მჭევრმეტყველების ნიმუშად კი ვარგოდეს.

ბ-ნი ყიფიანი, არ ვიცით ვისის სიტყვით, ახირებულად გვიამბობს საზოგადო კრების „ღალადებას“ სარევიზიო კომისიის შესახებ. „მიაქუხა ყრილობამაო, წამოიჭექა თავმჯდომარემაო“, ბრძანებს შიგა-და-შიგ ამისთანაებს ბ-ნი ყიფიანი. თუ „მიაქუხა“, რატომ ეს მიქუხება კენჭით არ გამოჩნდა, როცა „მიქუხების“ საგანზედ კენჭმა ჩამოიარა? „მეორე დღესაც იმავე თავმჯდომარემ გამოუცხადა ყრილობას,— ბრძანებს ბ-ნი ყიფიანი: — იყავ ნება თქვენია, თითონ ჩვენ დაგინიშნავთ კომისიასაო... ესე იყო თუ არაო, თქვენ და თქვენი ნამუსიო“, — ჰკითხავს ბ-ნი ყიფიანი ბოლოს „დროების“ რედაქტორსა. სულაც ეგრე არ ყოფილა, დაგვერწმუნეთ. ტყუილად მოუხსენებია, ვისაც ეგ ამბავი მიუტანია. მეორე დღეს თავმჯდომარეს ეგ კი არ „წამოიჭექა“, არამედ შეძდეგი: ცალკე სარევიზიო კომისია გნებავთო, თუ მაგ რევიზიას თვით ზედამხედველს კომიტეტს მიანდობთო. შეიქნა ამაზედ ყაყანი და ბოლოსდროს კენჭზედ მივარდა საქმე და კრებამ 80-ს კენჭის უმრავლესობით 25 თუ 27-ს ხმის წინააღმდეგ სთქვა, რომ ზედამხედველს კომიტეტს მიენდოსო. იქნება ამაში შესცდა კრება, ჩვენ არ ვიცით, ჩვენ მარტო ამის თქმა გვინდა, რომ კრებამ კენჭით სწორედ ეს დაიქუხა და არა სხვა. თუ ოც-და-ხუთის, ანუ ოც-და-შვიდის კაცის ხმა დაქუხება იყო, ოთხმოცისა ხომ დაქუხების დაქუხება იქნება, და რატომ მოხდა, რომ ბ-ნს ყიფიანს ბეწვი დაუნახავს და ძელი კი არა?

მაშასადამე, მას მერმედ, როცა ბ-ნ ყიფიანის სიტყვისამებრ, „ყრილობამ მიაქუხა და თავმჯდომარემ წამოიჭექა“, მეორეს დღეს მაგ საგანზედ კენჭი ჩამოატარეს და კრებამ კენჭითა სთქვა ის, რასაც ეხლა ბ-ნი ყიფიანი ეგეთის ოხუნჯობით სასაცილოდ იგდებს, საგიობელად ხდის და თავმჯდომარეს აბრალებს. ამაზედ არა გვგონია არ დაგვეთანხმოს ბ-ნი ყიფიანი, რომ უტყუარი „ქუხილი“ კრებისა კენჭი არის. მაშ რატომ არა

სჯერა ბ-ნს ყიფიანს ესრეთ-წარმოთქმული „ქუხილი“ და რად უჯერებს უკენჭოდ დაქუხებულსა?

ვიმეორებთ, თუ პირველ დღეს, ბ-ნ ყიფიანის სიტყვისამებრ, ყრილობამ დაიქუხა, ის „დაქუხება“ ხომ უკენჭოდ იყო და, მაშასადამე, არარად უნდა მიეჩნია ბ-ნს ყიფიანს, რადგანაც იგი უკენჭობას პრინციპიალურად სრულებით უარჰყოფს საზოგადო საქმეში და ამბობს: დავთანხმდებიო „კენჭზედ და უკენჭოზედ კი არას დროსაო“. პრინციპი იმიტომ არის პრინციპი, რომ ყოველს შემთხვევაში ერთ-და-იმავე საზომად უნდა იხმარებოდეს. თუ ესეთი პატივი აქვს ბ-ნს ყიფიანის თვალში კენჭსა საზოგადო საქმეთა გადაწყვეტაში, რატომ ასეთი პატივი უცია უკენჭო „მიქუხებისათვის“, რომელიც წინა-დღეს იყო და რატომ ესე სასაცილოდ იგდებს კენჭით გამოთქმულს სურვილს კრებისასა, რომელიც მეორე დღეს მოხდა? რაც უნდა სთქვან მაგ გადაწყვეტილებაზედ, ამაზედ ყველა დაგვემოწმება და ყველა იტყვის, რომ ეგ საქმე წინა-დღეს უკენჭოდ იყო და მეორე დღეს კი კენჭითა. რატომ უნებებია ბ-ნს ყიფიანს ერთს შემთხვევაში პატივისცემა იმისი, რასაც მეორე შემთხვევაში საგიობელად ხდის? ან რათა ჰგიებს მას, რასაც მეორე შემთხვევაში პატივსა სცემს? ნუთუ აქაც ადგილი აქვს ამ ლექსს:

„ასე, ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო“.

საზოგადო საქმეში — მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, ბეტია და შეუწყნარებელი. ეს ბ-ნს ყიფიანს, ვითარცა „გამოცდილს და მცოდნეს კაცსა“, ჩვენზედ უფრო უკეთესად მოეხსენება.

მერე ბ-ნი ყიფიანი ეუბნება „დროების“ რედაქტორს: „არც თქვენი გაზეთი მიმაჩნია, არც გამგეობა (ბანკისა) ეხლანდელი, არც იმაზედ მიჩენილი ზედამხედველი კამიტეტი და არც ამ კამიტეტის განაყოფი სამთა კაცისია იმ საზოგადოების წარმოსადგენელადაო... რომელმაც (ბანკი) დააარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალია სადმე, უნდა განაგებდესცა“ („დროება“ № 124).

ამ სიტყვებისაგან აშკარადა და უცილობელად სჩანს, რომ ეხლანდელი გამგეობა ბანკისა, ზედამხედველი კამიტეტი და სამთა კამისია დაყენებულია არა იმ საზოგადოებისაგან. „რომელმაც, ბ-ნ ყიფიანის სიტყვით, დააარსა ბანკი, რომელსაც ეკუთვნის, და რომელიც, თუ სამართალია სადმე, უნდა განაგებდესცა“. მაშასადამე, მათი დამყენებელი საზოგადოება ტყუილი საზოგადოება ყოფილა. თუ მართლა ესეა, ის როგორღა არის, რომ ბ-ნმა ყიფიანმა შარშან პეტერბურგიდამ და წლეულს ქვიშხეთიდამ, გამოაცხადა სურვილი, — თუ ეგ საზოგადოება კენჭით ამომირჩევს, უარს არ ვიტყვიო, შარშან გამგეობის თავმჯდომარეობაზედ, წლეულს ზედამხედველ კამიტეტის და სარევიზიო კამისიისაზედა*. ორში ერთი: რაკი შარშან თუ წლეულს ეგ ახლანდელის გამგეობის დამყენებელი საზოგადოება ბ-ნს ყიფიანს ამოირჩევდა გამგეობის თუ ზედამხედველის კამიტეტის თავმჯდომარედ, მაშინ ეს დღეს ტყუილი საზოგადოება მართალ საზოგადოებად გარდიცვლებოდა, ან არა და ბ-ნს ყიფიანს ნება მიუცია თავის-თავისთვის ამორჩეულ ყოფილიყო ბანკის მოხელედ იმ საზოგადოებისაგან, „რომელსაც, მისისავე სიტყვით, არც დაუარსებია ბანკი, რომელსაც არც ეკუთვნის და რომელიც, საცა სამართალია სადმე, არც უნდა განაგებდესცა“. რად გამოაცხადა შარშან თუ წელს სურვილი ბ-ნმა ყიფიანმა ამორჩეულ ყოფილიყო იმ საქმის გამგებლად, რომელიც ამომრჩეველთ არ ეკუთვნოდა მისისავე სიტყვით?

ნუთუ ერთი და იგივე საზოგადოება თუ ამოირჩევდა ბ-ნს ყიფიანს გამგეობის თავმჯდომარედ წესიერი იქნებოდა, ესე იგი ის საზოგადოება იქნებოდა, „რომელმაც დააარსა, რომელსაც ეკუთვნის და რომელიც, საცა სამართალია, უნდა განაგებდესცა“, და რაკი სხვანი ამოირჩივა, უწესო შეიქმნა, ესე იგი,

---

* აი ამ საგანზედ თვით ბ-ნ ყიფიანის სიტყვები „დროების“ იმავ № 124-ში დაბეჭდილი: „მე არა თუ შარშან პეტერბურღიდამ, წლეულს ქვიშხეთიდამაც ვაცნობე დამკითხველთ ტელეგრამით, რომ თუ საზოგადოება ჩემთვის კენჭის ყრას ინებებს, უარს არ ვიტყვი-მეთქი. მაშინ გამგეობის თავმჯდომარეზედ იყო სიტყვა ჩამოგდებული და წლეულს“... და სხვანი.

იმისთანად, რომელმაც არც დააარსა, რომელსაც არ ეკუთვნის და რომელიც, თუ სამართალია სადმე, არც უნდა განაგებდეს.

კაცი არ მიიჩნევდეს ეხლანდელს გამგეობას, ზედამხედველს კამიტეტს, სამთა კამისიას, იმიტომ რომ ჯეროვანის საზოგადოებისაგან არა ხართ ამორჩეულიო და თითონ კი იმავ საზოგადოებას სურვილს უცხადებდეს, თუ გნებავთ ამირჩიეთ, თანახმა ვიქნებიო. მოდით, აქ ან თავი გაიგეთ, ან ბოლო.

* * *

ერთს ამ ბოლოს ჟამის „ბირჟევია ვედომოსტების“ ნომერში მოხსენებული იყო, რომ ფინანსთა სამინისტროს როგორღაც ათვალწუნებული ჰყავსო საადგილ-მამულო ბანკები საზოგადოდ, თუმცა ეს ბანკები უფრო პატივსაცემნი არიან, ვიდრე სხვა-გვარნიო. ამის დასამტკიცებლად ხსენებულს გაზეთს მოჰყავს მარტო ერთი მიზეზი, რომელიც, მართალია, ცხადად ამტკიცებს ზემოთქმულს, მაგრამ იგი ერთია სხვათა მრავალთა შორის. უსათუოდ ამ ათვალწუნების ბრალია, რომ 16 ოქტომბერს 1882 წელსა მინისტრთა კამიტეტი იძულებული იყო მიენიჭებინა საფინანსო მინისტრისათვის უფლება, — შეაყენოს გამოცემა საადგილ-მამულო ბანკის ობლიგაციებისა (გირავნობის ფურცლებისა) არამც თუ მაშინ, როცა ბანკისაგან გადაწყვეტილი სესხი არ ეშესაბამება ბანკის წესდებასა, არამედ მაშინაც, როცა ბანკი გაუფრთხილებლად ეკიდება ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებულ გადაწყვეტილებას ბანკისასა სესხის გაცემის შესახებ.

ეს სასტიკი კანონი, რომელმაც მიანიჭა ასეთი მძიმე უფლება ფინანსთა მინისტრსა, დამტკიცებისვე უმალ თავზედ დაეცა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკსა და დღეს-აქამომდე იმ ბანკს მოსპობილი აქვს უფლება სესხის გაცემისა. რასაკვირველია, ამისთანა ამბავს დიდი და მძიმე საბუთი უნდა მიუძღოდეს და რადგანაც თვალსაჩინოდ ამისთანა საბუთი არავის ეგულება, ამიტომაც მიზეზად მოჰყავთ ის გარემოება, ვითომც ავ-ენების ბრალია ყოველივე ესაო, და იმ თვისებისა, რომელ-

საც ბეზღობას უძახიან, და რომელიც ვითომ იმერლებს უფრო სჭირთ, ვიდრე ქართლელებსაო. არა გვგონია კი, რომ ქართლელები ამისთანაებში იმერლებს ჩამოუვარდნენ. ეგ სიკეთე ჩვენდა საუბედუროდ, ყველას საერთოდა და ერთნაირად გვჭირს. არც ისა გვგონია, რომ ეგ იყოს მიზეზი მინისტრის გაბკარგულებისა, რადგანაც მაგ მიზეზს მარტო შეგულიანებაც შეუძლიან და არა იმისთანა სასტიკის ზომის მიღება, როგორც ბანკის მოქმედების შეყენებაა.

მაშ აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს. პირველი მიზეზი თურმე ის არის, რომ 1876 წლიდამ 1879-მდე ბანკი თავდაჭერილად და ფრთხილად მოქმედებდაო. ეგ თავდაჭერილობა და სიფრთხილე რაში გამოჩნდა? იმაშიაო, რომ ამ სამ წელიწადში ცოტა სესხი გასცაო და 1880 წლიდამ კიო ბლომად დაიწყო გაცემაო. ან პირველში როგორ დაინახეს სიფრთხილე და თავდაჭერილობა, ან მეორეში როგორ იპოვეს ბედოვლათობა და გაუფრთხილებლობა? ბანკის სიფრთხილე თუ ბედოვლათობა სესხის საერთო რაოდენობაზედ კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზედ თუ — რა ფასიანი მამული რა ფასად არის მიღებული გირაოდ. ხომ შეიძლება, მაგალითებრ, ერთმა ბანკმა ერთს წელიწადს გასცეს მარტო ათასი თუმანი იმისთანა მამულზედ, რომელიც ათ თუმნად ღირს და მეორე ბანკმა-კი იმავ ერთს წელიწადს გასცეს თუნდა მილიონი იმისთანა მამულებზედ, რომელიც ერთი ორად და სამად მეტად ღირს. ნუთუ პირველი ბანკი ფრთხილი და თავდაჭერილი იქნება და მეორე გაუფრთხილებელი და თავდაუჭერელი. ეს სადაური ლოღიკაა?

თუნდ ეგეც არ იყოს, რა გასაკვირველია, რომ ქუთაისის ბანკმა 1880 წლიდამ ბევრი სესხი გასცა? განა საყოველთაოდ ცნობილი არ არის, რომ ამ წლიდამ ქუთაისის ბანკს ტფილისის გუბერნიაშიც მიეცა ნება სესხის გაცემისა და ამის გამო მუშტარი კრედიტისა მოემატა? განა ქუთაისის ბანკმა იმიტომ არ იშუამდგომლა ფინანსთა მინისტრის წინაშე და თითონ ფინანსთა მინისტრმა იმიტომ არ მიიღო პატივისდებაში ეს შუამდგომელობა, რომ ქუთაისის გუბერნია მეტად ვიწრო სარბი-

კლი იყო კრედიტისათვის სხვადასხვა მიზეზის გამო და ბანკის არსებობისათვის საჭირო იყო ფართო სარბიელი ჰქონოდა, რათა მოგება რამ ენახა და შემოსავალს გასავალი დაეფარა? რაკი თვით სამინისტრომ ეს საჭიროდ დაინახა და ნება მისცა ქუთაისის ბანკს ტფილისის გუბერნიაშიც ემოქმედნა, რაღა ლარი და ხაზი უნდოდა იმის გამოცნობას, რომ ამით სესხის გაცემა იმატებდა.

აი ესეც ერთი მაგალითი მისი, რომ მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ბევრი სესხი ბევრს გირავნობის ფურცლებს ჰოჰფენს ხოლმე ბირჟას და ზოგჯერ ბირჟა ვერ ასდის და ფასი ობლიგაციებისა ამის გამო ძირს იწევს. ეს მიზეზი რომ მიეკერებინათ ბლომად სესხის გაცემისათვის, კაცი იტყოდა, კიდეც ჰოო. ძალიან უკვირთ, თურმე, ქუთაისის ქალაქს რომ გასცეს 1½ მილიონი სესხიო. რაო მითამ? ქუთაისის ქალაქი განა ოსტროგოჟსკის ქალაქია, რომ მაგოდენა სესხის გასაცემად გირაო არა ჰქონდეს! შორიდამ იქნება ეგრე ჩანდეს, მაგრამ ბანკისა რა ბრალია, რომ კაცის თვალი პეტერბურგიდამ ქუთაისამდე რიგიანად ვერა სჭრიდეს! გონების თვალიო?! იტყვის მკითხველი. გონების თვალი კი გასჭრის, მაგრამ ყველას ცხილული არა აქვს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ქუთაისის ბანკი ძვირად აფასებს ქალაქის მამულებსაო, რადგანაც წლიურს წმინდა შემოსავალს თექვსმეტჯერ ამრავლებსო. არ ვიცით, მართლა ძვირად აფასებს თუ არა, ჯერ კი მაინც-და-მაინც ზარალი არა უნახავს რა. ეს კია, რომ თექვსმეტჯერ გამრავლება მართლა ბევრია ფასის გამოყვანისათვის, მაგრამ განა ეს საბუთია, რომ აეკრძალოს ბანკსა სესხის გაცემა საყოველთაოდ? ყველა სესხი, ცოტაა თუ ბევრი, ხომ სამინისტროში მიდის, წესდების ძალით, დასამტკიცებლად. განა არ შეიძლებოდა განსაკუთრებით ის ცალკე სესხი არ დაემტკიცებინა სამინისტროს, რომელიც რომელსამე მამულზედ ბლომად ეჩვენებოდა? ანუ მიეცა ბრძანება ქუთაისის ბანკისათვის, რომ ქალაქის მამულების ფასის გამოსაყვანად მიიღეთ წლიური წმინდა შემოსაყალი ათჯერ გამრავლებული და არა თექვსმეტჯერაო! აქ რა საჭირო იყო

ის სასტიკი განკარგულება, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ. პატარა ქალაქების მამულზედ უძლევია ქუთაისის ბანკს სესხიო, ამბობენ კიდევ მიზეზად. ბატონო, თუ ეგრეა, რათ ამტკიცებდით მაგისთანა სესხს და თუ ამტკიცებდით, სამდურავს რაღა ადგილი აქვს? თუნდ ეგეც არ იყოს და პატარა ქალაქების მამულზედ მართლა საშიში იყოს სესხის გაცემა, მარტო მაგგვარ სესხის გაცემას აუკრძალვიდნენ დალოცვილები და იმით გაათავებდნენ საქმეს.

სოფლის მამულებზედ მეტის-მეტი ფასები აქვსო ქუთაისის ბანკსაო, ზოგჯერ დესეტინა 500, 600 და 700 მანეთად დაფასებულია და ამის კვალობაზედ გაცემულია სესხიო. აქაც იმას ვიტყვით, რაც ქალაქის მამულებზედ ვსთქვით: თვითოეული სესხი ცალკეა წარდგენილი სამინისტროში დასამტკიცებლად და ნუ დაამტკიცებდნენ, თუ მეტის-მეტი ეგონათ. თუმცა ეს კი უნდა ვსთქვათ, სოფლის მამული ქუთაისის გუბერნიაში ხშირად ახირებულ ფასად გადის და ღირს კიდეც ხოლმე.

წესდების ძალით, საადგილ-მამულო ბანკში ვისაც სესხის გამოტანა უნდა ქალაქის მამულზედ, ცეცხლისაგან საზღვევის საზოგადოების პოლისი უნდა წარადგინოს. იმავ წესდების ძალით, ჯამი საზღვევის ფულისა უნდა შემდგარიყოს იმ ჯამიდამ, რაც სესხად მიეცემა, და რომელსაც უნდა დაემატოს ორის წლის ბანკის გადასახადი ერთად. ქუთაისის ბანკს სდებენ ბრალს, რომ პოლისის წარმოდგენას მაშინ კი არა თხოულობსო, როცა მსესხებელს არზა შემოაქვს სესხის სათხოვნელადაო, არამედ მაშინა, როცა სესხს აძლევსო. ჩვენის ფიქრით, ძალიან კარგად მოქცეულა ამ შემთხვევაში ქუთაისის ბანკი, თუ ეგ მართალია, და გვგონია, ყველა ბანკიც ეგრე უნდა იქცეოდეს, თუ არ უნდა, რომ გაუძნელოს მსესხებელს საქმე და ადრე და მალე ტყუილ-უბრალოდ ხარჯი გააწევინოს. ჯერ მინამ ბანკს სესხი არ გადაუწყვეტია, და არამც თუ სესხი, დაფასებაც მამულისა არ მოუხდენია, როგორ შეადგინოს ჯამი საზღვევის ფულისა, როცა არც თითონ ბანკმა და არც მსესხებელმა არ იცის, რას დანიშნავს ბანკი? იტყვიან, იმის კვალობაზედ შეადგინოს, რასაც თითონ მსესხებელი თხოულობსო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ ხანდისხან მსესხებელი ახირებულად ბევრსა თხოულობს, ბანკი კი სესხს ძალიან ნაკლებად უნიშნავს. ბანკმა ტყუილად იძულებულ რათ ჰყოს მსესხებელი, გააღებინოს მოძეტებული პრემია საზღვევის პოლისზედ, როცა შესაძლოა საქმე ისე გათავდეს, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური? ის არა სჯობია, როცა სესხი დანიშნული იქნება და მომზადებული მისაცემად, მაშინ მოსთხოვოს ბანკმა პოლისი დანიშნულის სესხის კვალობაზედ? ამითი მითომ რა წახდება? ბანკიც მაინც ხათრიჯამად იქნება გირაოდ მიღებულ შენობაზედ და მსესხებელიც იძულებულ არ იქნება მეტი ხარჯი გაიღოს პოლისზედ.

მაინც-და-მაინც, როგორც ეს უკანასკნელი მიზეზი, ისეც ზემოთ ნაჩვენებნი, ისეთის თვისებისანი არ არიან, რომ იძულებულ ყოფილიყვნენ მათ გამო მოესპოთ მოქმედება ქუთაისის ბანკისა. ყოველივე ეს შეეძლოთ შეენიშნათ ქუთაისის ბანკისათვის და ებრძანებინათ, — სესხი კი ისევ აძლიეთო, მხოლოდ ეს მიზეზები მოიშორეთ თავიდამაო.

აი უმთავრესნი და თითქმის ყველა მიზეზნი, რომლის გამო ასე გამოიმეტეს ქუთაისის ბანკი. უყურებ და ვერასგზით ვერ მიგიგნია, — რით უნდა გამართლებულიყოს ასეთი სასტიკი განკარგულება? რომ აკვირდება კაცი ამ საქმეს, დაჟინებით ჰკითხავს თავის-თავს: რათა და რისთვისაო, და რიგიანი, საბუთიანი პასუხი ვერ უპოვნია. თუ მართლა ეს უმიზეზო მიზეზნი არიან საბუთად მოყვანილნი, განა თვითოეულ მათგანს ცალკე ცალკევე შემთხვევაში ვერ გადეღობებოდა წინ, ვისაც ეგ უფლება აქვს! საყოველთაოდ მათ გამო მუსრის გავლება რა საჭირო იყო, ან რამ გამოიწვია? ნუთუ მან, რომ „იყავნ ნება ჩემიო!“

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, აგვისტო *).

ბატონ-ყმობის გადავარდნამდე. — ჩვენი ცხოვრება მე-40 და 50 წლ. განმავლობაში. — სიბნელე და უარაყობა მაშინ. — მარტო სიცოცხლე გვინდოდაო. — გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი. — ნაკლი ძველ მოდგმათა შორის. — ჩვენი დროისანი ძველს ეკუთვნოდენ. — ის ძველნი აღარავის ახსოვდა. — „წარივლტნენ დრონი". — აი, რას ამბობენ. — გაჭირვება მაინც თავს დაგვტრიალებს. — „იმედოვნებას ვუწოდებთ ფარად". — კაი ნიშნები. — ქართულ ენას ვიცავთ, მაგრამ მაინც ვერ დაგვიცავს. — უბრალო ხალხი და განათლებული საზოგადოება. — სასიამოვნო ამბავი გულგატეხილთათვის. — როზგების შემოღება სასწავლებლებში. — ნუ გინდა სწავლაო. — ვაკანსიების უქონლობა ჩვენებურ სასწავლებლებში. — ვაი რა დავკარგეთ. — რასა ვხარჯავთ ქართულის წერა-კითხვის გავრცელებისათვის. — ანგარიში წერა-კითხვის საზოგადოებისა. — შემოწირულობა ივ. მესხიევისა. — სამეურნეო სკოლა წინამძღვარიანთ-კარში. — სიტყვა ი. წინამძღვარიშვილისა და ი. ჭავჭავაძისა.

ამ ოცი ოც-და-ათი წლის წინათ, ბატონ-ყმობის გადავარდნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინცა შესაძლებელი ყოფილიყო. როგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდე-

---

*). ეს „შინაური მიმოხილვა", რომელიც ავტორს დაუმზადებია „ივერიის" 1883 წლის აგვისტოს ნომრისათვის, ცენზურამ აკრძალა. ამის გამო ავტორი იძულებული გამხდარა გადაემუშავებია წერილი და ამოეგდო ტექსტიდან მთელი რიგი ადგილებისა; ეს შემოკლებული და დამახინჯებული

ლი ჩვენი ცხოვრებაც. [არც წვიმა სადმე, არც ქა-
ჯიშხალი; ელვას რომ ათასში ერთხელ
ჯერსებოდით, დიდი ღვთის წყალობა იქ-
ნებოდა, ხელს აღვაპყრობდით ცისკენ და
ღაღადებით ქებასა და მადლობას ვეუბ-
ნებოდით უფალს—ელვისა და ქუხილის გა-
ჩენისათვის ერთის წამით მაინც].

დიახ, ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, დრო მე-40 და 50 წელთა, დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა [და ეროვნულის] მიმძინარებისა, მოქანცულობისა. მწერლობაც ამ-გვარის მიმძინარებულის ხასიათისა გახლდათ მაშინ. იგი ხედმიწევნილის სინამდვილით გვიხატავს მაშინდებურს [ჩვენს არაარაობას], ჩვენს სიღატაკეს აზრისას თუ ცხოვრებისას; ჩვენს მოღალულობას ცხადის საბუთებით მოწმობს დღესაც მაშინდელი ჩვენი მწერლობა და ლიტერატურა. მაშინდელის ჩვენის მოღალულობის, [ჩვენის დავარდნის, ჩვენის განიადაგების] ცხადი, უტყუარი სახსოვარია ეგ ჩვენი გონების ნაღვაწი: მტკიცედ და მედგრად სდგას მაშინდელი ძველი მწერლობა, რომლის ბურუსიან, მიძინებულს გარემო ჰაერს ხანდისხან და იშვიათად დაარღვევდა ხოლმე ნ. ბარათაშვილის [წარსულ დროთა მოგონებით დაწყლულებული] პოეზია და გრ. ორბელიანის ღრმად [ეროვნული] პოეტური კალამი.

მაგრამ ეს ორი კაცი და კიდევ ორიოდე სხვანი მე-40 და

ტექსტი მიმოხილვისა დაიბეჭდა „ივერიის“ 1883 წლის სექტემბრის ნომერში.

საქართველოს ცენტრალურ სამეცნიერო არქივში, საცენზურო კომიტეტის საქმეებში, აღმოჩნდა თითონ პირველი დედანი ამ წერილისა, რომელიც ცენზურამ აკრძალა. ჩვენს გამოცემაში ტექსტი ამ პირველი დედნის თანახმად დავბეჭდეთ.

რათა მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმ-დროინდელ საცენზურო პირობებზე, ყველა ის ადგილები, რომელიც ცენზურას ამოუღია ამ წერილიდან, დაბეჭდილი გვაქვს კურსივით და მოთავსებულია სწორ რკალებს შორის [ ].

რედ.

50 წელთ არ ეკუთვნოდენ. ესენი იყვნენ სხვა დროს აღზრდილნი, [სხვა ანდერძის გავლენის ქვეშ, სხვაგან რბოდა მათი გონება, სხვა მიმოგონებაა სწყლავდა მათ გულს]. ესენი იყვნენ ცოტანი და მათი აზრის და გრძნობის გაელვება მხოლოდ ოდნავ არღვევდა იმ დროს გარემო [წყვდიადს], მხოლოდ ოდნავ აფხიზლებდა დაძინებულს ქართველთ გონებას.

ამ-გვარი გაჭირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდის-ხნის მღელვარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიჩვენებთ ერს, რომ როდისმე მაინც ესევ ამ-გვარადვე არ გასჭირვებოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანაა და ერს უჭირდა ორმოციან და ორმოც-და-ათიან წლების განმავლობის დროს. [მეისტორიე მიშლესი არ იყოს, რომელიც საფრანგეთის დიდის რევოლიუციის შემდეგ მდგომარეობაზე ლაპარაკობს], მაშინ რომ ქართველისთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. — მაგის გარდა კიდევაო? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ. — რას ეძახით სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენის ჭიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევ მხრებზე გვაბიაო, რომ ჩვენის თავისთვის გვეთქვა, ფიქრი არა გაქვს, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მომკვდარხაროო.

ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, [რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ, სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცითაც არ დავიღუპოვო].

აბა ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულებას [ერისათვის], საქვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამ-გვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასპარეზი.

აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ამ ქვეყანას ჰყოლია [ხალხისთვის და მამულისთვის] მხნე მუშაკნი, მხნე მებრძოლნი, ნიჭით და ქველობით სავსენი. [აღარავის ახსოვდა მაშინ, რომ ეგ საზოგადოებრივი ასპარეზი იყო დიდ სამსხვერპლოდ გადაქცეული და ამ სამსხვერპლოზედ იკვლობდნენ და იწირვოდნენ ძენი მამულისანი, რომ ეს უკანასკნელნი მათსავით ძვირად არ აფასებდნენ თავიანთ თავს, თითონ ხორცსა და ამ ხორცის მხოლოდ ხორციელს არსებობას, უსულოდ, უგულოდ, ქვეყნისათვის თავგამოუდებლად, მისთვის თავშეუწუხებლად].

დიახ, ორმოციანი და ორმოც-და-ათიანი წლების წინაპარნი საქმის ხალხი იყო, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, ბოზბაშისთვის და ჩიხირთმისთვის აგრე-რიგად არ ზრუნავდნენ: არც დრო ჰქონდათ, არც შეჩვეულნი იყვნენ ამგვარებზე ზრუნვას. [მტერი ჰუდამ კარზე, მმართველობა, წესისა და წყობილობის დაცვა, უშიშროების დამყარება, ქვეყნის წინ-გაძღოლა, მტერსა და მოყვარესთან პირნათლად გამოსვლა და გაძღოლა, — ყოველივე ეს თვითოეულად და საზოგადოდ შეადგენდა მაშინდელის ქართველის საზრუნავს საგანს, მისის გონების და აზრის სავარჯიშოს].

ყოველივე ეს აღიზოცა, ყოველივე ესე გაჰქრა და ქართველი ორმოციანისა და ორმოც-და-ათიანის წლებისა [დარჩა. უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებულ, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი]. ამათ დროს, [ამ გმირების დროს], —

„...სადღა იყო ყაბახი?
სად იყო საჯირითო, სავარჯიშო ცხენისა...“

მათთვის ყოველივე ესე დრონი შეიქმნენ სიზმრად, ყოველივე ესე —

[„...დრონი, ვაი რა დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარივლტნენ, განჰქრნენ სიზმარებრ ჩქარად".

ვაი რომ მათ ველარ სთქვეს თავის-თავზე ის, რაც პოეტმა სთქვა:

„...არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!"]

ეხლა ის დრო ალარ არის, [ჟამმა ჩვენმაც მოაღწია]. ეხლა სულ სხვა გვარი ლაპარაკი ისმის, უფრო საიმედო. უფრო გამამხნევებელი, არამც თუ მარტო [დასავლეთ ევროპაში, არამედ] რუსეთშიაც-კი. [აი, რას ამბობს ერთი რუსის მწერალი, რომლის ქებით-საიმედო სახელს ეჰვ-ქვეშ მხოლოდ კატკოვი აყენებს.

„საზოგადოდ,—ამბობს იგი, — ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავის ისტორიული ეროვნობა, ყოველთვის დიდს სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.

„ისტორიულ ერთა მოსპობა შეუძლებელია; დიდი უბედურობისა და დამცირების შემდეგაც კი იგინი კვლავ აღდგებიან ხოლმე და გულში ღრმად იმარხავენ შეურიგებელს სიმძულვარეს დამჩაგვრელთა და დამპყრობთა მიმართ".

ეხლანდელ დროში ხომ, როცა ასე საყოველთაოდ განმტკიცებულია და აღგზნებული ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესე-გვარი საქმე უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა,—ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე ხელი, დაივიწყოს თავისი

უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა, და სუყველა ეს მტრის გასახარელად, მტრის სასარგებლოდ. ეს საქმე აღემატება კაცთა შემძლებლობას. თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას.

ჩვენ აღარას ვიტყვით სხვა რუსეთის მსწავლულთა და მეცნიერთა აზრსა და შეხედულობაზე ამ საგნისავე შესახებ. აღარ დავასახელებთ ა. გრადოვსკის, ამ მჭევრმეტყველ მოსარჩლეს ეროვნულის პრინციპისას, პიპინს და სხვათა მრავალთა რუსეთის პუბლიცისტებს და ლიბერალურ გაზეთებს, როგორც მაგ. . . . *.

დღეს თუმცა ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ გათავებულა და არც მალე გათავდება, იქნებ დიდი განსაცდელიც მოგველის მომავალში], მაგრამ მაინც ჩვენი დრო ბევრად უკეთესი დროა ზემოთ-მოხსენებულ დროსთან შედარებით. დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა, [ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა]. ზემოხსენებულთ წელთ შემდეგმა დრომ, იმ ჭირისა არ იყოს, რომელიც ზოგჯერ მარგებელია ხოლმე, მოიტანა თან სხვა ნიავი, გასწმინდა ცოტად თუ ბევრად [ქვეყნის დამაბნელებელი] ბურუსი, გადაჰყარა ღრუბლები და ჩვენი [ეროვნული] ცნობიერება გამოაფხიზლა. [დიახ, დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენის ქვეყნის მომავალი და—

* ტექსტი დამთავრებული არაა.

რედ.

„...გლახ ბედისაგან ესრედ დასჯილნი,
იმედოვნებას ვუწოდებთ ფარად“].

მართლაც, მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიმსჭვალა იგი, თითქო ერთი კაციაო, — და მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წუხილი, თუ არ მან, რომ იგი იყო თავის [დაჩაგრულის] მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნულის იდეის პოეტურად გამომხატველი. „დროთა, სიზმარებრ გამქრალთა“ — ჭირისუფალი, საქართველოს [დიდების კვლავ დაბრუნებისთვის] ზეშთაგონებული.

ნუთუ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ საზოგადოება უპირველეს ყოვლისა იდეას სცემდა პატივსა, როცა ისეთის დიდის ყოფით აცილებდა უკანასკნელს სადგურამდე თავის გულის-პასუხის ძლიერად გამომხატველს პოეტს, რომ აზრს [მამულის-შვილობისას] ჰრთავდა გვირგვინით, როდესაც ყვავილებში ჩააწვინა ამ აზრის მტვირთველი და მატარებელი კაცი, [დიახ, ძნელთა და საშიშ გარემოებათა შორის], დაწყებული მე-30 წლიდამ ვიდრე ჩვენ დრომდე?

ეს უეჭველია. უეჭველი შეიქნება უფრო მაშინ, როცა მოვიგონებთ ჩვენის თავგანწირულის, პატიოსანის მოღვაწის ს. მესხის გარდაცვალების ამბავს... ეს მხნე მუშაკი იყო, დაუცხრომელი, მუდამ საზოგადო საქმის მოყვარული, ჩუმი მოღვაწე. და, აი, ამ ჩუმის მოღვაწის სიკვდილის გამო, თითქმის ძთელს საზოგადოებას, თითქო გული მოსწყდაო, [ერთი საერთო კვნესა და ქუხილი აღმოხდა გულიდამ].

ნუთუ ესეც იმას არ ამტკიცებს, რომ შეგვრცხვა ბოლოს ჩვენც [ჩვენის უარარაობისა], მოვიდა დრო და ჩვენც გვინდა კუთვნილი და ღირსეული პატივი ვცეთ ჩვენთვის მშრომელთა.

მართლა, ამ სამოც-ოთხმოც წელს ისე არ გაუვლია, რომ ჩვენ ცხოვრებას ცოტათი მაინც სხვა ფერი არ დასდებოდეს. მაგრამ მაინც [ჩვენი მდგომარეობა გაჭირვე-

ბულ მდგომარეობად უნდა ჩაითვალოს. რამდენსაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად [ვიტანჯებით, მეტად გაჭირვებულად გვეჩვენება ჩვენი არსებობა].

რასაკვირველია, უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონ-ყმობის გადავარდნამ, [თუმცა] ახალის [მაგრამ მაინც ფრთა-შეკვეცილის] სამართლის წესების შემოღებამ, თვითმმართველობის [ნამცეცებმა] და სხვა და სხვა. რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც — ოთხმოცის წლის [ცხოვრების შედეგი] არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება, [ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის]. თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ მაინც ჩვენი მდგომარეობა ამით ბევრად არ შემსუბუქებულა. ოცი წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის [უფლება] იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში [და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად].

ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის [ხალხის განათლება] და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია-რა, რომ წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში, [რომელიც თანდათან ამავე მიზეზით უფრო და უფრო გვშორდება ჩვენ, განათლებულს საზოგადოებას, აღარა ეყურება-რა ჩვენი და არც რამ იმედი აქვს ჩვენგან. ან კი როგორ უნდა დაგვიახლოვ-

დეს ჩვენი უმეცრებით გარემოცული ხალხი, უბრალო გლეხობა,—ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენის ეროვნულის იმედებისა]. განა ჩვენ ვეცადეთ, რომ ერთი სახალხო სკოლა მაინც დაგვეარსებინა, თუნდ ისე ჩვენგან პატივცემულის გრ. ორბელიანის სახსოვრად, რომლის შემწეობით შესძლებიყო ხალხსაც დაეფასებინა ჩვენთვის ასე ძვირფასი პოეტი, რომ მასაც ჩვენთან ეგლოვნა მძიმე დასაკლისი? ჩვენი ჭირი და გლოვა ჩვენ ჭირად და გლოვადვე დარჩა, ხალხი-კი, უმრავლესობა-კი, ვერ მიაგნობდა ჩვენს წუხილს.

* *

ქართულის ენის და მეტყველების მოყვარულთათვის, ქართველთ წარმატების მსურველთათვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყოს უწმ. სინოდის განკარგულება, რომელიც ამ წლიდამ უკვე აღსრულებაში შედის. მე მოგახსენებთ ქართულის-მეტყველების გაკვეთილების დაარსებაზე სასულიერო სემინარიაში, სადაც იზრდებიან სამღვდელოების შვილები. კვირაში 7 გასაკვეთია ამ საგნისათვის დანიშნული, ქართულის-მეტყველების პროგრამა უკვე შედგენილია სემინარიის მმართველობის მინღობილობით ერთის სემინარიის მასწავლებლისაგან. ჩვენ გადავათვალიერეთ მხოლოდ ოდნავ ეს პროგრამა და ამიტომ ეხლა დაწვრილებით აქ ვერას ვიტყვით. მას შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს მხოლოდ შემდეგს წიგნში. ეხლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდი ბეჯითობა და ენერგიაა საჭირო მისთვის, ვინც ამ საგნის რიგიანად შემუშავებას და დადგენას იტვირთებს. ამით ჩვენ გამოვაცლით ფარ-ხმალს იმათ, ვისაც არ ეპიტნავებათ ბუნებითად ამ-გვარის წესების შემოღება. მე ვლაპარაკობ იმ უსაფუძვლოდ და იმ ტყუილ-უბრალოდ გავრცელებულს ხმაზე, ვითომ არც ქართულ ენაზე სწავლება შეიძლება რისამე, არც წიგნებია ამისათვის და არც არის რამე. რაც ღირდეს შესასწავლებლად, ავარჯიშებდეს კაცის გონებას.

და სხვა-და-სხვა ამ-გვარი ცრუმორწმუნება და უსაფუძვლო ხმები.

ამ-გვარადვე სასიამოვნოა უკვე აღსრულებაში მოყვანილი, ამ წელსვე მომხდარი განკარგულება უწმ. სინოდისა, რომ შემოღებულ იქმნას ქართულის ენის სწავლება სავალდებულოდ სასულიერო სასწავლებლებში, რომ საგანიც სავალდებულო იყოს და მისი მასწავლებელიც შტატის ადგილის მქონე. ამ გარემოების გამო სასულიერო სასწავლებლებში მოისპო ბერძნულის ენის სწავლება და შემცირდა ლათინურისა. ეს უკანასკნელი უწინდებურად პირველი კლასიდამ აღარ იწყება და იმედი ვიქონიოთ, ნორჩ გონებას პატარა პირველი-კლასელებისას შეღავათი მიეცემა.

ამ-საზით, ერთს უწყებაში მაინც მიენიჭა ქართულს ენას უფლება, ე. ი. სასულიერო უწყებაში. [თ უ მ ც ა ს რ უ ლ ი უ ფ ლ ე ბ ა ა რ მ ი ნ ი ჭ ე ბ ი ა ჯ ე რ კ ი დ ე ვ], მაინც ესეც კაი ღვთის წყალობაა, ამდენის ლოდინის შემდეგ, მერე ჩვენთვის, ასე გულგატეხილთათვის ლოდინით და იმედითა.

ათასში ერთხელ უნდა მოვესწრათ სასიამოვნო ამბავის გაგონებას და ათი-ათასში ერთხელ ამ ამბავის ცხოვრებაში განხორციელებას და მაშინვე გამოტყვრება რამ საიდანმე და მოგვიშხამავს ის-ის იყო გატაცებულს გონებას, ფრთაშესხმულს ფანტაზიას, როგორც ცივი წყალი, ისე მოგვხვდება ხოლმე ამ დროს რამ უსიამოვნო ამბავი. აგვიჯიქრავს ხოლმე ტანს და წყალში ამოვლებულს ქათმებს დაგვამსგავსებს ხოლმე.

ამას წინათ ჭორად გამოვიდა ხმა, რომ უმაღლესი მმართველობა აპირობს როზგის შემოღებას სასწავლებლებში. ყურს არავინ უგდო ამ ხმას, სიცრუედ და ჭორად მიიღო ყველამ. ვისაც კი ესმის, რა ძნელია ამ-გვარი წესის აღდგენა სასკოლო ცხოვრებაში თითქმის ოცდა-ხუთი წლის უარყოფის შემდეგ 1874 წლის წესებით როზგები მმართველობამ განდევნა სკოლიდამ, როგორც ძლიერ უვარგისი ზომა დისციპლინის დამყარებისათვის მოსწავლეთა შორის. ამ ზომის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა და ყველამ იცის რა წითელი კოჭიც არის.

„დღე ხორციელად დასჯის შემოღებისა, — მწუხარებით ამბობს ერთი რუსული ჟურნალი, — იქნება შავუკუღმა დღედ ჩვენის სასწავლებლების ისტორიაში, ვიტყვით მეტს, ჩვენის საზოგადოების ისტორიაშიაც“...

ძლივ-ძლივობით მივეჩვიეთ სწავლას, შევიყვარეთ სულით და გულით, ვხარჯავდით ფულს, შეძლებას, ღონეს, დავივიწყეთ სრულიად ის დრო, როდესაც პირიქით გვაძლევდნენ ფულს, ოღონდ მოდით, ისწავლეთო. ვამბობდით, აი, ახლა ეშველა საქართველოსაო. სწავლა და განათლება მოიფინებაო, მდიდარი ჭვეყანა სწავლულთ ხელში ნატვრის თვალად გადიქცევაო, ცხოვრება ადუღდებაო, და დახეთ ბედს. მაგრამ ეჰ, ეს ბედი ჩვენ მუდამ თან გვდევდა. კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. რას მოვიფიქრებდით, ვინ მოიფიქრებდა. თავ-პირს ვამტვრევდით ერთმანეთს, არა ჩემი შვილი მიიღეთ, არა ჩემიო, ვაკანსიები აღარ იყო და აგერ დღესაც აღარ არის და ახლა კი ვინ იცის რა იქნება.

სწავლა კი რომ შევიყვარეთ, ეგ უეჭველია. აი ვაკანსიები — საბუთები.

ვაკანსიები წელს ტფილისის სასწავლებლებში იყო შემდეგი: კადეტის კორპუსში (ესეც კი დავკარგეთ ბედოვლათობით) იყო 25-მდე, მსურველნი კი 120. საოსტატო ინსტიტუტში 25, მსურველნი 75. — მიღებულთ რიცხვში ქართველი მხოლოდ ოთხია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს წელს 40, მსურველი კი იყო 150. სათავად-აზნაურო სკოლაში 30, მსურველი კი ასზე მეტი. ქუთაისში სააზნაურო სკოლაში იყო თურმე 60 ყმაწვილისა და მსურველნი კი 200 მეტი. გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მეოთხედიც არ მიუღიათ წარმოდგენილის ბავშებისა. სამოქალაქო სამკლასიან სასწავლებლებში, რომელიც შარშან გაუხსნიათ, თხოვნა შესულა სამასზე მეტი, მიუღიათ მხოლოდ ორმოცი. მეორე ორ-კლასიან საქალაქო სასაწვლებელში თხოვნა შესულა 100, მიუღიათ 75...

[ამ ამბავს დაუმატეთ დიდი ფასი სასწავლებლისა და მერე იკითხეთ, უმჯობესი არ იქნება, რომ ბარემ გვითხრან: სწავლა ნუ

გინდათ, რას მიჰქარავთ, რას მიედ-მოედ-ბით, — რა თქვენი საქმეაო].

ამ-გვარ პირობათა შორის ჩვენვე უნდა ვეცადოთ ჩვენი საქმე ცოტად თუ ბევრად იოლად წავიყვანოთ, მაგრამ რაც იზამ, რომ ეს პირობანი ყოველ ხალისს გვიკარგავს, სასოებას გვიკვეთავს! ამ-გვარ მოვლენათა შემაცქერალი, კაცია თუ საზოგადოება, ძალაუნებურად გულ-ხელ-დაკრეფილი დაიარება. ცხვირ-ჩამოშვებული და მწარედ დაძმარებული, ის კი არა თუ — ენერგია, მხოლოდ მხნეობა და ხალისით ერთბამი მოქმედება, იქნება, დაგვიხსნიდა ამ-გვარის გაჭირვებიდამ ცოტად თუ ბევრად. თორემ რასა ჰგავს, ბატონო. ამ წიგნის ბოლოს. დამატებაში, ჩვენ დავბეჭდეთ წლიური ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მოქმედებისა 15 მაისიდამ 1882 წ. — 15 მაისამდე 1883 წ. და, ღმერთო, რა-გვარის გულგრილობის მოწამეა ეს ანგარიში. ამ ანგარიშის თავში ჰკითხულობთ თქვენ ბათომის სკოლაზე, რომელიც კარგად და საუკეთესოდ სწარმოობს; წინარეხის სკოლაზედ, რომელიც აგერა მეორე წელიწადია, რაც დაარსებულა: ჰკითხულობთ აგრეთვე, რომ საზოგადოებას შემწეობა აღმოუჩენია ქუთაისის სახალხო სკოლებისათვის წიგნებით და სასწავლო ნივთებით, რომელთ ღირებულობა 1.000 მანეთისაა. აგრეთვე ჰკითხულობთ, რომ საზოგადოებას განუმატებია თავის ხელნაწერის ბიბლიოთეკისთვის, რომელიც ამ დღეებში გაამდიდრა ბ-მა ივანე მესხიევმა მდიდარის და უხვის შეწირულებით. მან შესწირა ამ საზოგადოების ბიბლიოთეკას 55 ხელნაწერი წიგნი, რომელთა რიცხვში ძვირფასი საარქეოლოგო და საისტორიო განძი ურევია. მაგრამ ჩახვალთ თუ არა ყველა ამ ამბის ბოლოში, იგივე წყეული უსიამოვნო რამ ამბავი, თითქო ცივი წყლის შადრევანი დაგიშვებს თავზეო, ისევ გამოტყვრება ხოლმე. წარმოიდგინეთ, რომ საზოგადოებას ჰყოლია 300 წევრამდე დამფუძნებელნი და ნამდვილნი, და დღესაც არ შეუტანიათ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული, დღესაც მათზე ვალად არის დარჩენილი 4.953 მანეთი — 1879, 1880, 1881 და 1882 წ.წ.

თუ ასეა საზოგადოების საქმე, მაშ კერძო პირებს რაღა ძალა უნდა მოეთხოვებოდეთ ამ მხრივ. კერძო პირებს როგორღა უნდა ვესაყვედუროთ, რომ იმათ ციდან ვარსკვლავები ვერ ჩამოაქვთ.

ამ მხრივ, სწორედ ჩვენის საზოგადოების უხალისობის დროს, ერთმა კერძო პირმა ხანგრძლივის მეცადინეობის შემდეგ თავის საკუთარის ხარჯით და საფასით ჩასდგა საძირკველი ფრიად სასარგებლო დაწესებულებისა. ჩვენ ვამბობთ ბ. ი. წინამძღვარიშვილზედ და მისგან დაარსებულს სამეურნეო სკოლაზედ ს. წინამძღვარიანთ-კარში.

დიდად დასაფასებელია პატივცემულის ი. წინამძღვარიშვილის ღვაწლი, სწორედ დიდად გასაკვირველია მისი მხნეობა და გაბედულობა. უნდა მკითხველმა დაწვრილებით იცოდეს ამ მეცადინეობის ისტორია, უნდა იცოდეს — რა ჯაფა და შრომა იყო საჭირო, როგორც მისთვის, ისე იმ კერძო პირთათვისაც, რომელნიც ეხმარებოდენ, რომ ამ სკოლის საქმე თავს მოსულიყო, რომ ღირსეულად დააფასოს საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ მოვლენისა. ჩვენ ძალიან იშვიათად და სრულიადაც არ გვახსოვს, რომ საზოგადო საქმისათვის ასე შეძლებისა და ჯაფის დაუზოგველად კერძო კაცს თავი გამოემეტებინოს. ჩვენში საზოგადო საქმისთვის თავგამოდებას, ქონების დაუშურველობას ბევრი ისევ სხვა თვალით უცქერის. ჩვენ ჯერ არ შევხვედრივართ ჩვენ ცხოვრებაში არამც თუ შემძლებელ ჰფარველს სახალხო განათლებისას, სკოლისას, მეცნიერებისას, არამედ ლიტერატურის და მწერლობისასაც კი.

რაც შეეხება თვით სამეურნეო სკოლის სარგებლობას ჩვენ-გვარის ქვეყნის ხალხისათვის, ეს უეჭველია და აქ ჩვენ ჩვენ-თავად ბევრს არას ვიტყვით. დეე, თვით იმან სთქვას აქ სიტყვა, ვინც ეს საქმე დაჰბადა, ხორცშესხმულ-ჰყო, — დეე ეს სარგებლობა განმარტოს იმან, ვინც დაესწრო სკოლის კურთხევის დროს.

აი სიტყვა თვით მთავარის მზრუნველის და სკოლის დამარსებელისა:

„მოწყალენო ხელმწიფენო!

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი, — მართლა რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის-შვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა, და მეორეს მხრივ — აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისათვის სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის, — საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თითონ საზოგადოებისა. მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავუღოთ სასწავლებლის კარი ყოველს ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

„მოგმართავთ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილის სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი, დანიშნულება. თქვენ პირველთ უნდა გააბნიოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუმორწმუნოებას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას... მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერს და ნივთიერს ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენის ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის

პტერნი მეგობრებად გარდაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება.

„დასასრულ, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს გამოვუცხადო ღრმა მადლობა დიმიტრი სვიმონის-ძეს სტაროსელსკის ამ სკოლისადმი თანაგრძნობისათვის, და აგრეთვე იმ პირთა, რომელნიც ამ სკოლისათვის ზრუნავდენ. იმედი ვიქონიოთ, რომ დიმიტრი სვიმონის-ძე მიიღებს ამ სკოლას თავის მფარველობის ქვეშ.

„ეს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყოს ნიშნად სკოლის ბედნიერის მომავლისა!“

აი თვით ის სიტყვაც ი. ჭავჭავაძისა, გლეხობისადმი მიმართული:

«ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

«ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისარჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

«თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალხი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავით მორთული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი, — მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? მკითხავთ თქვენ.

«იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით — საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ — ისა, რაც თქვენისავე სიტყვით. თითონ ღონესაცა სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად

ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს. რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით — უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

«მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიან!? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან. „ხერხი სჯობია ღონესაო“, — თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

«ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

«ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

«ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე ჰხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნისდედა — მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის-მკეთებელი უფრო მეტადა ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო

მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

«ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

«სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა, — სჩანს ჰღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

«სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის-დღეში არა: მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

«ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, — ერთნაირად შეიყვედრებს, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძებში გახვეულ გლეხსაც და ბუზმენტებით მორთულს თავადსაცა. ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დააშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

«ახლა სად არის ეგ კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ

ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი — აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეულნი ოსტატები არიან.

«აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს ჯაჯარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან. აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ფარ ხმალი ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

«ცოდნა ბევრნაირია. ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის კუნძში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს — სად რა სიმდიდრე ძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

«მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ აკვანს გაარწევენ დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად! გაუმარჯოს ა იმ პატარა კაცსაც, თავადს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუზოგველად, უსასყიდლოდ, მარტო ერთის საქმის სიყვარულისა გამო, თავისი დრო და ცოდნა ამ სკოლის აშენებას მოახმარა! ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის! ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი

სჯობნებია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო“.

«თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას გაათავებთ, იტყვით, თქვენი გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად, გეუბნებით: „თქვენი გამარჯვებისა იყოს“!

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, ოქტომბერი.

კვლილება. — ვინ კითხულობს. — უჯეროსნი და ურწმუნონი. — რა გვეღირსა. — დიდი საქმე. — ქმნა უქმნელისა. — რათაო? — ფიცი ხომ გვწამს. — ორი მინისტრი. — მოკლე ხანი.—ჩვენი ქვეყანა სულ სხვაა.— უქმი ფიქრი და გაფლანგული ღონე. — საგანი რთულია. — მაგრამ ვინ იცის. — რით ვინუგეშოთ. — ღვთის წყალობა. — კახეთისკენ რკინისგზა. — არყის გამოხდის ბაჟი. — იჯარით გაცემა სახელმწიფო მამულებისა. — სახელმწიფოს მხრით დავის გამოცხადება მამულების გამიჯვნის დროს. — მინისტრის პროექტი ტყეების დაცვის შესახებ. — სახელმწიფო ტყიდამ სარგებლობა. — სამეურნეო სკოლები სოფლისა.

გაუქმდა განსაკუთრებული მთავარმმართებლობა კავკასიისა. იგი მთავარმმართებლობა მოირიგეს თავ-თავად შიდა-რუსეთის სამინისტროებმა. შეიცვალა ყოველისფერი ქაღალდზედ და რა დაეტყო მით აქაურს ცხოვრებასა, რით იჩინა ამა კვლილებამ თავი, ამას არც არავინ კითხულობს და არც არავისა აქვს სურვილი რომ იკითხოს. ან რა გამოვა — ბევრიც თავი რომ ვიცხელოთო, იტყვიან ზოგიერთნი უჯეროსნი და ურწმუნონი.

ჩვენ ამ უკანასკნელთ არასდროს და არასმხრით არ მივცემთ ბანსა და არც დავეთანხმებით. როგორ თუ რა გამოვაო? ეგ ცვლილება რომ არ მომხდარიყო, განა ჩვენ ოდესმე გვეღირსებოდა იმისი ნახვა, რაც ამ ზაფხულს ვნახეთ! ორი მინისტრი ზედა-ზედ ეწვივნენ ჩვენს ქვეყანასა და განა ეგ ცოტაა. აბა როდის გვღირსებია ეგ იშვიათი დიდება? უწინ, როდესაც ყოფილა თურმე, რომ ჩვენ გვწვევია სამხედრო მინისტრი,

მაგრამ ეს ასეთი ძველის-ძველი ამბავია, რომ არც კი გვახსოვს. მას აქეთ იმოდენა დრო ჩაჰბარდა თავის პატრონსა, რომ დღეს არც კი ვიცოდით, მინისტრი ჩვენებრივი სიკვდილის-შვილი კაცია, თუ ზესთა-ქვეყნური.

არა, ბატონებო, ამ ცვლილებამ დიდი საქმე ჰქმნა: ამ ზაფხულს ორი მინისტრი ჩვენის თვალით დაგვანახვა, ჩვენის საკუთარის ყურით გაგვაგონა. დიდი უმადურობა იქნება ჩვენის მხრით, რომ მოხდენილს ცვლილებას ალმაცერად დავუწყოთ ყურება, არ დავენდოთ და მისგან კიდევ ბევრს ამისთანა სიკეთეს არ მოველოდეთ. ჯერ ახალი ხილია და ამ-სიდიდე გზა გაუხსნა ჩვენს სასოებასა; მაიცათ, ერთი ცოტაოდნად მოძველდეს და მაშინ ნახავთ, რაც გამოვა ამ ცვლილებისაგან.

დიახ, ბატონებო!.. ამ ცვლილებამა ჰქმნა ის ყოვლად უქმნელი საქმე, რომ წლევანდელ ზაფხულში ორი მინისტრი — ერთი გზათა მინისტრი და მეორე სახელმწიფო ქონებათა — ზედა-ზედ მობრძანდნენ ჩვენს ქვეყანაში. რათაო? იკითხავთ თქვენ. ჯერ იმიტომ — რომ ცვლილება მოხდა. მეორე — იმიტომ, რომ ჯერ მათგან არ-ცნობილი ქვეყანა თავის თვალით ენახათ, მისი ავ-კარგიანობა შეეტყოთ, მისი ჭირი და ლხინი გაეგოთ და ყოველივე ამით აბჯარ-ასხმულნი შესდგომოდნენ თავ-თავიანთ საქმეს ჩვენის ქვეყნის სამოთხედ გადაქცევის შესახებ. ნუთუ ამას იქით კიდევ ვინმე გაბედავს თქმას: რა გამოვაო? თუ აქედამაც არა გამოვა რა, მაშ სხვა საიდამღა უნდა რამ გამოვიდეს!

დავწყნარდეთ და სახეში ვიქონიოთ, რომ ეს ორი მინისტრი იმისთანა უწყებისანი არიან, რომელნიც, ასე თუ ისე, ძირეულად შეეხებიან თითქმის ყოველს ღონეს ეკონომიური წარმატებისას. ერთის თავი და ბოლო გზების სიკეთეა და მეორისა — სახელმწიფო ქონების იმ-რიგად მოხმარება და გამგეობა, რა-რიგადაც მოუხდებოდა სახელმწიფოსა და ქვეყანასა. ამიტომაც ეკონომიურის წარმატების მონატრულმა იმათი მოსვლა ჩვენში საყურადღებო ამბავად უნდა ჩასთვალოს. ფიცხოთ გვწამს და ბოლო გვაკვირვებს თუ არა, ეგ ვისთვის ბედ ხელსაყრელია!..

მოდი და ნუ იტყვით!.. ის მოკლე ხანი, რაც ამ მინისტრებმა ჩვენში დაჰყვეს, იქნება ქვეყნის თვალ-და-თვალ დასახედავად საკმარისი იყო, მაგრამ ქვეყნის ამბის შესატყობად კი რა მოგახსენოთ. ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით და ყოვლისფრით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს, თუ ეკონომიურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რომელსაც შეუდედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდედოს მისი მომავალი. ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჯდარია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტკიცესნი არიან.. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზედმოქმედება ისეთი ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგანაც უნიადაგოა და ფეხ მოუკიდებელი; ჰაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, ისე არ იხეირებს არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა, არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

აშკარაა, რკინის-გზით გარბენ-გამორბენა თავიდამ ბოლომდე და ბოლოდამ თავამდე ვერაფერი მასწავლებელია ამ შემთხვევაში. საგანი იმოდენა სიგრძე-სიგანისაა, იმოდენად რთულია და, ზოგიერთა მიზეზთა გამო, იმოდენად შეკუმშულია და შინ-შეკეტილი, რომ მის გამოსაკვლევად ხანგრძლივი დაკვირვება უნდა; უნდა ბეჯითი, მცოდნე და თავიდამ ფეხამდე მართლ-გამჭვრეტავი თვალი. მაგრამ ვინ იცის? საცა მდაბიურს სიკვდილის-შვილს წელიწადები მოუნდება, იქ, იქნება, მინისტრისათვის წუთიც საკმარისი იყოს. თუ მართლა ეგრეა, კინუგეშოთ ამით და მინისტრების ჩვენში ყოფნა ღვთის წყალობად ჩავთვალოთ. ამინ და კირიე ელეისონ!

ჩვენმა თავად-აზნაურობამ, გულ-დაჯერებულმა (რა კაი გულისანი ვართ!) — რომ მინისტრები მართლა ქვეყნის ამბის შესატყობრად მოსულან, ხელთ იგდო დრო და მინისტრებს შეატყობინა ჩვენის ქვეყნის დარდი, იმოდენად, რამოდენადაც მას ამ საგანზედ თვალი უჭრიდა და დროთა ვითარება ნებას აძლევდა. არა გამოვა რაო, ყვიროდნენ აქაც უჯერონი და ურწმუნონი, მაგრამ პასუხად ეს უთხრეს: ჩვენ ჩვენს ვალს მაინც მოვიხდითო.

გზათა მინისტრს წარუდგა თავად-აზნაურობა და სთხოვა ტფილისისა და კახეთის შუა რკინის-გზა გაიყვანეთო. რა უთხრა თავად-აზნაურობამ ამ საგანზედ ბ-ნს მინისტრს და რა პასუხი მიიღო, ეს უკვე ცნობილი უნდა ჰქონდეს მკითხველს „დროებიდამ“, რომელმაც ამის შესახებ ყოველივე საჭირო ცნობა მართლა-და გარკვევით გვაუწყა. ხოლო „დროებაში“, როგორც გვახსოვს, ერთი რამ არ იყო მოხსენებული. თავად-აზნაურობამ, სხვათა შორის, ესეც მოახსენა მინისტრს, რომ თუ ჩვენი თხოვნა თქვენგან პატივ სადებია და არა უარსაყოფელი, ამ საგანზედ ვრცელს წერილს მოგართმევთო, თუ თქვენი ნებაც იქნებაო. მინისტრმა ნება დართო. მას აქეთ კარგა წყალმა ჩაიარა და ამ წერილის შედგენისათვის არამც თუ თითი არავის შეუნძრევია, არამედ ჩამი-ჩუმიც არ ისმის. რას ჰფიქრობს თავად-აზნაურობა? გაუცრუვდება მინისტრს, თუ დაპირებულს აუსრულებს?

თუ გვინდა რომ ამ წერილს შესაფერი ღირსება მიეცეს, ყურადღება მიიზიდოს და თითონ საგანს მთავრობაში გზა გაუხსნას, საჭიროა ორი რამ: ერთი — საბუთები ტეხნიკური, რომელნიც ინჟენერებისაგან მოიპოვება, და მეორე — სტატისტიკური და ეკონომიური, რომელთაგანიც ზოგნი ათასგან აქაიქ გაფანტულნი არიან და ზოგნი ახლად შესაკრებნი. ერთსაც და მეორესაც ხარჯი მოსდევს და სახარჯო კი არსადა სჩანს. ამიტომაც მეტი არ იქნება ჩვენმა გუბერნიის მარშალმა ძიჰმართოს თელავისა და სიღნაღის მაზრის მარშლებს, რათა მათ თავ-თავიანთ მაზრებში საგანგებო კრება მოახდინონ, აუწყონ მდგომარეობა საქმისა, მისი საჭიროება, და მოსთხოვონ

თავად-აზნაურობას ღონისძიება ამა პირველ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. რაკი ერთხელ თავად-აზნაურობამ აღძრა ეს ფრიად სასარგებლო საქმე, რაკი აღუთქვა მინისტრს საბუთიანი წერილი ამ საქმის შესახებ, ეხლა გაჩუმება და გაყუჩება ცოდვაა და სირცხვილიცა. ასე თუ ისე ამ საქმეს უნდა უსათუოდ მოევლოს, რომ ჯერ ქვეყნის საქმეს არ ეღალატოს და მერე თავად-აზნაურობამ პირი არ შეირცხვინოს.

წავიდა გზათა მინისტრი და მოვიდა სახელმწიფო ქონებათა. ამ უკანასკნელს თავად-აზნაურობამ აუწყა წერილით ჩვენის ქვეყნის დარდი. ხოლო დროთა სიმოკლისა გამო, თუ სხვა რაიმე მიზეზისა, იგი წერილი უფრო მაგ დარდების ნუსხასა ჰგვანდა, ვიდრე ვრცელს და საბუთიანს გამოკვლევასა. თითონ წერილის სათაურიც (памятная записка) ამტკიცებს, რომ იგი დაწერილია მარტო იმისათვის, რომ მინისტრმა გაიხსენოს, რა და რა საგანს შეეხება თავად-აზნაურთა თხოვნა და რა და რა საგანზედ უნდა მიიქცეს მთავრობის ყურადღება.

ამისთანა საგანი იმ წერილში შვიდია. ჩვენ ვეცდებით ვაცნობოთ მკითხველებს საბუთები, რომელიც თუმცა მოკლედ, მაგრამ კი გარკვევით სარჩულად დაუდვა თავად-აზნაურობამ თვითოეულს საგანსა.

პირველი საგანი ტფილისსა და კახეთს შუა რკინის-გზის გაყვანაა.

კახეთი და ერთობ ალაზნის ველი მთელს თავის სიგრძესა და განზიდულებაზედ ერთი იმისთანა მხარეა, რომლის ბუნებითს სიმდიდრეს არ შეედრება არამც თუ რომელიმე მხარე ამიერ და იმიერ-კავკასიისა, არამედ მთელის იმპერიისაცა. ჰავა და მიწა ასეთია ამ მხარეში, რომ ყოველისფერი მოვა, რაც კი შეადგენს საგანს პირველ საჭიროებისას და სიმდიდრისას. თუმცა იგი მხარე ეხლა ცნობილია მარტო ღვინითა, მაგრამ ძველ დროს იგი ყოფილა ბოღაზი თითქმის მთელის საქართველოსი. საქართველოს ბაზართათვის მას უზიდნია ღვინის გარდა არაყი, ყოველგვარი ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ბრინჯი, დიდის ღირსების აბრეშუმი, თამბაქო, სამღებრო და

სააფთექო ნივთი, საკლავი საქონელი, მატყლი, ხილი და სხვანი და სხვანი.

ეს მხარე, ყოველის სიკეთით დაჯილდოებული ბუნებისაგან, ეხლა იქამდინ დაეცა, რომ მხოლოობითს წყაროს მისთა მკვიდრთა არსებობისას შეადგენს მარტო ღვინო, რომელიც აგრეთვე თანდათან ფოლდება. ამისი მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ამ მშვენიერს და მდიდარს კუთხეს ქვეყნისას არა აქვს უჭირველი გზა, ესე იგი, სწრაფად სასიარულო და იეფი. ამის გამო კახეთი საქართველოს მაზრებს გამოაკლდა, დაშორდა და თვით რუსეთისაგან განზედ მოჭრით დარჩა.

ამით იმისი თქმა არ გვინდაო, ამბობს თავად-აზნაურთა წერილი, რომ ვითომც უწინ უკეთესი გზები ჰქონოდა კახეთსა და ამიტომაც კახეთი მაშინ კარგს ყოფაში იყოო. პირიქით, ეხლანდელი გზები კახეთისა ბევრად უკეთესნი არიან უწინდელზედა. მხოლოდ ეს გზები უმთავრეს ბაზრებთან არ აერთებს კახეთსა და თუნდაც აერთებდეს, ხელს არ აძლევს იქაურ მკვიდრთა თავისი საქონელი ზიდონ, რადგანაც გზები საურმენი არიან და ამისათვის დიდს დროს ითხოვენ და დიდს ხარჯსა საქონლის ზიდვისათვის. ფოთი-ბაქოს რკინის-გზამ შეაერთა რა ორი ზღვა, შავი და კასპიისა, დიდი ბაზარი გაუხსნა სხვა ნაწილებს ამიერ-კავკასიისას, ალაზნის ველი კი დიდს მანძილზედ შორს დასტოვა და ამით დააშორა იგი არამც თუ რუსეთს, რომლისათვისაც კახეთს შეეძლო მიეწვდინა ყოველივე ნაწარმოები, რაც კი მოჰყავს მადლიანს სამხრეთსა, არამედ ტფილისსაცა, საცა სხვა ნაწილთ ამიერ-კავკასიისათა უფრო მალე და უფრო იეფად მოაქვთ თავისი-რკინის გზითა. თითონ ღვინოც კი იმ ადგილებისა, რომელთზედაც გადის რკინის-გზა, უფრო ადვილად და უკეთესად საღდება, უფრო მალე პოულობს მუშტარსა, ვიდრე კახური ღვინო, რომელიც ღირსებით უფრო აღემატება, და რომელიც უგზოობით მარნებშივე რჩება და ხშირად მუშტრის ლოდინში ფუჭდება და გადასაღვრელად ხდება. ეს ამბავი მით უფრო სამწუხაროა, რომ კახეთს შეუძლიან გაუძღვეს ღვინით თითქმის მთელს რუსეთსა, რომელიც მილიონებსა ხარჯავს საზღვარ-გარეთის

ღვინოების სასყიდლად და ამ სახით მილიონები შინიდამ გარეთ გადის.

ეხლანდელი მდგომარეობა სასოფლო მეურნეობისა კახეთში მეტად დაცემულია. დიდი შეცდომა იქნება კაცისაგან, რომ ამ მდგომარეობის მიხედვით შეადგინოს თავისი აზრი იმ წარმოების ძალ-ღონეზედ, რომელიც კახეთს ბუნებითად მინიჭებული აქვს. იგივ დიდი შეცდომა იქნება, რომ კაცი ამ აზრს დაემყაროს და აქედამ გამოიყვანოს ის, თუ — რამდენი გამოსაზიდავი საბაზრო საქონელი ექნება კახეთს, რომ რკინის-გზის ხარჯი დაჰფაროს და სარგებელიც მოიტანოს რკინის-გზის მფლობელთათვის. კახეთს ეხლა ის მოჰყავს — რაც მისთვის აუცილებელია, და იმოდენად მოჰყავს — რამოდენადაც საჭიროა. იმიტომ რომ ყოველი ნამეტანი ერთს შემთხვევაშიც და მეორეშიც უგზოობით და, მაშასადამე, უბაზრობით გადასაყრელად ხდება. თუ რაიმე ეხლა მოჰყავს ნამეტანობით, ეგ მარტო ღვინოა, რომელიც თავისის სიკეთისა და ღირსების წყალობით ზოგჯერ უძლებს საურმე გზით ზიდვას, იმის ჭირსა და ხარჯსა, თუმცა კი დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახითა. ამას ვამბობთ ჩვენ მარტო იმისთანა ღვინოზედ, რომელიც ოთავი-და-თავი და ძვირფასი ღვინოა, თორემ დაბალი და იეფფასის ღვინო ამასაც მოკლებულია, შინა რჩება და ტყუილუბრალოდ ფუჭდება. ამ გარემოებამ აიძულა იქაურნი მკვიდრნი შეემციროთ ვენახების სივრცე, ღვინო ნაკლებად მოეყვანონ. ამით აიხსნება ის უეჭველი გარემოება, რომ კახეთში ეხლა ღვინის წარმოებამ იკლო, ღვინო ეხლა ნაკლებად მოდის. და თუ ამას არა ეშველა რა, ეგ სასარგებლო წარმოება ძალიან დაეცემა კახეთში, მაშინ როდესაც ყოველის მხრით მას ძალ-ღონე აქვს ბუნებითად, რომ თითქმის მთელს რუსეთს მიაწვდინოს ჯანმრთელი, შეურეველი და შეუკეთებელი ღვინო.

რადგანაც რკინის-გზები გაჰყავთ ერთისა და ორის წლისათვის კი არა, არამედ სამუდამოდ, ამიტომაც მის შესატყობლად, თუ — რა გამორჩომა ექნება კახეთის რკინის-გზას, დროებითს ვითარებას კი არ უნდა შეაჩერდეს კაცი, არამედ მას, რაც სამუდამოს ძალ-ღონეს წარმოებისას შეადგენს. ამი-

საოვის საფუძვლად მიღებულ უნდა იყვნენ იგი თვისებანი ჰავისა და მიწისა, რომელთა ერთად კრება ამცნევს კაცს, ქვეყანას რა წარმოება შეუძლიან და რა არა. ამ ჰავისა და მიწის ბუნების თვისებასთან ერთად იმედი ნაწარმოების ადვილად გასაღებისა თითქმის ერთად-ერთი მიზეზია, ერთად-ერთი სათავეა ეკონომიურ ცხოვრების განვითარების, ყოველგვარ საწარმოებელის აღორძინებისა და გაძლიერებისა. გაუხსენით კარგი, სასწრაფო და იეფი გზა ბაზრისა და მაშინ ქვეყანა რის შემძლებელიც არის, უეჭველად ყოველსფერს შეჰქმნის ადრე თუ გვიან. ვისაც თუნდა თვალ-და-თვალ გადუხედავს კახეთისათვის, იგი, რასაკვირველია, ვერ იტყვის, რომ საწარმოებელი ძალ-ღონე მისის ჰავისა და მიწისა თავისის საკეთით და უხვებით ყოვლად საიმედო არ იყოს.

აი ის საბუთები, რომელნიც წარუდგინა თავად-აზნაურობამ სახელმწიფო ქონებათა მინისტრს კახეთის რკინის-გზის შესახებ და სთხოვა, რომ მანცა თავის მხრით ამ საქმეს შემწეობა აღმოუჩინოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, თუ ვინიცობაა ამ საქმემ მის დიდებულებამდე მიაღწია.

მეორე საგანი — არაყის გამოხდის ბაჟსა და წესებს შეეხება.

არაყის ხდა ტფილისის გუბერნიაში და ყველგანაც ამიერკავკასიაში ზედ მისდევს ღვინის წარმოებას, რადგანაც აქ არაყსა ხდიან განსაკუთრებით ჭაჭისაგან. ჭაჭისაგან ხდა არაყისა მით უფრო პატივსადებია და საყურადღებო, რომ ჭაჭა სხვაფრივ არასფერში გამოსადეგი არ არის. ჭაჭიდამ არაყისა თუ სპირტის კეთება ხალხს პირიდამ არ აცლის იმისთანა საზრდოს, როგორც პურია და სხვა ხორბლეული; ამ გზით არაყის წარმოებას ბაზრიდამ არ გამოაქვს და არაყად არ აქცევს მას, რაც ხალხისა და ქვეყნისათვის საჭმელად აუცილებლად საჭიროა. მარტო ამ გარემოებას უნდა მიემართა აქაური კანონმდებლობა ბაჟისა, გადასახადის და წესების შედგენის დროს, რომ არაყის ხდას ჭაჭისაგან დიდი შეღავათი მისცემოდა, დიდი ფართო გზა, და გაძლიერებულიყო, რადგანაც ჭაჭა, როგორცა ვსთქვით, ხალხისათვის სხვაფრივ გამოუსადეგ-

გია და პურისაგან ხდა კი შეევიწროებინა და სრულიადაც დაებრკოლებინა. ეხლანდელი კანონები აქციზისა ისეთები არიან, რომ ჭაჭისაგან არაყის ხდას არამც თუ უპირატესობა მიეცა, არამც თუ გზა გაეხსნა, არამედ დაუვარდა, დაუმარცხდა პურისაგან ხდასა. და თუ კიდევ ცოტად თუ ბევრად ჭაჭისაგან ხდა კაინაჩრობით წარმოებს და უძლებს ეხლანდელის აქციზის სიმძიმეს — ისიც მაშინ, თუ ჭაჭის არაყის მხდელი ძვირად ღირებულს ქარხანას გაიმართავს, ესე იგი იმისთანა ქარხანას, რომელიც ისე უნდა იყოს მომართული, რომ ცოტა ხანში რაც შეიძლება ბევრი გამოხადოს. ამ გარემოებამ ისე დასცა ძირს ჭაჭის არაყის ხდა, ისე დააფოლა, რომ ჭაჭა, რომელსაც აქამომდე გლეხკაცობა არაყის სახდელად ხმარობდა, რომელიც კაი ფასადაც გადიოდა და ვენახების პატრონებს — ერთს მესამედ შემოსავალს ჰმატებდა, ზოგიერთს ალაგას გადასაყრელად გახდა, როგორც, მაგალითებრ, დუშეთის და ტფილისის მაზრაში, და სხვა მაზრებში კი — წვრილთა მწარმოებელთ. ესე იგი გლეხკაცობას, ხელიდამ გამოეცალა, ფულის პატრონებს ჩაუვარდათ ხელში, და ამ გზით ყველა წვრილთა მწარმოებელთა საწარმოებელი — ქარხნის წარმოებად გარდაიქცა, როგორც, მაგალითებრ, თელავისა და სიღნაღის მაზრაში. იმ დრომდე, ვიდრე აქციზის უწინდელი წესდებულება ხელს უწყობდა ჭაჭის არაყის ხდასა და შესაძლოდა ჰქმნიდა ჭაჭიდამ არაყი ეხადნათ იეფი ფასის ქვაბებში და არა ძვირფას ქარხნებში, ხალხს ამ წარმოების წყალობით იმოდენი გამორჩომა ჰქონდა, რომ თითქმის ამის გამონარჩომით უძღვებოდა სახელმწიფო ხარჯსა. ეხლა კი ეგ წყარო, რომელიც ხალხს უძლიერებდა ღონეს ხარჯის გადახდისას, მოსწყდა, იმიტომ რომ ეხლანდელის აქციზის სიმძიმეს ვერ უძლებს არამც თუ იეფის ფასის ქვაბი, რომელიც ასე თუ ისე ადვილად მოსაპოებელია გლეხკაცის მიერ, არამედ ძლივს იტანს თითონ ძვირფასი ქარხანაცა, რომელსაც გლეხკაცი ხელსაც ვერ მიაწვდენს და რომელიც მარტო ფულიანის კაცისათვის არის შესაძლებელი. ამის გამო იქაც, საცა ჭაჭა ჯერ კიდევ გადასაყრელად არ გამხდარა, გლეხკაცობა იძულებულ შეიქნა მოესპო ქვაბით ხდა

და ეს წარმოება დაეთმო იმ პირთათვის, ვისაც ჯიბე ღონეს აძლევდა დაედგა ძვირად ღირებული ქარხანა. ამ სახით, ხალხი, რომელსაც ჩამოერთო ყოველივე ღონისძიება ჰაჭის არაყის ხდისა და რომელსაც ვეღარ ძალუძს თითონ ხადოს ჰაჭის არაყი, იძულებულ შეიქნა თითონ ჰაჭაც ჩალის ფასად ჰყიდოს, იმიტომ — რომ ქარხანების პატრონები იმოდენად ცოტანი არიან რიცხვით, რომ ყოველთვის ახერხებენ პირის შეკვრას ჰაჭის ფასის დასაწევად, რადგანაც მუშტარი მათ მეტი სხვა აღარავინ არის. ეს ახალი წესი აქციზისა, რომელმაც დააკლო თითქმის ერთი მესამედი შემოსავალი იმ ადგილებს, საცა ხალხი ვენახობას მისდევს, შეუძლებელია ხალხის გაღარიბების მიზეზად არ შექმნილიყო. ეგ აშკარად დაეტყო ხალხის ეკონომიურს ყოფა-ცხოვრებასა.

ამიტომაც საჭიროა ხელახლად გადისინჯოს აქციზის წესები და ახალი კანონები მიიმართოს იმაზედ, რომ ჰაჭის არაყის ხდას ფართო, დაუბრკოლებელი გზა გაეხსნას, უპირატესობა და ყოველივე შემწეობა მიეცეს.

მესამე საგანი სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემაა. ეხლანდელის წესების წყალობით სახელმწიფო მამულები საიჯაროდ გადადის იმისთანა კაცების ხელში, რომელნიც მიწათ-მომქმედთ არ ეკუთვნოდა, და იმის ცდაში არიან, რომ თითონ მამულს კი არ გამორჩნენ რასმე, არამედ თითონ მიწათ-მომქმედს ხალხს, რომელსაც საიჯარო მამული უჭირს. იჯარადარი გადასცემს ხოლმე იჯარით აღებულს მამულს თითონ ხალხს, რაც შეიძლება დიდის სარფით და დიდის მოგებითა. ამ სახით იჯარადარი მხოლოდ შუამავლობს სახელმწიფოსა და მიწათ-მომქმედ ხალხსა შორის და ისიც უღონო ხალხს ამ შუამავლობისათვის დიდს ფეხის ქირას ახდევინებს. ხალხი ამის გამო მეტსა ხდილობს, იჯარადარი ოფლმოუწურავად მდიდრდება და ხაზინაც ზარალობს, იმიტომ რომ სხვა წესი რომ იყოს, ის ნამეტანი, ის სართი, რასაც ეხლა ხალხი ტყუილ-უბრალოდ ხდილობს იჯარადრის ასაშენებლად, ზოგი ხაზინას შეემატებოდა და ზოგი თითონ ხალხს შერჩებოდა. ვინ არ იცის, რომ პირდაპირი მუშა მიწისა, პირდაპირი მკეთე-

ბელი მამულისა, რაც უნდა ღარიბი იყოს, უფრო მეტს იჯარას გაიმეტებს, ვიდრე იგი, ვინც მამულს მარტო იმისათვის იღებს იჯარით, რომ სხვას გარდასცეს მოგებითა. ამ შემთხვევაში თითონ ხალხიც მოგებაშია, რადგანაც ის ნაწილი სართისა, რომელსაც მოიჯარადრე ახდევინებს თავის შუამავლობისათვის, თითონ ხალხსვე დარჩება ჯიბეში.

რომ ეს ასე იქმნას, საჭიროა სოფლის ხალხს გაეხსნას ფართო, დაუბრკოლებელი გზა სახელმწიფო მამულების იჯარით აღებისათვის. ამისათვის აუცილებელია თითონ საქმის წარმოება იჯარით გაცემის შესახებ განმარტივდეს, შესაძლოდ შეექმნას სოფლის ხალხს უშუალოდ, უვექილოდ: მეტისმეტი მიწერ-მოწერა მოისპოს; რაც შეიძლება შორს მანძილზედ მოიფინოს ხმა, რა მამულია საიჯაროდ გასაცემი და სად არის, რა დღეა დანიშნული სავაჭროდ და რა ადგილას; განსაკუთრებული უწყება ყოველს ამაზედ უნდა გაიგზავნოს იმ სოფლებში, რომელთზედაც უფრო ახლოა თითონ საიჯარო მამული; დრო და ადგილი სავაჭროდ ისე შერჩეული უნდა იყოს, რომ მსურველთ გაჭირვებულ მუშაობის დროს მოცდენა და შორს სიარული ვაჭრობაზედ დასასწრებლად არ მოუხდეთ. გარდა ამისა, ზოგიერთ მამულებზედ იჯარის ვადა უნდა მეტი იყოს, ვიდრე ეხლა. მაგალითებრ, ზამთრის საძოვრები გაიცემა ხოლმე მარტო სამის წლით. რადგანაც ზამთრის საძოვრებს გომები, ფარეხები და ბინები უნდათ და ამათს აშენებას დიდი ხარჯი მოსდევს, ამის გამო ეგ საძოვრები ღირებულ ფასად არ გადის და ხალხს კი მაინც-და-მაინც ძვირად უჯდება. მოიჯარადრე, რომელიც ამისთანა მამულს იღებს, იძულებულია გომით, ფარეხით და ბინებით მოაწყოს ზამთრის საძოვარი. ამაზედ დიდი ხარჯი მოსდის და იძულებულ ხდება ეს ხარჯი თავისის სარგებლით სამს წელიწადში დაიბრუნოს. ვის გადაახდევინოს ეს ხარჯი, თუ არა ხალხს, რომელსაც ზამთრის საძოვარი უჭირს. ამ სახით ხალხს ბევრი ერთმევა და ამით ხაზინას არა ემატება რა, თუ არ აკლდება. აკლდება იმიტომ, რომ მოიჯარადრე, რომელსაც გამორჩომისათვის მარტო სამი წელიწადი უდევს წინ და იმოდენა ხარჯი საძოვრის მო-

წყობისათვის, ვერ შეჰბედავს დიდის იჯარის შეძლევას.

სხვაფრივ კი რომ მოეწყოს სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის საქმე, კანონები და წესნი რომ ხელს უწყობდნენ სოფლის ხალხს სახელმწიფო მამულები უშუაკაცოდ ხელში ჩაიგდონ, ხაზინაც მოგებაში იქნება და ხალხიცა.

მეოთხე საგანი შეეხება დავის ატეხას სახელმწიფოს მხრით მამულების გამოჯვნის დროსა.

ერთი უდიდესი ბოროტება, რომელიც ძირს უთხრის ტფილისის გუბერნიის და საერთოდ ამიერ-კავკასიის ეკონომიურს კეთილდღეობას, რომელიც ხალხს ფეხსა და ხელს უბრკოლებს წარმატების გზაზედ და ყოველს ღონეს უქმად ალევინებს დაუსრულებელ დავიდარაბაში, — ეგ განუსაზღვრელობაა მამულების კუთვნილებისა. გამოჩნდება თუ არა სადმე მიწის-მზომავი *, უმალვე ათასი დავიდარაბა ატყდება ხოლმე იქ, სადაც ათადამ-ბაბადამ მშვიდობიანი და უცილობელი მფლობელობა იყო მიწისა. იქ, საცა მანამდე კაცის ცხოვრება მიდიოდა უჩხუბრად და მშვიდობიანად, გაჩნდება ხოლმე ჩხუბი, მტრობა, ზოგჯერ თოფ-იარაღის ტრიალი და კაცის კვლაცა.

ვიდრე ამისთანა მტრობა ცალკე კაცთა ერთმანეთში მოსდით, ისე საშიში არ არის, როგორც მაშინ, როცა სოფელი სოფელს დაეჯახება, ერთი წოდება მეორესა. ეგ იქ მოხდება ხოლმე, საცა ხაზინა თავის აგენტების პირით თავის დავას გამოაცხადებს ხოლმე გასამიჯნავ მიწებზედა. რასაკვირველია, — ამბობს ამ შემთხვევაში თავად-აზნაურთა წერილი, — თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა შორს არის იმაზედ, რომ სახელმწიფომ არ იძიოს თავის მამულები და, საცა საჭიროა, დავა არ გამოაცხადოს; მაგრამ სამწუხაროდ ესა გვაქვსო, რომ აქაურს სახელმწიფო ქონებათა გამგეობას თითქოს ჩვეულებად და წესად მიუღია, საცა უნდა და არ უნდა, უსათუოდ დავა გამოაცხადოს, იქაც კი, საცა უცილობელი და მფლობელობისა. მაგალითებრ, არა ერთხელ მომხდარა, რომ

* Землемер.

ხაზინის აგენტს გაძოუცხადებია დავა არამც თუ ტყესა და მინდორზედ, რომელთაც ძნელად დააჩნდება ხოლმე ნიშნები მფლობელობისა და ხმარებისა, არამედ სახლ-კარსა და ვენახებზედაც, საცა ასწლოვანი შენობანი და დიდიხნის დანარგულევი — უტყუვრად, თვალ-და-თვალ მოწმობენ, რომ ეკუთვნიან მას, ვინც შიგ არის და ჰფლობს.

ამისთანა დავა სახელმწიფოს მხრით, დავა, რომელსაც, ცხადია, სასარგებლო ბოლო არ ექნება ხაზინისათვის, ტყუილ-უბრალოდ გაუბამს ხოლმე მემამულეთ საქმეს, დაუსრულებელს სამართალში გააბამს და თითონ სასამართლოსაც აუარებელ საქმეებს მოახვევს ხოლმე კისერზედ. ამის გამო თითონ გამიჯვნა ქვეყნისა ბრკოლდება, მამულები შეუმუშავებლად რჩება დავის გათავების ლოდინში და მემამულენიც პროცესებზედ იხარჯებიან ტყუილ-უბრალოდ და აძით თითქმის იძარცვებიან. ამისთანა უხეიროდ და ამაოდ დაკარგვა დროსი. შეძლებისა, ჯაფისა, რომელიც უნდება ხანგრძლივს პროცესებს, ისე ღრმად და მტკივნეულად აჩნდება მიწათ-მფლობელთა და მიწათ-მომქმედთა ეკონომიურს ყოფას, ცხოვრებას, რომ არ შეიძლება ამ გარემოებამ არ მიიზიდოს ყურადღება მთავრობისა...

ეს ყურადღება მით უფრო საჭიროა, რომ სახელმწიფოსაგან გამოცხადებულს დავას თითქმის ყველგან ზედ მოსდევს გადამტერება ორთა წოდებათა შორის: ერთ-მხრივ მიწათ-მფლობელნი მოექცევიან ხოლმე და მეორეს-მხრით — მთელი წყობა სახასო გლეხთა. არა ერთხელ მიუღწევია გადამტერებას იქამდინ, რომ მოუთხოვნია ძალით დამშვიდება არეულობისა, ძალით მოსპობა ძალმომრეობისა და ცემა-ტყეპისა. რაკი ხაზინა დავას გამოაცხადებს ხოლმე მამულზედ, რომელიც ჯერ ისევ მოპირდაპირეს ხელშია, მაშინვე სახასო გლეხნი, რომელთ სახელმწიფო მამული თავის საკუთრებად ჰგონიათ, დაეცემიან სადავოდ გამხდარს მამულს და სარგებლობენ, რამოდენაც შეუძლიანთ. იშვიათი ამბავი არ არის, რომ ამ სახით მშვენიერი ტყეები ძირს არ დაეცათ; იშვიათი ამბავი არ არის, რომ ხელაღებით არ გადეკაფნათ იგი ტყეები, რომელსაც დღეს-აქამომდე

იცავდა და ინახავდა საყოველთაო რწმენა მასზედ, რომ იგი ეკუთვნოდა მის მფლობელსა. ბოლოს ის გამოვა ხოლმე, რომ უსაბუთოდ ხაზინისაგან ნადავი მამული ისევ თავის პატრონსა ჰრჩება, ხაზინა განზედ დგება და სახასო გლეხთა კი ზედ აწვებათ წანახედის ზღვევა.

რასაკვირველია, არიან შემთხვევანი, საცა ხაზინა მოვალეა თავისი ინტერესი დაიცვას, საცა არ შეიძლება მან დავა არ გამოაცხადოს. ბევრი ტყუილად დავობს ხოლმე სახელმწიფო მამულებს. მაგრამ სანატრელია ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ქვეყნის მშვიდობიანობისა და მყუდროებისათვის, — ხაზინამ მიიღოს იმისთანა რამ ზომიერება, რომ უსაბუთოდ უმართლო დავის გამოცხადება მის მხრით შეუძლებელ იქმნას. ამისათვის, თავად-აზნაურთა აზრით, კარგი იქნებოდა დაწესდეს, რომ დავა მამულებზედ ხაზინისაგან არ გამოცხადდეს უიმისოდ, ვიდრე კამისიამ, სამთა სახელმწიფო ქონების მოხელეთაგან შემდგარმა, არა სცნას, რომ დავა საბუთიანია. ან არა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა იძულებულ იყოს თვისის მოპირდაპირის სასარგებლოდ იგივე ჯარიმა იხადოს უმართლო დავის გამოცხადებისათვის, რომელსაც კერძო პირნი ერთმანეთის სასარგებლოდ იხდიან აჭაურის წესდების ძალითა.

მეხუთე საგანი შეეხება კერძო მფლობელთა ტყეების დაცვასა.

ყოვლად შეუწყალებლად, დაუნდობლად და წინ-დაუხედავად კაფვა ტყეებისა ტფილისის გუბერნიაში დიდს უბედურებას შეგვამთხვევს. ჩვენი მინდვრები, მამულ-დედულები უწყლოობით ხრიაკებად გადიქცევა. ძლიერი გვალვები, რომელიც ამ ბოლოს ხანებში ასე ხშირად გვეწვევა ხოლმე, წინამორბედია ამ საუბედურო მერმისისა. რა საჭიროა მეტად გაგრძელება სიტყვისა მასზედ თუ, რა უბედურება მოსდევს ტყეების ხელაღებით კაფვასა და რა კეთილი — მათს გაფრთხილებასა. ერთიცა და მეორეც კარგად მოეხსენება თითონ სამინისტროსაო, ამბობს თავად-აზნაურთა წერილი. სამინისტროს უკვე შეუდგენია წესდება, მიმართული მასზედ, რომ არამც თუ სახელმწიფო ტყეები, არამედ კერძო პირისაც, დაცულ იქმნას და

ფრთხილად ხმარებულ. თავად-აზნაურნი სთხოვენ ბ-ნს მინისტრს მარტო მას, რომ იგი წესდება ტფილისის გუბერნიაშიც შემოიტანოს და ამოქმედოს.

მეექვსე საგანი სახელმწიფო ტყეებიდამ შეშისა და სხვა მასალის გამოტანას და სარგებლობაა ეხება.

არ არის არც ერთი ნაწილი კანონმდებლობისა, რომლისათვისაც ისე საჭირო იყოს შეთანხმება აქაურს ვითარებასთან, როგორც ის ნაწილი, რომლის ძალითაც დადგენილია უფლება და რიგი სახელმწიფო ტყეებიდამ სარგებლობისა ტფილისის გუბერნიაში. მარტო ის გარემოება, რომ აქაური მკვიდრი თავის-თავის გასათბობად კერასა ხმარობს და არა ფეჩსა, საკმაოდ პატივსადები მიზეზია განსაკუთრებულ კანონების დასადგენად სახელმწიფო ტყეებიდამ სარგებლობის შესახებ. ამას ისიც რომ დაუმატოთ, რომ აქ თორნეში აცხობენ პურსა, რომ უფრო მომეტებულს ნაწილს ტფილისის გუბერნიისას ვენახები აქვთ, რომელთაც ჭიგო, სარი, მარგილი და ღობე უნდებათ, მაშინ უფრო ცხადად დავინახავთ, რომ ფრიად და ფრიად საჭიროა კანონმდებლობა სახელმწიფო ტყის ხმარების შესახებ შეეფეროს აქაურთა მკვიდრთა შინაურს, საოჯახოს და სამეურნეო მოთხოვნილებასა და იგი ხმარება იმოდენად გაუადვილდეთ და გაუიეფდეთ, რამოდენადაც შესაძლებელია ერთის მხრით ტყის გაფრთხილებისათვის და მეორეს მხრით გლეხკაცობის ჯიბისათვის.

მეშვიდე და უკანასკნელი საგანი სამეურნეო სკოლების დაარსებას შეეხება.

თავად-აზნაურობამ უკვე იცისო, ამბობს მათი წერილი, თქვენის მაღალ-აღმატებულების გულითადი მეცადინეობა და განათლებული მზრუნველობა მასზედ, რომ რაც შეიძლება მომეტებულად და ვრცლად მოეფინოს მთელს იმპერიას სამეურნეო ცოდნა სამეურნეო სკოლების შემწეობითა. არ არის სხვა მხარე იმპერიისა იმისთანა, რომ ასე უჭირდეს მაგ-გვარი საოსფლო სკოლები, როგორც უჭირს ამიერ-კავკასიას საერთოდ და ტფილისის გუბერნიას საკუთრივ. მთელი ამიერ-კავკასია საერთოდ და ტფილისისა ცალკედ ძველთაგანვე სულდგმულობს

მარტო იმ წარმოებითა, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულია მიწასა და მიწათ-მოქმედობაზედ. მხოლოობითი წყარო ეკონომიურის არსებობისა აქაურ მკვიდრთათვის სამეურნეო წარმოებაა. მასზედ არის დამოკიდებული ქვეყნის ღონე, როგორც სახელმწიფო ხარჯის გასაძღოლად, ისეც თავისთავის საცხოვრისად. ამიტომაც ყოველის მხრით ხელის შეწყობა ამ ერთადერთის წარმოებისა განსაკუთრებულ მზრუნველობის საგნად უნდა შეექმნას მთავრობასა. ერთი ძლიერი და გამონაცადი საშუალება ამ შემთხვევაში არის გავრცელება მიწათ-მომქმედთა შორის სამეურნეო ცოდნისა, თუნდაც პრაქტიკულად. უკეთესი გამავრცელებელი კიდევ სამეურნეო სკოლებია სოფლებში.

ჯერ-ხანად ძნელია იფიქროს კაცმა, რომ თაოსნობა ამ საქმეში კერძო პირთაგან წარმოსდგეს, ანუ თითონ საზოგადოებისაგან. თუ კანტი-კუნტად სადმე ან ერთს, ან მეორეს თავი უჩენია ამ საქმეში, მაგრამ მყისვე უკუქცეულან უღონობისა, უქონლობისა და შეუძლებლობისა გამო. უქმად ჩაუვლია მათს გარჯას და მეცადინეობას ამ-გვარის სკოლების დაარსებისათვის უქონლობის, უფულობის გამო.

თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა დარწმუნებულიაო, ამბობს წერილი, რომ მისი სიკეთე და კეთილდღეობა მჭიდროდ დამოკიდებულია მის და გარემო მცხოვრებთა მიწათ-მომქმედთა სიკეთესა და კეთილდღეობაზედა; და რადგანაც უკვე იცისო თქვენი განათლებული აზრი მასზედ, თუ რა საჭიროა მთელის იმპერიისათვის ზემოხსენებული სკოლები, იმედოვნებსო, რომ ტფილისის გუბერნიაც, რომელსაც უფრო მეტად უჭირს ეგეთი სკოლები, არ დარჩება თქვენის მზრუნველობის გარეთო.

დასასრულ, ამას ეუბნება ბ-ნს მინისტრს წერილი თავად-აზნაურობისა: თუ თქვენი მაღალაღმატებულება კეთილ-ინებებს და საჭიროდ დაინახავს, რომ რომელიმე საგანი, აქ ხსენებული, უფრო ვრცლად ახსნილ იყოს და ამასთან უფრო გარკვევით ნაჩვენები იყოს მიზეზი, რომელმაც ჩვენ გვაიძულა ამა წერილის მორთმევა, თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიისა ყოველთვის მზად იქნება ერთისაცა და მეორისათვისაცაო.

XXVI

შინაური მიმოხილვა.

1883 წელი, ნოემბერი.

ყველაზედ დიდი ნაკლი. — დაბალი ღობე. — ჩვენი ხასიათი. — აღვირ-აშვებული ვარჯიშობა. — აბრუ-გატეხილი სიტყვა. — რა მიზეზიაო. — რა ვიგრძენით. — ავყვეთ. — გარეგანი დაბრკოლება. — საყოველთაო მოსახდენი. — თვით განგვიკითხოს. — თქვენ პირს შაქარი. — დიდს ყოფაში ვყოფილვართ. — მაშ რა მიზეზია? — ცენტრალიზაცია. — გამოვწლათ. — ახლა ვიკითხოთ. — ვსთქვათ — განა? — წამალი. — ნაპოლეონ III. — წველა და სანქცია. — რა გამოდის. — არა, ბატონებო. — მაშ რა ყოფილა? — რა დროს სიზმრებია. — მიზეზთა მიზეზი. — გვჯერა. — საიდამ და სად.

ბევრი რამ გვაკლია ჩვენ, ქართველებს, მაგრამ ყველაზედ დიდი ნაკლი ის არის, რომ ჯერ-ხანად არ ვიცით საზოგადო საქმეს როგორ მივცეთ მხარი, როგორ მოვუაროთ, როგორ ვუპატრონოთ. აი, მაგალითებრ, თეატრია. ამისათვის წესდებულება დავსწერეთ, დავამტკიცებინეთ, ქართული დრამატიული საზოგადოება შევადგინეთ, გამგეობა ამოვურჩიეთ, ყველაფერი თითქო მოვაწყეთ და ეხლა რას ვხედავთ? მტერსაც ნუ დაჰმართვია ის საქმე, რაც მაგ საზოგადოებას დაემართა. ამ-რიგადვე შესდგა წერა-კითხვის საზოგადოება, ამ-რიგადვე დავუწერეთ წესდებულება, დავამტკიცებინეთ, გამგეობა მივუჩინეთ, ერთის სიტყვით — გარედამ შესაფერად მოვრთეთ და ლამის ამ საზოგადოებამაც სული დალიოს. ამ-რიგადვე შესდგა თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის. აქაც წესდებულება დაიწერა, დამტკიცდა, გამგეობა ამორჩეულ იქმნა, მაგრამ მაინც კიდევ

ეს საზოგადოება დაბადების უმალვე სულს დაჰლევდა, რომ ბანკიდამ ფულით შემწეობა არა ჰქონდეს, თავისით ერთს დღესაც ვერ იცხოვრებდა. ერთს დღესაც ვერ დააღამებდა. ერთი სიტყვით, რომელი „საზოგადოებაც“ გინდათ აიღეთ, ოღონდ კი ფილტვები გაუსინჯეთ, და ნახავთ, რომ თავისით, თვისის საკუთარის თვითმოქმედებით, არც ერთს მათგანს ღონე არ აქვს იხეიროს და იდღეგრძელოს.

ამისთანა გულსაკლავმა ამბავმა, რასაკვირველია, მიიზიდა ჩვენის, ეგრეთ წოდებულის ინტელიგენციის თვალი და ყურადღება. ინტელიგენციისა მეთქი, იმიტომ რომ ამისთანა საქმეებს ჩვენში სხვა არავინ დასდევს და თუ რამ ქვეყნისადმი გულის-ტკივილია სადმე, კიდევ ამ ინტელიგენციაშია. რასაკვირველია, შესდგა ამაზედ ლაპარაკი და განსჯა სიტყვითა, თუ კალმითა, შინაურობაში, თუ ლიტერატურაში. ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ყველანი ერთხმად იმოწმებიან, რომ ჩვენში არც ერთი „საზოგადოება“ ისე არ მიდის, როგორადაც სასურველი იყო დამწესებელთათვის და როგორადაც სასურველია ყველა გულშემატკივარისათვის და თითონ საქმისათვისაც. ეს ასეთი მართალია, რომ არა გვგონია ვინმე უარჰყოს. უჩხრიკეს მიზეზი, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და შიგნეულობამდე რომ საქმეს თვალი ვერ ჩააწვდინეს, აიღეს და ბრალი დასდეს თითონ „საზოგადოებას“ და უფრო მის „გამგეობას“. გამგეობა არ ვარგაო და ყველა უბედურობა აქედამ წარმოსდგებაო. არ გამოვა ჩვენში იმისთანა კაცი, სიტყვისა, თუ კალმისა, რომელსაც ასე თუ ისე არ გამოეცხადებინოს სამდურავი გამგეობაზედ და ბრალი მისათვის არ დაედოს, რადგანაც ამ შემთხვევაში „გამგეობა“ დაბალი ღობეა. ის კი აღარავის მოსვლია ფიქრად, რომ თუ შენობა ქვიშაზეა აგებული, ვერა დიდი ოსტატი, ვერა დიდი არქიტექტორი ვერას უშველის. მაგისთანა შენობას თვით თავის აგებულობაშივე აქვს მიზეზი სისუსტისა და თუ დაიქცა, სასაცილო იქნება ბრალი შენობის ყარაულს, მეთვალყურეს დაჰბრალდეს.

ჩვენ, ქართველებს, ერთი საკვირველი ხასიათი გვჭირს. რაც უნდა მძიმე და რთული საგანი იყოს, რაკი კბილზედ მო-

ვიგდეთ, რაკი დრომ, თუ სურვილმა, ხელი ჩაგვაკიდებინა, ვალად იმას კი არა ვრაცხთ, — საქმეს თირკმელები მოვუჩხრიკოთ, შიგნეულობა გამოვუწლათ, ცუდისა და კარგის მიზეზი ზედმიწევნით შევუტყოთ და შესაფერი წამალი მოვუნახოთ, არამედ იმასა ვცდილობთ, რომ საქმეს ზედაპირზედ ავუცურდეთ, ავუსხლტეთ, და იმისთანა წამალზედ მივუშვიროთ ხელი, რომელიც ყველას ყოველთვის თვალ-წინა აქვს, ფეხ-ქვეშ უგორავს. და რომელსაც თუ არა ხმარობენ, მარტო იმ მიზეზით, რომ ის წამალი წამლად გამოსადეგი არ არის, და მაჩვენებელს კი ჰგონია — გამოცანა მარტო მე მერგებაო. უყურებთ და გიკვირთ ამისთანა მოქმედება, თითქო ეს ამოდენა კორიანტელი მარტო იმისათვის აუყენებიათო, რომ ქვეყანას დაანახვონ: აი, საქმე რა ადვილი მოსავლელია და მის გამგებელთ იმოდენა ჭკუა და მოხერხება არა აქვთ, რომ მოუარონო. არ ვიცით, ამით საქმეს შველიან რასმე, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ მაყურებელნი, თუ მსმენელნი, — სტყუვდებიან და არც შეიძლება არ მოსტყუვდენ. მართლადაც, არ-მცოდნეს რომ მძიმე საქმე გაუმჩატო, მჩატე ეგონება. აშკარაა, იფიქრებს, რომ ვისაც ის საქმე ზურგთა ჰკიდია, ტყუილად წელში იხრება, ტყვიის მაგიერ ბუმბული წამოუკიდნია და ხვნეშის კიო.

მძიმე და რთული საქმე იმიტომ არის მძიმე და რთული, რომ ვერც ავის წამალი აქვს ადვილად საპოვნელი და ვერც კარგისა. პირიქით რომ იყოს, ქვეყანაზედ ხომ არც მძიმე საქმე იქნებოდა, არც რთული. მაგრამ რაკი მცოდნე კაცის სახეს მიიღებ, ბრძნულად შეიკრავ წარბებს და ფიცით გაიჭაჭები, რომ ავკარგიანობის მიზეზი თვალ-წინ არის წამოჩხირულიო, წამალიც ცხვირ-წინ არისო, მარტო დაწვდომა და მიწოდება-ღა უნდაო, მაშინ ამისი მთქმელი გულდაჯერებული უნდა იყოს, რომ იგინი, ვის ხელთაც არის საწამლებელი საქმე, ან ბრმანი არიან, რადგანაც ცხვირ-წინაც ვერა ჰხედავენ, ანუ ყოვლად სულელნი, რადგანაც ვერა სცნობენო, ანუ კიდევ თითონ საქმის მტრები არიანო, რადგანაც ჰხედვენ კიდეც, სცნობენ კიდეც და წამლად არა ხმარობენო.

ეს ამისთანა აღვირმოშვებული ვარჯიშობა კალმისა, თუ სიტყვისა, იმოდენად ხშირია ჩვენში, რომ შეუძლებელია კაცმა ყურადღება არ მიაქციოს. არ ვიცი, რათა გვგონია ხოლმე ბრმანი და სულელნი ყოველნი ისინი, ვისზედაც ლაპარაკის ჟინი მოგვივა, ანუ ვისაც დრო და ჟამი საკამათოდ პირში მოგვცემს ხოლმე. აი, მოჰკიდეთ ხელი რასაც გინდათ ამ-გვარს, თუ ჩვენ არ გაგვამართლოთ. თითონ ჩვენს ლიტერატურაშიაც ხშირია ამისთანა ამბავი. ვის არ მოხვედრია, მაგალითებრ, ამისთანა შურდულის ქვა: ეს უბრალო, მარტივი საქმე არ ესმის ამასა და ამასაო. თუ საქმე მართლა უბრალო და მარტივია, რატომ არ უნდა გვწამდეს, რომ მის გაგების ნიშან-წყალი ჩვენსავით სხვასაც ექნება და თუ ჩვენ არ გვეთანხმება, სხვა მიზეზი უნდა იყოს. აქ უთანხმოების მიზეზი ერთის ჭკუა კი არ არის და მეორის სისულელე, ერთის თვალხილულობა და მეორის სიბრმავე, არამედ სხვა რამ, რომელსაც პატივის-ცემა უნდა, ესე იგი, ღრმად დაკვირვება, გამოჩხრეკა და სხვა არა რა. მოქმედებაა, თუ სიტყვა, ყოველისფერს ამ გზით უნდა განსჭვრეტა და განხილვა. სხვა ყოველივე უკადრისობაა, ლიტერატურული უწვრთნელობაა.

ვსთქვათ, ლაპარაკი ჩამოვარდა წერა-კითხვის საზოგადოებაზედ და ვკითხავთ: რათ მიდის ეგრე ზლაზვნით, ზანტად, უნაყოფოდ მისი საქმე? ამის მიზეზიო, — გვეუბნებიან, — გამგეობის ბიუროკრატიული სისტემა არისო. ბიუროკრატობა ეხლა მოდაში აღარ არის და ისე სამართლიანად ათვალწუნებულია, რომ დიდმა და პატარამ, თუნდაც არ იცოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, იცის რომ რაღაც უვარგისი რამ არის. ასე სამართლიანად აქვს გატეხილი აბრუ ამ სიტყვას და, რასაკვირველია, ჩვენ მის აბრუს აღდგენას არ მოვიწადინებთ. მაგრამ ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: რა თქმა არის ეს „გამგეობის ბიუროკრატიული სისტემა“? ბავშების საფრთხალად არის გამოტყორცნილი, თუ მართლა ეგ ჭირი ჰჭირებია გამგეობასა? ნუთუ გამგენი საზოგადოებისა იმოდენად ბრმანი და სულელნი არიან, რომ ამას, ამ ადვილად

შესამჩნევს, ამ ადვილად დასანახავს, ამ ადვილად საცნობელს მიზეზს ვერა ჰხედავენ და ვერა სცნობენ? რა უშველის გამგეობას? აგენტურების დანიშვნა პროვინციებშიო. წამალიც ადვილი ყოფილა, ცხვირ-წინ დებულა. ახლა რა უნდა იფიქროს ამის მსმენელმა საზოგადოების გამგეობაზედ? ისა, რომ მიზეზი ადვილად დასანახავი ყოფილა და ვერ დაუნახავთ, მაშასადამე, ბრმანი ყოფილან, წამალიც ცხვირ-წინ სდებიათ და წამლად ვერ უცვნიათ, მაშასადამე, სულელნიც ყოფილანო. იქნება ჩვენ მეტად ვახვიადებთ თქმულის ზედმოქმედებას მსმენელზედ, მაგრამ ეს კი უეჭველია, რომ თუ მსმენელი თქმულს დაიჯერებს და გამგეობას სიბრმავეს და სულელობას არ შესწამებს, ამაების ახლო მაინც იტრიალებს და მაინც.

სხვისა არ ვიცით და ჩვენზედ კი, ბევრად თუ ნაკლებ, ამისთანა ზედმოქმედება იქონია ორმა მესვეურმა წერილმა „დროებისამ“, რომელნიც დაბეჭდილნი იყვნენ №№-ში 246 და 249, „წერა-კითხვის საზოგადოების“ შესახებ სათაურით: რა მიზეზია?

ეს წერილები რომ წავიკითხეთ, ძალაუნებურად ვკითხეთ ჩვენს თავსა: ნუთუ მართლა „ბიუროკრატობა და ცენტრალიზაციური სისტემა“ საქმეთა წარმოებისა ყოფილა მიზეზი, რომ წერა-კითხვის საზოგადოება ეგრე სუსტობს? თუ ესეა, ბრმანი არიან მისი გამგენი, რომ ადვილად დასანახველი მიზეზი ვერ დაუნახავთ და გამჭრიახობაზედაც უკაცრავად ბრძანებულან, რომ თავიდამ ვერ მოუშორებიათ. მერე, ავტორის სიტყვით, ადვილი წამალიც ხელთა ჰქონიათ და არ უხმარიათ!

ეს რომ მართლა ესე ყოფილიყო, ნუთუ მართლა გამგეობას იმოდენა გონება არ ექნებოდა, რომ ეს თვალში გასაჩხირი, ადვილად შესამჩნევი მიზეზი, არ დაენახა და თავიდამ არ აეცილებინა? ჩვენ აგრე უსამართლოდ აბრუს არ გავუტეხთ გამგეობას, მაგოდენად ვერ დავამცირებთ მის გონებითს ძალას, და ჯერ-ხანად ვიგულისხმებთ, რომ ეგ აგრე ყოფილიყო, გამგეობა მიზეზსაც შეჰნიშნავდა და კიდეც მოსპობდა უსათუოდ. მაშ მიზეზი საქმეთა ცუდად მსვლელობისა

სხვა ყოფილა, უფრო ღრმად დანერგული, უცრო ძნელად ამოსათხრელი. აბა ავყვეთ თითონ ავტორს და, იმედი გვაქვს, იგი თითონვე მოგვცემს საბუთებს მისას, რომ აქ მიზეზი სხვაა.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით პატივცემულს ავტორს, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ბევრს არას აკეთებს, და ამასაც დავუმატებთ — რომ ჯერხანად ბევრს არას გააკეთებს შემდეგშიაც. რა მიზეზია? ჰკითხულობს ავტორი და ამბობს: არც ისა, რომ მითამ გარეგანი გარემოება რამ აბრკოლებდესო; ეს გარემოება თუ უშლიდა რასმე, ისიც მარტო ერთ საგანშიო, სახელდობრ, სკოლების გამართვაშიო; მაგრამ „იძულებულნი ვართო, — ამბობს იგი ერთს ადგილას, — მოგახსენოთო, რომ ეს გარეგანი დაბრკოლება თავიდგან ასცილდებოდა, თუ რომ გამგეობას გამოეჩინა მომეტებული გულისყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვეო“. არ გვესმის ჩვენ. ეს რა წამალია გარეგანის დაბრკოლების აცილებისათვის. ფერი კი საყოველთაო წამლისა აქვს: საცა გინდა იხმარებ, რაშიაც გინდა გამოიყენებ, ყველას და ყოველთვის მოუხდება, მერე ისე, არც შამფური დაიწვის და არც წვადი. არც ატკენს და, რასაკვირველია, არც მოარჩენს. აი, ვსთქვათ, ცხენიდამ გადმოვარდა კაცი. ამასაც მოუხდება ეს წამალი ამ სახით: „ეს უბედურება თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული გულისყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვე“. აი სულხანა პარიკმახერი წააქცია დუბლიემ, ის წამალი ამასაც გამოადგებოდა: „ეს მარცხი თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული გულისყურის დამყარება საქმეზედ, მომეტებული გამჭრიახობა და მომეტებული სიმარჯვე“. აი გოგია დალაქს სამართებელმა ხელი გაუჭრა, ამასაც წამლად დაედება ეს სიტყვები: „ეს დაჭრილობა თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული...“ და სხვანი. აი, ძარცვა და გლეჯაა რომელსამე მაზრაში. აქაც გამოსაყენებელია ამ-სახით: „ეგ ვაი-ვაგლახი თავიდამ ასცილდებოდა,

თუ რომ მაზრის მმართველთ გამოეჩინათ მომეტებული...“ და სხვანი. განა მარტო ამისთანა პატარა საქმეს, დაწესაც აგრევე ლამაზად მოუხდებოდა. მაგალითებრ, პრუსიამ თავ-პირი დაამტვრია საფრანგეთს, „ეს თავ-პირის დამტვრევა თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ საფრანგეთს გამოეჩინა მომეტებული...“ და სხვანი. რის მაქნისია ამისთანა „აბდა-უბდა გადასკუპდა“ ლაპარაკი? რა მანძილი აქვს და რა სარგებლობა? ყველა საქმეს გულისყური უნდა, გამჭრიახობა და სიმარჯვე. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ ჯამბაზს ერთგვარი გურისყური, გამჭრიახობა და სიმარჯვე სჭირდება, სულხანა პარიკმახერს მეორე-გვარი, ცხენოსანს მესამე-გვარი და წერაკითხვის საზოგადოების გამგეობას კიდევ სხვაგვარი. რაში მდგომარეობს ეს „სხვა-გვარი“, ეგ ღმერთმა იცის. ეგ ჯერ საიდუმლოდ შეუნახავს ავტორს. იქნება ამისი მიზეზი გარეგანი დაბრკოლება იყოს, მაშინ პატივსადებია ეგ საიდუმლობა, მაგრამ ამ შემთხვევასაც ძალიან კარგად მოუხდებოდა ავტორის სიტყვები: „ეგ გარეგანი დაბრკოლება თავიდამ ასცილდებოდა, თუ რომ გამოეჩინა მომეტებული...“ და სხვანი და სხვანი. ნუთუ ეს ამ შემთხვევის ახსნა იქნებოდა და მართალი წამალი!... თითონ ავტორმა განგვიკითხოს და ისე გვითხრას: ან ჰო და ან არა.

ამ-საბით, გარეგანი დაბრკოლება არ უცვნია ავტორს გამგეობის და საზოგადოების სისუსტის და უქმობის მიზეზად. არც ის არის მიზეზიო, რომ ამ საზოგადოებისათვის ვითომც ჩვენი ერი მოუმზადებელია, როგორც ზოგიერთნი ამბობენო. ამის უარყოფაში ისე გათამამებულა პატივცემული ავტორი, რომ გვარწმუნებს: „ჩვენ მართლა ისეთნი ღატაკნი არა ვართ განათლებული პირებითა, როგორც ჰგონია ბევრსა. ბლომი (?) ნაწილი თავად-აზნაურებისა (??) ამ-ჟამად ნასწავლთა დასს ეკუთვნის (თქვენს პირს შაქარი!), სამღვდელოება, (ბარაქალა, ჩვენო თავო!), მოქალაქობა (აფერუმ, ქართველო!) და თვით გლეხობაც (ვა! ვა!) დღითი-დღეთ ავსებენ თხელს რაზმს ინტელიგენციისას, რომელიც ამ-ჟამად წარმოადგენს შესამჩნევს ძალას“.

თუ მართლა ასეა, თუ მართლა ასე ლაზათიანად გაჩარხულნი და დარაზმულნი ვყოფილვართ, მოუმზადებლობა ჩვენის ერისა მართლა-და ტყუილად მოგონილი მიზეზი ყოფილა. ჯერ-ხანად დავუჯეროთ ავტორს და გავყვეთ მის აზრთა დენასა. მერე ვნახავთ, რომ იგივ ავტორი სულ ამის წინააღმდეგს საბუთებს მოგვცემს ხელში.

მაშ რა მიზეზია წერა-კითხვის საზოგადოების სუსტად მოქმედებისა? — ვკითხავთ ბ-ნს ავტორს. მიზეზი ცხვირ-წინ გვქონია და ჩვენ კი ვერ დაგვინახავს. წამალიც ძლიერ ადვილია, ისიც ცხვირ-წინ დებულა და ხელი არავის მოუკიდნია. წარმოიდგინეთ, წერა-კითხვის საზოგადოების სუსტად მოქმედების მიზეზი იგივე ყოფილა, „რაც აქამდისინ ხელს უშლის და მეტად, თუ ნაკლებ, ასუსტებს იმისთანა ნიჭით შემკულს ერსა, როგორიც არის საფრანგეთის ერი“. თურმე ნუ იტყვი, ამის მიზეზი გხლებიათ ცენტრალიზაცია და ბიუროკრატობა. ავტორი ამბობს: „სამწუხაროდაო, წერა-კითხვის საზოგადოების მართვა თავდაპირველად ცენტრალიზაციის სისტემაზედ დაიწყო, ცენტრალიზაციის კალაპოტში ჩავარდა“. რასაკვირველია, ამას ზედ მოჰყვა „ბიუროკრატობაც“. დიამც იყოს, მიზეზი გამგეობა ყოფილა. რით? იმით რომ საქმეების მართვა თავდაპირველადვე ცენტრალიზაციის სისტემაზედ დაუწყია. კარგი და პატიოსანი.

აბა ერთი გამოვწვლათ ეს ათვალწუნებული „ცენტრალიზაცია“ და ვნახოთ, იგი ამ შემთხვევაში რა მოსატანი იყო. ცენტრალიზაციური სისტემა იმ-გვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთის კაცის ხელშია, ანუ ბევრთა ხელში — მაგრამ ერთს ადგილას კი. მაგალითებრ, სპარსეთში უფლება და გამგეობა ერთის კაცის ხელშია, სახელდობრ — შაჰის ხელში. იქ ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. საფრანგეთში ეგ უფლება და გამგეობა თუმცა ბევრის ხელშია, მაგალითებრ — პარლამენტის ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი, სახელდობრ, პარიზში. აქაც ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. ამ ორივეს, თვალად სხვადასხვა-ნაირს

მაგალითს, საზოგადო ისა აქვს, რომ ყოველისფერი ერთის წერტილიდამ (ცენტრიდამ) გამოდის და ერთსავე წერტილს (ცენტრს) მიერთმევა. ასე რომ ყოველს კუნჭულს, ყოველს კუთხეს რომელისამე ერთიანის სახელმწიფოსას — ერთის წერტილიდამ ეძლევა ყოველივე წესი და რიგი ცხოვრებისა, ერთმანეთში მოთავსებისა და ერთმანეთში განწყობისა. ადგილობრივის ტკივილის წამლისათვისაც კი იმ ერთს წერტილს უნდა მიჰმართოს ხოლმე კაცმა და იქიდამ მოელოდეს შველასა. რასაკვირველია, ეხლანდელს საფრანგეთს ამისთანა ყოფა არ მიეწერება, რადგანაც კარგა ძალი უფლება და გამგეობის ნება ცენტრმა დაუთმო თვითოეულს ადგილობრივს ნაწილს საფრანგეთისას და, თუ საფრანგეთს ეხლა ამისთანა რასმეს სწამობენ, მიზეზი ის არის, რომ ადგილობრივს ნაწილებს სრულიად არ დაუთმო ის უფლება და გამგეობის თავისუფლება, რაც საჭიროა ადგილობრივის ინტერესების მთლად მოსავლელად და საპატრონებლად, ესე იგი — სამართლიანი საზღვარი არ დაუდო მას, რაც ერთის მხრით ზოგადს, სახელმწიფო ინტერესს შეადგენს და მეორეს მხრით ადგილობრივსა, და ამ-გვარად არ განაწილდა უფლება და გამგეობა. ინგლისი და ამერიკა ბევრით წინ არიან ამაში საფრანგეთზედ. მკითხველი მიხვდება რომ...

ახლა ვიკითხოთ: ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სისტემა რაში ჰგავს ცენტრალიზაციურს? მარტო იმაში, რომ იგი მომწყვდეულია ერთს ადგილას, ესე იგი, — ტფილისში და აქედამ განაგებს თავის საქმეებს და ავტორის სიტყვით: „არც ერთი კუთხე საქართველოსი თითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით, არ იღებს მონაწილეობას თავისავე განათლების საქმეში“. ეს მართალია. მაშასადამე, ყოველი კუთხე საქართველოსი თითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით უნდა იღებდეს მონაწილეობას თავისავე განათლების საქმეში. ამას ჩვენცა ვნატრულობთ. მაგრამ ამ ავტორის სიტყვებს თარგმანი უნდა, იმიტომ — რომ ბ-ნს ავტორს ეს სიტყვები ისე ესმის, როგორც ცენტრალიზაციურის სისტემის თაყვანისმცემელს. ამას შემდეგში დავამტკიცებთ ავტო-

რის სიტყვითვე და ჩვენ კი ეხლა ზემოხსენებულს სიტყვებს ისე ვსთარგმნით, როგორც უნდა სთარგმნოს ცენტრალიზაციურის სისტემის უარმყოფელმა: განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ ადგილობრივს ინტერესს შეადგენს. მაშასადამე, ყოველმა კუთხემ საქართველოსამ ეს საკუთარი ინტერესი თითონ თავის საკუთარის ძალით და მხნეობით უნდა განაგოს, ესე იგი — სრული უფლება და გამგეობის ნება უნდა ჰქონდეს, რომ როგორც უჯობდეს, ისე მოუაროს, უპატრონოს.

დავანებოთ თავი იმის გამოძიებას თუ — განათლებას საქმე ისეთი საქმეა, რომ მარტო ადგილობრივს ინტერესს შეადგენს თუ არა. ვსთქვათ, არის. ეხლა ესა ვკითხოთ ავტორს: რომელმა კუთხემ საქართველოისამ შესჩივლა, რომ ცენტრმა, ესე იგი ტფილისში მყოფმა გამგეობამ წერა-კითხვის საზოგადოებისამ, არ დაუთმო უფლება და გამგეობა მისდა საკუთარ განათლების შესახებ? სად არის ეს ამისთანა ღვთისნიერი კუთხე, თუ ნაწილი საქართველოსი, რომ თავის განათლებისათვის თითონვე სურდეს მოვლა და პატრონობა და მარტო ის უშლიდეს, რომ საბელი ყელისა .ტფილისში მყოფს გამგეობას ეჭიროს და არ უშვებდეს ხელიდამ? ჩვენდა სამწუხაროდ, სანთლით რომ ეძებოთ, ვერ იპოვით. ერთად-ერთი მაგალითია ქუთაისი და ნუთუ გამგეობას დასწამებთ, რომ იქაურის სკოლის მსვლელობა აქაურის გამგეობისაგან შეკრული და შებოჭილია!.. ნუთუ იტყვით, რომ უფლება და გამგეობა იმ სკოლისა სრულიად დათმობილი არ ჰქვსთ იქაურთ მოღვაწეთა? ერთი ეს მაგალითი-ღა იყო, რომელზედაც შეეძლო ავტორს ეჩვენებინა ყოველივე წუნი, რაც ვითომც-და აქაურს „ცენტრალიზაციურს სისტემას“ მოსდევს და ისიც მისი წინააღმდეგია. მაშ რა მოსატანია მიზეზად ცენტრალიზაცია?

ახლა უყურეთ, ამ მითამ-და მიზეზის მოსასპობლად რა წამალი უჩვენებია ჩვენთვის ავტორს. აგენტები იყოლიეთ ყველა კუთხეშიო. რაო? მითომ ცენტრალიზაციურს სისტემას სპარსეთისას ყოველს კუთხეში აგენტები არა ჰყავს? მაშ

რა გზით აწვდის შაჰი ყოველს კუთხეს თავის მოწყალებას და რა გზით მოიბრუნებს ხოლმე თავისაკენ ყოველის კუთხის თვალსა, თუ არ აგენტების მორიგებით ყოველთვის და ყოველგან, საცა კი და რასაც კი კუთხის ნიშანწყალი აქვს? მაშ ავტორისაგან დაწუნებულს სისტემას საფრანგეთისას ყოველ კუთხეში აგენტები არა ჰყოლია? მაგით ცენტრალიზაციის სისტემის სენს რა ჰშველებია? პირიქით, სწორედ მაგას გაუძლიერებია, მაგას შეუკრავს და შეუბოჭავს ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული, როგორც არტახებში ბავში. აგენტების მორიგება კი არ არის ცენტრალიზაციის მოსასპობელი წამალი, არამედ ადგილის მცხოვრებთა და მკვიდრთა თვითმოქმედების ძალის აღდგენა, მათთაგან მათივე საკუთარის საქმეების დაწყობა და გამგეობაა.

ახლა ნახეთ, რა ვალსა სდებს ავტორი იმ აგენტებს? სწორედ იმ ვალსა, რასაც ყურმოჭრილი ყმა ცენტრალიზაციურის სისტემისა დაავალებს ხოლმე. „იგინი ეცდებიანო პროპაგანდით, ჩაგონებით, ჩიჩინით აღძრან თანაგრძნობა „საზოგადოებისადმი“, იშოვნონ ბლომად წევრები, თავის დროზედ ჰკრიფონ ფულები და უგზავნონ საზოგადოების გამგეობას ტფილისშიო“; ანუ: „უმეტესი ნაწილი ისე გულგრილად უყურებს ამ საქმეს (ესე იგი განათლების საქმეს), რომ მათთვის ნამდვილს დაბრკოლებას შეადგენს წერილის დაწერა, ფოსტაში მიტანა და ფულიანის კანვერტის გამოგზავნა. ადგილობრივი აგენტები ამ დაბრკოლებას სრულიად ძოსპობდენ, მარჯვე დროს გამოართმევდენ წევრებს ფულს, ერთად მოუყრიდენ თავსა და გამოგზავნიდენ ტფილისში“; ანუ: „გახსნილს სკოლას ზედამხედველობა ეჭირვება, ხელთმძღვანელობა და ზრუნვა უნდა, რომ სკოლამ ნაყოფი დაანახვოს გლეხებსა და შეაყვაროს თავისი-თავი. ყველა ეს შეუძლებელია ტფილისში მყოფ გამგეობისათვის და ადვილია იმ განათლებულთა წევრთათვის, რომელნიც სცხოვრებენ სხვადასხვა კუთხეებში“. ერთის სიტყვით, გამგეობისაგან გამოცემულნი წიგნები უნდა ჰყიდონ, საზოგადოების სასარგებლოდ სპექტაკლები და სალიტერატურო საღამოები ჰმარ-

თონ და სხვანი და სხვანი. ახლა იკითხეთ: ნაპოლეონი III, ეს ცენტრალიზაციურის სისტემის ღმერთი, სხვას რას ავალებდა თავის აგენტებს, თუ არ ამისთანაებსა? წადით, ყოველს კუნჭულში მოეფინენითო, პროპაგანდით, ჩაგონებით და ჩიჩინით აღძარით ჩემდამი თანაგრძნობა, ბლომად მიშოვნეთ მომხრეები, თავის დროზედ ჰკრიფეთ ფულები და მე მიგზავნეთო, მარჯვე დროს გამოართმევდეთ, რაც გამოსართმევია, ერთად თავს მოუყრიდეთ და მე გამომიგზავნიდეთო; სპექტაკლები, სალიტერატურო საღამოები ჩემს სასარგებლოდ გამართეთო და სხვანი და სხვანი. ესეც კი გახსოვდეთო, რომ პარიზში მყოფი ჩემი გამგეობა უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი ჩემის პროვინციალურის განყოფილებისა, აგენტურებისაო. კარგი „მხოლოდ“ არის. სწორედ ამ სიტყვებით გვაძლევს რჩევას და დარიგებას ავტორიც: „ტფილისში მყოფი გამგეობაო უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი თავის პროვინციალურის განყოფილებისა, აგენტურებისაო“. თვითმოქმედება პროვინციისა? თავის საკუთარის ძალით და მხნეობით გამგეობა საკუთარის საქმისა? სადღა წავიდნენ? ამაებს რომ ართმევს პროვინციებს, საქართველოს კუთხეებს, მაშ რაღას ეძახის ავტორი „მონაწილეობის მიღებას“ თავის საკუთარს საქმეში? იმას, რომ პროვინციები უნდა იწველებოდენ და წველა ქალაქში გამგეობას მოერთმევოდეს და რადგანაც ქალაქში მყოფი გამგეობა ხელს ვერ მიაწვდის პროვინციების ცურსა, ამისათვის „ადგილობრივი აგენტები უნდა ამორჩეულ იქმნან და მიენიჭოთ მათ ჯეროვანი სანკცია საზოგადოებისაგან“.

რა გამოდის ყოველ ამოდამ? ისა, რომ „ტფილისში მყოფი გამგეობა უნდა იქმნას თითქმის მხოლოდ რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი თავის პროვინციალურის განყოფილებისა, აგენტურებისა“; ადგილობრივი აგენტები, თუ აგენტურა, უნდა ამორჩეულ იქმნან ვისგან? ტფილისში მყოფ გამგეობისაგან; მათ უნდა „მიენიჭოთ ჯეროვანი სანკცია“ ვისგან? ტფილისში მყოფ საზოგადოებისაგან; ვალად

უნდა დაედოთ ამ აგენტებს, თუ აგენტურებს, თანაგრძნობა აღძრან, ვისადმი? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებისადმი; წევრები გაუმრავლონ, ვისა? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებას; ფული უნდა მოუკრიფონ, ვისა? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებას; წიგნები უნდა გაასაღონ, ვისი? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებისა; სპექტაკლები და სალიტერატურო საღამოები გამართონ, ვის სასარგებლოდ? ისევ ტფილისში მყოფ საზოგადოებისათვის. თითონ პროვინციებს? პროვინციებს ის, რასაც უწყალობებს იგივ ტფილისში მყოფი საზოგადოება. „არც ერთს ადგილს, ტფილისის გარეშე, — ამბობს ავტორი, — გამგეობას არა ჰყავს პირნი, რომელნიც მას უწევდენ იმისთანავე სამსახურს, როგორც ჰამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევენ მართებლობასა“. მაშასადამე, უნდა ამისთანა პირნი ჰყვანდნენ ვის? ტფილისში მყოფ გამგეობას. ეს არის ავტორის სასურველი საქართველოს კუთხეებისაგან „მონაწილეობის მიღება“ თავის საკუთარს საქმეში? ამაზედ უარესი ცენტრალიზაციური სისტემა არა მგონია თითონ სპარსეთში იყოს. აბა თუ ერთგან ნახსენები იყოს ავტორისაგან იმისთანა რამ, რომ პროვინციების, საქართველოს კუთხეების თვითმოქმედების, თვითგამგეობის, თვითმმართველობის მცირედი რამ ნიშან-წყალი ეცხოს, ტფილისში მყოფ გამგეობის, ანუ საზოგადოების ხელიდამ დახსნის სახსარს მოასწავებდეს. მარტო ის სიტყვებია, რომელიც ჩვენ ზემოთა ვსთარგმნეთ, და ის სიტყვებიც ავტორს, როგორც ხედავთ, იმ აზრით მოუყვანია, რომ თქვენ, აგენტებო, ხვეჭეთ და ტფილისში მყოფ გამგეობას უგზავნეთო, გაისარჯენით რაც შეგეძლოთო მისდა სასარგებლოდო და იგი „ტფილისშივე მყოფი გამგეობა რეგულიატორი, წესის და რიგის მიმცემი“ იქნებაო თქვენიცა და თქვენის შემწეობით პროვინციებისაცაო, თვით სანკციასაც თქვენის არსებობისას ტფილისში მყოფ გამგეობისაგან მოელოდეთო. თქვენ იმისთანა სამსახური უნდა გაუწიოთ, როგორც მამასახლისები და სოფლის მოსამართლეები უწევენ მართებლობასაო.

არა, ბატონებო, თუ ჩვენის საზოგადოების სენი ცენტრალიზაციური სისტემაა, ამ სენს არას-გზით და არას მხრით წამლად ვერ დაედება ავტორის რჩევა, პირიქით, ის ტვირთი, რომელიც ავტორს აუკიდნია აგენტურებისათვის, უფრო გააძლიერებს იმ სისტემას, რასაც ეგრე ძალიან უფრთხის თითონ ავტორი. ყოველივე ავტორისაგან ნარჩევი — ცენტრალიზაციის მკვიდრად ფეხის მოკიდებას, მკვიდრად ფესვების გადგმას მოასწავებს. ესე ყოველი იმის წამალი კი არ არის, რომ „ყოველმა კუთხემ საქართველოსამ თითონ, თავის საკუთარის ძალით და მხნეობით მიიღოს მონაწილეობა თავისავე განათლების საქმეთა წარმოებასა და გამგეობაში“, არამედ თითონ მიუყრუვდეს ამ საქმეს, ფურსავით, როგორცა ვსთქვით, მოიწველოს და წველა ტფილისში მყოფს გამგეობას უგზავნოს და იმავე ტფილისში მყოფს გამგეობას შეაჩეროს გული და თვალი, აცა რას მიწყალობებენ იქიდამაო.

რაკი ავტორი თითონვე გვარწმუნებს, რომ ტფილისში მყოფს წერა-კითხვის გამგეობას ჯერ კიდევ არ გაუბაწრავს პროვინციები და ეხლა თითონ გვირჩევს გაბაწრვასა, სჩანს, რომ მიზეზი ამ საზოგადოების სისუსტისა, ეგ გაბაწრვა, ესე იგი, ცენტრალიზაციის ბადის გაბმა არ ყოფილა. მაშ რა ყოფილა? აბა თითონ ავტორს დავუკვირდეთ, ამის პასუხისათვის რა საბუთს გვაძლევს. „საზოგადო კრება (წერა-კითხვის საზოგადოებისა), რომელზედაც ქართველობა ას-ასობით მაინც უნდა ესწრებოდეს, ვერც ერთხელ ვერ შესდგა თავის დროზედ, რადგანაც ორმოც-და-ათი კაცი, კანონიერი რიცხვი, ვერც ერთხელ ვერ მოგროვდა. საზოგადოების წევრებად ქართველები ითვლებიან არა ათი-ათასობით, არამედ ასობით. წევრები საზოგადოებისა ისე გულგრილად ეპყრობიან საქმესა, რომ რის ვაი-ვაგლახით შემოდის საზოგადოების კასაში მხოლოდ მეათედი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ყოველწლივ უნდა გროვდებოდეს. საზოგადოების გამგეობა შესაბამ ბანს აძლევს ამ საზოგადო გულგრილობას“. „ვინც გულით და სულით თანაუგრძნობს განათლების საქმეს, მისთვის ეს მცირედი გარჯა (საწევრო ფულის გზავნა ფოსტით)

არაფერია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ-გვარი პირებით ჯერეთ ღარიბნი ვართ (არაო, წინათ ასე სთქვა). უმეტესი ნაწილი ისე გულ-გრილად უყურებს ამ საქმეს, რომ მათთვის ნამდვილს დაბრკოლებას შეადგენს წერილის დაწერა, ფოსტაში მიტანა და ფულიანი კანვერტის გამოგზავნა. დაბეჭდილი ფორმა (გამგეობისაგან სოფლის განაჩენების ფორმა სკოლების გამართვის შესახებ) ან ვერ მიაღწევს შორეულს სოფლებამდე, ან თუ მიაღწია, იქნება წამკითხველი არც კი აღმოჩნდეს, და თუნდაც წაიკითხონ, მაგდენად ყურს არ გაიბერტყენ"; „ჩვენს ქვეყანაში წიგნის კითხვის სურვილი, დიდებში თუ პატარებში, იმდენად სუსტია ჯერეთ, რომ..." და სხვანი.

ყოველივე ეს მართალზე მართალია და თითონ ავტორიც გულდაჯერებულია, რომ ეგ აგრეა. თუ ეს მართალია, მაშ მიზეზი აქავ ყოფილა და რაღად მივწვდით ის რაღაც ეშმაკი „ცენტრალიზაციაა, თუ ბიუროკრატია", რომელნიც, თურმე ნუ იტყვით, არც კი სჭირებია სენად საზოგადოების გამგეობას და ეხლა უპირობენ შეჰყაროან? თუ რასაც ამ შემთხვევაში ამბობს ავტორი — მართალია, ის რაღად იქნება ტყუილი, როცა ამბობენ, რომ ჩვენის წერა-კითხვის საზოგადოების სისუსტის მიზეზი ჩვენის ერის მოუმზადებლობააო განათლების შესახებ; რომ საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა ას-ასობით უნდა დაიარებოდეს, ვერც ერთხელ ვერ შესდგა თავის დროზედ, რადგანაც კანონიერი რიცხვი, ორმოც-და-ათი კაცი მაინც, თავს ვერ მოიყრიდა, რას მოასწაეებს, თუ არ იმას, რომ განათლებისათვის გული არ შეგვტკივა. ვის არ შესტკივა ხოლმე გული ამ დიდ საქმისათვის? მარტო უცებს და მოუმზადებელს. რომ საზოგადოების წევრებად ათას-ათასობით არ ითვლებიან, არამედ ასობით, რას მოასწავებს, თუ არ იმას, რომ განათლების ხელის მომართვას არ თანაუგრძნობენ. ვინ არა თანაუგრძნობს ამისთანა დიდს საქმეს? მარტო უცებნი და მოუმზადებელნი. წევრები საზოგადოებისა ისე გულგრილად ეპყრობიან ამ საქმესა, რომ ეზარებათ ფოსტით ფულის გამოგზავნა და ამ მიზეზით მეათედი ნაწილიც არ შემოაქვთ მისი, რაც უნდა შემოუვიდეს საზო-

გადოების კასას, — რას მოასწავებს, თუ არ უცების კაცის გულგრილობას და მოუმზადებლობას? სოფლებში წამკითხველებიც არ არიან, რომ უბრალო ფარატინა წაიკითხონო და თუნდაც წაიკითხონ, მაგდენად ყურს არ იბღერტენო; ჩვენს ქვეყანაში წიგნის კითხვის სურვილი ჯერ სუსტია — ყოველივე ეს ერთად და თვითოეულად ცალკე — რის უტყუარი ნიშნებია, თუ არ მოუმზადებლობისა, უცებობისა. გამგეობა საზოგადოებისა უვარგისია, უქმია, უმჭრიახოა, უმხნეოა. რას მოასწავებს ეს, თუ არ იმას, რომ არც ამომრჩეველნი მათნი არიან მომზადებულნი და არც ამოსარჩევნი, თუ ამორჩეულნი? განა ახალი ამბავია, რომ ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობს.

სად არის ის ბლომა ნაწილი თავად-აზნაურობისა, რომელიც ამ-ჟამად ნასწავლ დასსა ეკუთვნის, ავტორის სიტყვით? სად არის სამღვდელოება, მოქალაქობა და თვით გლეხობაც, რომელნიც დღითი-დღე ავსებენ თხელს რაზმს ინტელიგენციისას და რომელიც ამ-ჟამად წარმოადგენს შესამჩნევს ძალას? რათ ვიბრმავებთ თვალებს და ჭეშმარიტს მიზეზს ჩვენის სისუსტისას პირდაპირ თვალს არ ვუსწორებთ? რა დროს სიზმრებია, როცა ცხადი ესეთი მწვავია?

აბა ყოველს ამას მიზეზთა-მიზეზი მოუნახეთ და დაინახავთ, რომ ყოველი ჩვენი ეგრეთ-წოდებული „საზოგადოება“ მარტო ყავარია, რომელსაც ბოძები თითონ ერში არა აქვს. ხეა, რომელსაც ფესვი თითონ ერში არ გაუმაგრებია, და თუ ფეხზედ დგას, იმიტომ კი არა, რომ ძირი ღრმად აქვს წასული, არამედ იმიტომ — რომ გარედამ აქეთ-იქით ბოძები აქვს მიცემული. აი, ნამდვილი მიზეზი სისუსტისა საერთოდ და წერა-კითხვის საზოგადოებისა საკუთრივ.

ჩვენ ცოტად თუ ბევრად გვჯერა, რომ აგენტურა და აგენტები ადგილობრივნი ასე თუ ისე ხელს მოუმართვენ წერა-კითხვის საზოგადოებას და ცოტად თუ ბევრად ლუკმას მოაწვდიან, ცოტად თუ ბევრად განაცხოველებენ მის მოქმედებას, მაგრამ მათ თუ მარტო ის სამსახური გაუწიეს წერა-კითხვის საზოგადოებას, რასაც სოფლის მოხელენი უწევენ სოფელს,

მართებლობას, მაშინ ის საქართველოს კუთხეები, რომლისათვისაც ეგრე სამართლიანად ჰზრუნავს ავტორი, არამც თუ ხელს მოუმართავენ განათლების საქმეს, არამედ სამუდამოდ დასწყევლიან და ახლოს არ მიიკარებენ. აქ მაგისთანა სამსახური კი არ უნდა „კუთხეებს“, არამედ უნდა იმოდენა თვითმოქმედების ძალი აღუძრან, რომ თითონვე გაუძღვენ და თითონვე ემსახურონ თავის განათლებას, საქმე თავის ხელით დააწყონ და თავის თვალი ადევნონ. ვისაც ცენტრალიზაცია არ მოსწონს, ის იმას კი არ უნდა ნატრობდეს, რომ ყოველს კუნჭულში ტფილისში მყოფ წერა-კითხვის საზოგადოების აგენტი იჯდეს ფულების მოსაკრეფად, წევრების მოსაპოებლად, წიგნების გასასაღებლად, არამედ ისა, რომ ეგ აგენტები საჭირონი არ იყვნენ, თითონ მკვიდრნი ცალ-ცალკე კუთხისანი იმოდენად მოიწიფნენ, იმოდენად მოჯობინდნენ სულითა და ხორცითა, რომ თითონ, თავისის საკუთარის ძალ-ღონითა განაგებდენ თავიანთ საქმეს განათლებისას, თუ განათლების საქმე საზოგადოდ მართლა-და თვითეულ კუთხისათვის ცალკე განსაგებელი საგანია. აგენტების დანიშვნას და ყოველს სხვა მოქმედებას წერა-კითხვის საზოგადოებისას წინ უნდა უძღოდეს ზრუნვა და ცდა მასზედ, რომ თვითმოქმედებამ ერისამ ყოველს კუთხეში ფეხი აიდგას განათლების გავრცელებისათვის, და ეგ თვითმოქმედება იქმნას იმ ხნულად, საიდამაც უნდა აღმოცენდეს სწავლა-განათლება და საცა ძირი უნდა გაიკეთოს ყოველმა საზოგადოებამ საერთოდ და წერა-კითხვისამ კიდევ სახელდობრ.

XXVII

შინაური მიმოწერა.

1885 წელი, თებერვალი.

დადგა მარხვა სინანულისა, მოვიდა დღე განკითხვისა. იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვიან და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს. არა, ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თითონ ბრალეული თავისის-თავის გამკითხველია და მსაჯული. მაშასადამე, აქ „კბილთა ღრჭენას“ და ჯოჯოხეთს ადგილი არ ექნება. აქ მხოლოდ ის არის საჭირო, რომ კაცმა თავისი ცოდვები ჩამოთვალოს და სთქვას: ვინანიო. რაკი ეგრეა, ყველა კაცი უნდა დაუფიქრდეს თავის წარსულს ცხოვრებას თავისის ცოდვა-მადლის გასარჩევად, თუ სურს ქრისტიანული წესი აღასრულოს და დრო სინანულისა ტყუილ-უბრალოდ არ გააქარწყლოს.

მეც ქრისტიანი ვარ და არა-რა ქრისტიანობრივი არ მეუცხოების. მეც დავიყენე ჩემი თავი ჩემ წინა, ვითარცა მსაჯულმა და გამკითხველმა, და ვკითხე: აბა რას ინანი და რას არა? სანანებელი ცოდვაა და არ-სანანებელი მადლიაო, მიპასუხა. აბა მაშ ჩამოთვალე თვითოეული ცოდვა, რაც შენ ჩაგიდენიამეთქი. ჯერ მიბრძანეთო, მიპასუხა, რა არის ცოდვა და რა არის მადლი და მერე იმისდაგვარად მეც მოგახსენებო. ამისთანა პასუხმა დავთრები სულ მთლად ამირია. ჩავიხედე ჩემის გულის დავთარში და თუმცა მაგისი პასუხი იქ ვიპოვე, მაგრამ დავთრის ბოლო ფურცელზედ ეს ეწერა: შენი შენთვის

შეინახეო, საქმე ის არის, სხვა რას ჰფიქრობს მაგ საგანზეო. მიმოვიხედე ჩემს გარეშემო, დავეკითხე ძველსა და ახალსა, აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მრავალი ჭკვიანი კაცი ვნახე, მრავალი წიგნი წავიკითხე და ვცან, რომ ადამიანის უბედურობა დღემდე იმაში ყოფილა და დღესაც იმაშია, რომ ვერ მიუგნია, რა არის ცოდვა და რა არის მადლი? რას ჰქვიან კეთილი და რას ბოროტი? რაც გუშინ ცოდვად აღიარებულა, დღეს ის მადლად მიგვაჩნია, რაც ერთს ქვეყანაში მადლად ჩაეთვლება ადამიანს, ის მეორეში ცოდვაა, რაც ერთს შემთხვევაში ცოდვაა მომაკვდინებელი, ის სახელოვანი საქმეა მეორეში. მაგალითებრ, უწინ გალილეი კინაღამ ცეცხლში დასწვეს, — რათა სთქვაო, მზე დგას და დედამიწა ტრიალებსო, და ეხლა კი რომ პირველის კლასის ბალღმა ეგ არა სთქვას, როზგით გაჰხეთქენ. სპარსეთში რომ მთავრობას აშკარა ცუდი რამ დაუწუნო, ენას მოგჭრიან, ინგლისში რომ ეგევე ჰქმნა, გზას მოგცემენ დიდებისა და სახელისათვის. კაცმა რომ აბეზარს მოგიყვანოს, შენი ადამიანობა შეჰლახოს და შემოგაკვდეს, დაგახრჩობენ; ომში რომ ერთის მაგიერად ათასი სული გაჟლიტო — სახელოვან კაცად ჩაგთვლიან. მშიერ-მწყურვალთა სიკვდილისაგან გადასარჩენად ერთი ლუკმა პური რომ მოიპარო, ვირის აბანოში გიკვრენ თავს; მტრის ქვეყანა რომ მთლად გადაჰბუგო და ათასი კაცი შიმშილით ამოახრჩო, სახელოვან საქმედ ჩაგეთვლება. აბა მოდი და ლარი გააბი, ლარს იქით ცოდვებს მოუყარე თავი და ლარს აქეთ მადლსა!.. რათ უნდა იყოს ესე, თუ გონება ადამიანისა ყველგან ერთნაირად საღია და მრთელი? რა ჰქმნას გამკითხველმა და მსაჯულმა, როცა ამისთანა უთავბოლო დავთარი აქვს ხელში ცოდვა-მადლის გასარჩევად? გამკითხველს და მსაჯულს კიდევ არა ევნება-რა, რა ჰქმნას თითონ განსაკითხველმა და განსასჯელმა? როგორ მოაწყოს თავისი დღენი ცხოვრებისა, სად დაიხიოს უკან და სად წაიწიოს წინ? რა იხელთოს და რა უკუირიდოს? რას გაექცეს და რას მოეწიოს?

კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქმეა. უტყვის ბუნების წინაშე არ არსებობს

ეგ განსხვავება. ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვხედავთ და დღე-მუდამ მაგალითებით ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არ არის. რატომ? „რატომაო“? საქმეც იმაშია, რომ მაგ „რატომს“ ჯერ-აქამომდე ადამიანმა გულ-დაჯერებული პასუხი ვერ მოუპოვა.

ეხლახან ერთის დიდად გამოჩენილის მწერალის ნაწერი წავიკითხე. საკვირველი ჯოჯოხეთი გამოუვლია თავის ხანგრძლივ ცხოვრებაში, თუმცა მისთვის ბედს ყოველისფერი უხვად მიუნიჭებია. რა გინდა, სულო, გულო, რომ მას არა ჰქონია: დიდი ნიჭი მწერლობისა, დიდი სახელი, დიდკაცობა, დიდი ოჯახი, დიდი სიმდიდრე, ძალიან კარგი ცოლ-შვილი, ჯანი, სიმრთელე, ერთის სიტყვით, ყოვლისფრით და მრავალკეცად ბედნიერი ყოფილა გარედამ, თუ ეგრე ითქმის. ხოლო შიგნით კი, გულში ერთი ჭია ასჩენია, რომელსაც უღრღნია მისი სულიერი არსება და იმისთანა სასოწარკვეთილებამდე მიუყვანია, რომ გადაუწყვეტია, — ყველაფერი ფუჭიაო, სიცოცხლე სიცოცხლედ არ ჰღირსო და ჰლამოდა თურმე თავის-თავის მოკვლას. დღე-ყოველი მისი ერთი დაუძინებელი ბრძოლა და ჭიდილი ყოფილა, გამწვავებული ბრძოლა და ჭიდილი სულიერი, რომელიც უფრო მწვავია, ვიდრე გაზით ხორცის გლეჯა, ვიდრე ხორცის წვა გახურებულის შანთითა. ამ სასოწარკვეთილების მიზეზად ის გახდომია, რომ ვერ მიუგნია: ცხოვრებას რა აზრი და საგანი აქვს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, რაშია აზრი და საგანი ცხოვრებისაო. თითონ თქვენც იტყვით, რომ ეს ამოცანა შეჩვენებული ამოცანაა. რაკი ეს ამისთანა ამოცანა შეუჩნდება ადამიანს, მე არა მგონია, სხვა უარესმა ჯოჯოხეთმა-ღა ბუდე გაიკეთოს ადამიანის გულში. საცოდავია კაცი, დევნული ამ ამოცანისაგან, მაგრამ დიდებულიც კია. ღონე სულისა მეტად განდიდებული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამ ამოცანას შეეჭიდოს და გაემკლავოს. ეგ შეჭიდება და გამკლავება კიდევ არაფერი.

საქმე იმაშია, რომ კაცმა თვისის სიცოცხლის ძაფი მაგ ამოცანას ჩააბას, ან გავხსნა მისი კვანძიო, ან არა და თვით სიცოცხლის ძაფი ჩემი ზედ შევაწყვიტოო.

სწორედ ეგრე გადუბამს თავისის სიცოცხლის ძაფი ამ ამოცანაზედ ხსენებულს მწერალსა. ყოველივე მეცნიერება ფსკერამდე გონების თვალით მოუჩხრეკია, გამოუძიებია, არ დარჩენია არც ერთი ფილოსოფოსი, ძველი თუ ახალი, რომ ზედმიწევნით არ შეესწავლოს, ყოველივე ჭკუისა და ხელის ნამოქმედარი ადამიანისა აუწონ-დაუწონია, ყოველივე ხორციელი სიკეთე ამა წუთისოფლისა ხელთა ჰქონია და გამოუკვლევია, ყველგან და ყველასათვის ერთი და იგივე უკითხავს და იმ წყეულის ამოცანის ნამდვილი და გულ-დასაჯერებელი პასუხი ვერ მოუპოვნია ვერსად, ვერაფერში და ვერავისგან. რაკი ეგრეაო და სიცოცხლის აზრი ვერ მოიპოვებაო, მაშ სიცოცხლე სიცოცხლედ არა ჰღირსო და ყოფნას არ-ყოფნა სჯობიაო. გადუწყვეტია და თავის-თავის მოკვლაზედ ძიმდგარა. ამ ამოცანას რომ ნამდვილი, უცილობელი, გულ-დასაჯერებელი პასუხი მოენახებოდეს, მაშინ ჩვენს „რატომ-საც“ წამალი დაედებოდა და შავი — შავი იქნებოდა და თეთრი — თეთრი ყველასათვის, ყველგან და ყოველს შემთხვევაში.

ამ წყეულის ამოცანის ჭიას დიდი ხანია კაცის გულში ბუდე გაუკეთებია. ჯერ კიდევ სოლომონ ბრძენს, რომელს იგი გამოჩენილი მწერალიც ამის გამო იხსენიებს თავის ნაწერში, მაგ ამოცანამ დაუწყლულა გული და ეს უნუგეშო, გულსაკლავი სიტყვები ამოაკვნესა: „ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაო“. აი, რა-გვარმა მსჯელობამ მიიყვანა სოლომონ ბრძენი ამის თქმამდე:

„რა უმეტესობა არს კაცისა ყოველსავე შინა შრომასა მისსაო? ნათესავი წავალს და ნათესავი მოვალს და ქვეყანა ჰგიებს უკუნისამდე, აღმოხდების მზე და დახდების მზე და თავის ადგილადვე მიიზიდებაო; გარემოს გარემოვლით დადის სული და სიმგრგვლესა თვისსა ისევ მოიქცევისო; ყოველნი ღვარნი შესდიან ზღვასა და ზღვა მაინც არ ივსებაო;

ყოველთა სიტყვათა შრომისათა მამაკაცი ვერ შემძლებელ არს თქმად და არა აივსება თვალი ხედვითა და არცა ყური სმენითა; რაც ყოფილა, იგივ იქნება, რაც საქმნელია, იგივე ქმნულა და არა-რა არს მზესა ქვეშე ისეთი, რომ შეიძლებოდეს ითქვასო: აჰა, ეს ახალიაო. რაც აწ იქმნა, საუკუნეთა შინა ქმნულნი არიან წინასწარ ჩვენსაო. მე მეფე ვიყავიო ისრაელთა ზედა და მივეცი გული ჩემი გამოძიებად და განხილვად სიბრძნისა ყოველთათვის ყოფილთა ცათა ქვეშე, ვნახე ყოველნი ქმნილნი და ნაქმარნი მზესა ქვეშე და აჰა, ყოველი ამაოება და აღრჩევა სულისაო! აჰა, განვდიდდიო და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა, რომელნიც იყვნენ უწინარეს ჩემსა, გული ჩემი მივეც ხედვად სიბრძნისა და მეცნიერებისა და გულმან ჩემმან ნახა მრავალი სიბრძნე და მეცნიერება, იგავნი და ხელოვნებანი და ვცან, რომ ესეცა ამაოებაა და აღრჩევა სულისაო. განვადიდე ქმნულნი ჩემნი, ავიშენე სახლები, დავნერგე ვენახები, გავიკეთე მტილნი და სამოთხენი, დავნერგე მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა, გამოვიყვანე ჩემდა საბანებლად და იმ ნორჩოვანთა ხეთა სარწყავად წყალნი, მოვიგე მონანი, მხევალნი, მყვანდნენ სახლის-წულნი, შევიძინე მრავალი სამროწლესი და სამწყსოსი, შევიკრიბე ვერცხლი და ოქრო და სიმდიდრე მეფეთა ქვეყანისა, შევკრიბე მემღერენი მამანი და დედანი ჩემთა ყურთა დასატკბობად, შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა ჩემზედ უწინარეს მყოფთა და სიბრძნე ჩემი დავადგინე ჩემდა, ყოველი, რაც ჩემმა გულმა და თვალმა ითხოვა, არა-რა დავიკელიო. ხოლო რა მოვიხილე მე ყოველთა ჩემთა ნაქმართა, რომელიც ჰქმნეს ჩემთა ხელთა, ვსთქვიო: „აჰა ესეცა ამაო და აღრჩევაო სულისა!“ მოვიხილე მე ხილვად სიბრძნისა და უგუნურებისა და ვნახეო, სიბრძნე სჯობს უგუნურებასა, როგორც ნათელი ბნელსა, ბრძენი სინათლეში დადის და უგუნური ბნელშიაო. მაგრამ რა გამოვიდაო? ერთი და იგივე შემთხვევა ორივეს ერთნაირად წაგვახდენსო, უგუნურის შემთხვევა მეც შემემთხვევისო და რაღა უმეტესობაა სიბრძნეშიო? ბრძენსაც ისე დაივიწყებენ, როგორც უგუნურსა, სიკვდილი ორივეს თანას-

წორად ჰხოცსო, ყოველნი მიწისაგან შექმნილნი არიან და მიწადვე მიიქცევიანო. და მოვიძულე ცხოვრება და ყოველნი ჩემნი ქმნულნი, მოვიძულე მე ყოველი სოფელი და შრომა ჩემი, რადგანაც იგი უნდა დარჩეს „კაცსა ყოფადსა შემდგომად ჩემსა“ და ვინ იცის, ბრძენი იქნება თუ უგუნური იგი, რომელიც დაეპატრონება „ყოველთა შრომათა ჩემთა, რომელსა დავშვერ და რომელსა ვბრძნობდი მზესა ქვეშეო. და აჰა ესეცა ამაოებააო“.

მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნიდაო, რომ იტყვიან, სწორედ ეს არის. ამ დალოცვილს ყველაფერი, რაც კაცის სანატრელია და დამატკბობელი, ხელთა ჰქონია, ასე რომ ქვეყანაზედ სხვა აღარა დარჩენია-რა სასურველი. ამ ყველაფრობას, მისდამი ისე უხვად ბედისაგან მინიჭებულს, გული აუსუყებია და, რა საკვირველია, — რომ გულასუყებულმა ყველა, რამაც გული აუსუყა, ამაოებად ჩასთვალოს, ნამეტნავად მაშინ, როცა თვალ-წინ წარმოუდგება, მიწა ვარ და მიწადვე მივიქცევიო. აბა, პატარა დაიქვეითონ და ზოგი ჩვენა გვკითხონ, ჩვენ, მდაბიოთა, სიკვდილის შვილთა, რომელთაც ყველაფერი გვენატრება, რომელნიც ყველაფერს სისხლით, ოფლით, წვითა და დაგვით ვშოულობთ, და წილად გვხდომია იმავე წვითა და დაგვით ნაშოვნ-ნაამაგევი დავიცვათ და შევირჩინოთ. ჩვენა გვკითხონ და ჩვენ ვეტყვით: რაშიაც არის აზრი, საგანი ცხოვრებისა. მაშინ გამოჩნდება, — რა არის ცოდვა, რა არის მადლი, მაშინ ერთნაირად გაისაზღვრება ერთიც და მეორეც ყველგან, ყველასათვის და ყოველ შემთხვევაში. ჩვენ ამას არავინა გვკითხავს და თუნდაც იკითხოს ვინმე, „ვერ შემძლებელ არს მამაკაცი თქმად ამისად“, სოლომონ ბრძნისა არ იყოს. შენც სუ! და მეც სუ!..

ესეა თუ არა, ჩვენ ამ მაღალ ფარდებში ტრიალს თუ არ დავანებეთ თავი, შორს წავა საქმე. სოლომონ ბრძენს მარტო უკვდავება-ღა ჰქონია სანატრელი, სხვა ყველა ბედს მისთვის მიუნიჭებია. ჩვენ კი „არსებითი პურიც“ გვენატრება. სად ჩვენ და სად სოლომონ ბრძენი? ჩვენ მისამდე არც ხელი მიგვიწვდება და არც სურვილი. ჩვენ ჯერ ბევრი კიბეები გვაქვს ასასვლე-

ლი და ჯერ არც ერთს საფეხურზედ ფეხიც არ მოგვიკიდებია. უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. ჩვენ თუმცა ძალიან ბედნიერნი ვართ, მაგრამ ყველაფერი ფათერაკის საქმეა: შეიძლება ქვა აღმართზედ ბედნიერსაც მიეწიოს და ამას წინასწარვე გაფრთხილება ჰმართებს.

თუმცა სოლომონ ბრძენს გავუბედეთ და სიტყვა მეტნაკლებობით შევუბრუნეთ, მაგრამ, მე და ჩემმა ღმერთმა, ზოგში კი აშკარად მართალია. მართლა-და, საშინელებაა, როცა 'შენს ნაწვავ-ნადაგსა, შენს ნაჯაფავსა, შენს ნაბრძნობსა უგუნური დაეპატრონება. გინდა თუ არა, სოლომონ ბრძენსავით ამოიკვნესებ და იტყვი: თუ ეგრეა (და რომ ეგრეა, აშკარად ვხედავთ) რისთვის დავშვერ და რისთვის ვბრძნობდი მზესა ქვეშეო?

ყველა ყველაო, მეტყვიან: შენ შინაური მიმოხილვა დაგვპირდი და მაგას რაებსა ჰბოდავო. ღმერთი-რჯული, მეც არ ვიცი, რაებსა ვბოდავ. ეს კი ვიცი, რომ მართლა ვბოდავ. როგორღაც გზა-კვალი ამერია და დავიბნივე. თავი სინანულით დავიწყე და ლამის წაწყმედის გზაზედ გავიდე და სამგლე გოჭსავით გავისისწვრიო. იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვით, ყველას, ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალ-წინ და არა მშორდება. ეხლაც ამ ყოფაში ვარ, თუმცა თქვენცა ხედავთ, რომ ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმანეთში არაფერი კავშირი აქვთ. ეხლაც თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის. რა მემართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალ-წინ როგორღაც უხეიროდ, წაღმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გაუტყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო. მე ვშიშობ და ვკანკალებ, მართლა ესე არ მოხ-

დეს-მეთქი, ის ჩემი სულთამხუთავი-კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის. რას იღრიჯები, შე უგვარო, უმსგავსო-მეთქი, ვეუბნები. იმან პასუხად ღორის ეშვებსავით თავისი სიბერისაგან ფანფალა ღოჯები წამომიყარა და ამოჰვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დააღო. ფუ, ეშმაკომეთქი, დავიყვირე, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. პირჯვარი დავიწერე, შენც არ მომიკვდე, არც ამან მოაცვლევინა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე, სულთამხუთავიც უცბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება, როგორც ქარისაგან ბოლი.

ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!..

მაინც რისთვის გავაბი ლაპარაკი სოლომონ ბრძენსა და იმ წყეულ ამოცანაზედ, მეც ვერ გამიგია. მე ვგრძნობ, რომ ძალიან შევტოპე და თავს ბოლო ვეღარ გამოვაბი. რით დაგისრულოთ სიტყვა არ ვიცი, ჩემი კალამი ჩემს სურვილს ეურჩება. ჩემგან ნაჩვენებს ბარდებში ბილიკი თქვენ თითონ გაიგნეთ. მე კი ვდუმდები და ვიდრე მამალი დაიყივლებდეს და ეს სულთამხუთავი გამიფრთხებოდეს, მე ჩემსას არას კიტყვი და ისევ სოლომონ ბრძენს ვალაპარაკებ. არც საშიშია, არც საკრძალველი.

სოლომონ ბრძენი ამბობს, რომ ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშეო და ასე განაგრძობს:

„ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა, ჟამი წყლულებად და ჟამი კურნებად, ჟამი დარღვევად და ჟამი შენებად, ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად, ჟამი განყრად ქვათა და ჟამი შეკრებად ქვათა, ჟამი გარდახვევად და ჟამი განშორებად გარდახვეულისაგან, ჟამი

ძიებისად და ჟამი წაწყმედისად, ჟამი დამარხვისად და ჟამი აღმოთხრისად, ჟამი განხევისად და ჟამი შეკერვისად, ჟამი დუმილისად და ჟამი მეტყველებისად, ჟამი სიყვარულისად და ჟაჳი სიძულილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად".

აი თურმე სად უნდა ვეძებოთ პასუხი იმ წყეულის ამოცანისა? აი თურმე სად უნდა მოიძებნოს აზრი ცხოვრებისა! მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ, თავი ხომ არ მომძულებია, რომ დასახრჩობად გამოვიმეტო. მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმცნო: ჟამი რას ითხოვს: ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულილს, ბრძოლას თუ მშვიდობას და სხვათა და სხვათა ამისთანათა, რაც ჩამოთვლილია სოლომონ ბრძენისაგან.

„დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მოაქვს?,
რას ისხამს, რა მოისთვლების" —

ქართველთაგან თქმულია. მეც ქართველი ვარ და არა ქართული არ მეუცხოების. ამიტომაც იმ ამოცანას ამისთანა პასუხს ვაძლევ და ზედ დავართავ:

„თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო,
შენცა ხელთ გქონდეს ფარიო".

XXVIII

შინაური მიმოხილვა.

1892 წლისა.

ტფილისი, 1 იანვარი, 1893 წ.

შემოვდგი ფეხიო, გწყალობდეს ღმერთიო, იძახის დღეს დაბადებული ახალი წელიწადი. გწყალობდეთ ღმერთი, ვიძახით ჩვენც და ზედ ვუმატებთ, ღვთის წყალობასთან ერთად წყალობა მოიღოს ჩვენზე ჩვენმა მხნეობამაც, ჩვენმა გამრჯელობამაც და ფრთა-ასხმულმა სიყვარულმა ქვეყნისამ, დღეს-აქამომდე უქმი ქართველი საქმიან კაცად გარდაჰქმნას მისის ქვეყნის სასიხარულოდ და სასიქადულოდ.

ღმერთო, გვისმინე ეს ვედრება, ეს ნატვრა, მოგვეც ძალღონე საქმის ქმნისა, და ჩვენი მარჯვენა, ჩვენი ჭკუა და გონება, ჩვენი გული მოგვახმარებინე ჩვენის ქვეყნის გასაღონიერებლად, გასაძლიერებლად. ღმერთო, მოუმართე ხელი ყოველ იმას, ვინც თავის საკუთარ ბედნიერებად ჰხადის მთელის ქართველობის ბედნიერებას და ამ პატიოსან ხადილით განდიდებული და გაძლიერებული გამოვა სამოქმედო მოედანზე და თავგანწირულობით მხნედ მებრძოლი საქმის ბურთს გაიტანს მოედნიდამა ასე თუ ისე, და ნავალი გზა, მისგან თელილი, ბრწყინვალე კვალს დასტოვებს შემდეგთა სამაგალითოდ და მადლობით მოსახსენებლად.

ეს ნატვრა, ეს ვედრება მით უფრო საჭიროა დღეს, რომ ეს ახალი წელიწადი დიდის იმედებით დაგვებადა და ბრწყინკალე იმედებითაც. ამ დიდს იმედებს დიდი მხნეობაც უნდა,

დიდი ჭკუისა და გულის დადება, დიდი წინდახედული გარჯა და საქმიანობა.

წარსულმა წელმა, რომელიც ჩვენგან დიდის მადლობით მოსაგონია, ბევრი რამ უანდერძა ამ ახალს წელიწადს. ეგ წარსული წელი კარგა მსხმოიარე წელიწადი იყო ჩვენის ჭკუა-გონების და გულის სამოქმედოდ დაძვრისათვის და თუმცა თითონ ვერა მოიმკო-რა, მაგრამ იმითაც სადიდებელია, რომ მოსავალი მოთესა, მოიყვანა და ახალ წელიწადს დაჯულოცა: აი მოვხან-მოვთესე, შენ მომკე და შეირგეო, ეხლა შენ იცი და შენმა გამრჯელობამაო, მე-კი გეთხოვები სამუდამოდ და დასასრულ გეუბნები: რაც შევიძელ, იგი ვქმენო!

მართალიც არის: რაც შეიძლო, იგი ჰქმნა, და ამასაც ვიტყვით, — ამისთანა საქმიანი წელიწადი ბევრი არ ჩამოითვლება ჩვენში ამ ოთხმოც-და-ათის წლის მანძილზე. რა ჰქმნა აწეთი ამ განვლილმა წელიწადმაო, იკითხავს მკითხველი. ისა ჰქმნა, რომ ორი დიდი ძალა წამოაყენა ფეხზე ჩვენში, იმისთანა ძალა, ურომლისოდაც წარმატება ერისა, მისი წინსვლა, მისი ბედნიერება, ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, ღონიერობა — შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ერთს ეძახიან ძალას თვითმოქმედებისას და მეორეს — თავის-თავის იმედისას.

დიაღ, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი მიხვდა, რომ ღვთის მიმართ ხელთ-აპყრობა, ლოცვა და ვედრება კარგია, მაგრამ თითონ ღმერთს მარტო თვითგამრჯელი, თვითმოქმედი, ხელგამომავალი კაცი უყვარს და ამისთანა კაცსა ჰშველის, ამისთანა კაცსა სწყალობს. მიხვდა, რომ ამა ქვეყნის სუფრაზე ადგილი აქვს მარტო იმას, ვინც დამყარებულია თავის საკუთარ მხნეობაზედ, თავის საკუთარ მარჯვენაზედ და ვინც თავის-თავის იმედით ჰგულოვნობს, ვინც თავის-თავის იმედით ომობს და იბრძვის ამ წუთისოფელში — არსებობისა და საპატიო ადგილის დაჭერისათვის. მე თუ თითონ არა ვარ ჩემის ქვეყნისათვის, ჩემის თავისათვისაო, სხვა უფრო არ იქნებაო, — ამ აზრმა თავი იჩინა საყოველთაო დასანახავად უფრო წარსულ წელს, ვიდრე სხვა დროს როდისმე.

ამ თვითმოქმედებით და თავის-თავის იმედით დაწყებულ საქმეთა ზოგიერთი მაგალითები წინა-წულების მეოხებითაც თვალ-წინა გვაქვს. ჩვენი ბანკები, ჩვენი საზოგადოებანი — წერა-კითხვის გამავრცელებელი, დრამატიული, ღარიბთა მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჩვენი სკოლები, ქართველთა წიგნთა გამომცემელი ამხანაგობა, — ყოველივე ესენი ერთად და თვითოეულად ცალკე ჩვენის თვითმოქმედების, თავის-თავის იმედის შვილები არიან და, როგორც ვხედავთ, თუმცა ტაატით, მაგრამ მაინც ძლიერდებიან და მატებით წინ მიდიან დღითი-დღე ჩვენდა სასიხარულოდ და სანუგეშოდ. ყოველივე ეს მომხდარია ამ ოცს წელიწადში თითოობით, ხანდაზმობით, დროგამოშვებით, კანტი-კუნტად, ხოლო წარსულმა წელიწადმა ერთბაშად მოგვიხნა და მოგვითესა უშველებელი ნაყოფიერი და ნოყიერი დიდი მინდორი საეკონომიო მოქმედებისა, აქამდე უქმად დებული, დაუძრავი და ჩვენ მიერ თითქმის ხელუხლებელი. მომწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ სულიერ ღონესთან ერთად უნდა ვლიდეს ღონე ხორციელიც, რომ სულის, ჭკუისა და გონების გაძლიერებას მხარ-და მხარ უნდა მოსდევდეს ქონებისა, ჯიბის გაძლიერებაცა, რომ ერი და ქვეყანა, რომელთაც ან ერთი აკლია, ან მეორე, ცალფეხა კაცსა ჰგავს, და როგორც ცალ-ფეხა კაცი შორს მანძილს საჭირო სიმალით ვერ გაივლის, ისეც ერი, ქვეყანა, ვერას გახდება, თუ თავის წარმატების საყევარში ეს ორი უღლადი, ყოვლთ-შემძლებელი ძალ-ღონე არ ეყოლება შებმული ერთად და განუყრელად.

ეს ვიგრძენით, ეს ვიცანით. ამას მივხვდით ჩვენ, და წარსულმა წელიწადმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ამასთან გამჭრელი თვალიცა გვქონია საქმის დასანახავად, გონებაც — გამოსარჩევად, ხელიც — მისაწვდენად და მარჯვენაც — საკეთებლად. დავიწყოთ იქიდამ, რომ ამ გრძნობით, ცნობით და მიხვედრით ფრთა-ასხმულებმა შარშან შეადგინეს ერთი პატარა, ჯერხანად ჩუმი, ხმაამოუღებელი, მშვიდობიანი „სახლების ამშენებელი ამხანაგობა“, რომელსაც საგნად დაუდვია ერთი-ერთმანეთის მიშველებით, ერთი-ერთმანეთის შემწეობით თავის

წევრთ სახლები უშენოს ქალაქში. ეს ამხანაგობა არ შობილა ბუკითა და ნაღარითა, არა ჰყვირის ჩხავანა კატასავითა — ქვეყნის მხსნელი მე ვარო, მაგრამ ჰსაქმობს კი ჩუმად, დაუღალავად, და თავდებობაც მისის გაძლიერებისა, განდიდებისა, ამ თითქმის კდემით-მოსილს მოქმედებაშია. ვიმედოვნებთ, რომ იგი, ეხლა თვალად პატარა, თავის დროზე დიდ საქმედ გადიქცევა და ჯეროვანს ყურადღებას დაიმსახურებს ჩვენში.

შარშანვე დაიძრა მედგრად და ჰლამის განხორციელებას ღვინის საქმე ჩვენში. ვენახების პატრონებმა კახეთში დაინახეს, რომ ჩვენებურ ღვინოს ღირსეული მერმისი მოელის; რომ თუ თითონვე არ მოჰკიდებენ ამ დიდს საქმეს ხელს, ეს ძვირფასი სავაჭრო საქონელი ჯერ ჰფოლდება ღირსებით და აბრუ უტყდება, რადგანაც ვაჭარნი აფუჭებენ, და მერე აკლდება ფასი, რადგანაც ბაზარი არა აქვს, და საცა აქვს — იქაც გამორჩომა ვაჭარსა რჩება და არა ვენახის პატრონს, რომელსაც დიდის ლუკმისაგან არგუნებენ ხოლმე ნასუფრალს ვაჭრობისას, ძლივ-ძლივ საკმარს ვენახისავე სახარჯოდ. დაინახეს, რომ ამ გზით თვისის ოფლის ნაამაგარით სხვას ამდიდრებენ და თითონ-კი ჰღარიბდებიან. დაიძრა აზრი ამ უნუგეშო ყოფისაგან გამოსახსნელად. ჰფიქრობენ, მოქმედობენ, ირჯებიან, რომ ამ სატკივარს ჯეროვანი წამალი მოუპოვონ და იმედია, რომ მეცადინეობა ამ შემთხვევაში უქმად არ ჩაუვლით. საქმე ის არის, რომ გაჭირვება ნაგრძნობია საერთოდ და საყოველთაოდ, და ქართველს ოღონდ გაჭირვება უჩვენე და გაქცევას თითონ მოახერხებს, ღვთისა და ქვეყნის წყალობითა.

წარსულ წელსვე უნდა მადლობა ვუთხრათ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობა სხვა მხრითაც გამოაფხიზლა და მიახვედრა იმ აზრს, რომ ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელშიო; თუ რამ გაკეთდეს, ჩემის ხელით გაკეთდესო, და თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომასაო. აქამომდე ამ-გვარ საქმეებისათვის ჩვენ მიძინებულნი ვიყავით, ჩვენის ქვეყნის სიკეთით სხვანი ხეირობდნენ, ჩვენის ქვეყნის საქმეებისაგან სხვანი მდიდრდებოდნენ და, თუ ლუკმა გავარდეს, ისევ ჩვენს ჯამში ჩავარდეს,

ის არა სჯობიაო? კახეთის რკინის-გზა ერთი ამისთანა ლუკმაა. თავად-აზნაურობა ამით გაიჩენს ერთს მდიდარს წყაროს, ერთს უეჭველს ღონეს გამოკეთებისას, მოჯობინებისას თავის-თავისა და ქვეყნის წარმატების გზაზე. ეს ისეთი საქმეა, რომ ამის ხელიდამ გაშვება ერთი შეუნდობარი ცოდვა და დანაშაულობა იქნება წინაშე ქვეყნისა საერთოდ და თვითოეულისა ცალკე. თავად-აზნაურობამ თავის სასახელოდ სწორედ ამ თვალით შეხედა ამ საქმეს და 20 დეკემბერს საგანგებო კრებამ საგუბერნიო თავად-აზნაურობისამ ეს საქმე თვის საკუთარ საქმედ იცნო და დაადგინა, მაგ საქმეში ჩვენ უნდა ჩავებნეთ და არავინ სხვაო.

არც გლეხობა დარჩა შარშან უომისოდ, რომ არ დაძრულიყო თავის სახსნელად და წარსამატებლად. იგიც დაადგა ამ ყოვლად-მხსნელს და ყოვლად-შემძლებელ თვითმოქმედების გზას და ძირს დადებულს შვილს თავისთავის იმედისას დასწვდა თავის ძლიერის ხელით ასაღებად. გლეხკაცობამაც იგრძნო, რომ სხვის ხელში ყურება არაფერი თამასუქია; რომ თვის სატკივარს თითონვე უნდა უწამლოს, თავის-თავს თითონვე უნდა უშველოს. ამისათვის გაიწერა თავის ნებაყოფლობით პური, რომელიც ფულად უნდა იქცეს და ფული მოხმარდეს მიწათმოქმედების განკარგებას, გაძლიერებას, იმ გზით, რა გზითაც თითონ დაინახავს საჭიროდ. დღეს-აქამომდე ტფილისის გუბერნიის გლეხკაცობას ნახევარ მილიონზე მეტი აქვს პური თუ ფული ამ საქმისათვის მოგროვებული.

აი, სხვათა შორის, რა საქმეები დასთესა წარსულმა წელიწადმა ჩვენში და რა საქმეები უანდერძა ახალსა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ახალი წელიწადი კვლავ ისე პირნათლად გამოგვეთხოვოს, როგორც პირნათლად წარსული გამოგვემშვიდობა, და ყოველს ამისთანა საქმეს იმისთანა კაცები შეახვედროს, რომ ჩვენ, იმ კაცების ღვაწლის მნახველთა, თავი მოვიწონოთ ქვეყნის წინაშე და ვსთქვათ თამამად: ჩვენც კაცნი ვართ და არა-რა კაცებური არ გვეუცხოების.

ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ასე მოხდეს, და მოხდება კიდეც, თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითოეული ჩვენგანი, — გლეხია,

თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, — სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი. ამიტომაც სიკეთისათვის ბრძოლაში თვითოეულს ჩვენგანს ყველანი ერთნაირად უნდა ახსოვდეს, რათა გარჯით და ბრძოლით მოპოებულ სიკეთისაგან ყველას თავისი წილი ერგოს უნაკლულოდ. მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული. ღმერთიც ამისთანა კაცსა სწყალობს და ქვეყანაც ამისთანა კაცის სახელს ჰლოცულობს, რადგანაც საქვეყნო საქმე მარტო ამისთანა კაცებისაგან ჰრიგდება და კეთდება.

XXIX

შინაური მიმოხილვა.

1895 წლისა.

ტფილისი, 4 იანვარი 1896 წ.

ცხოვრება ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, უფრო წეწვა-გლეჯის ბაზარია. დღეს ესეა მოწყობილი და რას იზამ? ცხოვრება მარტო აღებ-მიცემობაა ერთმანეთის ჭკუისა, თუ ხელის ნაწვავ-ნადაგისა, ნაამაგარ-ნაშრომისა, ნაომარ-ნარბევისა. იგი ის მოედანია, საცა ჭიანჭველასავით ირევა დიდი და პატარა, საცა მაძღარი მშიერს წვრილად უფხვნის, გამარჯვებული დამარცხებულს ფეხ-ქვეშა სთელავს, ძლიერი უძლურს ეტანება შესაჭმელად, უძლური ძლიერს გაურბის და ორნივკი — დამწევიც და გამქცევიც — ერთსა და იმავე დროს ერთ'ა და იმავე ღმერთს ეხვეწებიან — ხელი მომიმართეო.

ჯოჯოხეთი იქნებოდა ეს ასეთი ცხოვრება, რომელსაც სხვა მიზანი არსებობისა არა აქვს, თუ არ ის, რომ ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული, ვამბობთ, ჯოჯოხეთი იქნებოდა, რომ ამ წეწვა-გლეჯის ბაზარში სხივფენილ მადლსაც არ გაჰქონდეს თავისი პატიოსანი ნაამაგარი, თავისი ნაშრომ-ნაღვაწი კაცთა სანუგეშოდ და სასიქადულოდ. დიდ-ბუნებოვანობა ცალკე ადამიანისა, თუ მთელის ერისა, მის-მიერ გატანილ მადლის მეტ-ნაკლებობაშია. ეგ მეტ-ნაკლებობა მადლისა არის უტყუარი საწყაო ცალკე ადამიანის, თუ მთელის ერის, კაცურ-კაცობისა,

მისის შინაგან სიმაგრისა, ქვაკუთხედი მისის აღმატებულობისა. მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითოეულ ადამიანისას, ისეც მთელის ერისას, და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა.

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა სჩივის და ჰღალადებს სახორციელო პურისათვის, ის ამდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

ამ თვალით რომ მოვჩხრიკოთ წარსული წელიწადი, ბევრს ვერაფერს სანუგეშოს დავინახავთ. ეს ახალი ამბავი არ არის. ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ბევრს წინათ წარსულ წელიწადებსა ჰგავს და ვერაფერს დაგვამუნათებს. პირიქით, კარგად რომ მოვუჩხრიკოთ ავლა-დიდება, ავი და კარგი, იქნება შარშანდელი წელიწადი სხვა წლების წინაშე უფრო პირშავადაც გამოვიდეს. არც საკვირველია, წყარო ცხოვრებისა თავი-

სად და თავისგნით არა სჩქეფს, არა ერთი და ორი ნახირი დღე-მუდამ შიგ ფეხს იბანს და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ იგი წყარო მღვრიეა. მბაძს მბაძი არ დაელევაო, ნათქვამია, და ჩვენც თითონაც ჩვენს საკუთარს ჭუჭყიან სარეცხს შიგ ვალბობთ დიდის გულმოდგინებით და, მოდით, წყაროს მოჰკითხეთ, რატომ წმინდა არა ხარ-თქო.

ამიტომაც შარშანაც, როგორც წინა-წლებშიაც, იგივ შური და მტრობა იყო გააფთრებული. ძმა ძმას ვეღარა ჰნდობია, მამა შვილსა, შვილი მამას, მეზობელი მეზობელს, მახლობელი მახლობელს, მეგობარი მეგობარს — განა ეს ცხოვრებაა და არა ჯოჯოხეთი!.. ჩვენ ეხლა ისე გაგვიხდა საქმე, რომ იმას კი აღარა ვჩივით — რაც გვაკლია, ის შევიძინოთ, არამედ იმას, რომ რა ნაგავმა და მტვერმაც აღგვაკრო, ის გავგავოთ და შემოვიბერტყოთ. კიდევ ერთის ფეხის წინ წადგმა იქმებოდა, კიდევ ღვთის წყალობა იქნებოდა, რომ ამის დარდსა და ზრუნვას შევდგომოდით, ცოცხი აგვეღო ხელში ამ ვაი-ვაგლახის გასაგველად. ჩვენდა საუბედუროდ, ვერც ეს შევიძელით. მაშ რით უნდა ვინუგეშოთ დღეს, ან სახვალიოდ რა იმედი წავიმძღვაროთ ხალისის მოგვრისათვის? თვითოეული ჩვენგანი ჰკვნესის ზნე-დაცემულობისაგან, ჩვენის ზნეობითად წაწყმედისაგან და იმედ-გადაწყვეტილი, სასოება-დაკარგული, ვაებით ვიძახით: ღმერთო, სად მივდივართ და რა ბოლო მოგველისო.

მართალია, ყოველივე ეს ვერაფერი საახალწლო გოზინაყია. ჩვენც იქნება მეტი მოგვივიდა, რომ ამისთანა დღესასწაულს ესეთი ულხენი და საგოდებელი ფიქრები ავუშალეთ ჩვენს მკითხველს. ამაზე სხვას აღარას ვიტყვით, თუმცა სათქმელი კიდევ ბევრია. ქართველს კაცს, ჩვენდა საუბედუროდ, საქმე ისე გაუხდა, რომ „კარგი რამ სჭირდეს, უნდა უკვირდეს, ავი-კი რა საკვირველია“. ამ ყოფაში ჩავარდნილი ერი, თუ მთელი ძალღონე არ მოიკრიბა და ამ საფლობიდამ არ ამოვიდა, ფონს ვეღარ გავა დღეს. ჩვენს დღევანდელს ჭირს ფესვი აქა აქვს გამდგარი, შიში მერმისისა აქედამ მოჰქრის. მოდით და პირში წყალი ჩაიყენეთ და ნურას იტყვით, აქაო და ახალი წელიწადიაო! სატკივარი არას უზამს კაცს, თუ მიზეზი თავისს

დროზე გაუგო. თვალებზე ხელის მიფარებას თავის-დღეში არავისთვის ხეირი არ მოუტანია. ჭირი დანახული სჯობს დაფარულსა, თუმცა ორივ ჭირია და არც ერთი არ არის სანატრელი.

ამ მხრით წარსულმა წელმა არაფერი სანუგეშო არა მოგვცა-რა არც სადღეისოდ, არც სახვალიოდ. მაგრამ ჩვენ მიერ უმადურობა იქნება, რომ მარტო წყევლით და ქოქვით გავისტუმროთ ეს წელიწადი და არავითარი კეთილი მისი მადლობით არ მოვიხსენიოთ. ამ წელიწადმა სხვაფრივ და სხვა ფარგალში ერთი იმისთანა მაგალითი გვაჩვენა, რომლის მსგავსს მისებრ უნუგეშო წინა-წლებში ვერას ვიპოვით...

22 ოქტომბერიცა წარსულის წლისა. ამ დღეს ვიდღესასწაულეთ ორმოც-და-ათის წლის მშვიდობიანი მოღვაწეობა თ. რაფიელ ერისთავისა, გატარებული სულ სხვა სარბიელზე, სხვა ასპარეზზე. თ. რაფიელი ჩვენი სასიქადულო პოეტია. პოეტის სიტყვა იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს უკეთესს სულთასწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს.

ამბობენ, თქმა და ქმნა ერთი და იგივე არ არისო. მართალია, სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი, მაგრამ თ. რაფიელ ერისთავი ერთი იმისთანა იშვიათ კაცთაგანია, რომლის სიტყვა თავის-თავად საქმეა. ეს დიდი მადლი, რომელსაც ბუნება მიანიჭებს ხოლმე თვისთა რჩეულთა და რომელიც თქმას ქმნადა ჰხდის, თ. რაფიელ ერისთავმა მთლად ამსახურა თავისს საყვარელს მამულსა, თავისს საყვარელს ერსა. იგი ხელთუქმნელი საგანძური გაუხსნა და შიგ წყობილი მარგალიტი გულში ჩაულაგა, შენი შენვე მიიღეო. ჩვენი სანუგეშო და თავმოსაწონებელი აქ ის არის, რომ თითონ ერმაც იცნო თავისი ერთგული შვილი და საქვეყნოდ დიდის ყოფით და ამბით მადლი გადაუხადა. ეს ცნობა და დაფასება იმისთანა

მშვიდობიანის ღვაწლისა, რომელიც ბუკითა და ნაღარით არა ჰღაღადებს ქვეყნად და ზიზილ-პიპილებით არ იმოსება, იმისი ნიშანია, როძ ერი ცოტად თუ ბევრად გონებაშია ჩავარდნილი და იმ გაგებამდე მიღწეული, რომ ამისთანა სარბიელზე დადებული ღვაწლი უფრო მის-მიერ საგრძნობელია, უფრო პატივსაცემელია, უფრო მადლობის გადასახდელია. ნიშანი ამისთანა აღმატებისა უნუგეშო არ არის.

ამიტომაც არც ამისთანა დღეობა ჩაუვლის ხოლმე ერს უიმისოდ, რომ თავისი თავი კაცურ-კაცად არ იცნოს და ამ ცნობამ ჰკუა და გონება უფრო არ გაარჯვევინოს, თვალი ცოტად თუ ბევრად უფრო არ აახილებინოს თავისს თავზე, თავისს გარეშემოზე და გრძნობა საკუთარის ღირსებისა თავისს ფარ-ხმალად არ ახმარებინოს. ამისთანა ამბებმაც იცის ატეხა ათასნაირ ფიქრებისა, ათასნაირ ნატვრისა და სურვილისა და საცა ყოველივე ეს დაძრული და ატეხილია, იქ არის ცხოვრებაცა.

გვეტყვიან ზოგიერთნი, სამართლიანად მეტის მდომნი: ეჰ, ყველა ეს წამი იყო და წავიდაო. იქნება, ჩვენდა საბ᳭უხაროდ, ეს მართალიც იყოს და ერთს წამს ძირიდამ თხემამდე კაცურად დაძრული ცხოვრება ისევ თავისს ადრინდელს უქმსა და უფერულს კვალში ჩადგა, მაგრამ ამ ცხოვრებით თუნდ წუთიც გვეცხოვრა, ეგეც ჩვენთვის დიდი ღვთის წყალობაა. ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც-კი თავისი მადლი და ფასი აქვს. მარტო შეიძლება ამ შემთხვევაში გულის ტკივილით ითქვას: „ჰე, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად რათ წარხვედი“, და თუ დანანებას ამისთანა შემთხვევაში ადგილი აქვს, ის უნდა გვენანებოდეს, რომ ყოველივე ეს წამი იყო და წავიდა.

ესეა თუ ისე, 22 ოქტომბერიც საკმაო საბუთს გვაძლევს მადლობით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული წელიწადი და ლოცვა-კურთხევით ცხონება ვუთხრათ მით უფრო, რომ ამის თქმას ბაჟი არ ადევს. სხვას ნუღარას მოვკითხავთ, თორემ დანარჩენში ეს წელიწადიც ისეთი პირშავი გამოვა, როგორც ბევრი სხვა წელიწადი ყოფილა და მით ახალწლის ტკბილ გო-

ზრნაყში ნუ გავურევთ სიმწარეს ბალღამისას. ეს ბალღამი უამისოდაც არ დაჰმალავს თავის თავსა და თავის გამოსაჩენად მუშა-დღეებიც ეყოფა: უქმესა და დღესასწაულს მაინც ნუ გაგვიმწარებს.



დამატებანი



შინაური მიმოხილვა.

1879 წელი, მაისი — ივნისი.

ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები. — რატომ არა ვსწავლობთ. — რა წამალი უნდა დავსდოთ. — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. — ჩვენებური სოფლის სკოლები. — რა ხარჯს იხდის გლეხობა სკოლებისათვის. — სად რამდენი სკოლაა. — რამდენი მოსწავლეა.—ასზედ რამდენი გლეხი სწავლობს.— რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება განათლების საქმეში.

წელს გამოცხადებული იყო, რომ კლასიკურს გიმნაზიაში ოც-და-ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოც-და-ერთში, ჩვენდა სამწუხაროდ და, უკეთ ვსთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია. ბევრი რამ არის საოცარი ამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმაზედ საოცარი, რომ შუაგულს საქართველოში წელიწადები გადის და ერთი ქართველი არ ასრულებს კურსსა, ამაზედ საოცარი-მეთქი არა მგონია სხვა რამ იყოს.

რას უნდა მივაწეროთ ამისთანა უნუგეშო ამბავი? ჩვენი კეთილის-მყოფელნი, რასაკვირველია, ადვილად მოგვიგებენ ამის პასუხს და იტყვიან, — თქვენს უნიჭობას თუ არა, ზარმაცობას ხომ წინ არა უდგა რაო. ეს პასუხი მთქმელისათვის იქნება სანუკვარიც იყოს, მაგრამ მართალია თუ არა, მაგისიკი ნურას უკაცრაოდ. ჩვენა გვგონია, რომ მაგისთანა პასუხი შეუწყნარებელია, თუ კაცი რიგიანად დააკვირდება ჩვენის განათლების საქმის შიგნეულობასა და გარემოებას ჩვენის

ყოფისას და მდგომარეობისას. პირველი, რომ ის წრე, რომლისათვისაც მისაწვდომია იმგვარი სასწავლებელი, როგორც გიმნაზიაა, მეტად შორს არის გიმნაზიაზე, ისე მანძილით არა, როგორც შეუძლებლობითა. შვილის შენახვა ქალაქში ჩვენებურს თავადსა თუ აზნაურს-შვილს, გლეხს აღარ ვიტყვით, მეტად უძნელდება, მერე ამისთანა სიძვირეში. ბევრს კი არა, ძალიან ცოტას აქვს იმისთანა შეძლება, რომ შვილი პანსიონში მისცეს, ან ვისმე მიაბაროს. ერთსაც და მეორესაც დიდი ხარჯი მოსდევს და ამ ხარჯს ვერა სწვდება შვილის განათლების მსურველი დედ-მამა. ამის-გამო თითქმის მთელი ის თავად-აზნაურობა, რომელიც ქალაქს-გარეთ სოფლად სცხოვრებს, სწავლის სახსარს მოკლებულია და თუ შეხვდებით ქართველს ყმაწვილს გიმნაზიაში, ან ქალაქში მცხოვრების შვილია, ან არა — გვარიანად შეძლებულისა. სხვა-კი თითქმის აუარებელი რიცხვი ყმაწვილებისა სწავლის გარეთ რჩება. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენს ქართველს ყმაწვილს დიდი ხარიხი ხვდება სწავლის მიმდინარეობაში. ჯერ თითონ პროგრამა გიმნაზიისა აიღეთ თავისის ლათინურით და ბერძნულით, რომელნიც იმოდენა ხეირს აყრიან ყმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა. თუნდ ამ ორს მძიმე ტვირთს აუვიდეს კიდეც ჩვენი ყმაწვილი, მაინც კიდევ ერთი სხვა მძიმე ტვირთი აწევს კისერზედ. ჩვენი ქართველი ყმაწვილი ორ-გვარს სიძნელეს შეეხლება ხოლმე გიმნაზიაში. ერთი — საგნის, მეცნიერების სწავლას, რომელიც ერთნაირად მძიმე რამ არის ყველასათვის და აუცილებელიც და მეორე — იმ უცხო ენის შეთვისებას, რომლის საშუალობითაც საგნებს ასწავლიან. ამაში-კი ტვირთი სწავლისა ერთნაირად მძიმე არ არის რუსისა და ქართველს შორის. რაღა საკვირველი უნდა იყოს ამას იქით, რომ რუსმა უფრო ადვილად გაიაროს სწავლის გზა, ვიდრე ქართველმა! რუსი მარტო საგნებსა სწავლობს და ქართველი-კი საგნებსაც და რუსულ ენასაც, ურომლისოდაც ერთს ბიჯსაც წინ არ წაადგმევინებენ, თუნდა ჰუმბოლტის მეცნიერებით აღსავსე იყოს.

მეტყვიან, ეგევე მიზეზი ხომ სომეხსაც უნდა აბრკოლებ-

დესო, მაგრამ იმათში ორი-სამი მაინც ასრულებს ყოველწლივ კურსსაო. მართალია, ორი-სამი ასრულებს, მაგრამ თითონ ეგ ორიოდობა ცხადი საბუთი არ არის იმისი, რომ ამ შემთხვევაში სომეხი და ქართველი ერთს ტაფაში იწვიან! რაც შეძლებული სომხობაა, სულ ქალაქში მცხოვრებელია, მაშასადამე, გიმნაზია კარ-წინა აქვთ. ამასთან შემძლებელნიც არიან, როგორცა ვსთქვით. ამათგანმა რომ ორიოდემ შეასრულოს ხოლმე კურსი წელიწადში, არარაობად უნდა ჩაითვლებოდეს. ათასში და ათი-ათასში ერთი განა მაგალითად მოსატანია ამ შემთხვევაში! მინამ ჩვენი გიმნაზიები შრომას და ჯაფას არ გაუთანასწორებენ ქართველს, სომეხს და რუსს, იმ დრომდე ძნელად საფიქრებელია, რომ ქართველებმა და სომხებმა წააჯარბონ რუსებს გიმნაზიაში.

მინამ ის სანატრელი დრო მოვა, არც ჩვენ უნდა ვისხდეთ გულხელ-დაკრეფილნი; კაცი ის არის, ვინც გაჭირვებაში ცდილობს, რომ სიმძიმე გარემოებისა როგორმე შეიმსუბუქოს, ან აქეთ მოუაროს საქმეს, ან იქით და როგორმე უშველოს თავსა. აბა, მაგალითად, ჩვენ როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს? პირველი, რომ ჩვენი საკუთარი სასწავლებელნი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა სასწავლებელნი, რომ ჩვენს შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზრდოებაც და სწავლაც. ყველაზედ უპირველესი წამალი ეს არის და ამაზედ უნდა მიექცეს ყოველივე ჩვენი ყურადღება, მეცადინეობა და გამრჯელობა. სხვის მაყურებელი მოკვდა უზიარებელიო, ნათქვამია. ეს წუთის-სოფელი ისეა მოწყობილი, რომ ყველა თავისათვისა ჰფიქრობს და სხვაც, რასაკვირველია, თავისათვის უფრო იფიქრებს. „თავად-აზნაურთა საზოგადოებამ შეუძლებელ შოსწავლეთა შემწეობისათვის“ თავისი სკოლა გახსნა ტფილისში, და იქ ოც-და-ათს ყმაწვილს ბინა, საზრდოება და პირველ-დაწყებითი სწავლა ეძლევა; ორმოც-და-ათამდე მოარული შეგირდებიცა ჰყავს. ქუთაისელებიც, ბანკის ფულის შემწეობით, აპირობენ ამ-გვარის სკოლის გახსნას და ჯერჯანად რვაასი თუმანი აქვსთ ამ საგანზედ. ტფილისის სკოლას კიდევ აქაურმა ბანკმა შესწირა ათას-ასი თუმანი წელს და

ხუთასამდე შარშან. ეს ყველა კარგია, მაგრამ ყველა ეგ ცოტაა. ეგ სკოლები წყლულს ვერ გაგვიმთელებენ, თუმცა ეგენიც დიდი საქმეა ჩვენთვის. ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა. ჩვენმა ქართველობამ თავისი სრული თანაგრძნობა და გულშემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს, რომ მისი სახელი და კვალი მტვერსავით აიგავოს დედამიწის ზურგიდამ. საცა ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, საცა კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის, და საცა საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა თითზე დავიჭდიოთ, ეს უნდა დღე-და-ღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითოეულად ცალკე ყოვლის ჩვენის შეძლებითა და ღონითა.

ამბობენ, გიმნაზიის შენახვას ორი-ათას-ხუთას თუმნიდამ სამი-ათასამდე მოუნდებაო წელიწადში. ეს იმოდენა ფული არ არის, რომ ჩვენს ორს ბანკს გაუჭირდეს ამისი გამოღება, ზოგი გარეშე შესაწირავი იქნება, ზოგი თითონ გიმნაზიას ექნება შემოსავლად და ამ სახით საქმე საქმეზე ადვილად მოეწყობა. ქართველობავ, დამიჯერე, რომ ჯერხანად ამაზედ უკეთესს საქმეს ვერ მოახმარებ შენს ქონებითს ძალასა. ამისათვის გაისარჯე, თუ გინდა, რომ მამა-პაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა სჯობდეს და მომავალი — აწმყოს. დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ...

* *

ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის საზოგადოება“ შესდგა და გამგეობაც ამოირჩიეს. თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ჩვენი პატივცემული დიმ. ივან. ყიფიანი, მის ამხანაგად ილ. ჭავჭავაძე და წევრებად: თ. რაფიელ ერისთავი, ივ. მაჩაბელი, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და ალ. სარაჯოვი. ამ საზოგადოებას ტფილისის ბანკმა შესწირა წელს ათას-ასი თუმანი და თითონ საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ერთი ხუთასიოდ თუმანი კიდევ სხვა ღონისძიებით შემოუვიდეს. ამ სახით პირველ-ხანად ამ საზოგა-

დოებას თუმცა საკმარი არა, მაგრამ მაინც კარგა ფული აქვს. ხოლო ამ ფულს დიდი გაფრთხილება უნდა, თუ საზოგადოების ხანგრძლივად ცხოვრება სასურველია. ჩვენ ამას არ ვიტყოდით, რომ თვალ-წინ არ გვედგას ის აყალმაყალი, რაც წელს თავად-აზნაურობას შეუდგა მის-გამო, რომ ბანკმა ათასი თუმანი შესწირა ამ საზოგადოებას. „რათაო და რისთვისაო“ — ყვიროდნენ წინდაუხედავად ზოგი სხვის წაქეზებით, ზოგი საკუთარის თაოსნობით: — „განა ჩვენ კი შვილები არა გვყავსო, თუ გაზრდა საჭიროა, ჯერ ისინი გავზარდოთო. შინ რომ შვილი გიტიროდესო, გარეთ ტაბლას რა უნდაო“ და სხვანი და სხვანი.

ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმად და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-აზნაურობა-კი გამოსულა და იძახის, მე, და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე“ თუნდა იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის ძალიან არავინ არ შეიტკივებს. თუნდ ეგ არ იყოს, ჩვენმა თავად-აზნაურობამ რატომ არ იცის, რომ თუ მის გარეშემო უმეცრების სიბნელე იქნება, როგორც ეხლაა, ვერც თითონ იხეირებს და ვერც სხვას ახეირებენ. თვითოეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანებრივი საზოგადოება. თავად-აზნაურთა საზოგადოება გლეხთან ერთად სცხოვრობს; თუ რამ თავადსა და აზნაურს ეკონომიური, ანუ სხვა რაიმე ანგარიში აქვს, გლეხთანა აქვს; თუ რომ რისამე გაკეთება უნდა, გლეხის ხელით აკეთებს, თუ რისამე მოვლა უნდა, გლეხის მეოხებით უვლის. განა აქედამ ცხადი არ არის, რომ თითონ თავად-აზნაურობისათვის დიდად სასარგებლოა საქმე იქონიოს მიხვედრილ, ზნეობით და ჭკუით განვითარებულ გლეხთან, ვიდრე უმეცართან, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ ესმის, არც თავისი და არც სხვისა და რომელიც უმეცრებისა გამო თითონაც ტყუვდება და სხვასაც საქმეს უფუჭებს. ეს მუდამი

ჩივილი, რომ კაი კაცი ვერ გვიშოვია, რამე დავსაქმოთო, რამე ჩავაბაროთო, — ან გაგვჭურდავსო, ან სხვას გააჭურდვინებსო, ან რეგვენობით წაგვიხდენსო, — რის ბრალია ეს, თუ არ იმისი, რომ უმეცარს კაცს, გლეხია თუ თავადი, სინიდისი გაღვიძებული არა აქვს, ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრჯგუ, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა, არ ესმის, რომ თვითოეულის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მობმული, არ ესმის, რომ პატიოსნება, კაი-კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანისათვის, ვიდრე დროებითი ხეირი ავკაცობისა, რომელსაც, რაც უნდა სთქვათ, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამოყენება. განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება-გახსნილობა რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა.

მართალია, დღეს იქნება თუ ხვალე, ჩვენი თავად-აზნაურობა ამ საგანზედ თვალს გაახელს და იგრძნობს აუცილებელ საჭიროებად, რომ რიგიან, მიხვედრილ, სინიდის-გაღვიძებულ კაცთან საქმის დაჭერა ბევრად სასარგებლოა, და ხალხის განათლებას, ესე იგი მას, რაც ადამიანს რიგიანობას, მიხვედრილობას, სინიდისიანობას უნერგავს, ხელს შეუწყობს ისე, როგორც საკუთარს საქმეს. მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივაო, ნათქვამია. მინამ თავად-აზნაურობა მაგ სიკეთემდე აღიმართება, სჯობს საზოგადოებამ ზემოხსენებული შემოწირული ფული დიდის სიფრთხილით და გამოზოგვით მოახმაროს საქმეს; ვამბობთ, დიდის სიფრთხილითმეთქი, იმიტომ — რომ საზოგადოებას დიდი, ფართო მოედანი აქვს დანიშნული და თუ მოიწადინებს ყოველი საჭიროება ერთბაშად დააკმაყოფილოს, მაშინ ეგ ფული კი-არა, ასი მაგოდენაც არა კმარა და საშიშია, რომ საზოგადოებას საფანელი დააკლდება და პირველ ფეხის გადადგმაზედვე უილაჯობით შეჩერდება. ამბობენ, თუ საზოგადოება კარგად

იმოქმედებსო, ბევრი წყარო გამოუჩნდებაო. მართალია, მაგრამ მაგასაც დრო უნდა და ხანგრძლივი დროცა. ვიდრე ჩვენში ეს უგემური „მეობა“ მოტყდება და „ჩვენობა“ აყვავდება, ვიდრე შემძლებელი წრე ჩვენის საზოგადოებისა ჩვენის ქვეყნის საქმეს თავის საკუთარ საქმედ იცნობს, იმ დრომდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, იმ დრომდე ამ ახლად-დაარსებულს საზოგადოებას ცხოვრება უნდა და საგზალი. დღეს რომ ამ საზოგადოებამ რაც ფული აქვს სულ შემოიხარჯოს, თუნდ მართლადა სახეიროდაც მოიხმაროს, ხვალ გროშიც აღარ ექნება, რომ თითონ სული მოიბრუნოს, — და ეს მართლადა გულშესატკივარი საქმე, ეს ყოვლად დიდი საქმე წაწყმდება ისე, როგორც სხვა კაი საქმენი წაწყმედილან ჩვენს უბედურს ქვეყანაში. თუმცა უკანასკნელმა საზოგადოკრებამ საზოგადოების გამგეობას ნება მისცა ხარჯის ფული, რამდენსაც საქმისათვის საჭიროდ დაინახავს, დახარჯოს, მაგრამ გამგეობა ფულს მაინც კიდევ ხელს უჭერს და ჰფიქრობს, რომ უდიდესი ნაწილი ფულისა ხელუხლებელ ძირის-ფულად დაიდოს და მისი სარგებელი და ყოველწლიური შემოსავალი წლის ხარჯად დაინიშნოს. ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო, ნათქვამია და ეს საზოგადოება ჯერ-ხანად ბევრს არას ეჭიდება.

ამას-წინათ დაუდგენია გამგეობას, რომ სახალხო სკოლების დირექტორებისაგან, მაზრის უფროსთაგან და სასოფლო სკოლის მასწავლებელთაგან ცნობები შეაგროვოს სკოლების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში გამართულია 29 სასოფლო სკოლა და დანიშნულია გასამართავად 5 სკოლა. ამ სკოლებში სწავლობენ ვაჟები 926, ქალები 30. ამ სკოლების შესანახად ხალხი იხდის წელიწადში 9.786 მან.; ოსტატებზედ იხარჯება 8.058 მანეთი, დანარჩენი სასკოლო ნივთეულობაზედ მიდის. ოსტატის ჯამაგირი არ არის ნაკლებ 150 მანეთისა და უმეტეს 430 მანეთისა. ამ სახით, ტფილისის გუბერნია რომ 900.000 სულად ჩავაგდოთ, გამოდის, რომ ათასში მარტო ერთი სწავლობს წიგნსა და თითოს წიგნის სწავლება ხალხს წელი-

წადში უჯდება ერთს თუმანზედ ცოტა ძეტი. ქუთაისის გუბერნიაში 64 სკოლა თურმე არისო; მაგ სკოლებში სწავლობენ თურმე 2.572 ვაჟი და 35 ქალი. ხალხი იხდის თურმე მარტო ოსტატების საჯამაგიროს 120 მანეთიდამ 350 მანეთამდე.

საკვირველი ის არის, რომ შორაპნის მაზრაში 18 სკოლა ყოფილა და შვიდი ხალხს გაუუქმებია. რა უნდა იყოს ნეტავი ამისი მიზეზი? სკოლა იმისთანა რამ არის. რომ თუ ერთგან ფეხი მოიკიდა, არამც თუ რიცხვით იკლებს დროთა მიმავლობაში, არამედ იბღარტებს ხოლმე. რათ მოსვლია შორაპნის მაზრას ამისთანა მართლადა უბედურობა? ჩვენ გაგვიგია, რომ იქაური სკოლები სწორედ სავსენი იყვნენო შეგირდებითა და რას მივაწეროთ, რომ ორ-სამ წელიწადში ხალხს გაუუქმებია სკოლები? ჩვენის ფიქრით, სხვას არავის არ დაჰბრალდება ეს ამბავი, თუ არ იქაურს სკოლის გამგეობას. წარმოიდგინეთ, მთელს იმერეთში სახმარად არც ერთი ქართული სახელმძღვანელო წიგნი არა აქვთ თურმე. გრძელ სიაში ნახსენებია მარტო ორი ქართული წიგნი: ჩუბინოვის ლექსიკონი და პასტორის ცხოვრება, დიდებულიძისა. აი გამოცანა რაში გხლებიათ. გვიკვირს, ან სხვა სკოლები აქამდინ რისთვის არსებობენ ქუთაისის გუბერნიაში? თუ რამ უფლება აქვს ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, ურიგო არ იქნება ამ სამარცხვინო ამბავს ყური ათხოვოს.

ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი თვისი შემწეობა იმ ადგილებს უნდა აღმოუჩინოს, საცა სკოლები სრულებით არ არის. მაგალითებრ, დუშეთის მაზრაში ერთი სკოლა არ არის თურმე, ახალქალაქის მაზრაში მარტო ორია, თიანეთში მხოლოდ ერთი და ახლადშემოერთებულს საქართველოში — სულ არც ერთი. ამ ადგილებში უსათუოდ უნდა დაჰმართოს საზოგადოებამ სკოლები. თუნდა თავის საკუთარის ხარჯითაც. გარდა ამისა, არ იქნება ურიგო, რომ ორგან თუ სამგან ჩვენს საქართველოში სამაგალითო სკოლები გახსნას, როგორც გარეგან გამართულო-

ბითა და მოწყობილობითა, ისე სწავლის მიმდინარეობითა; ეცადოს ყოველმხრით შეამკოს და მოართოს სკოლა, როგორც ეხლანდელი პედაგოგია თხოულობს. გარდა ამისა, საზოგადოებამ მიუცილებელ საჭიროებად უნდა სცნას ქართულის წიგნების და სახელმძღვანელოების ბეჭდვა და გამრავლება. სახალხო წიგნების და სახელმძღვანელოების დამწერს რომ ჯილდოც ფულად დაენიშნოს, თუ დიდს სარგებლობას არა, ზიანს არას მოიტანს.

შინაური მიმოხილვა.

1881 წელი, თებერვალი.

ახლად გამართული ბაასი სკოლების თაობაზედ. — ბბ. იანოვსკისა და სემიონოვის აზრის განხორციელება. — მეტიჩრები ქართველობაში. — „კავკაზის“ გალაშქრება სახელოსნო სასწავლებლისაკენ. — ბ. წინამძღვრიშვილის სკოლის პროექტი და მისი ნაკლულევანება. — ქართული დრამატიული საზოგადოება.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ჩვენის მიმოხილვის დასაწყისში ისეთი აზრები უნდა წარმოვსთქვათ, რომელნიც სხვა ქვეყნებში დაურღვეველ ჭეშმარიტებად გადაქცეულან და ვინც-კი მათ განიმეორებს, იქნება სასაცილოდაც აიგდონ და ამერიკის მეორედ მპოვნელი დაუძახონ

ჩვენ უნდა წარმოვსთქვათ, რომ ბავშვმა თავდაპირველად თავის დედა-ენაზედ უნდა გაიხსნას გონება და უცხო ენის სწავლას მხოლოდ მაშინ მიჰყოს ხელი, როცა თავის დედა-ენაზედ საკმაოდ გაწვრთნილი იქნება. თუ გვინდა საკმაოდ ისწავლოს ბავშვმა უცხო ენა, დროც საკმარისი უნდა ჰქონდეს, თორემ ორსა და სამს წელიწადში არამც თუ ვერ შეითვისებს უცხო ენას, თავბედი ისე აერევა, რომ იმასაც-კი დაივიწყებს, რისაც გაგება თავის დედა-ენის შემწეობით მოასწრო.

დიაღ, დღესა გვჭირდება ამ დაურღვეველის ჭეშმარიტების გამეორება, თუმცა გვრცხვენიან და ვიცით, რომ ყოველი შეგნებული კაცი სასაცილოდ აგვიგდებს ასე საქვეყნოდ ყვირილისათვის, ორჯერ ორი ოთხიაო. მაგრამ რა გაეწყობა! ქართველებში კიდევ ბევრი ყოფილა იმისთანა, რო-

მელთაც ჯერ არ გასთქვეფიათ თავში ეს ჭეშმარიტება, თუმცა კი ჩვენი ლიტერატურა თითქმის თავის დაბადების დღიდამვე ამ ჭეშმარიტებას ჰქადაგებს.

მკითხველი მიხვდება, რაზედ ჩამოვაგდეთ ეს ლაპარაკი. ამ უკანასკნელს ხანს დიდი ამბავი მოახდინა ჩვენი სწავლა-განათლების მზრუნველის წერილმა, რომელიც გაზეთს „კავკაზ“-ში იყო დაბეჭდილი. ეს წერილი ღირს-შესანიშნავია იმითი, რომ ბ. მზრუნველი საქებურის გულახდილობით წინ გვიშლის თავის პროგრამას...

შესანიშნავი ეს არის, რომ ბ. მზრუნველი არ დაენდო მარტო თავის-თავს ამისთანა მძიმე საქმეში, საქვეყნოდ გამოაცხადა თავის პროგრამა, თითქო იწვევდა საზოგადოებას მის გასარჩევად და პირადაც ბევრს წარჩინებულ ქართველთან ჰქონია ამ საგანზედ ლაპარაკი. სამწუხარო ეს არის, რომ ეს წარჩინებულნი პირნი ყოფილან წარჩინებულნი მხოლოდ ადგილით. იქნება მათ გულიცა სტკივოდათ ჩვენის ხალხისათვის, იცოდენ როგორ საჭიროობს იგი რუსულს ენას, მაგრამ არ ესმოდათ, რა საშუალებით შეიძლება აღსრულდეს ეს სურვილი და სრულებით უბოროტოდ, კეთილის განზრახვით წარმოსთქვეს, ჩვენ ხალხს რუსული ენა ეჯირვება და კარგი იქნება, ქართულთან ერთად ასწავლოთო. წარჩინებულ პირებზედ რომ ვლაპარაკობთ, იმედი გვაქვს, ამას თავის-თავზედ არ მიიღებენ არც ბ. სენაკის მაზრის უფროსი ბებურიშვილი, არც ბ. ივ. ბერიძე, სენაკის მომრიგებელი მოსამართლე, არც „.დეპუტანტი“ ლუკა ჟვანია, რომელნიც ამტკიცებენ „კავკაზ“-ში, რომ სამეგრელოს ხალხი თხოულობს, რაწამს სკოლაში შეგვყავს შვილები, — კინაღამ წამოგვცდა: რაწამს დაიბადებიან — მაშინვე რუსული ლაპარაკი დაიწყებინეთო. წარჩინებულობას არც სენაკის სკოლის ზედამხედველი ბ. ლოსაბერიძე იკისრებს, რომელმაც ისე ცხადად ბ. მზრუნველს, გამართლების მაგივრად, ცილი დასწამა, როდესაც სწერდა: ასე მითხრა, რატომ სამეგრელოს სკოლებში მეგრულს ენაზედ არ ასწავლითო. რა საფიქრებელია, რომ ბ. მზრუნველმა, რომლის კალთაშიაც მთელის კავკასიის

სწავლა-განათლების საქმეა გამოხვეული, არ იცოდეს, რომ მეგრულს ენაზედ წერა-კითხვა შეუძლებელია მეგრულის ანბანის უქონლობის გამო! რუსული ანდაზაა: მეტის-მეტი მოლაქუცე მტერზედ უარესიაო.

ბ. მზრუნველი ისე მოიქცა, როგორც საზოგადო საქმეების გაძგე კაცს შეჰფერის. მან გამოაცხადა თავისი პროგრამა, შეიტყო უმაღლეს ქართველ საზოგადოების აზრი და შემდეგ სიტყვა საქმედ აქცია. ეხლა იმის პროგრამის ყოველს სკოლაში შემოღებას აპირებენ. ამიტომ მოკლედ განვიმეორებთ მას და გავაცხობთ ჩვენს მკითხველებს.

ბავშვის სკოლაში შესვლის შემდეგ პირველ ნახევარწელიწადს სწავლა უნდა მიდიოდეს დედა-ენაზედ. მეორე ნახევარ-წელიწადსაც დედა-ენაზედ უნდა იყოს სწავლა, მხოლოდ რუსულის ენის გასაადვილებლად ყოველ-დღე ნახევარ საათისა, ან ორმოც-და-თხუთმეტის მინუტის განმავლობაში, მასწავლებელმა უნდა შეაჩვიოს ბავშვები რუსულის სიტყვებისა, ფრაზებისა და პატარა სტატიების გამეორებას, რომელნიც ჯერ ქართულად უნდა ითქმოდენ და მერე რუსულად. ამ საშუალებით ბავშვები „გონივრულად“ დაიხსომებენ სხვადასხვა რუსულს სიტყვებსა და ფრაზებს.

მეორე წელიწადს იმ შეგირდებმა, რომელთაც შეისწავლეს წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა დაიწყონ წერა და კითხვა რუსულადაც, მაგრამ რასაც რუსულად სწავლობენ, უსათუოდ უნდა დედა-ენის შემწეობით ახსნილი იყოს. ამ მეორე წელიწადს დღეში სამი გასაკვეთი დედა-ენისა უნდა იყოს და ერთი რუსულისა.

მესამე წელიწადსაც გასაკვეთების რიცხვი იგივე უნდა დარჩეს და იმავე რიგად, როგორც მეორე წელიწადს იყო. რუსულად წაკითხული სტატიები უნდა აეხსნათ დედა-ენაზედაც და დედა-ენაზედ წაკითხული, შეძლებისაგვარად, — რუსულადაც.

ბ. მზრუნველის აზრით ეს პროგრამა ისე გაუადვილებს ბავშვებს რუსულის სწავლას, რომ სკოლიდამ გამოსვლის შემდეგ შეეძლებათ საშუალო სასწავლებლების პირველს

კლასში შესვლა და ეს ფრიად სასარგებლო იქნებაო, მეტადრე იმ თავად-აზნაურთათვის, რომელნიც თავიანთ შვილებს სასოფლო სკოლებში სწავლას არ აჯერებენ და გიმნაზიებში, ან პროგიმნაზიებში მიცემას უპირებენო.

ეს პროგრამა ჩინებულს საფუძველზედ არის დადგენილი და თუ ნაკლულევანება აქვს რამე, ეს ნაკლულევანება ბ. მზრუნველის მრჩეველებს უნდა დაბრალდეს, რომელთაც სკოლის საქმე არ ესმით და ამ საგანზედ-კი ბევრსა ლაპარაკობენ და არა თვით ბ. მზრუნველს, რომლის განზრახვა წმინდა და პატიოსანი უნდა იყოს, მაგრამ მისი აღსრულება-კი იმ საშუალებით, რა საშუალებაც ბ. მზრუნველს მოუნახავს, ყოვლად შეუძლებელია.

ყოვლად შეუძლებელია ექვს თვეში შვიდისა და რვის წლის ბავშვმა ისე გაიცნოს თავისი დედა-ენა, რომ ამ ვადის შემდეგ შეიძლებოდეს უცხო ენის სწავლების შემოღებაც. ვისაც კი ბავშვისათვის წერა-კითხვა უსწავლებია, არ გამოეპარებოდა ის ჭეშმარიტება, რომ დიდმა ხანმა უნდა გაიაროს, ვიდრე ბავშვი ასოების სახეს დააკვირდებოდეს და მეტადრე, ვიდრე ამ ასოების ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათგან სიტყვის შედგენას მიხვდებოდეს; და როდესაც უსუსურს შვიდი-რვა წლის ბავშვს ჯერ ასოები რიგიანად ვერ გაუგია, ვერ გაუგია რა მნიშვნელობა აქვს მათს ერთმანეთთან კავშირს, როდესაც მთელი მისი გულისყური და გონების ძალა ამ საგანზედ უნდა იყოს მიმართული, — ახალი პროგრამა იმის ნორჩს გონებას, უიმისოდაც დატვირთულს, ახალს ბარგსა ჰკიდებს, ვალადა სდებს, რომ თუთიყუშსავით იზეპიროს რუსული სიტყვები და თუთიყუშსავითვე შეადგინოს მათგან სხვადასხვა აზრები რუსულს ენაზედვე. ახალ პროგრამის შემადგენელი გონივრულადა სჯის, როდესაც ის ამბობს, რუსულს სიტყვებს და რუსულად აზრების გამოთქმას ბავშვი უნდა დედა-ენის შემწეობით შეეჩვიოსო, მაგრამ ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, ეს სიტყვები და ფრაზები თუთიყუშსავით იქნებიან გაზეპირებულნი და არა ცნობიერად მიხვედრილნი.

როგორ უნდა შეადგინოს ბავშვმა ხუთისა თუ ექვსი თვის სწავლების შემდეგ სხვადასხვა ფრაზები უცხო ენაზედ, როდესაც თავის ღვიძლს ენაზედაც კი უჭირდება ორის სიტყვის ერთად გადაბმა და მათ შემწეობით თავის აზრის წარმოთქმა!

მეორე წელიწადსაო, ამბობს ახალი პროგრამა, როცა შეგირდებს შესწავლილი ექნებათ წერა და კითხვა დედა-ენაზედ, უნდა რუსულის ენის წერა და კითხვაც დაიწყონო. რა კარგი იქნება, რომ საქმე ყოველთვის ისე ჩქარა და კარგად მიდიოდეს, როგორც ზოგიერთს პროგრამებშია გამოცხადებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრის პროგრამის ასრულებას უშლის მასწავლებლების უხეირობა და არის იმისთანა პროგრამებიც, რომელთ შესრულებას თვით პესტალოცისა და დისტერვეგისთანა მასწავლებელნიც ვერ შეიძლებდენ...

თუმცა ქართულად წერა-კითხვის სწავლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ენაზედ, მაგრამ ქართულადაც-კი შეუძლებელია ბავშვი ისე გაიწრთვნას ერთის წლის განმავლობაში, ისე ისწავლოს წერა-კითხვა დედა-ენაზედ, რომ უცხო ენის შემოღებამ მეორე წელიწადს სრულიად თავ-ბედი არ დააკარგვინოს. ჯერ ერთს ენაზედ ბავშვს ჩათვლით კითხვა არ ეცოდინება და ახალის პროგრამის ძალით კი მეორე ანბანის სწავლას უნდა მოჰყვეს...

ახალის პროგრამის დამცველნი ბრძანებენ, ხალხი თხოულობს, რომ რუსული ენა ასწავლონო და ჩვენც ხალხის სურვილი უნდა ავასრულოთო.

ჩვენც ვიცით, რომ რუსულის სწავლა უნდა ხალხსა და ხალხის სურვილის ასრულება დიდად საქებურია, მაგრამ ამ საშუალებით, რა საშუალებასაც ახალი პროგრამა გვიჭადაგებს, ეს შეუძლებელია.

გამართეთ იმისთანა სასოფლო სასწავლებლები, სადაც სწავლა ექვს წელიწადსა გრძელდებოდეს და იქ ასწავლეთ თქვენის პროგრამის შესაფერად, მხოლოდ სადაც თქვენს პროგრამაში ნახევარი წელიწადია მოხსენებული, იქ ორი წელიწადი მაინც მოახმარეთ. ორს წელიწადს კარგის მასწავლებლის ხელში ისე შეისწავლიან ბავშვები თავის დედა-

ენას, რომ გაუჭირებლად შეეძლებათ რუსულის დაწყებაც და ოთხის წლის განმავლობაში ამ ენას იმდენად შეისწავლიან, რომ ცხოვრებაში გამოადგეთ.

თორემ ამ ახალის საშუალებით მართლაც-და ძალიან ნიჭიერი უნდა იყოს ბავშვი, რომ რუსული ენა ცოტათიც არის შეისწავლოს. ჩვენს სასოფლო სკოლებში ბავშვები იმდენს ხანს არა რჩებიან, რომ მართლა შემდეგისათვის დიდად გამოსადეგი სწავლა შეიძინონ; სოფლის მასწავლებელთ უფრო ბავშვის ზნეობაზედ უნდა იმოქმედონ, უნდა შეძლებისამებრ გაუღვიძონ გულში ის კაცობრიული გრძნობა, ურომლოდაც ცხოვრებაში ადამიანი უფრო მხეცად გამოიყურება, ვიდრე ადამიანად. როგორ მოსთხოვთ თქვენ ამას მასწავლებელს, რომელსაც ვალადა სდებთ სამს წელიწადში ასწავლოს ბავშვებს ქართული წერა-კითხვა, ანგარიში, საღმრთო წერილი, რუსული წერა-კითხვა, ისე რომ წაკითხულის გაგებაც შეეძლოს და ნაამბობის დაწერაც! შვიდისა და რვა წლის ბავშვის გონება მართლა უჯრებიანი ყუთი ხომ არ არის, რომელშიაც ყოველივე ცოდნის უჯრა-უჯრა მოთავსება შეიძლებოდეს...

მაშასადამე, უნდა გამართოთ ექვს-კლასიანი სასოფლო სასწავლებლები სოფლებში და ასწავლოთ რუსული მესამე კლასიდამ და საცა კი ვერ შეიძლებთ ამგვარის სასწავლებლების გამართვას, ასწავლოთ მხოლოდ დედა-ენა, მხოლოდ დედა-ენისვე შემწეობით.

ჩვენ, რასაკვირველია, შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენი სისტემა მივაღებინოთ სადმე ასე უეცრად, ჩვენ მხოლოდ ვაცხადებთ ჩვენს აზრსა და ჩვენს მტკიცე რწმენას; სხვებს შეუძლიანთ თავიანთი პროგრამა დღეიდამვე აღსრულებაში მოიყვანონ, მაგრამ სრულიად გულდაჯერებული ვართ, თითონ საქმე დაარწმენს ჩვენში სწავლა-განათლების გამგეთ, რომ ახალ პროგრამის შესრულებას ერთი უმთავრესი ძალა აკლია, და ეს ძალა არის დრო.

გამოცდილებამდე კი ჩვენც მოთმენით ვიქნებით. მოვიცდით, ვიდრე თვით მაგალითი არ დაამტკიცებს ჩვენის აზრის

სიმართლეს. მართალია, ძნელია მთელის შთამომავლობის მრუდე გზაზედ დაყენება, მაგრამ რა გაეწყობა, რომ სხვა უფრო მარჯვე ღონე საქმის გასწორებისა ხელთ არა გვაქვს.

ჯერ-ჯერობით ჩვენის აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ერთს მაგალითს დავასახელებთ: ტფილისის გუბერნიაში თითონ სახალხო სკოლების დირექტორის სიტყვით საუკეთესო სკოლად საგარეჯოს სკოლა ითვლება. ამ სკოლაში ბავშვები ოთხს წელიწადსა სწავლობენ. მეოთხე განყოფილებაში გადასულმა ბავშვებმა, ახალის პროგრამის აზრით, უნდა იცოდენ რუსული წერა-კითხვა და უნდა ესმოდეთ, რასაცა ჰკითხულობენ. ამ მეოთხე განყოფილებაში ამ ბოლოს დროს მასწავლებლად იყო დანიშნული რუსი ბ. ჩუმაკოვი, განგებ რუსეთიდამ დაბარებული, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იმან უარი სთქვა მასწავლებლობაზედ, რადგან ვერცარაფერს ბავშვებს აგებინებდა, არცარაფერი მათი ესმოდა.

თვით ერთს იმ პირთაგანს, რომელსაც დიდი ხმა და გავლენა აქვს ამ მძიმე საქმეში, უთქვამს ამ წერილის დამწერისათვის: არ ვიცი, ვასწავლებინო სახალხო სკოლებში რუსული, თუ არაო. როცა მკითხავენ: ასწავლით თუ არა რუსულს სახალხო სკოლაშიო, მე, როგორც პატიოსანი კაცი, ვუპასუხებ ხოლმე, ვასწავლოთ, და როდესაც მკითხვენ, გამოდის რამე მაგ სწავლებიდამ, თუ არაო, მე კიდევ, როგორც პატიოსანი კაცი, ვეუბნები, არაფერი არა გამოდის-რაო.

ამის მთქმელი რუსთაგანია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბოლოს დროს ყოველივე პატიოსანი კაცი ამ აზრისა იქნება, ვისაც-კი აზრი აზროვნებისათვისა აქვს მინიჭებული და არა იმისათვის, რომ ზედ გადააჯდეს, გაჰბაწროს და მოუსპოს ყოველივე თავისუფლება.

ჩვენი ხალხი თუ რუსულის სწავლებასა თხოულობს სადმე, იმიტომა თხოულობს, რომ ჩვენში ეხლა მხოლოდ რუსულს ენასა ხმარობენ ყოველ-გვარს დაწესებულებაში და ადგილის ენები-კი, მაგალითად ქართული ენა, ყველგან გამოდევნი-

ლია... ქართულის მცოდნე მოსამართლესთანაც კი აკრძალულია ქართულად ლაპარაკი...

უცხო ენის სწავლება საჭიროა, მაგრამ სხვა მხრივ უნდა იყოს დაწყებული. იმის მაგიერად, რომ მილიონს ხალხს, რომელსაც უფრო ნაკლებ მოცალება აქვს და ნაკლები დრო, ასწავლოთ უცხო ენა, ასწავლეთ იმ ხუთასს ან ათასს მოხელეს, რომელთაც ვალად უნდა ედოთ, რომ ხალხს ემსახურონ. საქმის რიგიანად წაყვანა თავიდამ უნდა და არა ბოლოდამ.

არ არის კარგი, როდესაც სკოლის ხელმძღვანელნი მისდევენ სხვა აზრსა და სხვა განზრახულებას და არა იმას, რომ ყმაწვილის გონება გაავითაროონ, ზნეობა აუმაღლონ; მაგრამ ის უფრო უარესია, როდესაც ეს „სხვა აზრი და სხვა განზრახულება“ ერევა იმისთანა საქმეში, როგორიც არის, მაგ. სახელოსნო, ან სამეურნეო სკოლა. საუბედუროდ, ზოგიერთა მეტიჩარა პუბლიცისტები ამისთანა საქმესაც კი არა სტოვებენ ისე, რომ თავიანთ უწმინდურის ხელით არ გაქექონ იგი და თავიანთი ბალღამი არ გადაასხან.

შემოდგომაზედ ტფილისის რჩევამ გახსნა სრულის თავისის ხარჯით სახელოსნო სკოლა. ამ სკოლაში, გარდა პირველდაწყებით სკოლის საგნებისა, ბავშვები სწავლობენ აგრეთვე ხელოსნობას. სახელოსნო სასწავლებლის დამფუძნებელთ სწორედ გონივრულად განსაჯეს, როდესაც დააწესეს, რომ სწავლა სამს ენაზედ მიდიოდეს: რუსებისთვის რუსულ ენაზედ, ქართველებისთვის ქართულზედ და სომხებისთვის სომხურზედ. ამ ღონით ტყუილად ბევრი დრო არ ეკარგებათ შეგირდებს სხვა ენის შესასწავლებლად და რაც დრო რჩება საგნების შესწავლის შემდეგ, ხელოსნობის შესწავლას ახმარებენ.

ეს პირველი მაგალითია ჩვენში იმისთანა სკოლის გამართვისა, რომელშიაც ყოველის ხალხის მოთხოვნილება ასრულებულია, ყოველის ხალხის შვილებს ერთ-გვარად გაადვილებული აქვთ სწავლის მიღება და მის ნაყოფით სარგებლობა.

ამისთანა სკოლა არ მოსწონს გაზეთ „კავკაზის“ რედაქციას და ცდილობს ყოველ-გვარი ცილი მოუგონოს მას. მაგრამ რაც უნდა ფხასავით ყელზედ დაადგეს „.კავკაზს“ ეს სახელოსნო სკოლა, მაინც მკურნალს ვერ იშოვის. სახელოსნო სკოლა ქალაქის ხარჯით არის დაფუძნებული და თუ „კავკაზმა“ კიდევ მეტის-მეტი გულმოდგინეობა გამოიჩინა, შეიძლება ამ გულმოდგინეობისათვის უფრო საყვედური მიიღოს, ვიდრე ქება, იმათგან, ვისიც სიამოვნება განუზრახავს.

ქალაქის რჩევისა და სხვადასხვა ქველმოქმედ საზოგადოებათ გარდა ამ ბოლო დროს თვით კერძო პირმაც კი განიზრახა ჩვენში თავის ხარჯით ერთის ფრიად სასარგებლო სკოლის გამართვა.

„დროებაში“ დაბეჭდილი იყო პროექტი იმ სამეურნეო სასწავლებლისა, რომელსაც ბ. ილია წინამძღვრიშვილი მართავს სოფ. წინამძღვრიანთ-კარში, დუშეთის მაზრაში. ჩვენ გავიგონეთ, რომ ეს პროექტი ზოგიერთის ცვლილებით კიდეც წარუდგენია დამფუძნებელს სადაც რიგია. არ ვიცით ეს ცვლილება როგორია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს პროექტი ისე იქნება შესრულებული და გასწორებული, როგორც ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება მოითხოვს.

ჩვენ არ შევუდგებით ამ პროექტის დაწვრილებით განხილვას; ზოგიერთი შეუფერებელი პარაგრაფის ცვლილება მას-უკანაც ადვილად მოხერხდება; ჩვენ დღეს მხოლოდ წესდების ზოგიერთს ნაკლულევანებას ვუჩვენებთ, თუმცა ამ ნაკლულევანებაზედ სხვაგანაც იყო ლაპარაკი.

ცხადია, რომ სამეურნეო სკოლას მხოლოდ მაშინ ექნება ვრცელი მნიშვნელობა, თუ მასში გაწვრთნილი მოწაფეები სხვადასხვა სოფელში იცხოვრებენ და თავიანთ მოძმეებს აჩვენებენ მამულის მოვლის უკეთესს მაგალითს.

წესდების მე-12 მუხლის ძალით შეგირდები სკოლაში უფასოდ ივლიან. თუმცა წესდებაში გამორკვეული არ არის, სულ ერთის სოფლიდამ იქნებიან ისინი მიღებულნი, თუ სხვადასხვიდამ, მაგრამ ეს სიტყვა „ივლიან“ პირდაპირ აჩვენებს,

რომ თითონ სკოლაში არ ექნებათ ბინა და გარედამ უნდა იარონ, და გარედამ მოსიარულობა მხოლოდ იმ სოფლელებს შეუძლიანთ, სადაც სკოლაა. სხვა სოფლიდამ ძვირად თუ ვინმე მიაბარებს სკოლაში შვილს გარედამ მოსიარულედ.

ის ემჯობინებოდა ბევრად, რომ უცხო-სოფლელ შეგირდებს თითონ სკოლაშივე ჰქონოდათ ბინა; მაშინ შეიძლებოდა, როგორც „დროებაშივე“ ამბობდა ბ. როსტომაშვილი, ვინც სხვადასხვა სასოფლო სკოლაში სხვებზედ უკეთესად შეასრულებდა სწავლას, ამ სამეურნეო სკოლაში შესულიყო. მაშინ ამ სკოლაში შეგირდები თეორეტიკულადაც და პრაქტიკულადაც მხოლოდ მეურნეობას შეისწავლიდენ და არ მიჰყვებოდენ სხვადასხვა საგნების სწავლას, რომელიც, უეჭველია, დაუშლის ამ სკოლის ნამდვილ დანიშნულების შესრულებას. მაინცა-და-მაინც თუ ჩვენი აზრი ვერ შესრულდება და ეს სკოლა სამეურნეოც იქნება და პირველ-დაწყებითიც, პროექტში მოხსენებულ ზოგიერთ საგნების სწავლება სრულიად უნაყოფო იქნება. იმედია, არავინ ცუდს განზრახვას არ დაგვწამებს, თუ ვიტყვით, სამეურნეო სკოლაში რუსეთის გეოგრაფიისა და რუსეთის ისტორიის ცალკე სწავლება ვერაფერს სარგებლობას ვერ მოიტანს.

ამ თვის მიმოხილვა უნდა შემდეგის სასიამოვნო ამბით დავაბოლოვოთ: ამასწინათ მთავრობამ დაამტკიცა წესდება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და კვირას, 18 იანვარს, იყო ყრილობა ამ საზოგადოების წევრთა. ამოირჩიეს მართველობა, რომელმაც უნდა აწარმოვოს საზოგადოების საქმე. საზოგადოებას შეუძლიან ხელი მოუწყოს ქართულ წარმოდგენების გამართვას, სადაც-კი ამ წარმოდგენების გამართვა მოხერხდება; შეუძლიან ყოველივე თეატრისთვის საჭირო ნივთეულობა და თვით თეატრისთვის საჭირო შენობაც საკუთრებად შეიძინოს; შეუძლიან შემწეობა გაუწიოს აქტიორებს, დრამატიულ მწერლებს; შეუძლიან ქართულს ენაზედ ბეჭდოს სხვადასხვა სათეატრო თხზულებები და გამოსცეს სათეატრო ჟურნალი; შეუძლიან გამართოს ქალაქს ტფილისში სათეატრო სკოლა.

ერთის სიტყვით, საზოგადოებას ფართო მოედანი აქვს წინ გაშლილი და თუმცა ჯერ საშუალება იმდენი არა აქვს, რომ თავისი დანიშნულება რიგიანად შეასრულოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ეხლა ისეთმა ნიავმა დაჰბერა ქართველ საზოგადოებას, რომ თუ ამ საქმის მოთავენი ენერგიულად და დაუზარებლივ მოიწადინებენ თავიანთ დანიშნულების შესრულებას, თანაგრძნობაც ბევრი იქნება.

მართლაც-და ქართული თეატრის საქმე ისეთი საქმეა, რომ თუ კარგად ვერ წავიდა და ბოლო მოეღო, საზოგადოების წინ მძიმე პასუხის-გებაში ჩავარდება იგი, ვისაც-კი ამ საქმის წაყვანა ჰქონდა მინდობილი და ამ მონდობილობის შესრულება არ მოინდომა. ჩვენში თეატრს შეიძლება დიდი ზნეობის ამამაღლებელი მნიშვნელობა ჰქონდეს, თუ წარმოსადგენად დანიშნული პიესები რიგიანი იქნებიან.

მგონი ყველაზედ ეს შთაბეჭდილება უნდა ჰქონოდა, მაგალითად „პარიჟელ ბიჭის“ წარმოდგენისას. უნდა გენახათ, რა აღტაცებით ყურს უგდებდა საზოგადოება პარიჟელ ბიჭის მშვენიერს ლაპარაკს; როგორ ყოველივე საუკეთესო აზრი უნებურად გაცხარებულს ტაშს იწვევდა ზოგიერთთაგან და სხვები როგორ სტუქსავდენ ამ მოუთმენელებს, რატომ ბოლომდის არ გაგვაგონებთ, რაც სათქმელი აქვსო.

როდესაც, მაგალითად, ბებერი ღენერალი-არისტოკრატი გაიცნობს კეთილშობილს გრძნობას პარიჟელ ბიჭისას და უბრძანებს თავის შვილს, დაიწეროს ჯვარი მისგან გაუპატიურებულ უბრალო კაცის ქალზედ, — ვინ არ იტყვის, რომ ეს სურათი უფრო კარგად გვიქადაგებს ადამიანთ თანასწორობას, ვიდრე განგებ ამ აზრის განსამარტებლად შეთხზული ფრაზები.

გაბედვით ვიტყვით, ჩვენში დიდებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს ქართულ თეატრს, როგორც პატარაებისთვის სკოლას.

ცენზურის მიერ შემოკლებული ტექსტი შინაური მიმოხილვისა

(1883 წელი, სექტემბერი)

[ეს მიმოხილვა, რომელიც ილიას დაუმზადებია ივერიის 1883 წლის აგვისტოს ნომრისათვის, ცენზურამ — როგორც აღვნიშნეთ — ჯერ სრულებით აღკრძალა; ხოლო შემდეგ, სექტემბრის ნომრისათვის, ცენზურამ თუმცა ნება დართო ივერიის რედაქციას დაებეჭდა იგი, მაგრამ — როგორც მოსალოდნელი იყო — სათანადო შემოკლებისა და მიუღებელი ადგილების ამოშლით. ჩვენ ზევით მოვათავსეთ, საცენზურო კომიტეტში დაცული დედნის თანახმად, ამ **მიმოხილვის პირვანდელი ტექსტი, ვიდრე მას ცენზურა შეამოკლებდა (იხ. ზევით, გვ. 274 — 292)**. აქ კი მოგვყავს უცვლელად ცენზურისაგან შემოკლებული ტექსტი იმ სახით, როგორც იგი დაიბეჭდა ივერიის 1883 წლის სექტემბრის ნომერში].

* *

შინაური მიმოხილვა *)

ამას წინათ, ბატომ-ყმობის გადავარდნამდე, ისეთი მყუდროება სუფევდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მისი შერყევა ოდნავ მაინც შესაძლებელი ყოფილიყო, როგორც ბურუსიანი, ღრუბლიანი, თბილი და მშვიდი დღე, ისე იხედებოდა მაშინდელი ჩვენი ცხოვრება.

ასეთი გახლდათ ის წარსული დრო, დრო მე-40 და 50 წელთა, დრო მიძინებისა, მშვიდობიანობისა, და ჩვენის გონებისა და მწერლობის მიმძინარებისა. მაშინდელი მწერლობა ზედმიწევნილის სინამდვილით გვიხატავს მა-

---

*) ეს „შინაური მიმოხილვა“ წინა ნომრისათვის იყო დამზადებული, მაგრამ მხოლოდ ეხლა იბეჭდება შეცვლით.

(შენ. შვნა ივერიის რედაქციისა).

შინდებურს ჩვენს სიღატაკეს აზრისას, თუ ცხოვრებისას; მაშინდელის ჩვენის მოღალულობის, ჩვენის უღონოების უტყუარი სახსოვარია ეგ ჩვენა გონების ნაღვაწი: მტკიცედ და მედგრად სდგას მაშინდელი ძველი მწერლობა, რომლის ბურუსიან, მიძინებულს გარემო ჰაერს ხანდისხან და იშვიათად დაარღვევდა ხოლმე ნ. ბარათაშვილის პოეზია და გრ. ორბელიანის ღრმად პოეტური კალამი.

მაგრამ ეს ორი კაცი და კიდევ ორიოდე სხვანი იმ დროს არ ეკუთვნოდნენ. ესენი იყვნენ სხვა დროს აღზრდილნი, და ისე ცოტანიც, რომ მათის აზრისა და გრძნობის გაელვება მხოლოდ ოდნად არღვევდა იმ დროს გარემო მყუდროებას, მხოლოდ ოდნად აფხიზლებდა დაძინებულს ქართველთა გონებას.

ამ-გვარი გაჭირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდის ხნის მღელვარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიჩვენებთ ერს, რომ როდისმე მაინც ესევ ამგვარადვე არ გასჭირვებოდეს, როგორც ჩვენს ქვეყანას და ერს უჭირდა. იმ დროს, როდესაც სპარსეთისაგან აოხრებული შედიოდა რუსეთის მფლობელობაში. რომ ვისმესთვის გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, — მშვიდობიან სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ; გვინდაო, — გეტყოდნენ, — რომ მტერი არ გვაწუხებდეს, მშვიდობიანად ვიყოთ, ვსცოცხლობდეთ, მზესა და მთვარეს შევხაროდეთო.

ერთის სიტყვით, ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, რომ სულ ასე მშვიდად ეცხოვრა და არავითარი მწუხარება არსაით არ მისდგომოდა.

აბა ამ-გვარ დროს, სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულებას საქვეყნო საქმისათვის. აკი არც-არა შეინიშნებოდა რა ამ-გვარი. ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმეებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივის სამსახურის ასპარეზი.

აღარავის არ ახსოვდა მაშინ, რომ ამ ქვეყანას ჰყოლია მხნე მუშაკნი, მხნე მებრძოლნი, ნიჭით და ქველობით სავსენი.

დიახ, მაშინ, იმ ძველ დროს, ჩვენი წინაპარნი საქმის ხალხი იყო, სამუშაო ბევრი ჰქონდათ, ბოზბაშისთვის და ჩიხირთმისთვის აგრერიგად არ ზრუნავდნენ: არც დრო ჰქონდათ, არც შეჩვეულნი იყვნენ ამ-გვარ ზრუნვას

ყოველივე ეს აღიხოცა, ყოველივე ეს გაჰქრა და რეფორმის წინა დროის ქართველი ძველებსაც უკან ჩამორჩა და ახალს დროსაც ვერ შეუთვისდა. ამათ დროს, —

...სადღა იყო ყაბახი?

სად იყო საჯირითო, სავარჯიშო ცხენისა...

მათთვის ყოველივე ესე დრონი შეიქმნენ სიზმრად და განჰქრნენ ოცნებასავით...

ჯხლა ის დრო აღარ არის. ეხლა სულ სხვა-გვარი ლაპარაკი ისმის, უფ-

რო საიმედო, უფრო გამამხნევებელი, არამც თუ მარტო რუსეთში, არამედ ჩვენშიაც...

დღეს ჩვენი დრო ბევრად უკეთესი დროა ზემოთ-მოხსენებულ დროსთან შედარებით. დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნევია ნიშნები ჩვენის გამოფხიზლებისა. რეფორმის წინა დრომ, იმ ჭირისა არ იყოს, რომელიც ზოგჯერ მარგებელია ხოლმე, მოიტანა თან სხვა ნიავი, გასწმინდა ცოტად თუ ბევრად ადრინდელი ბურუსი, გადაჰყარა ღრუბლები და ჩვენი ცნობიერება გამოაფხიზლა...

მართლაც, მოიგონეთ გრ. ორბელიანის დიდის ყოფით და ამბით დასაფლავება და ის თანაგრძნობა საზოგადოებისა, რომლითაც განიმსჭვალა იგი, თითქო ერთი კაციაო, და მერე იკითხეთ, რამ გამოიწვია ის საერთო წუხილი, თუ არ მან, რომ იგი იყო თავის მამულის ძლიერ სიტყვით მოტრფიალე, ეროვნულის იდეის პოეტურად გამომხატველი, დროთა სიზმარებრ გამქრალთა — ჭირისუფალი, საქართველოს იმედით ზეშთაგონებული.

ნუთუ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ საზოგადოება უპირველეს ყოვლისა იდეას სცემდა პატივსა, როცა ისეთის დიდის ყოფით აცილებდა უკანასკნელს სადგურამდე თავის გულისპასუხის ძლიერად გამომხატველს პოეტს, რომ აზრს მამულის სიყვარულისას ჰრთავდა გვირგვინით, როდესაც ყვავილებში ჩააწვინა ამ აზრის მტვირთველი და მატარებელი კაცი, დაწყებული მე-30 წლიდამ ვიდრე ჩვენ დრომდე?

ეს უეჭველია. უეჭველი შეიქნება უფრო მაშინ, როცა მოვიგონებთ ჩვენის თავგანწირულის, პატიოსანის მოღვაწის ს. მესხის გარდაცვალების ამბავს... ეს მხნე მუშაკი იყო, დაუცხრომელი, მუდამ საზოგადო საქმის მოყვარული, ჩუმი მოღვაწე. და, აი, ამ ჩუმის მოღვაწის სიკვდილის გამო, თითქმის ძთელს საზოგადოებას თითქო გული მოსწყდაო.

ნუთუ ესეც იმას არ ამტკიცებს, რომ შეგვრცხვა ბოლოს ჩვენც, მოვიდა დრო და ჩვენც გვინდა კუთვნილი და ღირსეული პატივი ვცეთ ჩვენთვის მშრომელთა.

მართლა, ამ სამოც-ოთხმოც წელს ისე არ გაუვლია, რომ ჩვენ ცხოვრებას ცოტათი მაინც სხვა უკეთესი ფერი არ დასდებოდეს, მაგრამ მაინც, რამდენსაც უფრო მეტად ვგრძნობთ უკეთესად ცხოვრების მოწყობის სურვილს, და ხელმოკლეობას ამ სურვილის განხორციელებისათვის, იმდენად უფრო მეტად ვწუხვართ.

უმადურობა იქნება და არც სიმართლეს შეადგენს უარყოფა იმ სარგებლობისა, რომელიც მოგვიტანა ჩვენ ბატონ-ყმობის გაღავარდნამ, ახალის სამართლის წესების შემოღებამ, თვითმმართველობის დააწესებამ და სხვა და სხვა. რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც-ოთხმოცის წლის განმავლობაში დადგენილის მართვისა და წეს-წყობილების შედეგი არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება. თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ მაინც ჩვენი მწერლობის მდგომარეობა ამით ბევრად არ შემსუბუქებულა. ოცი წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის წარმა-

ტებას იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად, და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში...

ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის პირველდაწყებითის სწავლის საქმე. ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია რა, რომ წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში. განა ჩვენ ვეცადეთ, რომ ერთი სახალხო სკოლა მაინც დაგვეარსებინა, თუნდ ისე ჩვენგან პატივცემულის გრ. ორბელიანის სახსოვრად, რომლის შემწეობით შესძლებიყო ხალხსაც დაეფასებინა ჩვენთვის ასე ძვირფასი პოეტი, რომ მასაც ჩვენთან ეგლოვნა მძიმე დანაკლისი? ჩვენი ჭირი და გლოვა ჩვენ ჭირად და გლოვადვე დარჩა, ხალხი კი, უმრავლესობა კი, ვერ მიაგნობდა ჩვენს წუხილს.

* *

ქართულის ენის და მეტყველების მოყვარულთათვის და მის წარმატების მსურველთათვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყოს უწმ. სინოდის განკარგულება, რომელიც ამ წლიდამ უკვე აღსრულებაში შედის. მე მოგახსენებთ ქართულის მეტყველების გაკვეთილების დაარსებას სასულიერო სემინარიაში, სადაც იზრდებიან სამღვდელოების შვილები. კვირაში 7 გასაკვეთია ამ საგნისათვის დანიშნული, ქართული მეტყველების პროგრამა უკვე შედგენილია სემინარიის მმართველობის მინდობილობით ერთის სემინარიის მასწავლებლისაგან. ჩვენ გადავათვალიერეთ მხოლოდ ოდნავ ეს პროგრამა და ამიტომ ეხლა დაწვრილებით აქ ვერას ვიტყვით. მას შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს მხოლოდ შემდეგს წიგნში. ეხლა კი ვიტყვით მხოლოდ, რომ დიდი ბეჯითობა და ენერგიაა საჭირო მისთვის, ვინც ამ საგნის რიგიანად შემუშავებას და დადგენას იტვირთებს. ამით ჩვენ გამოვაცლით ფარ-ხმალს იმათ, ვისაც არ ეპიტნავებათ ბუნებითად ამ-გვარის წესების შემოღება. მე ვლაპარაკობ იმ უსაფუძვლოდ და იმ ტყუილ-უბრალოდ გავრცელებულს ხმაზე, ვითომ არც ქართულ ენაზე სწავლება შეიძლება რისამე, არც წიგნებია ამისათვის, და არც არის რამე, რაც ღირდეს შესასწავლებლად, ავარჯიშებდეს კაცის გონებას, და სხვადასხვა ამ-გვარი ცრუმორწმუნება და უსაფუძვლო ხმები.

ამ-გვარადვე სასიამოვნოა უკვე აღსრულებაში მოყვანილი, ამ წელსვე მომხდარი განკარგულება უწმ. სინოდისა, რომ შემოღებულ იქმნას ქართულის ენის სწავლება სავალდებულოდ სასულიერო სასწავლებლებში, რომ საგანიც სავალდებულო იყოს და მისი მასწავლებელიც შტატის ადგილის მქონე. ამ გარემოების გამო სასულიერო სასწავლებლებში მოისპო ბერძნულის ენის სწავლება და შემცირდა ლათინურისა. ეს უკანასკნელი უწინდებურად პირველი კლასიდამ აღარ იწყება, და იმედი ვიქონიოთ, ნორჩ გონებას პატარა პირველ-კლასელებისას შეღავათი მიეცემა.

ამ-საბით, ერთ უწყებაში მაინც მიენიჭა ქართულს ენას უფლება, ე. ი. სასულიერო უწყებაში. ესეც კაი ღვთის წყალობაა, ამდენის ლოდინის შემდეგ, მერე ჩვენთვის, ასე გულგატეხილთათვის ლოდინით და იმედითა.

ათასში ერთხელ უნდა მოვესწრათ სასიამოვნო ამბავის გაგონებას და ათი-ათასში ერთხელ ამ ამბავის ცხოვრებაში განხორციელებას და მაშინვე გამოტყვრება რამ საიდანმე და მოგვიშხამავს ის-ის იყო გატაცებულს გონებას, ფრთაშესხმულს ფანტაზიას. როგორც ცივი წყალი ისე მოგვხვდება ხოლმე იმ დროს რამე უსიამოვნო ამბავი, აგვიჯინჭრავს ტანს და წყალში ამოვლებულს ქათმებს დაგვამსგავსებს ხოლმე.

აი, რასა სწერს ქუთათურის ცხოვრების მემატიანე „დროების“ № 204:

„ბატონ-ყმობის მოსპობამ, ადამიანის პიროვნების აღდგინებამ, კანონის წინაშე გათანასწორებამ და იმ ჰუმანიურმა აზრებმა, რომელნიც ამის გამო ცხოვრებაში დატრიალდნენ, ღრმა ცვლილება მოახდინეს ზნესა და ჩვეულებაში; საზოგადოებრივს ზნეობას, კაცთა დამოკიდებულობას ოჯახში და საზოგადოებაში, საზოგადოებრივს კულტურას სულ სხვა მიმართულება მისცეს... ახლა როზგის შემოღება დიდი გმირობა არის, მაგრამ, — განაგრძობს ქუთაისელი ქრონიკიორი ოხუნჯურის კილოთი, — იმიტომაც მომწონს, რომ გმირობას ვხედავ ამაშიო!.. წინეთ რომ გაგვაწვენდნენ, გვანუგეშებდნენ: არაფერი გიშავთ, ეშმაკებს გამოგირეკავთო!.. მაგრამ განა ახლა უფრო ბევრი ეშმაკები არ არიან?! ოღონდაც რომ არიან და კიდეც მათ გასარეკად შემოუღიათ როზგი!..

ამ როზგზედ თუ ვლაპარაკობ, იმიტომ კი არა, რომ ლაპარაკის საღერღელი ამშლოდეს, არამედ იმიტომ, რომ ხმა არის გავრცელებული, ვითომც ბროწეულის წკეპლები მოქმედებაში მოეყვანოთ ზოგიერთ ადგილას“...

ძლივ-ძლივობით მივეჩვიეთ სწავლასა, შევიყვარეთ სულით და გულით, ვხარჯავდით ფულს, შეძლებას, ღონეს, დავივიწყეთ სრულიად ის დრო, როდესაც პირიქით გვაძლევდნენ ფულს, ოღონდ მოდით, ისწავლეთო. ვამბობდით, აი, ეხლა ეშველა საქართველოსაო, სწავლა და განათლება მოიფინებაო, მდიდარი ქვეყანა სწავლულთ ხელში ნატვრის თვალად გადიქცევაო, ცხოვრება ადუღდებაო და, დახეთ ბედს! მაგრამ ეჰ, ეს ბედი ჩვენ მუდამ თან გვდევდა. კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო. რას ძოვიფიქრებდით, ვინ მოიფიქრებდა. თავ-პირს ვამტვრევდით ერთმანეთს, არა ჩემი შვილი მიიღეთ, არა ჩემიო, ვაკანსიები აღარ იყო და აგერ დღესაც აღარ არის და ეხლა-კი ისეთი ხმები ისმის, რომ ვინ იცის რა იქნება.

სწავლა კი რომ შევიყვარეთ ეგ უეჭველია. აი საბუთები.

ვაკანსიები წელს ტფილისის სასწავლებლებში იყო შემდეგი: კადეტის კორპუსში (ესეც კი დავკარგეთ ბედოვლათობით) იყო 25-მდე, მსურველნი კი 120. საოსტატო ინსტიტუტში 25, მსურველნი 75, — მიღებულთ რიცხვში ქართველი მხოლოდ ოთხია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს წელს — 40, მსურველი კი იყო 150. სათავად-აზნაურო სკოლაში 30, მსურველი კი ასზე მეტი. ქუთაისში სააზნაურო სკოლაში იყო ადგილი თურმე 60 ყმაწვილისა და

მსურველნი კი 200-ზე მეტი. გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მეოთხედიც არ მიუღიათ წარმოდგენილის ბავშვებისა სამოქალაქო სამ-კლასიან სასწავლებლებში, რომელიც შარშან გაუხსნიათ, თხოვნა შესულა სამასზე მეტი, მიუღიათ მხოლოდ ორმოცი. მეორე ორ-კლასიან საქალაქო სასწავლებელში თხოვნა შესულა 100, მიუღიათ 75...

ამ-გვარ პირობათა შორის, ჩვენვე უნდა ვეცადოთ ჩვენი საქმე ცოტად თუ ბევრად იოლად წავიყვანოთ, მაგრამ რას იზამ, რომ ეს პირობანი ყოველ ხალისს გვიკარგავს, სასოებას გვიკვეთავს! *

* შემდეგი ტექსტი, წერილის ბოლო, ცენზურას ალარ შეუცვლია, ამის გამო დანარჩენ ტექსტს აქ ალარ ვბეჭდავთ.

სარედაქციო შენიშვნები

ილიას ნაწარმოებთა ტექსტისათვის

(სარედაქციო შენიშვნები)

* * *

საქართველოს მატიანე

1 — 26. „ივერიის“ ყოველთვიური მიმოხილვები

1879 — 1885 წლებისა

ყოველთვიური ჟურნალი „ივერია“, როგორც ცნობილია, გამოდიოდა 1879 და 1881 — 1885 წლების განმავლობაში და მისი ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო. ჟურნალში დროგამოშვებით იბეჭდებოდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მატიანე, „შინაური მიმოხილვის“ სახელწოდებით. სულ აღნიშნული წლების განმავლობაში დაიბეჭდა 36 მიმოხილვა. წერილები ხელმოუწერელია. როგორც ირკვევა, ეს მიმოხილვები ეკუთვნოდა სამ ავტორს: თვით ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და გრიგოლ ყიფშიძეს.

კერძოდ ილია ჭავჭავაძეს ჩვენ მივაკუთვნებთ შემდეგს 26 მიმოხილვას:

1. 1879 წელი, იანვარი.
2. „ თებერვალი.
3. „ აპრილი.
4. „ ივლისი — აგვისტო.
5. 1881 წელი, იანვარი.
6. „ მარტი.
7. „ მაისი.
8. „ ივლისი.
9. „ სექტემბერი.
10. „ ნოემბერი.
11. „ დეკემბერი.

12. 1882 წელი, მარტი.
13. „ აპრილი — მაისი.
14. „ ივნისი.
15. „ ივლისი — აგვისტო.
16. „ სექტემბერი.
17. „ ნოემბერი.
18. „ დეკემბერი.
19. 1883 წელი, იანვარი.
20. „ თებერვალი.
21. „ აპრილი.
22. „ მაისი.
23. „ აგვისტო.
24. „ ოქტომბერი.
25. „ ნოემბერი.
26. 1885 წელი, თებერვალი.

იაკობ გოგებაშვილს, როგორც ეს ირკვევა თვით იაკობ გოგებაშვილის ცნობიდან, დაუწერია ორი მიმოხილვა. ერთი ამათგანია ის წერილი, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1882 წელს, იანვარ-თებერვლის ნომრებში. ხოლო რაც შეეხება მეორე მიმოხილვას, თუ რომელია იგი და როდის დაიბეჭდა, ამის შესახებ პირდაპირი ჩვენება არა გვაქვს; ამ მეორე მიმოხილვის ტექსტი ჯერ კიდევ დასადგენია.

გრ. ყიფშიძეს შემდეგი ხუთი მიმოხილვა ეკუთვნის:

1. 1884 წელი, იანვარი.
2. 1884 წელი, მარტი.
3. 1885 წელი, მარტი *.
4. 1885 წელი, ივნისი.
5. 1885 წელი, სექტემბერი.

ამას გარდა არსებობს კიდევ ოთხი მიმოხილვა. რომელთა შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი:

1. 1879 წელი, მარტი.
2. 1879 წელი, მაისი — ივნისი.
3. 1881 წელი, თებერვალი.
4. 1884 წელი, აპრილი.

---

* ეს მიმოხილვა თუმცა აწყობილი ყოფილა „ივერიის“ აღნიშნულ ნომრისათვის, მაგრამ აღარ დაბეჭდილა, რადგან ცენზურას აუკრძალავს (ტექსტი ამ მიმოხილვისა, საკორექტურო ფურცლების სახით, დაცულია ყოფილი საცენზურო კომიტეტის საქმეში № 164/16, 1885 წლისა. ამჟამად იგი ინახება საქ. ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში).

რაკი ყველა აქ მოხსენებული 36 მიმოხილვა ხელმოუწერლად იბეჭდებოდა, ამიტომაც მათი ავტორების ვინაობა დღემდე ზედმიწევნით გამორკვეული არ იყო და ამ საგანზე ქართულ მწერლობაში სხვადასხვა აზრი გამოთქმულა.

„ივერიის“ მიმოხილვათა ავტორების საკითხს პირველად არჩილ ჯორჯაძე შეეხო და მას, როგორც ირკვევა, მძიმე შეცდომა მოუვიდა. სახელდობრ მან ილიას მიაწერა მიმოხილვა 1882 წლის იანვარ-თებერვლისა, ე. ი. სწორედ ის წერილი, რომელიც ეკუთვნის არა ილიას, არამედ იაკობ გოგებაშვილს; ხოლო დანარჩენი მიმოხილვები (რომელთა შორის 26 მიმოხილვა ილიას დაწერილია), არჩილ ჯორჯაძემ მიაკუთვნა „ივერიის“ რომელიღაც უცნობ თანამშრომელს.

საკითხში ერთგვარი შუქი შეიტანა იაკობ გოგებაშვილმა, თუმცა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, მცირეოდენი შეცდომა მასაც მოსვლია. იაკობ გოგებაშვილმა, როგორც ცნობილია, 1910 წელს გამოსცა თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“; აქ მან, სხვათა შორის, მოათავსა ეს მიმოხილვა, რომელიც დაბეჭდილი იყო პირველად „ივერიაში“ 1882 წელს (იანვარ-თებერვლის ნომრებში). ამ მიმოხილვას იაკობ გოგებაშვილი 1910 წელს უკეთებს შენიშვნას, თუ ვინ იყვნენ საერთოდ „ივერიის“ „შინაური მიმოხილვების“ ავტორები.

მაგრამ, ვიდრე შევეხებოდეთ იაკობ გოგებაშვილის ამ ახალ შენიშვნას 1910 წლისას, მოვიყვანოთ ჯერ თითონ მიმოხილვის შესავალი, იმ სახით, როგორადაც იგი პირველად დაიბეჭდა 1882 წლის „ივერიაში“; ეს შესავალი არაა ინტერესს მოკლებული ჩვენი საკითხისათვის. იაკობ გოგებაშვილი აქ, 1882 წელს, შემდეგი შესავალი სიტყვებით იწყებს თავის მიმოხილვას:

> „ივერიის შინაურს მასპინძელს არა სცალიან. იგი სხვაგვარ მასპინძლობას გიწევთ. მე, როგორც შორი-ახლო მეზობელს, წილად მხვდა ამჟამად გაუმასპინძლდე მის ყოველთვიურ სტუმრებს. მაგრამ ბალა ეს არის, რომ ამგვარს მასპინძლობას ჩვეული არა ვარ, არა ვარ დახელოვნებული ამ ძნელს, მაგრამ მეტად საამურს საქმეში და შეიძლება ხამობა დამეტყოს. მაინცა-და-მაინც ჩემგან სტუმარი სრულიად არ უნდა მოელოდეს იმგვარს შექცევას, რომლითაც იგი განებივრებული ჰყავს შინაურს მასპინძელსა. მე თქვენ პოეტურის ფრთებით ვერ აგიტაცებთ ცაში და თვალ-ამაჭრიალებელ სიმაღლიდან ვერ გადაგიშლით ქვეყნიერებას. ვერც იმისთანა ღრმა ფილოსოფიურს ჭეშმარიტებას განგიზიარებთ...“ (იხ. ივერია 1882, № 1, და ი. გოგებაშვილი, ნაწერები, 1910 წ., გვ. 20).

ამრიგად იაკობ გოგებაშვილის შინაური მიმოხილვის ამ შესავალიდან ირკვევა ორი რამ: 1. იაკობ გოგებაშვილი მხოლოდ სტუმარი ყოფილა „ივერიის“ ამ განყოფილებაში და ჩვეულებრივად „შინაურ მიმოხილვებს“ სხვა ავტორი წერდა; 2. „ივერიის“ ეს „შინაური მასპინძელი“, რომელსაც ეკუთვნოდა ჟურნალის ყოველთვიური მიმოხილვები, ყოფილა თითონ რედაქტო-

რი ილია ჭავჭავაძე; ეს თავისთავად იგულისხმება ი. გოგებაშვილის ზემოთ მოყვანილი სიტყვებიდან, სადაც იგი ლაპარაკობს ამ „შინაურ მასპინძელზე“, როგორც დიდ პოეტზე და დიდი ავტორიტეტით მოსილ პიროვნებაზე.

მივმართოთ ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილის ახალ შენიშვნას, რომელიც 1910 წელს ეკუთვნის. როგორც აღვნიშნეთ, ი. გოგებაშვილმა ეს მიმოხილვა გადმობეჭდა თავის ნაწერების კრებულში 1910 წელს და ზემოთ-მოყვანილს შესავალს შემდეგ შენიშვნას უკეთებს:

> „ვინ იყო აქ მოხსენებული ყოველთვიური მასპინძელი? ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ ამ მასპინძლად ჩასთვალა რომელიღაც თანამშრომელი ჟურნალის „ივერიისა“ და თქვენს წინ მდებარე მიმოხილვის ავტორად კი დასახა თითონ რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნამდვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად იყო. ყოველთვიურს მასპინძლობას ჟურნალში მკითხველებს უწევდა პირადად თითონ რედაქტორი. მხოლოდ ამ მიმოხილვისათვის მან ვერ მოიცალა, რადგან ბანკის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამავალა დამეწერა მიმოხილვა ჟურნალისათვის, რაც დიდის სიამოვნებით შევასრულე. ამ მიმოხილვის გარდა მე დავწერე კიდევ მხოლოდ ერთი მიმოხილვა. ყველა დანარჩენი მიმოხილვები, ამ ორის გარდა, ეკუთვნის ილიას მადლიანს კალამსა. მეორე ჩემ მიერ დაწერილს და „ივერიაში“ დაბეჭდილს მიმოხილვას ადგილს არ ვაძლევ ამ კრებულში, რადგანაც ის დაიბეჭდება მეორე ტომში“ (იხ. იაკობ გოგებაშვილი, ნაწერები, 1910 წ., გვ. 20, შენიშვნა).

მაშასადამე, თუ რომ ჩვენამდე არ მოეღწია სხვა მასალებს, იაკობ გოგებაშვილის ამ ცნობის თანახმად შემდეგს დასკვნას უნდა დავდგომოდით: „ივერიის“ 36 მიმოხილვიდან 2 უნდა მიგვეკუთვნებია იაკობ გოგებაშვილისათვის, ხოლო დანარჩენი 34 მიმოხილვა ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებად უნდა გვეცნო.

მაგრამ იაკობ გოგებაშვილს, როგორც ირკვევა, შეცდომა მოსვლია. იგი მართალია, როცა გადმოგვცემს, რომ „ივერიის“ „შინაურ მიმოხილვებს“ ჩვეულებრივ ილია წერდა, რომ დიდი უმეტესობა ამ მიმოხილვებისა ილიას ეკუთვნის; მაგრამ მას არა სცოდნია, რომ „ივერიის“ ამ განყოფილებაში ილიას ზოგჯერ სტუმრად მოუწვევია არა მხოლოდ იაკობ გოგებაშვილი, არამედ „ივერიის“ მეორე თანამშრომელი, გრ. ყიფშიძე.

საკითხის გარკვევას ხელი შეუწყო ილიას ნაწარმოებთა ერთმა ხელნაწერმა კრებულმა, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმში (№ 5168-S. ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

ეს ხელნაწერი 5168-S (და აგრეთვე ამავე ჯგუფის ხელნაწერები 5297-S, 5260-S, 1172-A), როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი *,

---

* იხ. ტ. III, გვ. 488, 489.

გადაწერილია ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის ინიციატივით 1890 წლის ახლო ხანებში (ამ დროს ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობა შეუდგა ილიას თხზულებათა გამოსაცემად დამზადებას *, რომ ეს კრებული 1890 წლის ახლო ხანებს ეკუთვნის, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ არც ერთი ილიას წერილი, რომელიც 1890 წლის შემდეგ დაიწერა, ამ კრებულში შეტანილი არაა.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ კრებულში არაა შესული ილიას ყველა ნაწერი 1889 წლის წინა დროისა, რადგან სამუშაო ბოლომდე მიყვანილი არაა. ირკვევა ამასთან, რომ ზადამწერი გარკვეულ სისტემას მისდევდა; იგი იწერდა გარკვეული ჯგუფის ნაწერებს (ჟურნალების ან დარგების მიხედვით ვიდრე 1889 წლამდე). კერძოდ კრებულში დამწერს შეუტანია ილიას ის შინაური მიმოხილვები, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 — 1885 წლების განმავლობაში.

კისი ხელმძღვანელობით არის გადაწერილი ეს კრებული არა ჩანს. მაგრამ რაკი იგი ავტორის სიცოცხლეშია გადაწერილი, 1890 წლის ახლო, ამიტომ უნდა გვეფიქრა, რომ იგი შესრულებულია ან ავტორის, ან მისი ერთერთი ახლო თანამშრომელის ჩვენების თანახმად.

ხელნაწერის განხილვას ჩვენ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ხელნაწერი, ჩანს, თვით ილიას მითითებათა მიხედვით არის შედგენილი (ამის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი).

მაგრამ ვისი ხელმძღვანელობითაც არ იყვეს გადაწერილი ეს კრებული, აქ პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი. საქმე ის არის, ამ ხელნაწერ კრებულში შეტანილია არა ყველა შინაური მიმოხილვა, რომლებიც დაბეჭდილი იყო „ივერიაში“ 1879 — 1885 წლების განმავლობაში, არამედ მხოლოდ ნაწილი. სახელდობრ, იაკობ გოგებაშვილის ცნობის თანახმად ილიას უნდა ეკუთვნოდეს 34 მიმოხილვა, ხოლო ამ კრებულში მოთავსებულია მხოლოდ 26.

ამის გამო იბადება კითხვა, თუ ვის ეკუთვნის დანარჩენი მიმოხილვები? ეკუთვნიან ეს მიმოხილვები ილია ჭავჭავაძეს, და მხოლოდ შემთხვევით გამორჩა ისინი ჩვენი კრებულის გადამწერს? ანდა იქნება რაიმე სხვა მიზეზის გამო არ შეიტანეს იგინი კრებულში? თუ, იქნებ, ეს დანარჩენი მიმოხილვები მართლაც არ არის ილიას ნაწერი და ამით აიხსნება მათი კრებულში მოუთავსებლობა?

მასალების განხილვა გვიჩვენებს, რომ ნაწილი ამ დანარჩენი მიმოხილვებისა მართლაც არ ეკუთვნის ილიას.

ჯერ უკანასკნელი სამი მიმოხილვის შესახებ 1885 წლისა: მარტის, ივნისის და სექტემბრისა, რომლებიც ამ კრებულში შეტანილი არაა.

---

* ეს წამოწყება, როგორც ცნობილია, განხორციელდა ნაწილობრივ, — გამოიცა ილიას თხზულებათა მხოლოდ პირველი ოთხი ტომი.

რომ მკითხველისათვის გასაგები გახდეს ჩვენი დასკვნები, საჭიროა აქ წინასწარ გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება.

როდესაც ჩვენ თანდათანობით ვეცნობით „ივერიის“ მიმოხილვებს 1879 — 1885 წლების განმავლობაში, და მივაღწევთ 1885 წლის თებერვლის მიმოხილვამდე, ჩვენ ისეთს შთაბეჭდილებას ვღებულობთ, რომ ეს უკანასკნელი მიმოხილვა წარმოადგენს ერთნაირ ეპილოგს, ბოლოსიტყვაობას. ამ მიმოხილვის საერთო შინაარსი ისეთია, რომ 1885 წლის თებერვლის შემდეგ ილიას თითქოს შეუწყვეტია ყოველთვიური მიმოხილვების წერა „ივერიაში“.

რით იყო ეს გამოწვეული? ილიას, საერთოდ, მეტად ძნელ საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი მდგომარეობა იყო შექმნილი მისთვის, როგორც შინაური მიმოხილველისათვის, ავტორს აქ სისტემატურად უხდებოდა შეხებოდა საზოგადოებრივ ცხოვრების აქტუალურს, განსაკუთრებით მტკივნეულს მიმდინარე საკითხებს და ამიტომ ცენზურაც აქ დიდ სისასტიკეს იჩენდა. ილია ერთ თავის მიმოხილვას ასეთი ირონიული შენიშვნებით აბოლოებს:

> „ეს წვრილფეხობაა რაღაცა, დაუჟინია და ჰყვირის: „იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოერევა, ვერც თოფიო. სტყუიან, თქვენმა მზემ! ერთი უბრალო მაკრატელი და მისი ჯანი!*... ამის მაგალითი თითონ ეს წერილი გახლავთ“ (იხ. გვ. 78).

საერთოდ იშვიათი იყო ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც ავტორს საშუალება ჰქონოდა აზრის ცოტათ თუ ბევრად თავისუფალი გამოთქმისა. მწერალს, თვით ილიას სიტყვით, „ენის კვნეტით“ უხდებოდა ლაპარაკი, იგი იძულებული იყო მხოლოდ გაკვრით, იგავის ენით შეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების საარსო მხარეებს: „თქმაც ძნელია, — ამბობს ერთგან ილია, — იმიტომ რომ წყლით გივსებენ პირსა, ნაღველს ან სულ არ ამოგათქმევინებენ, და თუ ამოგათქმევინებენ, ისე ბუნდად, არეულად, გაკვრით-გადაკვრით, რომ არამც თუ კაცი, თითონ ეშმაკიც კი კისერს მოიტეხს“ (იხ. გვ. 59).

თუ როგორ ამახინჯებდა ცენზურა ილიას შინაურ მიმოხილვებს, ამის მაგალითები თვალწინ გვაქვს (იხ. მაგ., მიმოხილვები — I, II, III, გვ. 20, 25, 32, 33, 34, 35 — 36, 46, 48, 53). ზოგჯერ ილიას ნაწერებიდან მხოლოდ ნაწყვეტიღაა შერჩენილი (ასე, იხ. მე-6 მიმოხილვა 1881 წლის იანვრისა, გვ. 76 — 78).

მაგრამ განსაკუთრებით საძნელო საცენზურო პირობები შექმნილა ყოველთვიური „ივერიის“ არსებობის უკანასკნელ პერიოდში, 1883 — 1885 წლებში. ასე, ცენზორმა დაიჭირა „ივერიის“ 1883 წლის ივლის-აგვისტოს მიმოხილვა და მხოლოდ შემდეგ, ამ მიმოხილვის ჯეროვანი შეკვეცისა და არსებობითი დამახინჯების შედეგად, შესაძლო გახდა მისი დაბეჭდვა (იხ. გვ. 274 — 292).

---

* აქ ცენზორის მაკრატელი იგულისხმება.

1884 წელს, „ივერიის“ მე-7 — 8 ნომრებისათვის დაწერილი მიმოხილვა ცენზურას სრულებით აუკრძალავს; ამის შესახებ „ივერიის“ აღნიშნულ ნომერში რედაქცია აცხადებს: „ამ წიგნისათვის დამზადებული შინაური მიმოხილვა სხვა წიგნებშიაც ვერ დაიბეჭდება“.

როცა გავითვალისწინებთ ამნაირ პირობებს, გასაგები ხდება ილიას ის წერილი, რომელიც „შინაური მიმოხილვის“ სახით ილიამ დაბეჭდა „ივერიის“ 1885 წლის თებერვლის ნომერში. ეს წერილი იმდენად შინაური მიმოხილვა არ არის, რამდენადაც ჩივილი მწერლის ბედზე, რომელსაც მოსპობილი აქვს ყოველი საშუალება თავისუფალი აზრის წარმოთქმისა. წერილი, რასაკვირველია, ნართაულად, ეზოპეს ენით არის ნაწერი. ავტორი მოილოდინებს მამლის ყივილს, რომელსაც უნდა მოჰყვეს გათენება და სულთამხუთაკის გაქრობა; მანამდის კი მწერალი დადუმებას რჩეობს. აი რასა სწერს სხვათაშორის ილია ამ წერილში:

„იქნება არ დაიჯეროთ და ერთი საოცარი, უცნაური სენი დამჩემდა. ამბობენ, ეს სენი მარტო მე არა მჭირს. თურმე ნუ იტყვით, ყველას, ვისაც ჭკუასთან რაიმე საქმე აქვს, იმათაც ის ემართებათ, რაც მე. დავფიქრდები რაზედმე თუ არა, ან ჩავუკვირდები რასმე და ტვინის ძაფები მოძრაობაში შევლენ, ერთი რაღაც სულთამხუთავსავით ამეტუზება თვალწინ და არა მშორდება. ეხლაც ამ ყოფაში ვარ, თუმცა თქვენცა ხედავთ, რომ ჭკუასა და ამ ნაჯღაბნს ერთმანეთში არაფერი კავშირი აქვთ. ეხლა თვალწინ მიდგა და საშინელს ჯადოს მიკეთებს. მე ერთის თქმა მინდა — ის სულ სხვას მალაპარაკებს, ენა ჩემი იძვრის — სიტყვა იმისია, კალამი ჩემი სწერს — აზრი იმისი გამოდის. რა მემართება, არც მე ვიცი. ქვეყანა ჩემ თვალწინ როგორღაც უხეიროდ, წალმა-უკუღმა ტრიალებს, თითქო ღერძი გატყდა და საცა არის ტალახის გუნდასავით დაეცემა და დაიმსხვრევაო. მე ვშიშობ და ვკანკალებ, მართლა ესე არ მოხდეს მეთქი, ის ჩემი სულთამხუთავი კი თავს მადგია და იღრიჯება, იცინის. რას იღრიჯები შე უგვარო, უმსგავსო მეთქი, ვეუბნები. იმან პასუხად ღორის ეშვებასავით თავისი სიბერისაგან ფანფალა ღოჯები წამომიყარა და ამოჰვარტლულ ბუხარსავით შავი პირი უფრო დიდად დააღო. ფუ ეშმაკო მეთქი, დავიყვირე, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. პირჯვარი დავიწერე, შენც არ მოშიკვდე, არც ამან მოაცვლევინა ფეხი. რა ყოფილა, თქვენი ჭირიმეთ! ესე ამ ყოფაში ვარ ხოლმე, მინამ მამალი იყივლებს. რაკი ის დალოცვილი წამოიყივლებს ხოლმე. სულთამხუთავიც უცბად თვალწინ გამიფრთხება, გაქრება რიგორც ქარისაგნ ბოლი.

ეხლა კი საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი ამ ჟამად მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთამხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღალული და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა ვილოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყივლებ!...

... რით დაგისრულოთ სიტყვა არ ვიცი, ჩემი კალამი ჩემს სურვილს ეურჩება. ჩემგან ნაჩვენებს ბარდებში ბილიკი თქვენ თვითონ გაიგნეთ. მე კი ვდუმდები და ვიდრე მამალი დაიყივლებდეს და ეს სულთამხუთავი გამიფრთხებოდეს, მე ჩემსას არას ვიტყვი" (იხ. გვ. 332 — 333).

მწერალი მაინც იმ იმედით ამთავრებს წერილს, რომ ეს მამლის ყივილი არ დაიყოვნებს და ეს სულთამხუთავიც ადრევე გაჰქრება, რადგან

„ყველას თავისი დრო და ჟამი აქვს ცათა ქვეშე... ჟამი შობისად და ჟამი სიკვდილისად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხვრად დანერგულისა... აი თურმე სად უნდა ვეძიოთ პასუხი ამ წყეულის ამოცანისა" (იხ. იქვე, გვ. 333 — 334).

ასეთია ილიას ამ უკანასკნელი მიმოხილვის შინაარსი. ამრიგად, იგი თითქოს წარმოადგენს ერთგვარ ეპილოგს „საქართველოს მატიანისას"; ილია ამის შემდეგ, მისივე სიტყვით, დუმილს ირჩევს, რაკი მას „ერთის თქმა უნდა, და სულთამხუთავი სულ სხვას ალაპარაკებს, კალამი მწერლისაა, ხოლო აზრი კი სულთამხუთავის გამოდის".

რასაკვირველია, მარტო ამის მიხედვით ძნელია გადაჭრით თქმა, შესწყვიტა თუ არა მართლა ილიამ ამის შემდეგ „ივერიაში" „საქართველოს მატიანის" — „თვიური მიმოხილვების" წერა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მოყვანილი ნაწყვეტის შემდეგ — ეს თითქო უფრო საფიქრებელია.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ მიმოხილვების ავტორების საკითხს. აქ მოხსენებული ილიას წერილის შემდეგ, რომელიც მოთავსებული იყო 1885 წლის თებერვლის ნომერში, იმავე 1885 წელს გვაქვს სამი თვიური მიმოხილვა: მარტისა, ივნისისა და სექტემბრისა. ვის ეკუთვნის ეს მიმოხილვები? თუ ჩვენ ილიას ზემოთ-მოყვანილ სიტყვებს პირდაპირ მივიღებთ, ილიას ავტორობა აქ თავისთავად გამორიცხულია. ამასვე ეთანხმება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ არც ერთი ეს მიმოხილვა, როგორც აღვნიშნეთ, არაა შეტანილი ილიას მიმოხილვების ხელნაწერ კრებულში.

მაგრამ რომ ეს სამი მიმოხილვა არ ეკუთვნის ილიას, ამას აღასტურებს არა მარტო ეს გარეგანი ჩვენებანი, არამედ თვითონ ხასიათი ამ წერილებისა. სტილი, თუმცა მას ატყვია ილიას სკოლის გავლენა, მაგრამ მაინც განსხვავდება ილიას ნაწერებისაგან. ლიტერატურული ღირსებითაც ისინი დაბლა დგანან ილიას მიმოხილვებზე.

ამასთან ისიც ირკვევა, რომ სამივე ეს მიმოხილვა ერთი ავტორის დაწერილია. შინაარსით ისინი თითქმის უშუალოდ გადაბმულია ერთმანეთთან, ერთი და იმავე თემების რკალს ავითარებენ. ამას გარდა წერის მანერაც სამსავე მიმოხილვაში ერთნაირია.

ამრიგად, ამ წერილების განხილვიდან იმ დასკვნას უნდა დავადგეთ, რომ ეს სამი მიმოხილვა დაწერილია ერთი ავტორის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, „ივერიის" ახლო თანამშრომელი იყო, რადგან მას, როგორც აღვნიშნეთ, „ივერიის" სკოლის გავლენა ემჩნევა.

ვინ იყო ეს ავტორი? ამის გამოკვლევაც შესაძლო გახდა. როდესაც ჩვენ ვათვალიერებდით „ივერიის“ კომპლექტებს ყოფილი წერა-კითხვის საზოგადოების კოლექციისას, „ივერიის“ ერთ ეგზემპლარში (№ 2240/ბ), 1885 წლის სექტემბრის მიმოხილვის ქვეშ ჩვენ შეგვხვდა ხელით მინაწერი „გ. ყ-ძე“ (ე. ი. გრიგოლ ყიფშიძე). უნდა ვიცოდეთ რომ ყოფილი წერა-კითხვის საზოგადოების კოლექცია არ არის შემთხვევითი ხასიათის კრებული, არამედ პერიოდული გამოცემების ეგზემპლარები წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში მიღებული იყო რედაქციებიდან; და აქ ჩვენ არა იშვიათად გვხვდება, როცა ხელმოუწერელი წერილების ქვეშ აღნიშნულია ხოლმე, თუ ვინ არის ავტორი *. ასე რომ ამ ცნობებს ერთგვარად დოკუმენტალური ხასიათი აქვს.

და თავისთავად ის გარემოება, რომ გრ. ყიფშიძე ყოფილა ავტორი „ივერიის“ ზოგიერთი მიმოხილვისა, სრულიად ბუნებრივია, რადგან გრ. ყიფშიძე, როგორც ცნობილია, ამ ხანებში, 80-იან წლებში, უახლოესი თანამშრომელი იყო ილიასი „ივერიის“ ხელმძღვანელობის დროს.

რაკი ამრიგად გამოირკვა, რომ უკანასკნელი სამი სადავო მიმოხილვა „ივერიისა“ გრ. ყიფშიძეს ეკუთვნის, ჩვენ გადავათვალიერეთ წ. კ. საზოგადოების კოლექციაში „ივერიის“ ყველა ეგზემპლარი, იმ იმედით, რომ შევხვდებოდით რაიმე ცნობას დანარჩენი ექვსი სადავო მიმოხილვის შესახებაც. და მართლაც, ორი მიმოხილვის შესახებ ჩვენ ასეთი ცნობა ვიპოვეთ; „ივერიის“ ერთ ნაბეჭდ ეგზემპლარში (№ 2239/ა) ორს მიმოხილვას მიწერილი აქვს იგივე ინიციალები გრ.იგოლ ყიფშიძისა, სახელდობრ შემდეგ ტექსტებს: 1884 წლის იანვრის მიმოხილვას (იხ. სარჩევი მინაწერი: „გ. ყ-ძისა“), და 1884 წლის მარტის მიმოხილვას (წერილის ბოლოს, გვ. 158, მინაწერი: „გ. ყ-ძე“) **.

ვიდრე გადავიდოდეთ დანარჩენ საკითხებზე, გამოვიტანოთ ჯერ დასკვნები; არსებული მასალების მიხედვით, მაშასადამე, შემდეგი ირკვევა:

ა) ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის 26 მიმოხილვა, რომელიც შეტანილია ხელნაწერში № 5168-S (მათი სია იხ. ზევით, გვ. 377 — 378).

ბ) გრ. ყიფშიძეს ეკუთვნის 5 მიმოხილვა, აღნიშნული მისი ინიციალებით წერა-კითხვის საზოგადოების კოლექციაში, და მათთან დაკავშირებული ტექსტები (ე. ი. მიმოხილვები: 1884 წ. იანვარი, მარტი, 1885 წ. მარტი, ივნისი, სექტემბერი).

გ) იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის ორი მიმოხილვა (ერთი ამათგანი ნიშ-

---

* ეს მინაწერები ზოგჯერ თვით ავტორების მიერ არის აღნიშნული, წ-კ. ბიბლიოთეკა-მუზეუმის კოლექციებზე მუშაობის დროს. (მაგალითისათვის დავასახელებთ სოფრომ მგალობლიშვილის ანალოგიურ მინაწერებს).

** „ივერიის“ ზემოთ-დასახელებული კომპლექტები ყოფილი წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმისა ამჟამად დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ნობლივ ვიცით: ეს არის ის წერილი, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1881 წლის №№ 1 — 2. რაც შეეხება მეორე მიმოხილვას, თუ რომელია იგი და როდის დაიბეჭდა, ამის შესახებ ი. გოგებაშვილი არას გადმოგვცემს; გოგებაშვილი აღნიშნავს მხოლოდ, რომ იგი მოთავსებული იყო „ივერიის“ მიმოხილვების სერიაში, ე. ი. არა უგვიანეს 1885 წლისა (იხ. ზევით გვ.379 — 380).

დ) დასასრულ, გამოურკვეველი რჩება ოთხი მიმოხილვის ავტორი: 1879 წ. მარტისა, მაის-ივნისისა, 1881 წ. თებერვლისა და 1884 წ. აპრილისა.

გადავიდეთ ამის შემდეგ გარკვევაზე დანარჩენი საკითხებისა, და კერძოდ საკითხისა, თუ რა ტექსტია ის მეორე მიმოხილვა, რომელიც ი. გოგებაშვილს დაუწერია.

მაგრამ წინასწარ აქ საჭიროა უფრო ახლო გავეცნოთ ზემოთ-დასახელებულ ხელნაწერ კრებულს № 5168-S, რომელშიაც შეტანილია ილიას 26 მიმოხილვა.

როგორც მოხსენებული გვქონდა, ეს ხელნაწერი კრებული გადაწერილია 1890 წლის ახლო ხანებში ქართველთა საგამომცემლო ამხანაგობის ინიციატივით, რომელიც ამ დროს შეუდგა ილიას თხზულებათა გამოსაცემად დამზადებას.

ხოლო ვის მითითებათა მიხედვით არის შედგენილი ეს კრებული?

ხელნაწერის განხილვას ჩვენ საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ხელნაწერი თვით ილიას ჩვენებათა მიხედვით არის შედგენილი. და ეს თავისთავადაც საფიქრებელი იყო. მართლაც, რაკი ხელნაწერი გამოსაცემად მზადდებოდა, ცხადია, კრებული ან თვით ილიას გადაუწერინებია, ანდა, თუ ეს კრებული გამომცემლობამ გადააწერინა, ჩვენების მისაღებად გამომცემლობა, ცხადია, თვით ავტორს მიმართავდა და არა სხვას ვისმეს. ნუ დავივიწყებთ, რომ ეს პირველი გამოცემა იყო ილიას თხზულებათა კრებულისა და ავტორის უშუალო მითითებათა გარეშე მისი ორგანიზება ვერ ჩატარდებოდა.

რომ ავტორს უშუალო მითითებანი მიუცია ამ კრებულის გადაწერის ღროს, ამას ადასტურებს შემდეგი.

ჯერ ერთი, „შინაური მიმოხილვები“, ისევე, როგორც დიდი უმრავლესობა ილიას საჟურნალო წერილებისა ხელმოუწერელი იბეჭდებოდა, ხოლო ვის უნდა მიეცა ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი ამ ხელმოუწერელ წერილთა შორის ეკუთვნოდა ილიას, თუ არა თვით ავტორს?

შემდეგ, დასახელებულ ხელნაწერ კრებულში „შინაური მიმოხილვათა“ ტექსტი გადმოწერილია „ივერიიდან“ არა უცვლელად, არამედ აქ არის ერთი ისეთი ცვლილება, ნაბეჭდ ტექსტთან შედარებით, რაც ცხად-ჰყოფს, რომ ეს ხელნაწერი კრებული ავტორის მითითებათა თანახმად არის შედგენილი.

ცვლილება ეხება პირველ მიმოხილვას, ე. ი. იმ მიმო-

ხილვას, რომელიც დაბეჭდილი იყო „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყოველი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ქვეყნდებოდა „ივერიაში“, ჩვეულებრივ ეხებოდა არა ერთ საკითხს, არამედ წყებას საკითხებისას, ზოგჯერ ათეულ საკითხებს მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ყოველ „შინაურის მიმოხილვას“ სათაურს ქვემოთ უძღოდა ხოლმე ქვესათაურის სახით ჩამოთვლა იმ საკითხებისა, რომლებიც განხილული იყო მიმოხილვაში.

კერძოდ ამ პირველ მიმოხილვაში, რომელიც „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში დაიბეჭდა, განხილულია, როგორც ეს აღნიშნულია ქვესათაურში, 16 საკითხი.

შინაური მიმოხილვა.

აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ—ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა—ჩვენი სხვერპლი და ძმათა შემოერთება—ჩვენს განათლების საქმე—ჩვენის ხალხის სწავლების საქმე—რა არის შკოლა—ქართული სზოგაღოება სწავლის გავრცელებისათვის—შარშანდელი მასწავლებელთა კრება—„Тифлисскій Вѣстникъ“-ის და „ცროების“ ღვაწლი—უფ. სტრელეცკი და ხითაროვი—უფ. იანოვსკი.—თავად-აზნაურთა შკოლა—სამღვდელოების განკარგების ნიშნები—სამღვდელოთა წოდების ქალთა განათლების საქმე—ყოვლად უსამღვდელოესი იონნიკე—ჩვენის სემინარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა.

—

ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელ-შეკრულობით წვერი შემოერღვა, როგორც პაკიტს და რა კი წვერი შემოერღვა, ბოლომდინ რღვევით უნდა წავიდეს. ჩვენ აქ რა შუაში ვართო, იტყვის მკითხველი? ეს პატარა ქვეყანა. რომელსაც ამიერ-კავკასიას ეძახიან და სადაც უპირატესობა ეკუთვნის ერით ქართველობას უპურია, დღეს იმ ქვეყნათ შეიქმნა, რომელშიაც ბერლი-

[ფოტო: სათაური და ქვესათაური (განხილულ საკითხთა ჩამოთვლით) „შინაური მიმოხილვისა“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ 1879 წელს, პირველ ნომერში].

ხოლო ზემოთ დასახელებულ ხელნაწერ კრებულში, სადაც გადაწერილია ილიას 26 მიმოხილვა, ტექსტი ამ მიმოხილვისა შემოკლებულად არის წარმოდგენილი; სახელდობრ აქ გადაწერილია მხოლოდ პირველი ნახევარი

მიმოხილვისა (რომელიც დასახელებული 16 საკითხიდან ეხება პირველ ცხრა საკითხს), ხოლო არაა გადაწერილი მეორე ნახევარი მიმოხილვისა (რომელიც ეხება უკანასკნელ 7 საკითხს).

სახელდობრ აქ გადაწერილია ტექსტი შემდეგ ცხრა საკითხისა, რომლებიც ქვესათაურში ასეა ჩამოთვლილი:

[1] „აღმოსავლეთის საქმე და ჩვენ“.

[2] „ჩვენ სხვისთვის ვართ რამე თუ არა“.

[3] „ჩვენი მსხვერპლი და ძმათა შემოერთება“ (ეხება სამხრეთ-საქართველოს ჩხარეების, აჭარა-ქობულეთის შემოერთებას თურქეთთან ომის შემდეგ).

[4] „ჩვენის განათლების საქმე“.

[5] „ჩვენის ხალხის სწავლების საქმე“.

[6] „რა არის შკოლა“.

[7] „ქართული საზოგადოება სწავლის გავრცელებისათვის“.

[8] „შარშანდელი მასწავლებელთა კრება“.

[9] „Тифлисский Вестник“-ის და „დროების“ ღვაწლი.

ხოლო არაა გადმოწერილი ტექსტი შემდეგი შვიდი საკითხისა, რომელთაც შეიცავს „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტის მეორე ნაწილი, და რა საკითხებიც ქვესათაურში ასეა ჩამოთვლილი:

[10] „უფ. სტრელეცკი და უფ. ხითაროვი“.

[11] „უფ. იანოვსკი“.

[12] „თავად-აზნაურთა შკოლა“.

[13] „სამღვდელოების განკარგების ნიშნები“.

[14] „სამღვდელოთა წოდების ქალთა განათლების საქმე“.

[15] „ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე“.

[16] „ჩვენის სემინარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა“.

გადამწერს არ გადმოუწერია არც ტექსტი მიმოხილვის ამ მეორე ნახევრისა, და ამასთან შეფარდებით არც მიმოხილვის თავში, საერთო ქვესათაურში, არ გადმოუწერია უკანასკნელი 7 საკითხის ჩამოთვლა (ქვესათაურში გადმოწერილია მხოლოდ პირველი ცხრა საკითხის ნუსხა).

ამრიგად, „შინაური მიმოხილვის“ ამ ხელნაწერი კრებულის შედგენას ამჩნევია რედაქტორის ხელი.

ცხადია, ასეთი ცვლილება ერთხელ დაბეჭდილ ტექსტში შეეძლო მოეხდინა თვით ავტორს ილიას და არა სხვას ვისმე; კრებული ჩანს გადაწერილია თვით ილიას მითითებათა საფუძველზე.

საკითხავია ამის შემდეგ, რით იყო გამოწვეული, რომ ამ კრებულში ილიამ არ შეიტანა პირველი მიმოხილვის ეს მეორე ნახევარი?

აქ შესაძლოა დავუშვათ ორი რამ:

1. ეს მეორე ნახევარი მიმოხილვისა პირველ ნაწილთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება. ამიტომ შესაძლოა გვეფიქრა, რომ ილიამ, რომელიც ამზადებდა თხზულებათა კრებულის გამოცემას, არ ჩას-

თვალა საჭიროდ შეეტანა კრებულში ეს ნაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ნაწილი მიმოხილვისა, რომელიც უკვე აღარ წარმოადგენდა ინტერესს ფართო საზოგადოებისათვის.

2. მაგრამ შესაძლოა დავუშვათ მეორე შესაძლებლობაც, რომ ილიამ ამ „შინაური მიმოხილვის“ მეორე ნაწილი არ შეიტანა თავის კრებულში მის გამო, რომ იგი დაწერილი იყო არა ილიას მიერ, არამედ „ივერიის“ რომელიმე სხვა თანამშრომელის მიერ.

საჟურნალო მუშაობაში არაიშვიათია ასეთი თანამშრომლობა, როდესაც ერთ ავტორს ეკუთვნის ერთი ნაწილი წერილისა, ხოლო მეორე ავტორს მეორე, მით უფრო, როდესაც წერილში განხილულია რამდენიმე სხვადასხვა ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი საკითხი.

აღსანიშნავია, რომ თვით ილიას საჟურნალო მოღვაწეობაში, სწორედ ამავე „ივერიის“ პერიოდში, სხვა შემთხვევაშიაც ადგილი ჰქონდა ასეთ თანაავტორობას ილიასი და „ივერიის“ თანამშრომელთა.

ასე, „ივერიაში“ 1877 წელს დაიბეჭდა სერია წერილებისა სათაურით „ოსმალოს საქართველო“. ეს წერილები, გარდა ერთისა, ეკუთვნის პეტრე უმიკაშვილს, ხოლო ერთი წერილი, რიგით მეორე, — წერილი ძირითადი მნიშვნელობისა, — დაწერილია ილია ჭავჭავაძის მიერ.

რასაკვირველია, მოულოდნელი არაფერი იქნებოდა, თუ გამოირკვეოდა, რომ აქაც, ამ პირველ „შინაურ მიმოხილვაში“, ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რომ ილიამ მის მიერ დაწერილი „შინაური მიმოხილვის“ ძირითადი ტექსტის დამატებად ზოგიერთი საკითხის დამუშავება მიანდო „ივერიის“ რომელსამე თანამშრომელს, მაგალითად იაკობ გოგებაშვილს, მით უფრო რომ ეს საკითხები, აღძრული „შინაური მიმოხილვის“ მეორე ნახევარში, იაკობ გოგებაშვილისათვის ახლო და ნაცნობი იყო (სახელდობრ მიმოხილვის ეს მეორე ნაწილი ეხება თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს სტრელეცკის, იმავე სახალხო სკოლების ინსპექტორს ხითაროვს, სასწავლო ოლქის „მზრუნველს“ იანოვსკის, სასულიერო წოდებასა და სასულიერო სასწავლებლებს — ქალთა სასულიერო წოდების სკოლას და სასულიერო სემინარიას. უნდა ვიცოდეთ, რომ იაკობი სასულიერო სემინარიის ძველი მასწავლებელი იყო და სასულიერო წოდების საქმეებს უფრო ახლო იყო გაცნობილი, ვიდრე ილია. იაკობს აქ ჩამოთვლილ საკითხთა ჯგუფისათვის არა ერთი და ორი წერილი მიუძღვნია).

ასეთია ის ორი შესაძლებლობა, რომლითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ილიას „შინაური მიმოხილვების“ კრებულში არაა შეტანილი ამ პირველი შინაური მიმოხილვის მეორე ნახევარი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ 1925 — 1929 წლებში, როდესაც ჩვენ გამოვეცით ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ათი ტომი, ჩვენ არ გვქონდა რაიმე პირდაპირი ცნობა, იმის შესახებ, რომ ამ „შინაური მიმოხილვის“ მეორე ნახევარი დაწერილია იაკობ გოგებაშვილისა ან „ივერიის“ სხვა რომელიმე თანამშრომელის მიერ, და ამიტომ იმ

ფაქტს, რომ ილიას „შინაური მიმოხილვების“ კრებულში არაა შეტანილი ამ პირველი მიმოხილვის მეორე ნახევარი, იმით ვხსნიდით, რომ იგი ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, და ამის გამო არ ჩასთვალა საჭიროდ რედაქტორმა (ჩანს თვით ილიამ) მისი შეტანა დასახელებულ კრებულში, რომელიც გამოსაცემად მზადდებოდა *.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ სავალდებულოდ დავინახეთ ანგარიში გაგვეწია ამ ფაქტისათვის, რომ ილიას „შინაური მიმოხილვების“ ამ ხელნაწერ კრებულში არაა შეტანილი პირველი მიმოხილვის მეორე ნახევარი; ამიტომაც ილიას ნაწერების 1925 — 1929 წლების გამოცემაში, სადაც ძირითად ტექსტში „შინაური მიმოხილვები“ დავბეჭდეთ ამ ხელნაწერზე დამყარებით (ე. ი. 26 მიმოხილვის მოცულობით), კერძოდ პირველი მიმოხილვაც დავბეჭდეთ ამავე ხელნაწერის ტექსტის თანახმად (ხელნაწერის ტექსტს ამ შემთხვევაში ჩვენ დავემყარეთ მით უფრო, რომ პირველი მიმოხილვის მეორე ნახევარი, ჩვენის დაკვირვებით, თავის საერთო სტილით განსხვავებულად მივიჩნიეთ ილიას ნაწერებისაგან).

შემდეგ აღმოჩენილმა მასალამ დაადასტურა, რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როდესაც პირველი მიმოხილვის ტექსტის გამოცემის დროს ამ ხელნაწერის ტექსტს დავემყარეთ და ილიას ნაწერების კრებულში შევიტანეთ პირველი „შინაური მიმოხილვის“ მხოლოდ პირველი ნაწილი. ამჟამად საბოლოოდ დადასტურდა, რომ ამ მიმოხილვის მეორე ნაწილი არ ეკუთვნის ილიას, არამედ იაკობ გოგებაშვილის დაწერილი ყოფილა.

ახალი მასალა, რომელიც საშუალებას იძლევა აღძრული საკითხის გადაჭრისათვის, გამოავლინა პროფ. გიორგი თავზიშვილმა. იაკობ გოგებაშვილის არქივში, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, პროფ. გ. თავზიშვილმა იპოვა ამ პირველი „შინაური მიმოხილვის“ ხელნაწერი პირი.

ის გარემოება, რომ იაკობ გოგებაშვილის არქივში აღმოჩნდა ამ პირველი „შინაური მიმოხილვის“ ხელნაწერი, ცხადია იმის მაჩვენებელია, რომ ამ ნაწარმოებთან კავშირი ჰქონია არა მარტო ილიას, არამედ იაკობ გოგებაშვილსაც.

მაგრამ პროფ. გ. თავზიშვილმა მის მიერ მოპოვებული ამ ახალი მასალის, მიხედვით სრულიად შემცდარი დასკვნები გააკეთა.

სახელდობრ პროფ. გ. თავზიშვილმა დაასკვნა, რომ ეს „შინაური მიმო-

---

* ილიას ნაწერების სრული კრებულის 1925 — 1929 წლების გამოცემაში (ათტომეულში), ილიას შინაური მიმოხილვების კომენტარებში ვეხებოდით რა ილიას „შინაური მიმოხილვების“ დასახელებულ ხელნაწერ კრებულს, ვწერდით: „ხელნაწერის შედგენას ამჩნევია რედაქტორის ხელი. ასე, ხელნაწერში არაა გადაწერილი პირველი მიმოხილვის ბოლო, რომელიც წვრილმან საკითხებს ეხება და რომელიც რედაქტორს (ავტორს?) მნიშვნელობას მოკლებულად მიუჩნევია“ (იხ. ტ. VI, გვ. 327, შენიშვნა).

ხილვა“ მთლიანად აღებული, როგორც მისი პირველი, ისე მეორე ნაწილი. იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის და რომ ამ მიმოხილვასთან ვითომც ილიას არავითარი კავშირი არა აქვს.

მაგრამ საქმე არ დასრულებულა მხოლოდ თეორეტიული ხასიათის ასეთი არასწორი დასკვნით; ამას შედეგად მოჰყვა დამახინჯება როგორც ილიას, ისე იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ნაწერების გამოცემაში, რომლებიც პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით გამოვიდა. სახელდობრ ილიას ნაწერებიდან ამოღებულ იქნა ილიასადმი კუთვნილი პირველი „შინაური მიმოხილვა“ (ე. ი. მისი პირველი, ძირითადი ნაწილი); ხოლო იაკობ გოგებაშვილის რჩეული ნაწერების მეორე ტომი იხსნება ამ ტექსტით, როშელიც სინამდვილეში ეკუთვნის არა იაკობ გოგებაშვილს, არამედ ილია ჭავჭავაძეს.

გავეცნოთ ამის შემდეგ იმ მოსაზრებებს, რომელთაც გამოთქვამს აქ აღძრული საკითხის გამო გ. თავზიშვილი.

ილიას პედაგოგიური ნაწერების გამოცემის შესავალ წერილში გ. თავზიშვილი შემდეგსა წერს:

„ამ კრებულში ჩვენ არ შევიტანეთ პედაგოგიური ხასიათის მქონე 1879 წლის „შინაური მიმოხილვა“, რომელიც ათტომეულის რედაქტორებმა პ. ინგოროყვამ და ალ. აბაშელმა ილია ჭავჭავაძეს მიაკუთვნეს და მოათავსეს მისი სრული ნაწერების მე-6 ტომში (გვ. 17 — 27). აღნიშნული მიმოხილვა წერის მანერის, თემატიკისა და სტილის მხრივაც კი მართლაც ძალიან ჰგავს ილიას ნაშრომს, მაგრამ იგი ეკუთვნის არა მას, არამედ იაკობ გოგებაშვილს. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში დაცულ იაკობ გოგებაშვილის არქივში (№ 3316-5331) აღმოჩნდა მისი ხელნაწერი (დედანი), შემდეგი სათაურით „შინაური მიმოხილვა — 1879 წელი, იანვარი“ (რომელიც მას გამზადებული ჰქონდა თავის თხზულებათა მეორე ტომისათვის). ეს ხელნაწერი ორჯერ აღემატება 1879 წლის იანვრის „ივერიაში“ (№ 1) და ათტომეულის მე-6 ტომში მოთავსებულ იმავე მიმოხილვას. „ივერიაში“ დაბეჭდილია მხოლოდ მისი (შინაური მიმოხილვის) პირველი ნაწილი (მეორე გამოუქვეყნებელი ნაწილის ქვესათაურებია: უფ. სტრელეცკი და ხ-თაროვი. უფ. იანოვსკი. თავად-აზნაურთა სკოლა. სამღვდელოების განკარგების ნიშნები. სასულიერო წოდების ქალთა განათლების საქმე. ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე. ჩვენი სემინარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა). ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით მიზეზები, რატომ არ დაიბეჭდა „ივერიაში“ მიმოხილვის მეორე ნაწილი, რომელიც პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა საცენზურო პირობების გამო“ *.

ვიდრე გადავიდოდეთ საკითხის არსებით განხილვაზე, აქ საჭიროა წი-

* იხ. ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, გ. თავზიშვილის რედაქციით, 1938 წ., გვ. 8.

ნასწარ აღვნიშნოთ, რომ ამ ცნობებში, რომელსაც გადმოგვცემს პატივცემული გ. თავზიშვილი, არის მთელი რიგი მეტისმეტად მძიმე ფაქტიური შეცდომები.

1. გ. თავზიშვილის სიტყვით, ხელნაწერი „შინაური მიმოხილვისა“, რომელიც დაცულია იაკობ გოგებაშვილის არქივში, ვითომც არის თვით ორიგინალი ამ ნაწარმოებისა, „მისი ხელნაწერი (დ ე დ ა ნ ი)“. სინამდვილეში კი იგი არის არა „დ ე დ ა ნ ი“, ე. ი. ორიგინალი, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, არამედ პირი (კოპიო); ხელნაწერი გადაწერილია არა ი. გოგებაშვილის ხელით, არამედ სხვა ხელით, რაც სრულიად უდავოდ დასტურდება მისი შედარებით ი. გოგებაშვილის დედნებთან. მაგრამ ირკვევა ამაზე მეტიც. ეს ხელნაწერი, გადაწერილი უცნობი გადამწერის მიერ, არათუ არაა დ ე დ ა ნ ი (ორიგინალი), არამედ იგი არ წარმოადგენს არც დედანის (ხელნაწერი ორიგინალის) პირს, არამედ გადმოწერილია „ი ვ ე რ ი ი ს“ ნ ა ბ ე ჭ დ ი ე გ ზ ე მ პ ლ ა რ ი დ ა ნ. ეს დასტურდება, ჯერ ერთი, იმის მიხედვით, რომ გადმონაწერს ბოლოში მოწერილი აქვს: „ივერია, 1879 წ. № 1“. ხოლო, რაც მთავარია, ამ ხელნაწერში გამოტოვებულია და წერტილებით არის აღნიშნული სწორედ ის ადგილები, რომლებიც ცენზურამ ამოიღო „ივერიიდან“ და რაც „ივერიის“ ნაბეჭდ ტექსტში ასევე წერტილებით არის აღნიშნული.

ხოლო რაკი ირკვევა, რომ ეს ხელნაწერი არ ყოფილა დ ე დ ა ნ ი, არამედ გადმონაწერი „ივერიიდან“, ამის შემდეგ გ. თავზიშვილის მთელს მტკიცებას ყოველგვარი საფუძველი ეცლება.

2. ასევე არ შეეფერება სინამდვილეს გ. თავზიშვილის ცნობა, ვითომც დასახელებული ხელნაწერი იაკობ გოგებაშვილის არქივიდან — „ო რ ჯ ე რ ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა 1879 წლის იანვრის „ივერიაში“ (№ 1) და ათტომეულის მე-6 ტომში მოთავსებულ ამავე მიმოხილვას“.

ათტომეულის ტექსტი, როგორც მოხსენებული გვქონდა, ემყარება „შინაური მიმოხილვის“ ხელნაწერ კრებულს 5168-S, რომელიც, როგორც ირკვევა, ილიას ჩვენებათა მიხედვით არის შედგენილი, და სადაც პირველი „შინაური მიმოხილვის“ მხოლოდ პირველი ნაწილი არის შეტანილი; ამიტომაც იაკობ გოგებაშვილის არქივში ნაპოვნი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს მეორე ნაწილსაც, ცხადია, მართლაც „ორჯერ“ აღემატება მას. მაგრამ როდესაც გ. თავზიშვილი წერს, რომ ვითომც ეს ხელნაწერი იაკობ გოგებაშვილის არქივისა ორჯერ აღემატებაო „ივერიაში“ ნაბეჭდ ტექსტს, ჩვენ გაკვირვებას ვეძლევით; არაფერი ამის მსგავსი სინამდვილეში არაა. მაგრამ გადავიკითხოთ ჯერ ისევ გ. თავზიშვილის ნათქვამი ამ საკითხზე; გ. თავზიშვილი, როგორც მოვიხსენეთ შინაური მიმოხილვის ტექსტის გამო შემდეგსა სწერს:

> „ივერიაში დაბეჭდილია მისი (შინაური მიმოხილვის) პირველი ნაწილი (მეორე გამოუქვეყნებელი ნაწილის ქვესათაურებია: უფ. სტრელეცკი და ხითაროვი. უფ. იანოვსკი. თავად-აზნაურთა სკოლა.

სამღვდელოების განკარგების ნიშნები. სასულიერო წოდების ქალთა განათლების საქმე. ყოვლად უსამღვდელოესი იოანნიკე. ჩვენი სემინარიის უნუგეშო ყოფნა). ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით მიზეზი, რატომ არ დაიბეჭდა „ივერიაში“ მიმოხილვის მეორე ნაწილი, რომელიც პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა საცენზურო პირობების გამო“.

მაგრამ როდესაც ჩვენ ვიღებთ „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერს, ჩვენ ვხედავთ, რომ აქ დაბეჭდილია დასახელებული მიმოხილვის როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილი: პირველ ნაწილს უჭირავს 136 — 144 გვერდები, მეორე ნაწილს 145—158 გვერდები.

რომ „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტი შეიცავს მიმოხილვის არა მხოლოდ პირველს, არამედ მეორე ნაწილსაც, ამას მკითხველი დაინახავს აქვე 387 გვერდზე მოთავსებული ფოტოდან, სადაც წარმოდგენილია ამ მიმოხილვის სათაური და ქვესათაური; ქვესათაურში ჩამოთვლილია როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილის საკითხები, დაწყებული თავიდან „უფ. სტრელეცკი და ხითაროვი“ (რიგით მე-10 თავი), ვიდრე თავამდე: „ჩვენი სემინარიის ჯერ კიდევ უნუგეშოდ ყოფნა“ (რიგით მე-16 თავი).

ამრიგად, ცნობა იაკობ გოგებაშვილის არქივში ნაპოვნი ხელნაწერის შესახებ, რომ ვითომც იგი „ორჯერ აღმატება“ 1879 წლის „ივერიაში“ მოთავსებულ ტექსტს, მცდარი ყოფილა. პირიქით, შედარებიდან ირკვევა, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენს „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტიდან გადმოწერილ ზუსტ პირს, არც მეტს, არც ნაკლებს.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება. ამრიგად, ჩვენ გვიხდება აღვნიშნოთ ჯეტად სამწუხარო ფაქტი, რომ ავტორს გამოუტანია დასკვნები ისე, რომ არც კი გაუსინჯავს „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტი, და არ შეუდარებია იგი ხელნაწერთან...

გადავიდეთ ამის შემდეგ საკითხის არსებით განხილვაზე.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ამ „შინაური მიმოხილვის“ ავტორობის საკითხის გამო იმ ფაქტებიდან, რომელთაც უკვე გავეცანით?

ერთადერთი დასკვნა, რაც გამომდინარეობს მასალების ყოველმხრივი ანალიზიდან არის ის, რომ ილია ჭავჭავაძე და იაკობ გოგებაშვილი არიან თანაავტორები ამ „შინაური მიმოხილვისა“; ილიას ეკუთვნის პირველი ძირითადი ნაწილი მიმოხილვისა (პირველი ცხრა საკითხის მიმოხილვა), ხოლო იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის მეორე ნაწილი მიმოხილვისა (ბოლო შვიდი საკითხის მიმოხილვა).

მართლაც, ჩვენს წინაშეა, როგორც გამოირკვა, შემდეგი ორი ფაქტი:

1. ილიას შინაური მიმოხილვების ხელნაწერ კრებულში 5168-S, რომელიც, როგორც ირკვევა, თვით ილიას მითითებათა მიხედვით არის შედგენილი, მოთავსებულია „შინაური მიმოხილვის“ პირველი ნაწილი, რომელიც პირველი ცხრა საკითხის მიმოხილვას შეიცავს. რასაკვირველია, ყოვლად

დაუჯერებელია, რომ მიმოხილვის ეს პირველი ნაწილი არ ყოფილიყო ილიასი და იგი ისე შეეტანათ ამ კრებულში (უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ ეს არის პირველი მიმოხილვა, რომლითაც იხსნება ილიას მიმოხილვათა ეს კრებული, და აქ გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს რაიმე შეცდომა, მით უფრო პირველი ტექსტის მიმართ).

2. ამავე დროს იაკობ გოგებაშვილის არქივშიაც მოიპოვება იმავე „შინაური მიმოხილვის“ პირი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ი. გოგებაშვილსაც ქავშირი ჰქონია ამ მიმოხილვასთან, და რომ ამ ტექსტის მეორე ნაწილი (უკანასკნელი შვიდი საკითხის მიმოხილვა), რომელიც ილიას არ შეუტანია თავის კრებულში, ი. გოგებაშვილის დაწერილია.

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, თვით ი. გოგებაშვილს აღნიშნული აქვს, რომ მას ეკუთვნის „ივერიის“ შინაური მიმოხილვების ორი ტექსტი (იხ. ზევით გვ. 380). და მართლაც ი. გოგებაშვილის არქივში ორი ასეთი ტექსტი აღმოჩნდა: ერთია მიმოხილვა 1882 წლის იანვარ-თებერვლისა, რომელიც დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის ნაწერების პირველ ტომში 1910 წელს; ხოლო მეორეა ეს მიმოხილვა 1879 წლის იანვრისა, რომლის მოთავსება ი. გოგებაშვილს განზრახული ჰქონია მეორე ტომში (ი. გოგებაშვილის არქივში შენახულა მეორე ტომის კონსპექტი, სადაც „შინაური მიმოხილვა“ მეათე სტატიად არის ჩანიშნული) *.

აქ საჭიროა მივუთითოთ აგრეთვე, რომ ამ მიმოხილვის ხელნაწერი, დაცული იაკობ გოგებაშვილის არქივში, წარმოადგენს, როგორც აღნიშნული გვქონდა, არა ავტოგრაფს, დაწერილს იაკობ გოგებაშვილის ხელით, არამედ პირს (კოპიოს). როდესაც ი. გოგებაშვილი შესდგომია თხზულებათა კრებულის დამზადებას, მას დაუვალებია უცნობი პირისათვის გადმოეწერა „ივერიის“ 1879 წლის პირველი ნომრიდან მიმოხილვის ტექსტი, ცხადია, იმ მიზნით, რომ თავის თხზულებათა კრებულში შეეტანა ეს მიმოხილვა არა მთლიანად, არამედ მისი მეორე ნაწილი, რომელიც, როგორც ირკვევა, იაკობის დაწერილი ყოფილა.

ამრიგად, მოსაზრება, რომელიც წარმოადგინა გ. თავზიშვილმა, ვითომც იაკობს ეკუთვნოდეს ეს პირველი შინაური მიმოხილვა მთლიანად აღებული, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. რომ ამ მიმოხილვის პირველი ნაწილი ილიას ეკუთვნის და არა იაკობს, ამას, როგორც ვნახეთ, დოკუმენტალურად ადასტურებს ის ფაქტი, რომ იგი შეტანილია ილიას მიმოხილვათა ხელნაწერ კრებულში.

საკითხი ამრიგად გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ კიდევ დამატებით სხვა საბუთებიც, საიდანაც დასტურდება, რომ იაკობს ეკუთვნის მხოლოდ მეორე ნაწილი მიმო-

---

* იხ. ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა № 5331-S, ს. შეკვრა. № 60.

ხილვისა (უკანასკნელი შვიდი საკითხის მიმოხილვა), ხოლო პირველი ძირითადი ნაწილი ილიას კალამს ეკუთვნის.

ა. ჯერ იმის შესახებ, თუ რის გამო არ შეიტანა ი. გოგებაშვილმა ამ მიმოხილვის ტექსტი თავისი რჩეული ნაწერების პირველ ტომში, რომელიც 1910 წელს გამოვიდა. როგორც აღნიშნული გვქონდა, ამ ტომში ი. გოგებაშვილმა მოათავსა მიმოხილვა 1882 წლის იანვარ-თებერვლისა და თითქოს ბუნებრივი იყო, რომ მას აქვე მოეთავსებინა აგრეთვე ეს მეორე მიმოხილვაც, რომელიც ამავე ჟანრის ნაწარმოებია და ამავე პერიოდს (1879 წელს) ეკუთვნის.

მასალებიდან ირკვევა, რომ ი. გოგებაშვილს არ შეუტანია ეს მეორე მიმოხილვა თავისი რჩეული ნაწერების კრებულში (პირველ ტომში) იმის გამო, რომ მას მხოლოდ „მომენტის მნიშვნელობა“ ჰქონდა, და რომ იგი, ავტორის აზრით, უკვე აღარ წარმოადგენდა ისეთს ინტერესს ფართო საზოგადოებისათვის. იაკობს ჯერ გადაწყვეტილი ჰქონია სრულიადაც არ დაებეჭდა ეს მიმოხილვა და მხოლოდ შემდეგ გადაუწყვეტია მისი მეორე ტომში მოთავსება.

ი. გოგებაშვილის არქივში შენახულია შავი იმ შენიშვნისა, რომელიც მიმოხილვებს ეხება და რომელიც დაბეჭდილია 1910 წლის გამოცემის 20 გვერდის სქოლიოში. ამ შენიშვნის ბოლო იაკობს თავდაპირველად შემდეგნაირად დაუწერია:

„მეორე ჩემ მიერ დაწერილს და „ივერიაში“ დაბეჭდილს მიმოხილვას ადგილს არ ვაძლევ ამ კრებულში, რადგანაც მას უფრო მომენტის მნიშვნელობა ჰქონდა“ *.

შემდეგ იაკობს ტექსტი გადაუკეთებია შემდეგნაირად:

„მეორე ჩემ მიერ დაწერილს და „ივერიაში“ დაბეჭდილს მიმოხილვას ადგილს არ ვაძლევ ამ კრებულში, რადგანაც ის დაიბეჭდება მეორე ტომში“ **.

ამრიგად, ი. გოგებაშვილს მიმოხილვის ეს ტექსტი, როგორც ვხედავთ, ნაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდა, მას „უფრო მომენტის მნიშვნელობა ჰქონდა“-ო, აღნიშნავს თვით ავტორი, და ამიტომაც იგი აღარ შეუტანია რჩეული ნაწერების კრებულში (პირველ ტომში) და მისი გამოქვეყნება დამატებით მეორე ტომისთვის გადაუდვია.

ეს შენიშვნა ავტორისა — შეეფერება დასახელებული მიმოხილვის სწორედ მეორე ნახევარს (ე. ი. უკანასკნელი შვიდი საკითხის მიმოხილვას, დაწყებული თავიდან: „უფ. სტრელეცკი და უფ. ხითაროვი“). ამ ნაწილს მართლაც „მომენტის მნიშვნელობა ჰქონდა“ და გასაგებია ავტორის მერყეობა იმის გამო, საჭირო იყო თუ არა მისი მეორეგზის დაბეჭდვა.

---

* იხ. ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა № 5133-S შეკრა № 71, გვ. 2.

** იხ. იქვე.

ხოლო ამ მიმოხილვის პირველ ნაწილზე, რომელიც ილიას დაწერილია, თქმა იმისი, რომ „მას უფრო მომენტის მნიშვნელობა ჰქონდა“-ო, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია, რადგან იგი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება და ფორმის მხრითაც იგი ბრწყინვალე პუბლიცისტურ ნაწარმოებს წარმოადგენს.

ბ. „შინაური მიმოხილვის“ ჟანრი ქართულს ჟურნალისტიკაში ილია ჭავჭავაძემ შეჰქმნა და დაამკვიდრა.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია „შინაურ მიმოხილვებს“ ეს ჩანს ილიას წერილიდან, სადაც იგი შემდეგს სწერს ქართული ჟურნალისტიკის ამ დარგის შესახებ:

„შინაური მიმოხილვისთანა ჩვენში ძნელი საქმე ჩვენებურს მწერალს არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენში შინაური საქმე ისეთი საგანია, რომლისთვისაც ჯერ ხელი სხვას არავის უხლია, რომელზედაც არავითარს მსჯელობას, არავითარს მოსაზრებას, არავითარს დასკვნას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ვერ ინახულებთ, პირდაპირ და მოჭრით, რომელზედაც, მაშასადამე, გინდათ თუ არა, თქვენი აზრი უნდა იქონიოთ, და რომელიც თქვენის საკუთარის ზომით უნდა გაზომოთ... ერთის სიტყვით, ჩვენი შინაური საქმეები ჯერ კიდევ გაუკეთებელი ხორბალია ხოლმე, რომელიც უნდა ჩვენ თვითონ გავანიავოთ, გავცხრილოთ, დავფქვათ, მოვზილოთ და საკუთარის ჭკუის თონეში გამოვაცხოთ... ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომც ჩვენი შინაური საქმეები, ისეთის განსაკუთრებული თვისებებისა იყოს, რომ სხვა ხალხთა ნაცადი, ნაკვლევი, ნააზრევი, არასგზით არ მიუდგებოდეს, სხვისი აზრით ჩვენი საქმე არ აიხსნებოდეს. ამ შემთხვევაში უფრო ხშირად ჰო ითქმის, ვიდრე არა, იმიტომ რომ ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედებენ. ეს რომ არ იყოს, თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არ არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა. მაგრამ მინამ ჩვენს საკუთარ ჭირს სხვისგან ნაცადს წამალს შევურჩევდეთ, ჯერ თვითონ ჩვენ უნდა ვიცოდეთ — რა თვისების ჭირია, მისი სიგრძე-სიგანე გაზომილი უნდა გვქონდეს, მისი სიმძიმე აწონილი, ერთის სიტყვით ეს ჭირი თავიდან ფეხებამდე ჩვენ მიერ ცნობილი და გაგებული უნდა იყვეს“ *.

პირველი „შინაური მიმოხილვა“ ქართულს ჟურნალისტიკაში, რომელმაც დაამკვიდრა ეს ჟანრი ქართულს პრესაში, ეს არის მიმოხილვა, რომელიც დაიბეჭდა თვიური „ივერიის“ 1879 წლის იანვრის ნომერში.

რასაკვირველია, ყოვლად დაუჯერებელია, რომ ილიას თავის ორგანო „ივერიაში“ ჟურნალისათვის გეზის მიმცემი პ ი რ ვ ე ლ ი შინაური მიმოხილვა (მისი ბირითადი წამყვანი ნაწილი) დაეწერა არა თვითონ, არამედ სხვისთვის მიენდო.

---

* იხ. ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა № 5133 — 5 შეკვრა № 71, გვ. 2.

რომ ილია არის შემქმნელი „შინაური მიმოხილვის“ ჟანრისა, „ივერიის“ „შინაური მასპინძელი“, ეს ჩანს კერძოდ იმ შესავალიდან, რომლითაც იწყებს იაკობ გოგებაშვილი თავის მიმოხილვას, დაბეჭდილს „ივერიაში“ 1882 წლის იანვრის ნომერში; ი. გოგებაშვილი, როგორც ვნახეთ, ამ შესავალში შემდეგს გადმოგვცემს:

„ივერიის შინაურს მასპინძელს არა სცალიან. იგი სხვაგვარ მასპინძლობას გიწევთ. მე, როგორც შორი-ახლო მეზობელს, წილად მხვდა ამჟამად გაუმასპინძლდე მის ყოველთვიურ სტუმრებსა. მაგრამ ბალა ეს არის, რომ ამგვარს მასპინძლობას ჩვეული არა ვარ, არა ვარ დახელოვნებული ამ ძნელს, მაგრამ მეტად საამურს საქმეში და შეიძლება ხამობა დამეტყოს. მაინცა და მაინც ჩემგან სტუმარი სრულიად არ უნდა მოელოდეს იმგვარ შეჭცევას, რომლითაც იგი განებივრებული ჰყავს შინაურს მასპინძელსა. მე თქვენ პოეტურის ფრთებით ვერ აგიტაცებთ ცაში და თვალ-ამაჩრიალებელ სიმაღლიდგან ვერ გადაგიშლით ქვეყნიერებას, ვერც იმისთანა ღრმა ფილოსოფიურს ჭეშმარიტებას განგიზიარებთ“...

რასაკვირველია, თუკი ი. გოგებაშვილი იყოს ავტორი 1879 წელს „ივერიაში“ დაბეჭდილი პირველი „შინაური მიმოხილვისა“, მისი ძირითადი ნაწილისა, ე. ი. იგი იყოს პირველი შემომღები „შინაური მიმოხილვის“ ჟანრისა ქართულს ჟურნალისტიკაში, მაშინ, ცხადია, მას აღარ ეთქმოდა, რომ „ამგვარს მასპინძლობას ჩვეული არა ვარ, არა ვარ დახელოვნებული ამ ძნელს, მაგრამ მეტად საამურ საქმეში და შეიძლება ხამობა დამეტყოს“-ო. ასეთ შემთხვევაში ი. გოგებაშვილი უნდა ჩაგვეთვალა არა „შორი-ახლო მეზობლად“ (როგორც თვითონ ამბობს), არამედ თვით „შინაურ მასპინძლად“ „ივერიისა“, „ივერიის“ საჟურნალო მუშაობის მეთაურად, „ივერიის“ ძირითადი საჟურნალო დარგის „შინაური მიმოხილვის“ პირველ შემქმნელად, რაც სინამდვილეში ილია ჭავჭავაძე იყო.

გ. დასასრულ, რომ ილიას ეკუთვნის ეს პირველი „შინაური მიმოხილვა“ „ივერიისა“ (მისი პირველი ძირითადი ნაწილი), ამას სრულიად უცილობელად ადასტურებს ამ ტექსტის ილიას ბრწყინვალე განუმეორებელი სტილი, ენა, ილიას სიტყვა, აღბეჭდილი შთამაგონებელი ძალითა და სიდიადით.

გადავიკითხოთ მაგალითად ის ადგილი ამ წერილისა, სადაც ავტორი სამხრეთ-საქართველოს, მესხეთის მხარეების შემოერთებაზე ლაპარაკობს (ოსმალეთთან ომის შედეგად, 1878 წელს):

„...შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის ფრიად ღირს-სახსოვარია: ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა, და თუ კარგად მოექცევიან — ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამუდამოდ. წარსულმა ომმა ბევრი სისხლი დასთმა ქართველობისა, ბევრმა ვაჟკაცმა ჩვენმა დასდო თავი, ბევრმა დაღვარა სისხლი,... ბევრი წარვიდა მეთქი ამ

წუთისოფლიდამ თვისტომთაგან დაუტირებელი, ბევრი დაიხოცა სახელოვანის სიკვდილით, — და მათი სახელი არც კი არავინ ახსენა და აღიარა. საწყალნო, ეგრე გულ-გმირად თავდადებულნო ყმაწვილნო-კაცნო! თქვენ საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით ნებით თუ უნებლიეთ და საცა ლხინი იყო უკანასკნელი!.. სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც — აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაქკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის... თქვენც, თქვენთა თავდადებულთა ძმათებრ, ჭირში პირველნი იყავით და ლხინში უკანასკნელნი ხართ... თქვენი სახელი და დიდება, სხვამ გაისაკუთრა, სხვამ დაინარჩუნა. იმითი მაინც ინუგეშეთ, რომ ამ ომმა, საცა ამოდენა მსხვერპლი მოიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალ-გული და ვაქკაცობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენის ხნით დაშორებულნი ძმანი ერთმანეთს შეგვყარა... ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას, ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა. მიიღო კიდეც ჩვენმა სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!... ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს!..“ (იხ. გვ. 18 — 19).

რასაკვირველია, ამ სტრიქონების ავტორი არის ილია ჭავჭავაძე და არა სხვა ვინმე.

ანდა მეორე ადგილი იმავე მიმოხილვიდან:

„... ტყუილად კი არ ანაცვალეს ცნობადის ხეს თითონ სამოთხეც კი პირველთა კაცთა... ეგ ის ხეა, რომელსაც გამოაქვს მშვენიერი ნაყოფი თვითოეულისათვის ცალკე და ხალხისათვის საერთოდ; ეგ ის ხეა, საიდამაც ეჩოს ტარიც გაითლება და ხერხისაც; ეგ ის ხეა, რომელიც ყველას იწვევს ერთნაირის გულის-ტკივილითა და ეუბნება: „მოდით მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე განგისვენოთ თქვენ“; ეგ ის ხეა, რომელი-ქვეშაც ჩვენ უნდა დავდგათ ოჭროს აკვანი ჩვენის ერთობისა...“ (იხ. გვ. 20).

აქაც ჩვენ გვესმის ილია ჭავჭავაძის სიტყვა (თვით ეს ბოლო შედარებაც „ოჭროს აკვანი“ — იგივე სახეა, რაც ილიას უკვდავ ლექსში ბაზალეთის ტბის ძირას მდგარი „ოქროს აკვანის“ შესახებ).

ჩვენ ამით დავამთავრებთ განხილვას საკითხისას ამ პირველი „შინაური მიმოხილვის“ შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1879 წელს, პირველ ნომერში.

ირკვევა ამრიგად, რომ ეს მიმოხილვა, — მისი პირველი ძირითადი ნაწილი, — ილიას კალამს ეკუთვნის.

ირკვევა ამას გარდა, როგორც ვნახეთ, მეორე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც, რომ ილიასთან თანამშრომლობა გაუწევია იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც ილიას „შინაური მიმოხილვის“ ძირითადი ნაწილის დამატების სახით დაუწერია მიმოხილვა საკითხთა ახალი ჯგუფისა.

დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ასეთი თანამშრომლობა მეცხრამეტე საუკუნის ამ ორი დიდი მოღვაწისა არ იყო დროებითი, არც შემთხვევითი ხასიათისა. მათ მუდამ ერთი გზა ჰქონდათ სამშობლო ქვეყნის სამსახურის საქმეში.

თვით იაკობ გოგებაშვილი იგონებს ილიასთან ამ თანამშრომლობას, იგონებს ილიასადმი უდიდესი მოკრძალებისა და სიყვარულის გრძნობით.

ეხება რა ამ ბრძოლას, რომელიც ერთად ჩაატარეს ილია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა ცარიზმის სასკოლო პოლიტიკის წინააღმდეგ (რომლის გამტარებელიც კავკასიაში იყო კავკასიის სასწავლო ოლქის „მზრუნველი" იანოვსკი), იაკობ გოგებაშვილი შემდეგს სწერს ამ ბრძოლის დაწყების შესახებ:

„... წერილი იანოვსკისა (სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა) დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში" და იპყრობდა მის შეხედულებას სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. პასუხის გაცემა რედაქციამ („დროებისამ") მე დამავალა. მაგრამ მე მივუგე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად ილია ჭავჭავაძემ. ყველა საჭირო მასალას ილიას მე თვითონ მიუტან, სამაგიეროდ, როცა იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე ვკისრულობ მეთქი. ასეც მოხდა. ა ს ე თ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა შ რ ო მ ი ს ა ი ლ ი ა ს ა დ ა ჩ ე მ ს შ ო რ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ა რ ი ყ ო..." *

* *

ზემოთ წარმოდგენილი განხილვის შემდეგ გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს ძირითადი საკითხები, რომლებიც ეხება „ივერიაში" 1879 — 1885 წლების მანძილზე დაბეჭდილს თვიურს „შინაურ მიმოხილვებს"; სახელდობრ დადგენილია:

ა) ილიასადმი კუთვნილება „შინაური მიმოხილვების" 26 ტექსტისა;

ბ) იაკობ გოგებაშვილისადმი — 2 ტექსტისა;

გ) გრიგოლ ყიფშიძისადმი — 5 ტექსტისა.

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება საკითხი მხოლოდ ოთხი ტექსტის შესახებ; ესენია:

1. „შინაური მიმოხილვა" 1879 წელი, მარტი.
2. „ „ 1879 წელი, მაისი-ივნისი.
3. „ „ 1881 წელი, თებერვალი.
4. „შინაური მიმოხილვის მაგიერი", 1884 წელი აპრილი.

ვის ეკუთვნის ეს ტექსტები? ამის შესახებ ზედმიწევნილი ცნობები არ მოგვეპოვება.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ ამ მიმოხილვების ილიასადმი კუთვნილებას საეჭვოდ ხდის თავისთავად თვით ის ფაქტი, რომ ეს მიმოხილვები არაა შეტანილი ხელნაწერ კრებულში № 5168-ს, რომელიც შეიცავს ილიას 26 მიმოხილვას, და რომელი კრებულიც, როგორც ირკვევა, შედგენილია თვით ილიას მითითებით, ილიას რედაქტორობით.

---

* იხ. იაკობ გოგებაშვილის ნაწერები, 1910 წ., გვ. 52.

ჩამოთვლილი ოთხი მიმოხილვიდან უკანასკნელი მეოთხე ტექსტის შესახებ („შინაური მიმოხილვის მაგიერი", 1884 წელი, აპრილი) — მართლაც შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იგი არ ეკუთვნის ილიას; ეს მოკლე, ქრონიკის მსგავსი ტექსტი თავისი საერთო სტილით სრულებით არ უდგება ილიას შინაურ მიმოხილვებს და საერთოდ ილიას წერის მანერას *.

რაც შეეხება დანარჩენ სამ სტატიას, მათ შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ა. „შ ი ნ ა უ რ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა", 1879 წ ე ლ ი, მ ა რ ტ ი.

გრ. ყიფშიძეს ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში მოჰყავს ციტატი ამ მიმოხილვიდან და ამის მიხედვით ირკვევა, რომ გრ. ყიფშიძე მას ილიასეულად სთვლიდა (იხ. ილიას ბიოგრაფია, დართული ილიას ნაწერების 1914 წლის გამოცემასთან, გვ. XLI). გრ. ყიფშიძის ამ ჩვენებაზე დამყარებით ჩვენ წინათ არ მიგვაჩნდა გამორიცხულად ამ მიმოხილვის ილიასადმი კუთვნილება. მაგრამ ტექსტის დაკვირვებული ანალიზის შედეგად ილიას ავტორობა ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება *. გრ. ყიფშიძის ბიოგრაფია ილია ჭავჭავაძისა დაიწერა 1913 — 1914 წლებში, ე. ი. 35 წლით არის დაშორებული „შინაური მიმოხილვის" დაბეჭდვის დროიდან და არ არის გამორიცხული, რომ გრ. ყიფშიძეს შეცდომა მოსვლოდეს, როდესაც ამ მიმოხილვის ავტორად ილია ჩასთვალა (ალბათ იმის გამო, რომ მიმოხილვებს „ივერიაში" ჩვეულებრივ ილია წერდა). ყოველ შემთხვევაში ამ მიმოხილვის ავტორო-

* ეს ტექსტი — „შინაური მიმოხილვის მაგიერი" — შეიცავს ანგარიშს 1884 წელს თავადაზნაურობის კრებაზე განხილული საკითხისას — „თუ რა ხასიათი და მიმართულება მიეცეს საზაზნაურო სკოლას მომავალში, რა ტიპის სკოლა და სასწავლებელი იყოს იგი, კლასიკურისა თუ რეალურისა, გიმნაზიად გადაკეთდეს იგი, თუ აგრონომიულ სასწავლებელად პრაქტიკულის ხასიათითა და მიმართულებით". ავტორის „თანაგრძნობა ეკუთვნის", როგორც თვითვე ამბობს, უკანასკნელ წინადადებას. აღსანიშნავია, რომ მსგავს შეხედულებას იზიარებდა ი. გოგებაშვილი. უფრო გვიან, 1891 წელს, სათავადაზნაურო გიმნაზიის საზოგადო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. გოგებაშვილმა განავითარა ეს შეხედულება. რომ სათავადაზნაურო გიმნაზიას უნდა მიეცესო რეალური სასწავლებლის ხასიათი აგრონომიულ-პრაქტიკულის მიმართულებით (იხ. ი. გოგებაშვილის სიტყვა გაზ. „დროებაში" 1891 წ. № 113, და ნაწერების კრებულში, 1910 წ., გვ. 254 — 260). ამიტომაც შეიძლება აღიძრას საკითხი, ხომ არ არის ამ წერილის ავტორი ი. გოგებაშვილი? მართალია ი. გოგებაშვილი არსად არ ასახელებს ამ წერილს (იგი არაა დაბეჭდილი არც 1910 წლის გამოცემაში და არ მოიპოვება არც ი. გოგებაშვილის არქივში), მაგრამ ამასთან თვით ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ მას, „არა ერთი და ორი წერილი, რომელშიაც განმარტებული იყო საჭირბოროტო საკითხები, უპოვნელი დარჩა" (იხ. ი. გოგებაშვილის ნაწერების კრებული, 1910 წ. გვ. I). მაინცა და მაინც, არის თუ არა ი. გოგებაშვილი

ბის საკითხს ჩვენ ღიად ვტოვებთ და სადავოდ ვთვლით, მით უფრო, რომ ეს მიმოხილვა, როგორც მოვიხსენეთ, არაა შეტანილი ილიას მიმოხილვათა დასახელებულ ხელნაწერში.

ბ. „შინაური მიმოხილვა“ 1881 წელი, თებერვალი.

ეს მიმოხილვა, ვფიქრობთ, ილიას ეკუთვნის.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ეს მიმოხილვა არაა მოთავსებული ილიას მიმოხილვათა ხელნაწერ კრებულში 5168-S, ამასაც თავისი ახსნა აქვს.

დასახელებული მიმოხილვა წარმოადგენს კრიტიკას იმ პოლიტიკისას, რომელსაც ატარებდა საქართველოს პირველდაწყებით სკოლებში კავკასიის ხასწავლო ოლქის „მზრუნველი“ იანოვსკი.

როგორც ცნობილია, ილიამ ამავე საკითხს უძღვნა მეორე ვრცელი სტატია („იანოვსკის წერილის გამო“), რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1881 წელს თებერვალში.

როდესაც ჩვენ ვადარებთ ამ ორ სტატიას, ჩვენ ვხედავთ, რომ „ივერიაში“ მიმოხილვის ერთ ადგილს უფრო რბილი ტონი ახასიათებს, როდესაც ავტორი პირადად იანოვსკის ეხება (იხ. გვ. 361, სტრ. 5 — 12).

მაგრამ ეს ოდნავი სხვაობა ტონისა შესაძლოა იმით აიხსნას, რომ „ივერიის“ მიმოხილვა უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე „დროების“ სტატია. მართალია ორივე წერილი თებერვალში დაიბეჭდა, მაგრამ, როგორც ირკვევა, საჟურნალო სტატია უფრო ადრე მზადდებოდა სასტამბოდ და იგი 1881 წლის იანვარში უნდა იყვეს გადაცემული. ხოლო კამათის ამ პირველ სტადიაში ავტორს ჩანს საზიანოდ მიაჩნდა საზოგადო საქმისათვის ურთიერთობის გამწვავება პირადად იანოვსკისთან, და ამიტომაც, ასეთ დიპლომატურ მოსაზრებათა გამო, ავტორი თვით იანოვსკის პიროვნებას არ ეხებოდა ისე მწვავედ (ეს რასაკვირველია არ ნიშნავდა რაიმე კომპრომისს; თვით საქმის არსებითი მხარე ორივე წერილში ერთნაირად არის გაშუქებული). ხოლო რაც შეეხება „დროების“ სტატიას, იგი დაწერილია პოლემიკის მეორე ეტაპზე, როდესაც ნიღაბახდილი მტერი სავსებით სააშკარაოზე გამოვიდა და პოლემიკამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტონის ამ ნაწილობრივ სხვაობას, რაც არაა არსებითი ხასიათისა და რაც წერილების სხვადასხვა დროს დაწერით აიხსნება, არაფერი არ ლაპარაკობს იმის საწინააღმდეგოდ, რომ „ივერიის“ ეს მიმოხილვა ილიას ეკუთვნოდეს. პირიქით, აქ ილიას ავტორობაა სავარაუ-

---

ავტორი ამ წერილისა, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა, რომ იგი არ ეკუთვნის ილიას, რადგან, როგორც მოვიხსენეთ, ეს წერილი თავისი საერთო სტილით არსებითად განირჩევა ილიას ნაწერებიდან.

* განსაკუთრებით ეჭვს იწვევს ის ერთგვარი „ობიექტივიზმი“, რომელსაც იჩენს ავტორი ამ მიმოხილვაში აღწერილი პროცესის შეფასების დროს. ილიას ამგვარ საკითხებში არავითარი „ობიექტივიზმი“ არ ახასიათებდა.

დებელი. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთს უაღრესად პასუხსაგებ საგანზე, როგორიც იყო იანოვსკის სასწავლო პროგრამის კრიტიკა, ილიას დაწერა წერილისა თავის ჟურნალში მიენდო გარეშე პირისათვის. ერთადერთი მწერალი, რომელსაც ჰქონდა ავტორიტეტი ამ დარგში, ეს იყო ი. გოგებაშვილი, მაგრამ თვით ი. გოგებაშვილის ცნობიდან ჩანს, რომ ეს წერილი მას არ ეკუთვნის. პირიქით, იმავე ი. გოგებაშვილის სიტყვებიდან ისიც ირკვევა, რომ როდესაც იანოვსკის პროგრამა გამოქვეყნდა, საზოგადოების ყურადღება ილიასკენ ყოფილა მიქცეული, იმ იმედით, რომ ილია შესძლებდა ღირსეული პასუხის გაცემას და ქართული ენის უფლების დაცვას *.

აქ საჭიროა ამასთან ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თვითონ შინაარსი „ივერიის“ ამ მიმოხილვისა არ შეიცავს რაიმე ისეთ ხაზს, რაც ილიას ავტორობას არ ეთანხმებოდეს. არგუმენტაციის მაგისტრალი როგორც „დროების“, ისე „ივერიის“ წერილებში ერთი და იგივეა (კერძოდ დეტალები, წინადადება ექვსწლიანი კურსის შესახებ და სხვა, ორივე წერილში მეორდება). განსხვავება ისაა მხოლოდ, რომ „დროების“ სპეციალურ წერილში ეს არგუმენტაცია უფრო დაწვრილებით არის გაშლილი, ვიდრე „ივერიის“ მიმოხლვაში. და თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ აქ ორ ავტორთან გვაქვს საქმე, უნდა გვეფიქრნა, რომ ილიამ თავის „დროების“ სტატიაში უცვლელად გადაიღო „ივერიის“ მიმოხილვის დებულებანი.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ აქ აღნიშნულს, ჩვენ იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ეს მიმოხილვა, ყველა ნიშნებით, ილიას უნდა ეკუთვნოდეს.

ხოლო რისთვის არ არის იგი შეტანილი შინაურ მიმოხილვათა ხელნაწერ კრებულში 5168-S, რომელიც, როგორც ირკვევა, ილიას მითითებათა მიხედვით იყო შედგენილი და რომელიც გამოსაცემად მზადდებოდა?

ამისი მიზეზი საფიქრებელია იყოს ის გარემოება, რომ ილიას ჩანს უკვე ზედმეტად მიაჩნდა ამ აღრინდელი წერილის დაბეჭდვა, რაკი აქ აღძრული საკითხები შემდეგ მან უფრო ფართოდ, უფრო მეტის საფუძვლიანობით, და ამასთან უფრო მკვეთრად გაშალა მეორე სტატიაში „იანოვსკის წერილის გამო“, რომელიც უნდა შესულიყო ილიას თხზულებათა კრებულში.

გ. „შინაური მიმოხილვა“, 1879 წელი, მაისი-ივნისი. ეს მიმოხილვაც, ვფიქრობთ, აგრეთვე ილიას ეკუთვნის.

წერის ხასიათი ამ მიმოხილვისა ილიასეულია. საგანიც, რომელსაც ეხება წერილი, ეკუთვნის იმ კითხვათა ჯგუფს, რომელიც ილიას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების საარსებო მხარედ მიაჩნდა და რომელსაც იგი არა ერთხელ დაჰბრუნებია თავის პუბლიცისტურ წერილებში.

ერთადერთი, რამაც შეიძლება აღგვიძრას ეჭვი ამ წერილის ილიასადმი კუთვნილებაში, ის გარემოებაა, რომ ეს მიმოხილვა არაა შეტანილი ზემოთ

* იხ. იაკობ გოგებაშვილის ნაწერები, 1910 წ., გვ. 52, შენიშვნა.

დასახელებულ ხელნაწერ კრებულში. მაგრამ ამას შესაძლოა შემთხვევითი მიზეზი ჰქონდეს. როდესაც 90-იან წლებში მზადდებოდა ილიას ნაწერების გამოცემა, უნდა აღერიცხათ როგორც ხელმოუწერელი „შინაური მიმოხილვები“, ისე ასეული სხვა ხელმოუწერელი წერილები, და არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი ნაწერების აღნუსხვა, ან გადაწერა გამორჩათ. ყოველ შემთხვევაში ამ „შინაურ მიმოხილვაში“ ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერაფერს ისეთს, რაც ილიას ავტორობის წინააღმდეგ ლაპარაკობდეს.

ასეთია ჩვენი დასკვნები ზემოთ-დასახელებული ოთხი სადავო წერილის გამო.

ამრიგად, დასახელებული ოთხი წერილიდან ორი ჩანს არაა ილიასი („შინაური მიმოხილვის მაგიერი“ — 1884 წელი, აპრილი; „შინაური მიმოხილვა“ — 1879 წელი, მარტი). ხოლო ორი წერილი, ყველა ნიშნებით, ილიას ეკუთვნის („შინაური მიმოხილვა“ — 1879 წელი, მაის-ივნისი და 1881 წელი, თებერვალი).

მაინც, რაკი ამ ორი უკანასკნელი წერილის გამო ჩვენ არა გვაქვს სავსებით ზედმიწევნითი ცნობები ავტორის შესახებ, ამიტომაც ჩვენ ეს ორი წერილი მოვათავსეთ ჩვენი გამოცემის არა ძირითად ტექსტში, არამედ დამატებებში (იხ. გვ. 349 — 369).

•

27 — 31. წლიური მიმოხილვები გაზეთ „დროებაში“ და გაზეთ „ივერიაში“.

გარდა თვიური მიმოხილვებისა, რომელსაც ილია სისტემატურად ბეჭდავდა „ივერიაში“, ვიდრე იგი თვიური ჟურნალის სახით არსებობდა, ილიას, როგორც ირკვევა, ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე წ ლ ი უ რ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მოთავსებული გაზეთებში „დროება“ და „ივერია“.

ეს წერილები შემდეგია:

27. „ვ ი ს ს ნ ა თ ე ს ს ა ვ მ კ ი თ“ (შინაური მიმოხილვა 1879 წლისა). დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1880 წ. № 1.

1880 წელს, როგორც ცნობილია, გაზეთი „დროება“ შეუერთდა ჟურნალ „ივერიას“ და ორივე ორგანოს რედაქტორობა აიღო ილია ჭავჭავაძემ, სერგეი მესხთან ერთად. „ივერია“ გადაკეთდა სალიტერატურო კრებულად და ამ წლის განმავლობაში შინაური მიმოხილვები „ივერიაში“ აღარ იბეჭდებოდა; შეერთებული რედაქციის მთელი წმინდა პოლიტიკური ხასიათის მუშაობა 1880 წელს გადატანილ იქნა გაზეთ „დროებაში“. პირველი ნომერი ამ განახლებული „დროებისა“, რომლის მთავარი იდეური ხელმძღვანელობა ილიამ იკისრა. იხსნება — როგორც მოსალოდნელი იყო — თვით ილიას წერილით, ამ ჩვენი მიმოხილვით რომელიც საპროგრამო ხასიათს ატარებს.

28. შ ი ნ ა უ რ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა 1892 წ ლ ი ს ა დაიბეჭდა ილიას გაზეთ „ივერიაში“ 1893 წ. № 1.

29. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა. დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წ. № 2.

30. „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ (წლიური მიმოხილვის მაგიერი). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1896 წ. № 1.

31. მეცხრამეტე საუკუნე. (მიმოხილვა მე-19 საუკუნისა). დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1900 წ. № 1.

ყოველი ეს წერილები ხელმოუწერლად იბეჭდებოდა (მეთაურების სახით). რომ ეს წერილები ილიას ეკუთვნის, ეს ჩვენთვის ცხადი გახდა სტილის მიხედვით, რომელიც ილიას ინდივიდუალურ იერს ატარებს. ამის შემდეგ 1927 წელს (როდესაც ჩვენ ვმუშაობდით ილიას ნაწერების სრული კრებულის გამოცემაზე) ამ წერილების ავტორობის საკითხის შესახებ მივმართეთ ილიას ძველს თანამშრომელს, პუბლიცისტს გიორგი ლასხიშვილს. მან დაგვიდასტურა, რომ უკანასკნელი სამი წერილი: 1) მიმოხილვა 1895 წლისა, 2) „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ და 3) „მეცხრამეტე საუკუნე“, — დანამდვილებით ილიას ეკუთვნის. — რაც შეეხება დანარჩენს ორ წერილს (მიმოხილვები 1880 და 1892 წლისა), ამ დროს თუმცა გ. ლასხიშვილი არ იყო პირადად დაახლოებული ილიასთან (1892 წლისათვის იგი გადასახლებული იყო), მაგრამ სავსებით დაგვეთანხმა, რომ ამ წერილებს გარკვევით ამჩნევია ილიას წერის ხასიათი და დანამდვილებით ილიას უნდა მიეკუთვნოს.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ილიას ნაწერების სრული კრებულის პირველ გამოცემაში 1927 წელს დავბეჭდეთ ზემო-ჩამოთვლილი წერილები, აღმოჩნდა ახალი საბუთი, რომელმაც დოკუმენტალურად დაადასტურა ილიასადმი კუთვნილება წერილისა „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს ილიას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოიპოვება ორი ხელნაწერი რვეული ილიასი (№№ 94-Ross და 97-Ross), რომლებიც შეიცავენ ამონაწერებს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური საკითხების შესახებ — კ. მარქსის, ფ. ლასალის, გ. პლეხანოვის, კ. კაუცკის, ე. ბერნშტეინის, ვ. ზომბარტის, კ. ბიუხერის, გ. შმოლერის, შტამლერის, უ. ჟორესის, მასარიკის და სხვათა ნაწერებიდან, ილიას შენიშვნებით. კერძოდ აქ მოიპოვება ამონაწერი გერმანელი ეკონომისტის გუსტავ შმოლერის წიგნიდან „Наука о народном хозяйстве“ (რომლის რუსული თარგმანი 1898 წელს გამოვიდა):

«Идеал социализма—устранение неравенства имуществ и доходов, уничтожение всякого классового государства, а по возможности и всех классовых различий; подъем и поддержка трудящихся классов вот та законная цель, которой он служит...»*

* იხ. ხელნაწერი 97 — Ross გვ. 21 (შეად. ბ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე, 1949 წ., გვ. 278).

ეს ციტატა გ. შმოლერიდან, რომელიც ილიას ჩაუნიშნავს რვეულში 1899 წელს (ილიასეული ხელნაწერი 1899 წელს ეკუთვნის), გამოყენებული აქვს ილიას თავის წერილში „მეცხრამეტე საუკუნე", რომელიც იმავე 1899 წელს (დეკემბერს) ეკუთვნის, სახელდობრ ამ წერილში, „მეცხრამეტე საუკუნე" ილია წერს:

> „ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურ წყობილების იდეალად გამოსახა [შემდეგ მოსდევს ციტატა წინწკლებში ჩასმული] „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და შეძლებისამებრ კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზედ წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად" (იხ. აქვე, გვ. 8 — 9).

ამრიგად აღნიშნულის შემდეგ კუთვნილება ილიასადმი წერილის „მეცხრამეტე საუკუნე" დოკუმენტალურად დასტურდება.

*

წერილების ამ ციკლის წინამდებარე გამოცემის შესახებ დამატებით საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

სახელწოდება „საქართველოს მატიანე", რომელიც ჩვენ მივეცით ილიას ნაწერების ამ ციკლს, თვით ილიას ეკუთვნის *. ეს სახელწოდება სავსებით შეეფერება ილიას ამ წერილების ჯგუფს, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ მატიანეს წარმოადგენს.

მიმოხილვები დალაგებული გვაქვს ქრონოლოგიურის რიგით. მხოლოდ ერთი მიმოხილვა: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ" და „მეცხრამეტე საუკუნე", რომლებიც არ წარმოადგენენ ჩვეულებრივ მიმოხილვას, არამედ საერთო საკითხებს ეხებიან, მიმოხილვების საერთო ხაზს აღნიშნავენ, — გამოვყავით ცალკე და მოვათავსეთ შესავლის სახით.

მიმოხილვების ტექსტის შესახებ აქ საჭიროა შემდეგი აღვნიშნოთ: მიმოხილვების თვით ილიასეული ხელნაწერი — ავტოგრაფები არ შენახულა. წერილები ჩვენს გამოცემაში გადმოვიღეთ იმ ჟურნალებიდან და გაზეთებიდან, სადაც ეს წერილები პირველად დაიბეჭდა (— ე. ი. თვიური „ივერია" 1879 — 1885 წლებისა, „დროება" 1880 წ. № 1, გაზეთი „ივერია", 1892 № 1, 1896 № 2, 1898 № 1 და 1900 წ. № 1) მხოლოდ ერთი წერილი

---

* ილია ამ სახელს ხმარობს თვიური „ივერიის" პროგრამაში (იხ. წინასწარი გამოცხადება ამ პროგრამისა ივერიაში", 1878 წ., № 43 და შემდეგ). ამავე სახელს „საქართველოს მატიანე" ილია მიმართავს ცალკე მიმოხილვებსაც (იხ. მაგალითად „ივერია" 1896 წ., № 1, რედაქციის ცნობა. იხ. აქვე, გვ. 407, მე-6 სტრიქონი).

** საცენზურო კომიტეტის სხვა საქმეებიდან ირკვევა, რომ ამ ცენზორის იაკიმოვის სახელი და მამის სახელი ყოფილა კონსტანტინე ვასილის ძე.

(— მიმოხილვა 1883 წლის აგვისტოსი) — ჩვენი გამოცემის ძირეულ ტექსტში დავბეჭდეთ არა იმ სახით, როგორადაც იგი გამოქვეყნებული იყო „ივერიაში“, არამედ იმ პირველი დედნის მიხედვით, რომელიც აღმოჩნდა საცენზურო კომიტეტის საქმეებში. ამ წერილის ისტორია უკვე გავაცანით მკითხველს; ილიას ეს მიმოხილვა დაუმზადებია „ივერიის“ 1883 წლის აგვისტოს ნომრისათვის და აწყობილი საკორექტურო ფურცლები გაუგზავნია ცენზურაში გასატარებლად. ცენზურას გამოუტანია დადგენილება მისი აკრძალვის შესახებ. მოგვყავს აქ პირი ამ დადგენილებისა:

«По журналу Цензурного Комитета 20 сентября 1883 года определено: в виду 3, 6, 90 ст. Ценз. уст. напечатание воспретить и удержать при делах *.

Председатель Комитета Якимов.
Член комитета (ხელმოწერა გაურკვეველია).»

ილიას წერილის ეს აკრძალული პირველი დედანი (საკორექტურო ფურცლები) ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო-საისტორიო არქივში (№ 113/18, 1883 г., Дело Цензурного Комитета).

მეტად დიდ დანაკლისად უნდა ჩაითვალოს, რომ არ შენახულა შინაურ მიმოხილვათა არც თვით ილიას ხელნაწერები და არც საცენზურო კომიტეტის არქივია მთლიანად მოღწეული. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ძნელს საცენზურო პირობებში უხდებოდა მუშაობა ილიას, და შინაურ მიმოხილვათა ტექსტები, როგორც ირკვევა, ხშირად შემოკლებული იბეჭდებოდა ცენზურის მიერ. აქ ადგილი ჰქონია არათუ ტექსტის შედარებით უმნიშვნელო შესწორებასა და შეკვეცას, არამედ დედააზრის პირდაპირ დაბნეულობასა და დამახინჯებასაც; მაგალითისათვის საკმაოა მკითხველმა შეადაროს საცენზურო კომიტეტში აღმოჩენილი ილიას წერილის ზემოთ მოხსენებული პირველი დედანი იმ ტექსტთან, რომელიც შემდეგ შეკვეცილად დაიბეჭდა „ივერიაში“ (იხ. ორივე ტექსტი ჩვენს გამოცემაში, გვ. 274—292 და 369 — 374).

მკითხველს უნდა ახსოვდეს ავრეთვე, რომ ცენზურის ხელი შეჰხებია არა მარტო იმ ადგილებს, სადაც ეს ნაბეჭდ დედანში აღნიშნულია მრავალწერტილებით ან ცარიელი ადგილებით *, არამედ ცენზურის ასეთი კუპიურები, უფრო ხშირად, ჩანს, სრულებით არ აღინიშნებოდა ნაბეჭდ გამოცემებში. ამის ცხადი მაგალითია იგივე 1883 წლის აგვისტოს მიმოხილვა: საცენზურო კომიტეტს დედნიდან ამოუღია მთელი აბზაცები და თავები, მაგრამ „ივერიის“ ნაბეჭდ ტექსტში არაა დატოვებული ამის შესაფარდი ცარიელი ადგილები.

კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ილიას ზოგიერთი მიმოხილვა, ცენზურის

* ასე, იხ. გვ. 20, 25, 32, 33, 34, 35 — 36, 46, 48, 53 და სხვ.

მიერ აკრძალული, ჩანს, სრულებით დაკარგულია. ჩვენ გვაქვს პირდაპირი ცნობა სამი ასეთი ტექსტის შესახებ:

1. მიმოხილვა 1884 წლის ივლის-აგვისტოსი, რომლის შესახებაც „ივერიის“ რედაქცია № 7 — 8-ში აცხადებს: „ამ წიგნისათვის დამზადებული შინაური მიმოხილვა სხვა წიგნებშიაც ვერ დაიბეჭდება“.

2. 1896 წლის „ივერიაში“ № 1, მოთავსებულია რედაქციის ცნობა: „საქართველოს მატიანე, ამ დღისათვის დამზადებული, არ დაიბეჭდა“ **.

3. 1881 წლის იანვრის მიმოხილვიდან შენახულა მხოლოდ ნაწყვეტი (იხ. გვ. 76 — 78).

ჩვენ გადავსინჯეთ ყოფილი საცენზურო კომიტეტის არქივის გადარჩენილი ნაწილი, მაგრამ არც ერთი ეს მიმოხილვა არ აღმოჩნდა (— გარდა იმ ერთი წერილისა, რომელიც ზევით მოვიხსენეთ). არ აღმოჩნდა აგრეთვე არც ჩვენს მუზეუმსა და წიგნთსაცავებში ამ სამი მიმოხილვის ილიასეული ხელნაწერები, ან მათი შავები ან პირები, თუმცა ყველგან გადავსინჯეთ სათანადო კოლექციები.

პავლე ინგოროყვა

** შემდეგ ილიას, ჩანს, გადაუმუშავებია ეს მიმოხილვა და იგი შეკუმშულის სახით დაიბეჭდა 1896 წლის ივერიის № 2-ში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ლ ი ს მ ა გ ი ე რ ი

1. მეცხრამეტე საუკუნე . . 7
2. რა გითხრათ? რით გაგახაროთ? 10

საქართველოს მატიანე

შ ი ნ ა უ რ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ე ბ ი

3. შინაური მიმოხილვა 1879 წ. იანვარი 17
4. შინაური მიმოხილვა 1879 წ. თებერვალი 27
5. შინაური მიმოხილვა 1879 წ. აპრილი 42
6. შინაური მიმოხილვა 1879 წ. ივლისი — აგვისტო 55
7. ვისს ნათესსა ვმკით? (მიმოხილვა 1879 წლისა) 70
8. შინაური მიმოხილვის მაგიერი 1881 წ. იანვარ 76
9. შინაური მიმოხილვა 1881 წ. მარტი 79
10. შინაური მიმოხილვა 1881 წ. მაისი 87
11. შინაური მიმოხილვა 1881 წ. ივლისი 103
12. შინაური მიმოხილვა 1881 წ. სექტემბერი 112
13. შინაური მიმოხილვა 1881 წ. ნოემბერი 121
14. შინაური მიმოხილვა 1881 წ. დეკემბერი 126
15. შინაური მიმხოილვა 1882 წ. მარტი 141
16. შინაური მიმოხილვა 1882 წ. აპრილი — მაისი 148
17. შინაური მიმოხილვა 1882 წ. ივლისი 165
18. შინაური მიმოხილვა 1882 წ. ივლისი — აგვისტო 173
19. შინაური მიმოხილვა 1882 წ. სექტემბერი 183
20. შინაური მიმოხილვა 1882 წ. ნოემბერი 188
21. შინაური მიმოხილვა 1882 წ. დეკემბერი 204
22. შინაური მიმოხილვა 1883 წ. იანვარი 231
23. შინაური მიმოხილვა 1883 წ. თებერვალი 242
24. შინაური მიმოხილვა 1883 წ. აპრილი 246

25. შინაური მიმოხილვა 1883 წ. მაისი 259
26. შინაური მიმოხილვა 1883 წ. აგვისტო 274
27. შინაური მიმოხილვა 1883 წ. ოქტომბერი 293
28. შინაური მიმოხილვა 1883 წ. ნოემბერი 309
29. შინაური მიმოხილვა 1885 წ. თებერვალი 326
30. შინაური მიმოხილვა 1892 წლისა 335
31. შინაური მიმოხილვა 1895 წლისა 341

დამატება

32. შინაური მიმოხილვა 1879 წ. მაისი — ივნისი 349
33. შინაური მიმოხილვა 1881 წ. თებერვალი 358
34. შინაური მიმოხილვა 1883 წ. სექტემბერი 369

სარედაქციო შენიშვნები — პავლე ინგოროყვასი 377

მხატვრები დ. და ლ. ჭუთათელაძეები.

ტექრედაქტორი ან. ღვინიაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-54 წ. უე 17351. ანაწყობის ზომა 5.5×9. ქაღალდის ზომა 84×108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 27,75. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 68.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.